ZG ნიგნიხ ხამყარო(ელ.ბიბლიოთეკა)

სელმა ლაგერლეფი
იერუსალიმი

პირველი წიგნი. დალარნაში

[1]

შესავალი. ინგმარშონები

ზაფხულის დილას ბიჭი თავის მინდორს ხნავდა. მზე აცხუნებდა, ბალახი ცვრიანი იყო, ჰაერი კი – ენით აუწერლად სუფთა. ცხენებისთვის დილის ჰაერს თავბრუ დაეხვია და გუთანს თამაშ-თამაშით ეწეოდნენ, ისეთი უჩვეულო ჩორთით მიდიოდნენ, ბიჭი ლამის სირბილით მისდევდა.

სახნავს მოშავო-მოყავისფრო ფერი დაჰკრავდა, ნოტიო და ხვავრიელი მიწა იყო. ყმაწვილკაცს უხაროდა, მალე ჭვავის კარგ მოსავალს მივიღებო და თავისთვის ფიქრობდა: „ნეტავ ზოგჯერ გულზე დარდი რატომ შემომაწვება ხოლმე და მეჩვენება, რომ ცხოვრება მძიმეა? განა მზის სხივი და კარგი დარი არ კმარა იმისათვის, რომ თავი ღვთის ზეციურ ქმნილებასავით ნეტარი გეგონოს?“

ხეობა გრძელი და საკმაოდ ფართო იყო, ყვითელი და მოყვითალო-მომწვანო ხორბლის ნათესების კვადრატებს ძირს დაფენილი სამყურა ენაცვლებოდა, აყვავებული კარტოფილის ნაკვეთებს კი – პატარა, ლურჯყვავილებიანი სელის მინდვრები, რომელთა თავზეც უამრავი თეთრი პეპელა დაფარფატებდა. ამ ყველაფერს კი ხეობის შუაგულში უზარმაზარი მამული აგვირგვინებდა ნაცრისფერი ფარდულებით და დიდი, წითლად შეღებილი სახლით. სახლის წინ ორი მაღალი, გაბარდული მსხლის ხე იდგა, ჭიშკართან – ნორჩი არყის ხეები, მწვანე მოლზე შეშის გროვები დაეხვავებინათ, ბოსლის უკან კი თივის დიდი ზვინები მოჩანდა. ამ აბიბინებულ მინდვრებს შორის ამოზრდილი კარ-მიდამო ისეთივე ლამაზი სანახავი იყო, როგორც გაშლილ ზღვაში აფრებაშვებული ხომალდის ხილვა.

„მერედა, როგორი მამული მაქვს!“ ფიქრობდა ყმაწვილკაცი, „აგურის შენობები, კარგი პირუტყვი, ფეხმარდი ცხენები და თოლიებივით ერთგული მსახურები. აქაურებს არაფრით ჩამოვრჩები და არც გაღატაკება მემუქრება.“

– ჰო, სიღარიბისა ნამდვილად არ მეშინია, – თითქოს საკუთარ ფიქრებს უპასუხა ბიჭმა. – იმითაც კმაყოფილი ვიქნები, თუ მამაჩემივით და პაპაჩემივით კარგი კაცი დავდგები. რა სისულელეებზე ვფიქრობ, ახლახან ხომ ისეთი გახარებული ვიყავი, მაგრამ აბა, რა ვქნა! მამაჩემს ყველა მეზობელი ბაძავდა: თიბვას სწორედ იმ დილით იწყებდნენ, როცა ის იწყებდა, როგორც კი მინდვრების მოხვნას შევუდგებოდით, მთელ ხეობაში ხვნა მაშინ იწყებოდა. მე აგერ უკვე რამდენი საათია, ვხნავ, სხვებს კი ჯერ სახნისიც არ აულესავთ.

მგონი, ინგმარ ინგმარშონზე ნაკლებად არ ვუძღვები მამულს. მამაჩემზე მეტი თივა დავამზადე, თანაც მხოლოდ იმ ბალახმოდებულ თხრილებს როდი დავჯერდი, მამაჩემის დროს მინდვრებს რომ გასდევდა. ისიც სიმართლეა, რომ ტყე მამაჩემივით უმოწყალოდ არ გამიკაფავს და მოსახნავად არ გადამიბუგავს.

ხშირად ძალიან მიჭირს. ყოველთვის დღევანდელივით კარგ გუნებაზე კი არა ვარ. მამას და ბაბუას სიცოცხლეში ამბობდნენ, ინგმარის საგვარეულო იმდენ ხანს ცხოვრობდა ამქვეყნად, რომ უფლის ნებას ხვდებოდაო და ხალხმა მათ მრევლის გაძღოლაც კი სთხოვა. ისინი ნიშნავდნენ მღვდელსაც და დიაკვანსაც, ისინი წყვეტდნენ, მდინარე როდის უნდა გაეწმინდათ ან სკოლის შენობა სად უნდა აეგოთ. მე კი რჩევას არავინ მეკითხება და არც არაფერს ვწყვეტ.

რა კარგია, რომ ამ დილას ყველა ჩემი სადარდებელი არაფრად მეჩვენება. ახლა ისიც კი შემიძლია, ყველაფერზე გავიცინო და მაინც, ვშიშობ, შემოდგომაზე ჩემი საქმე ახლანდელზე უარესად იქნება. თუკი იმას გავაკეთებ, რაც ჩავიფიქრე, არც პასტორი და არც მაზრის მოსამართლე კვირაობით ეკლესიაში უწინდელივით ხელს აღარ ჩამომართმევს. აღარც ღარიბთა დახმარების საბჭოში ამირჩევენ და ეკლესიის წინამძღოლიც ვეღარასოდეს გავხდები.

არასოდეს გეფიქრება ისე იოლად, როგორც მაშინ, როცა გუთანს აღმა-დაღმა დაჰყვები. მარტო ხარ და ხელს ყვავების გარდა არაფერი გიშლის, რომლებიც ხნულებში იქექებიან და ჭიაღუას ეძებენ.

ბიჭს ეჩვენებოდა, რომ ფიქრები ისე ადვილად მოსდიოდა თავში, თითქოს ვიღაც ყურში უჩურჩულებდა და იმანაც გაახალისა, რომ დღევანდელივით მწყობრად და სწრაფად იშვიათად ფიქრობდა. ახლა თავისი შფოთვაც უსარგებლო ეჩვენა და თავი ანუგეშა, შენგან არავინ მოითხოვს, უბედურებაში გაეხვიეო.

ZG წიგნიხ ხამყარო(ელ.ბიბლიოთეკა)

ჭაბუკმა გაიფიქრა, ახლა რომ მამაჩემი ცოცხალი იყოს, რამეს ვკითხავდიო, რადგან ყველა საჭირბოროტო ამბავზე რჩევას მას ეკითხებოდა ხოლმე და მოუსვენრობამ შეიპყრო, მამა რომ გვერდით არ ჰყავდა და ვერც ვერაფერს ჰკითხავდა.

– ნეტავ მასთან მისასვლელი გზა მაინც ვიცოდე, – თქვა ბიჭმა და საკუთარ სიტყვებზე გაეღიმა, – ნეტავ დიდი ინგმარი რას იტყოდა, ერთ მშვენიერ დღეს რომ გამოვცხადებოდი. ასე მგონია, მინდორ-ველებით გარშემორტყმულ დიდ მამულში ცხოვრობს, სადაც დიდი სახლები დგას და დიდრონი, წაბლა ძროხებია, არც შავი და არც ჭრელი, სწორედ ისეთები, როგორიც აქ უნდოდა, ჰყოლოდა. ჰოდა, შევდივარ სასტუმრო ოთახში...

ჭაბუკი შუა მინდორში შეჩერდა, თავი ასწია და გაიცინა. ეს აზრი გასაოცარ კმაყოფილებას ანიჭებდა და ფიქრმა ისე გაიტაცა, ისიც კი არ სჯეროდა, რომ მიწაზე იდგა. უეცრად მოეჩვენა, რომ ზეცაში, მოხუც მამასთან იყო.

– შევდივარ სასტუმრო ოთახში, – განაგრძო მან, – იქ კი კედლებთან უამრავი გლეხი ჩამწკრივებულა, ყველას შეჭაღარავებული, წითური თმა აქვს, თეთრი წარბები და დიდი ქვედა ტუჩი და ისე ვერ გაარჩევ მამაჩემისგან, როგორც ერთ დათვს – მეორე დათვისგან. ამდენი ხალხის დანახვაზე დავიმორცხვებ და კართან გავჩერდები, მაგრამ მამა შემაღლებულზე ზის, მაგიდასთან და, როგორც კი დამინახავს, მეუბნება: „მოგესალმები, ლილ[2] ინგმარ ინგმარშონ!“, დგება და ჩემთან მოდის. „თქვენთვის ორიოდე სიტყვის თქმა მინდოდა, მამა, მაგრამ აქ იმდენი უცხო ადამიანია.“ ვეუბნები მე. „ოჰ, ესენი ხომ ნათესავები არიან. ოდესღაც ყველანი ინგმარის კარ-მიდამოში ბინადრობდნენ, მათ შორის უხუცესი კი უხსოვარ დროს ცხოვრობდა.“ „ჰო, მაგრამ მარტოს მინდოდა, დაგლაპარაკებოდით.“

მაშინ მამა მიმოიხედავს და სხვა ოთახში დააპირებს გასვლას, მაგრამ რადგან შინაური ვარ, სამზარეულოში გადის. იქ მამა ღუმლის ფილაზე ჯდება, მე კი – კუნძზე. „კარგი მამული გქონიათ, მამა,“ ვამბობ მე. „ჰო, არა უშავს,“ მპასუხობს იგი. „შინ, ინგმარის კარ-მიდამოში რა ხდება?“ „ყველაფერი რიგზეა, შარშან თივის თითო ზვინში თორმეტი რიკსდალერი ავიღეთ“ ვეუბნები. „ნუთუ ეს შესაძლებელია?“ უკვირს მამას. „აქ ჩემს მასხრად ასაგდებად ხომ არ მოხვედი, ლილ ინგმარ?“

„აი, ჩემი საქმე კი არც ისე კარგადაა,“ ვამბობ. „გამუდმებით ის მესმის, რომ თქვენ ისეთივე ბრძენი იყავით, როგორიც თავად უფალია, აი, მე კი არავინ არაფერს მეკითხება.“ „განა სოფლის მმართველობის წევრი არა ხარ?“ მეკითხება მოხუცი. – „არც სასკოლო საბჭოს წევრი ვარ, არც – საეკლესიო საბჭოსი და არც – მმართველობის.“ „ასეთი რა ჩაიდინე, ლილ ინგმარ?“ „ისინი ამბობენ, რომ იმან, ვინც სხვისი საქმეები უნდა მოაგვაროს, ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ საკუთარ საქმეს კარგად ართმევს თავს.“ ამ დროს მგონია, რომ მოხუცი თვალებს დახრის, ჩუმდება და რაღაცაზე ფიქრობს. „უნდა დაქორწინდე, ინგმარ, კარგი ცოლი გჭირდება,“ ამბობს ის ცოტა ხნის შემდეგ. „სწორედ ამის გაკეთება არ შემიძლია, მამა, მრევლში ყველაზე ღატაკ გლეხსაც კი არ სურს, ქალიშვილი მომათხოვოს.“ „მოდი, ლილ ინგმარ, ხეირიანად მომიყევი, რა ხდება!“ მთხოვს მამა და ხმაში სითბო ეპარება.

„მომისმინეთ, მამა, ოთხი წლის წინ, როდესაც მამულში დავბრუნდი, ბერისკუგელი ბრიტა დავნიშნე.“ „დაიცა,“ მაწყვეტინებს მამა, „განა ბერისკუგში ჩვენი ნათესავები ცხოვრობენ?“ გეგონება, აქაური აღარაფერი ახსოვდეს. „არა, მაგრამ შეძლებულები არიან და, ალბათ, ისიც გახსოვთ, რომ ბრიტას მამა დეპუტატია.“ „ჰო, კარგი, მაგრამ ჩვენი გვარიდან უნდა შეგერთო ვინმე, ვინც ძველ წეს-ჩვეულებებს კარგად იცნობდა.“ „მართალი ხართ, მამა, ამაზეც უნდა მეფიქრა.“

ცოტა ხანს ვდუმვართ, მერე კი მამა ისევ იწყებს: „ლამაზი მაინც თუ იყო?“ „ჰო,“ ვპასუხობ მე, „მუქი თმა, ნათელი თვალები და ვარდისფერი ლოყები აქვს, თან ჭკვიანიც იყო და დედა კმაყოფილი დარჩა, რომ ის ავირჩიე. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, ერთი რამის გარდა – ბრიტას ჩემი ცოლობა არ უნდოდა.“ „მერედა, ვინ უყურებს, ცხვირმოუხოცავ გოგოს რა უნდა?“ „ეტყობა, მშობლებმა აიძულეს, დამთანხმებოდა.“ „რა იცი, რომ აიძულეს? მგონი, ბედნიერი უნდა ყოფილიყო, რომ ისეთ მდიდარ კაცს მიყვებოდა, როგორიც შენ ხარ, ლილ ინგმარ ინგმარშონ.“ „არა, ბედნიერი არ ყოფილა, თუმცა, ასე იყო თუ ისე, დავინიშნეთ, ქორწილის დღეც დავთქვით და ბრიტა კერ კიდევ ქორწილამდე გადმოვიდა ინგმარის მამულში საცხოვრებლად, დედას რომ დახმარებოდა. დედა ძალიან დაბერდა და მოტყდა.“ „შენს ნაამბობში ცუდს ვერაფერს ვხედავ,“ ისე მეუბნება მამა, თითქოს ჩემი გამხნევება უნდაო.

„ის წელიწადი მოუსავლიანი გამოდგა. კარტოფილიც კი ვერ ამოვიღეთ, ძროხებიც დასნეულდნენ, ჰოდა, მე და დედამ გადავწყვიტეთ, ქორწილი ერთი წლით გადაგვედო. ვიფიქრე, რახან დანიშნულები ვართ, ჯვრისწერა რა საჩქაროა, ძველად ხომ ასე იქცეოდნენ-მეთქი.“ „ჩვენი გვარიდან რომ მოგეყვანა ვინმე, ალბათ, მოთმინებას გამოიჩენდა,“ ამბობს მამა, „ჰო,“ ვპასუხობ მე, „ვატყობდი, ბრიტას არ მოსწონდა ქორწილის ასე გაჭიანურება, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. გაზაფხულზე ხომ მიცვალებული გავასვენეთ, ბანკიდან ფულის გამოტანა კი არ მინდოდა.“ „ჰო, ალბათ, სწორად მოიქეცი, რომ დაიცადე,“ მეთანხმება მამა, „თუმცა მეშინოდა, რომ ბრიტა უკმაყოფილო იქნებოდა, ქორწილამდე თუ ნათლობის გადახდა მოგვიწევდა.“ „ჯერ იმაზე უნდა დაფიქრდე, რისი საშუალება გაქვს.“

„ბრიტა დღითიდღე სულ უფრო ჩუმი და უცნაური ხდებოდა. ხშირად ვფიქრობდი, ნეტავ რა სჭირს-მეთქი. მეგონა, თავისიანები ენატრებოდა. სახლი და მშობლები ძალიან უყვარდა. ვფიქრობდი, აქაურობას რომ მიეჩვევა, გაუვლის და, ალბათ, ინგმარის მამულიც შეუყვარდება-მეთქი. გადავწყვიტე, დრო მიმეცა, მაგრამ დედას კი ვკითხე, რატომ იყო ბრიტა ასეთი ფერმკრთალი და დაფეთებული მზერა რატომ ჰქონდა. დედამ მიპასუხა, იმიტომ, რომ ბრიტა ბავშვს ელოდება და, როგორც კი მოილოგინებს, ალბათ, ყველაფერი ძველებურად იქნებაო. გულში კი გავივლე, ბრიტა, ეტყობა, იმაზე დარდობს, ქორწილი რომ გადავდე-მეთქი, თუმცა შემეშინდა, მისთვის მეკითხა. გახსოვთ, მამა? ყოველთვის მეუბნებოდით, იმ წელს, როცა დაქორწინდები, სახლს წითლად შევღებავთო. მე კი იმ წელს სახლის წითლად შეღებვა არ შემეძლო. ვფიქრობდი, მომავალ წელს ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი.“

ჭაბუკი კვალს მიუყვებოდა და ტუჩებს აცმაცუნებდა. ფიქრებით ისე შორს დაფრინავდა, რომ ეჩვენებოდა, მამის სახე თვალწინ მიდგასო. „ყველაფერი უნდა ავუხსნა, რომ კარგი რჩევის მოცემა შეძლოს.“ ფიქრობდა იგი.

„ზამთარიც გავიდა. ხშირად ვფიქრობდი, ბრიტა თუ ასეთი უბედური იქნება, მირჩევნია, მასზე უარი ვთქვა და შინ, ბერისკუგში დავაბრუნო-მეთქი, თუმცა ესეც უკვე გვიან იყო. მაისი დადგა და ერთ საღამოს შევნიშნეთ, რომ ბრიტა სადღაც გაქრა. მთელი ღამე ვეძებდით, დილას კი ერთ-ერთმა მოახლემ იპოვა.“

ლაპარაკის გაგრძელება მიჭირს, ვჩუმდები და მამა მეკითხება: „ღმერთო, შენ მიშველე, მკვდარი ხომ არ იყო?“ „არა, ის არა,“ ვპასუხობ და მამას ესმის, როგორ მიკანკალებს ხმა. „ბავშვი გააჩინა?“ „ჰო და დაახრჩო. მკვდარი ჩვილი მის გვერდით ესვენა.“ „რაო, ჭკუაზე შეიშალა?“ „არა, საკმაოდ ჭკვიანი იყო. ეს იმიტომ გააკეთა, რომ ჩემზე შური ეძია, რადგან ძალა დავატანე. ასე მითხრა, ცოლად რომ შეგერთე, ამას არ ჩავიდენდი, მაგრამ რახან ასე არ მოიქეცი, ვიფიქრე, თუ არ უნდა, რომ მისი შვილი ღირსეულად დაიბადოს, მაშინ სჯობს, შვილი სულ არ ჰყავდეს-მეთქი.“ ერთხანს მამა მწუხარებისაგან თითქოს მუნჯდება, ბოლოს კი მეკითხება: „ლილ ინგმარ, გაგიხარდა, შვილი რომ გეყოლებოდა?“ „ჰო,“ ვპასუხობ. „დასანანია, რომ უღირს ქალს გადაეყარე. ახლა საპყრობილეშია, არა?“ „ჰო, სამი წელი მიუსაჯეს.“ „და ამიტომაც არ გაძლევს არავინ თავის ქალიშვილს?“ „ჰო, თუმცა ცოლობა არც არავისთვის მითხოვია.“ „მრევლშიც ამიტომ არ გენდობიან?“ „თვლიან, რომ ბრიტას ეს არ უნდა დამართნოდა. ამბობენ, შვილიც მამასავით ჭკვიანი რომ ყოფილიყო, ქალს დაელაპარაკებოდა და მიხვდებოდა, რა აწუხებდაო.“ „კაცისთვის არც ისე იოლია, უღირს ქალს გაუგოს.“

„არა, მამა,“ ვეუბნები მე, „ბრიტა ცუდი კი არა, ამაყი ქალი იყო.“ „სიამაყემაც შეიძლება დაგღუპოს,“ მპასუხობს მოხუცი.

ვამჩნევ, თითქოს მამა ჩემს დაცვას აპირებს და ვეუბნები: „ბევრი ფიქრობს, რომ ყველაფერი ისე უნდა მომეგვარებინა, ყველას ჰგონებოდა, თითქოს ბავშვი მკვდარი დაიბადა.“ „ბრიტას კუთვნილი სასჯელი რატომ არ უნდა მიეღო?“ „ამბობენ, ეს რომ დიდ ინგმარს შემთხვეოდა, იმ მოახლეს, რომელმაც ბრიტა იპოვა, გაჩუმებას აიძულებდა და ამ ამბავს არ გაახმაურებდაო.“ „მაშინ მას ცოლად შეირთავდი?“ „არა, მისი შერთვა არ დამჭირდებოდა, შემეძლო, ორიოდე კვირით მშობლებთან გამეგზავნა, მერე კი ნიშნობა ჩამეშალა, რადგან ბრიტა ვერ შემეგუა.“ „შესაძლოა, ასეც ყოფილიყო, თუმცა შენი ასაკის კაცს ვერავინ მოსთხოვს, რომ მოხუცივით ბრძენი იყოს.“

„მთელ სოფელს ჰგონია, რომ ბრიტას ცუდად მოვექეცი.“ „განა ის უარესად არ მოიქცა? ღირსეულ ხალხს თავი მოსჭრა.“ „კი, მაგრამ მე ხომ ძალა დავატანე.“ „ამით ბედნიერი უნდა ყოფილიყო,“ მეუბნება ის.

„მამა, ნუთუ არ გგონიათ, რომ ბრიტას ციხეში მოხვედრა ჩემი ბრალია?“ „მე მგონია, ის იქ თავისი დანაშაულის გამო ზის.“ მაშინ მე ვდგები და ნელა ვამბობ: „როგორ ფიქრობთ, ამ შემოდგომაზე, როცა გათავისუფლდება, განა მისთვის არაფერი უნდა გავაკეთო?“ „რა უნდა გააკეთო? ცოლად შეირთავ?“ „ჰო, სწორედ ამას ვაპირებ.“ მამა ერთხანს მიყურებს, მერე კი მეკითხება: „გიყვარს?“

„არა, მან ჩემს სიყვარულს ბოლო მოუღო.“ მამა თვალებს ხრის და, ჩაფიქრებული, არაფერს ამბობს.

„იცით, მამა, თავიდან ვერ მომიშორებია აზრი, რომ მისი უბედურება ჩემი ბრალია,“ ვამბობ მე. მოხუცი ჩუმად ზის და არ მპასუხობს. „ბოლოს ბრიტა სასამართლოზე ვნახე. ისეთი უმწეო იყო და ისე მწარედ ტიროდა, რომ ბავშვი აღარ ჰყავდა. ჩემზე აუგი არ დასცდენია, ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალა. ბევრი იქ მყოფი ტიროდა, მამა, მოსამართლესაც კი ცრემლი მოადგა თვალზე და ბრიტასთვის სამ წელზე მეტი არ მიუსჯია.“

მამა ხმას არ იღებს.

„შემოდგომაზე, როცა შინ ჯდომა მოუწევს, ძალიან გაუჭირდება,“ ვაგრძელებ მე. „ბერისკუგში დიდი სიხარულით არ შეეგებებიან. მისიანები ფიქრობენ, რომ ბრიტამ ოჯახი შეარცხვინა და დარწმუნებული ვარ, ამას არაერთხელ გააგონებენ. სულ შინ იქნება გამოკეტილი, ალბათ, ეკლესიაში წასვლასაც ვერ გაბედავს. ყველანაირად გაუჭირდება.“

მამა არაფერს მპასუხობს.

„ჩემთვის ადვილი კი არ არის მისი შერთვა. აბა, რა სასიამოვნოა ამხელა მამულის პატრონისთვის ისეთი ცოლის ყოლა, რომელსაც მოჯამაგირეები და მოახლეები ზემოდან უყურებენ? ეს ამბავი დედასაც არ მოეწონება. ალბათ, აღარც ქორწილებში მიგვიწვევენ და აღარც დაკრძალვებზე.“

მამა ისევ დუმს.

„იცით, სასამართლოზე როგორც შემეძლო, ვცდილობდი, ბრიტას დავხმარებოდი. მოსამართლეს ვუთხარი, ყველაფერი ჩემი ბრალია, რადგან ძალა დავატანე-მეთქი. ისიც ვთქვი, ბრიტას იმდენად უდანაშაულოდ ვთვლი, რომ თუ დამთანხმდება, დღესვე მოვიყვან ცოლად-მეთქი. ასე იმიტომ ვამბობდი, რომ მას ნაკლები სასჯელი მიეღო. მაგრამ თუმცა ბრიტამ ორჯერ მომწერა, მაინც არა მგონია, გამომყვეს. ხომ ხედავთ, მამა, მასზე დაქორწინება ხალხის გასაჩუმებლად არ მინდა.“

მამა ჩაფიქრებული ზის და ჩუმადაა.

„ვიცი, ამ ამბავს ადამიანურად უნდა შევხედო, ჩვენ, ინგმარის საგვარეულოს, ყოველთვის უფალთან ახლოს გვინდოდა დგომა, თუმცა ზოგჯერ მგონია, ღმერთი მკვლელის შენდობას არ მომიწონებდა.“

მამა კვლავ დუმს.

„უნდა გახსოვდეთ, მამა, რა ძნელია, როცა სხვა იტანჯება და არც კი ცდილობ, დაეხმარო. ალბათ, სოფელში ყველა იფიქრებს, რომ არასწორად ვიქცევი, მაგრამ ძალიან გამიჭირდება ცხოვრება, თუ ბრიტას გათავისუფლების შემდეგ არაფრის გაკეთებას არ ვეცდები.“

მამა უძრავად ზის.

მაშინ თვალზე ცრემლმომდგარი ვეკითხები: „ხომ იცით, ჯერ ახალგაზრდა ვარ და, თუ მას ცოლად შევირთავ, ბევრს დავკარგავ. ხალხი უწინაც არ მთვლიდა დალაგებულად, ამის შემდეგ კი იფიქრებენ, რომ მთლად შევიშალე.“

მამისგან ისევ ვერ ვიღებ პასუხს.

„იმაზეც ვფიქრობდი, რა უცნაურია, რომ ჩვენი საგვარეულო ამდენი საუკუნეა, ერთ მიწაზე ცხოვრობს, სხვა მამულებმა კი პატრონები შეიცვალეს. ალბათ, იმიტომ, რომ ვცდილობდით, უფლის გზით გვევლო. ხალხს კი არ უნდა ვუფრთხოდეთ, ღვთისკენ მიმავალ გზას უნდა ვადგეთ.“

მოხუცი, როგორც იქნა, თავს სწევს და ამბობს: „ეს რთული ამბავია, ინგმარ. მგონი, ოთახში უნდა შევიდე და სხვა ნათესავებს ვკითხო.“ მამა სასტუმრო ოთახში გადის, მე კი ვრჩები. ვზივარ, ველოდები, ველოდები, მამა კი არ ბრუნდება. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მოთმინების ფიალა მევსება და მამასთან შევდივარ. „გარეთ დაიცადე, ინგმარ! ეს რთული ამბავია,“ მეუბნება მამა. ვხედავ ჩემს წინაპრებს, რომლებიც თვალებდახუჭულნი სხედან და ფიქრობენ. მე კი ისევ უსასრულოდ ველოდები, ველოდები, ველოდები.

ჭაბუკი გაღიმებული მისდევდა გუთანს, რომელიც ნელა მიიწევდა წინ, ეტყობა, ცხენებს დასვენება სჭირდებოდათ. როდესაც თხრილის კიდემდე მიაღწია, სადავეებს მოქაჩა და შეჩერდა. ღრმად ჩაფიქრებული ჩანდა.

– რა საოცარია, როცა ვინმეს რჩევას ეკითხები, მაშინ აღმოაჩენ, სწორი რა არის. უკვე კითხვის დასმის დროსაც ხედავ, რას ვერ ხვდებოდი მთელი სამი წელი. ახლა კი დაე, იყოს ნება ღვთისა.

ინგმარი გრძნობდა, რომ ეს უნდა გაეკეთებინა, თან ისე უმძიმდა, რომ ამის გაფიქრებაზე მხნეობას კარგავდა.

– ღმერთი იყოს ჩემი მფარველი! – თქვა მან.

ეტყობა, ამ სისხამ დილით გარეთ მარტო ინგმარ ინგმარშონი არ იყო. ქვემოთ, მინდვრებს შუა დაკლაკნილ ბილიკზე მომავალი მოხუცი კაცი გამოჩნდა.

მისი საქმიანობის გამოცნობა ძნელი არ იყო, რადგან კაცს მხარზე გრძელი, წითელი ფუნჯი გაედო, თავად კი თავით ფეხამდე საღებავით იყო დაწინწკლული. მოხეტიალე მღებავი ხშირად იხედებოდა აქეთ-იქით, თითქოს შეუღებავ ან გახუნებულ და წვიმისგან ფერგადასულ სახლს ეძებსო. მზერას ხან ერთ მამულზე შეაჩერებდა, ხან მეორეზე, მაგრამ ჩანდა, გადაწყვეტა უჭირდა. ბოლოს პატარა ბორცვზე ავიდა და ხეობის ბრტყელ ფსკერზე გადაჭიმული ინგმარის დიდი მამული დაინახა.

– ღმერთო ჩემო! – ხმამაღლა თქვა მან და, მოხიბლული, ადგილზე გაშეშდა. – სახლი, ალბათ, ასი წელი იქნება, არ შეუღებავთ, სიძველისგან მთლად გაშავებულა, სხვა შენობებს კი საღებავი არც ღირსებიათ. თანაც რამდენი შენობაა! – წამოიძახა მან. – აქ საქმე შემოდგომამდე არ გამომელევა.

ცოტაც რომ გაიარა, კაცი შენიშნა, რომელიც მიწას ხნავდა. „ეს აქაური იქნება და, ალბათ, სამეზობლოსაც, კარგად იცნობს,“ გაიფიქრა მღებავმა. „ სწორედ მისგან შევიტყობ იმ კარ-მიდამოზე ყველაფერს, რაც მჭირდება.“ მან გზიდან გადაუხვია, ხესთან მივიდა და ინგმარს ჰკითხა, ის დიდი მამული ვისია და, თუ იცი, მეპატრონეებს სახლის წითლად შეღებვა ხომ არ უნდათო.

ინგმარ ინგმარშონი შეკრთა და კაცს ისე შეხედა, თითქოს მის წინ მოჩვენება იდგა. „ეს, ალბათ, მღებავია,“ გაუელვა თავში, „რაღა სწორედ ახლა მოვიდა!“ ინგმარი ისე განცვიფრდა, რომ პასუხიც კი ვერ მოიფიქრა.

ბიჭს მოაგონდა, რომ მამა ყველას, ვინც ურჩევდა, ეგ დიდი, უშნო სახლი წითლად უნდა გადაღებოო, პასუხობდა, ლილ ინგმარი რომ ცოლს შეირთავს, იმ წელს შევღებავო.

მღებავმა შეკითხვა რამდენჯერმე გაუმეორა, მაგრამ ინგმარი ჩუმად იდგა, თითქოს არ ესმის, რას ეკითხებიანო.

„ნუთუ მაღლა, ზეცაში, პასუხი უკვე გამცეს?“ ფიქრობდა იგი, „ნუთუ ასეთია მამაჩემის ნება და სურს, რომ წელს დავქორწინდე?“

ინგმარი ისეთი თავგზააბნეული იყო, რომ მაშინვე დაჰპირდა მღებავს, ჩემს მამულში გამუშავებო, მერე კი აღელვებული და თითქმის ბედნიერი მიჰყვა გუთანს. – აი, ნახავ, ამის გაკეთება არც ისე გაგიჭირდება, ახლა ხომ ნამდვილად იცი, რომ მამას ეს უნდა, – თქვა მან.

ორიოდე კვირის შემდეგ ინგმარი ცხენის მოსართავებს წმენდდა. უგუნებობა ეტყობოდა და უხალისოდ ირჯებოდა. „ღმერთი რომ ვყოფილიყავი, კაცს მაშინვე გავაკეთებინებდი იმას, რისი გაკეთებაც გადაწყვიტა. ხალხს ბევრი ფიქრის დროს კი არ მივცემდი. მოსართავების გაპრიალებასა და საზიდრის შეღებვასაც არ ვაცლიდი.“

კაცმა გზიდან ეტლის ბორბლების ხმა გაიგონა, გარეთ გაიხედა და ცხენებიც და ეტლიც მყისვე იცნო.

– ჩვენთან ბერისკუგელი დეპუტატი მოდის! – გასძახა მან სამზარეულოში, სადაც დედამისი ფუსფუსებდა და მალე შემოესმა, როგორ შეაწყვეს შეშა ღუმელში და ყავის საფქვავი აამუშავეს.

დეპუტატის ეტლი ეზოში შემოვიდა. თავად დეპუტატი ძირს არ ჩამოსულა.

– არა, სახლში ვერ შემოვალ, შენთვის მხოლოდ ორიოდე სიტყვის თქმა მინდოდა, ინგმარ. სამრევლო დარბაზში კრებაზე მიმეჩქარება.

– დედა ყავაზე გეპატიჟებათ.

– მადლობელი ვარ, მაგრამ დრო არა მაქვს.

– დიდი ხანია, ჩვენთან არ ყოფილხართ, დეპუტატო, – თავისას არ იშლიდა ინგმარი. პარმაღზე დედამისიც გამოვიდა და შვილს მხარი აუბა.

– დეპუტატო, ნუთუ ისე წახვალთ, რომ ფინჯან ყავასაც არ მიირთმევთ?

ინგმარმა ეტლის კარი გამოაღო და დეპუტატმაც ჩამოსვლა დააპირა.

– რაკი თავად დედილო მერტა მეპატიჟება, სხვა რა გზაა, უნდა დავემორჩილო.

დეპუტატი ტანადი და მოხდენილი კაცი იყო, მსუბუქად მოძრაობდა და სრულიად განსხვავდებოდა ინგმარის და დედამისისაგან, რომლებიც უშნოები იყვნენ, უსიცოცხლო სახეები და მძიმე სხეულები ჰქონდათ, თუმცა სტუმარი დიდ პატივს სცემდა ინგმარის კარ-მიდამოს პატრონებს და სიამოვნებით გაუცვლიდა ინგმარს თავის სილამაზეს, ოღონდ ამ ოჯახის წევრი ყოფილიყო. ყოველთვის ინგმარის მხარეს იყო და თავის ქალიშვილს ამტყუნებდა, ამიტომაც გულზე მოეშვა, ასე კარგად რომ მიიღეს.

როგორც კი დედილო მერტამ ყავა მოიტანა, დეპუტატი საქმეზე გადავიდა.

– მინდოდა... – დაიწყო მან და ჩაახველა, – მინდოდა, მეთქვა, რას ვუპირებთ ბრიტას.

დედილო მერტას ფინჯანი ოდნავ შეირხა და კოვზმა ლამბაქზე გაიწკარუნა, მერე კი შიშისმომგვრელი დუმილი ჩამოწვა.

– ვიფიქრეთ, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ამერიკაში გაემგზავრებოდა.

სტუმარი ისევ გაჩუმდა. დუმილი არავის დაურღვევია. იმის ნიშნად, რომ ამ ხალხს ასე იოლად ვერაფერს გააგებინებდა, დეპუტატმა ამოიოხრა.

– უკვე ბილეთიც ვუყიდეთ.

– განა ჯერ შინ არ მივა? – იკითხა ინგმარმა.

– არა, შინ რა დარჩენია.

ინგმარი ისევ დადუმდა. თითქმის თვალდახუჭული იჯდა, თითქოს სძინავსო. სამაგიეროდ, დედილო მერტამ იკითხა:

– ტანსაცმელი არ დასჭირდება?

– ყველაფერი მოგვარებულია. ბარგი ჩავალაგეთ და სკივრი ვაჭარ ლევბერგთან დავტოვე, როცა ქალაქში ვიყავი.

– განა თქვენი ცოლი ბრიტას არ შეხვდება?

– უნდოდა, ქალაქში ჩასულიყო, მაგრამ მე ვეუბნები, უმჯობესია, არ ნახო-მეთქი.

– ჰო, რა თქმა უნდა.

– ბილეთი და ფული ლევბერგთან დავუტოვე, ასე, რომ ყველაფერს მიიღებს, რაც სჭირდება. მინდოდა, ინგმარს ეს სცოდნოდა და ამაზე აღარ ეფიქრა.

დედილო მერტაც გაჩუმდა. თავშალი კისერზე ჩამოცურებოდა და წინსაფარს დასჩერებოდა.

– ახლა ინგმარს შეუძლია ხელახალ ქორწინებაზე იფიქროს.

დედა-შვილი ჯიუტად დუმდა.

– დედილო მერტას ოჯახში დამხმარე სჭირდება, ინგმარ, მის მშვიდ სიბერეზე უნდა იზრუნო.

დეპუტატი გაჩუმდა. არ იცოდა, მისი ნათქვამი გაიგონეს თუ არა.

– მე და ჩემს ცოლს გვინდოდა, ყველაფერი გამოგვესწორებინა, – თქვა მან ბოლოს.

ინგმარს გული სიხარულით აევსო. ბრიტა ამერიკაში მიემგზავრებოდა და მისი ცოლად შერთვა აღარ დასჭირდებოდა. ინგმარის ძველი მამულის დიასახლისი მკვლელი აღარ იქნებოდა. ჩუმად იმიტომ იჯდა, რომ ურიგო საქციელი იქნებოდა, გაემჟღავნებინა, რა ბედნიერი იყო, თუმცა რამე მაინც უნდა ეთქვა.

სტუმარიც დადუმებულიყო. ესმოდა, რომ მოხუცი ქალისთვის დასაფიქრებლად დრო უნდა მიეცა. ბოლოს ინგმარის დედამ ამოიღო ხმა:

– ბრიტამ თავისი სასჯელი მოიხადა, ახლა კი ჩვენი ჯერი დადგა.

მოხუცს ამით იმის თქმა სურდა, რომ თუ დეპუტატი მათი დახმარებისათვის საზღაურს მოითხოვდა, ინგმარის ოჯახი უკან არ დაიხევდა, თუმცა ინგმარმა დედის სიტყვები სხვაგვარად გაიგო. კაცი ისე შეკრთა, თითქოს ახლა გამოფხიზლდაო. „ნეტავ მამა რას იტყოდა?“ გაიფიქრა მან. „მისთვის რომ ეს ამბავი მომეყოლა, ნეტავ რას იტყოდა? ალბათ, მეტყოდა, არ გეგონოს, რომ უფლება გაქვს უფლის მართლმსაჯულება მასხრად აიგდო, არ გეგონოს, რომ უფალი არ დაგსჯის,

თუკი დანაშაულზე პასუხს მხოლოდ ბრიტა აგებს. თუ მამამისი მასზე უარს ამბობს იმისთვის, რომ გასიამოვნოს და მერე ფული გესესხოს, შენ, ლილ ინგმარ ინგმარშონ, მაინც უფლის გზით უნდა იაროო.

მეჩვენება, რომ მამა ახლა თვალს მადევნებს. ბრიტას მამა გამომიგზავნა იმის დასამტკიცებლად, რა უზნეობაა, გინდოდეს, რომ ყველაფერი საცოდავ ქალს გადააბრალო. ალბათ, მიხვდა, რომ ბოლო ხანს დიდი სურვილი არ მქონდა, ბრიტასთან ჩავსულიყავი.“

ინგმარი წამოდგა, ყავაში კონიაკი ჩაისხა და ფინჯანი ასწია.

– დეპუტატო, მადლობას მოგახსნებთ ჩვენთან მობრძანებისათვის, – თქვა მან და სტუმარს ფინჯანი მიუჭახუნა.

სადილობამდე ინგმარი ჭიშკართან მდგარ არყის ხეებს დასტრიალებდა. ჯერ იქაურობა თვალით გაზომა, მერე კი კენწეროებს მისწვდა და ერთმანეთისკენ ისე გადახარა, რომ ხეებს თაღი გაეკეთებინათ. ხეები არ დაემორჩილნენ, თავი გაითავისუფლეს და კვლავ ისარივით გასწორდნენ.

– რას აპირებ? – ჰკითხა დედამ.

– მინდა, რომ ახლა ასე გაიზარდონ, – მიუგო ინგმარმა.

სადილის დრომაც მოაწია, დანაყრებული მუშები ეზოში გამოიშალნენ და დასაძინებლად მიწვნენ. ინგმარ ინგმარშონსაც ეძინა, ოღონდ იგი სასტუმრო ოთახის გვერდით, საძინებელში ფართო საწოლზე იწვა. მხოლოდ დიასახლისი იჯდა სასტუმრო ოთახში და ქსოვდა.

შემოსასვლელში კარი ნელა გაიღო და მოხუცი ქალი შემოვიდა, რომელსაც კისერზე სამხრეებით ჩამოკიდებული ორი დიდი კალათი მოჰქონდა. ქალმა ჩუმი სალამი თქვა, კართან, სკამზე ჩამოჯდა და კალათებს უხმოდ მოხადა თავი. ერთი კალათი ორცხობილებით და ფუნთუშებით იყო სავსე, მეორე კი – ახლადგამომცხვარი პურის კვერებით. დიასახლისი მაშინვე შეეგება და შეევაჭრა. სხვა დროს, ალბათ, ფულს ვერ გაიმეტებდა, მაგრამ ისე უნდოდა, ყავისთვის რამე გემრიელი მიეტანებინა, ცდუნებას ვერ გაუძლო.

ვიდრე პურებს არჩევდა, დიასახლისმა საუბარი გაუბა მოხუც ვაჭარს, რომელიც მისნაირების მსგავსად, ეზო-ეზო რომ დადიოდნენ და უამრავ ადამიანს იცნობდნენ, ლაქლაქის მოყვარული აღმოჩნდა.

– ჭკვიანი ქალი ხართ, კაისა, თქვენი ნდობა შეიძლება, – თქვა დიასახლისმა.

– ჰო, – დაეთანხმა სტუმარი, – ვინ იცის, რამდენი ვინმე გადაემტერებოდა ერთმანეთს, ყველაფერი რომ წამოვაყრანტალო, რასაც ყურს მოვკრავ.

– ზოგჯერ მეტისმეტი დუმილიც არ ვარგა, კაისა.

ქალმა თავი ასწია და მიხვდა, დიასახლისი რასაც გულისხმობდა.

– ღმერთო, მიხსენი! – წამოიძახა მან და თვალები ცრემლებით აევსო. – ბერისკუგელი დეპუტატის ცოლს ველაპარაკე, მაგრამ თქვენთან მოსვლას და ყველაფრის მოყოლას ვაპირებდი.

– მართლა? მაშ, ბერისკუგის დიასახლისს ელაპარაკეთ, არა?! – დაუფარავი ზიზღით წარმოთქვა მერტამ.

ინგმარ ინგმარშონი სასტუმრო ოთახში გამავალი კარის გაღებამ გამოაღვიძა. არავინ შემოსულა, კარი კი შეღებული დარჩა. ინგმარმა არ იცოდა, თავისით გაიღო კარი თუ ვინმემ გააღო. ნამძინარევი კაცი წყნარად იწვა და ყველაფერი ესმოდა, რასაც სასტუმრო ოთახში ლაპარაკობდნენ.

– მითხარით, კაისა, საიდან გაიგეთ, რომ ბრიტას ინგმარი არ უყვარდა?! – თქვა დედამ.

– ხალხი თავიდანვე ჭორაობდა, რომ გათხოვება აიძულეს, – მიკიბულ-მოკიბულად უპასუხა ქალმა.

– არაფერი დამიმალოთ, კაისა, რამეს რომ გკითხავთ, ნუ მიედ-მოედებით. რაც არ უნდა თქვათ, როგორმე გადავიტან.

– იმ დროს ბერისკუგში ყოველ მისვლაზე ბრიტა ნამტირალევი მეჩვენებოდა. ერთხელ, როცა მასთან ერთად მარტო დავრჩი სამზარეულოში, ვუთხარი: „რა ჩინებულ კაცს მიჰყვები, ბრიტა.“ მან ისე შემომხედა, თითქოს ეგონა, დავცინოდი, მერე კი მიპასუხა: „მართალი ხარ, კაისა, ჩინებულად ვთხოვდები.“ ეს ისე თქვა, რომ მომეჩვენა, თითქოს ჩემს წინ ინგმარ ინგმარშონი იდგა. ინგმარი ლამაზი მართლაც არ არის, თუმცა ამაზე ადრე არასოდეს მიფიქრია, რადგან თქვენს ოჯახს

ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი. ბრიტამ შემომხედა და გამიმეორა: „ჰო, ჩინებულია.“ ზურგი შემაქცია და საწოლ ოთახში გავარდა, მერე კი იქიდან ქვითინის ხმა შემომესმა. როდესაც იქიდან წამოვედი, გავიფიქრე, ყველაფერი მოგვარდება, ინგმარის ოჯახში ყველაფერი რიგზე იქნება-მეთქი.

მშობლებისა არ გამკვირვებია: ქალიშვილი რომ მყოლოდა და ინგმარ ინგმარშონს მისი ხელი ეთხოვა, იქამდე ვერ მოვისვენებდი, სანამ არ დავითანხმებდი.

ინგმარი ისევ საწოლში იწვა და უსმენდა. „დედა ამას განგებ აკეთებს,“ გაიფიქრა მან, „ერთი სული აქვს, შეიტყოს, ხვალ ქალაქში რისთვის მივდივარ. ჰგონია, იქიდან ბრიტას ჩამოვიყვან და ის კი არ იცის, რომ ჩემისთანა ლაჩარი ამის გაკეთებას ვერ შეძლებს.“

– მერე ბრიტა მაშინ ვნახე, როცა უკვე თქვენს მამულში ცხოვრობდა, – განაგრძო კაისამ, – ვერ ვკითხე, აქაურობას როგორ შეეწყვე-მეთქი, რადგან სახლი ხალხით იყო სავსე, მაგრამ როგორც კი მდელოზე გამოვედი, უკან გამომყვა და მკითხა, ბოლო დღეებში ბერისკუგში ხომ არ ყოფილხარო. „გუშინწინ ვიყავი,“ ვუპასუხე მე. „ღმერთო ჩემო, გუშინწინ! მე კი მგონია, მრავალი წელია, შინ არ ვყოფილვარ.“ არ ვიცოდი, რა მეთქვა. ისეთი სახე ჰქონდა, რომ ჩემს ერთ სიტყვაზეც ტირილს ამოუშვებდა. „ხომ შეგიძლია, შენიანების მოსანახულებლად წახვიდე?“ ვკითხე მე. „არა, ასე მგონია, სახლში ვეღარასოდეს დავბრუნდები-მეთქი.“ „კარგი ერთი, ნახე, რა სილამაზეა. ტყეში კენკრა მწიფს, მოცვი წითლად ღუის.“ „ღმერთო, ნუთუ მოცვი უკვე დამწიფდა?“ წამოიძახა მან და თვალები გაუფართოვდა. „ჰო, და ერთ დღესაც, როცა მოიცლი, შინ წახვალ და იმდენ მოცვს შეჭამ, რამდენიც მოგინდება.“ „არა მგონია, მინდოდეს. შინ თუ წავალ, მერე დაბრუნება გამიჭირდება.“

„ყველა იმას ამბობს, ინგმარის ოჯახში ცხოვრებას რა სჯობიაო. საუცხოო ხალხია.“ „ჰო, კარგები არიან,“ დამეთანხმა ბრიტა. „მრევლში საუკეთესო ადამიანებად ითვლებიან, სამართლიანებიც არიან.“ ვაგრძელებდი მე. „ჰო, თუ ის უსამართლობად არ ითვლება, რომ ქალს შენი ცოლობა აიძულო.“ „ჭკვიანებიც არიან.“ „ალბათ, ოღონდ სულ ჩუმად დადიან და რას გაიგებ, ჭკვიანები არიან თუ არა.“ „რა, არასოდეს ლაპარაკობენ?“ „მხოლოდ მაშინ ამბობენ რამეს, როცა საჭიროა.“

ჩემი წასვლის დრო იყო, მაგრამ უეცრად აზრად მომივიდა, მეკითხა: „ქორწილს აქ გადაიხდით თუ შენს სახლში?“ „აქ ვიხდით, აქ მეტი ადგილია.“ „ეცადე, ქორწილი დიდი ხნით არ გადადონ!“ „ერთ თვეში ვიქორწინებთ,“ მიპასუხა ბრიტამ.

უკვე გამოთხოვებას ვაპირებდი, როცა გამახსენდა, რომ ინგმარის მამულში იმ წელს ცუდი მოსავალი აიღეს და ვუთხარი, არა მგონია, ამ წელიწადს ინგმარმა ქორწილის გადახდა შეძლოს-მეთქი. „მაშინ ტბაში გადავვარდები,“ განაცხადა ბრიტამ.

ჰოდა, ერთ თვეში შევიტყვე, რომ ქორწილი გადაიდო. თავში გამიელვა, ამას კარგი არაფერი მოყვება-მეთქი, ამიტომაც დეპუტატის ცოლთან დასალაპარაკებლად ბერისკუგისკენ გავეშურე და ვუთხარი, რომ ინგმარის მამულში ყველაფერი რიგზე ვერ იყო. „ჩვენ კმაყოფილები ვართ და ღმერთს ყოველდღე მადლობას ვწირავთ იმისათვის, რომ ჩვენი ქალიშვილი ასეთ კარგ ოჯახში მოხვდა.“

„რა ტყუილად იწუხებს დედა თავს,“ გაიფიქრა ინგმარმა. „ამ მამულიდან არავინაც არ წავა ბრიტასთან შესახვედრად. ღირსების შელახვისაც ტყუილად ეშინია. ეს იმიტომ გადავწყვიტე, რომ ღვთის წინაშე თავი გამემართლებინა და მისთვის მეთქვა, წასვლა მინდოდა, ხომ ნახე, რომ ამის გაკეთებას ვაპირებდი-მეთქი, თუმცა სინამდვილეში რას ვიზამ, სხვა საქმეა.“

– ბოლოს ბრიტა ზამთარში, დიდთოვლობისას ვნახე, – განაგრძო კაისამ, – შუაგულ ტყეში ვიწრო ბილიკს მივუყვებოდი და სიარული მიჭირდა, რადგან თოვლს დნობა დაეწყო და თოვლჭყაპში ფეხი მიცურავდა. ამ დროს ვიღაც დავინახე, თოვლში იჯდა და ისვენებდა. ახლოს რომ მივედი, ბრიტა ვიცანი. „რას დაეხეტები მარტოდმარტო ტყეში?“ ვკითხე მე. „ვსეირნობ,“ მიპასუხა მან. შევჩერდი და ბრიტას დავაკვირდი, ვერ გამეგო, აქ რა ესაქმებოდა. „ვათვალიერებ, სადმე ციცაბო მთა არის თუ არა.“ „ღმერთო, მიშველე, შენ რა, მთიდან გადახტომას აპირებ?“ ვუთხარი მე, რადგან ბრიტას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს სიცოცხლე აღარ უნდაო.

„ჰო,“ მიპასუხა მან, „ალბათ, გადმოვხტებოდი, სადმე მაღალი და ფრიალო კლდე რომ მაპოვნინა.“ „გრცხვენოდეს, ბრიტა, ეს როგორ იფიქრე?“ „ხომ ხედავ, რა საძაგელი ვარ, კაისა.“ „ჰო, ასე მგონია.“ „მინდა, რაღაც საშინელება გავაკეთო, ჰოდა, უკეთესი იქნება, მოვკვდე.“ „ სისულელეებს ნუ როშავ, შვილო.“ „რაც აქ გადმოვედი, გავბოროტდი.“ ბრიტა მომიახლოვდა და დავინახე, რომ შეშლილი თვალები ჰქონდა. „მხოლოდ ჩემს დატანჯვაზე ფიქრობენ, ჰოდა, მეც მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, ისინი როგორ დავტანჯო.“ „რას ამბობ, ბრიტა, ინგმარშონები კარგი ხალხია.“ „არა, ისინი მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რომ თავი მომეჭრას.“ „მათთვის ამაზე არაფერი გითქვამს?“ „მათ

არასოდეს ველაპარაკები. ერთადერთი, რაზეც ვფიქრობ, ის არის, როგორ მივაყენო ტკივილი.“

„მინდა, კარ-მიდამო ცეცხლს მივცე, ვიცი, როგორ უყვართ იქაურობა. მინდა, ძროხებს საწამლავი ჩავუყარო. ისეთი მახინჯები და ბებრები არიან და თვალებიც ისევე აქვთ გამოთეთრებული, თითქოს ინგმარის ნათესავები იყვნენ.“ „მყეფარა ძაღლი არ იკბინება,“ მივუგე მე. „რამე უნდა გავუკეთო, თორემ სულის სიმშვიდეს ვერ ვეღირსები.“ „არც კი იცი, რას ლაპარაკობ, შენს სულიერ სიმშვიდეს ხომ ბოლო მოეღება.“

ამ სიტყვებზე ბრიტა ერთბაშად მოტყდა და ქვითინი დაიწყო, ამბობდა, როგორ უჭირდა ბოროტ აზრებთან გამკლავება, რომლებიც თავში მოსდიოდა. მერე შინ მივაცილე და დამშვიდობებისას დამპირდა, ცუდს არაფერს ჩავიდენ, ოღონდ არავის არაფერი უთხრაო.

შემდეგ ბევრს ვფიქრობდი, ვისთვის მომეყოლა ყველაფერი. თქვენთან მოსვლაც გამიჭირდა...

ამ დროს ზარის ხმა გაისმა, სადილის შესვენება დამთავრდა და დედილო მერტამ კაისას საჩქაროდ შეაწყვეტინა ლაპარაკი.

– როგორ გგონია, კაისა, ინგმარი და ბრიტა ოდესმე შერიგდებიან?

– რაო? – გაოცებით იკითხა ქალმა.

– იმის თქმა მინდა, რომ თუ ბრიტა ამერიკაში აღარ წავა, რა გგონია, ინგმართან შერიგება მოუნდება?

– არაფერიც არ მგონია. უფრო სწორად, არა მგონია.

– ალბათ, ბრიტა უარს ეტყოდა, არა?

– ჰო, ალბათ.

ინგმარი საწოლზე ჩამოჯდა და ფეხები ძირს ჩამოუშვა.

– ახლა ხომ მიხვდი, რაც გჭირდება, ინგმარ, ხვალ ნამდვილად უნდა გაემგზავრო, – თქვა თავისთვის ბიჭმა და საწოლის კიდეს მუშტი დაარტყა. – ნუთუ დედას ჰგონია, რომ თუ დამიმტკიცებს, ბრიტას აღარ უყვარხარო, შინ დავრჩები?

კაცმა რამდენჯერმე კიდევ დაარტყა ხელი საწოლის კიდეს, თითქოს უჩინარ მოწინააღმდეგეს ებრძვისო.

– ერთხელაც უნდა ვცადო. ჩვენ, ინგმარის შთამომავლები, თუ რამე არ გამოგვდის, არ ვნებდებით ხოლმე. ვერც ერთი ნამდვილი მამაკაცი ვერ აიტანს, რომ მის გამო ქალი ჭკუაზე შეიშალოს.

ინგმარს ადრე ასე არასოდეს უგრძვნია დამარცხების სიმწარე და სამაგიეროს გადახდის სურვილით იწვოდა.

– წყეულიმც ვიყო, თუ ბრიტა არ ვაიძულო, რომ ინგმარის კარ-მიდამოს შეეგუოს. – დაიქადნა მან და, ვიდრე სამუშაოს დაუბრუნდებოდა, საწოლის კიდეს უკანასკნელად დასცხო მუშტი.

– ის კი ნამდვილად ვიცი, რომ კაისა აქ დიდმა ინგმარმა გამოგზავნა, რომ წასვლა გადამეწყვიტა.

ინგმარ ინგმარშონი ქალაქში ჩასვლისთანავე ნელა გაემართა დიდი საოლქო ციხისაკენ, რომელიც პატარა ბორცვზე აღმართულიყო და მწვანეში ჩაფლულ ქალაქს გადმოჰყურებდა. კაცი არაფერს უყურებდა და, თვალებდახრილი, ფეხებს დაჩაჩანაკებული მოხუცივით მიათრევდა. ინგმარი საგანგებოდ ამ დღისთვის საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილიყო – შავი მოსასხამი და გახამებული პერანგი ეცვა, რომლის დაჭმუჭვნაც უკვე მოესწრო. საზეიმო განწყობა დაუფლებოდა, თუმცა აღელვება და უგუნებობაც ეტყობოდა.

ინგმარი ციხის წინ, ქვიშით მოფენილ მოედანზე აღმოჩნდა და იქ მოდარაჯე პოლიციელს ჰკითხა, ბრიტა ერიკსდოთერი დღეს ხომ უნდა გამოუშვანო.

– ჰო, მგონი, დღეს ერთ ქალს ათავისუფლებენ, – უპასუხა პოლიციელმა.

– აი, იმ ტუსაღზე გეკითხებით, ბავშვის მკვლელობისთვის რომ იჯდა, – აუხსნა ინგმარმა.

– ჰო, რა თქმა უნდა! დღეს, სადილობამდე გამოუშვებენ.

ინგმარს ფეხი არ მოუცვლია, ხეს მიეყრდნო და დაელოდა, თან ციხის შესასვლელს თვალს არ აშორებდა. „ნეტავ ვიცოდე, რას გრძნობს ის, ვინც იქ შედის,“ ფიქრობდა იგი.

– იქნებ ვაზვიადებ, მაგრამ ალბათ, მე უფრო დიდი გასაჭირი მადგას, ვიდრე ბევრ იქ მყოფს.

ასეა თუ ისე, აქ დიდმა ინგმარმა მომიყვანა, რომ ციხიდან საცოლე გამოვიყვანო, თუმცა ვერ ვიტყოდი, რომ ლილ ინგმარი ამით ძალიან კმაყოფილია. მამას უნდოდა, ბრიტას საქორწინო თაღის ქვეშ გაევლო, მის გვერდით დედა მდგარიყო და ქალიშვილი სასიძომდე მიეცილებინა, მერე კი დიდი მაყრიონის თანხლებით ეკლესიაში წავსულიყავით, საქორწილოდ მორთულ-მოკაზმული ბრიტა ჩემს გვერდით დამჯდარიყო და, თავზე გვირგვინდადგმულს, სახიდან ღიმილი არ მოსცილებოდა.

ჭიშკარი ბევრჯერ გაიღო: ჯერ მღვდელი გამოვიდა, მერე – ციხის უფროსის ცოლი, მას გოგონები მოჰყვნენ, რომლებიც ქალაქისკენ დაეშვნენ. ბოლოს კი ბრიტაც გამოჩნდა. როდესაც ჭიშკარი გაიღო, ინგმარს გული შეუტოკდა და გაიფიქრა, ახლა კი მართლაც ის არისო, თვალთ დაუბნელდა, დამბლადაცემულივით იდგა და არ იძვროდა. როდესაც მხნეობა მოიკრიბა და ზევით აიხედა, ბრიტა ჭიშკრის წინ, კიბის საფეხურზე იდგა.

ქალი ცოტა ხანს არ შერხეულა, თავსაფარი უკან გადაეწია და შემოგარენს ნათელი თვალებით გასცქეროდა. ციხე შემაღლებულზე იდგა და ბრიტას მზერა მხოლოდ მთელ ქალაქს და ტყიან მაღლობებს კი არა, შორს, მშობლიურ მთებსაც სწვდებოდა.

მერე კი ინგმარმა დაინახა, რომ ქალი თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ ააკანკალა და წელში მოდრიკა. მან სახეზე ხელები აიფარა და ქვის საფეხურზე ჩამოჯდა. ინგმარმა იქიდანაც კი გაიგონა ბრიტას ქვითინი, სადაც თვითონ იდგა,

კაცმა ქვიშიანი მოედანი გადაიარა, ქალის გვერდით დადგა და დაელოდა. ბრიტა ისე ხმამაღლა ტიროდა, რომ არაფერი გაუგია. ინგმარი ელოდა.

– ასე ნუ ტირი, ბრიტა! – გაბედა მან ბოლოს.

ქალმა ამოხედა.

– მამაზეციერო, აქა ხარ?! – წამოიძახა მან. თვალის დახამხამებაში მოაგონდა ყველაფერი, რაც ჩაიდინა და მიხვდა, რად უღირდა ინგმარს აქ მოსვლა. ქალს სიხარულის შეძახილი აღმოხდა, ინგმარს კისერზე ჩამოეკიდა და ისევ აქვითინდა.

– იცი, როგორ მინდოდა, აქ დამხვედროდი?! – თქვა მან.

ინგმარს გული აუძგერდა. არ ეგონა, თუ მისი ნახვა ბრიტას ასე გაახარებდა.

– რა თქვი, ბრიტა? რატომ გინდოდა, დაგხვედროდი? – ჰკითხა გულაჩუყებულმა კაცმა.

– მინდოდა, შენთვის პატიება მეთხოვა.

ინგმარი წელში გაიმართ და ქანდაკებასავით გაშეშდა.

– ამის დროც მოვა, – ცივად თქვა მან, – ახლა კი, მოდი, აქედან წავიდეთ.

– ჰო, ამ ადგილას დარჩენა, ალბათ, არ ღირს, – მორჩილად თქვა ქალმა.

– ვაჭარ ლევბერგთან გავჩერდი, – თქვა ინგმარმა, როცა გზას დაადგნენ.

– ჰო, ჩემი ბარგი ხომ იქ არის.

– ვიცი, ვნახე, მეტისმეტად დიდი ზანდუკია და ეტლის უკანა მხარეს არ დაეტევა, მოდი, აქ დავტოვოთ და სხვა დროს წავიღებ.

ბრიტა შეჩერდა და ინგმარს ახედა. კაცს აქამდე არც უხსენებია, რომ მის შინ წაყვანას აპირებდა.

– დღეს მამაჩემის წერილი მივიღე. მწერს, რომ ამერიკაში ჩემს გამგზავრებას დათანხმდი.

– მეგონა, არაფერი დაშავდებოდა, თუ თავად აირჩევდი. დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ჩემს გამოყოლას მოისურვებდი.

ქალმა შენიშნა, რომ ინგმარს არ უთქვამს, ეს მინდოდაო, მაგრამ მისი სიტყვებიდან ისიც ჩანდა, რომ არ უნდოდა, ბრიტასთვის ისევ ძალა დაეტანებინა. იგი თავს ებრძოდა. განა შეიძლებოდა, ინგმარს სურვილი ჰქონოდა, რომ მისნაირი ქალი თავის მამულში მიეყვანა? „უთხარი, რომ ამერიკაში მიდიხარ! ეს ერთადერთი სამსახურია, რომელიც შეიძლება მას გაუწიო.“ გაიფიქრა მან. „უთხარი, უთხარი!“ აქეზებდა ბრიტა თავს და ამ დროს ვიღაცის ხმა გაიგონა:

– ვშიშობ, ისეთი ძლიერი არ ვარ, რომ ამერიკაში გადავსახლდე. ამბობენ, იქ ძალიან ბევრი უნდა იმუშაოო.

ქალი დარწმუნებული იყო, რომ ეს სიტყვები თვითონ კი არა, ვიღაც სხვამ თქვა.

– ჰო, ასე ამბობენ, – მშვიდად დაუდასტურა ინგმარმა.

ბრიტას საკუთარი თავის რცხვენოდა. მოაგონდა, როგორ უთხრა ამ დილით მღვდელს, რომ ამიერიდან ახალ ცხოვრებას იწყებდა და უკეთესი ადამიანი დადგებოდა. ძალიან უბედურად გრძნობდა თავს, კარგა ხანს ჩუმად მიუყვებოდა გზას და ფიქრობდა, თავისი სიტყვები უკან როგორ წაეღო, მაგრამ როგორც კი რამის თქმას დააპირებდა, ისევ იმ აზრს უბრუნდებოდა, რომ თუ ინგმარს ის ჯერ კიდევ უყვარდა, საშინელი უმადურობა იქნებოდა, კაცისთვის ისევ ხელი ეკრა და ნატრობდა, ნეტავ მისი ფიქრების წაკითხვა შემეძლოსო.

ინგმარმა შენიშნა, რომ ბრიტა შეჩერდა და კედელს მიეყრდნო.

– ხმაურისა და ამდენი ხალხის დანახვისგან თავბრუ დამესხა.

ინგმარმა ხელი გაუწოდა, ბრიტამაც არ იუარა და ასე ხელიხელჩაკიდებულები გაუყვნენ ქუჩას. „ახლა მართლა შეყვარებულებს ვგავართ,“ ფიქრობდა ინგმარი, მიდიოდა და თავს სულ იმას ეკითხებოდა, შინ დაბრუნების მერე რა მოხდებოდა, დედამისი და სხვებიც ამ ამბავს როგორ შეხვდებოდნენ.

ვაჭარ ლევბერგთან რომ მივიდნენ, ინგმარმა განაცხადა, ჩემი ცხენი დასვენებულია და, თუ გინდა, დღესვე გავემგზავროთო. ბრიტამ გაიფიქრა: „მიდი, ახლავე უთხარი, რომ არ გინდა. მადლობა გადაუხადე და უთხარი, რომ არ გაჰყვები!“ ღმერთს ევედრებოდა, გამაგებინე, ინგმარი მხოლოდ სიბრალულის გამო ჩამოვიდა თუ არაო. ამასობაში ინგმარმა სადგომიდან ეტლი გამოაგორა. ეტლი ახლად შეღებილი იყო, საფეხურები კრიალებდა, ბალიშებზე ახალი ქსოვილი გადაეკრათ, წინა მხარეს კი მინდვრის ყვავილების შემჭკნარი თაიგული იყო მიმაგრებული. ამის დანახვაზე ბრიტა შეყოყმანდა. ინგმარი თავლაში შევიდა, ცხენი შეკაზმა და გამოიყვანა. როცა ქალმა ცალუღებს შუა გარჭობილი ისეთივე ნახევრად დამჭკნარი თაიგული დაინახა, ისევ დაიჯერა, ინგმარს ჩემი გათავისუფლება უხარიაო და გადაწყვიტა, უკეთესი იქნება, თუ გავჩუმდები, თორემ იფიქრებს, უმადური ყოფილა და ვერ ხვდება, რაც გავაკეთეო.

ეტლი გზას დაადგა. დუმილი რომ დაერღვია, ბრიტამ შინაურების ამბების გამოკითხვა დაიწყო. ქალის ყოველ შეკითხვაზე ინგმარს სულ ახალ-ახალი ადამიანები ახსენდებოდა, რომელთა აზრისაც ასე ეშინოდა. „იმას როგორ გაუკვირდება,“ ფიქრობდა იგი, „ის კი როგორ დამცინებს!“ ბრიტას მხოლოდ ერთმარცვლიან პასუხებს სცემდა და ქალს გაუელვა თავში, რომ ინგმარისთვის უკან დაბრუნება ეთხოვა. „არ ვუნდივარ, ჩემთან ყოფნა სულაც არ ახარებს და ამას მხოლოდ სიბრალულის გამო აკეთებს.“

მალე ბრიტამ შეკითხვების დასმა შეწყვიტა და მილი მილს[3] ისე მისდევდა, რომ არც ერთს ხმა არ ამოუღია. ამასობაში ფუნდუკს მიაღწიეს, სადაც ყავა და ახლადგამომცხვარი პური დაახვედრეს, ლანგარზე კი აქაც ყვავილების თაიგული იდო. ბრიტა მიხვდა, რომ ამის განკარგულება ინგმარმა გასცა წინა დღეს, როცა აქ გამოიარა. ნუთუ ესეც სიკეთის და გულმოწყალების ნიშანი იყო? ნეტავ გუშინ ბედნიერად გრძნობდა თავს? ან იქნებ დღეს დანაღვლიანდა, როცა ციხიდან გამოსული ბრიტა დაინახა? ხვალ კი ამასაც დაივიწყებდა და, ალბათ, ყველაფერი კარგად იქნებოდა.

ქალს სინანულისა და მორჩილების გრძნობა დაეუფლა. არ უნდოდა, ინგმარისთვის ისევ ტკივილი მიეყენებინა. ხომ შეიძლებოდა, ბრიტა მართლაც ისევ ჰყვარებოდა.

ღამე ფუნდუკში გაათიეს, დილაუთენია განაგრძეს გზა და უკვე ათი საათისთვის სამრევლო ეკლესიას მოჰკრეს თვალი. ეკლესიისკენ მიმავალი გზა ხალხით იყო სავსე და ზარების რეკვა ისმოდა.

– ღმერთო ჩემო, დღეს ხომ კვირაა! – წამოიძახა ბრიტამ და უნებურად ხელი ხელს გადააჭდო. ყველაფერი დაავიწყდა იმის გარდა, რომ ეკლესიაში შესვლა და უფლისთვის მადლობის გადახდა უნდოდა. სურდა, ახალი ცხოვრება ძველ ეკლესიაში წირვაზე მისვლით დაეწყო.

– მინდოდა, ეკლესიაში შევსულიყავი, – უთხრა მან ინგმარს. გული ღვთის სიყვარულით და მადლიერებით ავსებოდა და იმაზე არც დაფიქრებულა, რომ კაცს მასთან ერთად გამოჩენა გაუჭირდებოდა. ინგმარმა უარის თქმა დააპირა, გამბედაობა არ ეყოფოდა, ნაცნობების გამსჭვალავ მზერას და ცნობისმოყვარე ენებს გამკლავებოდა. „სულ ერთია, ამას მაინც ვერსად გავექცევი,“ გაიფიქრა მან და ეკლესიისკენ გადაუხვია. „მოხდეს, რაც მოსახდენია.“

ეტლი ეკლესიის ეზოში შევიდა. წირვის დაწყების მოლოდინში ქვის ღობეზე უამრავი ადამიანი იჯდა და ახალმოსულებს ათვალიერებდა. როგორც კი ინგმარი და ბრიტა იცნეს, ეზოში ჩურჩული ატყდა, გლეხები ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ და მათზე უთითებდნენ. ინგმარმა ბრიტას შეხედა. ქალი გულხელდაკრეფილი იჯდა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს არც იცის, სად არისო. გარშემო ვერავის ხედავდა, სამაგიეროდ, ინგმარი ამჩნევდა ყველაფერს. ზოგიერთები

ეტლს სირბილითაც კი მოსდევდნენ. ინგმარს არც მათი სირბილი უკვირდა და არც ის, რომ ასე მისჩერებოდნენ. ეტყობა, თვალებს არ უჯერებდნენ. აბა, ვინ დაიჯერებდა, რომ ინგმარი ღვთის სახლში ეტლით მობრძანდა ქალთან ერთად, რომელმაც ბავშვი დაახრჩო. „ეს უკვე მეტისმეტია," გაიფიქრა მან. „ამას ვერ გადავიტან."

– სჯობს, ეკლესიაში ახლავე შეხვიდე, ბრიტა, – თქვა მან და ქალს ეტლიდან გადმოსვლაში მიეშველა.

– რა თქმა უნდა, – მიუგო მან. ეკლესიაში უნდოდა შესვლა, აქ ხალხთან შესახვედრად კი არ მოსულა.

ინგმარმა ცხენის ეტლიდან გამოხსნას და მის დაპურებას კარგა ხანი მოანდომა. მისკენ ბევრი მზერა იყო მიპყრობილი, თუმცა არავინ გამოლაპარაკებია. როცა იგი ეკლესიაში შესასვლელად მოემზადა, შეკრებილთა უმეტესობას უკვე თავიანთი ადგილები დაეკავებინა და პირველი ფსალმუნის სიმღერაც დაეწყო. ინგმარმა შესვლისთანავე ქალების მხარეს გაიხედა. ყველა მერხი სავსე იყო ერთის გარდა, სადაც მხოლოდ ერთი ქალი იჯდა. ინგმარმა მყისვე იცნო ბრიტა და მიხვდა, რომ მის გვერდით ჯდომა არავის უნდოდა. კაცმა ორიოდე ნაბიჯი კიდევ გადადგა, მერე კი ქალების მხარეს გადაუხვია, ბრიტას მერხთან მივიდა და მის გვერდით დაჯდა. ქალმა თავი ასწია და თვალები გაუფართოვდა. ადრე ვერაფერს ამჩნევდა და ახლაღა მიხვდა, რატომ იჯდა მარტოდმარტო. სადღესასწაულო შეგრძნება, რომელსაც ახლახან განიცდიდა, სადღაც გაუქრა და მისი ადგილი ღრმა მწუხარებამ დაიკავა. ნეტავ ამ ამბავს რა მოყვებოდა? ინგმარს არასოდეს უნდა გამოჰყოლოდა.

ბრიტას თვალები ცრემლებით აევსო და, ტირილი რომ არ დაეწყო, მის წინ თაროზე დადებულ ფსალმუნების ძველ წიგნს დასწვდა და კითხვას შეუდგა. სახარებასაც ფურცლავდა და ეპისტოლეებსაც, მაგრამ სიტყვების გარჩევაში ცრემლები უშლიდა ხელს, რომელთა ჩახშობასაც ვერ ახერხებდა. უეცრად წიგნიდან რაღაც წითელმა შეანათა. ეს წიგნის სანიშნე იყო, წითელი გულის გამოსახულებით, რომელიც ფურცლებს შორის იდო. ბრიტამ სანიშნე აიღო და ინგმარისკენ ისროლა. დაინახა, როგორ ჩამალა კაცმა სანიშნე თავის დიდ ხელში და ჩუმად დახედა, მერე კი იატაკზე დააგდო. „რა გვეშველება? რა გვეშველება?" ფიქრობდა ბრიტა და, ფსალმუნების წიგნში თავჩარგული, ტიროდა.

როგორც კი პასტორმა კათედრა დატოვა, ინგმარი და ბრიტა ეკლესიიდან გამოვიდნენ და სწრაფად შეაბეს ცხენი. როცა კურთხევა და ფსალმუნების კითხვა დამთავრდა და ხალხი ეკლესიიდან გამოეფინა, მათი ეტლი უკვე შორს იყო. ორივენი ერთსა და იმავეზე ფიქრობდნენ: ის, ვინც ასეთი დანაშაული ჩაიდინა, სხვებთან ერთად ცხოვრების ღირსი არ არისო. ისეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს იქ, ეკლესიაში, სამარცხვინო ბოძზე გააკრეს და ფიქრობდნენ, ვერც ერთი ჩვენგანი ამას ვერ შეურიგდებაო.

სევდიან ფიქრებში გართულმა ბრიტამ ამ დროს ინგმარის მამული დაინახა და წითლად აბრდღვიალებული სახლი ძლივს იცნო. მოაგონდა, როგორ ამბობდნენ, რომ სახლს მაშინ შეღებავდნენ წითლად, როცა ინგმარი ცოლს მოიყვანდა. ბოლოს ქორწილი იმიტომ გადაიდო, რომ ინგმარს სახლის შესაღები ფული არ ჰქონდა. ქალი მიხვდა, რომ ამჯერად ინგმარმა მოინდომა, ყველაფერი რიგზე ყოფილიყო, თუმცა ამის გაკეთება ძალიან უმძიმდა.

ეტლი ინგმარის მამულში სადილობის დროს შევიდა.

– ბატონი მოვიდა, – თქვა ერთ-ერთმა მოჯამაგირემ და გარეთ გაიხედა. დედილო მერტამ ძლივს ასწია ნამძინარევი ქუთუთოები და წამოდგა.

– ყველანი აქ დარჩით! – ბრძანა მან. – სუფრიდან არავინ ადგეს.

მოხუცი მძიმედ მიაბიჯებდა იატაკზე. მოჯამაგირეებმა, რომლებმაც დიასახლისს თვალი გააყოლეს, შენიშნეს, რომ იგი, თითქოსდა თავისი ძალაუფლების საჩვენებლად, საზეიმოდ გამოწყობილიყო: მხრებზე აბრეშუმის შალი მოეხურა, თავზე კი აბრეშუმის ჩაჩი ეხურა. როდესაც ცხენი შედგა, მერტა უკვე პარმაღზე იდგა.

ინგმარმა მაშინვე ძირს ისკუპა, ბრიტა კი ეტლში დარჩა. კაცი მის მხარეს გადავიდა და ეტლის საფეხური გადმოსწია.

– ძირს არ ჩამოხვალ?

– არა, არ ჩამოვალ, – მიუგო მან, უეცრად მწარედ ატირდა და ხელები სახეზე აიფარა და აქვითინდა, – აქ არასოდეს უნდა დავბრუნებულიყავი.

– კარგი, გეყოფა, ჩამოდი!

– ქალაქში დამაბრუნე, გთხოვ! შენი შესაფერისი არა ვარ.

ინგმარმა გულში გაივლო, ბრიტა, ალბათ, მართალიაო. არაფერი უთქვამს, იდგა და ქალის ეტლიდან გადმოსვლას ელოდა.

– რას ამბობს? – პარმაღიდან იკითხა დედილო მერტამ.

– ამბობს, თქვენი შესაფერისი არა ვარო, – გასძახა ინგმარმა, რადგან ბრიტას ქვითინში მისი სიტყვების გარჩევა ჭირდა.

– რატომ ტირის? – განაგრძო მოხუცმა დაკითხვა.

– იმიტომ, რომ ერთი საბრალო ცოდვილი ვარ, – უპასუხა ბრიტამ და ხელები გულზე დაიკრიფა. ეგონა, მწუხარებისაგან გული გაუსკდებოდა.

– რაო? – ვერ გაიგო მერტამ.

– იმიტომ, რომ საბრალო ცოდვილია, – გაუმეორა ინგმარმა.

როდესაც ბრიტამ გაიგონა, რა ცივი ხმით გაიმეორა ინგმარმა მისი სიტყვები, სიმართლე ერთბაშად დაატყდა თავს. არა, ბრიტა რომ ჰყვარებოდა, სიყვარულის ნატამალიც რომ შერჩენოდა, ინგმარი არასოდეს იდგებოდა ასე და დედამისს მის სიტყვებს არ გაუმეორებდა. ყველაფერი ცხადი იყო და ქალმა უკვე იცოდა ის, რისი ცოდნაც სჭირდებოდა.

– ძირს რატომ არ ჩამოდის? – იკითხა დედილო მერტამ.

ბრიტამ ცრემლები შეიკავა და თავად გასცა პასუხი:

– იმიტომ, რომ ინგმარის გაუბედურება არ მინდა.

– მგონი, მართალს ამბობს, – განაცხადა დიასახლისმა, – გაუშვი, ლილ ინგმარ! წავიდეს, თორემ იცოდე, მე წავალ. მაგასთან ერთ ჭერქვეშ ერთ ღამესაც ვერ გავათევ.

– თუ ღმერთი გწამს, ნება მომეცი, წავიდე! – მოთქვამდა ბრიტა. ინგმარმა შეიგინა, ცხენი მოაბრუნა და ეტლს შეახტა. ყველაფრისგან დაიღალა და დანებდა.

გზაზე ეტლს ეკლესიიდან მომავალი მრევლი ხვდებოდა. ხალხისთვის თავი რომ აერიდებინა, ინგმარმა უეცრად ტყის ვიწრო შარაზე გადაუხვია, სადაც ძველად დადიოდნენ. გზა ქვიანი და ოღროჩოღრო იყო, თუმცა მსუბუქი ეტლი მშვენივრად გაივლიდა.

სწორედ მაშინ, როცა ინგმარმა ტყისკენ გადაუხვია, ვიღაცამ დაუძახა. ინგმარმა მოიხედა და ფოსტალიონი დაინახა, რომელმაც წერილი გადასცა. კაცმა წერილი გამოართვა, ჯიბეში ჩაიტენა და ტყეში შევიდა.

როდესაც ინგმარი დარწმუნდა, რომ გზიდან ვეღარავინ დაინახავდა, სვლა შეანელა და ჯიბიდან წერილი ამოიღო. ამ დროს ბრიტამ მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

– არ წაიკითხო!

– რაო? არ წავიკითხო?

– არა. იქ ისეთი არაფერი წერია.

– საიდან იცი?

– ეს ჩემი წერილია.

– მაშინ იქნებ თავად მითხრა, რა წერია.

– არა, არ შემიძლია.

კაცმა ბრიტას შეხედა. ქალს სახე ყაყაჩოსავით გაწითლებოდა და თვალები უელავდა.

– იცი რა, ამ წერილს მაინც წავიკითხავ, – თქვა ინგმარმა და კონვერტის გახსნას შეუდგა. ბრიტა შეეცადა, წერილი ხელიდან გამოეგლიჯა, მაგრამ კაცმა იმარჯვა და ფურცელი კონვერტიდან ამოიღო.

– ღმერთო, – დაიკვნესა ბრიტამ, – ახლა კი ვეღარაფერი მიხსნის! ინგმარ, – შეევედრა ქალი, – მოდი, ერთ-ორ დღეში წაიკითხე, როცა აქ აღარ ვიქნები!

ინგმარს წერილი უკვე გაეშალა და სწრაფად კითხულობდა. ბრიტამ ფურცელს ხელი დააფარა.

– მომისმინე, ინგმარ, ციხის მღვდელმა მთხოვა, შენთვის ეს მომეწერა. დამპირდა, წერილს შევინახავ და მაშინ გავაგზავნი, როცა უკვე გემზე იქნებიო. მეტისმეტად ადრე გამოუგზავნია. ჯერ ამის წაკითხვის უფლება არა გაქვს. ვიდრე აქედან შორს არ წავალ, ნუ წაიკითხავ, ინგმარ!

ინგმარმა გაჯავრებით შეხედა ბრიტას, ეტლიდან გადმოხტა, რომ ქალს მისთვის ხელი არ შეეშალა და წერილის კითხვა განაგრძო. ბრიტა ისე გაბრაზდა, როგორც უწინ სჩვეოდა, როცა არ შეეძლო, თავისი გაეტანა.

– რაც მანდ წერია, სიმართლე არ არის. მღვდელმა მაიძულა, ასე დამეწერა. სულაც არ მიყვარხარ, ინგმარ.

ინგმარმა თავი ასწია და ქალს განცვიფრებით შეხედა. მაშინ ბრიტა გაჩუმდა და მორჩილებამ, რომელსაც ციხეში მიეჩვია, აიძულა, თავი შეეკავებინა. თუ შერცხვებოდა, ამის ღირსიც იყო.

ინგმარი იდგა და წერილს ჩასჩერებოდა. უეცრად ფურცელი მოუთმენლად მოჭმუჭნა და ყელიდან ხრინწიანი ყვირილი აღმოხდა.

– ვერაფერი გამიგია, – თქვა მან და მიწაზე ფეხები დააბაკუნა. თავბრუ ეხვეოდა. ბრიტას მხარეს გადავიდა და მკლავზე ჩაებღაუჭა. – მართალია, რაც წერილში წერია? მართლა გიყვარვარ?

მკვახე ხმა ჰქონდა და საშინელი შესახედავი იყო. ბრიტა დუმდა. – იმ წერილში ხომ წერია, რომ გიყვარვარ? – გაიმეორა კაცმა და შეეტყო, რომ მოთმინებას კარგავდა.

– ჰო, – ჩუმად უპასუხა ბრიტამ.

ინგმარმა ქალის მკლავი შეანჯღრია, მერე კი ხელი გაუშვა.

– ცრუობ, – თქვა მან, – ცრუობ! – ინგმარმა გადაიხარხარა და სახე დაემანჭა.

– ღმერთმა იცის, ყოველდღე იმაზე ვლოცულობდი, რომ გამგზავრებამდე ერთხელ მაინც მენახე, – მტკიცედ თქვა ქალმა.

– სად მიემგზავრები?

– მე ხომ ამერიკაში მივდივარ.

– ჰოდა, ჯანდაბამდე გზა გქონია.

ინგმარი გაშმაგებული იყო. ეტლისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე კი ძირს დაეცა და ახლა ის ატირდა. ბრიტა ეტლიდან გადმოვიდა და გვერდით მიუჯდა. ისეთი ბედნიერი იყო, თავს ძლივს იკავებდა, რომ ხმამაღლა არ გასცინებოდა.

– ინგმარ, ლილ ინგმარ! – ალერსიანად თქვა მან.

– მე ხომ უშნო ვარ, განა ასე არ ფიქრობდი?

– ახლაც ასე ვფიქრობ.

ინგმარმა ბრიტას ხელი მოიშორა.

– მოდი, ამაზე დაგელაპარაკები.

– ჰო, მოგიწევს.

– გახსოვს, სამი წლის წინ, სასამართლოზე რაც თქვი?

– ჰო.

– თუ გადავიფიქრებდი და დაგთანხმდებოდი, ცოლად მომიყვანდი.

– ჰო, მახსოვს.

– სწორედ ამის შემდეგ შემიყვარდი. არასოდეს მეგონა, რომ ვინმეს ამგვარი რამის თქმა შეეძლო. მას შემდეგ, რაც ჩავიდინე, ჩემთვის ეს სიტყვები ზეადამიანურად ჟღერდა, ინგმარ. როდესაც შემოგხედე, მივხვდი, რომ ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანი და ის ერთადერთი კაცი იყავი, ვისთანაც მთელ ცხოვრებას გავატარებდი. ისე შემიყვარდი, რომ მეგონა, მე მეკუთვნოდი, მე კი – შენ. როდესაც ჩემს წასაყვანად მოხვედი, თავდაპირველად ვიფიქრე, ასეც უნდა მომხდარიყო- მეთქი, მაგრამ მერე ამის დაჯერება ვერ გავბედე.

ინგმარმა თავი ასწია.

– რატომ არ მომწერე?

– ხომ მოგწერე.

– მთხოვდი, შენთვის მეპატიებინა! სხვა დასაწერი ვერაფერი ნახე?

– აბა, რა უნდა მომეწერა?

– აი, ეგ, რაც ახლა თქვი.

– გგონია, ამის დაწერას გავბედავდი?

– ეს წერილი რომ არ მიმეღო, ვერაფერს შევიტყობდი.

– ჰო, მაგრამ, ინგმარ, მას შემდეგ, რაც ჩავიდინე, სამიჯნურო წერილი როგორ უნდა მომეწერა? ციხეში ყოფნის ბოლო დღეს მოგწერე, რადგან მღვდელმა მაიძულა, წერილი გამომართვა და დამპირდა, რომ მას მხოლოდ ჩემი გამგზავრების შემდეგ მიიღებდი. ჰოდა, უკვე გამოუგზავნია.

ინგმარმა ბრიტას ხელი აიღო, მიწაზე დადო და დაარტყა.

– შემეძლო, მეცემე, – თქვა მან.

– რაც გინდა, ის გამიკეთე, ინგმარ.

კაცმა ბრიტას სახეზე შეხედა, რომელიც ტანჯვას კიდევ უფრო დაემშვენებინა, წამოიწია და მძიმედ დაეყრდნო ქალს.

– კინაღამ ამერიკაში გაგიშვი.

– სხვაგვარად ვერ მოიქცეოდი.

– იმასაც გეტყვი, რომ არ მიყვარდი.

– მშვენივრად მესმის შენი.

– ისე გამიხარდა, როცა გავიგე, რომ ამერიკაში მიდიოდი.

– ვიცი, მამამ მომწერა, კმაყოფილი დარჩაო.

– დედაჩემს რომ შევხედე, ვიფიქრე, ვერ შევძლებ, შენისთანა რძალი მივუყვანო-მეთქი.

– არა, ამას არც ჩაიდენ, ინგმარ.

– შენს გამო იმდენი წყენა შემხვდა. ჩემი დანახვაც არავის უნდოდა, რადგან ასე ცუდად მოგექეცი.

– ახლა, მგონი, სწორედ იმის გაკეთებას აპირებ, რაც ახლახან თქვი – დამარტყამ, – თქვა ბრიტამ.

– ჰო, ვერ წარმოიდგენ, რა გაჯავრებული ვარ შენზე.

ქალი ჩუმად იჯდა.

– რომ მაგონდება, რა გადავიტანე ამ ბოლო დღეებსა და კვირებში... დაიწყო ისევ ინგმარმა.

– გეყოფა, ინგმარ!

– არა, ამიტომ კი არ ვარ გაჯავრებული, მაგრამ ხომ შემეძლო შენთვის გამგზავრების ნება დამერთო.

– არ გიყვარდი, არა, ინგმარ?

– არა.

– მთელი მგზავრობის მანძილზე?

– არც ერთი წამით. მხოლოდ ვიტანჯებოდი.

– ისევ როდის შეგიყვარდი?

– წერილის მიღების შემდეგ.

– ვხედავდი, რომ ყველაფერი დამთავრდა და ამიტომაც ვფიქრობდი, რა სამარცხვინოა, რომ გაიგებს, როგორ მიყვარს-მეთქი.

ინგმარმა ჩუმად გაიცინა.

– რა გაცინებს, ინგმარ?

– ის, რომ ეკლესიიდან გამოვიქეცით, სახლიდან კი გამოგვაგდეს.

– მერე სასაცილო რა არის?

– სასაცილოა, აბა რა. მაწანწალებივით სოფლის შარაგზაზე მოგვიწევს ცხოვრება. ნეტავ ახლა მამა გვხედავდეს!

– დღეს კი იცინი, მაგრამ ასე არ შეიძლება, ინგმარ, ასე არ შეიძლება და ეს ჩემი ბრალია.

– როგორ არ შეიძლება, – თქვა ინგმარმა, – ახლა შენს გარდა ყველაფერი ფეხებზე მკიდია.

ბრიტა სასოწარკვეთისგან ლამის იყო, ატირებულიყო, ინგმარი კი ისევ და ისევ აიძულებდა იმაზე ელაპარაკა, როგორ ფიქრობდა მასზე ციხეში და როგორ ენატრებოდა. კაცი თანდათან იმ ბავშვივით დაწყნარდა, რომელსაც იავნანას უმღერიან. ყველაფერი სრულიად სხვაგვარად იყო, ვიდრე ბრიტა ელოდა. ქალი ფიქრობდა, თუ ციხიდან გამოსვლის შემდეგ შევხვდებით, მყისვე ჩემს დანაშაულზე და იმაზე დავიწყებ ლაპარაკს, როგორ მიჭირდა ამდენი ტკივილის ატანაო. უნდოდა, ინგმარისთვის, დედისთვის ან ნებისმიერი იმ ახლობლისთვის, რომელიც მის შესახვედრად მოვიდოდა, ეთქვა, რომ იცოდა, მათზე რამდენად დაბლა იდგა. მაინც ვერასოდეს დაიჯერებდნენ, რომ ბრიტას შეიძლებოდა მათთვის თავი გაეტოლებინა. თუმცა ქალს ინგმარისთვის ამის თქმამ არ მოუწია.

ბოლოს კაცმა ბრიტას ლაპარაკი შეაწყვეტინა და ძალიან ჩუმად ჰკითხა:

– რაღაცის თქმა გინდა ჩემთვის, არა?

– ჰო, ასეა.

– სულ ამაზე ფიქრობ.

– დღე და ღამე.

– და ყველაფერი ამის ბრალია, არა?

– მართალია.

– მაშინ მითხარი და ამ ტვირთს შენთან ერთად გავიზიარებ.

ინგმარი დაჯდა და ბრიტას თვალებში შეხედა. ქალს დამფრთხალი და შეშლილი თვალები ჰქონდა, მაგრამ ლაპარაკისას ნელ-ნელა დაუწყნარდა.

– ახლა უკეთ ხარ, არა? – ჰკითხა კაცმა, როდესაც ბრიტამ ლაპარაკი დაამთავრა.

– ჰო, თითქოს ტვირთი მოვიშორე.

– იმიტომ, რომ მე გამიზიარე. ახლაც გინდა გამგზავრება?

– არა, ალბათ, დავრჩები, – თქვა ბრიტამ და ხელები ერთმანეთს გადააჭდო.

– მაშინ სახლში დავბრუნდეთ, – უთხრა ინგმარმა და წამოდგა.

– არა, ვერ გავბედავ.

– დედა სულაც არაა საშიში, ოღონდ ხვდება, როცა იცი, რა გინდა.

– არა, მისი სახლიდან გაგდება სულაც არ მინდა. სხვა გზა არა მაქვს, ამერიკაში უნდა წავიდე.

– მოდი, რაღაცას გეტყვი, – იდუმალი ღიმილით თქვა ინგმარმა. – არ უნდა გეშინოდეს, რადგან ერთი კაცი გვეხმარება.

– ვინ?

– მამაჩემი. ყველაფერს ის აგვარებს.

ამ დროს მათ ტყის გზაზე მომავალი ქალი დაინახეს. ეს კაისა იყო, თუმცა ინგმარმა და ბრიტამ ძლივს იცნეს, რადგან მოხუცს თან სამხრეული და კალათები არ ჰქონდა.

– გამარჯობა, გამარჯობა, – მიესალმნენ ინგმარი და ბრიტა. კაისა მათთან მივიდა და ხელი ჩამოართვა.

– აი, თურმე სად ყოფილხართ, მამულის ყველა მოჯამაგირე კი თქვენს ძებნაშია.

– ეკლესიიდან ისე სწრაფად წამოხვედით, თქვენთან შეხვედრა ვერ მოვასწარი, – განაგრძო

მოხუცმა, – მაგრამ ბრიტას ნახვა მინდოდა, ამიტომაც მამულში მივედი. ჩემთან ერთად იქ პასტორიც მივიდა და, ვიდრე მისალმებას მოვასწრებდი, სახლში შევიდა. დედილო მერტას ხელი ჩამოართვა და თან შესძახა: „დედილო მერტა, როგორ გაგახარათ არა, ინგმარმა?! ახლა გამოჩნდა, ძველი გვარის შთამომავალი რომ არის, ამიერიდან ყველანი დიდ ინგმარს დავუძახებთ.“ დედილო მერტას ბევრი ლაპარაკი არასოდეს უყვარდა, ახლაც იდგა და თავსაფარს იკრავდა. „რას ამბობთ, პასტორო?“ თქვა მან ბოლოს. „ინგმარმა ბრიტა სახლში მოიყვანა,“ უთხრა სტუმარმა, „დამიჯერეთ, დედილო მერტა, ამით ისეთი პატივისცემა დაიმსახურა, მთელი სიცოცხლე ეყოფა.“ „არა, ოჰ, არა!“ წამოიძახა დედილო მერტამ. „ძალიან დავიბენი, ისინი ეკლესიაში რომ დავინახე, მაგრამ ეს საუკეთესო ქადაგება იყო ჩემს ცხოვრებაში. ინგმარი მთელი მრევლისთვის ისეთივე სამაგალითო იქნება, როგორიც მამამისი იყო.“ „საოცარი ახალი ამბავი მომიტანეთ, პასტორო,“ თქვა დედილო მერტამ. „განა ინგმარი შინ არ დაბრუნებულა?“ იკითხა სტუმარმა. „არა, შინ არ არის, ეტყობა, ჯერ ბერისკუგში წავიდნენ.“

– დედამ ასე თქვა? – წამოიძახა ინგმარმა.

– აბა რა, გელოდებოდით და თან დედაშენი კაცს კაცზე აგზავნიდა თქვენს მოსაძებნად.

კაისამ ლაქლაქი განაგრძო, ხოლო ინგმარი ფიქრებმა გაიტაცა და აღარ უსმენდა. „აი, სახლში შევდივარ, იქ კი ჩვენი წინაპრებით გარშემორტყმული მამა მხვდება. „გამარჯობა, დიდო ინგმარ!“ ამბობს მამა და ჩემკენ მოდის. „გამარჯობა, მამა, მადლობელი ვარ დახმარებისთვის!“ „ჰო, როგორც იქნა, ცოლი შეირთე, სხვა დანარჩენი კი თავისთავად იქნება.“ „თქვენი მხარდაჭერის გარეშე არაფერი გამომივიდოდა.“ „ამის გაკეთება არც ისე ძნელი იყო,“ მეუბნება მამა. „უბრალოდ, ჩვენ, ინგმარშონები, უფლის გზას უნდა მივყვეთ.“

პირველი ნაწილი

1. სკოლის მასწავლებელთან

იმ სამრევლოში, სადაც ინგმარშონები ცხოვრობდნენ, ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლების დასაწყისში არც ერთ გლეხს არ მოუვიდოდა აზრად, რომელიმე ახალი აღმსარებლობა მიეღო ან სხვანაირ ღვთისმსახურებას დასწრებოდა. ალბათ, ყური მოეკრათ, როგორ აღმოცენდებოდა ხოლმე დალარნას ამა თუ იმ სამრევლოში სექტები ან როგორ მიდიოდნენ გლეხები მდინარეებისა და ტბებისაკენ, რომ ბაპტისტურად მონათლულიყვნენ. ხალხი მათ დასცინოდა და ამბობდა:

– აფელბუელი და გაგნეფელი გლეხებისგან ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ ჩვენს სამრევლოს ამგვარი რამ არასოდეს ემუქრება.

გლეხები, რომლებიც ძველ წეს-ჩვეულებებს მისდევდნენ, ყოველ კვირადღეს ეკლესიაშიც გულმოდგინედ დადიოდნენ. ვისაც კი სიარული შეეძლო, ყველა მოდიოდა და ამ წესს ზამთრის ყველაზე სუსხიან დღეებშიც კი არ ღალატობდნენ. იმ დროს ეს ლამის სავალდებულოც იყო. ორმოცგრადუსიან ყინვაში ეკლესიის დაუმთბარ შენობაში ყოფნას ვერც ვერავინ გაუძლებდა, ხალხით სავსე რომ არ ყოფილიყო.

არ გეგონოთ, რომ მრევლი ეკლესიაში ასე ერთსულოვნად იმიტომ დადიოდა, რომ განსაკუთრებული პასტორი ჰყავდა. პასტორი, რომელმაც დიდი ინგმარის ახალგაზრდობისდროინდელი პასტორი შეცვალა, ძალიან კარგი ადამიანი იყო, თუმცა შეუძლებელია მისთვის ღვთის სიტყვის განმარტების არაჩვეულებრივი უნარი მიგეწერათ. იმ დროს ხალხი ეკლესიაში ხატოვანი ქადაგებით თავის შესაქცევად კი არა, იმისთვის დადიოდა, რომ უფლისთვის პატივი მიეგო. მერე კი ქარიანი შარაგზით შინ მიმავალი გლეხი ფიქრობდა, უფალი უეჭველად შენიშნავდა, რომ ამ სიცივეში ეკლესიაში მივედიო. მთავარი ეს იყო და, თუ პასტორი სიტყვასიტყვით გაიმეორებდა ქადაგებას, რომელსაც იქიდან მოყოლებული, რაც მსახურებას შეუდგა, ყოველ კვირას ამბობდა ხოლმე, ამისთვის არავინ გაკიცხავდა.

მართალი გითხრათ, მრევლის უმეტესობა სავსებით კმაყოფილი იყო ქადაგებებით, რომელთაც ყოველ კვირას ისმენდა. ყველამ იცოდა, რომ ის, რასაც პასტორი მათ უკითხავდა, უფლის სიტყვა იყო და ამიტომაც მშვენიერი ეჩვენებოდათ. ზოგჯერ მხოლოდ სკოლის მასწავლებელი და თითო-ოროლა ურჩი გლეხი გადაულაპარაკებდა ხოლმე ერთმანეთს:

– ჩვენი პასტორი სულ ერთსა და იმავეს გვიქადაგებს. მხოლოდ ღვთის განგებასა და უფლის სამეფოზე გვესაუბრება. ვიდრე სექტანტებს აქედან შორს უჭირავთ თავი, ყველაფერი რიგზეა,

მაგრამ ეს ციხე-სიმაგრე ცუდად არის დაცული და პირველსავე შეტევაზე დაეცემა.

რაც მართალია, მართალია, მოხეტიალე მქადაგებლები ხშირად ჩაუვლიდნენ ხოლმე ამ სამრევლოს და ამბობდნენ, აქ შევლას აზრი არა აქვს, რადგან აქაურებს განახლებაზე არაფრის გაგონება არ უნდათო. თანაც ყველა მოხეტიალე მქადაგებელი და მეზობელი სამრევლოების მორწმუნეები ინგმარშონების ოჯახსაც და მისი სოფლის მრევლსაც უდიდეს ცოდვილებად თვლიდნენ და, როცა მათი ეკლესიის სამრეკლოდან ზარების რეკვას გაიგონებდნენ, ამბობდნენ, ზარი ასე რეკავსო: „იძინეთ თქვენს ცოდვებში! იძინეთ თქვენს ცოდვებში!“

სამრევლოში დიდი თუ პატარა ძალიან აღაშფოთა იმის გაგებამ, რასაც სხვები მათი ზარების შესახებ ამბობდნენ. ყველამ კარგად იცოდა, რომ ზარების ჩამორეკვისთანავე სოფელში ერთი კაციც არ რჩებოდა, „მამაო ჩვენოს“ კითხვა რომ არ წამოეწყო, ხოლო სადილის შემდეგ, როცა ექვსსაათიანი წირვის ზარის ხმას გაიგონებდნენ, შინ თუ გარეთ მუშაობა წყდებოდა, კაცები ქუდს იხდიდნენ, ქალები იჩოქებდნენ და იქამდე არ იძვროდნენ, ვიდრე საუფლო ლოცვა არ დამთავრდებოდა. ყველა, ვინც კი სამრევლოში ცხოვრობდა, იმასაც აღიარებდა, რომ უფალი ისეთი დიადი არასოდეს მოსჩვენებიათ, როგორსაც მას ზაფხულის საღამოებში ხედავდნენ, როცა ზარის პირველი დარეკვისთანავე ცელს გვერზე გადადებდნენ, გუთნებს ხნულებში ტოვებდნენ, ხორბლის გადმოტვირთვას კი შუა გზაზე ანებებდნენ თავს. ამ დროს თითქოს უფალი ღამეულ ცაში დანავარდობდა და მთელ სოფელს ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა.

სამრევლოში ჯერ კიდევ არ ჰყავდათ მასწავლებელი, რომელსაც სემინარია ექნებოდა დამთავრებული. სოფლის ერთადერთი მასწავლებელი მოხუცი, თვითნასწავლი გლეხი იყო, რომელიც მარტოდმარტო ახერხებდა, რომ ასამდე ბავშვისთვის ესწავლებინა; ის უკვე ოცდაათი წელი იყო, ამ საქმეს მისდევდა, ყველა პატივს სცემდა და რა გასაკვირი იყო, რომ მასწავლებელს ეფიქრა, მთელი მრევლის სულიერი კეთილდღეობა ჩემს სინდისზეაო, ამიტომაც ხშირად წუხდა, რომ ისეთი პასტორი ჰყავდათ, რომელიც ცუდი მოქადაგე იყო. სხვა სამრევლოებში უკვე ახლებური ნათლობის შემოღებაზე ლაპარაკობდნენ, მასწავლებელი ჯერჯერობით არაფერს ამბობდა, მაგრამ როდესაც ყური მოჰკრა, რომ ჯერი ზიარებაზე მიდგა და ხალხი ხან ერთ, ხან მეორე სახლში იკრიბებოდა ზიარების მისაღებად, მიხვდა, რომ განზე გადგომა არ ივარგებდა. თავად ღარიბი იყო, თუმცა რამდენიმე მდიდარი გლეხის დაყოლიება მოახერხა, რომ მისიის ასაშენებლად ფული მიეცათ.

– თქვენ კარგად მიცნობთ, – უთხრა მან გლეხებს, – მხოლოდ იმიტომ მინდა ვიქადაგო, რომ ხალხმა ძველი რწმენა შეინარჩუნოს. აბა, სხვა რაღა დაგვრჩენია, როცა მქადაგებლები გვიტევენ ახლებური ნათლობით და ახლებური ზიარებით, ჩვენ კი არავინ გვყავს ისეთი, ხალხს რომ აუხსნის, რომელია ჭეშმარიტი და რომელი – ცრუ მოძღვრება?

მასწავლებელი პასტორთანაც ისევე მეგობრობდა, როგორც სხვებთან. ის და პასტორი ხშირად სეირნობდნენ, ეკლესიასა და სკოლას შორის მიმოდიოდნენ და სალაპარაკო არ ელეოდათ. პასტორიც ხშირად ეწვეოდა ხოლმე საღამოობით, მყუდრო სამზარეულოში დიდ ღუმელს მიუჯდებოდა და დედილო სტინას, მასწავლებლის ცოლს, ებაასებოდა. ზოგჯერ ზედიზედ რამდენიმე საღამოს ატარებდა მათთან. შინ მოწყენილი იყო, რადგან მისი ცოლი ლოგინს იყო მიჯაჭვული და სახლს სიმყუდროვე და წესრიგი აკლდა.

ზამთრის ერთ საღამოს ღუმელთან მიმსხდარი მასწავლებელი და მისი ცოლი წყნარად და დინჯად საუბრობდნენ, მათი თორმეტი წლის გოგონა კი იქვე, კუთხეში თამაშობდა. გოგონას გერტრუდი ერქვა, ღია ფერის, თითქმის თეთრი თმა და მრგვალი, ვარდისფერი ლოყები ჰქონდა, თუმცა არც მეტისმეტად ჭკვიანი ჩანდა და არც – ნაადრევად დაქალებული, როგორც მასწავლებლის შვილს შეეფერებოდა.

კუთხე, სადაც გოგონა მიყუჟულიყო, მისი სათამაშო სახლი იყო. იქ შუშის უამრავი ფერადი ნამსხვრევი, დამტვრეული ფინჯნები და თეფშები, მდინარის ნაპირზე ნაპოვნი მრგვალი კენჭები, ხის პატარა, ოთხკუთხა ნაჭრები და სხვა ასეთი წვრილმანი მოეგროვებინა.

გერტრუდი დიდხანს თამაშობდა მშვიდად, არც დედა და არც მამა არ აწუხებდნენ, იატაკზე იჯდა და თავისი ხის ნაფოტებით და შუშის ნამსხვრევებით რაღაცას აშენებდა. გოგონა ჩქარობდა, ეშინოდა, გაკვეთილები და საოჯახო საქმეები არ შეეხსენებინათ. არა, ყველაფერი კარგად იყო! რაღაც არ ეტყობოდა, რომ მამა ამ საღამოს მისთვის მოიცლიდა.

გერტრუდს თავის კუთხეში ბევრი სამუშაო ჰქონდა. არც მეტი, არც ნაკლები, მთელ თემს აშენებდა, სადაც ეკლესია და სკოლაც უნდა ყოფილიყო, მდინარეც და ხიდიც და უნდოდა, ყველაფერი კარგად გამოსვლოდა.

უკვე საკმაოდ ბევრი რამ მოასწრო. მთების ფართო არშია, რომელიც თემს გარს ერტყმოდა, პატარა

და დიდი ქვებისგან გაეკეთებინა. ყველა ხეობაში ნაძვის ტოტებისგან ტყე გაეშენებინა, ორი წვეტიანი ქვით კი მთები – კლაკბერიეთი და ულოფსჰეთანი აღემართა, რომლებიც მდინარის ორივე ნაპირზე, ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და მთელ ხეობას გადაჰყურებდნენ.

მთებს შუა მრგვალი ხეობა გერტრუდმა დედის ყვავილების ქოთნებიდან ამოღებული მიწით დაფარა. აქამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, თუმცა გოგონამ ვერაფრით მოახერხა მიწის ამწვანება და მცენარეების გახარება, როგორც წესი და რიგი იყო. თავს იმშვიდებდა, ალბათ, ამას გაზაფხულამდე არ უნდა ველოდო, როდესაც ბალახი და მარცვლეული ამოდისო.

დალელვენი[4], რომელიც ლაღად მიედინებოდა სოფელში, ყინულის გრძელი, ვიწრო ნატეხით გააკეთა, მდინარეზე სოფლის ორი ნაწილის შემაერთებელი ტივტივა ხიდიც იყო გადებული.

გოგონას წითელი აგურის ნატეხებით შორეული მამულები და სოფლებიც მოენიშნა. ზემოთ, ჩრდილოეთისკენ, მინდვრებსა და ველებს შორის ინგმარის კარ-მიდამო იყო, დასავლეთით, მთის ფერდობზე სოფელი კულოსენი შეფენილიყო, ბერისონას ქარხანა კი უკიდურეს სამხრეთ წერტილში იყო, სადაც ჭორომებიანი და ჩანჩქერებიანი მდინარე თავს აღწევდა ხეობას და მთების რკალისკენ მიიჩქაროდა.

გერტრუდმა შემოგარენის მოწყობა უკვე დაამთავრა. მამულებს შორის და მდინარის ნაპირებზე ქვიშით და კენჭებით მოკირწყლული გზები გადაჭიმულიყო. აქა-იქ, დაბლობებზე და ახლომახლო სახლებთან, ჭალები იყო გაშენებული. საკმარისი იყო, გოგონას მზერა შეევლო თავისი ქვის ნაგებობების, მიწისა და ნაძვის ტოტებისათვის, რომ მთელი თემი წარმოედგინა და ყველაფერი ძალზე ლამაზად ეჩვენებოდა.

გერტრუდი დროდადრო თავს სწევდა, რომ დედისთვის დაეძახა და მისთვის ეს სასწაული ეჩვენებინა, თუმცა თავს იკავებდა. უფრო ჭკვიანური იყო, მისთვის თავი არ შეეხსენებინა.

ახლა ყველაზე ძნელი საქმე დარჩა გასაკეთებელი: დასახლება უნდა აეშენებინა, რომელიც თემის შუაგულში, მდინარის ორივე ნაპირზე გადაშლილიყო. ქვები და შუშის ნამტვრევები კარგად უნდა აერია ერთმანეთში, ვიდრე კარგი მასა არ გამოუვიდოდა. საგადასახადო მოხელის სახლი მაღაზიის გვერდით უნდა დაედგა, ექიმის სახლთან კი მოსამართლის სახლის ადგილი არ იყო. თან არც ერთი შენობა არ უნდა დავიწყებოდა: ეკლესია და პასტორის სახლი, აფთიაქი და ფოსტა, დიდი მამულები თავისი ნაგებობებით, ფუნდუკი, უფროსი ტყის მცველის სახლი, სატელეგრაფო სადგური...

ბოლოს მთელი სოფელი მზად იყო მწვანეში ჩაფლული თეთრი და წითელი სახლებით. მხოლოდ ერთი რამ აკლდა.

გოგონა საქმის დამთავრებას ჩქარობდა, რომ სკოლის აშენება დაეწყო, რომელიც ასევე სოფელში უნდა მდგარიყო.

სკოლისთვის დიდი ადგილი სჭირდებოდა. მდინარის პირას უზარმაზარი, თეთრი, ორსართულიანი შენობა უნდა აღემართა დიდი ბაღით და ეზოში მაღალი ფლაგშტოკით.

სკოლისთვის გერტრუდს ხის საუკეთესო ნაჭრები შემოენახა, თუმცა მაინც დიდხანს იფიქრა, როგორ გაერთმია ამ საქმისთვის თავი. უნდოდა, პირველ და მეორე სართულებზე დიდი დარბაზები ყოფილიყო, კიდევ სამზარეულო და ოთახი, სადაც ის მშობლებთან ერთად იცხოვრებდა. ამას დიდი დრო სჭირდებოდა. „ალბათ, ამდენ ხანს თამაშის უფლებას არ მომცემენ," ფიქრობდა იგი.

ამ დროს პარმაღზე ნაბიჯების ხმა გაისმა, ვიღაც ფეხებს აბაკუნებდა და თოვლს იბერტყავდა. გოგონა მყისვე შეუდგა საქმეს. პასტორი ეწვიათ, დედასთან და მამასთან ისაუბრებდა და მთელი საღამო მისთვის ვერ მოიცლიდნენ. გერტრუდმა გულმოდგინედ დაიწყო სკოლის საძირკვლის ჩაყრა, რომელიც ნახევარი თემის ადგილს იკავებდა.

პარმაღზე ნაბიჯების ხმა დედამაც გაიგონა, ადგა და ღუმელთან ძველი სავარძელი მიაჩოჩა, თან ქმარს მიუბრუნდა:

– ამ საღამოს ეტყვი?

– ჰო, – უპასუხა მასწავლებელმა, – როგორც კი მოვახერხებ.

გაყინული და შემცივნული პასტორი ოთახში შემოვიდა, უხაროდა, რომ ცეცხლთან უნდა გამთბარიყო. როგორც ყოველთვის, ყბედობის გუნებაზე გახლდათ. როდესაც პასტორი მოდიოდა და ათას რამეზე ლაყბობდა, მასზე სასიამოვნო მოსაუბრეს ვერ ნახავდი. ისე ძალდაუტანებლად და გაბედულად ლაპარაკობდა ყველაფერზე, რაც ამქვეყნიურ ცხოვრებას ეკუთვნოდა, ვერ დაიჯერებდი, რომ ეს იგივე კაცი იყო, რომელსაც ქადაგება ასე უჭირდა, მაგრამ როგორც კი

სასულიერო საკითხებზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, სახეზე წამოწითლდებოდა, სიტყვებს ეძებდა და მნიშვნელოვანს ვერასოდეს ვერაფერს ამბობდა. ერთადერთი, რაც შეეძლო, უფლის განგებაზე საუბარი იყო.

სტუმარი ღუმელთან მოკალათდა, მასწავლებელი კი მიუბრუნდა და გახარებულმა უთხრა:

– პასტორო, მისიისთვის სახლის აშენებას ვაპირებ.

პასტორი გაფითრდა და ლამის ჩავარდა სავარძელში, რომელიც მისკენ დედილო სტინამ მისწია.

– რას ამბობთ, სტორმ? აქ უნდა ააშენოთ მისიის სახლი? მერე ეკლესიას რა ეშველება? ან მე რა მეშველება? აქედან წავიდე თუ რა უნდა ვქნა?

– ეკლესია და პასტორი აუცილებლად გვჭირდება, – გადაჭრით თქვა მასწავლებელმა, – ჩემი ჩანაფიქრი სწორედ ის არის, რომ მისია ეკლესიას მხარში უნდა ამოუდგეს. ქვეყანაში იმდენი ერეტიკოსი დაეხეტება, რომ ეკლესიას მართლაც შველა სჭირდება.

– მეგონა, ჩემი მეგობარი იყავით, სტორმ, – საცოდავად თქვა პასტორმა.

ორიოდე წუთის წინ იგი ხალისიანად შემოვიდა ოთახში, ახლა კი ისეთი დაღვრემილი ჩანდა, გეგონებოდათ, მისთვის ყველაფერი დამთავრდაო.

მასწავლებელი მიხვდა, რატომაც იყო მისი სტუმარი ასეთი სასოწარკვეთილი. მან, სხვების მსგავსად, იცოდა, რომ პასტორი ოდესღაც კარგად სწავლობდა, მაგრამ ახალგაზრდობაში იმდენი რამ გადაიტანა, რომ ბოლოს გატყდა და ისეთი, როგორიც ადრე იყო, ვეღარასოდეს გახდებოდა. ხშირად თავადაც ავიწყდებოდა, რომ ვეღარაფერს მიაღწევდა და, ყოველთვის, როცა ამას შეახსენებდნენ ხოლმე, სასოწარკვეთა ეუფლებოდა.

აი, ახლაც იგი მკვდარივით იჯდა სავარძელში და ხმის ამოღებას დიდხანს ვერავინ ბედავდა.

– ამ ამბავზე აღელვება არ ღირს, პასტორო, – ხმადაბლა შეეცადა მასწავლებელი მის დამშვიდებას.

– გაჩუმდით, სტორმ! – შეაწყვეტინა სტუმარმა. – ვიცი, დიდებული მოქადაგე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ არ მეგონა, თუ ჩემს ადგილს უმიზნებდით.

სტორმმა ხელები გაასავსავა იმის ნიშნად, რომ მსგავსი რამ გულშიც არ გაუვლია, თუმცა ვერაფრის თქმა გაბედა.

მასწავლებელი სამოცი წლის იყო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბევრს მუშაობდა, ჯან-ღონეს არ უჩიოდა. ის და პასტორი ერთმანეთისგან ძალზე განსხვავდებოდნენ. სტორმი დალარნაში ყველაზე მაღალი კაცი იყო, შავი, ხუჭუჭა თმით, სპილენძისფერი კანით და მკვეთრი ნაკვთებით; ჩია ტანის პასტორის გვერდით, რომელსაც ჩავარდნილი გულმკერდი და შემელოტებული შუბლი ჰქონდა, გოლიათივით ჩანდა.

მასწავლებლის ცოლის აზრით, რახან მისი ქმარი სტუმარზე ძლიერი იყო, უნდა დაეთმო კიდევაც და სტორმს ანიშნა, უკან დაიხიეო, მაგრამ რა ნაწყენიც უნდა ყოფილიყო, ჩანდა, რომ კაცი თავის განზრახვაზე უარის თქმას არ აპირებდა.

მასწავლებელი უფრო დინჯად და დალაგებულად ალაპარაკდა. თქვა, დიდხანს არ მოგვიწევს ლოდინი, ვიდრე სექტანტები ჩვენს თემში შემოაღწევენ და ადგილი გვჭირდება, სადაც ხალხს უფრო უბრალო ენაზე დაველაპარაკებით, ვიდრე ეკლესიაში, ადგილი, სადაც ტექსტებს თავად ავირჩევთ, მთელ ბიბლიას განვმარტავთ და მრევლს ყველა ძნელად გასაგები ნაწყვეტის მნიშვნელობას შევასწავლითო.

ცოლი ანიშნებდა, გაჩუმდიო. ქალი ხვდებოდა, რასაც ფიქრობდა პასტორი მისი ქმრის თითოეულ სიტყვაზე: „აჰა, მაშ, მე მრევლისთვის არაფერი მისწავლებია, მაშ, ურწმუნოებისგან ვერ დავიცავი. განა ისეთი უვარგისი ვარ, რომ ჩემი სკოლის მასწავლებელს – ამ თვითნასწავლ გლეხს – ჰგონია, ჩემზე უკეთ იქადაგებს?“

მასწავლებელი კი არ ჩუმდებოდა და განაგრძობდა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სამწყსო დავიცვათ, ვიდრე მგლები შემოგვსევიანო.

– აქ ჯერ ერთი მგელიც არ მინახავს, – შეეპასუხა პასტორი.

– ვიცი, რომ ისინი გზაში არიან.

– ჰოდა, მათ სწორედ თქვენ უღებთ კარს, სტორმ.

პასტორი სავარძლიდან წამოდგა. მასწავლებლის სიტყვებმა ისე გააბრაზა, წამოწითლდა და

შეეცადა, ასე თუ ისე, ღირსება შეენარჩუნებინა.

– მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, ძვირფასო სტორმ! – თქვა მან.

იგი დიასახლისს მიუბრუნდა და იმ ლამაზ პატარძალზე გაეხუმრა, რომელიც ბოლოს მორთო, რადგან თემში ამას დედილო სტინა აკეთებდა, თუმცა როცა ქალი მიხვდა, როგორ დაემწუხრებინა სტუმარი საკუთარ უძლურებას, სიბრალულისგან ცრემლები გადმოსცვივდა და პასუხის გაცემაც ვერ შეძლო.

პასტორს ერთი ფიქრი აეკვიატა: „ეჰ, ნეტავ უწინდელი ძალა და უნარი მქონდეს! ამ გლეხუჭას ხომ წამში დავუმტკიცებდი, რომ საშინელებას აკეთებს.“

უეცრად იგი ისევ მასწავლებელს მიუბრუნდა:

– ფული როგორ იშოვეთ, სტორმ?

– სააქციო საზოგადოება დავაარსეთ, – უპასუხა სტორმმა და რამდენიმე გლეხი დაუსახელა, რომლებიც დახმარებას დაპირდნენ. უნდოდა, პასტორისთვის ეჩვენებინა, რომ ისეთი ადამიანები ედგნენ გვერდით, რომელთაც მისთვის ან ეკლესიითვის ზიანის მიყენება არც უფიქრიათ.

– ინგმარ ინგმარშონიც თქვენთან ერთად არის? – იკითხა პასტორმა. – აი, კიდევ ერთი ახალი დარტყმა. ინგმარსაც ისევე ვენდობოდი, როგორც შენ.

ამ ამბავზე პასტორს სიტყვა აღარ გაუგრძელებია, დიასახლისს მიუბრუნდა და საუბარი გაუბა. ალბათ, ისიც შენიშნა, რომ ქალი ტიროდა, თუმცა არ შეიმჩნია.

ცოტა ხანში სტუმარმა მაინც სთხოვა მასწავლებელს:

– ამას ნუ იზამთ, სტორმ! ჩემ გამო ნუ იზამთ! ნუთუ მოგეწონებოდათ, თქვენი სკოლის წინ ვინმეს ახალი სკოლა რომ წამოეჭიმა?

მასწავლებელი იჯდა, იატაკს დასცქეროდა და ფიქრობდა.

– არ შემიძლია, პასტორო, – განაცხადა მან ბოლოს და წელში გაიმართა, რომ პასუხს მედგრად და მშვიდად დახვედროდა.

პასტორს არაფერი უთქვამს და სულ ცოტა ათი წუთი ოთახში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მერე სტუმარი ადგა, პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა და კარისკენ დაიძრა. მთელი საღამო ცდილობდა, ისეთი სიტყვები ეპოვა, რითაც სტორმს დაუმტკიცებდა, რომ არასწორად იქცეოდა, არა მხოლოდ მის მიმართ, არამედ მთელი თემის მიმართაც, რომელსაც ეს წამოწყება განადგურებას უქადდა., მაგრამ ვინაიდან თავში სიტყვები და აზრები ერეოდა, მათი თავმოყრა და გამოთქმა ვერ შეძლო იმიტომ, რომ სულიერად იყო გატეხილი.

კარისკენ წასულმა პასტორმა უცებ გერტრუდს მოჰკრა თვალი, რომელიც კუთხეში იჯდა და თავისი შუშის ნამტვრევებით და ნაფოტებით თამაშობდა. კაცი შეჩერდა და გოგონას შეხედა. უფროსების საუბრიდან ბავშვს აშკარად არც ერთი სიტყვა არ გაუგონია, სიამოვნებისგან თვალები უბრწყინავდა და ლოყები წამოსწითლებოდა.

პასტორი მისი ღრმა მწუხარების გვერდით ასეთი ლაღი უდარდელობის დანახვამ დააბნია და გერტრუდთან მივიდა.

– რას აკეთებ? – იკითხა მან.

გოგონას თემის მშენებლობა კარგა ხნის წინ დაემთავრებინა, უკვე დაენგრია კიდევაც და ახალი საქმიანობა წამოეწყო.

– პასტორო, ნეტავ ცოტა ხნის წინ მოსულიყავით! – წამოიძახა ბავშვმა. – რომ იცოდეთ, რა ლამაზი სოფელი მქონდა, ეკლესიაც იყო და სკოლაც.

– ჰო? ახლა სადღაა?

– თემი უკვე დავანგრიე, ახლა კი იერუსალიმის აშენებას ვაპირებ და...

– რა თქვი? – შეაწყვეტინა პასტორმა. – თემი იმიტომ დაანგრიე, რომ იერუსალიმი აგეშენებინა?

– ჰო, – მიუგო გერტრუდმა, – ისეთი ლამაზი გამომივიდა, მაგრამ გუშინ სკოლაში იერუსალიმის შესახებ წავიკითხეთ, ჰოდა, დავშალე, რომ იერუსალიმი ამეშენებინა.

პასტორი იდგა და ბავშვს შეჰყურებდა. შუბლზე ხელი გადაისვა, რომ ფიქრებს გამკლავებოდა.

– ეტყობა, შენი პირით ვიღაც უფრო დიდი ლაპარაკობს, – თქვა მან.

ბავშვის სიტყვები ისეთი უცნაური მოეჩვენა, რომ მათ დროდადრო იმეორებდა. ამასობაში ჩვეულ ფიქრებს დაუბრუნდა: როგორ მართავდა ყველაფერს უფალი და თავისი ნების აღსასრულებლად რა ხერხებს მიმართავდა.

იგი მასწავლებელთან დაბრუნდა და ჩვეული, მეგობრული ხმით და თვალებში სრულიად ახალი სხივით უთხრა:

– აღარ გიჯავრდებით, სტორმ. ალბათ, იმას აკეთებთ, რაც საჭიროა.მთელი ცხოვრება ბევრს ვფიქრობდი უფლის განგებაზე, თუმცა დღემდე ვერაფერი გავარკვიე. ისიც არ მესმის, ახლა რა განგიზრახავთ, მაგრამ ვხვდები, რომ იმას აკეთებთ, რაც საჭიროა.

2. მათ ცის გახსნა იხილეს

იმ გაზაფხულზე, როცა მისიის სახლი აშენდა, თოვლი ისე სწრაფად გადნა, რომ დალელვენი ძალიან ადიდდა. საოცრება იყო: საითაც უნდა გაგეხედა, ყველგან წყალს დაინახავდი. ციდან წვიმა ასხამდა, მთებიდან უშველებელი ნიაღვრები ეშვებოდა, მიწა წყლით იყო გაჟღენთილი, ყველა ნაკვალევსა და ხნულში წყალი იდგა. მთელი ეს წყალი კი მდინარეს უერთდებოდა, რომელიც სულ უფრო იზრდებოდა და სულ უფრო სწრაფად მოჩქეფდა, უწინდელივით ჩამუქებული, კამკამა და მდორე კი არ იყო, მასში ჩამდინარე მიწანარევი წყლისგან მოყვითალო-ნაცრისფერი დაჰკრავდა, მორები და ყინულის ნატეხები მოჰყვებოდა. აბობოქრებულ ტალღებს ისე მოაგორებდა, შემზარავი სანახავი იყო.

თავიდან უფროსები გაზაფხულის წყალდიდობას დიდად არც შეუშფოთებია, ხოლო ბავშვები, როგორც კი დროს იხელთებდნენ, ნაპირებთან ჩარბოდნენ ადიდებული მდინარის სანახავად, რომელსაც ათასი რამ მოჰქონდა. დინებას უკვე მხოლოდ მორები და ყინულის ნატეხები კი არა, სამრეცხაო ბოგები და აბანოებიც მოჰყვებოდა, მერე კი ნავები და ტივტივა ხიდების ნაფოტებიც.

– მალე წყალი, ალბათ, ჩვენს ხიდსაც წაიღებს, – ამბობდნენ ბავშვები. ცოტათი კი ეშინოდათ, თუმცა უფრო გახარებულები იყვნენ იმით, რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა.

უეცრად მდინარეში დიდი, ძირფესვიანად მოგლეჯილი ნაძვი გამოჩნდა, მას თეთრი ვერხვი მოჰყვა და ნაპირიდან ჩანდა, რომ ვერხვის ფართო ტოტები ერთიანად გაკვირტული იყო და წყალს კვირტები გაეშალა. მერე თივის პატარა, ამოყირავებული ფარდული გამოჩნდა, ჯერ ისევ თივით და ჩალით იყო სავსე და სახურავით ისე მოცურავდა, როგორც გემი თავის კილზე.

ახლა უკვე უფროსებმაც გაახილეს თვალი, მიხვდნენ, რომ მდინარე სადღაც ჩრდილოეთში ნაპირებიდან გადმოვიდა და სანაპიროებზე ნავსაბმელებს და ბოძებს დაატყდა თავს, რომ სახლები და სხვა შენობებიც მიეტაცებინა.

თემის ჩრდილოეთით, იქ, სადაც სახლები კანტი-კუნტად იყო და იშვიათად გადაეყრებოდი ვინმეს, მდინარის ნაპირზე მარტოდმარტო იდგა ინგმარ ინგმარშონი. სამოც წელს იყო მიღწეული, თუმცა უფრო ასაკოვანს ჰგავდა. ტლანქი სახე დაღარვოდა, წელში მოხრილიყო და უწინდელივით მოუხეშავი და უილაჯო ჩანდა.

ინგმარი ნავის გრძელ და მძიმე კავს მოჭიდებოდა და მდინარეს ნამძინარევი მზერით გაჰყურებდა. ქაფმოდებული მდინარე ღრიალებდა და თავმომწონედ მიაქანებდა ყველაფერს, რაც ნაპირებიდან გაეტაცებინა, თითქოს გლეხებს ზოზინის გამო მასხრად იგდებდა და ამბობდა, რაც თან მიმაქვს, იმას ვერ წამართმევთო.

ინგმარ ინგმარშონს სულ ახლოს ჩაუარა ტივტივა ხიდებმა და ნავებმა. კაცს მათი ამოთრევა არც უცდია. „სულ ერთია, მაინც ქვემოთ, სოფელში ჩაიტანს,“ გაიფიქრა მან. მდინარეს წამითაც არ აშორებდა თვალს და გვერდით ჩავლილ საგნებს ვერც ამჩნევდა. შორს, მდინარის აღმა ყვითელმა ლაქამ გაიელვა, რომელიც ერთმანეთზე მილურსმულ ფიცრებზე ქანაობდა. ინგმარმა ლაქა მყისვე შენიშნა.

– აი, ამდენ ხანს ამას ველოდი, – თავისთვის, ხმამაღლა თქვა კაცმა. ჯერ კიდევ ვერ არჩევდა, რა იყო ის ყვითელი, თუმცა იმისთვის, ვინც იცოდა, როგორ იცვამდნენ დალარნელი ბავშვები, ეს იოლი გამოსაცნობი გახლდათ. „ეტყობა, ისევ ისინი არიან, სამრეცხაო ბოგაზე რომ თამაშობდნენ და, ვიდრე მდინარე გაიტაცებდა, შინ წასვლა აზრადაც არ მოსვლიათ.“

ინგმარს დიდი ხანი არ დასჭირვებია იმაში დასარწმუნებლად, რომ არ შემცდარა. უკვე მკაფიოდ ხედავდა სამ პატარა ბავშვს, რომელთაც ყვითელი, შინნაქსოვი მაუდის ქურთუკები ეცვათ და

ყვითელი, მრგვალი ქუდები ეხურათ. ბავშვები მდინარეს უხეიროდ შეკრულ ბოგაზე ჩაბღაუჭებულები მოუყვებოდნენ, რომელსაც დინება და ყინულის ბასრი ნატეხები ნელ-ნელა შლიდა.

ბავშვები ჯერ ისევ შორს იყვნენ, როდესაც ინგმარი მიხვდა, რომ ჭორომი პირდაპირ მისი ნაპირისკენ მოექანებოდა. ღვთის ნებით, თუ ბოგა, რომელზეც ბავშვები ისხდნენ, ჭორომში მოყვებოდა, კაცს მათი გამოყვანა არ უნდა გასჭირვებოდა.

ინგმარი უძრავად იდგა და მდინარეს გასცქეროდა. ბოგამ, თითქოს ვიღაცამ უბიძგაო, მოუხვია და ნაპირისკენ დაიძრა. ბავშვები ისე ახლოს იყვნენ, რომ ინგმარი მათ პატარა, შეშინებულ სახეებსაც ხედავდა და მათი ტირილიც ესმოდა, თუმცა ჯერ ისე შორს იყვნენ, რომ ნაპირიდან ნავის კაუჭით ვერ მისწვდებოდა. მაშინ ინგმარი მდინარისკენ დაეშვა და წყალში შეტოპა. სწორედ ამ დროს უცნაური გრძნობა დაეუფლა, მოეჩვენა, რომ ვიღაც უკან უხმობდა: „ახალგაზრდა აღარ ხარ, ინგმარ, ეს შეიძლება შენთვის სახიფათო აღმოჩნდეს.“

ინგმარი წამით დაფიქრდა, ჰქონდა თუ არა უფლება, საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო. ცოლი, რომელსაც ოდესღაც ციხეში მიაკითხა და შინ მოიყვანა, გასულ ზამთარს გარდაიცვალა და მისი სიკვდილის შემდეგ კაცი სულ იმას ნატრობდა, ნეტავ მალე მეც გავყვეო. მეორე მხრივ კი, ჯერ ისევ მცირეწლოვანი ვაჟი ჰყავდა, რომლისთვისაც მამული უნდა ჩაებარებინა. ბიჭის გამო სიცოცხლე უნდა გაეგრძელებინა.

– მაინც ისე იქნება, როგორც უფალს სურს, – ჩაილაპარაკა მან.

დიდ ინგმარს მოუქნელობის და სიზანტის ნატამალიც აღარ შერჩა. აბობოქრებულ მდინარეში შესვლისთანავე ჭოკი მაგრად ჩაარჭო ფსკერზე, რომ დინებას არ გაეტაცებინა, თან გვერდით ჩავლილ ყინულის ნატეხებს და მორებს არიდებდა თავს, რომ არ დაჯახებოდა, ხოლო როდესაც ბოგა მოუახლოვდა, ფეხები მდინარის ფსკერს დააბჯინა, ნავის კაუჭი გაიწოდა და ბოგას გამოსდო.

– მაგრად მოეჭიდეთ! – დაუყვირა მან ბავშვებს და კაუჭი თავისკენ გამოსწია, ამ დროს ბოგამ ისე მკვეთრად მოუხვია, რომ ფიცრებმა ტკაცანი გაიღო, თუმცა ნაგებობამ ამასაც გაუძლო და დიდმა ინგმარმა ყველაზე ჩქარი დინებიდან გამოათრია, მერე კი ხელი გაუშვა, რადგან იცოდა, რომ ნაპირზე ისედაც გაირიყებოდა.

კაცმა ჭოკი ისევ ფსკერზე ჩაარჭო, ხმელეთზე ამოსასვლელად მობრუნდა და ვერ შენიშნა დიდი მორი, რომელიც მისკენ მოექანებოდა. მორი ინგმარს გვერდულად, იღლიის ქვეშ დაეჯახა. შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ჭოკი ელვის სისწრაფით გამოეცალა ხელიდან და კაცმა წონასწორობა დაკარგა, მაგრამ მაშინვე კაუჭს ჩაეჭიდა და ხმელეთზე ამოვიდა. უკვე ნაპირზე იდგა, თუმცა სხეულს ვეღარ გრძნობდა. ალბათ, მთელი გულმკერდი გაგლეჯილი ჰქონდა. პირი მყისვე სისხლით აევსო. „შენი საქმე წასულია, დიდო ინგმარ,“ გაიფიქრა მან, ნაბიჯის გადადგმაც ვეღარ შეძლო და იქვე, ნაპირზე დაეცა.

გადარჩენილმა ბავშვებმა განგაში ატეხეს, ნაპირზე ხალხი მოგროვდა და ინგმარი შინ წაიყვანეს.

ინგმარის მამულში პასტორი მოიყვანეს და მან მთელი საღამო იქ გაატარა. შინ დაბრუნებამდე პასტორმა მასწავლებელთან შეიარა. იმ დღეს იმდენი რამ გადაიტანა, უეჭველად ვინმესთვის უნდა მოეთხრო.

მასწავლებელი და დედილო სტინა ძალზე დამწუხრებულები დახვდნენ, რადგან უკვე შეეტყოთ, რომ ინგმარ ინგმარშონი ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ პასტორი მათ სახლში მსუბუქი ნაბიჯით და სახეგანათებული შევიდა.

მასწავლებელმა მაშინვე ის ჰკითხა, ინგმარს ცოცხალს თუ მიუსწარიო.

– ჰო, თუმცა ჩემი იქ ყოფნა საჭირო არ იყო.

– როგორ თუ საჭირო არ იყო? – გაიკვირვა დედილო სტინამ.

– ჰო, – თქვა პასტორმა და სახეზე იდუმალი ღიმილი გადაეფინა, – საკუთარ თავს უჩემოდაც მშვენივრად დაეხმარა.

– მომაკვდავის სარეცელთან ჯდომა ბევრჯერ გამჭირვებია, – წამოიწყო ისევ სტუმარმა.

– ჰო, მესმის, აბა რა, – თავი დაუქნია მასწავლებელმა.

– თანაც სულ სხვაა, როცა თემში ყველაზე გამორჩეული კაცი კვდება.

– კი, სწორედ ასეა.

– თუმცა ყველაფერი შეიძლება სხვაგვარადაც იყოს, ვიდრე ჩვენ გვგონია.

აქ პასტორი ცოტა ხნით დადუმდა და მზერა გაუშეშდა. სათვალის მინებს იქით თვალები ჩვეულებრივზე უფრო უელავდა.

– სტორმ ან თქვენ, დედილო სტინა, ის უცნაური ამბავი თუ გსმენიათ, დიდ ინგმარს ახალგაზრდობაში რომ გადახდენია? – იკითხა მან.

მასწავლებელმა უპასუხა, მის შესახებ ბევრი რამ გაგვიგიაო.

– რასაკვირველია, თუმცა ეს ამბავი ყველაზე უჩვეულოა. დღეს ინგმარის მამულში პირველად მოვისმინე.

პასტორი წამით გაჩუმდა, მერე კი განაგრძო:

– დიდ ინგმარს ერთი კარგი მეგობარი ჰყავდა – მისი მამულის მოიჯარადრე.

– ჰო, ვიცი, – მიუგო მასწავლებელმა, – მასაც ინგმარი ჰქვია და, დიდი ინგმარისგან რომ გაარჩიონ, ღონიერ ინგმარს ეძახიან.

– სწორედ ასეა, – კვერი დაუკრა პასტორმა, – მამამ მას ინგმარი მიწის პატრონის პატივსაცემად დაარქვა.

ერთხელ, დიდი ინგმარის ახალგაზრდობაში, ზაფხულის ნათელ, შაბათ საღამოს დიდმა ინგმარმა და მისმა მეგობარმა სამუშაოს დამთავრების შემდეგ საგარეო ტანსაცმელი ჩაიცვეს და სოფელში ჩავიდნენ გასართობად.

პასტორი ისევ დადუმდა და ჩაფიქრდა.

– წარმომიდგენია, რა მშვენიერი საღამო იქნებოდა, მშვიდი, ნათელი, ისეთი საღამო, როცა ცა და დედამიწა ფერს იცვლის – ცა ღია მწვანე გეჩვენება, მიწა კი ისე ეხვევა ნისლის თხელ საბურველში, რომ ყველაფერს თეთრი ან მოცისფრო ელფერი ედება.

როდესაც დიდი ინგმარი და ღონიერი ინგმარი სოფლისკენ დაეშვნენ და ტივტივა ხიდზე გადასვლა დააპირეს, მოეჩვენათ, თითქოს ვიღაცამ უთხრა, მაღლა აიხედეთო. მეგობრები ასეც მოიქცნენ და თავს ზემოთ გახსნილი ზეცა დაინახეს. მთელი ცის თაღი ფარდასავით განზე გაწეულიყო, ისინი კი ხელიხელჩაკიდებულები იდგნენ და ზეციურ ბრწყინვალებას შეჰყურებდნენ.

ოდესმე მსგავსი რამ თუ გსმენიათ, დედილო სტინა და სტორმ? ორივე ინგმარი ხიდზე იდგა და გახსნილ ზეცას შესცქეროდა!

მეგობრებს შვილებისა და ახლო ნათესავების გარდა არასოდეს არავისთვის უთქვამთ ამის შესახებ. ეს არც ერთ უცხო ადამიანს არ უნდა სცოდნოდა, რადგან ზეციური ბრწყინვალების ხილვა მათი უდიდესი განძი და უწმინდესი საჩუქარი იყო...

პასტორმა მიმოიხედა და ღრმად ამოიოხრა.

– ადრე ასეთი რამ არასოდეს გამიგია, – თქვა მან და ხმა ოდნავ აუკანკალდა. – ისე მომინდა, იმ ხიდზე დიდ ინგმართან და ღონიერ ინგმართან ერთად ვმდგარიყავი და ცის გახსნა მენახა.

დღეს კი, როდესაც დიდი ინგმარი შინ მიიყვანეს, მომაკვდავმა ბრძანა, ღონიერი ინგმარი მომიყვანეთო. როგორც კი მე და ექიმი გვიხმეს, მასთანაც აფრინეს კაცი, მაგრამ ღონიერი ინგმარი სახლში არ დახვდა: ზევით, ტყეში ასულიყო შეშაზე და მისი პოვნა არც ისე ადვილი იყო. კაცს კაცზე აგზავნიდნენ, დიდი ინგმარი კი იწვა და შფოთავდა, ვაითუ, სიკვდილის წინ მეგობარი ვერ ვნახოო.

კარგა ხანი გავიდა, ვიდრე მე და ექიმი მამულში მივიდოდით, თუმცა ღონიერი ინგმარი ჯერ ისევ არსად ჩანდა.

დიდ ინგმარს ჩვენ არც კი მოვუკითხივართ. უკვე სიკვდილის პირას იყო, როცა მითხრა: „მალე მოვკვდები, პასტორო და მხოლოდ ის მინდა, ღონიერი ინგმარის ნახვა მოვასწრო.“

მამაკვდავი საძინებელში, ფართო საწოლში იწვა და მდიდრული გობელენი გადაეფარებინათ. თვალები ღია ჰქონდა და შორს დაჟინებით მისჩერებოდა რაღაცას, რასაც სხვა ვერავინ ხედავდა. სამი ბავშვი, რომლებიც მან გადაარჩინა, მობუზულები ისხდნენ საწოლზე, მის ფერხთით. ზოგჯერ მომაკვდავს მზერა შორეული წერტილიდან ბავშვებზე გადაჰქონდა და ამ დროს სახეზე ღიმილი ეფინებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მოიჯარადრე გამოჩნდა და დიდ ინგმარს პარმაღზე მეგობრის მძიმე ნაბიჯების ხმის გაგონებაზე გაეღიმა.

კაცი მომაკვდავის საწოლთან რომ მივიდა, დიდი ინგმარი ხელზე ფრთხილად მოეფერა და ჰკითხა:

– გახსოვს, ღონიერო ინგმარ, სოფელში, ხიდზე რომ გადავდიოდით და ცის გახსნა ვიხილეთ?

– როგორ არ მახსოვს. ორივენი ვიდექით და ზეცაში ვიყურებოდით, – უპასუხა ღონიერმა ინგმარმა.

დიდი ინგმარი მეგობრისკენ მიბრუნდა, გაიღიმა და სახე ისე გაუბრწყინდა, თითქოს კარგი ახალი ამბის სათქმელად ემზადებაო. „ახლა სწორედ იქ მივდივარ," თქვა მან. მაშინ ღონიერი ინგმარი მომაკვდავისკენ დაიხარა, თვალებში ჩახედა და უთხრა, მეც გამოგყვებიო. დიდმა ინგმარმა თავი დაუქნია. „მაგრამ ხომ იცი, ვიდრე შენი ვაჟი შორეული მოგზაურობიდან არ დაბრუნდება, იქამდე ვერ მოვალ." „ჰო, ვიცი," მიუგო მომაკვდავმა და ისევ დაუქნია თავი, მერე კი ერთი-ორჯერ ღრმად ამოისუნთქა და მიიცვალა.

მასწავლებელმა დაუდასტურა პასტორს, რომ ეს მართლაც ლამაზი სიკვდილი იყო. სამივენი კარგა ხანს დუმდნენ.

– მოიცა, – თქვა უეცრად დედილო სტინამ, – ღონიერი ინგმარი რა შორეულ მოგზაურობაზე ლაპარაკობდა?

პასტორი ცოტა შეცბუნებული ჩანდა.

– არ ვიცი, დიდი ინგმარი სწორედ იმ დროს გარდაიცვალა და ამაზე ფიქრის დრო არ მქონდა.

სტუმარი ფიქრებში ჩაიძირა.

– მართალი ხართ, სტინა, ძალზე უცნაური სიტყვებია.

– იცით, პასტორო, ღონიერ ინგმარზე ამბობენ, მომავალს ხედავსო.

პასტორი იჯდა და შუბლზე ისე ისვამდა ხელს, თითქოს საკუთარ ფიქრებში გარკვევას ცდილობსო.

– ყველაზე გასაოცარი ღვთის განგებაზე ფიქრია, – განაცხადა მან, – ამქვეყნად ამაზე საკვირველი არაფერია.

3. კარინ ინგმარშდოთერი

შემოდგომის დილა იყო. სკოლაში დილის შესვენება დაიწყო. მასწავლებელი და გერტრუდი სამზარეულოში შევიდნენ, მაგიდას მიუსხდნენ და დედილო სტინამ ყავა დაუსხა. ვიდრე ყავას მოსვამდნენ, სამზარეულოში სტუმარი შემოვიდა.

მოსულს ჰალვურ ჰალვურშონი ერქვა. ამ ახალგაზრდა კაცს სოფელში დუქანი ჰქონდა, ტიმსგორდენიდან იყო და ამიტომაც ტიმს ჰალვურს ეძახდნენ. მაღალი, ლამაზი კაცი იყო, თუმცა ბეჩავი შესახედაობა ჰქონდა. დედილო სტინამ მასაც შესთავაზა ყავა. კაცი მაგიდას მიუჯდა და მასწავლებელს მუსაიფი გაუბა.

დიასახლისი ფანჯრის ქვეშ, ხის დივანზე იჯდა და ქსოვდა, თან გზას გაჰყურებდა. უეცრად იგი სახეზე წამოწითლდა და წამოიწია, რომ უკეთ დაენახა, თუმცა მყისვე შეეცადა, დამშვიდებულიყო და გულგრილად თქვა:

– მგონი, საპატიო სტუმრები გვეწვივნენ.

მედუქნემ დიასახლისის ხმაში რაღაც უჩვეულო შენიშნა, წამოდგა, გარეთ გაიხედა და სკოლისკენ მომავალი მაღალი, ოდნავ მხრებში მოხრილი ქალი და ყმაწვილკაცი დაინახა.

– თუ თვალი არ მატყუებს, ეს კარინ ინგმარშდოთერი უნდა იყოს, – თქვა დედილო სტინამ.

– ჰო, მართლაც კარინია, – დაუდასტურა მედუქნემ. სხვა არაფერი უთქვამს, ფანჯარას მოსცილდა და სამზარეულო ისე მოათვალიერა, თითქოს სამალავს ეძებსო, თუმცა მერე წყნარად დაუბრუნდა თავის ადგილს.

საქმე ის გახლდათ, რომ შარშან ზაფხულს, როცა დიდი ინგმარი ჯერ ისევ ცოცხალი იყო, ჰალვურმა კარინს ხელი სთხოვა. დაქორწინება გაჭიანურდა, რადგან ბევრი რამ სათუო იყო. კარინის

მშობლები დარწმუნებულები არ იყვნენ, ჰალვური კარგი სასიძო იყო თუ არა. ჰალვური მდიდარი იყო, მაგრამ მამამისი სვამდა და შეიძლება, ეს ჩვევა შვილებსაც გამოჰყოლოდათ. ბოლოს მაინც გადაწყდა, რომ მას კარინს მიათხოვებდნენ.

ქორწილი დაინიშნა და პასტორს შეუთანხმდნენ, რომ ნიშნობას გამოაცხადებდნენ, მაგრამ ნიშნობის პირველ გამოცხადებამდე ჰალვური და კარინი საქორწინო ბეჭდების და ფსალმუნის საყიდლად ფალუნში გაემგზავრნენ, სადაც სამი დღე დაჰყვეს, იქიდან დაბრუნებულმა კარინმა კი მამას განუცხადა, ჰალვურს ცოლად ვერ გავყვებიო. ერთადერთი ბრალი, რაც კარინმა საქმროს წაუყენა, ის იყო, რომ იგი ერთხელ დათვრა და გოგოს შეეშინდა, მამას არ დაემსგავსოსო. დიდმა ინგმარმა თქვა, ქალიშვილის სურვილს წინ ვერ აღვუდგებიო და ჰალვური უარით გაისტუმრა.

კაცმა ეს ამბავი ძალიან განიცადა.

– ისე შემარცხვინე, რომ ამას ვერ გადავიტან, – უთხრა მან კარინს. – რას იფიქრებს ხალხი, უარი რომ მითხარი? განა ღირსეულ კაცს ასე ექცევიან?

მაგრამ კარინმა აღარ გადათქვა და მას შემდეგ ჰალვური უბედური და სევდიანი იყო, ვერ ივიწყებდა, რა უსამართლოდ მოექცნენ ინგმარშონები.

და აი, კარინი მოვიდა, აქ კი ჰალვური დახვდა. ნეტავ რა მოხდებოდა?

ერთი რამ ცხადი იყო – შერიგებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. შარშან, შემოდგომაზე კარინი ელიას ელოფ ერშონს გაჰყვა ცოლად. ის და მისი ქმარი ინგმარის მამულში ცხოვრობდნენ და, გაზაფხულიდან მოყოლებული, დიდი ინგმარის გარდაცვალების შემდეგ, იქაურობას უძღვებოდნენ. დიდ ინგმარს ხუთი ქალიშვილი და ერთი ვაჟი დარჩა, მაგრამ ბიჭი ისეთი პატარა იყო, რომ მამის დანატოვარ ქონებას ვერ მიხედავდა.

ამასობაში კარინი სამზარეულოში შემოვიდა. ოც წელზე მეტის არ იქნებოდა, მაგრამ გაცილებით უფროსს ჰგავდა. სხვაგან, ალბათ, ძალიან უშნო ქალად ჩათვლიდნენ, რადგან სხვა ინგმარშონების მსგავსად მასაც მძიმე ქუთუთოები, მოწითალო თმა და მკვეთრად მოხაზული პირი ჰქონდა, მაგრამ მასწავლებელს და მის ცოლს სწორედ ის მოსწონდათ, რომ კარინი ასე ჰგავდა თავის წინაპრებს.

კარინს ჰალვურის დანახვაზე წარბი არ შეუხრია. აუჩქარებლად ჩამოუარა ყველას და მიესალმა. როცა ჰალვურის ჯერი დადგა, მან ისე გაუწოდა ხელი, რომ ერთმანეთს მხოლოდ თითის წვერებით შეხებოდნენ.

კარინი მუდამ ოდნავ წინ გადახრილი დადიოდა, ჰალვურთან მიახლოებისას კი თავი თითქოს ჩვეულებრივზე უფრო წინ გადახარა, თუმცა კაცი სარგადაყლაპულივით გაიჭიმა.

– ეტყობა, სასეირნოდ იყავით, კარინ, – უთხრა დედილო სტინამ და სტუმარს პასტორის სავარძელი შესთავაზა.

– ჰო, ახლა მოყინულია და სიარულიც იოლია.

– მართალია, ღამით საშინელი ყინვა იყო, – შენიშნა მასწავლებელმა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. სათქმელი არავის არაფერი ჰქონდა. დუმილი რამდენიმე წუთს გაგრძელდა, მერე კი ჰალვური წამოდგა და სხვებიც ისე წამოიშალნენ, თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვნენო.

– ჩემი წასვლის დროა, დუქანში უნდა დავბრუნდე, – თქვა მან.

– რა გეჩქარება, ჰალვურ, – შეეპატიჟა დიასახლისი.

– შენ რა, ჩემ გამო ხომ არ მიდიხარ, ჰალვურ? – დარცხვენილი ხმით ჰკითხა კაცს კარინმა.

ჰალვურის წასვლისთანავე უხერხულობა სადღაც გაქრა და მასწავლებელმაც მყისვე მოისაზრა, რაზე უნდა ელაპარაკა. მან კარინის თანმხლებ ბიჭს შეხედა, რომლისთვისაც აქამდე ყურადღება არავის მიუქცევია. ბიჭი პატარა იყო, გერტრუდის კბილა თუ იქნებოდა, ნათელი, ბავშვური გამომეტყველება ჰქონდა, თუმცა ნაადრევად დაბრძენებულსაც ჰგავდა და არც იმის მიხვედრა იყო ძნელი, ვის გვარს ეკუთვნოდა.

– მგონი, ახალი მოსწავლე მოგვიყვანეთ, კარინ, – თქვა სტორმმა.

– ეს ჩემი ძმაა, ახლა ის არის ინგმარ ინგმარშონი.

– ამ სახელისთვის პატარა ხომ არაა? – შენიშნა მასწავლებელმა.

– ჰო, მამა მეტისმეტად ადრე გარდაიცვალა.

– ეგ მართალია, – ერთხმად დაეთანხმა ცოლ-ქმარი.

– ინგმარი ადრე ფალუნის სკოლაში სწავლობდა, ამიტომაც არ შეხვედრიხართ ადრე, მასწავლებელო.

– გინდათ, წელსვე ჩვენს სკოლაში გადმოვიდეს?

კარინმა მძიმე ქუთუთოები დაუშვა და ღრმად ამოიოხრა, თუმცა კითხვაზე პასუხი არ გაუცია.

– ინგმარი კარგად სწავლობს, – თქვა მან ბოლოს.

– ჰო, მაგრამ იმის მეშინია, რომ აქ ვეღარაფერს ისწავლის. ალბათ, უკვე ჩემზე მეტი იცის.

– რას ამბობთ, მასწავლებელმა ბავშვზე მეტი ყოველთვის იცის.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც კარინმა დაარღვია.

– აქ მარტო განათლებაზე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ. მინდოდა მეკითხა, თუ შეიძლება, რომ ბიჭმა თქვენთან იცხოვროს?

ცოლ-ქმარმა გაოცებით შეხედა ერთმანეთს. ვერც ერთმა ვერ ამოიღო ხმა.

– კი, მაგრამ ცოტა ვიწროდ ვართ, – თქვა ბოლოს სტორმმა.

– ვიფიქრე, გასამრჯელოს კარაქით, რძით და კვერცხებით გადაგიხდით-მეთქი.

– ჰოო, თუ ასეა...

– ამით დიდ სამსახურს გამიწევდით, – თქვა სტუმარმა.

დედილო სტინა მიხვდა, კარინს ძალიან რომ არ დასჭირვებოდა, მათთან ასეთი უცნაური თხოვნით არ მოვიდოდა და მაშინვე გადაწყვიტა, დათანხმებოდა.

– ამდენი თხოვნა რა საჭიროა, კარინ, – თქვა მან. – ინგმარშონებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შეგვიძლია.

– მადლობა! – თქვა კარინმა.

ქალები დიდხანს ბჭობდნენ, როგორ უნდა ეცხოვრა აქ ინგმარს, სტორმმა კი ბიჭი კლასში შეიყვანა. ინგმარი გერტრუდს მიუჯდა გვერდით და პირველ დღეს სიტყვაც არ დასცდენია.

ტიმს ჰალვურს მთელი კვირა სკოლიდან თავი შორს ეჭირა, თითქოს ეშინოდა, იქ კარინს არ გადავეყაროო, მაგრამ ერთ დილას, როცა კოკისპირულად წვიმდა და დუქანში არავინ შემოსულა, გულზე სევდა შემოაწვა. „არაფრად ვვარგივარ, პატივსაც არავინ მცემს,“ ფიქრობდა იგი და ისევე იტანჯებოდა, როგორც მაშინ, როდესაც კარინმა მიატოვა. ბოლოს გადაწყვიტა, დედილო სტინას სწვეოდა, რათა მასთან მხიარულად და მეგობრულად ესაუბრა.

ჰალვურმა ცარიელი დუქანი დაკეტა, ქურთუკი ტანზე მჭიდროდ შემოიხვია და წვიმასა და ქარში, გუბეებში ჭყაპუნით სკოლისკენ გაუყვა გზას.

კაცი სკოლაში დაბრუნებით ისეთი კმაყოფილი იყო, შესვენების ზარმა რომ დარეკა და სტორმი ორ ბავშვთან ერთად ყავის დასალევად შემოვიდა, ჯერაც იქ იჯდა.

სამივენი ჰალვურთან მივიდნენ და მიესალმნენ. იგი მასწავლებელთან მისასალმებლად წამოიწია, მაგრამ როდესაც ინგმარმა გაუწოდა ხელი, ჰალვური უკვე იჯდა და დედილო სტინას ისე გაცხარებით ელაპარაკებოდა, ეტყობა, ბიჭი არც შეუნიშნავს. ინგმარი ცოტა ხანს ჩუმად იდგა, მერე კი მაგიდას მიუჯდა, თან რამდენჯერმე ზუსტად კარინივით ამოიოხრა.

– ჰალვური თავისი ახალი საათის საჩვენებლად მოვიდა, – თქვა დედილო სტინამ, სტუმარმაც ჯიბიდან ახალთახალი ვერცხლის საათი ამოიღო და ყველას აჩვენა. ძალიან ლამაზ, პატარა საათს სახურავზე მოოქროვილი ყვავილი ჰქონდა. მასწავლებელმა საათი გახსნა და სკოლაში შევიდა ლუპის მოსატანად, რომელსაც თვალზე ირგებდა ხოლმე, როცა რამეს ათვალიერებდა, აღტაცებული კარგა ხანს იდგა და მექანიზმში ბორბლების ტრიალით ტკბებოდა, მერე კი განაცხადა, ასეთი ნატიფი ნამუშევარი არასოდეს მინახავსო. ბოლოს საათი ჰალვურს დაუბრუნა, მან კი შეინახა, თუმცა ნივთის შექებით გამოწვეული სიხარული და სიამაყე არ ეტყობოდა.

ინგმარი საუზმის დამთავრებამდე დუმდა, მაგრამ ყავის ფინჯანი რომ გამოცალა, სტორმს ჰკითხა, საათებში თუ ერკვევითო.

– ჰო, – მიუგო მასწავლებელმა, – ხომ იცი, ყველაფერში ვერკვევი.

მაშინ ინგმარმა ჟილეტის ჯიბიდან საათი ამოიღო. დიდი, მრგვალი, ვერცხლის ჯიბის საათი ახლახან ნანახ საათთან შედარებით საოცრად უშნო და ტლანქი ჩანდა. ძეწკვი, რომელზეც საათი ეკიდა, ასევე უშნო და ტლანქი იყო. სახურავს არც ერთი ორნამენტი არ ამშვენებდა და ჩაჭყლეტილი იყო. საათიც აღარ ეთქმოდა, ისრებს მინა აღარ ფარავდა და ციფერბლატზე მინანქარიც დამტვრეულიყო.

– გაჩერებულია, – თქვა სტორმმა და საათი ყურთან მიიტანა.

– ჰო, – დაუდასტურა ბიჭმა, – მხოლოდ იმის გაგება მინდოდა, ვინმეს მისი შეკეთება თუ შეეძლო.

სტორმმა საათი გახსნა. შიგნიდან ისეთი ჟღრიალი გაისმა, თითქოს ყველა ბორბალი მოშლილიაო.

– ამ საათისთვის ბოლო მოგიღია, მე ვეღარაფერს ვუშველი.

– იქნებ მესაათე ერიკმა შეაკეთოს?

– არა, ამაზე მეტს ვერც ის გეტყვის. სჯობს, ფალუნში გააგზავნო და მექანიზმი გამოუცვალონ.

– ჰო, ასეც ვფიქრობდი, – თქვა ინგმარმა და სტორმს საათი გამოართვა.

– თუ ღმერთი გწამს, მითხარი, რა უქენი ამ საათს?

ბიჭი დაჯდა და ნერწყვი ისე გადაყლაპა, თითქოს ცრემლი ახრჩობსო.

– ეს მამაჩემის საათი იყო და, მორი რომ დაეჯახა, მაშინ დაზიანდა.

ყველანი სმენად იქცნენ და ინგმარმა თავს ძალა დაატანა, რომ განეგრძო.

– სააღდგომო არდადეგები მქონდა, ასე, რომ როცა ეს მოხდა, შინ ვიყავი და პირველი მე ჩავედი ნაპირზე, სადაც მამა იწვა. ხელში საათი ეჭირა. „ჩემი საქმე წასულია, ინგმარ,“ მითხრა მამამ, „ვწუხვარ, რომ საათი დაიმტვრა, რადგან მინდა, ერთ ადამიანს მისცე, რომელსაც ცუდად მოვექეცი და ჩემგან მოიკითხო.“ მერე კი ისიც თქვა, საათი ვისთვის უნდა გადამეცა და მთხოვა, ვიდრე მის სურვილს შევასრულებდი, ფალუნში შემეკეთებინა, მაგრამ ფალუნში აღარ დავბრუნებულვარ, ახლა კი არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

მასწავლებელი მყისვე იმის გახსენებას შეუდგა, ვინმეს თუ იცნობდა, ვინც მალე ქალაქში მიემგზავრებოდა, დედილო სტინა კი ბიჭს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– ვისთვის უნდა მიგეცა საათი, ინგმარ?

– არ ვიცი, ეს უნდა ვთქვა თუ არა, – მიუგო მან.

– ტიმს ჰალვურისთვის ხომ არა, აი, აგერ რომ ზის?

– ჰო, სწორედ მისთვის, – ხმადაბლა თქვა ინგმარმა.

– მაშინ ახლავე მიეცი, ძალიან გაუხარდება.

ინგმარი მორჩილად წამოდგა, საათი ჯიბიდან ამოიღო და პერანგის სახელო გადაუსვა, რომ ცოტათი მაინც გაელამაზებინა, მერე კი გრძელი ნაბიჯებით გაემართა ჰალვურისკენ.

– მამაჩემისგან მოკითხვას და ამ საათს გადმოგცემთ, – თქვა მან და კაცს საათი გაუწოდა.

ჰალვური მთელი ეს დრო ჩუმად და დაღვრემილი იჯდა, ხოლო ბიჭის მიახლოებისას თვალებზე ხელი აიფარა, თითქოს მისი დანახვაც არ უნდაო. ინგმარი საათით ხელში კარგა ხანს იდგა მის წინ, ბოლოს კი დიასახლისს ისე შეხედა, თითქოს მისგან შველას ითხოვდა.

– ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, – თქვა ქალმა.

ჰალვურმა უარის ნიშნად ცალი ხელი გაასავსავა. მაშინ სტორმიც მიეშველა ბიჭს:

– არა მგონია, დანაშაულის ამაზე უკეთ გამოსყიდვა შეიძლებოდეს, ჰალვურ. ყოველთვის ვამბობდი, ინგმარ ინგმარშონი რომ ცოცხალი იყოს, დიდი ხნის წინ მოგაგებდა იმ პატივს, რომელსაც იმსახურებ.

მათ დაინახეს, რომ ჰალვურმა თავს ძალა დაატანა და იმ ხელით, რომელიც თვალებზე ჰქონდა აფარებული, ინგმარს საათი გამოართვა, მერე კი სწრაფად დამალა ჟილეტის ჯიბეში.

– მაგ საათს არავინ წაგართმევს, – თქვა მასწავლებელმა და იმის დანახვაზე, რა გულმოდინედ შეიკრა ჰალვურმა ქურთუკი, გაეცინა. ჰალვურმაც გაიცინა, წამოდგა, წელში გასწორდა და ღრმად

ამოისუნთქა. ლოყები ვარდისფრად შეეფაკლა და ოთახს ხალისიანი და გულღია მზერა მოავლო.

– ასე მგონია, ისეთი გრძნობა გაქვს, რომ ხელახლა დაიბადე, ჰალვურ, – თქვა მასწავლებლის ცოლმა.

ჰალვურმა ხელი ქურთუკის ჯიბეში ჩაიყო და თავისი ახალი საათი ამოიღო, მერე კი ინგმართან მივიდა, რომელიც ისევ მაგიდასთან დამჯდარიყო და უთხრა:

– რახან მამაშენის საათი მომეცი, ჩემგან ეს უნდა მიიღო.

შემდეგ მან საათი მაგიდაზე დადო და ისე წავიდა, არავის დამშვიდობებია. მთელი დღე შარაგზებსა და ბილიკებზე დაეხეტებოდა. საყიდლებზე მოსული რამდენიმე ვესტგორდენელი გლეხი დაღამებამდე ელოდა კაცს მის დუქანთან, თუმცა ტიმს ჰალვური არ გამოჩენილა.

ელიასგორდენელ ელოფ ერშონს, რომელმაც ცოლად კარინ ინგმარშდოთერი შეირთო, ბოროტი და ძუნწი მამა ჰყავდა. მამა ვაჟს ყოველთვის მკაცრად ექცეოდა. ბავშვობაში საკმარისი საჭმელი არასოდეს ჰქონია, თუმცა მერეც დაბეჩავებული იყო. მამა გამუდმებით ვირივით მუშაობას აიძულებდა, არც ცეკვებზე უშვებდა და კვირაობითაც კი არ ასვენებდა. ელიას ელოფი თავისუფლებას ვერც დაქორწინების შემდეგ ეღირსა, რადგან იძულებული გახდა, ინგმარის მამულში გადასულიყო საცხოვრებლად და სიმამრს დამორჩილებოდა. აქაც მხოლოდ მუშაობასა და ყაირათიანობაზე ფიქრობდნენ. ინგმარ ინგმარშონის სიკვდილამდე ელიას ელოფი სრულიად კმაყოფილი ჩანდა, თავაუღებლად მუშაობდა და არაფერს ითხოვდა. ხალხი ამბობდა, ინგმარშონებს თავისი ჭკუის სიძე შეხვდათო, რადგან ელოფ ერშონმა არც იცოდა, რომ ამქვეყნად მუშაობის გარდა რამე არსებობდა.

დიდი ინგმარის გარდაცვალების შემდეგ კი სიძემ სმა დაიწყო და აიწყვიტა. თემის ყველაზე მხიარულ ბიჭებს მამულში ეპატიჟებოდა და მათთან ერთად სათამაშო სახლებსა და ფუნდუკებში დაეხეტებოდა. მუშაობაზე ხელი აიღო, ყოველდღე უგონოდ თვრებოდა და სულ რაღაც ორიოდე თვეში გალოთდა.

კარინს მთვრალი ქმრის პირველსავე დანახვაზე თავზარი დაეცა. „ეს უფლის სასჯელია, რადგან ჰალვურს უსამართლოდ მოვექეცი,“ მყისვე გაიფიქრა მან. ქმრისთვის არც საყვედური უთქვამს და არც გაუფრთხილებია. მალე მიხვდა, რომ იგი კაცი კი არა, დასალპობად განწირული ხე იყო და მისი მხარდაჭერისა და თანაგრძნობის იმედი არ უნდა ჰქონოდა.

კარინის დები მასავით მომთმენები როდი იყვნენ. რცხვენოდათ სიძის თავაშვებული ცხოვრების, მთვრალი კაცების ყაყანისა და სუფრული სიმღერების, ინგმარის მამულიდან შარაგზაზეც რომ ისმოდა. ისინი ხან დასცინოდნენ სიძეს, ხანაც ჭკუას არიგებდნენ და ელოფი, რომელიც სინამდვილეში გულკეთილი კაცი იყო, ზოგჯერ მოთმინებიდან გამოჰყავდათ. ამიტომაც ოჯახში უთანხმოება ჩამოვარდა.

კარინი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, დები როგორ მოეშორებინა სახლიდან, რომ მათთვის მაინც აეცილებინა თავიდან უბედურება, რომელშიც თავად უწევდა ცხოვრება. ზაფხულში ორი უფროსი და გაათხოვა, ორი უმცროსი კი ამერიკაში, შეძლებულ ნათესავებთან გაამგზავრა.

დებს მემკვიდრეობის კუთვნილი წილი ერგოთ – თითოეულს ოცი ათასი კრონა, კარინმა მამული მიიღო, თუმცა გადაწყდა, რომ როგორც კი სრულწლოვანი გახდებოდა, კარ-მიდამოს უმცროსი ინგმარი ჩაიბარებდა, ხოლო კარინი და ელიას ელოფი სხვაგან გადავიდოდნენ საცხოვრებლად.

საოცარი ის იყო, რომ კარინმა, რომელიც ასეთი ჩუმი და გაუბედავი ჩანდა, დების დაბინავებისას ასეთი ფხა გამოიჩინა: მათ საქმროებიც უშოვა, საცხოვრებლებიც და ამერიკის ბილეთებიც. ყველაფერი მარტოდმარტომ მოაგვარა და ქმრისგან იოტისოდენა დახმარებაც არ მიუღია.

ძმამ, ინგმარ ინგმარშონმა, კარინს ყველაზე მეტი საზრუნავი გაუჩინა. ბიჭი სიძეს დებზე უფრო მძაფრად დაუპირისპირდა, ოღონდ სიტყვით კი არა, მოქმედებით. ერთხელ ელიას ელოფის მიერ გადანახული არყის ყველა ბოთლი დაამტვრია, მეორედ კი სიძემ იმ დროს წაასწრო, როცა სასმელს წყლით აზავებდა.

შემოდგომაზე კარინი შეეცადა, ძმა ქალაქის სკოლაში დაებრუნებინა, მაგრამ ქმარი, რომელიც ბიჭის მეურვედ ითვლებოდა, უარზე დადგა:

– ინგმარი ჩემსავით, მამამისივით და მამაჩემივით მემამულე უნდა გახდეს. აბა, ქალაქის სკოლაში რა ესაქმება? ზამთარში ტყეში წავიყვან და აგურის გამოსაწვავ ღუმლებს გავაკეთებთ. ამაზე უკეთესს ვერაფერს ისწავლის. მისი ტოლი რომ ვიყავი, მთელ ზამთარს ტყის ქოხში ვატარებდი.

კარინმა ქმარს ვერ გადააფიქრებინა და იძულებული გახდა, ინგმარი შინ დაეტოვებინა.

ელიას ელოფმა ინგმარის ჭკუაზე მოყვანა გადაწყვიტა. თავდაპირველად ყველგან თან დაჰყავდა. ყმაწვილი უხალისოდ მიჰყვებოდა. არ უნდოდა, სიძის თანამეინახე გამხდარიყო. სიძემ კი დაიფიცა, ეკლესიას და დუქანს არ გავცდებიო, მაგრამ სინამდვილეში ინგმარს ეტლის კოფოზე დასვამდა და ბერისონას ქარხნის სამჭედლოებისკენ ან კარმსუნდის ფუნდუკისკენ მიმავალ გრძელ გზებზე დაატარებდა.

კარინს უხაროდა, რომ ბიჭი მის ქმარს თან დაჰყვებოდა. იმაში მაინც იქნებოდა დარწმუნებული, რომ იგი სადმე გზისპირა თხრილში არ ეგდებოდა ან ცხენს ჭენებით სიქას არ გააცლიდა.

ერთხელ ელიასი შინ დილის რვა საათზე დაბრუნდა. ინგმარი მის გვერდით იჯდა ეტლში და ეძინა.

– მოდი, მიხედე შენს ძმას და სახლში შეიყვანე! – გასძახა კაცმა კარინს. – საბრალო ბიჭი ისე დათვრა, ფეხზე ვეღარ დგება.

კარინი ისე აღელდა, ინგმარის შინ შეყვანამდე, გული რომ არ შეღონებოდა, ცოტა ხნით კიბის საფეხურზე ჩამოჯდა. როდესაც ძმა ასწია, შენიშნა, რომ მას კი არ ეძინა, გონდაკარგული და მკვდარივით ცივი იყო. კარინმა ბიჭი ხელში აიყვანა და საძინებელში შევიდა, მერე კი კარი ჩაკეტა და შეეცადა, ინგმარი გონს მოეყვანა.

ცოტა ხნის შემდეგ ქალი სასტუმრო ოთახში გამოვიდა, სადაც ელიასი საუზმობდა. კარინი ქმართან მივიდა და მხარზე ხელი დაადო.

– გირჩევ, კარგად დანაყრდე, – თქვა მან, – იმიტომ, რომ თუ ჩემი ძმა სასმელს გადააყოლე, ასეთი სუფრა აღარ გეღირსება.

– ოჰ, კარგი ერთი, – მიუგო კაცმა, – ერთი-ორი ჭიქა არყისგან რა მოუვა.

– ჩემი ნათქვამი დაიმახსოვრე, – უთხრა კარინმა და გამხდარი თითები ქმარს მხარზე მოუჭირა, – თუ ინგმარი მოკვდება, მომავალი ოცი წლის ციხეში გატარება მოგიწევს, ელიას.

როდესაც კარინი ბიჭთან შევიდა, იგი გონს მოსული დახვდა, თუმცა თავი უსკდებოდა, კიდურებს ვერ ამოძრავებდა და საშინლად იტანჯებოდა.

– როგორ გგონია, მოვკვდები, კარინ? – იკითხა მან.

– არა, რას ამბობ, – უპასუხა დამ და გვერდით მიუჯდა.

– არც კი ვიცოდი, რას მასმევდნენ.

– ამისათვის ღმერთს მადლობას ვწირავ.

– თუ მოვკვდები, ეს დებსაც მისწერე! არ ვიცოდი, რომ არაყს ვსვამდი.

– კეთილი.

– მართლა არ ვიცოდი, გეფიცები.

ინგმარს მთელი დღე სიცხე ჰქონდა და თავბრუ ეხვეოდა.

– ოღონდ მამას არაფერი უთხრა! – სთხოვა მან დას.

– არა, მამას არავინ არაფერს ეტყვის, – დაჰპირდა კარინი.

– კი, მაგრამ თუ მოვკვდები, მამა ხომ ყველაფერს შეიტყობს და შევრცხვები.

– შენი ბრალი არ ყოფილა.

– შეიძლება მამამ იფიქროს, რომ რასაც ელიასი მომცემდა, ყველაფერზე უარი უნდა მეთქვა.

– ნეტავ მთელმა სოფელმა იცის, რომ დავთვერი? – იკითხა ინგმარმა. – რას ამბობენ მოჯამაგირეები, მოხუცი ლისა ან ღონიერი ინგმარი?

– არაფერსაც არ ამბობენ.

– უნდა მოუყვე, რა მოხდა. ისინი მთელი ღამე სვამდნენ, მე კი იქვე, მერხზე ვიჯექი და ვთვლემდი. კარმსუნდის ფუნდუკში ვიყავით. ამ დროს ჩემთან ელიასი მოვიდა, გამაღვიძა და ალერსიანად მითხრა: „გამოფხიზლდი, ინგმარ, მოდი, გასათბობად რამეს მოგცემ! აი, ეს დალიე, მხოლოდ შაქრიანი წყალია!“ ახლდაგაღვიძებულზე შემამცივნა, ჰოდა, ელიასის გამოწვდილ სასმელს რომ გემო გავუსინჯე, მხოლოდ ის ვიგრძენი, რომ თბილი და ტკბილი იყო. ეტყობა, შიგ რაღაც მაგარი გაურია! მამა ამაზე რაღას იტყვის?

კარინმა კარი გააღო. ელიასი ისევ ოთახში იჯდა და, ალბათ, ყველაფერი გაიგონა.

– ნეტავ მამა ცოცხალი იყოს, კარინ, ნეტავ ცოცხალი იყოს!

– მერე რა მოხდებოდა, ინგმარ?

– გგონია, ელიასს არ მოკლავდა?

ოთახიდან ელიასის ხარხარი მოისმა. ბიჭი ისე გაფითრდა, რომ კარინმა სასწრაფოდ დახურა კარი.

ამ ამბის შემდეგ ელიას ელოფი უფრო თვინიერი გახდა და, როდესაც კარინმა ინგმარი სკოლაში გადაიყვანა, მისთვის ხელი აღარ შეუშლია.

იმ დღიდან მოყოლებული, რაც ჰალვურმა საათი მიიღო საჩუქრად, მის დუქანში უამრავი ხალხი ირეოდა. არც ერთი გლეხი არ მოდიოდა სოფელში ისე, რომ ჰალვურის დუქანს არ სწვეოდა და დიდი ინგმარის საათის ამბავი არ მოესმინა. დინჯი, სახედაღარული, გრძელ, თეთრქურთუკებიანი გლეხები საათობით იდგნენ დახლთან და ჰალვურს მისჩერებოდნენ. დროდადრო მედუქნე ჯიბიდან საათს იღებდა ხოლმე და შეკრებილებს მის ჩაჭყლეტილ სახურავს და დამტვრეულ ციფერბლატს აჩვენებდა.

– შეხედე, რა დარტყმა მიუღია, – ამბობდნენ გლეხები და გონებაში იმ სურათს ხედავდნენ, როცა დიდი ინგმარი დაშავდა. – ჰო, დიდი პატივი გხვდა წილად, ჰალვურ, რომ ეს საათი შენ გერგო.

საათის ჩვენებისას ჰალვური ნივთს ხელს არ უშვებდა, ძეწკვით ეჭირა და ხელში აღების ნებასაც კი არავის აძლევდა.

ერთხელ ჰალვური, ჩვეულებისამებრ, გლეხებით გარშემორტყმული იდგა დუქანში და მათ თავის ამბავს უყვებოდა, ბოლოს კი საათი ამოიღო. მყისვე სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც იქამდე გაგრძელდა, ვიდრე საათი მოწიწებით გადადიოდა ხელიდან ხელში.

სწორედ ამ დროს დუქანში ელიასი შემოვიდა, მაგრამ ყველას მზერა ისე იყო საათზე მიჯაჭვული, იგი არც შეუმჩნევიათ. სიმამრის საათის ამბისთვის მასაც მოეკრა ყური და მაშინვე მიხვდა, რაც ხდებოდა. ჰალვურის კი არ შურდა, უბრალოდ, სასაცილოდ ეჩვენებოდა მისი და იმ გლეხების დანახვა, რომლებიც ძველ, დამტვრეულ ვერცხლის საათს შემოხვეოდნენ და სუნთქვაშეკრულები მისჩერებოდნენ.

ელიასი იმ კაცის უკან დაიმალა, რომელიც დახლთან იდგა, სწრაფად დასტაცა საათს ხელი და თავისკენ გასწია. ეს მხოლოდ ხუმრობა იყო, ჰალვურისთვის საათის წართმევა არც უფიქრია, მისი გამოჯავრება უნდოდა.

ჰალვურმა დააპირა, ელიასისთვის საათი ხელიდან გამოეგლიჯა, მაგრამ მან ისევ თავისკენ გაქაჩა და ისე ასწია მაღლა, თითქოს ძაღლისთვის გადასაგდები შაქრის ნატეხი უჭირავსო. ჰალვურმა დახლს ხელი დაჰკრა და ზედ შეხტა. ისე იყო გააფთრებული, რომ ელიასი დაფრთხა და იმის ნაცვლად, რომ პატრონისთვის საათი დაებრუნებინა, კარისკენ მოკურცხლა.

კართან ხის, გაცვეთილსაფეხურებიანი კიბე იყო. ელიასს ფეხი კიბის ნახვრეტში მოჰყვა, წაბორძიკდა და კიბიდან გადავარდა. ჰალვური თავს დააცხრა, ჯერ საათი წაართვა, მერე კი ერთი-ორი კარგი მუჯლუგუნი უთავაზა.

– ასე მაგრად ნუ მირტყამ, სჯობს, ნახო, ზურგი რა დღეში მაქვს, – უთხრა ელიასმა.

ჰალვურმა ცემა შეწყვიტა, მაგრამ ელიასი ხელ-ფეხს ვერ ამოძრავებდა.

– ადგომაში მომეხმარე! – სთხოვა მან მედუქნეს.

– გამოფხიზლდები და თავადაც კარგად ადგები.

– მთვრალი არა ვარ, – მიუგო ელიასმა, – ოღონდ, კიბეზე რომ ჩამოვრბოდი, დიდი ინგმარი მომეჩვენა – ჩემთვის საათის წართმევა უნდოდა, ასე მაგრად ამიტომაც დავეცი.

ჰალვური მის წინ გაშხლართული კაცის წამოსაყენებლად დაიხარა, მერე კი რესორებიანი ეტლით წაიყვანა შინ. აღმოჩნდა, რომ ელიასმა ზურგი დაიშავა და ფეხზე ვეღარასდროს დადგებოდა.

ელიას ელოფი საწოლს მიეჯაჭვა. სრულიად უმწეო იყო და განძრევაც არ შეეძლო, თუმცა მეტყველების უნარი არ დაუკარგავს. იწვა და გამუდმებით არაყს ითხოვდა.

ექიმმა კარინ ინგმარშდოთერს ქმრისთვის რაიმე სასმელის მიცემა სასტიკად აუკრძალა, რადგან ავადმყოფი დათრობას შეიძლება სიკვდილის პირას მიეყვანა. ელიასიც იძულებული გახდა, საწადელისთვის ყვირილით მიეღწია, თან აურზაური ღამღამობით იწყებოდა ხოლმე. ელიასი

შეშლილივით იქცეოდა და ყველას მოსვენებას უკარგავდა.

ეს უმძიმესი წელი იყო კარინის ცხოვრებაში. ქმარმა ბევრჯერ ისე გააწამა, რომ ქალს ეგონა, ამას ვეღარ გადავიტანო. სნეული სახლს ლანძღვა-გინებით იკლებდა და იქაურობა ჯოჯოხეთს დაემსგავსა.

კარინმა მასწავლებელს სთხოვა, ინგმარი თქვენთან დაიტოვეთო. არ უნდოდა, მისი ძმა თუნდაც ერთი დღით, შობა დღეზეც კი, მოსულიყო სახლში.

ინგმარის მამულის ყველა მსახური მეპატრონეებს ენათესავებოდა და მთელი ცხოვრება აქ გაეტარებინათ. ასე რომ არ ყოფილიყო და მსახურები ინგმარშონებს ასე რომ არ შეთვისებოდნენ, ამ სახლში დარჩენას ვერ შეძლებდნენ.

ელიასი შინაურებს მშვიდად დაძინებასაც კი არ აცლიდა და მათთვის სულ ახალ-ახალ სატანჯველს იგონებდა, რომ მისი მოთხოვნა შეესრულებინათ.

ასე გავიდა ზამთარი, ზაფხული და კიდევ ერთი ზამთარი.

კარინ ინგმარშდოთერს ერთი ადგილი ჰქონდა შეგულებული, სადაც მარტო მიდიოდა ხოლმე და თავის უბედურებაზე ფიქრობდა. ეს ვიწრო მერხი იყო სვიის მდელოს უკან. იქ მუხლებზე იდაყვებდაყრდნობილი და ხელებში ნიკაპჩარგული იჯდა ხოლმე და რაღაც უხილავს მისჩერებოდა. გარშემო ერთფეროვანი სივრცე გადაშლილიყო. მინდვრები იქიდან იწყებოდა, სადაც ქალი იჯდა და ტყემდე იყო გადაჭიმული, მის უკან კი წვეტიანი ქედი და კლაკბერიეთი მოჩანდა.

აპრილის ერთ საღამოს კარინი თავის საყვარელ ადგილზე იჯდა. უძლურებას და ნაღველს შეეპყრო, როგორც ხშირად ხდება ხოლმე გაზაფხულზე, როცა ჭუჭყიანი თოვლი დნება, მიწა კი გაზაფხულის წვიმას ჯერ არ გადაურეცხავს. მზე ანათებდა, მაგრამ თან ქალის გარშემო ჩრდილოეთის ქარი დანავარდობდა. სვია, რომელიც ქარისგან დაიცავდა, ჯერ არ აყვავებულიყო და ნაძვის წიწვების ქვეშ ზამთრის ძილს მისცემოდა. ქარი ძლიერად უბერავდა და ძონძებს, ქაღალდის ნაგლეჯებს და თივის ღერებს აბზრიალებდა. შორს, მთებზე გამდნარი თოვლი მოჩანდა, არყის ხეების კენწეროებს ყავისფერი დასდებოდა, თუმცა ტყის გაღმა ჯერ ისევ თოვლის მაღალი კედელი იყო აღმართული. გაზაფხული ახლოვდებოდა და კარინი ამაზე ფიქრისას საშინელ დაღლილობას გრძნობდა. ეჩვენებოდა, კიდევ ერთ ზაფხულს ვეღარ გავუძლებო.

კარინი იმ გაწამაწიაზე ფიქრობდა, რაც ელოდა: თესვა და თიბვა, საგაზაფხულო ცხობა და დიდი სარეცხი, რთვა და კერვა. ამ ყველაფრის ატანა შეუძლებელი იყო.

– ისე მინდა მოვკვდე, – ჩუმად თქვა მან. – მგონია, მხოლოდ იმიტომ ვცხოვრობ, რომ ელიასს დათრობაში ხელი შევუშალო.

უეცრად კარინმა ზემოთ აიხედა, თითქოს ვიღაცის დაძახება მოესმაო. მის წინ ჰალვურ ჰალვურშონი იდგა. იგი ღობეს მიყრდნობოდა და ქალს შესცქეროდა.

კარინმა არ იცოდა, როდის მოვიდა ჰალვური. ჩანდა, კაცი დიდი ხნის მოსული იყო.

– მივხვდი, რომ აქ გიპოვიდი, – თქვა ჰალვურმა.

– მართლა?

– გამახსენდა, ადრეც, როცა რამეზე დარდობდი, როგორც კი დროს იხელთებდი, აქ გამოიპარებოდი ხოლმე.

– იმ დროს სადარდებელი არც მქონდა.

– არც ახლა გექნებოდა, სადარდებელი თავს თვითონ გაუჩინე.

კარინმა ჰალვურს შეხედა და გაიფიქრა, ეტყობა, სულელი ვგონივარ, რახან მისნაირ თავმომწონე და წარმოსადეგ კაცს ცოლად არ გავყევიო. „ახლა კი სწორედ ისე ვარ, როგორც ჰალვურს უნდა, რომ ვიყო. აქაც იმიტომ მოვიდა, რომ მასხრად ამიგდოს.“

– შენთან, სახლში ვიყავი და ელიასს ველაპარაკე, – თქვა ჰალვურმა, – სინამდვილეში მის სანახავად მოვედი.

კარინმა არაფერი უპასუხა. გამართული და გაშეშებული იჯდა, თვალები დაეხარა, ხელები ერთმანეთზე გადაეჭდო და დაცინვის ნიაღვარს ელოდა, რომელიც ჰალვურს მისთვის უნდა დაეტეხა თავს.

– ელიასს ვუთხარი, ვთვლი, რომ შენს უბედურებაში წილი მეც მიმიძღვის, რადგან ჩემს სახლში

დაშავდი-მეთქი. – განაგრძო ჰალვურმა. მერე კი გაჩუმდა, თითქოს კარინის ნიშანს ელისო, მაგრამ ქალი დუმდა. – ჰოდა, ამიტომაც ვკითხე, რაღაც ხანი ჩემთან ხომ არ იცხოვრებდი-მეთქი. მისთვის ეს სიახლეც იქნებოდა და მეტ ხალხსაც შეხვდებოდა.

კარინმა თავი ასწია, თუმცა მაინც არ შერხეულა. – მოდი, ასე მოვიქცეთ, – თქვა ჰალვურმა, – ხვალ ქმარი ჩემთან ჩამოიყვანე. ვიცი, რომ გამომყვება, რადგან ჰგონია, არაყს მივცემ. ალბათ, ხვდები, კარინ, რომ ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩემთანაც ისევე იქნება ყველაფერი, როგორც შენთან იყო. ამრიგად, ხვალ ელიასი ჩემთან გადმოვა, დუქნის გვერდითა ოთახში იცხოვრებს და პირობა მივეცი, კარს ღიად დავტოვებ, რომ ხალხის დანახვა შეძლო-მეთქი.

ჰალვურის პირველსავე სიტყვებზე კარინმა თავს ჰკითხა, ნეტავ ხომ არ დამცინისო, თუმცა ნელ-ნელა მიხვდა, რომ კაცი მართლა აპირებდა ამის გაკეთებას.

კარინს ყოველთვის ეგონა, ჰალვურს ჩემი ცოლად შერთვა იმიტომ უნდოდა, რომ მდიდარი და კარგი ოჯახის შვილი ვიყავიო. არასოდეს უფიქრია, რომ კაცს შეიძლებოდა იგი უბრალოდ ჰყვარებოდა. იცოდა, ისეთი გოგო არ იყო, ბიჭები რომ დასდევენ ხოლმე. თავადაც არც ჰალვური ჰყვარებია და არც – ელიასი, მაგრამ როდესაც ჰალვურმა მისი ტვირთის შემსუბუქება მოინდომა, ქალს რაღაც დიდი და არნახული განცდა დაეუფლა. ნუთუ შეიძლებოდა, ჰალვური მას ასე კარგად მოქცეოდა?

ჰო, რა თქმა უნდა, ჰალვურს ის უყვარდა, ალბათ, უყვარდა, რადგან მისი დახმარება განიზრახა!

კარინს გული გაშმაგებით აუძგერდა. მასში ჯერაც განუცდელმა გრძნობამ გაიღვიძა. არ იცოდა, ეს რა იყო, მაგრამ უეცრად მიხვდა, რომ ჰალვურის სიკეთემ გაყინული სული გაუთბო და ამ სიყვარულმა თითქოს მის არსებაშიც დააპირა ამოხეთქვა.

ჰალვური კვლავ თავის გეგმაზე ლაპარაკობდა და თან ეშინოდა, ქალმა წინააღმდეგობა არ გამიწიოსო.

– მეცოდება ელიასი, – თქვა მან, – ალბათ, რაღაცის შეცვლა სჭირდება, თანაც მე ისე ცუდად არ მომექცევა, როგორც შენ გექცეოდა. კაცის უფრო შეეშინდება.

კარინმა არ იცოდა, რა ექნა. ფიქრობდა, თუ შევირხევი ან ერთ სიტყვას მაინც ვიტყვი, ჰალვური შეამჩნევს, რომ მიყვარსო, მაგრამ რაღაც ხომ უნდა ეპასუხა.

ბოლოს ჰალვური გაჩუმდა. იდგა და კარინს უყურებდა. კარინი მისდაუნებურად ადგა, კაცთან მივიდა და ნაზად მოეფერა ხელზე.

– ღმერთმა გაკურთხოს, ჰალვურ! – გაბზარული ხმით თქვა მან. – ღმერთმა გაკურთხოს!

რა სიფრთხილეც არ უნდა გამოეჩინა, ჰალვურმა, ეტყობა, მაინც შენიშნა რაღაც, რადგან უეცრად კარინის ხელები ჩაბღუჯა და ქალი თავისკენ მიიზიდა.

– არა, არა! – წამოიძახა შეშინებულმა ქალმა, ხელიდან გაუსხლტა და გაიქცა.

ელიასი ჰალვურთან გადავიდა და მთელი ზაფხული დუქნის გვერდითა ოთახში გაატარა. ჰალვურს მასზე ზრუნვა დიდხანს არ დასჭირვებია, რადგან ელიასი იმავე წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა.

ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ დედილო სტინამ ჰალვურს უთხრა:

– ერთ რამეს უნდა დამპირდე.

ჰალვური შეკრთა და ქალს შეხედა.

– დამპირდი, რომ კარინის მიმართ მოთმინებას გამოიჩენ, ჰალვურ.

– რასაკვირველია, მოთმინებას გამოვიჩენ, – გაოცებით მიუგო კაცმა.

– კარინი ის ქალია, რომლის მოპოვებისათვის ბრძოლა ღირს, თუნდაც ამისათვის შვიდი წელი მოგიხდეს ლოდინი.

თუმცა ჰალვურისთვის ამ პირობის შესრულება არც ისე იოლი აღმოჩნდა, რადგან მალე შეიტყო, რომ კარინს ელიასის დაკრძალვიდან სულ რაღაც ორი კვირის თავზე მთხოვნელები გამოუჩნდა.

კვირადღე იყო. ჰალვური კიბეზე იჯდა და გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებდა. მალე შენიშნა, რომ გზაზე უჩვეულოდ ბევრმა მორთულ-მოკაზმულმა ეტლმა ჩაიარა, რომლებიც ინგმარის მამულისკენ მიემართებოდნენ. პირველ ეტლში ბერისონას ქარხნის ერთ-ერთი ინსპექტორი იჯდა, მას უკან კარმსუნდის ფუნდუკის მეპატრონის ვაჟის ეტლი მისდევდა, ბოლოს კი ბერგერ სვენ

პერშონი – მეზობელ თემში მცხოვრები მემამულე მოდიოდა, რომელიც ვესტერდალარნაში ყველაზე მდიდარი, თანაც ჭკვიანი და პატივცემული გლეხი იყო; უკვე არც ისე ახალგაზრდა გახლდათ და, ადრე ორჯერ დაქორწინებული, ახლა ისევ ქვრივი იყო.

ბერგერ სვენ პერშონის გამოჩენაზე ჰალვური აწრიალდა. აღმართს აუყვა, მალე ხიდიც გადაიარა და მდინარის იმ ნაპირზე აღმოჩნდა, სადაც ინგმარის მამული იყო.

– ნეტავ გამაგებინა, ეს საზიდრები სად მიდიან, – ჩაილაპარაკა მან. კვალს გაჰყვა და თანდათან ნაბიჯს აუჩქარა. – ვიცი, ეს სისულელეა, – თქვა კაცმა და დედილო სტინას გაფრთხილება გაახსენდა. – მამულში მივალ და ვნახავ, ამ ხალხს იქ რა ესაქმება.

ბერგერ სვენ პერშონი ორ მამაკაცთან ერთად ინგმარშონების სასტუმრო ოთახში იჯდა და ყავას სვამდა. ინგმარი, რომელიც ჯერ ისევ სკოლაში ცხოვრობდა, კვირადღეს შინ ატარებდა. ისიც მაგიდასთან იჯდა სტუმრებთან ერთად, რადგან კარინი ოთახში არ იყო. ქალმა სტუმრებს მოუბოდიშა, სამზარეულოში საქმე მაქვსო, იმიტომ, რომ ყველა მოსამსახურე მისიაში გაკრეფილიყო მასწავლებლის მოსასმენად.

სასტუმრო ოთახში საშინელი მოწყენილობა სუფევდა. ყველანი ყავას სვამდნენ და დუმდნენ. მთხოვნელები ერთმანეთს თითქმის არ იცნობდნენ და, როგორც კი დროს იხელთებდნენ, სხვადასხვა მიზეზით სამზარეულოში გადიოდნენ, რომ კარინი დაემარტოხელებინათ.

კარი ისევ გაიღო და ოთახში კიდევ ერთი სტუმარი შემოვიდა. ინგმარ ინგმარშონი შემოსულს მიეგება და მაგიდასთან მიიყვანა.

– ეს ტიმს ჰალვურ ჰალვურშონია, – უთხრა მან ბერგერ სვენ პერშონს.

სვენ პერშონი არც კი წამომდგარა, სტუმარს მხოლოდ ხელის ოდნავ აქნევით მიესალმა და ნახევრად ხუმრობით განაცხადა:

– სასიამოვნოა ასეთ ცნობილ კაცთან შეხვედრა.

ინგმარ ინგმარშონმა ჰალვურს სკამი ხმაურიანად გამოუწია, რომ მას სვენისთვის პასუხის ვერ გაეცა.

ჰალვურის მოსვლის შემდეგ საქმროებმა ყბედობა და ტრაბახი დაიწყეს. ერთმანეთს ისე აქებდნენ, თითქოს პირი შეეკრათ, რომ მეტოქე თავიდან მოეშორებინათ.

– რა დიდებული ცხენით მოხვედით დღეს, მოსამართლევ, – წამოიწყო ინსპექტორმა. პერშონმა მხარი აუბა და ინსპექტორი გასულ ზამთარს მოკლული დათვის გამო შეაქო, მერე კი ორივემ კარმსუნდელი მეფუნდუკის ვაჟის ახალ სახლს შეასხა ხოტბა, რომელიც მამამისს აეშენებინა. ბოლოს სამივე სტუმარი ბერგერ სვენ პერშონის სიმდიდრეზე ლაპარაკს მოჰყვა. მათ მჭევრმეტყველებას საზღვარი არ ჰქონდა და თითოეული სიტყვით აგრძნობინებდნენ ჰალვურს, რომ მათთან შედარებით არარაობა იყო. ჰალვურიც ძალზე დამცირებულად გრძნობდა თავს და მწარედ ნანობდა, რომ მოვიდა.

კარინმა ახალი ყავადანი შემოიტანა. თავდაპირველად გაუხარდა, ჰალვური რომ დაინახა, თუმცა მაშინვე გაიფიქრა, ჩემი ქმრის სიკვდილიდან ასე მალე მისი აქ მოსვლა და ჩემი მონახულება უხერხულიაო. ასეთი სულსწრაფობის გამო ხალხს შეიძლება ჰგონებოდა, რომ იგი ელიასს იმაზე უარესად უვლიდა, ვიდრე საჭირო იყო, რათა მისგან თავი დაეღწია და კარინი შეერთო.

ქალს ერჩივნა, ჰალვურს კიდევ ორ-სამ წელიწადს დაეცადა და მერე მოსულიყო მასთან. მაშინ ხალხი მიხვდებოდა, რომ იგი მოუთმენლობის გამო ელიასს ცუდად არ მოქცევია. „ასეთი სიჩქარე რა საჭირო იყო?“ გაიფიქრა მან. „განა არ იცის, რომ მის გარდა არავის გავყვები?“

კარინის შემოსვლისთანავე ოთახში კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა იმაზე ფიქრობდა, როგორ მიესალმებოდნენ ერთმანეთს ის და ჰალვური. ისინი კი მხოლოდ თითის წვერებით შეეხნენ. ამის დანახვაზე მომრიგებელმა მოსამართლემ სიხარულისაგან ხმადაბლა დაუსტვინა, ინსპექტორმა კი ბრიყვულად გადაიხარხარა. ჰალვური დინჯად მიუბრუნდა და ჰკითხა:

– რა გაცინებთ, ინსპექტორო?

ინსპექტორმა დაბნეულობისგან პასუხიც ვერ მოიფიქრა, თანაც კარინის თანდასწრებით არ უნდოდა, რამე საწყენი ეთქვა.

– მწევარზე ფიქრობს, რომელმაც კურდღელი წამოაგდო, მერე კი სხვა ძაღლს დააჭერინა, – ორაზროვნად წარმოთქვა მეფუნდუკის ვაჟმა.

კარინი ჭარხალივით გაწითლდა და ყავის დასხმას შეუდგა, მერე კი სტუმრებს მოუბოდიშა:

– ბერგერ სვენ პერშონიც და სხვებიც, ალბათ, მაპატიებენ, რომ მხოლოდ ყავას ვთავაზობთ. სახლში მაგარ სასმელებს აღარ ვინახავთ.

– ჰო, ჩემს სახლშიც ასე ვიქცევით, – თქვა მოსამართლემ. ინსპექტორი და მეფუნდუკე დუმდნენ, მაგრამ იმას კი მიხვდნენ, რომ სვენ პერშონმა დიდი უპირატესობა მოიპოვა. მოსამართლემ უმალ სიფხიზლესა და მის სარგებლობაზე გააბა ლაპარაკი. კარინი უსმენდა და ყველაფერში ეთანხმებოდა. მემამულე აშკარად ხედავდა, რომ ამ გზით შეეძლო, სხვები დაეჯაბნა და გაჭიანურებული მსჯელობა წამოიწყო არაყსა და სიმთვრალეზე. კარინს ამ წლებში ბევრი ეფიქრა ამაზე და უხაროდა, რომ შეეძლო ასეთი პატივცემული და ჭკვიანი კაცისთვის თავისი აზრები გაეზიარებინა.

შუა საუბარში მოსამართლემ ჰალვურს გადახედა. იგი მოღრუბლული იჯდა და წინ ყავის ხელუხლებელი ფინჯანი ედგა. „რასაკვირველია, ძალიან უმძიმს,“ გაიფიქრა ბერგერ სვენ პერშონმა, „მით უმეტეს, თუ მართალია, რასაც ხალხი ამბობს, რომ ელიასის საიქიოში გამგზავრება ცოტათი მისი ბრალიცაა. მართლაც კარგად მოვიქცევი, თუ კარინს ამ საშინელ კაცს მოვაშორებ.“ და, ვინაიდან ჩათვალა, რომ თამაში თითქმის მოგებული ჰქონდა, ჰალვურის მიმართ მეგობრულად განეწყო, ყავის ფინჯანს დასწვდა, კაცს გაუწოდა და უთხრა:

– გაგიმარჯოს, ჰალვურ! ნამდვილად დიდი დახმარება გაუწიე კარინს, როცა მის არამზადა ქმარს უვლიდი.

ჰალვური არ განძრეულა, ბერგერს თვალებში უყურებდა და იმაზე ფიქრობდა, ეს სიტყვები როგორ მიეღო, მაგრამ ამ დროს ინსპექტორმა ისევ გადაიხარხარა.

– დიდი დახმარება გაუწია, როგორ არა, – იცინოდა იგი, – მართლაც დიდი დახმარება გაუწია.

მეფუნდუკის ვაჟმა ღიმილით გაიმეორა:

– ჰო, ჰო, მართლაც დიდი დახმარება გაუწია.

ვიდრე სტუმრები იცინოდნენ, კარინი ოთახიდან გავიდა და სამზარეულოს შეაფარა თავი, მაგრამ იქვე, კართან დადგა, რომ ყველაფერი გაეგონა, რასაც სასტუმრო ოთახში იტყოდნენ. სასოწარკვეთილი იყო, ჰალვური მასთან ასე ადრე რომ მოვიდა. ამ საქციელის გამო შეიძლება ცოლად არასოდეს გაჰყოლოდა. ხომ დარწმუნდა, რომ ბოროტი ხმები უკვე დარხეულიყო. „არ ვიცი, მის დაკარგვას როგორ გადავიტან,“ გაიფიქრა ქალმა და ხელი გულთან მიიტანა.

თავიდან სასტუმრო ოთახში სიჩუმე იყო, მერე კი კარინმა გაიგონა, როგორ გასწია ვიღაცამ სკამი და წამოდგა.

– უკვე მიდიხარ, ჰალვურ? – იკითხა ინგმარმა.

– ჰო, – მიუგო ჰალვურმა, – ვეღარ დავრჩები. კარინ ინგმარშდოთერს ჩემგან მოკითხვა გადაეცი და ჩემს მაგივრად დაემშვიდობე.

– თუ გინდა, სამზარეულოში შედი და თავად დაემშვიდობე.

– არა, – მოისმა ჰალვურის პასუხი, – ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ.

კარინს გული აუჩქროლდა და თავგზა დაებნა. ჰალვური გაუნაწყენდა და ამაში გასაკვირიც არაფერი იყო. კარინმა მისთვის ხელის ჩამორთმევაც ვერ გაბედა, ხოლო როდესაც სტუმრებმა მასხრად აიგდეს, კარინმა კი არ დაიცვა, გაჩუმდა და ოთახიდან გაიპარა.

ახლა ჰალვურს ეგონა, კარინს არ ვუყვარვარო, მიდიოდა და უკან აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

ქალს ვერ გაეგო, როგორ შეეძლო, ჰალვურს ასე მოქცეოდა, მას ხომ ჰალვური ძალიან უყვარდა.

უეცრად კარინს მამა დაუდგა თვალწინ, რომელიც ამბობდა ხოლმე, ინგმარშონები ადამიანებს ჭკუას არ ეკითხებიან, მათ მხოლოდ უფლის გზებით სიარული სჭირდებათო.

კარინმა უცებ გამოაღო კარი და, ვიდრე კაცი გარეთ გასვლას მოასწრებდა, წინ გადაუდგა.

– უკვე მიდიხარ, ჰალვურ? – ჰკითხა მან. – მეგონა, სავახშმოდაც ჩვენთან დარჩებოდი.

ჰალვური იდგა და ქალს მისჩერებოდა. კარინი სრულიად შეცვლილიყო, სახე წამოსწითლებოდა, თანაც ისეთი ნაზი და გულში ჩამწვდომი ხმა ჰქონდა, როგორიც კაცს ადრე არასოდეს გაეგონა.

– მინდოდა, წავსულიყავი და უკან აღარასოდეს დავბრუნებულიყავი, – უპასუხა მან. ვერ მიხვდა, კარინს რა უნდოდა.

– გთხოვ, დარჩი და შენი ყავა დალიე! – უთხრა კარინმა, ხელი მოჰკიდა და მაგიდასთან მიიყვანა. ამასობაში ხან წითლდებოდა, ხან ფითრდებოდა, მხნეობა ღალატობდა, მაგრამ ყველაფერს უძლებდა, თუმცა დაცინვა და ზიზღი ყველაზე მწარე გადასატანი იყო. „ახლა იმას მაინც დაინახავს, რომ მინდა, ტვირთი მასთან ერთად გავიზიარო," გაიფიქრა ქალმა

– ბერგერ სვენ პერშონ და თქვენც, ძვირფასო სტუმრებო, – თქვა კარინმა. – მე და ჰალვურს ამაზე ჯერ არ გვილაპარაკია, რადგან სულ ახლახან დავქვრივდი, თუმცა ახლა მგონი, უმჯობესია, ყველამ გაიგოს, რომ მირჩევნია, ჰალვურს გავყვე ცოლად, ვიდრე სხვა ვინმეს. ქალი გაჩუმდა, რადგან ხმა აუკანკალდა, მერე კი განაგრძო: – ხალხმა რაც უნდა, ის თქვას, მაგრამ მე და ჰალვურს ცუდი არაფერი ჩაგვიდენია.

კარინმა ეს თქვა და ჰალვურთან ახლოს დადგა, თითქოს მისი დაცვა სურდა ლანძღვა-გინებისგან, მალე თავს რომ დაატყდებოდათ.

ყველანი დუმდნენ და გაოცებულები მისჩერებოდნენ კარინ ინგმარშდოთერს, რომელიც უწინდელზე უფრო ახალგაზრდა და ნორჩი ჩანდა.

ჰალვურმა ათრთოლებული ხმით თქვა:

– კარინ, როდესაც მამაშენის საათი მივიღე, მეგონა, ამაზე კარგი აღარაფერი შემემთხვეოდა, მაგრამ იმან, რაც ახლა გააკეთე, ალბათ, ყველაფერს გადააჭარბა.

კარინი ძალიან ღელავდა და ჰალვურის სიტყვებზე მეტად იმას ელოდა, სხვები რას იტყოდნენ.

ამ დროს ბერგერ სვენ პერშონი წამოდგა, რომელიც ყოველმხრივ დიდებული ადამიანი იყო და ალერსიანად თქვა:

– მოდი, ყველამ მივულოცოთ კარინს და ჰალვურს, რადგან ყველამ ვიცით, რომ, კარინ ინგმარშდოთერი მხოლოდ უმწიკვლო და პატიოსანს კაცს აირჩევდა.

4. სიონში

ალბათ, არავის გაუკვირდება, თუკი სკოლის მოხუცი მასწავლებელი ზოგჯერ ცოტათი თავდაჯერებული მოეჩვენება. ის ხომ მთელი ცხოვრება თანამოძმეებს თავის ცოდნას უზიარებს; ხედავს, რომ ყველა გლეხი სწორედ იმით ცხოვრობს, რაც მან მისცა და არც ერთმა მათგანმა იმაზე მეტი არაფერი იცის, რაც მან, სკოლის მასწავლებელმა, ოდესღაც ასწავლა. განა ის არის დამნაშავე, რომ ყველა გლეხში, რამდენი წლისაც არ უნდა იყვნენ, სკოლის მოსწავლეს ხედავს და თვლის, რომ ყველაზე ჭკვიანია? ჰო, ასეთ მოხუც მასწავლებელს მოზრდილებთან ურთიერთობაც უჭირს, რადგან ყოველი მათგანი ბავშვობიდან ახსოვს, როცა მათ მრგვალი, ფოსოებიანი ლოყები და ბავშვური, უმანკო თვალები ჰქონდათ.

ზამთრის ერთ კვირადღეს, წირვის დამთავრების შემდეგ პასტორი და მასწავლებელი პატარა, თაღიან შესამოსელში იდგნენ და საუბრობდნენ. სიტყვა ხსნის არმიაზე ჩამოაგდეს.

– ძალზე უცნაურია, – თქვა პასტორმა, – არ მეგონა, ოდესმე ასეთი რამის ნახვა თუ მომიწევდა.

მასწავლებელმა მკაცრად შეხედა პასტორს. მისი აზრით, ეს სიტყვები სრულიად უადგილო იყო. პასტორს ვერც წარმოედგინა, რომ ამგვარ სისულელეს შეიძლებოდა მათ თემამდეც მოეღწია.

– იმედია, მათი ნახვა არც მოგიწევთ, პასტორო, – ხაზგასმით თქვა მან.

პასტორი, რომელმაც თავადაც იცოდა, რომ სუსტი და ჯანგატეხილი ადამიანი იყო, მასწავლებელს წინააღმდეგობას აღარ უწევდა, თუმცა შეპასუხებისგან თავი მაინც ვერ შეიკავა:

– რატომ ხართ ასე დარწმუნებული, რომ ხსნის არმია აქ ვერ შემოაღწევს?

– იმიტომ, რომ თუკი მღვდელი და მასწავლებელი პირს შეკრავენ, ყველა უსიამოვნებას გაუმკლავდებიან.

– ისიც კი არ ვიცი, ჩემს მხარეზე ხართ თუ არა, – ცოტა უკმაყოფილოდ მიუგო პასტორმა, – დღეს ხომ იმ თქვენს სიონში ქადაგებთ.

მასწავლებელი ჯერ დადუმდა, მერე კი ძალიან ჩუმად თქვა:

– თქვენ არასოდეს მოგისმენიათ ჩემი ქადაგება.

მისიის სახლი ნამდვილი შებრკოლების ლოდი იყო. პასტორს მის ზღურბლზე არასოდეს

გადაუბიჯებია. ახლა, როცა ამაზე ჩამოვარდა სიტყვა, ძველ მეგობრებს შეეშინდათ, რამე საწყენი არ წამოგვცდესო. „ალბათ, სტორმს უსამართლოდ ვექცევი," გაიფიქრა პასტორმა. „ბოლო ოთხი წელი, რაც ის კვირა საღამოობით მისიის სახლში ბიბლიის განმარტებებს ქადაგებებს, ეკლესიაში კვირის წირვაზე ადრინდელზე უფრო მეტი ხალხი დადის და რაიმე განხეთქილების ნიშანწყალიც არ შემიმჩნევია. მრევლი არ დაუშლია, როგორც ველოდი. ერთგული მეგობარი და მსახურია. ჰოდა, მეც უნდა ვაჩვენო, როგორ ვაფასებ."

დილანდელ შელაპარაკებას ის მოჰყვა, რომ პასტორმა საღამოს მასწავლებლის ქადაგების მოსმენა გადაწყვიტა. „სტორმი უნდა გავახარო," გაიფიქრა მან. „უნდა მივიდე და მოვისმინო, იმ თავის სიონში როგორ ქადაგებს."

გზაში პასტორს ის დრო მოაგონდა, როდესაც მისიის სახლი შენდებოდა. ჰაერი თითქოს წინასწარმეტყველებით იყო გაჟღენთილი და მას ნამდვილად სწამდა, რომ უფალს რაღაც დიადი განეზრახა, თუმცა მისგან არაფერი ისმოდა. „ეტყობა, უფალმა აზრი შეიცვალა," ჩაიბუტბუტა პასტორმა და თან თავისთვის გაეღიმა იმის გამო, რომ ღმერთზე ასეთი უცნაური რამ გაიფიქრა.

სკოლის მასწავლებლის სიონი ნათელკედლებიანი დიდი დარბაზი იყო. ერთ კედელზე ბეწვმოვლებულ მოსასხამებში გამოწყობილი ლუთერისა და მელანქტონის[5] ხეზე ნაკვეთი პორტრეტები ეკიდა. ჭერს გარს ევლებოდა ლამაზად დაწერილი ბიბლიური გამონათქვამები, რომლებიც ყვავილებიან და ზეციურ ბუკ-ნაღარიან ჩარჩოებში ჩაესვათ. ოთახის ბოლოში, კათედრის ზემოთ პატარა ზეთის საღებავებით დახატული ტილო ეკიდა, რომელზეც მწყემსი კეთილი იყო გამოსახული.

დიდი დარბაზი ხალხით იყო სავსე, ეს კი უკვე ხალისიან და ამაღლებულ განწყობას ქმნიდა. უმეტესობა ძველ, სამრევლო კოსტიუმებში გამოწკეპილიყო, ქალების თეთრი, გახამებული, წინწამოწეული თავსაფრები კი უნებურად გაფიქრებინებდათ, დარბაზი თეთრფრთიან ჩიტებს გაუვსიათო.

სტორმს გამოსვლა უკვე დაწყებული ჰქონდა, როცა პასტორი შენიშნა, რომელსაც ადგილი წინა რიგში დაეკავებინა. „მაინც რა ჩინებული ვინმე ხარ, სტორმ," უთხრა მან თავის თავს, „ყველაფერი გამოგდის. აი, პასტორმაც კი პატივი დაგდო და შენს მოსასმენად მოვიდა."

მასწავლებელმა თავის ქადაგებებში ბიბლია პირველიდან ბოლო გვერდამდე განუმარტა მრევლს. ამ საღამოს კი იერუსალიმის ზეციურ გამოცხადებასა და მარადიულ ნეტარებაზე წამოიწყო ლაპარაკი. პასტორის მოსვლით ისეთი ბედნიერი იყო, რომ ფიქრობდა: „მე რომ მკითხო, მარადიულ სასუფეველში იმაზე მეტს არაფერს ვინატრებდი, რომ სულ კათედრაზე ვიდგე და ჭკვიან და გამგონე ბავშვებს ვასწავლო, ხოლო თუ ოდესმე უფალი ჩემს მოსასმენად მოვა, როგორც აი, ახლა პასტორი მოვიდა, ზეცაში ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება."

პასტორი კი იერუსალიმის გაგონებაზე სმენად იქცა და კვლავ უცნაური აზრების ტყვეობაში მოექცა.

შუა ქადაგებისას კარი გაიღო და დარბაზში ხალხის მოზრდილი ჯგუფი შემოვიდა. ოცამდე ადამიანი კართან შეჩერდა, რომ მასწავლებლისთვის ხელი არ შეეშალა. „ერთი შეხედე, ვიცოდი, რომ რაღაც მოხდებოდა." გაიფიქრა პასტორმა. ვიდრე სტორმი „ამინს" წარმოთქვამდა, ახალმოსულთა ჯგუფიდან ვიღაცის ხმა მოისმა:

– უმორჩილესად გთხოვთ, ორიოდე სიტყვა მათქმევინეთ.

ძალიან სასიამოვნო და გულითადი ხმა იყო. „ჰეკ მათს ერიკსონი უნდა იყოს," გაიფიქრა პასტორმა და არა მარტო მან. „ასეთი ბავშვური, ნაზი ხმა მთელ თემში სხვას არავის აქვს."

გულკეთილი გამომეტყველების, ტანმორჩილმა კაცმა კათედრისკენ გაიკვლია გზა, უკან კი, ალბათ, მის მხარდასაჭერად და გასამხნევებლად, კაცების და ქალების ჯგუფი მიჰყვებოდა.

პასტორიც, მასწავლებელიც და ყველა იქ შეკრებილიც უძრავად იდგა. „ჰეკ მათსი რაღაც დიდი უბედურების შესატყობინებლად მოვიდა," ფიქრობდნენ ისინი. „ან მეფე მოკვდა, ან ომი დაიწყო, ან კიდევ ვიღაც ბედკრული გლეხები მდინარეში დაიხრჩვნენ."

ჰეკ მათსს სულაც არ ეტყობოდა, რომ აქ ცუდი ამბის საუწყებლად მოსულიყო. საზეიმო და აღელვებული გამომეტყველება ჰქონდა, თან ისეთი გახარებული ჩანდა, ღიმილს ძლივს იკავებდა.

– მინდა ვუამბო მასწავლებელს და აქ შეკრებილებს, – დაიწყო მან, – რომ გასულ კვირას, როცა ჩემს სახლში ოჯახთან ერთად ვიყავი, შთაგონება მეწვია და ქადაგება დავიწყე. გზები მოყინული იყო, ამიტომაც აქ მოსვლა და სტორმის მოსმენა ვერ შევძელით, ვისხედით და უფლის სიტყვას ვესწრაფოდით, ჰოდა, სწორედ მაშინ მივხვდი, რომ თავადაც შემეძლო მექადაგა. უკვე ორი

კვირადღეა, ვქადაგებ, დღეს კი შინაურებმა და მეზობლებმა მითხრეს, აქ მოვსულიყავი, რათა ხალხს ჩემთვის მოესმინა.

მერე ჰეკ მათსმა თქვა, გაოცებული დავრჩი, რომ ჩემნაირ უბირს ქადაგების ნიჭი აღმოაჩნდაო, ბოლოს კი თავდაჯერებულად განაცხადა:

– მაგრამ განა თავად მასწავლებელიც ერთი უბრალო გლეხი არ არის?

ამგვარი შესავლის შემდეგ ჰეკ მათსმა ხელი ხელს გადააჭდო და ქადაგების დაწყება დააპირა, მაგრამ ამ დროს მასწავლებელი გაოცებისგან გამოერკვა.

– შენ რა, ჰეკ მათს, ახლავე აპირებ ლაპარაკს? – შეაწყვეტინა მან კაცს.

– ჰო, ვაპირებ, – მიუგო გლეხმა, თუმცა სტორმის მოღუშული სახის დანახვაზე პატარა ბავშვივით დაფრთხა. – სწორედ ამიტომაც განვიზრახე, რომ ჯერ თქვენგან და დანარჩენებისგან ნებართვა ამეღო, – თავმდაბლად განაგრძო მან.

– ამ საღამოს ქადაგება დამთავრებულია, – მოუჭრა სტორმმა.

ტანდაბალი და გულკეთილი ჰეკ მათსი ცრემლნარევი ხმით შეევედრა:

– მხოლოდ ორიოდე სიტყვა მათქმევინეთ! ისეთი რაღაცებია, რაც მაშინ მომდის თავში, როცა გუთანს მივყვები ან ღუმელს ვდარაჯობ და ახლა უნდა ამოვთქვა.

მაგრამ მასწავლებელი, რომელსაც დღეს თავად ძალიან გაუმართლა, შეუბრალებელი აღმოჩნდა.

– მათს ერიკსონი აქ საკუთარი აზრების გამოსათქმელად მოსულა და ამბობს, ეს უფლის სიტყვებიაო, – განაცხადა მან.

ჰეკ მათსმა შეპასუხება ვერ გაბედა და მასწავლებელმაც ფსალმუნების წიგნი გადაშალა.

– მოდი, 187-ე ფსალმუნი ვიმღეროთ, – თქვა მან, ფსალმუნი ხმამაღლა წაიკითხა, მერე კი ამღერდა: „იერუსალიმის მხარეს სარკმელს ღიად ტოვებთ?“ თან ფიქრობდა: „რა კარგია, რომ პასტორი სწორედ დღეს მოვიდა, დარწმუნდება, რომ ჩემს სიონში წესრიგს ვიცავ.“

სიმღერა დამთავრებულიც არ ჰქონდათ, როცა მსმენელებიდან ერთ-ერთი წამოდგა. ეს იუნგ ბიორნ ულოფსონი გახლდათ, ამაყი და წარმოსადეგი კაცი. იგი დიდი ინგმარის ერთ-ერთი ქალიშვილის ქმარი და სოფლის შუაგულში დიდი მამულის მფლობელი იყო.

– ჩვენ აქ ვილაპარაკეთ, რომ ვიდრე მათს ერიკსონს უარით გაისტუმრებდა, მასწავლებელს, ალბათ, ჩვენთვის უნდა ეკითხა რჩევა. – მოკრძალებით შენიშნა იუნგ ბიორნმა.

– ასე ფიქრობ, შვილო ჩემო? – ისეთი ხმით იკითხა მასწავლებელმა, თითქოს პატარა ბიჭს ჭკუას არიგებსო. – იცი, რას გეტყვი? ამ დარბაზში არავინაა, ვისაც ჩემზე მეტის თქმა შეუძლია.

იუნგ ბიორნი ჭარხალივით გაწითლდა. მასწავლებელთან კამათი სულაც არ უნდოდა, მხოლოდ ჰეკ მათსს გამოესარჩლა, რომელიც გულკეთილი კაცი იყო, ასეთმა პასუხმა კი გააბრაზა, მაგრამ ვიდრე ხმას ამოიღებდა, საუბარში ერთი იმათგანი ჩაერია, რომელიც ჰეკ მათსთან ერთად მოვიდა:

– ჰეკ მათსის ქადაგება ორჯერ მოვისმინე და შემიძლია გითხრათ, რომ ეს საოცრებაა. მგონი, კარგი იქნებოდა, თუ ამას აქ მყოფებიც მოისმენდნენ.

მასწავლებელმა მყისვე მასაც ისეთივე ალერსიანი და დამრიგებლური ხმით გასცა პასუხი, როგორც სკოლაში მოსწავლეებს ელაპარაკებოდა:

– კრისტერ ლარშონ, ნუთუ ვერ ხვდები, რომ ეს შეუძლებელია? დღეს რომ ჰეკ მათსს მივცე ქადაგების უფლება, მომავალ კვირას შენც იგივეს მოინდომებ, შემდეგ კვირას კი – იუნგ ბიორნი.

მასწავლებლის სიტყვებზე ვიღაცებს გაეცინათ, მაგრამ იუნგ ბიორნმა მას მკვახე პასუხი გასცა:

– არ მესმის, მე და კრისტერს რატომ არ გვაქვს უფლება, თქვენსავით ვიქადაგოთ.

ტიმს ჰალვური მოკამათეების დასამშვიდებლად და ჩხუბის თავიდან ასაცილებლად წამოდგა.

– ვიდრე სხვას ქადაგების უფლებას მივცემთ, იმას მაინც დავეკითხოთ, ვინც ამ დარბაზის ასაშენებლად ფული იშოვა.

ახლა უკვე კრისტერ ლარშონიც განაწყენდა და ჰალვურს მიუგო:

– მახსოვს, როცა ამ სახლს ვაშენებდით, შევთანხმდით, რომ ეს ეკლესია კი არა, თავისუფალ მოქადაგეთა სახლი იქნებოდა, სადაც ლაპარაკის უფლება ყველას აქვს.

როგორც კი კრისტერმა ეს თქვა, დარბაზს თითქოს ღრმა ამოოხვრამ გადაუარა. სულ რაღაც ერთი საათის წინ თავში აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ მასწავლებლის გარდა, სხვა ვიღაცის მოსმენასაც მოინდომებდა, ახლა კი ყველა ფიქრობდა: „ურიგო არ იქნებოდა, რაღაც სიახლე შემოგვეტანა, გვინდა, ახალი სიტყვა გავიგოთ და მაგიდასთან, კათედრაზე ახალი სახე დავინახოთ.“

კამათი, შესაძლოა, აქ შეწყვეტილიყო, კულოს გუნარი რომ არა, რომელიც დარბაზში იჯდა. ისიც ტიმს ჰალვურის ქვისლი გახლდათ, მაღალი, გამხდარი კაცი იყო, ჩამუქებული სახით და გამსჭვალავი თვალებით. მასწავლებელი მასაც დანარჩენებივით მოსწონდა, თუმცა ჩხუბსა და აყალმაყალს არაფერი ერჩივნა.

– ჰო, ამ სახლს რომ ვაშენებდით, თავისუფლებაზე ბევრს ვლაპარაკობდით, მაგრამ მას შემდეგ აქ ერთი თავისუფალი სიტყვაც არ გამიგია.

მასწავლებელი საშინლად გაწითლდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მისმა მრევლმა ნამდვილი უკმაყოფილება და დაუმორჩილებლობა გამოხატა.

– იცი, რას გეტყვი, კულოს გუნარ? აქ სწორედ ისეთ თავისუფალ სიტყვას ისმენ, როგორსაც ლუთერი ქადაგებდა და არა ყოველდღიურ ახალ ამბებს.

– მასწავლებელო, თქვენ გსურთ, იმაში დაგვარწმუნოთ, რომ როცა საქმე „სწავლებას“ ეხება, ყოველგვარი სიახლე ცუდია, – მშვიდად და თითქოსდა სინანულით თქვა კაცმა. – გინდათ, საქონლის მოვლის ახალი ხერხები ვისწავლოთ, ისიც გინდათ, მიწის დასამუშავებელი ახალი მანქანები შევიძინოთ, ოღონდ იმ ახალი მოძღვრების შესახებ არაფერი უნდა ვიცოდეთ, რომელსაც უფლის მინდვრებზე მოსავალი მოჰყავს.

მასწავლებელს მოეჩვენა, რომ კულოს გუნარს სულ სხვა რაღაცის თქმა სურდა და შეეცადა, თავისი პასუხი ხუმრობაში გაეტარებინა:

– გუნარ, შენი აზრით, აქ ლუთერანულის ნაცვლად სხვა მოძღვრება უნდა ვიქადაგოთ?

– ახალი მოძღვრება რა შუაშია? – უკმეხად შეეპასუხა გუნარი. – საქმე ის არის, ვინ უნდა იქადაგოს და, როგორც ვიცი, მათს ერიკსონი თქვენზე და პასტორზე ნაკლები ლუთერანი როდია.

მასწავლებელს პასტორი ცოტა ხნით მივიწყებოდა და ახლაღა გახედა. იგი მშვიდად და გაუნძრევლად იჯდა, ნიკაპი ჯოხზე ჩამოეყრდნო და თვალებში უცნაური ცეცხლი უკიაფებდა. სტორმმა ისიც შენიშნა, რომ პასტორი მას თვალს არ აშორებდა.

„ალბათ, უკეთესი იქნებოდა, მაინცდამაინც ამ საღამოს არ მოსულიყო.“ გაიფიქრა მან და თავში გაუელვა, რომ ყველაფერი, რაც ახლა მოხდა, იმ ამბავს ჰგავდა, რომელიც მას ადრე გადახდენია. ზოგჯერ, გაზაფხულის მშვენიერ დღეს, საკლასო ოთახის ფანჯარაზე ჩიტი შემოსკუპდებოდა ხოლმე და თავდავიწყებით გალობდა. ჰოდა, უეცრად ყველა მოსწავლე შესვენებას ითხოვდა, კითხვას თავს ანებებდა, ჩხუბობდა, ხმაურობდა და მასწავლებელს არ ემორჩილებოდა. ამ საღამოს ჰეკ მათსის მოსვლის შემდეგ, აქ შეკრებილებსაც სწორედ ამგვარი რამ დაემართათ, მაგრამ მასწავლებელმა გადაწყვიტა, პასტორისთვისაც და სხვებისთვისაც დაემტკიცებინა, რომ არეულობას გაუმკლავდებოდა.

„პირველ ყოვლისა, ხალხს ის უნდა შევაგნებინო, რომ ჩხუბისთავებს შეუძლიათ იქამდე ილაპარაკონ, ვიდრე არ მობეზრდებათ,“ გაიფიქრა მან და მშვიდად მიუჯდა მაგიდას, რომელზეც წყლიანი ჭიქა იდგა.

თავს მყისვე გამძვინვარებული ქარიშხალი დაატყდა, რადგან თითოეული იქ მყოფი ერთი და იგივე აზრით იყო შთაგონებული: „ჩვენ რა, მასწავლებელზე ნაკლები ვართ? მხოლოდ მან რატომ უნდა გვითხრას, რა უნდა გვწამდეს და რა – არა?“

უმეტესობას ეს აზრი, ეტყობა, ახლა მოუვიდა თავში, თუმცა მათი სიტყვებიდან ჩანდა, რომ მას შემდეგ, რაც მასწავლებელმა მისიის სახლი ააშენა და დაამტკიცა, რომ უბრალო ადამიანსაც შეუძლია უფლის სიტყვის გადმოცემა გაბედოს, ისინი ძალიან გაიზარდნენ და შეიცვალნენ.

„ამ ღლაპებმა ძალიან აიშვეს თავი, დროა, ვასწავლო, ვინ არის აქ უფროსი.“ გაიფიქრა მასწავლებელმა, ადგა, მაგიდას ხელი დასცხო და შესძახა:

– აბა, გეყოფათ ლაქლაქი! შინ მივდივარ, თქვენც დაიშალეთ, შუქი უნდა ჩავაქრო და კარი დავკეტო.

რამდენიმე მართლაც წამოდგა, რადგან ყველანი სტორმის სკოლაში დადიოდნენ და იცოდნენ, მაგიდაზე მუშტის დარტყმა იმის ნიშანი იყო, რომ მასწავლებელს უნდა დამორჩილებოდნენ,

თუმცა შეკრებილთა უმეტესობა ადგილიდან არ დაძრულა.

– მასწავლებელო, ნუ გავიწყდებათ, რომ უკვე მოწიფული მამაკაცები ვართ, – განაცხადეს მათ. – გგონიათ, თუ კათედრას ხელს დაარტყამთ, თავქუდმოგლეჯილები გავიქცევით?

საუბარი იმის შესახებ გაგრძელდა, რომ მრევლს სურდა, ახალი მოქადაგეებისთვის მოესმინა. შეკრებილები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ვინ მოეწვიათ და უკვე იმაზე ბჭობდნენ, რომელი აერჩიათ: ვალდენსტრემელები თუ ევანგელური სამამულო საზოგადოების წევრები.

მასწავლებელი ისე მისჩერებოდა შეკრებილებს, თითქოს რაღაც საშინელებას ხედავსო. აქამდე თითოეულ მათგანს ბავშვად თვლიდა. ახლა კი ბავშვური, მრგვალი ლოყები, ქერა კულულები და უმანკო თვალები სადღაც გაქრა. იგი მხოლოდ მოუხეშავი მამაკაცების კრებულს ხედავდა და გრძნობდა, რომ მათზე არანაირი ძალაუფლება არ ჰქონდა. ისიც კი არ იცოდა, მათთვის რა უნდა ეთქვა.

კამათი გახურდა და თანდათან ღრიალში გადაიზარდა. მასწავლებელი დუმდა და მოკამათეების დამშვიდებას არც ცდილობდა. კულოს გუნარი, იუნგ ბიორნი და კრისტერ ლარშონი იერიშზე გადავიდნენ. ჰეკ მათსი, რომელიც მთელი ამ არეულობის მიზეზი შეიქნა, დროდადრო დგებოდა და ყველას სთხოვდა, გაჩუმებულიყვნენ, თუმცა მას არავინ უსმენდა.

მასწავლებელმა კვლავ პასტორს გადახედა. იგი ისევ ჩუმად იჯდა, თვალებიც უცნაურად უბრწყინავდა და სტორმს უყურებდა. „ალბათ, ის საღამო აგონდება, ოთხი წლის წინ, როცა ვუთხარი, რომ მისიის სახლის აშენება მინდოდა,“ გაიფიქრა მასწავლებელმა. „მართალიც აღმოჩნდა, აი, ისიც – ერესი, ამბოხი და განხეთქილება. ეს ხომ არ მოხდებოდა, მე რომ ჩემი სიონის აშენება არ ამეკვიატებინა.“

სწორედ მაშინ, როდესაც მასწავლებელი ამას მიხვდა, თავი ასწია და წელში გაიმართა. ჯიბიდან ფოლადის პატარა, ბრჭყვიალა გასაღები ამოიღო, რომლითაც სახლის კარს აღებდა და კეტავდა ხოლმე და სინათლეს ისე მიუშვირა, რომ გასაღებმა გაიელვა.

– გასაღებს აი, აგერ, მაგიდაზე ვდებ და აღარასოდეს ავიღებ, – თქვა მან. – რადგან ახლა ვხედავ, რომ ყველაფერი, რის დატოვებასაც გარეთ ვლამობდი, უკვე შემოვუშვი.

ამ სიტყვებით მასწავლებელმა გასაღები დადო, ქუდი დაიხურა და პასტორისკენ გაემართა.

– მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ, პასტორო, იმისათვის, რომ ამ საღამოს ჩემს მოსასმენად მოხვედით, რადგან სხვა დროს ვეღარ მომისმენდით.

5. ველური ნადირობა

ბევრს ეგონა, რომ ელიას ელოფ ერშონს სამარეშიც არ ეღირსებოდა მოსვენება, რადგან კარინ ინგმარშდოთერს და ახალგაზრდა ინგმარ ინგმარშონს ასე ცუდად მოექცა. კარინის და თავისი ფულიც გაფლანგა, თანაც მამული ვალებში ჩაფლული დატოვა, და მისი სიკვდილის შემდეგ ქალს ისე გაუჭირდა, იძულებული გახდებოდა, ქონება მევალეებისთვის დაეტოვებინა, ჰალვურ ჰალვურშონი რომ არა, რომელიც ისეთი მდიდარი იყო, რომ მამულის გამოსყიდვა და ვალების გადახდა შეძლო. ინგმარ ინგმარშონის ოცი ათასი კრონა, რომელიც ელიასის განკარგულებაში იყო, უკვალოდ გაუჩინარდა. ზოგს ეგონა, რომ ეს ფული ელიასმა მიწაში დამალა, სხვები ფიქრობდნენ, რომ დახარჯა, ასე იყო თუ ისე, ფული სადღაც გაქრა. ამის შესახებ არავინ არაფერი უწყოდა, ვიდრე ქონების აღნუსხვა არ დაიწყეს. აღმნუსხველები რამდენიმე დღეს ეძებდნენ ელიასის ფულს, თუმცა ვერსად მიაგნეს.

ინგმარმა რომ გაიგო, ღარიბი ვარო, კარინს რჩევა ჰკითხა, როგორ მოვიქცეო და უთხრა, მინდა, მასწავლებლობას მოვკიდო ხელიო. კარინს სთხოვა, ნება მომეცი, ისევ სტორმთან დავრჩე, ვიდრე სემინარიაში სწავლის გაგრძელებას შევძლებო. სოფელში მასწავლებლისა და პასტორისგან წიგნებს ითხოვდა, თანაც სტორმს სკოლაში მიეხმარებოდა და გამოცდილებას მიიღებდა.

კარინმა ყველაფერი აწონ-დაწონა, ბოლოს კი თქვა:

– როგორც ჩანს, შინ დარჩენა იმიტომ აღარ გინდა, რომ მამულის მეპატრონე ვერ გახდები.

როდესაც გერტრუდმა, მასწავლებლის ქალიშვილმა, შეიტყო, რომ ინგმარი მათთან ბრუნდებოდა, მოიღუშა. თუ მათთან ბიჭს უნდა ეცხოვრა, ერჩივნა, ეს ბიჭი მოსამართლის ლამაზი ბერტილი ან ჰეკ მათს ერიკსონის მხიარული გაბრიელი ყოფილიყო.

გერტრუდს გაბრიელიც მოსწონდა და ბერტილიც, ის კი ვერ გაეგო, ინგმარის მიმართ რას

გრძნობდა. მისი მადლიერი იყო, რადგან ინგმარი გაკვეთილების მომზადებაში ეხმარებოდა და ყურმოჭრილ ყმასავით ემორჩილებოდა, თუმცა გოგონას ზოგჯერ ძალიან აბეზრებდა თავს თავისი მოუქნელობით, თან თამაშიც არ ეხერხებოდა. გერტრუდი მოხიბლული უნდა ყოფილიყო ბიჭის სიბეჯითით, მაგრამ თან მის მიმართ ზიზღსაც გრძნობდა, რადგან ინგმარს არასოდეს შეეძლო ეჩვენებინა, რასაც წარმოადგენდა.

გერტრუდს თავში მუდამ საოცარი ფანტაზიები და ოცნებები მოსდიოდა და მათ ინგმარს უზიარებდა. თუ ბიჭი ორიოდე დღით წავიდოდა, გერტრუდი მოიწყენდა ხოლმე და აღარ იცოდა, ვისთან ელაპარაკა, მაგრამ ინგმარი რომ ბრუნდებოდა, ვერ ხვდებოდა, რატომ ენატრებოდა.

გერტრუდს იოტისოდენადაც არ აღელვებდა ის, რომ ინგმარი მდიდარი და თემში გამორჩეული ოჯახის შვილი იყო, ისე ექცეოდა, თითქოს მასზე დაბლა იდგა, მაგრამ როდესაც შეიტყო, რომ ინგმარი გაღარიბდა, ატირდა, ხოლო როცა ინგმარმა უთხრა, მამულის დაბრუნებას აღარ ვაპირებ და მასწავლებელი უნდა გავხდეო, გოგონა ისე გაჯავრდა, კინაღამ თავგზა დაკარგა.

ღმერთმა იცის, როგორ ოცნებობდა გერტრუდი, რომ ინგმარს ყველაფერი მოეგვარებინა!

მასწავლებლის სახლში ბავშვებს მკაცრად ზრდიდნენ. საქმეს ბეჯითად უნდა მოკიდებოდნენ და ამიტომაც იშვიათად ერთობოდნენ. თუმცა იმ გაზაფხულს, როცა სტორმმა მისიის სახლში ქადაგებების კითხვა დაიწყო, რაღაცები შეიცვალა და დედილო სტინა ზოგჯერ ქმარს ეტყოდა ხოლმე:

– სტორმ, მოდი, ახალგაზრდები ახლა მაინც მივუშვათ ნებაზე. გაიხსენე, ჩვენ როგორები ვიყავით ჩვიდმეტი წლისები! მთელ ღამეებს ცეკვაში ვათენებდით.

ერთ შაბათ საღამოს, როცა ჰეკ გაბრიელ მათსონი და ნაფიცი მსაჯულის ქალიშვილი გუნჰილდი მასწავლებელს სტუმრად ეწვივნენ, სკოლაში ცეკვებიც კი გაიმართა.

გერტრუდი სიხარულისგან მეცხრე ცაზე იყო, რომ უნდა ეცეკვა, თუმცა ინგმარმა მხარი არ აუბა. მან წიგნი აიღო და ფანჯარასთან, დივანზე ჩამოჯდა. გერტრუდი ზოგჯერ მასთან მიდიოდა და ცდილობდა, წიგნისთვის მოეწყვიტა, მაგრამ ბიჭი მორცხვობდა და პირქუშად იცავდა თავს. დედილო სტინამ მის დანახვაზე ამოიოხრა და გაიფიქრა: „როგორ ეტყობა, რომ ძველი გვარის შვილია. ამბობენ, ასეთებს არ შეუძლიათ, ახალგაზრდობით დატკბნენო.“

სამმა მეგობარმა ბევრი იცეკვა და იმხიარულა, მოილაპარაკეს, მომავალ შაბათს საცეკვაოდ სხვაგან წასულიყვნენ, ბოლოს კი მასწავლებელს და მის ცოლს დაეკითხნენ.

– თუ ღონიერი ინგმარის საცეკვაო საღამოზე წახვალთ, დაგთანხმდებით, – მიუგო დედილო სტინამ, – ვიცი, რომ იქ მხოლოდ ღირსეულ ხალხს შეხვდებით.

სტორმმა სხვა პირობა წამოაყენა.

– გერტრუდს საცეკვაოდ წასვლის უფლებას ვერ მივცემ, თუ ინგმარიც არ გაჰყვება და თვალყურს არ ადევნებს.

სამივენი ინგმარს მისცვივდნენ, მაგრამ ბიჭი სასტიკად უარობდა და წიგნს თვალს არ აშორებდა.

– ტყუილად ეხვეწებით, – ისეთი ხმით თქვა გერტრუდმა, რომ ინგმარმა თავი ასწია და გოგონას შეხედა. ცეკვის შემდეგ გერტრუდი განსაცვიფრებლად მშვენიერი იყო, მაგრამ დამცინავად იღიმებოდა და თვალები უელავდა. მან ინგმარს ზურგი შეაქცია. აშკარა იყო, როგორ ეზიზღებოდა ეს შეუხედავი და ღვარძლიანი ბიჭი, რომელიც ვერ ხვდებოდა, რას ნიშნავდა ის, რომ ახალგაზრდა ხარ. სხვა გზა არ იყო, ინგმარი საჩქაროდ დათანხმდა, გამოგყვებიო.

რამდენიმე დღის შემდეგ გერტრუდი დედასთან ერთად სამზარეულოში საქმიანობდა. უეცრად გოგონამ შენიშნა, რომ დედა რაღაცამ შეაშფოთა, ლაპარაკი შეწყვიტა, სართავი ჯარა გააჩერა და მიაყურადა.

– ვერ ვხვდები, ეს რა არის, – თქვა მან, – გერტრუდ, არაფერი გესმის?

– კი, – უპასუხა გერტრუდმა, – ზემოთ, საძინებელში ვიღაც არის.

– ამ დროს ვინ უნდა იყოს? თან, ყური უგდე, ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე როგორ დააბოტებს!

სკოლის ცარიელი დარბაზიდან საშინელი გრუხუნი და ნაბიჯების ხმა ისმოდა. გერტრუდმა და დედილო სტინამ მოთმინება დაკარგეს.

– და მაინც, იქ ვიღაც არის, – განაცხადა გერტრუდმა.

– შეუძლებელია, ისე კი, თქვენი ცეკვების შემდეგ ყოველ საღამოს ასე ხდება.

გერტრუდი მიხვდა, რომ დედილო სტინას ეგონა, ცეკვების შემდეგ დარბაზში მოჩვენებამ დაიბუდაო. დედა თუ ამას მართლა დაიჯერებდა, ცეკვას უნდა დამშვიდობებოდა.

– ახლავე ავალ და ვნახავ, იქ რა ხდება, – თქვა გოგონამ, მაგრამ დედა ქვედატანზე ჩაებღაუჭა.

– რა ვიცი, იქნებ არ უნდა გაგიშვა?

– უნდა გამიშვა, დედა, უმჯობესია, გავარკვიო, ეს რას ნიშნავს!

– მაშინ ორივენი მაინც წავიდეთ.

დედა-შვილი ჩუმად აიპარა კიბეზე. კარის გაღება ვერ გაბედეს და დედილო სტინამ დარბაზში გასაღების ჭუჭრუტანიდან შეიჭვრიტა.

ქალი დიდხანს იდგა კართან და გერტრუდს მოეჩვენა, რომ იგი იცინოდა.

– რა ხდება, დედა?

– მიდი, თვითონ ნახე, ოღონდ ჩუმად იყავი!

გერტრუდი დაიხარა და ოთახში შეიხედა. მაგიდები და მერხები, რომლებიც სხვა დროს მთელ დარბაზს ავსებდა, ერთ ადგილას იყო მოქუჩებული, ირგვლივ საშინელი მტვერი იდგა, მტვრის ბუღში კი სკამჩაბღუჯული ინგმარ ინგმარშონი ტრიალებდა.

– ინგმარი გაგიჟდა? – წამოიძახა გერტრუდმა.

– ჩუმად! – უბრძანა დედამ და გოგონა ისევ კიბისკენ წაათრია. – ეტყობა, ცეკვის სწავლას ცდილობს, უნდა, კარგად იცეკვოს, რომ არ შერცხვეს, – განაგრძო მან და ჩაიფხუკუნა, მერე კი სიცილი აუტყდა.

– არადა, როგორ შემაშინა. მადლობა ღმერთს, მასაც შეძლებია სხვა ახალგაზრდებივით მოქცევა.

მერე კი, როცა სიცილს მორჩა, დედილო სტინამ გერტრუდი გააფრთხილა, რაც ნახე, არავისთან წამოგცდესო.

შაბათი საღამოც დადგა. ოთხივე მეგობარი წასასვლელად გამზადებული იდგა სკოლის კიბეზე და დედილო სტინა მათ თავით ფეხებამდე ათვალიერებდა. ისეთი მორთულ-მოკაზმულები იყვნენ, რომ ბრწყინავდნენ. ბიჭებს ნატის ყვითელი შარვლები და წითელსახელოებიანი, მწვანე შინნაქსოვი ჟილეტები ეცვათ. გერტრუდის და გუნჰილდის კოფთებს ფართო, ფუშფუშა, თეთრი სახელოები ჰქონდა, დიდი, ვარდისფერი თავშლები წელზე შემოეხვიათ და წითელარშიამოვლებული, ვარდისფერწინსაფრიანი, ზოლიანი ქვედატანები ეცვათ.

ამ მშვენიერ ზაფხულის საღამოს ოთხივენი თავიდან ჩუმად მიაბიჯებდნენ. ზოგჯერ გერტრუდი ინგმარისკენ აპარებდა თვალს და აგონდებოდა, რა გულმოდგინედ სწავლობდა ბიჭი ცეკვას. ამ მოგონების ბრალი იყო თუ იმის, რომ საცეკვაოდ მიდიოდა, ქარაფშუტულმა და ლამაზმა ფიქრებმა გაიტაცა და დანარჩენებს ოდნავ ჩამორჩა, რათა თავისთვის ეოცნება. პატარა ამბავიც კი შეთხზა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, როცა ხეები გაიფოთლებოდა.

გერტრუდი ფიქრობდა, რა მოხდება, რომ ხეებმა, რომლებმაც მთელი ზამთარი ძილში გაატარეს, უეცრად სიზმარი ნახონო. ალბათ, გაგანია ზაფხული დაესიზმრებოდათ: მოლივლივე ხორბლის ყანები და მწვანედ მობიბინე მინდვრები, ახლად გაშლილი ყვავილებით მოფენილი ასკილის ბუჩქები, ნაკადულების და ჭაობების ზედაპირზე მოტივტივე დუმფარები, ხვიარა სუროთი დაფარული კლდეები და ვარსკვლავა ყვავილებით მოხატული ტყის ნიადაგი, ხეები კი ისევ შიშვლები იდგნენ და თავიანთი სიშიშვლისა ისე რცხვენოდათ, როგორც სიზმარში ხდება ხოლმე.

შეცბუნებული ხეები ფიქრობდნენ, ყველა ჩვენ დაგვცინისო. ბზიკები დამცინავი ბზუილით ესეოდნენ, კაჭკაჭები მასხრად იგდებდნენ, სხვა ჩიტები კი სახუმარო სიმღერებს ჭიკჭიკებდნენ. „რითი დავიფაროთ სხეულები?“ ფიქრობდნენ ლამის სასოწარკვეთილი ხეები, მაგრამ ტოტებზე ერთი ფოთოლიც კი არ ესხათ და ისე განიცდიდნენ, რომ გამოფხიზლდნენ.

ახლადგაღვიძებულმა ხეებმა ირგვლივ მიმოიხედეს და მყისვე გაიფიქრეს: „მადლობა ღმერთს, სიზმარი ყოფილა! აბა, სად არის ზაფხული? ალბათ, იმიტომ გვესიზმრა, რომ მეტისმეტად დიდხანს არ გვძინებოდა.“ თუმცა ხეებმა კარგად რომ მიმოიხედეს, შენიშნეს, ტბებს ყინულისგან თავი დაეღწიათ, ენძელებს და ბალახს მიწიდან თავი ამოეყო, მათ ქერქქვეშ კი წვენი შიშინებდა. „ზაფხული არადა, გაზაფხული კი დამდგარა,“ თქვეს ხეებმა, „რა კარგია, რომ გაგვეღვიძა. ახლა გამოძინებულები ვართ და უნდა შევიმოსოთ.“

ჰოდა, არყის ხეებმა საჩქაროდ გამოისხეს მოყვითალო-მომწვანო, ფისწასმული ფოთლები, ამასობაში კი ნეკერჩხლები მწვანე საბურველში ეხვეოდნენ. თხმელების დანაოჭებული ფოთლები რაღაც მახინჯ ქმნილებებს ჰგავდნენ, სამაგიეროდ, ტირიფის კვირტებიდან თავიდანვე გლუვი და ლამაზი ფოთლები გამოსრიალდა.

გერტრუდი მიდიოდა, ამ ამბავზე ფიქრობდა და თავისთვის იღიმებოდა. მხოლოდ ერთი რამ უნდოდა: ინგმართან მარტო დარჩენილიყო და მისთვის ყველაფერი ეამბნა.

გოგო-ბიჭებს წინ გრძელი გზა ედოთ. ინგმარის კარ-მიდამომდე ერთი საათის სავალი იყო. მდინარის ნაპირს მიყვებოდნენ, გერტრუდი კი სხვებს უკან მისდევდა. მისი ფიქრები ახლა ჩამავალი მზის წითელ დაფიონს გადასწვდა, რომელიც მდინარესა და ნაპირზე გიზგიზებდა. რუხ თხმელებს და მოყვითალო-მომწვანო არყის ხეებს მზის ათინათი წამით ააელვარებდა, მერე კი კვლავ თავისი ფერი უბრუნდებოდათ.

უეცრად ინგმარი შეჩერდა, სიტყვა შუაზე გაუწყდა და თითქოს დამუნჯდა.

– რა ხდება? – იკითხა გუნჰილდმა. ინგმარი იდგა და გაფითრებული წინ იყურებოდა. სხვები ბორცვებით გარშემორტყმული და სახნავი მიწების უჯრედებით დაფარული ფართო დაბლობის გარდა ვერაფერს ამჩნევდნენ, რომლის შუაგულში მემამულის დიდი სახლი იდგა. ამ დროს დაისის წითელი სხივი სახლს დაეცა, ფანჯრები ააელვარა, ხოლო ძველი სახურავი და კედლები კაშკაშა წითლად დაფერა.

გერტრუდი სწრაფად დაწინაურდა, ინგმარს თვალი შეავლო და სხვები განზე გაიხმო.

– ამაზე არაფერი ჰკითხოთ, – წაიჩურჩულა მან. – ეს ინგმარის კარ-მიდამოა და მისი დანახვა უმძიმს. ბოლო ორი წელია, მას შემდეგ, რაც გაღარიბდა, შინ წასვლაზე უარს ამბობს.

გზა ზედ დაბლობზე გადიოდა, მათ მამულის გვერდით უნდა ჩაევლოთ, რომ ტყის პირას, ღონიერი ინგმარის სახლთან მისულიყვნენ.

ინგმარი მეგობრებს მალე წამოეწია და შეეხმიანა:

– სჯობს, აი, ამ გზას გავყვეთ. მან ბილიკზე გადაუხვია, რომელიც ტყის პირას მიიკლაკნებოდა და მამულს გვერდს უვლიდა.

– ინგმარ, ღონიერ ინგმარს ხომ იცნობ? – იკითხა ჰეკ გაბრიელ მათსონმა.

– კი, ოდესღაც კარგი მეგობრები ვიყავით.

– თუ იცი, მართალია, რომ ჯადოქრობა შეუძლია? – ჩაერთო გუნჰილდი.

– არა-ა, – ისეთი ყოყმანით უპასუხა ინგმარმა, თითქოს სანახევროდ სჯეროდა, რომ ასე იყო.

– მოდი, მოგვიყევი, რაც იცი, – განაგრძო გუნჰილდმა.

– მასწავლებელმა თქვა, ასეთი რამეების არ უნდა გჯეროდეთო.

– მასწავლებელი ვერავის აუკრძალავს იმის დანახვას, რასაც ხედავ და იმის დაჯერებას, რაც იცი.

ინგმარს ძალიან მოუნდა, სახლზე ელაპარაკა. ძველი კარ-მიდამოს დანახვაზე ბავშვობის ყველა მოგონება ერთბაშად ამოუტივტივტივდა.

– ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელსაც მეც შევსწრებივარ, – თქვა მან. – ერთ ზამთარს მამაჩემი და ღონიერი ინგმარი ნახშირის გამოსაწვავად ტყეში წავიდნენ. შობის წინ ღონიერმა ინგმარმა მამას შესთავაზა, ტყეში მარტო დავრჩები, შენ კი დღესასწაულებზე შინ დაბრუნდიო. ასეც მოიქცნენ, შობის წინა საღამოს დედამ ღონიერ ინგმართან საშობაო მოსაკითხის მისატანად ტყეში გამაგზავნა.

შინიდან ადრე გამოვედი და სადილობისას უკვე ღუმლებთან ვიყავი. სწორედ მაშინ, როცა მივედი, მამას და ღონიერ ინგმარს ერთ-ერთ ღუმელში ნახშირი გამოეწვათ და გახურებული ნახშირი გასაგრილებლად მიწაზე გადმოეყარათ. გროვას ბოლი ასდიოდა და იქ, სადაც ბევრი ნახშირი ეყარა, შეიძლება ცეცხლი გაჩენილიყო. ნახშირის გამოწვისას ეს ყველაზე დიდი საფრთხე იყო. მამამ, როგორც კი დამინახა, მითხრა: „მგონი, კვლავ მარტო მოგიწევს შინ დაბრუნება, ინგმარ. ღონიერ ინგმარს ამ დღეში ვერ დავტოვებ.“ ღონიერმა ინგმარმა გროვას იმ მხრიდან მოუარა, სადაც ყველაზე უფრო ბოლავდა და თქვა: „არა უშავს, დიდო ინგმარ, შინ წადი, ამაზე უარეს განსაცდელსაც გავმკლავებივარ.“

სულ ცოტა ხანში ბოლმა იკლო. „აბა, ვნახოთ, დედილო ბრიტამ საშობაოდ რა გამომიგზავნა,“ თქვა ღონიერმა ინგმარმა და ფუთა გამომართვა. „შემოდი, ნახე, მე და მამაშენს რა მშვენიერი სახლი

გვაქვს!“ და ქოხი მაჩვენა, სადაც მამასთან ერთად ცხოვრობდა. უკანა კედლის მაგივრობას დიდი ქვა სწევდა, დანარჩენი კედლები კი ნაძვის ტოტებისა და ლატნებისგან გაეკეთებინათ. „ჰო, ჰო, ჩემო ბიჭო, ალბათ, არც გეგონა, რომ მამაშენს ტყეში ასეთი მეფური ციხე-კოშკი ექნებოდა. აბა, ამ კედლებს შეხედე, აქ რა ყინვა და სიცივე შემოაღწევს?“ თქვა ღონიერმა ინგმარმა და ხელი ნაძვის ტოტებში გაყო.

ამ დროს მამაც შემოვიდა და მეგობრის სიტყვებზე გაეცინა. ორივენი გამურულები იყვნენ და კვამლის სუნი ასდიოდათ, მაგრამ მამა ასეთი ხალისიანი არასოდეს მინახავს. წელში ვერ იმართებოდნენ, ნაძვის ტოტების საწოლები და ორი ქვა ჰქონდათ, სადაც ცეცხლს ანთებდნენ, მაგრამ ძალიან ბედნიერები იყვნენ. გვერდიგვერ ისხდნენ საწოლზე და საჭმელების ფუთას ხსნიდნენ. „არ ვიცი, შენ რატომ უნდა გიწილადო, ეს მხოლოდ ჩემი საშობაო ძღვენია,“ უთხრა ღონიერმა ინგმარმა მამას. „შობის წინა საღამოა და გულმოწყალება გმართებს.“ „ჰოდა, ამიტომაც საწყალ მენახშირეს შიმშილით სული უნდა ამოხდეს, არა?“ აი, ასე ლაზღანდარობდნენ და თან სადილობდნენ, ცოტა არაყსაც აყოლებდნენ, მე კი ის მაოცებდა, რომ საჭმელ-სასმელს შეეძლო, ადამიანები ასე გაეხალისებინა. „დედაშენს გადაეცი, რომ დიდმა ინგმარმა მთელი საჭმელი შემისანსლა და ხვალ უფრო მეტი გამომიგზავნოს.“ – მითხრა ღონიერმა ინგმარმა. „როგორც ვხედავ, მართლა ასეა,“ ვუპასუხე მე.

ამ დროს უეცრად შევკრთი, რადგან კერიაზე ცეცხლმა დაიტკაცუნა. ისეთი ხმა იყო, თითქოს ვიღაცამ ცეცხლში კენჭები ისროლა. მამას არაფერი შეუმჩნევია, ღონიერმა ინგმარმა კი მაშინვე წამოიძახა: „ოჰო, მაშ, ასე, არა?!“ თუმცა ჭამა არ შეუწყვეტია. ცეცხლმა ახლა უფრო ძლიერად გაიტკაცუნა. არაფერი დამინახავს, მაგრამ თითქოს ვიღაც ქვებს ზედიზედ ისროდა ცეცხლში. „ჰო, ეს უკვე მეტისმეტია,“ თქვა ღონიერმა ინგმარმა და გარეთ გავიდა. „იცი, ნახშირს ცეცხლი გაუჩნდა,“ დაიძახა მან. „არ გამოხვიდე, ინგმარ, მარტოც კარგად მივხედავ.“ მე და მამა ვდუმდით და ლაპარაკი არც ერთს არ გვინდოდა.

ამასობაში ღონიერი ინგმარი დაბრუნდა და ისევ მასხრობას მოჰყვა, რამდენი წელია, ასეთი მხიარული შობა არ მქონიაო. ამის თქმა იყო და, ტკაცანი ისევ გაისმა. „ერთი უყურე, თავისას რომ არ იშლის,“ თქვა ღონიერმა ინგმარმა, ქოხიდან გავიდა და დაინახა, რომ ნახშირი კვლავ იწვოდა. როცა შემობრუნდა, მამამ უთხრა: „ვხედავ, ისეთი კარგი დამხმარე გყავს, ნახშირის გამოწვას მარტოც გაართმევ თავს.“ „ჰო, შინ წადი და იმხიარულე, ინგმარ! აქ მართლაც ბევრი დამხმარე მყავს!“ მე და მამა შინ დავბრუნდით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და არც მაშინ და არც მერე ღონიერი ინგმარის ხელში ნახშირს ცეცხლი არ გასჩენია.

გუნჰილდმა ინგმარს ამ ამბის მოთხრობისთვის მადლობა გადაუხადა, გერტრუდი კი ისე ჩუმად იყო, თითქოს რაღაცის შეეშინდაო. ჩამავალი მზის სხივებმა უკანასკნელად გაიელვა. ყველაფერი, რაც სულ ახლახან წითელი იყო, გალურჯდა და განაცრისფრდა, ტყიდან აქა-იქ ხასხასა ფოთლები გამოკრთოდა, რომლებიც საღამოს ბინდბუნდში ტროლის წითელ თვალებს წააგავდა.

გერტრუდი განცვიფრებული იყო, ინგმარმა რომ ამდენი და ამდენ ხანს ილაპარაკა. ეჩვენებოდა, რომ ბიჭმა თავი ასწია და მტკიცე ნაბიჯით განაგრძო გზა. „როგორც კი თავის მიწაზე დადგა ფეხი, სულ სხვა ადამიანად იქცა,“ გაიფიქრა გოგონამ. გერტრუდს ვერ გაეგო, ეს ამბავი რატომ აღელვებდა ან რატომ არ მოსწონდა, თუმცა დარდი მყისვე გულიდან გადაიყარა, ინგმარის გამოჯავრება დაიწყო და ეკითხებოდა, ცეკვას თუ აპირებო.

ბოლოს გოგო-ბიჭები პატარა, ნაცრისფერ სახლს მიადგნენ. შიგნით სანთლები ენთო, პატარა ფანჯრებში დღის შუქი ძლივს აღწევდა. სახლიდან ვიოლინოს ჰანგები იღვრებოდა და მოცეკვავეთა ფეხების ბაკუნი ისმოდა, მაგრამ გოგონები მაინც შეყოყმანდნენ.

– მართლა ეს სახლია? განა აქ ცეკვა შეიძლება? აქ ხომ ერთ წყვილზე მეტი ვერ დაეტევა?

– კარგი ერთი! არც ისე პატარაა, როგორიც გარედან ჩანს, – დაამშვიდა ისინი გაბრიელმა.

ღია კართან ახალგაზრდები იდგნენ, რომელთაც ცეკვის მერე ალმური ასდიოდათ. გოგონები თავსაფრებით ინიავებდნენ, ბიჭები კი გარეთ გამოვიდნენ და შავი, მოკლე ქურთუკები გაიძრეს, რომ ღიამწვანე, წითელსახელოებიან ჟილეტებში ეცეკვათ.

ახალმოსულებმა კართან შეგროვილ ხალხში გზა გაიკვლიეს და სახლში შევიდნენ. პირველი, ვინც დაინახეს, ღონიერი ინგმარი იყო – ტანდაბალი, ჩასუქებული კაცი დიდი თავით და გრძელი წვერით. „გნომებისა და ტროლების შთამომავალს ჰგავს,“ გაიფიქრა გერტრუდმა. მასპინძელი ღუმელზე იდგა და უკრავდა, ალბათ, იმიტომ, რომ მოცეკვავეებს ფეხებში არ გაბლანდოდა.

სახლი მართლაც იმაზე დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ჩანდა, თუმცა ღარიბული და დანგრევის პირას მისული იყო. ხის კედლები დაჭიანებული, ნივნივები კი კვამლისგან გაშავებული იყო. ფანჯრებს ფარდები არ ჰქონდა, მაგიდაზე კი სუფრა არ ეფარა. ყველაფერს ეტყობოდა, რომ ღონიერი ინგმარი

მარტოხელა გახლდათ. შვილები ამერიკაში გადასახლდნენ. ერთადერთი, რაც მოხუცის მარტოობას ახალისებდა, შაბათ საღამოობით თავის სახლში ახალგაზრდების შეკრება იყო, რომელთაც იგი ვიოლინოზე დაკვრით ართობდა.

სახლი ნახევრად ჩაბნელებული და ჩახუთული იყო და აქა-იქ წყვილები ტრიალებდნენ. გერტრუდს თავდაპირველად სული შეუგუბდა და გარეთ გავარდნა მოუნდა, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან ხალხის კედლის გარღვევა შეუძლებელი იყო.

ღონიერი ინგმარი სწრაფად და ყოჩაღად უკრავდა, მაგრამ ინგმარის შემოსვლისთანავე ხემი ისე გაუშეშდა ხელში, რომ სიმებმა დაიჟღრიალა და მოცეკვავეები შეჩერდნენ.

– არა, არაფერია! – დაიყვირა მან. – განაგრძეთ ცეკვა!

ინგმარმა გერტრუდს წელზე მოხვია ხელი და საცეკვაოდ გაიწვია. გოგონა მისმა საქციელმა ძალზე გააოცა, თუმცა ადგილიდან ვერ დაიძრნენ, რადგან წყვილები ისე ახლო-ახლო ცეკვავდნენ, მათ შორის შეღწევა არავის შეეძლო.

მოხუცმა ინგმარმა ისევ შეწყვიტა დაკვრა, ხემით ღუმელზე დააკაკუნა და მქუხარე ხმით წარმოთქვა:

– ჩემს სახლში ცეკვა თუ გინდათ, დიდი ინგმარის ვაჟს ადგილი გაუთავისუფლეთ.

ყველანი ინგმარისკენ შეტრიალდნენ. ბიჭმა დაიმორცხვა და ერთ ადგილას გაშეშდა. მაშინ გერტრუდმა სწრაფად ჩაავლო ინგმარს ხელი და თან გაიყოლა.

როგორც კი ცეკვა დამთავრდა, მათთან მასპინძელი მივიდა და მიესალმა. როგორც კი ბიჭმა ხელი ჩამოართვა, მოხუცმა აღელვებული და შეშინებული სახე მიიღო და ხელი სწრაფად გაუშვა.

– ოჰ, ჩემისთანა გაუთლელმა გლეხმა სკოლის მასწავლებელს ფაქიზი ხელები არ დაამტვრიოს! – წამოიძახა მან.

მოხუცმა ინგმარი მეგობრებთან ერთად მაგიდასთან მიიწვია და იქ მსხდომი გლეხის ქალები წამოყარა, რომლებიც ცეკვების ცქერით ტკბებოდნენ, მერე კი კარადასთან მივიდა და იქიდან პური, კარაქი და მსუბუქი ლუდი გამოიღო.

– არასოდეს არავის ვუმასპინძლდები ხოლმე, სხვებმა ცეკვით და მუსიკით იჯერონ გული, მაგრამ ინგმარ ინგმარშონმა ჩემს ჭერქვეშ პური უნდა გატეხოს! – განაცხადა მან.

ვიდრე ახალგაზრდები მიირთმევდნენ, მოხუცმა სამფეხა სკამი გამოათრია, ინგმარს ცხვირწინ დაუჯდა და მიაჩერდა.

– მაშ, მასწავლებლობას აპირებ, არა?

ინგმარი ცოტა ხანს თვალებდახრილი იჯდა. ტუჩები ისე შეუტოკდა, თითქოს ეცინებაო, მაგრამ მაინც ნაღვლიანად მიუგო:

– შინ აღარაფერი მესაქმება.

– აღარაფერი მესაქმებაო? – გაიმეორა მასპინძელმა. – ვინ გითხრა, რომ მამულში საჭირო აღარა ხარ? ელიასი ორ წელიწადში მოკვდა. რა იცი, ჰალვური ფეხებს როდის გაჭიმავს?

– ჰალვური ჯან-ღონეს არ უჩივის.

– ალბათ, იცი, რომ როგორც კი მამულს გამოისყიდი, ჰალვური იქიდან წასვლას და შენთვის მის დათმობას აპირებს.

– ინგმარის კარ-მიდამო ხელში ჩაიგდო და იქიდან თუ გადასახლდება, გიჟი ყოფილა.

ინგმარი მაგიდის კიდეს ჩამოეყრდნო. ეს უბრალო, უხეშად გამოჩორკნილი ფიჭვის მაგიდა იყო, უეცრად რაღაცამ გაიჭრაჭუნა და მაგიდას კუთხე მოტყდა. ღონიერ ინგმარს ხელი გაეშვირა და ლაპარაკს განაგრძობდა.

– თუ სკოლის მასწავლებელი გახდები, ის მამულს არასოდეს დაგითმობს.

– მართლა?

– მართლა, მართლა. ვხედავ, როგორც გაგზარდეს. ოდესმე გუთანს თუ გაჰყოლიხარ?

– არა, – მიუგო ინგმარმა.

– ნახშირი თუ გამოგიწვავს ან დიდი ფიჭვი თუ წამოგიქცევია?

ინგმარი მშვიდად იჯდა, მაგრამ მის თითებქვეშ მაგიდის კიდემ გაიჭრაჭუნა. მოხუცი რაღაცას მიხვდა და მყისვე გაჩუმდა.

– ოჰო, – თქვა მან, მორყეულ მაგიდას რომ შეხედა, – ჩანს, ხელი უნდა მოგკიდო. – ნაფოტები აიღო და ძველ ადგილზე დააბრუნა. – მაგარია, ბაზრობებზე რომ იარო, ბევრ ფულს იშოვი! შე მასხარავ, – და მან ინგმარს მხარზე დაჰკრა ხელი. – სკოლის მასწავლებელი არა, ისა!

ამ სიტყვებზე ღონიერი ინგმარი ისევ ღუმელზე შეხტა და დაკვრა დაიწყო. მის დაკვრას ახლა სულ სხვა ელფერი დაჰკრავდა. კაცმა მუსიკის ტაქტს ფეხი ააყოლა და მოცეკვავეებიც თავბრუდამხვევად დატრიალდნენ.

– ეს ახალგაზრდა ინგმარის პოლკაა! – დაიძახა მან. – ყველანი ახალგაზრდა ინგმარის პატივსაცემად ცეკვავთ!

გერტრუდი და გუნჰილდი ისეთი ლამაზები იყვნენ, ყველა მათ ეცეკვებოდა. ინგმარს ბევრი არ უცეკვია, უმეტესად ოთახში იდგა და უფროსებს ელაპარაკებოდა. ცეკვებს შორის ინგმარის გარშემო უამრავი ხალხი ისე იყრიდა თავს, თითქოს მისი დანახვაც კი სიხარულს ანიჭებდათ.

გერტრუდმა იფიქრა, ინგმარს სულ დავავიწყდიო და გაბრაზდა. „მაგას რა ჰგონია – თვითონ დიდი ინგმარის შვილია და მე მხოლოდ მასწავლებლის შვილი ვარ, არა?“ ფიქრობდა იგი, თანაც უცნაურად ეჩვენებოდა, რომ ამას ასე განიცდიდა.

ცეკვებს შორის ახალგაზრდები გარეთ გადიოდნენ. გაზაფხულის ღამე საშინლად ცივი იყო. საკმაოდ ბნელოდა და ისინი, ვისაც წასვლა არ უნდოდა, ამბობდნენ:

– მთვარის ამოსვლამდე უნდა მოვიცადოთ, ძალიან ბნელა.

ერთხელ, როცა ინგმარი გერტრუდთან ერთად კართან იდგა, მასთან მასპინძელი მივიდა, განზე გაიყვანა და უთხრა:

– წამოდი, რაღაც უნდა გაჩვენო!

ხელი ჩაკიდა და ბუჩქნარის გავლით სახლის უკან გაიყვანა.

– წყნარად იდექი და ქვემოთ იყურე! – თქვა მან.

ინგმარმა სიღრმეში ჩაიხედა, რომლის ფსკერზეც რაღაც თეთრად ილანდებოდა.

– ეს ხომ ლონგფორშენის ჭორომია, – თქვა მან.

– მართალი ხარ, ლონგფორშენია! – დაეთანხმა მოხუცი. – როგორ გგონია, ასეთი ჭორომი რისთვის გამოდგება?

– იქ შეიძლება სამხერხაო ან წისქვილი გამართო, – მიუგო ყმაწვილმა.

მოხუცს სიცილი აუტყდა, ინგმარს ისე ურტყამდა ხელს და მუჯლუგუნებს ჰკრავდა, რომ კინაღამ ჭორომში გადააგდო.

– ჰო, მაგრამ ვინ უნდა ააგოს აქ სამხერხაო, ვინ უნდა გამდიდრდეს, ინგმარის მამული ვინღა უნდა გამოისყიდოს?

– ნეტავ ეგ ვიცოდე, – უპასუხა ინგმარმა.

გლეხმა თავისი დიდი ჩანაფიქრი გაანდო. ინგმარს ტიმს ჰალვური უნდა დაეყოლიებინა, რომ ჭორომთან სამხერხაო აეგო, მერე კი მისგან იჯარით აეღო. თურმე მოხუცი რამდენიმე წელია, მხოლოდ იმაზე იმტვრევდა თავს, დიდი ინგმარის ვაჟს სამფლობელო რა გზით დაებრუნებინა.

ინგმარი უძრავად იდგა და ჭორომს ჩაჰყურებდა.

– ახლა კი წამოდი და ცეკვა განაგრძე! – უთხრა ღონიერმა ინგმარმა.

ბიჭი არც განძრეულა და მოხუცი მოთმინებით ელოდა. „თუ ნამდვილი ინგმარშონია, არც დღეს მიპასუხებს და არც ხვალ. ძველი გვარის ხალხს დრო სჭირდება.“

ვიდრე ისინი ასე იდგნენ, ზემოთ, ტყიდან ძაღლის გაავებული ყეფა მოისმა.

– არაფერი გესმის, ინგმარ? – ჰკითხა მოხუცმა.

– კი, ეტყობა, ძაღლი ნადირს ერეკება, – მიუგო ბიჭმა. ყეფა თანდათან მოახლოვდა, თითქოს ნადირს გეზი პირდაპირ მათი სახლისკენ აუღიაო. მოხუცმა ინგმარს მაჯაში სტაცა ხელი.

– წავიდეთ! – შესძახა მან. – დამიჯერე, ახლავე შინ შევიდეთ!

– რა მოხდა?

– შემოდი! – მიუგო კაცმა. – გაჩუმდი და შიგნით შემოდი!

ვიდრე ისინი სახლისკენ გარბოდნენ, წკმუტუნში შერეული ყეფა ზედ მათ თავზე გაისმა.

– ეს რა ძაღლია? – დროდადრო კითხულობდა ინგმარი.

– შიგნით შედი! ოღონდ შიგნით შედი!

მოხუცმა ბიჭი ხელისკვრით შეაგდო წინკარში, თავად კი პარმაღზე დარჩა და კარს მიაწვა.

– თუ ვინმე გარეთ არის, სახლში შემოდით! – დაიძახა მან მჭექარე ხმით, კარის ღრიჭოში იდგა, ხალხი კი ყველა მხრიდან გამორბოდა. ¬– შიგნით შემოდით! ყველანი შიგნით შემოდით! – ყვიროდა იგი და მოუთმენლობისგან ფეხებს აბაკუნებდა.

მალე აღელვებულმა სტუმრებმა სახლში მოიყარეს თავი. ყველას უნდოდა შეეტყო, რა მოხდა. ბოლოს, როცა უკანასკნელი კაციც შემოვიდა, ღონიერმა ინგმარმა კარს ურდული გაუყარა.

– ხომ არ გაგიჟდით? რას დარბიხართ გარეთ, განა მთის ძაღლის ხმა არ გესმით? – თქვა მან და ამ დროს სახლთან სულ ახლოს ისევ გაისმა ყეფა, ძლიერმა, შემზარავმა ხმამ სახლს რამდენჯერმე შემოუარა.

– მაშ, ეს ნამდვილი ძაღლი არ არის? – იკითხა ერთმა მოჯამაგირემ.

– თუ გინდა, თავად გადი და ნახე, ნილს იანსონ.

ყველანი გაჩუმდნენ და ყეფას მიაყურადეს, რომელიც შეუჩერებლად უვლიდა სახლს გარშემო. ხმა ისეთი საშინელი იყო, რომ ბევრს ჟრჟოლამ დაუარა და მკვდარივით გაფითრდა. არა, ეს ჩვეულებრივი ძაღლი ნამდვილად არ ჩანდა. ამ ხმაში რაღაც ჯოჯოხეთური იყო.

მასპინძელი გონს მოეგო. ღუმლის გამწოვი დაკეტა და სანთლები ჩააქრო.

– არა, არა, არ ჩააქრო! – შესძახეს ქალებმა.

– მადროვეთ, ჩვენთვის ასე სჯობს, – თქვა ღონიერმა ინგმარმა.

ერთ-ერთი გოგონა მოხუცს ქურთუკზე ჩაებღაუჭა:

– განა ეს მთის ძაღლი საშიშია?

– ძაღლი არა, ის, რაც მას მოჰყვება.

– რა მოჰყვება?

მოხუცი ჩუმად იდგა და აყურადებდა.

– ახლა ყველანი უნდა გავჩუმდეთ, – თქვა მან.

მყისვე ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდი. ყეფა ჯერ ისევ სახლის გარშემო ისმოდა, მერე კი ნელ-ნელა შესუსტდა და თანდათან ლონგფორშის ჭაობისკენ გადაინაცვლა, ბოლოს კი ხეობის მეორე მხარეს, მთაში გაისმა და სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

ვიღაცამ ვერ მოითმინა და თქვა:

– როგორც იქნა, ძაღლი წავიდა.

ღონიერმა ინგმარმა ხელი გაიშვირა და მას ტუჩებში მისცხო, მერე ისევ დადუმდნენ.

შორს, სადღაც კლაკბერიეთის ფერდობიდან მქუხარე ხმა მოისმა. ეს შესაძლოა ქარის სტვენაც ყოფილიყო და ბუკის ხმაც. ამ გაჭიანურებულ ბგერას კი გრუხუნი, ბაკუნი და ფრუტუნი შეერია.

ეს რაღაც გამაყრუებელი ზათქით ეშვებოდა მთიდან. ესმოდათ, როგორ დაეშვა მთის ძირში, როგორ მივიდა ტყის პირამდე, როგორ აღმოჩნდა მათ თავზე. ეს ჭექა-ქუხილს ჰგავდა, მიწას რომ დაატყდა თავს, თითქოს მთელი მთა მოწყდა და ხეობამ უყო პირი. და როცა ლამის მათ გადაუარა, ყველამ თავი დახარა და მხრებში ჩარგო. „გაგსრესს, უეჭველად გაგვსრესს,“ ფიქრობდნენ ისინი, თუმცა რასაც გრძნობდნენ, სიკვდილის შიში კი არა, უწმინდური ძალის შიში უფრო იყო, რომელიც წყვდიადს მთელი თავისი ძალმოსილებით დაუსხლტა. ყველაზე თავზარდამცემი ის იყო, რომ განგაშის ხმებს ყვირილი და ჩივილიც ერთვოდა. რაღაც შიშინებდა და უსტვენდა, იცინოდა და ყმუოდა, ჭრაჭუნობდა და წრიპინებდა. როდესაც ის, რაც სულ ახლახან ჭექა-ქუხილს აგონებდათ,

მოუახლოვდა, მოეჩვენათ, რომ ხმაში ერთდროულად ისმოდა კვნესა და მუქარა, ტირილი და მრისხანება, საყვირების ბღავილი, ცეცხლის ტკაცანი, სულების ღმუილი, დემონების დამცინავი ხარხარი და უზარმაზარი ფრთების შრიალი. თითქოს ჯოჯოხეთის ყველა ავსული უფსკრულიდან ამოვიდა და მათ დაატყდა თავს.

მიწა შეირყა და სახლი წამით ისე შეტორტმანდა, გეგონებოდათ, წაიქცევაო.

ისეთი ხმა იყო, თითქოს სახლის სახურავი ცხენების რემამ ფლოქვებით გადათქერა, თითქოს სულებმა სახლის ყველა კუთხეს ღმუილით ჩაუქროლეს, თითქოს ღამურებმა და ჭოტებმა მძიმე ფრთების შრიალით საკვამურებს მიაშურეს.

სანამ ეს გრძელდებოდა, ვიღაცამ გერტრუდს წელზე ხელი მოხვია და ქვემოთ დაქაჩა. გოგონამ ინგმარის ჩურჩული გაიგონა:

– გერტრუდ, მუხლებზე უნდა დავეცეთ და უფალს შემწეობა ვთხოვოთ.

წამის წინ გერტრუდს ისეთი საშინელი შიში დაეუფლა, ეგონა, მოკვდებოდა. „ეგ არაფერი, თუ მოვკვდები,“ ფიქრობდა გოგონა, „ყველაზე შემაძრწუნებელი ისაა, რომ ბოროტმა ძალამ ასე დაგვჯაბნა.“ მაგრამ როგორც კი გერტრუდმა წელზე ინგმარის ხელი იგრძნო, გული ისევ აუძგერდა და გაშეშებამაც გაუარა. გოგონა მჭიდროდ მიეკრა ინგმარს. ვიდრე მასთან იყო, არაფრის ეშინოდა. საოცრება იყო. ალბათ, ბიჭს მასზე ნაკლებ არ ეშინოდა, მისგან კი მაინც ასეთი სიმხნევე იღვრებოდა.

ხმაური ნელ-ნელა შესუსტდა და შეკრებილებმა გაიგონეს, რომ ის მათ იმავე გზით შორდებოდა, როგორც ახლახან ძაღლი გაუჩინარდა: ჯერ ქვემოთ, ლონგფორშის ჭაობისკენ, მერე კი ზემოთ, ულოფსჰეთანის ტყიანი ფერდობებისკენ.

ღონიერი ინგმარის სახლში კვლავ სიჩუმე იდგა. არავინ განძრეულა, ხმაც არავის ამოუღია, თითქოს ძალა გამოეცალათო. ხან გეგონებოდათ, შიშისგან ყველანი დაიხოცნენო, ხან კი ვიღაცის ღრმა ამოოხვრა მიგახვედრებდათ, რომ აქ ვიღაც ჯერ ისევ ცოცხალი იყო.

დიდხანს არავინ განძრეულა. ზოგი, კედელს მიყრდნობილი, ფეხზე იდგა, სხვები მერხებზე ისხდნენ, უმეტესობა კი იატაკზე დაწოლილი სასოწარკვეთით ლოცულობდა. ეტყობა, ელდისაგან ხელ-ფეხი წართმეოდათ.

საათი საათს მისდევდა. იქ მყოფთაგან ბევრმა საკუთარ სულში ჩაიხედა და გადაწყვიტა, ახალი ცხოვრება დაეწყო – ღმერთთან უფრო ახლოს და მტრებისგან უფრო შორს. თითოეული მათგანი ფიქრობდა: „ეს უბედურება ჩემი საქციელის გამო დამატყდა თავს. ეს ჩემი ცოდვების გამო მოხდა. გავიგონე, იმათ, ვინც გვერდით ჩამიარეს, დამიძახეს, დამცინოდნენ და ჩემს სახელს ყვიროდნენ.“

სამაგიეროდ, გერტრუდს თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა: „ახლა ვიცი, რომ ინგმარის გარეშე ცხოვრებას ვეღარასოდეს შევძლებ. ყოველთვის ერთად უნდა ვიყოთ იმ სიმტკიცის გამო, მისგან რომ მოდის.“

ბოლოს, როგორც იქნა, ღამე მიილია. განთიადის მქრქალი შუქი სახლში შეიჭრა და იქ მყოფთა ფერმკრთალ სახეებს მოეფინა.

გარეთ ჩიტები აჭიკჭიკდნენ. ღონიერი ინგმარის მშიერი ძროხაც აბღავლდა, მისმა კატამ კი, რომელიც ცეკვების დროს შინ არასოდეს იძინებდა ხოლმე, კარს მოაკნავლა.

ადგილიდან არავინ დაძრულა, ვიდრე აღმოსავლეთით, მთებს უკან მზე არ ამოვიდა. მაშინ ყველანი ერთიმეორის მიყოლებით ისე გაიკრიფნენ, რომ სიტყვაც არ უთქვამთ და ერთმანეთს არც დამშვიდობებიან.

სახლიდან გამოსულები განადგურების ნაკვალევს წააწყდნენ. დიდი ნაძვი, რომელიც შესასვლელთან იდგა, ფესვებიანად იყო ამოთხრილი, ტოტები და ღობის ბოძები მიწაზე ეყარა, რამდენიმე ღამურა და ბუ კედელზე იყო მიჭყლეტილი.

კლაკბერიეთის ფერდობისკენ მიმავალი ფართო შარაგზის გასწვრივ ყველა ხე ძირს გართხმულიყო.

ამ სანახაობას დიდხანს ვერავინ გაუძლო და ყველანი სოფლისკენ გაეშურნენ.

ამასობაში გათენდა. კვირადღე იყო და გლეხები გვიან იღვიძებდნენ, თუმცა ვიღაცები უკვე საქონლის დასაპურებლად გამოსულიყვნენ. ერთი სახლიდან კაცმა ეკლესიაში ჩასაცმელი პალტო გამოიტანა გასანიავებლად და გასაწმენდად, მეორე სახლიდან სადღესასწაულოდ გამოწყობილი მამა, დედა და ბავშვები გამოვიდნენ, ეტყობა, მეზობელ თემში სტუმრად მიდიოდნენ.

შვებისმომგვრელი იყო ადამიანებთან შეხვედრა, რომელთაც არაფერი იცოდნენ იმ საშინელების შესახებ, რაც გუშინ ღამით ტყეში დატრიალდა.

ბოლოს ახალგაზრდებმა მდინარეს მიაღწიეს, სადაც სახლები უფრო მჭიდროდ იდგა და აქედან სოფლისკენ დაეშვნენ. ყველას გაუხარდა ეკლესიის და სხვა შენობების დანახვა. შვებას ჰგვრიდათ, რომ აქ ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო. დუქანზე აბრა ისევ ძველებურად ჭრაჭუნობდა, ფოსტის შენობაზე ისევ იყო რქა დამაგრებული, ხოლო ფუნდუკის მეპატრონის ძაღლს, ვითომც აქ არაფერიო, თავისი ბუდრუგანის წინ ეძინა.

შოთხვის ბუჩქის დანახვაც უხაროდათ, რომელიც ამ ერთ ღამეში აყვავებულიყო, და მწვანე მერხებისაც, რომლებიც ეტყობოდა, გუშინ, გვიან ღამით დაედგათ პასტორის ბაღში.

ყველაფერი ენით აუწერელ სიმშვიდეს აფრქვევდა, თუმცა შინ მისვლამდე ხმის ამოღება ვერავინ გაბედა.

გერტრუდმა სკოლის კიბის საფეხურზე ედგა ფეხი და ინგმარს უთხრა:

– იცი, დღეს უკანასკნელად ვიცეკვე.

– ჰო, – მიუგო ინგმარმა, – მეც.

– კიდევ იცი, რა, ინგმარ? შენ მღვდელი უნდა გახდე. მღვდელი თუ არა, მასწავლებელი მაინც. ბოროტების წყვდიადში იმდენი რამ იმალება, რასაც უნდა ებრძოლო.

ინგმარი შედგა და გერტრუდს შეხედა.

– იმ ხმებმა რა გითხრა, გერტრუდ? – ჰკითხა მან გოგონას.

– მითხრეს, რომ ცოდვების ბადეში გავეხვიე და ეშმაკი დამეპატრონებოდა იმის გამო, რომ ცეკვა მომწონდა.

– მაშინ მეც გეტყვი, რა გავიგონე, – უთხრა ინგმარმა. – მომეჩვენა, რომ ყველა გარდაცვლილი ინგმარშონი მემუქრებოდა და მწყევლიდა იმიტომ, რომ მინდოდა, სხვა ვიღაც გავმხდარიყავი და არა მემამულე და ტყეში ან მიწაზე მუშაობის ნაცვლად სხვა რამის კეთება ვისურვე.

6. ჰელგუმი

იმ ღამით, როცა ღონიერი ინგმარის სახლში ცეკვები გაიმართა, ჰალვური შინ არ იყო და კარინ ინგმარშდოთერი მარტო იწვა საძინებელში. შუაღამისას მან ცუდი სიზმარი ნახა. ეზმანა, რომ ელიასი ცოცხალი იყო და დიდი ღრეობა ჰქონდა გაჩაღებული. ქალს ესმოდა, როგორ უჭახუნებდა მისი ქმარი თანამეინახეებს ჭიქას, როგორ ხარხარებდა და სუფრულ სიმღერებს მღეროდა.

კარინი ხედავდა, რომ სტუმრებმა თავი სულ აიშვეს და ბოლოს ისე ახმაურდნენ, თითქოს სკამებს და მაგიდას ამტვრევენო. ქალი აურზაურმა ისე შეაშინა, რომ გამოეღვიძა, მაგრამ შენიშნა, რომ ხმაური მის გარშემო არ შეწყვეტილა. მიწა ირყეოდა, ფანჯრები ზრიალებდა, სახურავიდან კრამიტი დაცურდა, სახლის წინ მდგარი ბებერი მსხლის ხეები კედლებს ტოტებს უტყლაშუნებდნენ.

ეტყობა, განკითხვის დღე დადგა.

აუტანელი ხმაურისგან ფანჯრის ჩარჩო ჩამოვარდა, მინა დაიმსხვრა და ნამსხვრევები წკრიალით მოიფანტა იატაკზე. ძლიერი ქარი ოთახში ზუზუნით შემოიჭრა და კარინს ყურში სწორედ ისეთი ხარხარი ჩაესმა, ახლახან სიზმარში რომ ესმოდა.

კარინს ეგონა, ვკვდებიო. ასეთი შემზარავი შიში არასოდეს დაუფლებია. გული გაუჩერდა, სხეული კი ყინულივით გაუცივდა და გაუშეშდა.

ანაზდად ხმაური შეწყდა და კარინიც ნელ-ნელა გონს მოეგო. ოთახში ღამის ცივი ჰაერი შემოიჭრა და ქალმა გადაწყვიტა, ამდგარიყო და ჩარჩო ადგილზე დაებრუნებინა, თუმცა როგორც კი საწოლიდან წამოდგა, მუხლი მოეკვეთა და შენიშნა, რომ სიარული არ შეეძლო.

კარინი, იმის ნაცვლად, რომ მშველელისთვის ეხმო, წყნარად იწვა. „როცა დავმშვიდდები, ალბათ, სიარულსაც შევძლებ,“ გაიფიქრა მან. ცოტა ხანში ისევ სცადა ადგომა, მაგრამ ფეხები არ დაემორჩილა, თავი ვერ შეიმაგრა და საწოლის გვერდით, იატაკზე დაეშვა.

დილით, შინაურებმა რომ გაიღვიძეს, ექიმის მოსაყვანად კაცი გაგზავნეს. ექიმი კი მალე მოვიდა,

თუმცა კარინის სნეულებას ვერაფერი გაუგო. ქალი არც ავადმყოფს ჰგავდა და არც – დამბლადაცემულს. ექიმმა ჩათვალა, რომ ყველაფერი ელდის ბრალი იყო.

– მალე უკეთ გახდებით, – დაამშვიდა მან ქალი.

კარინს სიტყვაც არ დასცდენია. იცოდა, რომ ღამით ოთახში ელიასი იყო და ეს უბედურება მან შეამთხვია. ისიც მშვენივრად უწყოდა, რომ ფეხზე ვეღარასოდეს დადგებოდა.

ქალმა მთელი დილა ფიქრებში ჩაძირულმა გაატარა. ცდილობდა, მიმხვდარიყო, ღმერთმა ასეთი განსაცდელი რისთვის მოუვლინა. დაწვრილებით გადაავლო თვალი ყველაფერს, რაც გაეკეთებინა, თუმცა ისეთი ცოდვა არასოდეს ჩაუდენია, რომელიც ასეთ მკაცრ სასჯელს იმსახურებდა. „უფალი უსამართლოდ მექცევა," გაიფიქრა მან.

საღამოს კარინმა სტორმის მისიის სახლში გადაწყვიტა წასვლა, სადაც იმ დღეს დაგსონი ქაგადებდა. იმედოვნებდა, რომ დაგსონი აუხსნიდა, ასე მწარედ რატომ დაისაჯა.

დაგსონი ცნობილი მოქადაგე გახლდათ, თუმცა იმდენი მსმენელი, იმ საღამოს რომ მოგროვდა, არასოდეს ჰყოლია. ღმერთო, ნეტავ გენახათ, დარბაზთან რამდენი ხალხი იყო! ყველანი მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდნენ, რაც საცეკვაო საღამოზე მოხდა. მთელი მრევლი მღელვარებას აეტანა და ახლა აქ სწორედ იმიტომაც შეკრებილიყვნენ, რომ უფლის მართალი სიტყვა მოესმინათ, მათ შიშს რომ განდევნიდა.

დარბაზმა მოსულების მეოთხედიც კი ვერ დაიტია, თუმცა კარ-ფანჯრები ყურთამდე ღია იყო, დაგსონს კი ისეთი მჭექარე ხმა ჰქონდა, რომ გარეთაც მშვენივრად ისმოდა.

მოქადაგემ იცოდა, რაც მოხდა და ხალხი რის მოსმენასაც ესწრაფოდა, ამიტომაც ქადაგება ჯოჯოხეთის და ქვესკნელის მეუფის შემაძრწუნებელი აღწერით დაიწყო. შეკრებილებს წყვდიადში სულებზე მონადირე უწმინდური ძალის არსებობა შეახსენა, რომელიც მანკიერების და ცოდვის მახეს აგებს.

გლეხები დაფრთხნენ და თვალწინ გადაეშალათ სამყარო, სადაც მათ სატანები აცდუნებდნენ და განსაცდელში აგდებდნენ. ყველგან ცოდვა და საფრთხე იყო ჩასაფრებული. ისინი ქვესკნელში დაეხეტებოდნენ, უღრანი ტყეების მხეცებს ჰგავდნენ, იტანჯებოდნენ და იდევნებოდნენ.

დაგსონის ხმა ამ სიტყვების წარმოთქმისას დარბაზში ქარიშხალივით დაქროდა, მისი სიტყვები კი ცეცხლის ენებივით იფრქვეოდა.

ყველას, ვინც დაგსონის ქადაგებას უსმენდა, მისმა სიტყვებმა ტყის ხანძარი მოაგონა. დემონების, კვამლის და ცეცხლის ხსენებაზე თითოეულ მათგანს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მის ირგვლივ ტყე იწვოდა, როცა ცეცხლი ხავსს მოედება ხოლმე და მისკენ მოიწევს, როცა კვამლის ღრუბელი სუნთქვას უკრავს, ალი თმას უტრუსავს, ხანძრის გუგუნი ყურებს უხშობს, ხოლო ნაპერწკლები ტანსაცმელს დაწვით ემუქრება.

დაგსონი შეკრებილებს სწორედ ცეცხლის, კვამლის და სასოწარკვეთილებისკენ მიერეკებოდა. მათ წინაც ცეცხლი იყო, უკანაც და ირგვლივ ცეცხლის და აღსასრულის გარდა ვერაფერს ხედავდნენ. თუმცა ამ საშინელებათა გადალახვის შემდეგ მოქადაგეს ხალხი ტყის მწვანე მდელომდე მიჰყავდა, სადაც სიმშვიდე და სიგრილე სუფევდა და საფრთხეც არსაიდან ჩანდა. ამ აყვავებული სავანეს შუაგულში იესო იჯდა, რომელიც ლტოლვილებს ხელებს უწვდიდა, ისინი მის ფერხთით წვებოდნენ, ყველა საშიშროება უკან რჩებოდა, აღარც დამალვა სჭირდებოდათ და აღარც არავინ სდევნიდა.

დაგსონი ლაპარაკობდა და თავადაც იმავეს განიცდიდა. როგორც კი იესოს ფერხთით დაწვა, სიმშვიდე დაეუფლა და არანაირი ხიფათი აღარ აშინებდა.

ქადაგების დამთავრებისთანავე დარბაზი გამოცოცხლდა. გლეხები მიდიოდნენ მასთან და მადლობას უხდიდნენ, თან ცრემლები ღვარად სდიოდათ და ამბობდნენ, რომ ამ ქადაგებამ მათში უფლის ჭეშმარიტი რწმენა გააღვიძა.

კარინ ინგმარშდოთერი ადგილიდან არ დაძრულა. როდესაც დაგსონმა ქადაგება დაასრულა, დამძიმებული ქუთითოები ასწია და კაცს ისე შეხედა, თითქოს საყვედურობდა, რომ მისთვის ვერაფრის მიცემა ვერ შეძლო.

უეცრად გარედან ვიღაცამ ისე ხმამაღლა იყვირა, რომ მისი სიტყვები მთელმა მრევლმა გაიგონა:

– ვაი მათ, ვინც პურის ნაცვლად ქვებს იძლევა! ვაი მათ, ვინც პურის ნაცვლად ქვებს იძლევა!

კარინმა ვერ დაინახა, ვინ ლაპარაკობდა. დარბაზში შეკრებილები გარეთ გაიჭრნენ, ის კი

იძულებული გახდა, შიგნით დარჩენილიყო, მაგრამ მერე მისიანები შემოვიდნენ და კარინს უთხრეს, რომ თურმე მაღალი, შავგვრემანი კაცი ყვიროდა, რომელსაც აქ არავინ იცნობდა. მან ლამაზ, ქერათმიან ქალთან ერთად შუა ქადაგებისას გზაზე ეტლით გამოიარა, ისინი შეჩერდნენ და მიაყურადეს, ხოლო სწორედ მაშინ, როცა გზის გაგრძელება დააპირეს, კაცი წამოდგა და ალაპარაკდა.

ზოგიერთებს მოეჩვენათ, რომ ქალი იცნეს. ეს ღონიერი ინგმარის ერთ-ერთი ქალიშვილი უნდა ყოფილიყო, რომელიც ამერიკაში გაემგზავრა და იქ გათხოვდა, კაცი კი, ალბათ, მისი ქმარი გახლდათ, თუმცა არც ისე იოლი იყო ამ ქალაქურად გამოპრანჭულ ქალში ნორჩი გოგონას ამოცნობა, რომელიც აქაურებს მხოლოდ სოფლურ ტანსაცმელში ახსოვდათ.

კარინიც იმავეს ფიქრობდა დაგსონზე, რასაც ეს უცხო კაცი და მისიის სახლშიც აღარასოდეს მისულა.

მოგვიანებით, ზაფხულში, კარინმა ერთ-ერთ ბაპტისტ მოქადაგესაც მოუსმინა, რომელიც მათ თემს ეწვია, იქადაგა და ხალხი მონათლა, ხოლო როცა სოფელში ხსნის არმიამ მოაწყო შეკრებები, ერთ ასეთ კრებასაც დაესწრო.

თემში დიდი სასულიერო გამოცოცხლება სუფევდა. ყველა შეკრებას განახლება და გარდაქმნა სდევდა თან. ყველას ეჩვენებოდა, რომ ის იპოვა, რასაც ეძებდა, თუმცა ვერ ერთმა მათგანმა, ვისაც კარინმა მოუსმინა, ვერ შეძლო მისთვის ესწავლებინა, როგორ შერიგებოდა იმ სასჯელს, რომელიც ღმერთმა მოუვლინა.

ბირგერ ლარშონი მჭედელი იყო. მისი სამჭედლო შარაგზის პირას იდგა. პატარა და ჩაბნელებულ სამჭედლოს ფანჯრის ნაცვლად ნახვრეტი და დაბალი კარი ჰქონდა. ბირგერ ლარშონი ბლაგვ დანებს ლესავდა, დამტვრეულ კლიტეებს აკეთებდა, ბორბლებს ფერსოებს უყენებდა და მარხილის კავებს ჭედავდა. თუ სხვა საქმე არაფერი ჰქონდა, ლურსმნებსაც ამზადებდა.

ზაფხულის ერთ საღამოს სამჭედლოში მუშაობა იყო გაჩაღებული. თავად ბირგერ ლარშონი გრდემლთან იდგა და ლურსმნის თავებს აბრტყელებდა. მისი უფროსი ვაჟი მეორე გრდემლთან იდგა, რკინის ფურცელს ფურცელზე ჭედავდა და შემდეგ ჭრიდა. მეორე ვაჟიშვილი საბერველში უბერავდა, მესამე ნახშირს ეზიდებოდა, ქურიდან გავარვარებული რკინა გამოჰქონდა და მჭედლებთან მიჰქონდა. მეოთხე ვაჟი მხოლოდ შვიდი წლის იყო, ბავშვი გამზადებულ ლურსმნებს აგროვებდა, წყლიან ღარში აცივებდა და გროვებად კრავდა.

გახურებულ შრომაში იყვნენ, როდესაც ღია კარში ვიღაც უცხო ჩადგა. მაღალი, შავგვრემანი კაცი იყო და, სამჭედლოში რომ შეეხედა, წელში ლამის ორად მოიკეცა.

ბირგერ ლარშონმა მუშაობა შეწყვიტა, რათა შეეტყო, ახალმოსულს რა უნდოდა.

– გთხოვთ, ნუ მიწყენთ, რომ საქმე არაფერი მაქვს და უბრალოდ, გიყურებთ, – მოიბოდიშა უცნობმა. – ახალგაზრდობაში მეც მჭედელი ვიყავი, ამიტომაც სამჭედლოს გულგრილად ვერ ჩავუვლი ხოლმე.

ბირგერ ლარშონმა შენიშნა, რომ უცნობს დიდი, დაძარღვული ხელები ჰქონდა – ნამდვილი მჭედლის მუშტები.

ბირგერმა უცნობს გამოჰკითხა, ვინ იყო და საიდან ჩამოვიდა. კაცი თავაზიანად კი პასუხობდა, მაგრამ საკუთარ თავზე ბევრს არაფერს ამბობდა. ბირგერს სტუმარი ჭკვიან კაცად მოეჩვენა და მოეწონა. სამჭედლოდან მასთან ერთად გამოვიდა, იქვე შედგა და ვაჟიშვილებით კვეხნას მოჰყვა. ასე თქვა, ვიდრე შვილები მომესწრებოდნენ, ძალიან მიჭირდა, ახლა კი, როცა ყველანი მეხმარებიან, საქმე უკეთ წამივიდაო.

– აი, ნახავ, რამდენიმე წელიწადში როგორ გავმდიდრდები, – დაიტრაბახა მან.

უცნობმა ჩაიღიმა და მიუგო, ძალიან სასიამოვნოა, შვილები ასე რომ გეხმარებიანო.

– ახლა კი ერთ რამეს გკითხავ, – განაგრძო მან, თან ბირგერს მხარზე მძიმე ხელი დაადო და თვალებში ღრმად ჩახედა. – ვაჟიშვილები მიწიერ ცხოვრებაში ასე რომ გეხმარებიან, მათგან სულიერ მხარდაჭერას თუ გრძნობ?

ბირგერი კაცს მიაშტერდა.

– ვხედავ, ეს შენთვის უცხო კითხვაა, იფიქრე ამაზე, ვიდრე ხელახლა შევხვდებით!

სტუმარმა ღიმილით განაგრძო გზა, ბირგერ ლარშონი კი ჯაგარა, სპილენძისფერი თმის ქექვით სამჭედლოში შებრუნდა და სამუშაოს დაუბრუნდა. თუმცა უცნობის შეკითხვა რამდენიმე დღეს

მოსვენებას არ აძლევდა. ნეტავ ეს რას ნიშნავდა? „ამ კითხვაში რაღაც ისეთი იმალება, რისაც არაფერი გამეგება,“ ფიქრობდა იგი.

ბირგერ ლარშონთან საუბრის მეორე დღეს უცნობი სოფელში, ტიმს ჰალვურის ძველ დუქანში გამოჩნდა, რომელიც ჰალვურმა კარინზე დაქორწინების შემდეგ თავის ქვისლს, კულოს გუნარს, დაუტოვა.

გუნარი სოფელში არ იყო, დახლთან მისი ცოლი, ბრიტა ინგმარშდოთერი, იდგა და ვაჭრობდა.

ბრიტა ლამაზი და წარმოსადეგი ქალი იყო. სახელიც და გარეგნობაც მემკვიდრეობით მიეღო დედამისის – დიდი ინგმარის მშვენიერი ცოლისგან. ბრიტასნაირი ლამაზი გოგო ინგმარის მამულში ადრე არასოდეს გაჩენილა.

მართალია, ბრიტა გარეგნულად თავისიანებს არ ჰგავდა, სამაგიეროდ, ისეთივე სამართლიანი და წესიერი იყო, როგორიც მისი გვარის სხვა ნათესავები.

გუნარის არყოფნაში ბრიტა ვაჭრობას თავისებურად უძღვებოდა. თუკი ბებერი კაპრალი ფელტი შექეიფიანებული შემოვიდოდა და ხელების კანკალით ბოთლ ლუდს სთხოვდა, ქალი მტკიცე უარით ისტუმრებდა, ხოლო თუ ღარიბი კულბიორნის გოგო, ლენა, ლამაზი გულსაბნევის ყიდვას მოინდომებდა, ბრიტა მას შინ ორიოდე კილო ჭვავის ფქვილს ატანდა.

დუქანში ვერც ერთი ბავშვი ვერ ბედავდა შესვლას, რომ თავიანთი საცოდავი გროშებით ქიშმიში და კანფეტები ეყიდა, როცა იქაურობას ბრიტა განაგებდა. მემამულის ცოლს, რომელიც იქ ჰაეროვანი, ქალაქური ქსოვილების საყიდლად შემოდიოდა, ბრიტა უკან აბრუნებდა, რომ თავის დაზგაზე მტკიცე, შინაური ქსოვილი მოექსოვა.

იმ დღეს ბრიტას ბევრი მუშტარი არ ჰყოლია. რამდენიმე საათი მარტოობაში გაატარა. ქალი ფიქრებში ჩაიძირა, დიდხანს მიშტერებოდა ერთ წერტილს, ვიდრე სასოწარკვეთა არ დაეუფლა.

ბოლოს იგი ადგა, თოკი მოძებნა, დუქნიდან საძინებელში კიბე გაიტანა, თოკი ჭერის კაუჭში გაუყარა და მარყუჟი გააკეთა.

ბრიტა მუყაითად ირჯებოდა და მალე ყველაფერი მზად ჰქონდა. თავის მარყუჟში გაყოფაღა დარჩენოდა, როცა შემთხვევით ძირს ჩაიხედა.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში მაღალი, შავგვრემანი კაცი შემოვიდა. ბრიტას მისი დუქანში შემოსვლა არ გაუგია და, როცა კაცმა იქ ვერავინ იპოვა, დახლს მოუარა და საძინებლის კარი შეაღო.

ბრიტა ჩუმად ჩამოვიდა კიბიდან. კაცს მისთვის არაფერი უთქვამს და დუქანში შებრუნდა. ქალი ნელი ნაბიჯით გაჰყვა უკან. ბრიტას კაცი ადრე არასოდეს ენახა. უცნობს შავი, ხვეული თმა, ხშირი წვერი, გამჭოლი მზერა და დიდი, დაძარღვული ხელები ჰქონდა. კარგად ეცვა, თუმცა მიხრა-მოხრა მუშაკაცისა ჰქონდა. იგი კართან, გაცვეთილ სკამზე ჩამოჯდა და ბრიტას თვალს არ აშორებდა.

მემამულის ცოლი ჩუმად იდგა დახლს უკან, სტუმარს არაფერს ეკითხებოდა და მხოლოდ იმას ნატრობდა, აქედან წასულიყო. კაცი კი უყურებდა და უყურებდა, წუთითაც არ აცილებდა თვალს. ბრიტას მოეჩვენა, რომ მისმა მზერამ ადგილს მიაჯაჭვა.

ქალი მოუთმენლობამ შეიპყრო და გაიფიქრა: „ნეტავ რა ხეირია, აქ რომ დამჯდარხარ და მდარაჯობ. ნუთუ ვერ ხვდები, რომ როგორც კი მარტო დავრჩები, მაინც იმას გავაკეთებ, რაც მინდა.“ ასე იდგა და კაცს უხმოდ ეკამათებოდა: „ეს რომ ისეთი რამ იყოს, რასაც დასასრული ან გამოსავალი აქვს, მაშინ შეგეძლო ხელი შეგიშალა, მაგრამ ამის გამოსწორება შეუძლებელია.“

კაცი კი ისევ ისე იჯდა და დაჟინებით მისჩერებოდა.

„იცი, რას გეტყვი? ჩვენ, ინგმარის შთამომავლებს მედუქნეობა არ შეგვეფერება,“ განაგრძობდა ბრიტა. „არც დაიჯერებ, რა კარგად ვიყავით მე და გუნარი, ვიდრე ვაჭრობას არ მოვკიდეთ ხელი. ბევრი მაფრთხილებდა, მას ცოლად არ გავყოლოდი. გუნარი მისი შავი თმის, გამჭოლი თვალების და მახვილი ენის გამო არ მოსწონდათ, მაგრამ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა და ერთმანეთისთვის ერთი ხმამაღალი სიტყვაც არ გვითქვამს, სანამ გუნარმა ეს დუქანი არ ჩაიბარა. სწორედ ამის მერე აგვერია ყველაფერი. მე მინდა, გუნარმა ჩემებურად ივაჭროს. ვერ ავიტან, რომ ლოთებს ლუდი და ღვინო მიჰყიდოს და მგონია, რომ ხალხს მხოლოდ იმის ყიდვის უფლება უნდა მისცეს, რაც მათთვის სასარგებლო და აუცილებელია, მაგრამ გუნარის აზრით, ეს სისულელეა. არც მე ვთმობ და არც ის, ჰოდა, გამუდმებით ვკამათობთ, მას კი აღარ ვუყვარვარ, ახლა ხომ გესმის.“

ქალმა უცნობს სასოწარკვეთილი თვალებით შეხედა, თითქოს იმან გააოცა, ჩემი ვედრება რატომ არ ესმისო.

„მაგრამ იმას მაინც ხომ ხვდები, არ შემეძლო სირცხვილში ცხოვრება, რადგან იგი ლენსმანს[6] ნებას აძლევს, ღარიბები დაღუპოს, როცა მათ ერთადერთ ძროხას ან რამდენიმე საცოდავ ცხვარს ართმევს! ნუთუ არ გესმის? ამას აღარაფერი ეშველება. რატომ არ მიდიხარ, რომ ამას ბოლო მოვუღო?“

ამასობაში, ვიდრე კაცი ბრიტას შეჰყურებდა, ქალი თანდათან დამშვიდდა და ცოტა ხანში ჩუმად ატირდა. გული აუჩუყა უცნობმა, რომელიც იჯდა და მას დარაჯობდა. რა შესანიშნავი საქციელი იყო. კაცი ხომ ბრიტას სრულიად არ იცნობდა.

როგორც კი უცნობმა შენიშნა, რომ ბრიტა ტიროდა, ადგა და კარისკენ გაემართა. ზღურბლზე შემობრუნდა, ქალს თვალი თვალში გაუყარა, ჩაახველა და ხავერდოვანი ხმით წარმოთქვა:

– თავს ზიანს ნუ მიაყენებ, რამეთუ ახლოვდება დრო, როცა სიმართლეში იცხოვრებ.

მერე კი წავიდა. მისი მძიმე ნაბიჯების ხმა ჯერ კიბეზე გაისმა, შემდეგ კი გზაზე და თანდათან მიწყდა.

ბრიტა სწრაფად შევიდა საძინებელში, თოკი ჩამოხსნა და კიბე დუქანში დააბრუნა, მერე კი ზანდუკზე ჩამოჯდა და რამდენიმე საათს არ განძრეულა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დიდხანს დაეხეტებოდა უკუნეთ ღამეში. გზა დაებნა, აღარ იცოდა, საით მიდიოდა და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ეშინოდა, რომ ჭაობში ჩაეფლობოდა ან უფსკრულში გადაიჩეხებოდა. ამ დროს ვიღაცამ დაუძახა, გზა აღარ გააგრძელო, ჩამოჯექი და გათენებას დაელოდეო. ბრიტას გაუხარდა, რომ ამ სახიფათო გზის გაგრძელება აღარ მოუწევდა, დაჯდა და განთიადს დაელოდა.

ღონიერ ინგმარს ერთი ქალიშვილი ჰყავდა, ანა ლისა, რომელიც რამდენიმე წელია, ჩიკაგოში ცხოვრობდა და იქ ცოლად გაჰყვა ვინმე იუჰან ჰელგუმს. ანა ლისას ქმარი შვედი იყო და პატარა ერთობას ედგა სათავეში, რომელსაც საკუთარი რწმენა და მოძღვრება ჰქონდა. ანა ლისა ქმართან ერთად სწორედ იმ სამახსოვრო საცეკვაო საღამოს მეორე დღეს ჩამოვიდა მოხუცი მამის მოსანახულებლად.

ჰელგუმმა ეს დრო დასახლებაში ხანგრძლივი ხეტიალისთვის გამოიყენა. ვინც გზად გადაეყრებოდა, ყველას ეცნობოდა, თავიდან მათ ყოველდღიურ ამბებზე ესაუბრებოდა, მაგრამ დამშვიდობებისას თავის დიდ, მძიმე ხელს ახლადგაცნობილს მხარზე ადებდა და ორიოდე სანუგეშო ან გამამხნევებელ სიტყვას ეუბნებოდა.

ღონიერი ინგმარი სიძეს თითქმის არ ხვდებოდა. იგი იმ წელს ახალგაზრდა ინგმარ ინგმარშონთან ერთად მუშაობდა, რომელიც მამულში დაბრუნებულიყო. ისინი ლონგფორშენზე სამხერხაოს აშენებდნენ. იმ დღეს, როდესაც სამხერხაოს მშენებლობა დაამთავრეს და პირველი მორი ხერხის მოზუზუნე პირმა თეთრ ფიცრებად აქცია, ღონიერი ინგმარის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ერთ საღამოს მოხუცი სამუშაოდან შინ დაბრუნდა. გზად ანა ლისას შეხვდა, რომელიც ისეთი შეშინებული ჩანდა, თითქოს სადმე დამალვა უნდაო.

ღონიერმა ინგმარმა ნაბიჯს აუჩქარა, სახლთან მივიდა და შუბლშეჭმუხნული შეჩერდა. სახლის წინ, რაც თავი ახსოვდა, დიდი ასკილის ბუჩქი იზრდებოდა. მოხუცი ბუჩქს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, არავის აძლევდა ნებას, თუნდაც ერთი ყვავილი ან ფოთოლი მოეწყვიტა და ზედ დაჰკანკალებდა.

ღონიერი ინგმარი ბუჩქს ასე იმიტომ უვლიდა, რომ იცოდა, მის ქვეშ მიწისქვეშეთის ჯუჯები ცხოვრობდნენ.

ახლა კი ბუჩქი მოჩეხილი დახვდა. ეს, რასაკვირველია, მოქადაგე სიძის ნამოქმედარი იყო, რომელიც ამ ბუჩქს ვერ იტანდა.

ღონიერ ინგმარს ხელში ნაჯახი ეჭირა. მან მაგრად მოუჭირა ტარს თითები და შინ შევიდა.

ჰელგუმი ოთახში იჯდა და წინ ბიბლია ედო. მან თავი ასწია და ღონიერ ინგმარს თვალებში შეხედა, მერე კი ხმამაღლა განაგრძო კითხვა:

– ამასთანავე, თქვენ ამბობთ: გვინდა წარმართებივით მოვიქცეთ და სხვათა მსგავსად, თაყვანი ვცეთ ხეებს და ქვებს, ამით კი ცოდვას სჩადიხართ.

მკაცრად და შეუბრალებლად ვიბატონებ თქვენზე, ამბობს უფალი.

ღონიერი ინგმარი სიტყვის უთქმელად გამოვიდა სახლიდან და იმ ღამით ფარდულში ეძინა, ორი დღის შემდეგ კი ახალგაზრდა ინგმართან ერთად ტყეს მიაშურა, სადაც ნახშირი უნდა გამოეწვათ და მორები დაემზადებინათ. მთელ ზამთარს იქ აპირებდნენ დარჩენას.

ერთი-ორჯერ ჰელგუმი მლოცველთა შეკრებებს დაესწრო და თავისი მოძღვრების შესახებ ისაუბრა, რომელიც მისი თქმით, ერთადერთი და ნამდვილი ქრისტიანობა იყო. თუმცა ჰელგუმი დაგსონივით მჭევრმეტყველი როდი იყო, ამიტომაც თანამოაზრეები ვერ გაიჩინა.

ისინი, ვისაც ჰელგუმი გზებსა და ბილიკებზე ხვდებოდა და ორიოდე სიტყვით თუ გამოელაპარაკებოდა, მისგან რაღაც დიდს ელოდა, ხოლო როცა ჰელგუმი გრძელ ქადაგებას წამოიწყებდა ხოლმე, მოუხეშავი, უფერული და მოსაწყენი ხდებოდა.

ზაფხულის მიწურულს კარინ ინგმარშდოთერს გული საბოლოოდ გაუტყდა. იშვიათად თუ იტყოდა რამეს. სიარული ჯერ კიდევ არ შეეძლო და მთელ დღეებს თავის სავარძელში ატარებდა. მოქადაგეებს აღარ ეძებდა, მარტოდმარტო იჯდა და თავის უბედურებაზე ფიქრობდა, ზოგჯერ კი ჰალვურს ეტყოდა ხოლმე, მამაჩემი ყოველთვის ამბობდა, ჩვენ, ინგმარშონებს არაფრის უნდა გვეშინოდეს, თუკი უფლის გზებს გავყვებით, მაგრამ ახლა ვიცი, რომ ეს მართალი არ არისო.

ჰალვურმა ერთხელ გაუბედავად შესთავაზა ცოლს, ახალ მოქადაგეს ხომ არ დაელაპარაკებოდიო, მაგრამ კარინმა მყისვე მიუგო, აღარ მინდა, დასახმარებლად სასულიერო პირებს მივმართოო.

აგვისტოს მიწურულის ერთ კვირადღეს კარინი მარტო იჯდა სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან. ირგვლივ სიჩუმე იდგა და კარინსაც თვლემა მოერია. თავი თანდათან მკერდზე ჩამოუვარდა და ჩაეძინა.

ქალი ვიღაცის ხმამ გამოაღვიძა, რომელიც ზედ მისი ფანჯრის ქვეშ ისმოდა. კაცს ვერ ხედავდა, თუმცა ხმა ძლიერი და ხავერდოვანი ჰქონდა. ამაზე ლამაზი ხმა კარინს არასოდეს სმენოდა.

– ვიცი, ჰალვურ, სისულელედ მოგეჩვენება, რომ ღარიბმა და უბირმა მჭედელმა ჭეშმარიტებას მიაკვლია, მაშინ, როცა ამდენმა ნასწავლმა ბატონმა მარცხი განიცადა, – თქვა ხმამ.

– ჰო, – უპასუხა ჰალვურმა, – არ ვიცი, როგორ შეიძლება, ასეთი დარწმუნებული იყო.

„ჰალვური ჰელგუმს ელაპარაკება,“ გაიფიქრა კარინმა და ფანჯრის დაკეტვა დააპირა, მაგრამ ვერ მისწვდა.

– მაგრამ წერილ არს, თუ ვინმე მარცხენა ლოყაში გაგარტყამს, მარჯვენა მიუშვირეო, – განაგრძო ჰელგუმმა. – და რომ წინააღმდეგობა არ უნდა გავუწიოთ ბოროტებას და სხვა ამგვარ უბედურებას. ამის შესრულება კი არავის ძალუძს. ხალხი მინდვრებსაც წაგართმევს და ტყეებსაც, კარტოფილსაც მოგპარავს და მარცვლეულსაც წაიღებს, თუკი შენს ქონებას არ დაიცავ. ალბათ, მთელ მამულსაც წაგართმევენ.

– ჰო, ალბათ, ასე იქნება, – აღიარა ჰალვურმა.

– როგორ გგონია, ქრისტეს ამ სიტყვებში არაფერი უგულისხმია? მხოლოდ დადიოდა და რაღაც სისულელეებს ლაპარაკობდა, არა?

– ვერ ვხვდები, რისი თქმა გინდა.

– იცი, არის კიდევ ერთი რამ, რაზეც ღირს დაფიქრება – ჩვენი ქრისტიანობით დაუჯერებლად ბევრს მივაღწიეთ. აღარავინ ქურდობს, არც აღარავინ კლავს, ქვრივ-ობლებსაც უსამართლოდ აღარავინ ეპყრობა. არავის სძულს და არავინ არავის სდევნის. ჩვენს შორის, რომელთაც ასეთი კარგი რელიგია გვაქვს, ცუდად აღარავინ იქცევა.

– მთლად მასეც არ უნდა იყოს, – მოკრძალებულად შენიშნა ჰალვურმა, რომელსაც ძილი მორეოდა და გულგრილად უსმენდა.

– აი, ვთქვათ, თუ ხელის საფქვავი გაქვს, ჰალვურ, რომელიც აღარ ფქვავს, განა არ ნახავ, რა დაემართა? მოსვენებას დაკარგავ, ვიდრე არ შეიტყობ, რა დაუზიანდა. ჰოდა, როდესაც ხედავ, რომ ადამიანებს რაღაც უშლით ხელს, ქრისტეს ცხოვრებას მისდიონ, იმის ძიებას უნდა დაიწყო, თავად ქრისტიანობას რაიმე ხინჯი ხომ არ აქვსო.

– არა მგონია, ქრისტეს მოძღვრებას ხინჯი ჰქონდეს, – მიუგო ჰალვურმა.

– არა, თავიდან ის, ალბათ, კარგი იყო, თუმცა მერე ისე მოხდა, რომ ყველაფერი აირია. ხომ იცი, შეიძლება ერთი ბორბალი გატყდეს, ერთადერთი პატარა ბორბალი, და მალე მთელი მანქანა გაჩერდება.

ჰელგუმი წამით დადუმდა, თითქოს სიტყვებს და მტკიცებულებებს ეძებსო.

– მოდი, ახლა მოგიყვები, ორიოდე წლის წინ რა შემემთხვა. მაშინ პირველად შევეცადე, მოძღვრების მიხედვით მეცხოვრა და იცი, ეს რით დამთავრდა? იმ დროს ფაბრიკაში ვმუშაობდი

და, როცა სხვა მუშებმა შეიტყვეს, როგორიც ვიყავი, ჯერ თავიანთი სამუშაოს დიდ ნაწილს მე მაკეთებინებდნენ, მერე ადგილი წამართვეს, ბოლოს კი ისე მოაწყვეს, რომ ბრალი დამდეს ქურდობაში, რომელიც ერთ-ერთმა მათგანმა ჩაიდინა და ციხეში ამოვყავი თავი.

– ასეთ ცუდ ხალხს ყოველთვის ხომ არ გადაეყრები? – ისევ უგულოდ იკითხა ჰალვურმა.

– მაშინ ჩემს თავს ვუთხარი: ქრისტიანად ყოფნა არც ისე ძნელია, ოღონდ ამქვეყანაზე მარტო უნდა ცხოვრობდე, თანამოძმეების გარეშე-მეთქი. ციხეში ჯდომა მართლა მომწონდა, რადგან იქ ალალმართალ ცხოვრებას ვეწეოდი, ხელს არავინ მიშლიდა და არავინ მაწუხებდა, მაგრამ მერე ვიფიქრე, რომ მარტოობაში პატიოსანი ცხოვრება წისქვილის დოლაბის ტრიალს ჰგავს, როდესაც ქვებს შორის მარცვალი არ ყრია. ღმერთმა ქვეყნად ამდენი ადამიანი ერთმანეთის გასახრწნელად კი არა, იმისთვის გააჩინა, რომ ერთმანეთს მხარი დაუჭირონ და სწორედ მაშინ მივხვდი, რომ სატანამ ბიბლიიდან რაღაც ამოიღო, რათა ქრისტიანობა მცდარი გზით წასულიყო.

– ნუთუ სატანას ამის ძალა შესწევდა? – იკითხა ჰალვურმა.

– ჰო, მან ეს ადგილი ამოიღო: თქვენ, რომელთაც გსურთ ქრისტიანულად იცხოვროთ, შემწეობა თქვენსავე თანამოძმეებთან უნდა ეძიოთ.

ჰალვურმა არაფერი უპასუხა, მაგრამ კარინმა მოწონებით დააქნია თავი. ქალი ყურადღებით უსმენდა ჰელგუმს და მისი არც ერთი სიტყვა არ გამოპარვია.

– როგორც კი ციხიდან გამომიშვეს, მეგობარს მივაკითხე და ვთხოვე, სწორად ცხოვრებაში დამხმარებოდა და, იცი? ჩვენ ორს ეს უკეთ გამოგვივიდა. მალე მესამე მოვიდა, მერე მეოთხე შემოგვიერთდა და ყველაფერი სულ უფრო უკეთ მიდიოდა. ახლა ოცდაათნი ვართ და ერთად ვცხოვრობთ ერთ სახლში, ჩიკაგოში. ყველაფერს ერთმანეთს ვუნაწილებთ და ერთმანეთის ცხოვრებას ვუფრთხილდებით. ჩვენს წინ ჭეშმარიტების გზაა გადაჭიმული. ჩვენ ქრისტიანულად ვექცევით ერთმანეთს, რადგან ერთი ძმა მეორე ძმის სიკეთეს ბოროტად არ იყენებს და არ ჩაგრავს იმის გამო, რომ ის თვინიერია.

ჰალვური ისევ დუმდა, ამიტომაც ჰელგუმმა დამაჯერებლად უთხრა:

– ხომ იცი, ჰალვურ, თუ ვინმეს დიდი საქმის გაკეთება უნდა, ის სხვა ადამიანებს უკავშირდება და მათგან დახმარებას იღებს. განა ამ მამულის მოვლას მარტო შეძლებდი? ქარხნის აშენება რომ მოგენდომებინა, ბევრი თანამოაზრე უნდა შემოგეკრიბა გარშემო, ხოლო რკინიგზის გაყვანა რომ მოიწადინო, წარმოიდგინე, ამისთვის რამდენი ხალხის დახმარება დაგჭირდება! თუმცა ყველაზე ძნელი ქრისტიანულად ცხოვრებაა და გინდა, ეს თვითონ, დახმარების გარეშე შეძლო ან, შესაძლოა, არასოდეს სცადო, ვინაიდან წინასწარ იცი, რომ არაფერი გამოგივა.

ჩვენ – მე და ჩემი მხარდამჭერები ჩიკაგოში – ის ადამიანები ვართ, რომლებიც ერთადერთ სწორ გზას ადგანან. ეს ერთობა წმინდა იერუსალიმია, რომელიც ზეციდან დაეშვა. ამას იმიტომ გეუბნები, რომ სულიერი უნარები, რომლებითაც პირველი ქრისტიანები იყვნენ დაჯილდოებულნი, ჩვენც გვაქვს მომადლებული. ზოგ ჩვენგანს უფლის ხმა ესმის, სხვებს წინასწარმეტყველება შეუძლიათ, ზოგიერთებს კი – სნეულების განკურნება...

– შენ სნეულთა განკურნება შეგიძლია? – სწრაფად შეაწყვეტინა ჰალვურმა.

– ჰო, ვისაც ჩემი სჯერა, იმის განკურნება შემიძლია. – მიუგო ჰელგუმმა.

– ძალიან მიჭირს ისეთი რაღაცის დაჯერება, რასაც ბავშვობიდან არ მასწავლიდნენ, – დაფიქრებით თქვა ჰალვურმა.

– მე კი დარწმუნებული ვარ, ჰალვურ, რომ მალე ახალი იერუსალიმის აგებაში მოგვეხმარები. – მიუგო ჰელგუმმა.

დუმილი ჩამოვარდა, მერე კი კარინმა გაიგონა, როგორ დაემშვიდობა ჰელგუმი მის ქმარს.

ცოტა ხანში ჰალვური კარინთან შემოვიდა და, როდესაც ცოლი ღია ფანჯარასთან დაინახა, უთხრა:

– როგორც ჩანს, ყველაფერი გაიგონე, რაც ჰელგუმმა თქვა.

– ჰო, – უპასუხა ქალმა.

– ისიც გაიგონე, რომ თქვა, იმ სნეულებს ვარჩენ, რომელთაც ჩემი სჯერათო?

კარინი წამოწითლდა. ჰელგუმის მოძღვრება ყველაზე უფრო მოეწონა მათ შორის, რაც ამ ზაფხულს მოისმინა. იყო მასში რაღაც გონივრული, რამაც ქალი მიიზიდა. ეს მოქმედება და საქმის კეთება იყო და არა მგრძნობიარობა, რასაც იგი ვერ ხვდებოდა ხოლმე, მაგრამ კარინს ამის აღიარება

არ სურდა. აღარ უნდოდა სასულიერო პირებთან საქმე დაეჭირა.

– მამაჩემის გარდა არავის მჯერა, – თქვა მან.

რაამდენიმე კვირის შემდეგ კარინი ისევ სასტუმრო ოთახში იჯდა. უკვე შემოდგომა იყო, გარეთ ქარი ზუზუნებდა, ღუმელში კი ცეცხლი ტკაცუნობდა. ოთახში კარინის პატარა გოგონას გარდა არავინ იყო, რომელიც სადაცაა ერთი წლის გახდებოდა და სიარული ახლახან ესწავლა. ბავშვი იატაკზე, დედის ფეხებთან ჩამჯდარიყო და თამაშობდა.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში მაღალი, შავგვრემანი კაცი შემოვიდა. ხვეული თმა, გამჭოლი თვალები და მჭედლის დიდი, დაძარღვული ხელები ჰქონდა. მისი ხმის გაგონებამდე კარინი მიხვდა, რომ სტუმარი ჰელგუმი იყო.

კაცი მიესალმა და ჰალვური იკითხა. კარინმა უთხრა, კრებაზე წავიდა და მალე დაბრუნდებაო.

ჰელგუმი დაჯდა. იგი დუმდა და ზოგჯერ კარინს სწრაფად შეავლებდა ხოლმე თვალს.

– ამბობენ, რომ ავად ხართ. – თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ.

– ჰო, – მიუგო კარინმა, – ნახევარი წელია, ვეღარ დავდივარ.

– აქ მოსვლას და თქვენთვის ლოცვას ვაპირებდი. – უთხრა მოქადაგემ.

კარინი გაჩუმდა, თვალები დახარა და თითქოს საკუთარ თავში ჩაიკეტა.

– დედილო კარინ, ალბათ, გსმენიათ, რომ ღვთისგან სნეულთა განკურნება მაქვს მომადლებული.

კარინმა ქუთუთოები ასწია და სტუმარს უნდობლად შეხედა.

– მადლობელი ვარ, ჩემზე რომ ფიქრობდით, მაგრამ არაფერი გამოგივათ, რადგან რწმენას ასე იოლად არ ვიცვლი.

– შესაძლებელია, უფალს მაინც სურდეს თქვენი დახმარება, რადგან ყოველთვის ცდილობდით, სამართლიანად გეცხოვრათ.

– ეტყობა, უფალი არც ისე მწყალობს, რომ დამეხმაროს.

ორივენი ისევ დადუმდნენ, მერე კი ჰელგუმმა ქალს ჰკითხა:

– დედილო კარინ, ოდესმე საკუთარი თავისთვის თუ გიკითხავთ, ეს უბედურება რატომ შეგემთხვათ?

კარინმა არაფერი უპასუხა. როგორც ჩანს, ისევ თავის თავში ჩაკეტვა დააპირა.

– რაღაც მეუბნება, რომ უფალმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ მის სახელს მეტი პატივი მიაგოთ, – განაცხადა ჰელგუმმა.

კარინი ამის გაგონებაზე ისე გაჯავრდა, ლოყები წითლად აუფორაჯდა. მოეჩვენა, რომ ჰელგუმის მხრიდან დიდი თავხედობა იყო იმის ვარაუდი, რომ ეს სნეულება ქალს იმიტომ დაატყდა თავს, ჰელგუმს სასწაულის მოხდენის შესაძლებლობა ჰქონოდა.

მოქადაგე ადგა, კარინთან მივიდა და თავზე ხელი დაადო.

– გინდა, შენზე ვილოცო? – იკითხა მან.

კარინს წამიერად სხეულში სიცოცხლის და ჯან-ღონის ტალღამ დაუარა, მაგრამ უცნობის შემოჭრით ისეთი შეურაცხყოფილი იყო, რომ ხელი გამოსტაცა და მაღლა ასწია, თითქოს დარტყმას უპირებსო. სიჩქარეში სათქმელიც კი ვერ მოიფიქრა.

ჰელგუმმა კარისკენ დაიხია.

– უფლის წარმოგზავნილის უარყოფა არ შეიძლება, – თქვა მან.

– მართალია, – დაეთანხმა კარინი, – რასაც უფალი გიგზავნის, ის უნდა მიიღო.

– მე კი გეუბნები, რომ დღეს ამ სახლს ნეტარება მოევლინება.

კარინმა არაფერი უპასუხა.

– ჩემზე იფიქრე და განიკურნები! – თქვა ჰელგუმმა და კარისკენ გაეშურა.

კარინი გაშეშებული იჯდა სკამზე და ლოყებიც კარგა ხანს წითლად ჰქონდა აჭრელებული.

„უკვე საკუთარ სახლშიც აღარ მასვენებენ!“ ფიქრობდა იგი, „საოცარია, რამდენ ვინმეს ჰგონია, რომ ღვთის წარმოგზავნილია.“

უეცრად კარინმა დაინახა, რომ მისი პატარა გოგონა ადგა და ღუმლისკენ გაემართა. ბავშვმა ღუმელში დანთებული ცეცხლი შეამჩნია, სიხარულიგან აჭყლოპინდა და, როგორც შეეძლო, სწრაფად გაიქცა იქით.

კარინმა გოგონას დაუძახა, უკან დაბრუნდიო, მაგრამ ბავშვი არ დაემორჩილა. ცდილობდა, ღუმელზე ამძვრალიყო, ერთი-ორჯერ დაეცა, მაგრამ ბოლოს მაინც მიაღწია იმ ადგილს, სადაც ცეცხლი ბრიალებდა.

– ღმერთო, მიშველე! ღმერთო, მიშველე! – აღმოხდა კარინს, მერე კი ყვირილი მორთო, თუმცა იცოდა, რომ ახლომახლო სულიერი არ ჭაჭანებდა.

გოგონა სიცილით გადაიხარა ცეცხლისკენ. ამ დროს ღუმლიდან ანთებული მუგუზალი გადმოვარდა და ბავშვის ყვითელ კაბას დაეცა.

უცებ კარინი ფეხზე დადგა, ღუმელთან მიირბინა და ბავშვი გულში ჩაიხუტა.

ვიდრე ქალმა ბავშვს ნაპერწკლები და ნახშირი არ ჩამობერტყა და არ დარწმუნდა, რომ მისი შვილი უვნებელი იყო, ვერ მიხვდა, რა მოხდა: იგი ფეხზე დადგა, გაიარა და სიარული ძველებურად შეეძლო!

კარინს ისეთი დიდი სულიერი მღელვარება დაეუფლა, როგორიც აქამდე არასოდეს განუცდია და თან თავი ძალიან ბედნიერად იგრძნო.

ქალი გრძნობდა, რომ უფლის განსაკუთრებული მზრუნველობისა და მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და რომ უფალმა დასახმარებლად და განსაკურნებლად სახლში წმინდანი გამოუგზავნა.

იმ დღეებში ჰელგუმი ხშირად იდგა ღონიერი ინგმარის სახლის პარმაღზე და შემოგარენს გადაჰყურებდა. არემარე, რომელსაც მისი მზერა სწვდებოდა, დღითი დღე სულ უფრო თვალწარმტაცი ხდებოდა. მიწა ყვითელი იყო, ფოთლები კი – კაშკაშა წითელი ან ყვითელი. აქა-იქ ფოთლოვანი ტყე ოქროს ზღვასავით ლივლივებდა. ირგვლივ ფერდობების ჩამუქებულ სიმწვანეში ფიჭვებში გარეული ფოთლოვანი ხეების ყვითელი ლაქები გაიელვებდა ხოლმე.

უსახური შვედური პეიზაჟი ისე გაბრწყინებულიყო, როგორც ღარიბული, ნაცრისფერი ქოხი განათდება და აკაშკაშდება, როცა ცეცხლი მოედება. ყველაფერი ისეთი ყვითელი იყო და ისე უჩვეულოდ ელვარებდა, თავი მზის ზედაპირზე გეგონებოდა.

ჰელგუმმა კი ამის დანახვაზე გაიფიქრა, ის დროც მალე დადგება, როცა ღმერთი ქვეყანას სიწმინდეს მოჰფენს და მაშინ ის სიტყვები, ზაფხულში რომ დავთესე, ჭეშმარიტების კაშკაშა ნაყოფს გამოიღებსო.

და აი, ერთ საღამოს ჰელგუმს ტიმს ჰალვური ეწვია და სთხოვა, ცოლთან ერთად ინგმარის მამულში სწვეოდა.

როდესაც სტუმრებმა მამულის დიდ ეზოში შეაბიჯეს, იქაურობა საგულდაგულოდ დაწკრიალებული დახვდათ. არყის ხეების ქვეშ გამხმარი ფოთლები გაეხვეტათ, ყველა ხელსაწყო და საზიდარი, რომელიც სხვა დროს ეზოში ეყარა, მიემალათ. „ეტყობა, აქ დღეს ბევრი უცხო სტუმარი მოდის,“ გაიფიქრა ანა ლისამ და ამ დროს ჰალვურმაც გააღო სასტუმრო ოთახის კარი.

ოთახი ხალხით იყო სავსე. ყველანი საზეიმო გამომეტყველებით ისხდნენ გარშემო ჩამწკრივებულ გრძელ სკამებზე და ჰელგუმმა თემის რჩეული ადამიანები იცნო.

პირველები, ვინც მან დაინახა, იუნგ ბიორნ ულოფსონი და მისი ცოლი მერტა ინგმარშდოთერი იყვნენ, კულოს გუნართან და მის ცოლთან ერთად. შემდეგ ჰელგუმმა კრისტერ ლარშონი და ისრაელ თუმასონი იცნო, რომლებსაც ასევე ცოლები ახლდათ თან. ისინიც ინგმარის გვარს ენათესავებოდნენ. ჰეკ მათს ერიკსონი და მისი ვაჟი გაბრიელი, ნაფიცი მსაჯულის ქალიშვილი გუნჰილდი და სხვებიც შენიშნა. სულ ოცამდე სტუმარი იქნებოდა.

როდესაც ჰელგუმმა და ანა ლისამ ყველას ჩამოუარეს და ხელი ჩამოართვეს, ტიმს ჰალვურმა თქვა:

– აქ ისინი შევიკრიბეთ, ვინც ზაფხულში ჰელგუმის ნათქვამ სიტყვებს ჩაუფიქრდა. ჩვენგან უმეტესობა უძველეს გვარს მიეკუთვნება, რომელსაც მუდამ უფლის გზებით სიარული სურდა და, თუ ჰელგუმს ამაში ჩვენი დახმარება შეუძლია, გვინდა, მას გავყვეთ.

მეორე დღეს მთელ თემში ხმა დაირხა, რომ ინგმარის მამულში ახალი ერთობა შეიქმნა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ერთადერთ ნამდვილ და ჭეშმარიტ ქრისტიანობას ქადაგებდა.

7. ახალი გზა

გაზაფხული იდგა. თოვლი ახლად გამდნარი იყო. ინგმარი და ღონიერი ინგმარი ახალჩამოსულები იყვნენ სოფელში და სამხერხაოს ამუშავებას აპირებდნენ. მთელი ზამთარი ზემოთ, ტყეში გაატარეს, სადაც ნახშირს წვავდნენ და მორებს ამზადებდნენ და, როდესაც ინგმარი დაბლობზე ჩამოვიდა, თავს დათვივით გრძნობდა, რომელიც ბუნაგიდან ახლახან გამოძვრა. ვერაფრით მიჩვეოდა ცაში მოკაშკაშე მზეს და თვალებს ისე ჭუტავდა, თითქოს შუქს ვერ იტანსო. ჭორომების შხუილი და ადამიანების ხმებიც ეუცხოვებოდა და ძალზე იტანჯებოდა იმ აურზაურისგან, რომელიც მამულში მისულს ყურს სჭრიდა. თან ინგმარს ძალიან უხაროდა დაბრუნება. ღმერთია მოწმე, ვაჟი ამას არ იმჩნევდა, მაგრამ ამ გაზაფხულზე თავი ახლადგაკვირტული არყის ხეებივით ნორჩი ეგონა. ენა ვერ აწერს, როგორ სიამოვნებდა გაშლილ ლოგინში ძილი და რიგიანად მომზადებული კერძის ჭამა, მარტო კარინთან ყოფნა რად ღირდა, რომელიც ძმას დედაზე უფრო ალერსიანად ეპყრობოდა! მისთვის ახალი ტანსაცმელი შეაკერინა, თან უცებ სამზარეულოდან გამოვიდოდა ხოლმე და ძმას ისე სთავაზობდა გემრიელ სასუსნავს, თითქოს ინგმარი პატარა ბიჭი იყო.

იმ უცნაურ ამბებს აღარ იტყვით, მის არყოფნაში რომ მომხდარიყო?! ინგმარს მხოლოდ ყურმოკვრით გაეგო ჰელგუმის მოძღვრების შესახებ, მაგრამ სულ სხვა იყო კარინის და ჰალვურის მოსმენა – რა ბედნიერები იყვნენ, როგორ ცდილობდნენ ისინი და მათი მეგობრები, ერთმანეთს დახმარებოდნენ, რომ უფლის გზით ევლოთ.

– დარწმუნებულები ვართ, შენც შემოგვიერთდები, – თქვა კარინმა.

ინგმარმა მიუგო, მოხარული ვიქნები, ოღონდ ჯერ უნდა მოვიფიქროო.

– მთელი ზამთარი იმას ვნატრობდი, რომ ჩამოხვიდოდი და ჩვენს სიხარულს გაიზიარებდი, რადგან ახლა ჩვენ მიწაზე კი არა, ახალ იერუსალიმში ვცხოვრობთ, რომელიც ზეციდან დაეშვა. – უთხრა დამ.

ინგმარს კიდევ ერთი კარგი ამბავი დახვდა – ჰელგუმი ჯერ ისევ მათ დასახლებაში ცხოვრობდა. გასულ ზაფხულს იგი ხშირად ჩადიოდა ხოლმე სამხერხაოსთან ინგმართან სასაუბროდ და ისინი დამეგობრდნენ. ინგმარი აღტაცებული იყო ჰელგუმით და თვლიდა, რომ იგი ყველაზე გამორჩეული ადამიანი იყო მათ შორის, ვისაც ოდესმე შეხვედროდა. მასავით მამაცი, მჭევრმეტყველი და თავდაჯერებული არავინ უნახავს.

ზოგჯერ, როცა სამუშაო ბევრი იყო, ჰელგუმი ქურთუკს გაიძრობდა ხოლმე და მეგობარს სამხერხაოში ეხმარებოდა. მაშინ ინგმარის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. არასოდეს ენახა კაცი, რომელიც ასე სწრაფად მუშაობდა.

ახლა ჰელგუმი რამდენიმე დღით წასული იყო, თუმცა შინ მალე დაბრუნდებოდა.

– როგორც კი ჰელგუმს დაელაპარაკები, ალბათ, შენც შემოგვიერთდები. – უმეორებდა კარინი. ინგმარს სწამდა, რომ ასეც იქნებოდა, თუმცა იმის კეთება, რაც მამას არ მოეწონებოდა, მაინცდამაინც არ ეხალისებოდა. კარინი კი ეუბნებოდა, მამა სწორედ იმას გვასწავლიდა, რომ ყოველთვის უფლის გზებით გვევლოო. ასე რომ, ყველაფერი რიგზე იყო. ინგმარს არ ეგონა, ხალხში დაბრუნება ოდესმე ასე თუ გაახარებდა. ერთადერთი, რაც აკლდა, ის იყო, რომ მასწავლებელსა და გერტრუდს არავინ ახსენებდა, ეს კი ძალიან აწუხებდა, რადგან მთელი წელი იყო, გერტურდს არსად შეხვედროდა. გასულ ზაფხულს მის შესახებ ახალ ამბებს ხშირად იგებდა, რადგან დღე არ გავიდოდა, ვინმეს სტორმი და მისი ოჯახი არ ეხსენებინა.

ასეთი დუმილი, ალბათ, მხოლოდ შემთხვევითობის ბრალი იყო, მაგრამ ინგმარი ძალიან შფოთავდა, რადგან, როცა არავინ ლაპარაკობდა იმაზე, რისი გაგონებაც ყველაზე მეტად ეწადა, კითხვისა რცხვენოდა.

თუკი ინგმარი ბედნიერი და კმაყოფილი იყო, ღონიერი ინგმარი მოღუშული დადიოდა და არავის ელაპარაკებოდა.

– მგონი, ტყე გენატრება, – უთხრა ინგმარმა ერთ საღამოს, როცა ორივენი მორებზე ჩამომსხდრები ბუტერბროდებს შეექცეოდნენ.

– ჰო, ღმერთია მოწმე, ასეა, – მიუგო მოხუცმა. – მერჩივნა, შინ არასოდეს დავბრუნებულიყავი.

– შინ განა ასეთი რა ხდება? – ჰკითხა ინგმარმა.

– მეკითხები კიდევაც?! მეგონა, შენც იცოდი, რომ ჰელგუმი მთლად გამოშტერდა.

ინგმარმა უპასუხა, პირიქით, გავიგე, შენი სიძე დიდი ადამიანი გამხდარაო.

– ჰო, აბა რა, ისეთი დიდი კაცი გახდა, რომ მთელ თემს თავის ჭკუაზე ატრიალებს.

ინგმარმა გაიფიქრა, რა უცნაურია, რომ ღონიერ ინგმარს ოჯახის წევრების მიმართ სიყვარული არასოდეს გამოუმჟღავნებიაო. მხოლოდ ინგმარის მამულზე და მის პატრონებზე ზრუნავდა, სამაგიეროდ, ახლა მის სიძეს ინგმარი უნდა გამოსარჩლებოდა.

– ვფიქრობ, ეს კარგი მოძღვრებაა, – განაცხადა მან.

– მართლა? მაშ, ასე ფიქრობ? – თქვა მოხუცმა და ბიჭს ნაღვლიანად შეხედა. – როგორ გგონია, ეს დიდ ინგმარსაც მოეწონებოდა?

ინგმარმა მიუგო, ალბათ, მამაც სამართლიანად ცხოვრების მომხრე იქნებოდაო.

– ნუთუ მართლა გგონია, დიდი ინგმარი იმას დათანხმდებოდა, რომ ყველასთვის, ვინც კი ერთობას არ ეკუთვნის, სატანები და ანტიქრისტეები დაეძახა ან, განა ძველ მეგობრებს იმის გამო განუდგებოდა, რომ მათ თავიანთი რწმენა შეინარჩუნეს?

– არ მჯერა, რომ ჰელგუმი, ჰალვური ან კარინი ასეთ რამეს იზამდნენ.

– აბა, სცადე და დაუპირისპირდი, იქნებ მაშინ მაინც დარწმუნდე.

ინგმარმა ბუტერბროდს მოზრდილი ლუკმა მოაგლიჯა და პირი გამოიტენა. სწყინდა, რომ ღონიერი ინგმარი ასეთ ცუდ გუნებაზე იყო.

– ოჰო-ჰო, აბა, უყურე! აგერ, დიდი ინგმარის ვაჟი მიზის გვერდით და სათქმელი არაფერი აქვს! – განაგრძო მოხუცმა, – ჩემი ანა ლისა და მისი ქმარი კი წარჩინებულ ხალხში ტრიალებენ, თემის რჩეულები თავს ევლებიან და ისინიც ყოველდღე წვეულებიდან წვეულებაზე დაიარებიან.

ინგმარი ჩუმად ილუკმებოდა და არაფერს პასუხობდა.

ღონიერმა ინგმარმა კი თავიდან წამოიწყო:

– ჰო, მართალია, ეს მშვენიერი მოძღვრებაა და ამიტომაც ნახევარი თემი ჰელგუმს შეუერთდა. ასეთი ძალაუფლება აქ ადრე არავის ჰქონია, დიდ ინგმარსაც კი. იგი შვილებს და მშობლებს ერთმანეთს აშორებს, რადგან ქადაგებს, რომ მათ, ვინც მის ერთობას ეკუთვნიან, უფლება არა აქვთ, ცოდვილებთან ერთად იცხოვრონ. ჰელგუმის ხელის დაქნევაზე ძმა ძმას შორდება, მეგობარი – მეგობარს, საქმრო კი – საცოლეს. იმდენი ქნა, რომ გასულ ზამთარს ყოველ მამულში უთანხმოება და განხეთქილება ჩამოაგდო. კი, როგორ არა, დიდი ინგმარი კმაყოფილი იქნებოდა! ჰელგუმსაც ყველაფერში აყვებოდა, აბა რა!

ინგმარი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ძალიან მოუნდა, აქედან გაქცეულიყო. ხვდებოდა, რომ ღონიერი ინგმარი აზვიადებდა, თუმცა გუნება მაინც გაუფუჭდა.

– არ უარვყოფ, რომ ის, რასაც ჰელგუმი აკეთებს, დიდებულია: როგორ აიძულებს თავისიანებს, რომ ერთად იყვნენ ან როგორ ახერხებს, რომ ადამიანები, რომელთაც ადრე ერთმანეთს არც კი იცნობდნენ, დამეგობრებდნენ; როგორ ართმევს მდიდრებს და ღარიბებს ურიგებს. ისიც მომწონს, როგორ უფრთხილდებიან მისი ერთობის წევრები ერთმანეთის ცხოვრებას. ოღონდ ისინი მებრალებიან, რომელთაც სატანის შვილები შეარქვეს და მათთან ყოფნის უფლება არა აქვთ, თუმცა შენ, რასაკვირველია, ასე არ ფიქრობ.

ინგმარს ყელში ამოუვიდა ჰელგუმზე ლანძღვა-გინების მოსმენა.

– არადა, უწინ თემში რა სიმშვიდე სუფევდა! – განაგრძობდა მოხუცი. – მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. დიდი ინგმარის სიცოცხლეში ისეთი ერთსულოვნება იყო. ყველა იმაზე ლაპარაკობდა, რა მეგობრულად ცხოვრობდნენ დალარნაში. ახლა კი ანგელოზები დემონებს დაუპირისპირდნენ, ცხვრები – თხებს.

„ნეტავ რამე დასახერხი მაინც მოგვცა, ამ საუბარს ხომ თავს ავარიდებდი.“ გაიფიქრა ინგმარმა.

– ცოტაც დაიცადე და ჩვენც დაგვაშორებენ ერთმანეთს, – განაგრძო ღონიერმა ინგმარმა. – როგორც კი იმათ მხარეს გადახვალ, ჩემთან მეგობრობასაც მყისვე აგიკრძალავენ.

ინგმარმა შეიგინა და წამოდგა.

– ჰო, ასე თუ განაგრძე, შეიძლება მართლაც ასე მოხდეს, – თქვა მან. – ვფიქრობ, უნდა იცოდე, რომ არას გარგებს ჩემი ამხედრება ოჯახის წევრების და ჰელგუმის წინააღმდეგ, რომელიც ჩემს ნაცნობებს შორის ყველაზე ღირსეული ადამიანია.

ინგმარის ამ სიტყვებმა მოხუცი აიძულა, გაჩუმებულიყო. ცოტა ხანში ღონიერი ინგმარი სამუშაოდან წამოვიდა. უნდოდა, სოფელში ჩასულიყო და თავის მეგობარს, კაპრალ ფელტს, გამოლაპარაკებოდა. ასე თქვა, რა ხანია, გონიერ კაცთან არ მიბაასიაო.

ინგმარს მისი წასვლა გაუხარდა. ყოველთვის ასეა, როცა შინიდან დიდი ხნით მიდიხარ – უსიამოვნო ამბების გაგონება კი არა, მხოლოდ ის გინდა, შენს გარშემო ყველაფერი კარგად იყოს და სიხარულით გავსებდეს.

მეორე დღეს ინგმარი სამხერხაოში დილის ხუთ საათზე მივიდა. ღონიერი ინგმარი უკვე იქ დახვდა.

– დღეს ჰელგუმს შეხვდები, – თქვა მან. – ის და ანა ლისა გუშინ, გვიან საღამოს ჩამოვიდნენ. მგონი, დიდი წვეულებიდან სახლში დაბრუნება იმიტომ იჩქარეს, რომ შენი მოქცევა უნდათ.

– ისევ თავიდან იწყებ, არა? – უთხრა ინგმარმა. მოხუცის ხმა მთელი ღამე ყურში ჩაესმოდა. არ შეეძლო იმაზე ეფიქრა, მართალი ვინ იყო, ახლა კი აღარ უნდოდა, თავის ახლობლებზე ცუდი ამბები მოესმინა.

ღონიერი ინგმარი წუთით გაჩუმდა, მერე კი ჩაეცინა.

– ახლა ვიღას დასცინი? – ჰკითხა ინგმარმა სწორედ მაშინ, როდესაც სამხერხაოს ასამუშავებლად რაბის გაღება დააპირა.

– სკოლის მასწავლებლის გერტრუდი გამახსენდა.

– იმას რაღა მოუვიდა?

– რა და, გუშინ სოფელში მითხრეს, ის ერთადერთია, ვინც ჰელგუმს რაღაცნაირად გაუმკლავდაო.

– გერტრუდს ჰელგუმთან რა ესაქმება?

ინგმარმა რაბის გაღება გადაიფიქრა, რადგან თუკი სამხერხაოს აამუშავებდა, ვერაფერსაც ვერ შეიტყობდა. მოხუცმა ბიჭს გამომცდელად შეხედა. ინგმარს ჩაეღიმა და თქვა:

– მაინც როგორ ახერხებ, რომ ყოველთვის შენი გაიტანო.

– აი, ის ჩერჩეტი გუნჰილდი რომ არის, ნაფიცი მსაჯულის, ლარშ კლემენტსონის გოგო...

– ჩერჩეტი სულაც არ არის, – ჩაურთო ინგმარმა.

– რაც გინდა, ის დაარქვი, მაგრამ მაშინ, როცა სექტა დაარსდა, ისიც აქ, მამულში იყო. შინ დაბრუნებისთანავე მშობლებს გამოუცხადა, ერთადერთ ჭეშმარიტ რწმენას ვეზიარე, თქვენგან მივდივარ და ინგმარის მამულში უნდა ვიცხოვროო. მშობლებმა, რასაკვირველია, ჰკითხეს, გადასვლას რატომ აპირებდა და მანაც მიუგო, იმიტომ, რომ სამართლიანად ცხოვრებას ვაპირებო. მათ უთხრეს, ნუთუ ამის გაკეთება აქ არ შეგიძლიაო. – ეს არავის შეუძლია, ვინც ჭეშმარიტ მორწმუნეთა შორის არ იცხოვრებს. – უპასუხა გუნჰილდმა. – რა, ყველანი ინგმარის მამულში აპირებთ ცხოვრებას? – იკითხეს მშობლებმა. – არა, მხოლოდ მე. დანარჩენებს ოჯახებში ნამდვილი ქრისტიანები ჰყავთ.

ნაფიცი მსაჯული კეთილი კაცია და ცოლთან ერთად შეეცადა, გუნჰილდი ტკბილი სიტყვით მოეყვანა გონს, მაგრამ გოგო თავისას არ იშლიდა და მამა ისე გააჯავრა, რომ მან ქალიშვილი ოთახში ჩაკეტა და განუცხადა, აქ იქამდე დარჩები, ვიდრე ამ სისულელეს თავიდან არ გამოიბერტყავო.

– მეგონა, გერტრუდზე უნდა მოგეყოლა, – შეახსენა ინგმარმა.

– გერტრუდის ამბამდეც მივალ, თუ დამაცდი. ჯერ კი იმას გეტყვი, რომ მეორე დღეს, როცა გერტრუდი და დედამისი სამზარეულოში ფუსფუსებდნენ, მათთან ნაფიცი მსაჯულის ცოლი მივიდა. დედა-შვილი მისმა დანახვამ შეაშფოთა. ნაფიცი მსაჯულის ცოლს, რომელიც ყოველთვის ხალისიანი იყო, თვალები ტირილისგან დასიებოდა და კითხვები დააყარეს: „რა მოხდა? ასე რამ დაგაღონათ?“ ქალმა კი უპასუხა, აბა, როგორ ვიქნები, როცა ყველაზე ძვირფასი ადამიანი დავკარგეო.

– რა დასანანია, რომ მათი ცემა ვერ შევძელი, – თქვა მოხუცმა.

– ვისი? – ვერ მიხვდა ინგმარი.

– ვისი და, ჰელგუმის და ანა ლისასი. ისინი ღამით ნაფიცი მსაჯულის სახლში შეიპარნენ და გუნჰილდი გაიტაცეს.

ინგმარს გაოცების შეძახილი აღმოხდა.

– ჰო, ვერ ვიჯერებ, რომ ანა ლისა ყაჩაღს გაჰყვა ცოლად! – თქვა მოხუცმა და თხრობა გააგრძელა:

– შუაღამისას გუნჰილდის ოთახის ფანჯარას მიადგნენ და გოგონას ჰკითხეს, მამულში რატომ არ გადმოხვედიო. მან მიუგო, აქ მშობლებმა ჩამკეტესო. მათ სატანამ ჩააგონა, რომ ასე მოქცეულიყოო, უთხრა მაშინ ჰელგუმმა.

მშობლებს ეს ყველაფერი ესმოდათ.

– რაო? ესმოდათ?

– ჰო, მეზობელ ოთახში იწვნენ, კარი კი ღრიჭოდ დაეტოვებინათ და ყველაფერი გაიგონეს, რასაც ჰელგუმი მათ შვილს ეუბნებოდა, რომ გადაებირებინა.

– კი მაგრამ, ხომ შეეძლოთ, გაეგდოთ?

– არა, გადაწყვიტეს, გუნჰილდს თავად ამოერჩია, ვერც წარმოედგინათ, რომ გოგონას იმათი მიტოვება შეეძლო, ვინც ასე კარგად ექცეოდა. იწვნენ და ელოდნენ, რომ გუნჰილდი ჰელგუმს ეტყოდა, ჩემს მოხუც მშობლებს ვერასოდეს მივატოვებო.

– ნუთუ წავიდა?

– ჰო, ჰელგუმი არ მოეშვა, ვიდრე არ დაიყოლია. როცა მშობლები მიხვდნენ, რომ მათი ქალიშვილი ჰელგუმის წინაშე უძლური იყო, წასვლის ნება მისცეს. ასეთები არიან და...

დილით დედამ ინანა თავისი საქციელი და ქმარს სთხოვა, ინგმარის მამულში წასულიყო და ქალიშვილი წამოეყვანა. „არა,“ უპასუხა მან, „არასოდეს მოვიყვან და, თუ თავის ნებით არ დაბრუნდება, მისი დანახვაც აღარ მინდა.“

მაშინ ნაფიცი მსაჯულის ცოლი სკოლისკენ გაეშურა და გერტრუდს სთხოვა, გუნჰილდთან მისულიყო და დალაპარაკებოდა.

– გერტრუდიც წავიდა?

– ჰო და გუნჰილდსაც ელაპარაკა, მაგრამ მან გერტრუდის მოსმენაც არ მოისურვა.

– სახლში რომ გუნჰილდი არ მინახავს? – იკითხა ჩაფიქრებულმა ინგმარმა.

– იმიტომ, რომ შინ, მშობლებთან დაბრუნდა.

ისე მოხდა, რომ გუნჰილდისგან წამოსული გერტრუდი ჰელგუმს გადაეყარა. „აგერ ისიც, მთელი ეს უბედურება ამის ბრალია,“ გაიფიქრა გოგონამ, ჰელგუმთან მიიჭრა და ჩხუბი დაუწყო.

– გერტრუდს ლაპარაკი ნამდვილად შეუძლია, – თქვა აღფრთოვანებულმა ინგმარმა.

– ჰელგუმს უთხრა, ქრისტიანი მოძღვარივით კი არა, წარმართი მეომარივით იქცევი, როცა აი, ასე, შუაღამისას მიდიხარ და ქალიშვილს მისი სახლიდან იტაცებო.

– ჰელგუმმა რაღა უპასუხა?

– ჩუმად იდგა და უსმენდა, მერე კი აღიარა, მართალი ხარ, მეტისმეტად გავფიცხდიო. ჰოდა, იმავე საღამოს გუნჰილდი მშობლებთან დააბრუნა და ყველაფერი კარგად დამთავრდა.

ღონიერმა ინგმარმა თხრობა დაასრულა. ინგმარმა თავი ასწია და გაეღიმა.

– გერტრუდი ყოჩაღი გოგოა, – თქვა მან. – ჰელგუმი კი მაინც კარგი ადამიანია, თუმცა მეტისმეტი მოსდის.

– ჰო, აი, თურმე როგორ უყურებ ამ ამბავს, – თქვა მოხუცმა. – მეგონა, იკითხავდი, რატომ დაუთმო ჰელგუმმა გერტრუდს.

ინგმარი გაჩუმდა. ღონიერი ინგმარიც ჩუმად იყო, მერე კი თავიდან დაიწყო:

– სოფელში ბევრი მეკითხებოდა შენზე. უნდოდათ, გაეგოთ, ვის მხარეს დაიჭერდი.

– ვის მხარეზეც ვიყავი, ისევ იქა ვარ.

– მოდი, ერთ რამეს გეტყვი, – თქვა მოხუცმა, – ამ თემის მცხოვრებლები მიჩვეულები არიან იმას, რომ მათ ვიღაც უნდა მართავდეს. დიდი ინგმარი ცოცხალი აღარ არის, მასწავლებელმა ძალაუფლება დაკარგა, პასტორს კი ხალხის გაძღოლის თავი არც არასოდეს ჰქონია. ჰოდა, რახან შენ განზე დგახარ, ისინიც ჰელგუმს გაჰყვნენ.

ინგმარი ხელებჩამოშვებული იდგა და გატანჯული სახე ჰქონდა.

– მე ხომ არ ვიცი, მართალი ვინ არის?

– როგორც ჩანს, ხალხი ელოდება, რომ ჰელგუმისგან გაათავისუფლებ. დამიჯერე, ბევრი საშინელება არ გვინახავს იმის გამო, რომ ზამთარში აქ არ ვიყავით. ალბათ, ყველაზე ძნელი დასაწყისში იყო, ვიდრე ახლადმოქცეულები ამ ყველაფერს შეეჩვეოდნენ და სხვებს სატანებს და ჯოჯოხეთის ძაღლებს დაუძახებდნენ. ყველაზე უარესი კი ის იყო, როცა ქადაგება მოქცეულმა ბავშვებმაც დაიწყეს.

– რაო? ბავშვებიც ქადაგებდნენ? – უნდობლად დაეკითხა ინგმარი.

– ჰო, ჰელგუმმა ბავშვებს უთხრა, რომ თამაშის ნაცვლად უფალს უნდა ემსახურონ და მათაც უფროსების მოქცევა გადაწყვიტეს. მათ გზაზე უსაფრდებოდნენ, თავს ესხმოდნენ და უყვიროდნენ: „სატანას არ აუმხედრდები? ცოდვაში ცხოვრებას გააგრძელებ?“

ინგმარი საკუთარ თავს ებრძოდა. არ უნდოდა, დაეჯერებინა, რასაც მოხუცი უყვებოდა.

– ამ ამბებით, ალბათ, იმ ფელტმა გამოგიტენა თავი. – თქვა მან.

– აი, სწორედ ამაზე მინდოდა დაგლაპარაკებოდი, – უთხრა მოხუცმა. – ფელტის საქმეც წასულია. როცა მახსენდება, რომ ეს ყველაფერი ინგმარის მამულში დაიწყო, ხალხს თვალებში ვეღარ ვუყურებ.

– ფელტსაც რამე დაუშავეს?

– ჰო, იმ ბავშვებმა ერთ საღამოს, როდესაც აღარ იცოდნენ, რა ექნათ, ფელტის მოქცევაც გადაწყვიტეს. გაგონილი ჰქონდათ, ფელტი დიდი ცოდვილიაო.

– კი მაგრამ, ადრე ხომ ბავშვებს ფელტისა ტროლზე ნაკლებად არ ეშინოდათ?

– ჰო, ეშინოდათ, თუმცა იფიქრეს, გმირობას ჩავიდენთო. ერთ საღამოს ფელტს მიადგნენ, როცა ის თავის ქოხში იჯდა და ფაფას იხარშავდა. როცა კარი გააღეს და ფელტი დაინახეს გაბურძგნული ულვაშებით და გაღუნული ცხვირით, რომელიც თავისი ერთადერთი თვალით ცეცხლს მისჩერებოდა, ყველანი დაფრთხნენ და ერთი-ორი ყველაზე პატარა ბავშვი გაიქცა, მაგრამ ათი-თორმეტი ბავშვი შიგნით შევიდა, მოხუცის გარშემო მუხლებზე მოირთხა და სიმღერას და ლოცვას მოჰყვა.

– მერედა ფელტმა გარეთ არ გაყარა?

– ნეტავ მასე მოქცეულიყო! ვერ ვხვდები, რა დაემართა. ის საბრალო თურმე იჯდა და ფიქრობდა, ამ სიბერეში მიტოვებული და მარტოხელა დავრჩიო. ჰოდა, აი, მასთან ბავშვები მივიდნენ. მოაგონდა, რომ ბავშვებს მისი ყოველთვის ეშინოდათ და მისკენ მიპყრობილი, კამკამა ცრემლებით სავსე თვალების დანახვამ კაცზე ძალიან იმოქმედა.

ბავშვებს ეგონათ, ფელტი წამოხტებოდა და საცემრად დაერეოდა. მღეროდნენ და ლოცულობდნენ, თუმცა გასაქცევადაც მზად იყვნენ.

ერთმა-ორმა ბავშვმა შენიშნა, რომ ფელტს სახე მოეჭმუხნა. „აი, ახლა კი დაგვერევა.“ გაიფიქრეს მათ და წამოდგნენ, რომ თავისთვის ეშველათ, მაგრამ მოხუცმა თვალები დაახამხამა და უეცრად ცრემლი წასკდა. მაშინ ბავშვებმა „ალილუია“ შესძახეს და, როგორც გითხარი, ფელტსაც ბოლო მოეღო. კრებებზე სირბილის, მარხულობის, ლოცვისა და უფლის სიტყვის მოსმენის გარდა არაფერს აკეთებს.

– ამაში ვერანაირ უბედურებას ვერ ვხედავ, – შეეკამათა ინგმარი. – ფელტი ხომ ლამის გალოთებული იყო.

– კარგი რა, გეგონება, დასაკარგი მეგობარი ბევრი გყავდეს! იქნებ ისიც გინდოდა, რომ ბავშვებს მასწავლებელი მოექციათ?

– ვერასოდეს დავიჯერებ, რომ ის საბრალო ბავშვები სტორმს რამეს გაუბედავდნენ, – უპასუხა ინგმარმა. ბიჭს განცვიფრებისგან სუნთქვა შეეკრა. ნუთუ ღონიერი ინგმარი სიმართლეს ამბობდა და თემში ასეთი დომხალი იყო?

– გაუბედეს და მერე როგორ! ერთ საღამოს, როცა სტორმი სკოლის დარბაზში იჯდა და რვეულში რაღაცას წერდა, ოცამდე ბავშვი ეახლა და ქადაგება დაიწყო.

– სტორმმა რაღა ქნა? – სიცილი ვერ შეიკავა ინგმარმა.

– თავიდან გაოცებისაგან ხმა ვერ ამოიღო და ვერც ვერაფერი ქნა, მაგრამ იქამდე ცოტა ხნით ადრე ჰელგუმი სამზარეულოში შესულიყო გერტრუდის მოსანახულებლად.

– ჰელგუმი გერტრუდთან იყო?

– ჰო, ჰელგუმი და გერტრუდი გუნჰილდის ამბის მერე დამეგობრდნენ.

როდესაც გერტრუდმა დარბაზიდან ხმაური გაიგონა, ჰელგუმს უთხრა: „ხედავთ, სწორედ დროულად მოსულხართ. ახლა რაღაც ახალს იხილავთ. დღეიდან მასწავლებლის ნაცვლად სკოლას მოსწავლეები გაუძღვებიან.“ ჰელგუმმა გადაიხარხარა. ეტყობა, მიხვდა, რომ ეს ნამდვილი სიგიჟე იყო. ბავშვები მაშინვე გაყარა და ამ უმსგავსობასაც ბოლო მოუღო.

ინგმარმა შენიშნა, რომ მოხუცმა ამ სიტყვებზე რაღაც სხვანაირად შეხედა – ისე, როგორც მონადირე უყურებს ხოლმე დაჭრილ დათვს და ფიქრობს, კიდევ ერთი ტყვია ხომ არ დავაჭედოო.

– არ ვიცი, ჩემგან რას ელოდები, – უთხრა ინგმარმა.

– ცხვირმოუხოცავი ბიჭისგან რას უნდა ველოდებოდე, თან არც არაფერი გაგაჩნია. შიშველი ხელებით კი რა უნდა ქნა?

– ნუთუ გინდა, ჰელგუმი ვცემო?

– სოფელში თქვეს, რომ ჰელგუმს თუ აქედან წასვლას აიძულებ, ყველაფერს მოევლება.

– ახალი მოძღვრების შემოტანას მუდამ განხეთქილება და ბრძოლა მოსდევს.

– ყოველ შემთხვევაში, არ გაწყენდა, ხალხისთვის გეჩვენებინა, რა შეგიძლია. – თავისას არ იშლიდა ღონიერი ინგმარი.

ინგმარმა მოხუცს ზურგი შეაქცია და ხერხვას შეუდგა. ახლა მხოლოდ ის უნდოდა ეკითხა, გერტრუდი უკვე შეურთდა თუ არა ჰელგუმელებს, თუმცა სიამაყემ შეუშალა ხელი, თავისი გასაჭირი გაემჟღავნებინა.

რვა საათზე ინგმარი მამულში სასაუზმოდ დაბრუნდა. როგორც ყოველთვის, გემრიელად გაუმასპინძლდნენ, ხოლო ჰალვური და კარინი ძალზე თბილად შეხვდნენ. ინგმარმა დის და სიძის დანახვისთანავე გაიფიქრა, ღონიერი ინგმარის ნალაპარაკევიდან ერთი სიტყვაც არ მჯერაო. გულზე მოეშვა და დარწმუნდა, რომ მოხუცმა ყველაფერი გააზვიადა, მაგრამ მალე გერტრუდზე დარდმა ისე შეაწუხა, რომ მადა დაკარგა.

– ამ ბოლო დროს მასწავლებელთან ხომ არ ყოფილხარ, კარინ? – უეცრად იკითხა მან.

– არა, – მკვახედ მიუგო კარინმა. – უღმერთოებთან არაფერი მესაქმება.

ინგმარი დიდხანს დუმდა და დის პასუხზე ფიქრობდა. ნეტავ ახლა დუმილი ჯობდა თუ ლაპარაკი? თუ დაილაპარაკებდა, შინაურებთან კამათი მოუწევდა, თუმცა არც ის უნდოდა, ვინმეს ჰგონებოდა, რომ უსამართლობას შეურიგდებოდა.

– მასწავლებლის ოჯახში ოთხი წელი ვიცხოვრე და მათთვის უღმერთობა არასოდეს შემიმჩნევია. – თქვა მან.

კარინიც ინგმარივით იმაზე ფიქრობდა, გაჩუმებულიყო თუ პასუხი გაეცა, მაგრამ სიმართლე ხომ უნდა ეთქვა, თუნდაც მისი სიტყვები ძმას გულზე მოხვედროდა, ამიტომაც განაცხადა, როდესაც ადამიანებს არ სურთ, უფლის მოწოდებას მისდიონ, უნდა დაიჯერო, რომ ისინი უღმერთოები არიანო.

ამ დროს ჰალვურმაც ჩაურთო:

– ბავშვების აღზრდა-განათლება ძალიან მნიშვნელოვანია.

– სტორმმა მთელი სოფელი აღზარდა, მათ შორის, შენც, ჰალვურ.

– ოღონდ ჩვენთვის ის არ უსწავლებია, სწორად როგორ უნდა გვეცხოვრა.

– მგონი, ყოველთვის ასე ცხოვრებას ცდილობდი, კარინ.

– გეტყვი, ინგმარ, რას ნიშნავს ძველი მოძღვრებით ცხოვრება. ეს მრგვალ მორზე სიარულს ჰგავს:

ჯერ დგახარ, მერე კი ვარდები, მაგრამ თუკი ჩემს თანამოძმეებს ჩავკიდებ ხელს, მათი მხარდაჭერით სამართლიანობის ვიწრო ბილიკს ისე გავივლი, რომ არ დავეცემი.

– ჰო, – დაეთანხმა ინგმარი, – მაგრამ ამის გაკეთებას რა უნდა.

– არა, ეს ძნელია, თუმცა შეუძლებელიც არ არის.

– და მაინც, მასწავლებლის საქმე როგორ არის?

– იმათ, ვინც ჩვენ შემოგვიერთდა, შვილები სკოლიდან გამოიყვანეს. არ გვინდა, ბავშვებმა ძველი მოძღვრების მიხედვით ისწავლონ.

– მასწავლებელმა ამაზე რა თქვა?

– ბავშვები კანონით ვალდებულები არიან, სკოლაში იარონო.

– მეც ასე ვფიქრობ.

– ჰოდა, ისრაელ თუმასონს და კრისტერ ლარშონს სოფლის პოლიციელი მიუგზავნა და ბავშვები წამოიყვანა.

– მაშ, ახლა სტორმის ოჯახს ემტერებით?

– ჩვენ მხოლოდ ერთმანეთს ვუჭერთ მხარს.

– როგორც ჩანს, ყველანი მოიძულეთ.

– თავი შორს გვიჭირავს იმათგან, ვისაც ჩვენი ცოდვაში ჩაგდება უნდა.

რაც დრო გადიოდა, სამივენი მით უფრო ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. თითოეული სიტყვის წარმოთქმა აშინებდათ და ეჩვენებოდათ, რომ საუბარმა უსიამოვნო მიმართულება მიიღო.

– თუმცა გერტრუდისგან მოკითხვას გადმოგცემ. – თქვა კარინმა და შეეცადა, ხმისთვის მხიარული ელფერი მიეცა. – გასულ ზამთარს ჰელგუმი მას ბევრჯერ ელაპარაკა და ამბობს, რომ სწორედ ამ საღამოს ჩვენ შემოგვიერთდება.

ინგმარს ტუჩები აუკანკალდა. თითქოს მთელი დღე გასროლას ელოდა და აი, ტყვიაც მოხვდა.

– მართლა? თქვენ უნდა შემოგიერთდეთ? – ლამის ჩურჩულით იკითხა მან. – უღრან ტყეში დაეხეტები, აქ კი თურმე ამდენი რამ ხდება.

ინგმარი მიხვდა, რომ ჰელგუმი ბევრს ეცადა, ვიდრე გერტრუდს თავის ბადეში გააბამდა.

– მე რაღა უნდა ვქნა? – უეცრად იკითხა მან. მის ხმაში რაღაც უცნაური უიმედობა ისმოდა.

– ჩვენი რწმენა უნდა მიიღო, – სწრაფად მიუგო ჰალვურმა. – ახლა ჰელგუმი მოვა. შენ ოღონდ დაელაპარაკე და მალე ჩვენს რწმენაზე მოექცევი.

– იქნებ სულაც არ მინდა მოვექცე. – თქვა ინგმარმა.

ჰალვურს და კარინს ენა ჩაუვარდათ.

– იქნებ სულაც არ მინდა, ის ვირწმუნო, რისიც მამაჩემს არ სწამდა. – გაიმეორა ინგმარმა.

– ნურაფერს იტყვი, სანამ ჰელგუმს არ გაესაუბრები. – სთხოვა კარინმა.

– თქვენთან თუ არ ვიქნები, ალბათ, ერთ ჭერქვეშაც ვეღარ ვიცხოვრებთ, არა? – იკითხა ინგმარმა და წამოდგა.

პასუხი რომ ვერ მიიღო, ბიჭს მოეჩვენა, რომ ერთბაშად ყველაფერი თავზე ჩამოექცა, თუმცა წელში გაიმართა და შეეცადა, მხნეობა მოეკრიბა. „ჯობს, ეს ამბავი ახლავე გავარკვიო.“ გაიფიქრა მან.

– მინდა, გავიგო, სამხერხაოს რა ბედი ეწევა. – განაგრძო ინგმარმა.

ჰალვურმა და კარინმა ერთმანეთს გადახედეს. პასუხის გაცემას ვერც ერთი ვერ ბედავდა.

– გახსოვდეს, ინგმარ, ამქვეყნად ჩვენზე მეტად არავის უყვარხარ. – თქვა ბოლოს ჰალვურმა.

– ჰო, მაგრამ სამხერხაოს რა ბედი ეწევა? – ჯიუტად გაიმეორა ბიჭმა.

– პირველ ყოვლისა, რაც დასახერხი გაქვს, უნდა დახერხო.

ინგმარი მიხვდა, რისი თქმაც უნდოდა ჰალვურს ამ ნართაული პასუხით.

– ჰელგუმს სამხერხაოს იჯარით აღება უნდა, არა?

ცოლ-ქმარი ინგმარის სიფიცხემ ძალზე შეაცბუნა. მას შემდეგ, რაც მან გერტრუდის შესახებ შეიტყო, ბიჭს უკვე ვეღარ შეუთანხმდებოდნენ.

– მოდი, ჰელგუმს დაელაპარაკე! – დაუყვავა კარინმა.

– ჩემთან ლაპარაკი, ალბათ, მაინც მოუწევს, მაგრამ ურიგო არ იქნება, გავიგო, რაზე უნდა ველაპარაკო.

– ხომ იცი, შენთვის მხოლოდ სიკეთე გვინდა.

– კი, მაგრამ ჰელგუმს სამხერხაოს იჯარით აღება უნდა.

– გვინდა, ჰელგუმს შესაფერისი საქმე გამოვუძებნოთ, რომ სამშობლოში დარჩენა შეძლოს. ვიფიქრეთ, თუ ჭეშმარიტ რწმენას აღიარებდი, შენ და ის კომპანიონები გახდებოდით. ჰელგუმი მუყაითი მშრომელია.

– ჰალვურ, ნეტავ როდის აქეთ გეშინია სათქმელის პირდაპირ თქმა. მხოლოდ იმის გაგება მინდოდა, ჰელგუმს სამხერხაოს დაპატრონება უნდა თუ არა.

– თუკი ღმერთს უარყოფ, იგი სამხერხაოს მფლობელი გახდება.

– მადლობა, ჰალვურ, ახლა ვიცი, თქვენი რწმენა რის ფასადაც უნდა მივიღო.

– ალბათ, ხვდები, რომ ეს ასე არ უნდა გაიგო. – უთხრა კარინმა.

– მშვენივრად ვხვდები, როგორც უნდა გავიგო, – მიუგო ინგმარმა. – თუ თქვენს მხარეზე არ ვიქნები, გერტრუდსაც, სამხერხაოსაც და მამაპაპისეულ მამულსაც დავკარგავ.

ბიჭი სწრაფად გავიდა ოთახიდან. იქ დარჩენა აღარ შეეძლო. ეზოში რომ გამოვიდა, ისევ გაიფიქრა: „კარგია, რომ ყველაფერი დამთავრდა. ისიც კარგია, რომ გავიგე, რისი გაკეთება მომიწევდა.“ და ფართო ნაბიჯებით გაემართა სკოლისაკენ.

როდესაც ინგმარმა სკოლის ბაღის ჭიშკარი შეაღო, წამოწვიმა. ნამდვილი გაზაფხულის წვიმა იყო – თბილი და სასიამოვნო. ბაღში ყველაფერი გაკვირტულიყო. მიწას სიმწვანე ისე სწრაფად ედებოდა, ლამის ხედავდი, ბალახი როგორ ამოდიოდა. გერტრუდი კიბეზე იდგა და გაზაფხულის წვიმას შესცქეროდა. ორ დიდ, ახლად გაფოთლილ შოთხვს ტოტები მისკენ გაეწვდინა.

ინგმარი აქაურმა სილამაზემ და სიმშვიდემ გააოცა და ადგილზე გაშეშდა. მღელვარება თანდათან დაუცხრა. გერტრუდი ჯერ ვერ ხედავდა. ბიჭმა ჩუმად დაკეტა ჭიშკარი და მისკენ გაემართა, მაგრამ რომ მიუახლოვდა, ისევ შეჩერდა და გერტრუდს განცვიფრებული მიაშტერდა. როდესაც მათ უკანასკნელად ნახეს ერთმანეთი, გერტრუდი ჯერ ისევ მოზარდი იყო, ამ ერთ წელიწადში კი, რაც ინგმარს იგი არ ენახა, დაქალებულიყო. ახლა გერტრუდი ტანმაღალი და მოხდენილი იყო. ყელი ლამაზად მოეღერებინა, რბილი, თეთრი კანი ლოყებზე ღაჟღაჟა წითელში გადადიოდა. ღრმა და სევდიანი თვალები ჰქონდა, სახის გამომეტყველება კი – ხან ეშმაკური და ხალისიანი, ხან კი დაფიქრებული და ნაზი სევდით სავსე.

როდესაც ინგმარმა ასეთი გერტრუდი დაინახა, გული სიხარულით აევსო. ისეთი სიმშვიდე და საზეიმო განწყობა დაეუფლა, თითქოს დიდი დღესასწაულიაო. ის, რასაც გრძნობდა, ისეთი წარმატაცი იყო, რომ მოუნდა, მუხლებზე დაცემულიყო და ღმერთისთვის მადლობა შეეწირა.

გერტრუდს კი ინგმარის დანახვაზე სახე უეცრად გაუქვავდა და წარბები ისე შეეჭმუხნა, რომ მათ შორის პატარა ნოჭი გაუჩნდა.

იმ დღეს ინგმარი ჩვეულებრივზე უფრო მკვირცხლად აზროვნებდა, ამიტომაც მყისვე შენიშნა, რომ გერტრუდს მისი იქ გამოჩენა არ მოეწონა და ამ ფიქრმა მწვავე ტკივილი მიაყენა. „მათ შენთვის მისი წართმევა უნდათ.“ გაიფიქრა მან. „მათ ის უკვე წაგართვეს.“

ინგმარის სადღესასწაულო განწყობა სადღაც გაქრა და უწინდელი მღელვარება და მოუსვენრობა დაუბრუნდა. გერტრუდს პირდაპირ ჰკითხა, მართალია თუ არა, რომ ჰელგუმსა და მის მიმდევრებთან აპირებ შეერთებასო. გერტრუდმა დაუდასტურა, რომ ასე იყო. მაშინ ინგმარმა იკითხა, იმაზე თუ დაფიქრებულხარ, რომ ჰელგუმელები თანამოაზრეების გარდა სხვასთან ურთიერთობის ნებას არ მოგცემენო. გერტრუდმაც ჩუმად უპასუხა, ამაზე მიფიქრიაო.

– დედ-მამას თუ დაეკითხე? – ჰკითხა ინგმარმა.

– არა, – მიუგო გერტრუდმა. – ჯერ არაფერი იციან.

– კი მაგრამ, გერტრუდ...

– გაჩუმდი, ინგმარ. ეს სიმშვიდის მოსაპოვებლად უნდა გავაკეთო. უფალი მაიძულებს, ასე მოვიქცე.

– ოჰ, არა,– წამოისროლა ინგმარმა, – უფალი კი არ გაიძულებს...

გერტრუდი ისე ფიცხლად მიტრიალდა მისკენ, რომ ბიჭმა მხოლოდ ეს უთხრა:

– იმის თქმა მინდა, რომ ჰელგუმელებს არასოდეს შევუერთდები და, თუ მათთან ყოფნას აპირებ, სამუდამოდ დავშორდებით.

გერტრუდმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეს სიტყვები სულაც არ ეხებოდა.

– ამას ნუ იზამ, გერტრუდ! – სთხოვა ინგმარმა.

– არ გეგონოს, რომ თავქარიანი ვარ. ამაზე დიდხანს ვიფიქრე.

– კიდევ ერთხელ დაფიქრდი.

გერტრუდმა მოუთმენლად შეაქცია ზურგი.

– იქნებ ჰელგუმის გამო მაინც დაფიქრდე, – თქვა განრისხებულმა ინგმარმა და გერტრუდის ხელი ჩაბღუჯა. გოგონამ ხელი გამოსტაცა.

– შენ რა, გაგიჟდი, ინგმარ?

– ჰო, ჰელგუმის საქციელმა გამაგიჟა. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

– რას უნდა მოეღოს ბოლო?

– ამას სხვა დროს გაიგებ.

გერტრუდმა მხრები აიჩეჩა.

– ნახვამდის, გერტრუდ, – თქვა ინგმარმა. – და დაიმახსოვრე, რასაც გეუბნები – ჰელგუმელებთან ერთად არასოდეს იქნები!

– რას აპირებ, ინგმარ? – შეშფოთებით ჰკითხა გოგონამ.

– ნახვამდის, გერტრუდ. იფიქრე იმაზე, რაც გითხარი! – დაუყვირა ინგმარმა, რომელიც უკვე ქვიშიან ბილიკს მიუყვებოდა.

ბიჭი ისევ შინისკენ მიბრუნდა. „ნეტავ მამაჩემივით ჭკვიანი ვიყო!“ ფიქრობდა გზაში. „ნეტავ დიდი ინგმარის ძალაუფლება მქონდეს! როგორ მოვიქცე? ყველაფერს ვკარგავ, რაც გამაჩნდა და გამოსავალს ვერ ვხედავ.“

ერთადერთი, რაც ნამდვილად იცოდა, ის იყო, რომ ამ უბედურებიდან, რაც თავს დაატყდა, ჰელგუმი იოლად ვერ გამოძვრებოდა.

ინგმარი პირდაპირ ღონიერი ინგმარის სახლისკენ გაემართა ჰელგუმთან შესახვედრად. კართან მისულს ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმა. ეტყობა, სახლში უცხოები იყვნენ და ბიჭი მაშინვე გამობრუნდა. სანამ წავიდოდა, ვიღაც კაცის გაჯავრებული ხმა გაიგონა:

– ჩვენ, სამმა ძმამ, გრძელი გზა გამოვიარეთ, რათა შენთვის პასუხი მოგვეთხოვა, იუჰან ჰელგუმ, ჩვენი უმცროსი ძმის გამო, რომელიც ორი წლის წინ ამერიკაში გაემგზავრა. იქ შენი ერთობის წევრი გახდა, ახლახან კი წერილი მივიღეთ, სადაც ეწერა, რომ შენმა მოძღვრებამ იგი ჭკუაზე შეშალა.

ინგმარმა სასწრაფოდ დატოვა იქაურობა. როგორ ჩანს, ჰელგუმს მის გარდა ბევრი სხვაც უჩიოდა და ისინიც მასავით უმწეოები იყვნენ.

ბიჭი სამხერხაოსკენ დაეშვა. ღონიერი ინგმარი უკვე ხერხავდა. ხერხის ღრჭიალსა და ჭორომის ხმაურში მოეჩვენა, რომ ვიღაც ყვიროდა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. ჰელგუმის მიმართ ძლიერი სიძულვილის გარდა ვერაფერს გრძნობდა. მიდიოდა და თავისთვის ითვლიდა ყველაფერს, რაც ჰელგუმმა წაართვა: გერტრუდი, კარინი, სამხერხაო, სახლი.

ინგმარს ისევ მოეჩვენა, რომ ყვირილი მოესმა და თავში გაუელვა, ჰელგუმი და ის სამი უცხო კაცი ჩხუბობენო. „ძალიანაც კარგი, თუ სიკვდილის პირას მიიყვანენ.“ გაიფიქრა მან.

ამ დროს ხმამაღალი ძახილი მოესმა, მიშველეთო და აღმართს სირბილით შეუყვა.

რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო მკაფიოდ ესმოდა ჰელგუმის ხმა, რომელიც საშველად უხმობდა, ხოლო როცა სახლამდე მიაღწია, იქიდან ისეთი ხმაური გამოდიოდა, იფიქრა, მიწა ფეხქვეშ მეცლებაო.

ინგმარი კარს ყოველთვის უხმაუროდ აღებდა, ახლა კი ორმაგად ფრთხილობდა. კარი ოდნავ შეაღო და შიგნით შეიჭვრიტა. ოთახში, ერთ კედელთან ჰელგუმი იდგა და თავს მოკლე ნაჯახით იცავდა. სამი უცხო სტუმარი – ძლიერი და ზორბა კაცები – მას შეშის ნაპობებით უტევდნენ, რომლებსაც კომბლებივით იქნევდნენ. თოფები არ ჰქონდათ, ჩანდა, მხოლოდ იმიტომ მოსულიყვნენ, რომ ჰელგუმისთვის ჭკუა ესწავლებინათ, თუმცა როდესაც მასპინძელმა წინააღმდეგობა გაუწია, მათში მკვლელობის სურვილმა გაიღვიძა, ასე, რომ ჰელგუმის სიცოცხლე საფრთხეში იყო.

მომხდურებს ოთახში შემოსული აწოწილი და მოუხეშავი ყმაწვილი არც შეუმჩნევიათ.

ინგმარი ცოტა ხანს უძრავად იდგა და მოჩხუბრებს უყურებდა. ეგონა, სიზმარში იყო, როდესაც იმას ხედავ, რაზეც ყველაზე მეტად ოცნებობ და ვერ მიმხვდარხარ, ეს როგორ მოხდა. დროდადრო ჰელგუმი შველას ითხოვდა. „გგონია, ისეთი სულელი ვარ, რომ მოგეშველები?“ გაიფიქრა ინგმარმა.

ერთ-ერთმა კაცმა მოახერხა და ჰელგუმს თავში ისე ძლიერ ჩაარტყა, რომ მას ნაჯახი ხელიდან გაუვარდა და დაეცა. დანარჩენებმა შეშის ნაპობები დაყარეს, დანები ამოიღეს და ჰელგუმს დააცხრნენ. ამ დროს ინგმარს უეცრად რაღაც მოაგონდა. მისი საგვარეულოს შესახებ ძველად უთქვამთ, რომ ყოველ მათგანს სიცოცხლეში ერთხელ მაინც რამე სამარცხვინო ან უსამართლო საქციელი უნდა ჩაედინა. ნუთუ ახლა მისი ჯერი დადგა?

უეცრად ერთ-ერთმა თავდამსხმელმა იგრძნო, რომ ვიღაცამ ზურგზე ხელები მოხვია, ასწია და ოთახიდან გაისროლა. მეორემ ის-ის იყო, ადგომა დააპირა, რომ იგივე ბედი ეწია, მესამემ წამოდგომა კი მოასწრო, მაგრამ ისეთი მუჯლუგუნი მიიღო, რომ წაიბორძიკა და სხვებთან ერთად ისიც გარეთ აღმოჩნდა.

სამივე რომ გაყარა, ინგმარი კართან მივიდა და ძმებს სიცილით გასძახა:

– რაო, დაბრუნება ხომ არ გინდათ?

წინააღმდეგი არ იქნებოდა, თავს დასხმოდნენ. საკუთარი ძალის ასეთნაირად გამოცდა ეხალისებოდა კიდევაც.

სამი ძმა, ეტყობა, მართლაც აპირებდა ჩხუბის განახლებას. ამ დროს ერთ-ერთმა თხმელების უკან, ბილიკზე ვიღაცას მოჰკრა თვალი და დაიძახა, გავიქცეთო, მაგრამ მომხდურები ისეთი გაშმაგებულები იყვნენ, ჰელგუმს რომ ვერ გაუსწორდნენ, რომ სწორედ მაშინ, როცა წასასვლელად მიბრუნდნენ, ერთი მათგანი ინგმართან მიიჭრა და კისერში დანა დაარტყა.

– ეს იმისათვის, რომ ჩვენს საქმეში ცხვირს ყოფ! – დაიყვირა მან.

ინგმარი ძირს დაეცა, კაცმა კი დამცინავად გადაიხარხარა და გზას გაუდგა.

ორიოდე წუთში იქ კარინი გაჩნდა. ქალმა ინგმარი დაინახა, რომელიც ზღურბლზე იჯდა და კისერში იყო დაჭრილი. შიგნით კი კედელს მიყრდნობილი ჰელგუმი იდგა, ხელში ნაჯახი ეჭირა და სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი.

კარინს გაქცეულები არ შეუმჩნევია. ეგონა, ჰელგუმს ინგმარი დაესხა თავს და დაჭრა.

ქალს ელდისაგან ფეხები მოეკვეთა. „არა, ეს შეუძლებელია. ჩვენი ოჯახის წევრი არ შეიძლება მკვლელი იყოს.“ გაიფიქრა მან, თუმცა მყისვე დედამისის ამბავი მოაგონდა.

– აი, სად წამოგვეწია. – ჩაიბუტბუტა მან.

კარინმა ინგმარს გვერდი აუარა და ჰელგუმს მიაშურა.

– არა, არა, ჯერ ინგმარს მიხედე! – შესძახა ჰელგუმმა.

– ჯერ მსხვერპლს უნდა მიხედო და მერე – მკვლელს. – მიუგო ქალმა.

– ჯერ, ინგმარი, ჯერ ინგმარი! – ყვიროდა ჰელგუმი და აღელვებისგან კარინს ნაჯახს უქნევდა. – მკვლელები სწორედ მან გაყარა და სიკვდილისაგან მიხსნა!

ბოლოს და ბოლოს, როცა ქალი მიხვდა, რაც მომხდარიყო და ინგმარისკენ შებრუნდა, ძმა იქ აღარ დახვდა. კარინმა დაინახა, როგორ მიბარბაცებდა ბიჭი ეზოში და გაეკიდა.

– ინგმარ, ინგმარ! – ეძახდა იგი.

ინგმარმა უკანმოუხედავად განაგრძო გზა.

კარინი ძმას იოლად დაეწია, მკლავზე ხელი დაადო და უთხრა:

– არ წახვიდე, ინგმარ, ჭრილობა უნდა შეგიხვიო!

ინგმარმა თავი გაითავისუფლა და გზა განაგრძო. ბრმასავით მიდიოდა, თითქოს გზა დაებნაო. ჭრილობიდან სისხლმა ტანსაცმელში გამოატანა, ცალ ფეხსაცმელში ჩაუვიდა და გაავსო. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას სისხლი ფეხსაცმლიდან ჟონავდა და მიწაზე წითელ კვალს ტოვებდა.

კარინი ხელების მტვრევით მისდევდა უკან და ეძახდა:

– დარჩი, ინგმარ, დარჩი! სად მიდიხარ? აქ დარჩი, ინგმარ!

ინგმარმა ტყისკენ მიაბიჯებდა, სადაც ვერც ერთი სულიერი ვერ დაეხმარებოდა.

კარინი თვალს არ აშორებდა მის ფეხსაცმელს, რომელიც სისხლით იყო სავსე. ნაკვალევი ყოველ წამს სულ უფრო და უფრო წითლდებოდა.

„ახლა ტყეში შევა, იქ დაეცემა და სისხლისგან დაიცლება.“ გაიფიქრა მან.

– უფალმა გაკურთხოს, ინგმარ, ჰელგუმს რომ მიეშველე! – ნაზად უთხრა კარინმა. – ამას ვაჟკაცობაც სჭირდებოდა და ძალ-ღონეც.

ინგმარს ყურიც არ შეუბერტყავს, ისე განაგრძობდა გზას.

კარინმა სწრაფად ჩაუარა გვერდით და წინ გადაეღობა. ბიჭმა გვერდით გაუხვია და დისთვის არც შეუხედავს, ისე ჩაიბუტბუტა:

– წადი და ჰელგუმს მიხედე!

– მინდა გითხრა, ინგმარ, რომ მე და ჰალვური ძალიან შევწუხდით იმის გამო, რაზეც დილით ვილაპარაკეთ. ჰელგუმთანაც სწორედ იმიტომ მოვდიოდი, რომ მეთქვა, რაც არ უნდა მოხდეს, სამხერხაო ინგმარს დარჩება-მეთქი.

– შეგიძლია, ჰელგუმს მისცე. – თქვა ინგმარმა და სიარული განაგრძო, კუნძებსა და ქვებზე ბორძიკობდა, მაგრამ მაინც მიდიოდა.

კარინი მისდევდა და ცდილობდა, დაეყოლიებინა.

– მაპატიე, რომ წამით შეცდომა დავუშვი და მეგონა, ჰელგუმს ეჩხუბე. აბა, სხვა რა უნდა მეფიქრა?

– რა იოლად დაიჯერე, რომ შენი ძმა მკვლელი იყო. – უკანმოუხედავად ესროლა ინგმარმა.

ბიჭი გაუჩერებლად მიდიოდა. როდესაც მისი ფეხით გათელილი ბალახი იმართებოდა, ბალახის ღეროებიდან სისხლი წვეთავდა. ინგმარი ისე ხშირად ახსენებდა ჰელგუმს, კარინისთვის ცხადი გახდა, როგორ სძულდა იგი მის ძმას. თანაც ახლაღა მიხვდა, ინგმარმა რა გმირობაც ჩაიდინა.

– შენი დღევანდელი საქციელის გამო ძალიან გაითქვამ სახელს, ინგმარ, – თქვა მან. – ნუთუ გინდა, ამას შეეწირო?

ქალმა გაიგონა, რა დამცინავად გადაიხარხარა ინგმარმა, მერე კი გაფითრებული და დამანჭული სახე დისკენ მოაბრუნა.

– მოდი, შინ დაბრუნდი, კარინ. კარგად ვიცი, ვისაც გინდა, დაეხმარო.

ინგმარი უფრო და უფრო ბარბაცებდა და მიწაზე, თავის კვალდაკვალ უკვე სისხლის უწყვეტ ზოლს ტოვებდა.

მოწანწკარე სისხლმა კარინი სულ გადარია. თითქოს დიდმა სიყვარულმა, ინგმარის მიმართ რომ ყოველთვის განიცდიდა, ამ წითელი სისხლის ნაკადისგან საზრდო მიიღო და ახალი ძალით ამოხეთქა. ახლა კარინი ძმით ამაყობდა კიდევაც. ინგმარი ძველი, კეთილშობილი ხის ღირსეული შტო იყო.

– ინგმარ, რა პასუხს გასცემ ღმერთს და ადამიანებს, თუ ასე დაამთავრებ სიცოცხლეს. უნდა მითხრა, თუ შემიძლია რამე ისეთი გავაკეთო, რაც სიცოცხლის ხალისს დაგიბრუნებს.

ინგმარი შეჩერდა და ხეს ჩაეჭიდა, რომ არ დაცემულიყო. მერე კი უნდობლად გაიცინა და თქვა:

– მაშინ იქნებ ჰელგუმი ამერიკაში დაგებრუნებინა?

კარინი იდგა და სისხლის გუბეს უყურებდა, რომელიც ინგმარის მარცხენა ფეხის გარშემო დგებოდა. შეეცადა, გაეაზრებინა, ძმა მისგან რას მოითხოვდა. ეს იმას ჰგავდა, რომ კარინი ზეციური, თვალწარმტაცი სამოთხის ბაღიდან გამოსულიყო, სადაც მთელი ზამთარი ცხოვრობდა და კვლავ მის მიერ მიტოვებულ ღატაკ და გაუბედურებულ, ცოდვილ სამყაროში დაბრუნებულიყო.

ინგმარი მისკენ შემობრუნდა. სახე გაყვითლებოდა, კანი საფეთქლებზე გადაკვროდა, ცხვირი კი მიცვალებულის ცხვირს უგავდა, მაგრამ დიდი ქვედა ტუჩი უფრო წინ გამოეწია, ხოლო პირის გარშემო უხეში ნაკეცი გამოკვეთოდა. ეტყობოდა, თავის მოთხოვნაზე უარის თქმას არ აპირებდა.

– არა მგონია, მე და ჰელგუმმა ამ სოფელში ერთად ცხოვრება შევძლოთ. – თქვა მან. – თუმცა ვხედავ, მისთვის გზის დათმობა მომიწევს.

– არა, – სწრაფად მიუგო კარინმა. – ოღონდ ნება მომეცი, გადაგარჩინო და გპირდები, ყველაფერს ვიზამ, რომ ჰელგუმი აქედან გაემგზავროს.

„უფალი სხვა მხსნელსაც გამოგვიგზავნის,“ გაიფიქრა კარინმა, „სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, ინგმარს უნდა დავემორჩილო.“

ინგმარს ჭრილობა გადაუხვიეს და მოუარეს. იარა საშიში არ იყო, ბიჭი რამდენიმე დღეს გაუნძრევლად უნდა წოლილიყო. ზედა სართულზე, საწოლში იწვა და კარინი გვერდიდან არ სცილდებოდა.

ინგმარი მთელი დღე ბოდავდა. ყველაფერს ახსენებდა, რაც იმ დღეს შეემთხვა და კარინი მალე მიხვდა, რომ მისი ძმის წუხილის მიზეზი მხოლოდ ჰელგუმი და სამხერხაო როდი იყო.

საღამოს, როცა ინგმარი გონს მოვიდა და დამშვიდდა, კარინმა უთხრა:

– აქ ერთ ვინმეს შენთან ლაპარაკი უნდა.

ინგმარმა უპასუხა, ძალიან დავიქანცე და ვერავის დაველაპარაკებიო.

– დარწმუნებული ვარ, ამის მერე უკეთ გახდები. – უთხრა დამ.

მალე ოთახში გერტრუდი შემოვიდა. გოგონა აღელვებული იყო. ინგმარს უწინდელი, ხალისიანი და თავნება გერტრუდიც მოსწონდა, თუმცა მაშინ მის შეყვარებაში მუდამ რაღაც უშლიდა ხელს. ახლა კი განშორების და შფოთვის მძიმე წელიწადს გოგოზე ისეთი კვალი დაეტოვებინა, რომ ინგმარს მისი დაპყრობის დაუძლეველი სურვილი დაეუფლა.

როდესაც გერტრუდი ინგმარის საწოლს მიუახლოვდა, ბიჭმა თვალებზე ხელი აიფარა.

– ჩემი დანახვა არ გინდა? – უთხრა გოგონამ.

ინგმარმა თავი გააქნია. ჭირვეული ბავშვივით იქცეოდა.

– მხოლოდ ორიოდე სიტყვის თქმა მინდა. – თქვა გერტრუდმა.

– განა იმის სათქმელად არ მოხვედი, რომ ჰელგუმელი გახდი?

გერტრუდი საწოლთან მუხლებზე დაეშვა და ინგმარს თვალებიდან ხელი მოაშორა.

– არის რაღაც, არ იცი, ინგმარ.

ბიჭმა კითხვის თვალით შეხედა და არაფერი უთქვამს. გერტრუდი გაწითლდა და შეყოყმანდა, მერე კი თქვა:

– შარშან, ჩვენგან რომ წახვედი, სწორედ მაშინ მივხვდი, რომ მიყვარდი.

ინგმარი საშინლად გაწითლდა, წამით სიხარულის ღიმილი გადაეფინა სახეზე, თუმცა მყისვე ისევ დასერიოზულდა და გერტრუდს უნდობლად შეხედა.

– ისე მენატრებოდი, ინგმარ.

ბიჭს ეჭვიანად გაეღიმა, მაგრამ რაკი გერტრუდმა მის მიმართ სიკეთე გამოიჩინა, მადლობის ნიშნად ხელზე ხელი მოუთათუნა,

– შენ კი ერთხელაც არ მინახულე, თითქოს შენთვის აღარ ვარსებობდი, – დაიჩივლა გოგონამ.

– შენი ნახვა არ მინდოდა, ვიდრე არ გავმდიდრებოდი და ხელს არ გთხოვდი, – ისე თქვა ინგმარმა,

თითქოს ეს თავისთავად ცხადი იყო.

– მე კი მეგონა, დამივიწყე. – გერტრუდს თვალზე ცრემლი მოადგა. – ვერასოდეს მიხვდები, ამ ერთ წელიწადში რა გამოვიარე. ჰელგუმი ძალზე კარგად მექცეოდა და მანუგეშებდა. მითხრა, მხოლოდ მაშინ დამშვიდდები, თუ შენს გულს მთლიანად უფალს მიუძღვნიო.

ინგმარი გერტრუდს უკვე სხვაგვარად მომლოდინე მზერა მიაპყრო.

– შემეშინდა, როდესაც ჩემთან მოხვედი. იმის შემეშინდა, რომ წინააღმდეგობას ვერ გაგიწევდი და ბრძოლა თავიდან უნდა დამეწყო.

ინგმარს სახე გაუბრწყინდა, თუმცა ისევ დუმდა.

– მაგრამ ამ საღამოს შევიტყვე, რომ იმას დაეხმარე, ვინც გძულდა და გადაწყვეტილებაც მაშინ მივიღე. – გერტრუდი გაწითლდა. – ვიგრძენი, რომ ისეთს ვეღარაფერს ვიზამდი, რაც შენთან დამაშორებდა.

გერტრუდი ინგმარისკენ გადაიხარა და ხელზე აკოცა.

ინგმარს მოეჩვენა, რომ ზარებმა ჩამორეკეს და დიდი დღესასწაულის დადგომა ამცნეს. მთელ მის არსებაში სიხარული და სიმშვიდე გამეფებულიყო. ენაზე სიყვარულის თაფლივით ტკბილ გემოსაც კი გრძნობდა, რომელიც მთელ სხეულში ეღვრებოდა.

მეორე ნაწილი

8. „უნივერსის“ ჩაძირვა

1880 წლის ზაფხულის ერთ ნისლიან საღამოს, ორიოდე წლით ადრე, სანამ მასწავლებელი მისიის სახლს ააშენებდა და ჰელგუმი ამერიკიდან ჩამოვიდოდა, ატლანტის ოკეანეში ნიუ იორკიდან ჰავრისკენ მიმავალი ფრანგული სამგზავრო ხომალდი „უნივერსი“ მიცურავდა.

დილის ოთხი საათი იქნებოდა. ყველა მგზავრს და ეკიპაჟის უმეტესობას თავიანთ კაიუტებში ეძინა. დიდი გემბანი სრულიად უკაცრიელი იყო.

სწორედ ამ დროს, განთიადისას, ერთი მოხუცი ფრანგი მეზღვაური თავის ჰამაკში მოუსვენრად წრიალებდა და ძილი არ ეკარებოდა. ოკეანე ოდნავ ღელავდა და ხის გემსართავები გაუჩერებლად ჭრიალებდა, თუმცა ეს ის მიზეზი არ ყოფილა, რაც მეზღვაურს დაძინებაში ხელს უშლიდა.

ის და მისი ამხანაგები შუა გემბანის დიდ, თუმცა ძალიან დაბალ გადატიხრულში იწვნენ. იქაურობას ორიოდე მაშხალა ანათებდა და მეზღვაური საწოლების ნაცრისფერ, მჭიდრო რიგებს ხედავდა, რომლებიც მძინარე ადამიანებთან ერთად ნელა ქანაობდნენ. ზოგჯერ წყლის ზედაპირიდან ნესტიანი და ცივი ქარი ისე უბერავდა, რომ ნისლში პატარა, მონაცრისფრო-მომწვანო ტალღებად მბორგავი ოკეანე მეზღვაურის გონებას იპყრობდა.

„ოკეანე არაფერს ჰგავს.“ ფიქრობდა მოხუცი მეზღვაური.

ეს გაიფიქრა თუ არა, უეცრად გარშემო უცნაური სიჩუმე ჩამოწვა. აღარც მანქანების ქშენა ესმოდა, აღარც – სამართავი ჯაჭვების ჟღრიალი, არც ტალღების ტყლაშუნი ან ქარის ზუზუნი.

მეზღვაურს თავში გაუელვა, რომ ხომალდი უეცრად ჩაიძირა და მას ამხანაგებთან ერთად ვერასოდეს ამოიყვანდნენ და ვერც კუბოები ჩააწვენდნენ. სამარადჟამოდ ამ ნაცრისფერ საწოლებში დაკიდებულები დარჩებოდნენ ოკეანის ღრმა ფსკერზე.

ადრე ეშინოდა, სამუდამო განსასვენებელი ოკეანის ტალღებში არ ეპოვა, ახლა კი გრძნობდა, რომ ეს სიამოვნებდა კიდევაც. მოსწონდა ის აზრი, რომ მის სხეულს სასაფლაოს შავი, მძიმე და სულისშემხუთველი მიწა კი არა, მღელვარე და გამჭვირვალე წყალი დაფარავდა.

„ოკეანე არაფერს ჰგავს.“ ისევ გაიფიქრა მან.

მერე კი იმაზე დაფიქრდა, რაც აწუხებდა. თავს ეკითხებოდა, მის სულს რა მოუვიდოდა, თუკი თვითონ ოკეანის ფსკერზე განისვენებდა და უკანასკნელ ზიარებას ვერ მიიღებდა. შიშობდა, ჩემი სული ზეცისკენ გზას ვერასოდეს გაიგნებსო.

უეცრად მოხუცმა გემის ცხვირის მხარეს, სადაც ოთახი ვიწროვდებოდა, სინათლის სუსტი სხივი

შენიშნა. წამოიწია და ჰამაკიდან გადმოიხარა, რომ ენახა, შუქი საიდან მოდიოდა. მალე სანთლებით მომავალი რამდენიმე კაცი შენიშნა და კიდევ უფრო გადმოიხარა, რომ მათთვის თვალი მოეკრა.

საწოლები ისე ახლო-ახლო და ისე დაბლა ეკიდა, თუ ვინმე მათ შორის გავლას ისე დააპირებდა, რომ მძინარეებს არ დაჯახებოდა, ოთახში უნდა გახოხებულიყო. მოხუც მეზღვაურს ძალიან აინტერესებდა, ვის შეიძლებოდა ამ სივიწროვეში გზა გაეკვლია.

მალე დაინახა კიდევაც. ეს ორი პატარა მგალობელი ბიჭუნა იყო, რომელთაც ხელში ცვილის სანთლები ეჭირათ. მეზღვაური მკაფიოდ არჩევდა მათ გრძელ, შავ სტიქარებს და მოკლედ გაკრეჭილ თავებს.

მეზღვაურს მათი დანახვა არ გაკვირვებია. ისღა გაიფიქრა, ბუნებრივია, რომ ასეთმა პატარებმა ანთებული სანთლებით საწოლების ქვეშ გაძრომა შეძლესო.

„ნეტავ უკან მღვდელიც ხომ არ მოჰყვება?“ გაიფიქრა მან, მაშინვე პატარა ზანზალაკის წკრიალი შემოესმა და ბიჭების უკან მომავალიც დაინახა, თუმცა ეს მღვდელი კი არა, დედაბერი იყო, რომელიც ბიჭებზე ბევრად მაღალი არ იქნებოდა.

კაცს მოეჩვენა, რომ დედაბერი იცნო.

– ეს დედაჩემი უნდა იყოს, – თქვა მან. – მასზე ტანდაბალი ჯერ არავინ მინახავს, თან არავის შეუძლია მასავით ჩუმად შემოიპაროს ისე, რომ არავინ გააღვიძოს.

მან შენიშნა, რომ დედას შავი კაბის ზემოდან თეთრი ტილოს, მაქმანებიანი ანაფორა ეცვა, სწორედ ისეთი, როგორებსაც მღვდლები ატარებდნენ. ხელში ოქროს ჯვრით დამშვენებული დიდი კურთხევანი ეჭირა, რომელიც მეზღვაურს მშობლიური სოფლის ეკლესიის საკურთხეველზე ათასჯერ მაინც ენახა.

პატარა მგალობლებმა სანთლები მეზღვაურის ჰამაკთან დადგეს და საცეცხლურების ქნევით მუხლი მოიყარეს. მოხუცს საკმევლის სურნელი ეცა, ზევით ამავალი მოლურჯო კვამლიც დაინახა და საცეცხლურების ჯაჭვების ჩხრიალიც გაიგონა.

ამ დროს დედამისმა ის დიდი კურთხევანი გადაშალა და გარდაცვალების საიდუმლოს შესახებ კითხვას შეუდგა.

მეზღვაურს ოკეანის ფსკერზე წოლა კიდევ უფრო სასიამოვნოდ მოეჩვენა. აქ უკეთესი იყო, ვიდრე სასაფლაოზე. თავის საწოლზე გაიჭიმა და კიდევ დიდხანს ჩაესმოდა დედის ხმა, რომელიც ლათინურ სიტყვებს ბუტბუტებდა. საკმევლის ღრუბელი თავს დასტრიალებდა და საცეცხლურის ჯაჭვების ჩხრიალს უსმენდა.

მერე კი ყველაფერი დამთავრდა. მგალობლებმა სანთლები აიღეს და დედას გაუძღვნენ წინ. რომელმაც წიგნი ხმაურით დახურა და მათ მიჰყვა. მეზღვაურმა დაინახა, როგორ გაუჩინარდნენ სამივენი საწოლების ნაცრისფერი რიგების ქვეშ.

მათი წასვლისთანავე სიჩუმეც დაირღვა. მეზღვაურმა მძინარე ადამიანების სუნთქვა გაიგონა. ხომალდის კოჭები ჭრიალებდა, ქარი ზუზუნებდა და ტალღები ტყლაშუნობდა. მოხუცი მიხვდა, რომ ჯერ ისევ ცოცხალი იყო და ოკეანის ზედაპირზე იმყოფებოდა.

„იესო, წმინდაო მარიამ, ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს, რაც ამაღამ ვნახე?“ ჰკითხა მან თავს.

ათი წუთის შემდეგ გემის შუაგული ძლიერმა დარტყმამ შეაზანზარა. გეგონებოდათ, ხომალდი შუაზე გაიპოო.

„აი, სწორედ ამას ველოდი.“ გაიფიქრა მოხუცმა მეზღვაურმა.

საშინელ აურზაურში, დარტყმას რომ მოჰყვა, როდესაც სხვა მეზღვაურები ნახევრად შიშვლები წამოცვივდნენ საწოლებიდან, მოხუცი აუჩქარებლად გამოეწყო თავის საუკეთესო ტანსაცმელში. ტუჩებზე სიკვდილის ტკბილ გემოს გრძნობდა და ეგონა, უკვე ოკეანის ფსკერზე ვწევარო.

იმ დროს, როდესაც გემი ძლიერმა დარტყმამ შეარყია, გემბანის მყუდრო კუთხეში, სასადილოს გვერდით ერთ-ერთ პატარა იუნგას ეძინა.

იგი განცვიფრებული წამოჯდა საწოლში და შეეცადა, გაერკვია, რა მოხდა. სწორედ მის თავს ზემოთ პატარა, მრგვალი ფანჯარა იყო და ბიჭმა გარეთ გაიხედა. გარდა ნისლისა და რაღაც უფორმო ნაცრისფერისა, რომელიც თითქოს ნისლიდან ამოზრდილიყო, ვერაფერი დაინახა. მოეჩვენა, დიდ, ნაცრისფერ ფრთებს ვხედავო. როგორც ჩანდა, გემზე რაღაც უზარმაზარი, ნაცრისფერი ჩიტი დამჯდარიყო, ხომალდს ბრჭყალებით, ნისკარტით და ფრთებით

ჩაბღაუჭებოდა, გემი კი მისი თავდასხმისგან ტორტმანებდა და აქეთ-იქით აწყდებოდა.

პატარა იუნგას ეგონა, შიშისაგან მოვკვდებიო, თუმცა მალე გამოფხიზლდა და მაშინღა შენიშნა, რომ გემს დიდი აფრიანი ნავი დაჯახებოდა. ბიჭმა დიდი აფრა და უცხო გემბანიც დაინახა, სადაც მუშამბის გრძელლაბადიანი ადამიანები გადარეულებივით დარბოდნენ. ქარი უბერავდა და აფრების უთვალავი კვანძები მაგრად იყო დაჭიმული. აფრები გადახრილი იყო, რეი და ტროსები კი ისე ტკაცუნობდა, თითქოს თოფს ისვრიანო.

ეს დიდი სამაფრიანი ნავი სქელ ნისლში „უნივერსს“ შეეჯახა, ბუშპრიტით გემის ფერდში გაიჭედა და თავის დაღწევა ვეღარ შეძლო. სამგზავრო ხომალდი ძლიერად გადაიხარა, მაგრამ მისი პროპელერი არ გაჩერებულა, ამიტომაც გზა გააგრძელა და ნავიც თან გაიყოლა.

– ღმერთო ჩემო! – დაიყვირა იუნგამ და გემბანზე აიჭრა. – ეს უბედური შეგვეჯახა და ახლა დაიღუპება!

ბიჭს აზრადაც არ მოსვლია, თუ მათ დიდ ხომალდს რაიმე საშიშროება დაემუქრებოდა.

ხომალდის ოფიცრები სასწრაფოდ ადგილზე გაჩნდნენ, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ მათ გემს მხოლოდ აფრიანი ნავი შეჯახებოდა, მყისვე დამშვიდდნენ და არხეინად გასცეს საჭირო განკარგულება, რათა გემები ერთმანეთისთვის დაეცილებინათ.

პატარა იუნგა ფეხშიშველი იდგა გემბანზე, პერანგი ქარში უფრიალებდა და აფრიანი ნავის მგზავრებს ხელის ქნევით ანიშნებდა, მათ გემზე გადმოსულიყვნენ და თავი გადაერჩინათ.

თავიდან ბიჭს ვერავინ ამჩნევდა, მაგრამ მალე მან დაინახა, როგორ უქნევდა ხელს ზორბა, წითელწვერიანი კაცი.

– აქ მოდი, ბიჭუნა! – დაიყვირა მან და ბორტთან მიირბინა. – თქვენი გემი იძირება!

ბიჭს ნავზე გადასვლა არც უფიქრია და მთელი ხმით ყვიროდა, თავს უშველეთ და „უნივერსზე“ ამოდითო.

ამასობაში აფრიანი ნავის სხვა მგზავრები ჭოკებით და ბარჯებით ცდილობდნენ ნავის გათავისუფლებას, მაგრამ ეტყობა, იმ წითელწვერიანს იუნგა შეებრალა, ხელები რუპორივით მიიტანა პირთან და დაუყვირა:

– აქეთ, აქეთ გადმოდი!

თხელ პერანგში ჩაცმული ბიჭი საწყლად მობუზული იდგა გემბანზე. მან შიშველი ფეხები დააბაკუნა და მუშტით დაემუქრა ნავის მგზავრებს, რომლებიც მას ყურს არ უგდებდნენ და ხომალდზე გადმოსვლას არ აპირებდნენ. როგორ შეიძლებოდა, იმხელა გემი, როგორიც „უნივერსი“ იყო, ექვსასი მგზავრით და ეკიპაჟის ორასი წევრით, დაღუპულიყო? განა ვერ ხედავდა, რომ კაპიტანიც და მეზღვაურებიც მასავით მშვიდად იყვნენ?

უეცრად წითელწვერიანმა ბარჯს დასტაცა ხელი, ბიჭს გაუწოდა, პერანგში ჩაეჭიდა და შეეცადა, ნავში გადაეთრია. იუნგა უკვე თითქმის ნავის ბორტზე იყო, მაგრამ კაცს ხელიდან დაუსხლტა. სულაც არ უნდოდა უცხო ნავზე მოხვედრა, რომელიც სადაცაა ჩაიძირებოდა.

მალე ისევ გაისმა საშინელი გრუხუნი. ეს ნავის ბუშპრიტი იყო, რომელიც ხომალდიდან ამოვარდა და ორივე გემი ერთმანეთს დასცილდა. როდესაც ხომალდი წინ გაიჭრა, ბიჭმა ნავის ცხვირზე დაკიდებული, ტლანქი, დამტვრეული ბუშპრიტი დაინახა და ძირს დაშვებულ აფრებსაც მოჰკრა თვალი.

ხომალდი მთელი სისწრაფით მიიწევდა წინ და მალე უცხო ნავი ნისლში ჩაიძირა. უკანასკნელი, რაც იუნგამ დაინახა, აფრებთან მოფუსფუსე ეკიპაჟი იყო, მერე კი ისე გაუჩინარდა, თითქოს კედლის უკან მიიმალაო. „უკვე ჩაიძირა,“ გაიფიქრა ბიჭმა და მიაყურადა, მშველელს ხომ არ უხმობენო.

ამ დროს ხომალდს უხეშმა, მჭექარე ხმამ გადაუარა:

– მგზავრები გადაარჩინეთ! ნავები მოამზადეთ!

მერე სიჩუმე ჩამოვარდა. ბიჭი ისევ სმენად იქცა და ძალიან შორიდან ხმა მოესმა:

– უფალს შეევედრეთ! დაღუპულები ხართ!

სწორედ მაშინ კაპიტანს მოხუცი მეზღვაური მიუახლოვდა და ჩუმად, მაგრამ მკაფიოდ უთხრა:

– გემის შუაგულში დიდი ხვრელია. ფსკერისკენ მივდივართ.

თითქმის იმ წუთს, როდესაც ხომალდის ბორტზე მყოფებმა საფრთხე გაისიგრძეგანეს, გემბანზე ტანმორჩილი ქალი გამოჩნდა.

იგი პირველი კლასის კაიუტების კიბეს მტკიცე ნაბიჯით ამოუყვა. ტანთ რიგიანად ეცვა, ნიკაპის ქვეშ ქუდის ლენტებიც კი მოხდენილად გაენასკვა. ტანდაბალი, ხანშიშესული ქალი იყო, ხვეული, ჭაღარა თმა, ბუსავით მრგვალი თვალები და წითელი, დანაოჭებული სახე ჰქონდა.

იმ მოკლე დროში, სანამ მოგზაურობა გრძელდებოდა, ქალმა გემზე ყველას გაცნობა მოასწრო. ყველამ იცოდა, რომ მას მის ჰოგსი ერქვა და თითოეული მეზღვაურისა და მგზავრისთვის ნათქვამი ჰქონდა, არასოდეს არაფრის მეშინიაო. ამბობდა, არ ვიცი, რატომ უნდა მეშინოდეს, ერთხელაც ხომ მოვკვდები და არ მანაღვლებს, ეს ადრე მოხდება თუ გვიანო.

ქალს შიში არც ახლა ეტყობოდა და გემბანზე მხოლოდ იმიტომ ამოქანდა, რომ ენახა, რამე საინტერესო ან ამაღელვებელი ხდებოდა თუ არა.

პირველები, ვის მზერასაც ქალი გადააწყდა, ორი მეზღვაური იყო, რომლებმაც გვერდით შეშლილი და თავზარდაცემული სახეებით ჩაუქროლეს. შილიფად ჩაცმული მოსამსახურეები მგზავრების გემბანზე მოსახმობად კაიუტებში ჩარბოდნენ. მოხუცმა მეზღვაურმა მაშველი სარტყლების მთელი გროვა მოიტანა და იქვე დაყარა. პატარა იუნგა პერანგისამარა მიმჯდარიყო კუთხეში, ტიროდა და გაიძახოდა, მოვკვდებიო.

ქალმა ხიდურაზე კაპიტანს მოჰკრა თვალი და მისი განკარგულებებიც გაიგონა:

– გააჩერეთ მანქანა! მოამზადეთ ნავები!

სამანქანო განყოფილების გამჭვარტლულ კიბეებზე ცეცხლფარეშები და მექანიკოსები ამოცვივდნენ ყვირილით, წყალი სადაცაა ღუმლებში შევარდებაო.

მის ჰოგსი გემბანზე სულ ახლად ამოსული იყო, როდესაც იქაურობა ხალხით გაივსო. ეს მესამე და მეოთხე კლასის მგზავრები იყვნენ, რომლებიც ჯგროდ მოიწევდნენ წინ და ყვიროდნენ, ნავები უნდა ჩავიგდოთ ხელში, თორემ მხოლოდ პირველი და მეორე კლასის მგზავრებს გადაარჩენენო.

როდესაც არეულობამ იმატა და მის ჰოგსი მიხვდა, რომ მართლაც საფრთხე ემუქრებოდათ, სასეირნო გემბანზე აიძურწა, სასადილოს ზემოთ, სადაც მოაჯირთან ორი ნავი იდგა.

აქ კაციშვილი არ ჭაჭანებდა და მის ჰოგსი შეუმჩნევლად აძვრა ერთ-ერთ ნავში, რომელიც ზედ თავბრუდამხვევი უფსკრულის თავზე, ბლოკებსა და ბაგირებზე ეკიდა. იქ მოხვედრისთანავე ქალმა სიბრძნისა და გამბედაობისათვის თავს მიულოცა. ასეა, როცა გონებაში სიცხადე და სიმშვიდე სუფევს. როდესაც ნავს წყალში ჩაუშვებდნენ, იქ ადგილის პოვნა გაჭირდებოდა. ყველანი ნავს მიაწყდებოდნენ და წყალშიც და ტრაპზეც საშინელი ქაოსი შეიქნებოდა. მის ჰოგსი ისევ და ისევ ულოცავდა თავს, რომ მოიფიქრა და ნავში წინასწარ ჩაჯდა.

მის ჰოგსის ნავი კიჩოზე ეკიდა, მაგრამ თუ კიდეზე გადაიხრებოდა, ტრაპს ხედავდა.

მან შენიშნა, რომ ერთი ნავი მოამზადეს და ხალხმა მასში ჩაჯდომა დაიწყო, მაგრამ უცებ საშინელი წივილ-კივილი ატყდა. ვიღაცას ფეხი დაუცდა და წყალში გადავარდა. ამან, ეტყობა, სხვები დააფრთხო, რადგან ხომალდზე ხმამაღალი შეძახილები გაისმა, გონდაკარგული მგზავრები წყლისკენ გაიჭრნენ და ტრაპზე ბრძოლა გაჩაღდა. რამდენიმე კაცი ამ ჭყლეტაში კიბიდან ზღვაში გადავარდა, სხვებმა კი, როცა მიხვდნენ, რომ კიბეზე ვეღარ ჩავიდოდნენ, თავით გადაეშვნენ წყალში, რათა ნავამდე ცურვით მიეღწიათ. ამ დროს ნავიც დაიძრა. მასში უკვე უამრავი ხალხი იჯდა და იქ მსხდომებმა დანები მოიმარჯვეს, რომ თითები დაეჭრათ მათთვის, ვინც ნავში ამოძრომას დააპირებდა.

მის ჰოგსი უყურებდა, ნავებს ერთიმეორის მიყოლებით როგორ უშვებდნენ ძირს. ისიც კარგად დაინახა, როგორ გადაბრუნდა რამდენიმე ნავი მგზავრების სიმძიმისგან, რომლებიც მასში ხტებოდნენ.

მის ჰოგსის ნავის გვერდით დაკიდებული ნავები წყალში ჩაუშვეს, თუმცა რატომღაც იმ ნავისთვის, სადაც ქალი იჯდა, ხელიც არავის უხლია.

„მადლობა ღმერთს, ჩემი ნავი ჯერ არავის გახსენებია, მერე კი ეს საშინელებაც გადაივლის!“ გაიფიქრა მან.

მის ჰოგსი ისეთ შემზარავ ამბებს ხედავდა და ისმენდა, ეგონა, ჯოჯოხეთის თავზე ეკიდა.

გემბანი აქედან არ ჩანდა, თუმცა ხმაურის მიხედვით დაასკვნა, რომ იქ ბრძოლა იყო გაჩაღებული.

რევოლვერის რამდენიმე სუსტი ბათქი გაიგონა და თვალი გემბანიდან ამავალ მსუბუქ, ცისფერ კვამლის ბოლქვებსაც შეასწრო.

და აი, დადგა წუთი, როდესაც გარშემო სიჩუმე ჩამოწვა. „ახლა კი სწორედ დროა, ჩემი ნავიც ჩაუშვან.“ გაიფიქრა მის ჰოგსმა.

ქალი უშიშრად და არხეინად იჯდა ნავში და გემი რომ გვერდზე გადაიხარა, მაშინღა მიხვდა, რომ „უნივერსი“ იძირებოდა და მისი ნავი ყველას დაავიწყდა.

გემზე ერთი ახალგაზრდა ამერიკელი ქალი, ვინმე მისის გორდონი იმყოფებოდა. იგი ევროპაში მიემგზავრებოდა მშობლების სანახავად, რომლებიც რამდენიმე წელი იყო, პარიზში ცხოვრობდნენ. ქალს თან შვილები ახლდა – ორი პატარა ბიჭი. როდესაც უბედურება დატრიალდა, ბავშვებს მასთან ერთად კაიუტაში ეძინათ.

ქალს მაშინვე გაეღვიძა, ბავშვებს რაც ხელში მოხვდა, გადააცვა და კაიუტებს შორის ვიწრო გასასვლელში გამოვიდა.

გასასვლელი ხალხით იყო სავსე, რომლებიც გემბანზე მიიჩქაროდნენ, თუმცა ეს არც ისე ძნელი აღმოჩნდა, როგორც კიბეზე გაღწევა. იქ საშინელი ჭყლეტა იყო, რადგან კიბეზე ასვლას ას კაცზე მეტი ერთდროულად ლამობდა.

ახალგაზრდა ამერიკელს ბავშვებისთვის ხელები ჩაეჭიდა, ჩაფიქრებული აჰყურებდა კიბეს და ცდილობდა, მოესაზრებინა, პატარებთან ერთად როგორ ასულიყო გემბანზე. ხედავდა, რომ მგზავრები ერთმანეთს აწვებოდნენ და მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ, ყველა მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდა და მას ვერც კი ამჩნევდნენ.

მისის გორდონი იძულებული იყო, დახმარება სხვებისთვის ეთხოვა. იმედი ჰქონდა, ვინმე ისეთს შეხვდებოდა, ვინც ერთ-ერთი ბიჭუნას ხელში აყვანას დათანხმდებოდა და მას კიბეზე აიყვანდა, თავად კი ამასობაში მეორეს მიხედავდა. თუმცა ქალი გამოლაპარაკებას ვერავისთან ბედავდა. ჰაიჰარად ჩაცმული კაცები თავქუდმოგლეჯილები გამორბოდნენ, ზოგს ტანზე საბანი შემოეხვია, ზოგს კი პიჟამაზე პალტო შემოეცვა. რამდენიმე მათგანს ხელჯოხი ეჭირა და, როცა მისის გორდონი მათ გაქვავებულ მზერას წააწყდა, მიხვდა, რომ ეს ადამიანები სახიფათონი იყვნენ.

ქალების არ ეშინოდა, თუმცა ისეთს ვერავის ხედავდა, ვისაც შვილს მიანდობდა. ჭკუა არც ერთს არ მოეკითხებოდა. ისეთი გონდაკარგულები იყვნენ, ვერც კი გააგებინებდა, მათგან რას მოითხოვდნენ.

მისის გორდონი ხალხს აკვირდებოდა და ფიქრობდა, ნეტავ ერთი კაცი მაინც მაპოვნინა, ვისაც საღი აზრი შერჩენიაო, მაგრამ როცა შენიშნა, როგორ ცდილობდა მის გვერდით ჩავლილი ზოგიერთი მგზავრი ნიუ იორკში გაცილებისას მიღებული ყვავილების გადარჩენას ან სხვები როგორ ყვიროდნენ და ხელებს იმტვრევდნენ, ვერ გაბედა, რომელიმესთვის შველა ეთხოვა.

ბოლოს მისის გორდონმა ერთი ახალგაზრდა კაცის შეჩერება სცადა, რომელიც მის მაგიდასთან იჯდა და ქალის მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდა ხოლმე.

– ო, მისტერ მარტენს...

კაცმა ისეთივე გაშეშებული, ბოროტი მზერა შეაგება, როგორიც სხვებს ჰქონდათ, ხელჯოხი ოდნავ ასწია და, ქალს რომ კიდევ შეეყოვნებინა, დაარტყამდა კიდეც.

მალე მისის გორდონს ზუზუნი შემოესმა, უფრო სწორად, ეს ზუზუნი კი არა, ისეთი მრისხანე სისინი იყო, ვიწრო მოსახვევში შევარდნილი ძლიერი ქარი რომ გამოსცემს. ხმა კიბეზე შეჯგუფული ხალხისგან მოდიოდა, რომელსაც ხელი შეუშალეს.

კიბეზე საპყარი აჰყავდათ, რომელსაც სიარული არ შეეძლო. ისეთი უმწეო იყო, რომ მსახურს მაგიდასთან ზურგზე მოკიდებული მიჰყავდა ხოლმე. ახლა ამ ზორბა და მძიმე კაცს მსახური გაჭირვებით მიათრევდა. კიბის შუამდე რომ მივიდა, წამით სულის მოსათქმელად შეჩერდა, მაგრამ ხალხი ისე მიაწვა, რომ მუხლებზე დაეცა და თავის ბატონთან ერთად კიბე ისე გადაკეტა, რომ ასვლას ვეღარავინ შეძლებდა.

მისის გორდონმა დაინახა, რომ ვიღაც ტანმაღალი, ტლანქი შესახედაობის კაცი ძირს დაიხარა, საპყარს ხელი დაავლო, ასწია და კიბის მოაჯირს იქით გადაისროლა, ისიც დაინახა, რომ ამ საზარელ ამბავს არავინ შეუშფოთებია. ყველანი მხოლოდ ზევით აღწევაზე ფიქრობდნენ. თითქოს გზაზე დაგდებული ქვა თხრილში მოისროლეს და მეტი არაფერი.

ახალგაზრდა ამერიკელი მიხვდა, რომ ამ ადამიანებისგან ხსნას ამაოდ ელოდა. ის და მისი პატარები განწირულები იყვნენ.

ხომალდით ახალგაზრდა წყვილი მგზავრობდა – ცოლი და ქმარი, რომლებსაც თაფლობის თვე ჰქონდათ. მათი კაიუტა კიჩოს ბოლოში იყო და შეჯახებისას ისე ტკბილად ეძინათ, არაფერი გაუგონიათ. განგაშის სიგნალი აქამდე ვერ აღწევდა და, რაკი მათი გაღვიძებაც არავის გახსენებია, როცა სხვები უკვე გემბანზე იყვნენ და ნავებისთვის იბრძოდნენ, წყვილს ჯერ ისევ ეძინა.

ცოლ-ქმარს მხოლოდ მაშინ გამოეღვიძა, როდესაც პროპელერმა, რომელიც სწორედ მათ ქვემოთ იყო და მთელი ღამე გრუხუნებდა, უეცრად ტრიალი შეწყვიტა. ქმარმა ტანსაცმელი შემოიცვა და კაიუტიდან გავიდა, რომ ენახა, რა მოხდა. ცოტა ხანში იგი დაბრუნდა და, ვიდრე რამეს იტყოდა, კაიუტის კარი კარგად დაკეტა, მერე კი თქვა:

– გემი იძირება.

კაცი დაჯდა და, როდესაც ცოლმა გარეთ გავარდნა დააპირა, სთხოვა, ჩემთან დარჩიო.

– ყველა ნავი უკვე გავიდა, – თქვა მან. – ხალხის უმეტესობა დაიხრჩო, ისინი კი, რომლებიც ჯერ ისევ ბორტზე არიან, დაფებისა და სამაშველო სარტყლებისათვის ზემოთ, გემბანზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვიან.

კიბეზე კაცი იძულებული გახდა, ბრბოს მიერ გადაქელილი მომაკვდავი ქალისთვის გადაებიჯებინა; ყველა კუთხიდან განწირულთა გოდება ისმოდა.

– ხსნა არსაიდან ჩანს, – თქვა მან. – არ გახვიდე! მოდი, ერთად მოვკვდეთ!

ცოლმა გაიფიქრა, მართალს ამბობსო და მორჩილად ჩამოჯდა მის გვერდით.

– ნუთუ იმ ადამიანების ნახვა გინდა, რომლებიც იბრძვიან? – თქვა კაცმა. – მაინც მოვკვდებით და სჯობს, მშვიდად მოვკვდეთ.

ქალი ხვდებოდა, რომ ერთადერთი სწორი საქციელი დარჩენილი წუთების ქმრის გვერდით გატარება იყო. ის ხომ სწორედ ამას აპირებდა – მთელი სიცოცხლე, ახალგაზრდობიდან ღრმა სიბერემდე, მისთვის მიეძღვნა.

– მეგონა, ჩვენი ქორწინებიდან მრავალი წლის შემდეგ შენ ჩემს სასიკვდილო სარეცელთან იჯდებოდი, მე კი ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრებისათვის მადლობას გეტყოდი. – თქვა კაცმა.

ამ დროს ქალმა კაიუტის დაკეტილი კარის ქვემოდან შემოჟონილი წყლის წვრილ ნაკადს მოჰკრა თვალი, გამბედაობამ უმტყუნა, სასოწარკვეთილმა ხელები მაღლა აღაპყრო და შესძახა:

– არ შემიძლია! გამიშვი აქედან! არ შემიძლია აქ ჩაკეტილი ვიჯდე და სიკვდილს ველოდო. მიყვარხარ, მაგრამ არ შემიძლია!

ქალი გარეთ სწორედ მაშინ გავარდა, როდესაც ხომალდი აქანავდა და ჩაძირვა დაიწყო.

ახალგაზრდა მისის გორდონი წყალში იწვა. გემი უკვე ჩაიძირა. მისი შვილები დაიხრჩვნენ, თავად კი ოკეანის სიღრმეში იყო.

ქალმა წყლის ზედაპირზე ამოყვინთა, თუმცა იცოდა, რომ მალე ისევ ჩაიძირებოდა და სიკვდილიც მოვიდოდა.

ქმარზე, შვილებზე და, საერთოდ, არაფერზე აღარ ფიქრობდა. მხოლოდ ის სურდა, მისი სული უფალს მიახლოვებოდა.

და აი, სული გათავისუფლებული ტუსაღივით აიჭრა ზევით. ქალი გრძნობდა, როგორ ხარობდა მისი სული ადამიანური ცხოვრების მძიმე ბორკილების მოშორებას და აღფრთოვანებით ემზადებოდა ჭეშმარიტ სახლში ასამაღლებლად.

„ნუთუ სიკვდილი ასეთი იოლია?!“ გაიფიქრა მან.

ამის გაფიქრებისთანავე მისის გორდონს მოეჩვენა, რომ არეულ-დარეული ხმები მის გარშემო: ტალღების ტყლაშუნი, ქარის ზუზუნი, დახრჩობის პირას მყოფი ადამიანების მოთქმა-გოდება, წყალში მოცურავე საგნების ერთმანეთზე დაჯახების ხმა ერთ, მისთვის გასაგებ ბგერად გარდაიქმნა, როგორც ზოგჯერ უფორმო ღრუბლები ლაგდება ხოლმე და გამოსახულებას ქმნის და მან პასუხი გაიგონა:

„მართალია, სიკვდილი იოლია. სიცოცხლეა ძნელი.“

„ჰო, ასეა.“ გაიფიქრა ქალმა და იმის გაგება მოუნდა, რა იყო საჭირო იმისათვის, რომ სიცოცხლეც სიკვდილივით გაიოლებოდა.

მის გარშემო ხომალდის ჩაძირვისას გადარჩენილები წყალში მოტივტივე ნაფოტებისა და გადაბრუნებული ნავებისათვის იბრძოდნენ, თუმცა გიჟურ ყვირილსა და ლანძღვა-გინებაში მისის გორდონმა ისევ გაიგონა, განგაშის ხმები როგორ გადაიქცა მოგუგუნე სიტყვებად და მას უპასუხა:

„იმისათვის, რომ სიცოცხლე ისეთივე იოლი გახდეს, როგორიც სიკვდილია, საჭიროა ერთიანობა, ერთიანობა, ერთიანობა.“

ქალს მოეჩვენა, რომ სამყაროს მეუფემ ხმაური და განგაში თავის მაცნედ აქცია და მას უპასუხა.

იმ დროს, როცა სიტყვები ჯერ კიდევ ყურებში ედგა, მისის გორდონი გადაარჩინეს – პატარა ნავზე აიყვანეს, სადაც უკვე სამი ადამიანი იჯდა: სადღესასწაულოდ გამოწყობილი ზორბა მეზღვაური, ბუსავით მრგვალთვალებიანი მოხუცი ქალი და გასაცოდავებული, ნამტირალევი ბიჭუნა, რომელსაც ტანთ მხოლოდ დაგლეჯილი პერანგი ეცვა.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, ნიუფაუნდლენდის დიდი მეჩეჩებისა და სათევზაო ადგილებისაკენ მიმავალი ნორვეგიული გემი გამოჩნდა.

წყნარი, მშვენიერი ამინდი იდგა. ოკეანის ზედაპირი სარკესავით უძრავი იყო და გემი ნელა მოძრაობდა. ყველა აფრა აშვებული იყო და სიოს უკანასკნელ ამოსუნთქვას იჭერდა.

ოკეანის ზედაპირი წარმტაცი ჩანდა. გარშემო გამჭვირვალე და ცისფერი წყალი გადაჭიმულიყო, ხოლო იქ, სადაც სუსტი ნიავი დაუბერავდა, ვერცხლისფრად ბზინავდა.

ნაშუადღევის სიმშვიდე ცოტა ხანს გაგრძელდა, მერე კი გემის ეკიპაჟმა წყალზე მოცურავე რაღაც მუქი საგანი შენიშნა. საგანი სულ უფრო უახლოვდებოდა გემს და მალე დაინახეს, რომ ეს გვამი იყო. გემმა მიცვალებულს გვერდით ჩაუარა; ტანსაცმელზე ეტყობოდა, რომ მეზღვაური იყო. ზურგზე იწვა და მშვიდი სახე ჰქონდა; თვალები გახელილი დარჩენოდა. წყალში იმდენ ხანს ყოფნა ვერ მოესწრო, რომ დასიებულიყო. ისეთი სანახაობა იყო, თითქოს გვამი პატარა, ხუჭუჭა ტალღებს სიამოვნებით მინდობოდა.

როგორც კი მეზღვაურებმა მიცვალებულს თვალი მოაცილეს, კინაღამ წამოიყვირეს, რადგან ზედ გემის ცხვირთან მეორე გვამი ამოცურდა. გემმა ლამის ზედ გადაუარა მიცვალებულს, მაგრამ უკანასკნელ წამს დინებამ განზე წაიღო. ყველანი მოაჯირთან მოგროვდნენ და წყალს მიაჩერდნენ. ამჯერად გარდაცვლილი ბავშვი იყო – ლამაზად ჩაცმული პატარა გოგონა, რომელსაც ქუდი ეხურა და ლურჯი პალტო ეცვა.

– ოჰ, შე საბრალო! – ამოიოხრეს მეზღვაურებმა და ცრემლი მოადგათ. – საბრალო, რა პატარაა!

ბავშვმა მათ რწევით ჩაუარა და ხალხს ისეთი სერიოზული სახით ამოხედა, თითქოს რაღაც მნისვნელოვანი მისია აკისრიაო.

მალე ერთ-ერთმა მეზღვაურმა დაიყვირა, კიდევ ერთ მიცვალებულს ვხედავო და მყისვე მეორე გამოეხმაურა, რომელიც სხვა მხარეს იყურებოდა. ჯერ ხუთი გვამი გამოჩნდა, მერე – ათი, ბოლოს კი მათი დათვლა შეუძლებელი შეიქნა.

გემი ნელა მიიკვლევდა გზას მიცვალებულებს შორის, რომლებიც მას ისე შემოხვეოდნენ, თითქოს რაღაცას სთხოვენო.

ზოგჯერ გარდაცვლილები შეჯგუფულები მოცურავდნენ. შორიდან მიწიდან მოგლეჯილ, მოდრეიფე ხეებს ჰგავდნენ, თუმცა ესეც გვამების გროვა იყო.

მეზღვაურები წყალს მისჩერებოდნენ და განძრევასაც ვერ ბედავდნენ. ვერ იჯერებდნენ, რომ ის, რასაც ხედავდნენ, სინამდვილე იყო.

ერთი პირობა ისიც კი ეგონათ, რომ მათ წინ ოკეანეში მცურავი კუნძული იყო. შორიდან მართლაც მიწას ჰგავდა, თუმცა მოახლოებისას გამოჩნდა, რომ ერთმანეთთან ახლო-ახლო მოტივტივე გვამების გროვა იყო.

მიცვალებულები გემს გარს შემოერტყნენ, თითქოს უნდოდათ, ოკეანე მასთან ერთად გადაევლოთ

კაპიტანი საჭეს მივარდა იმ იმედით, იქნებ მიმართულება შევცვალო და ქარმა დაუბეროსო, თუმცა არაფერი გამოუვიდა. აფრები უმოძრაოდ ეკიდა, მიცვალებულები კი ისევ გემს მიჰყვებოდნენ.

მეზღვაურები გაფითრებულები და დადუმებულები იდგნენ. გემი წინ ისე ნელა მიიწევდა, რომ გვამების უკან ჩამოტოვებას ვერ ახერხებდა და ეკიპაჟი შიშობდა, რომ მთელ ღამეს ასე

გაგრძელდებოდა.

ამ დროს ერთი შვედი მეზღვაური გემის ცხვირთან დადგა და „მამაო ჩვენოს“ კითხვა დაიწყო, მერე კი ფსალმუნის სიმღერას შეუდგა.

ფსალმუნის შუამდე იყო მისული, როდესაც მზე ჩავიდა და საღამოს ბრიზმა გემი მკვდრების სამყოფელიდან გაიყვანა.

9. ჰელგუმის წერილი

მოხუცი ქალი ტყის ქოხიდან გამოვიდა. უქმე დღე არ იყო, მაგრამ ქალი მაინც ისე სადღესასწაულოდ გამოწყობილიყო, თითქოს ეკლესიაში მიდისო. კლიტედან გასაღები გამოაძრო და ჩვეულ ადგილას, წინკარის ქვეშ დამალა.

ქალმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მობრუნდა, რომ თავისი პატარა, ნაცრისფერი სახლისთვის შეეხედა, რომელიც უზარმაზარი, დათოვლილი ნაძვის ხეების ქვეშ იდგა.

მოხუცმა ქოხს კიდევ ერთხელ სიყვარულით შეავლო მზერა და თავისთვის ხმამაღლა თქვა:

– აქ ბევრი ბედნიერი დღე გამიტარებია. ჰო, ასეა, ღმერთი გაძლევს და ღმერთი გართმევს.

მერე კი ტყის გზას გაუყვა. ძალზე მოხუცი და კაფანდარა იყო, თუმცა იმათ რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთაც სიბერე ვერაფერს აკლებს.

ქალს ლამაზი სახე და აბრეშუმივით რბილი, თეთრი თმა ჰქონდა. გულკეთილი გამომეტყველება ჰქონდა და გასაკვირი იყო, რომ ძველი წინასწარმეტყველებივით ძლიერი და მჭექარე ხმით ლაპარაკობდა.

წინ გრძელი გზა ედო, რადგან ინგმარის მამულში, ჰელგუმელების შეკრებაზე მიდიოდა. მოხუცი ევა გუნარშდოთერი ჰელგუმის მოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მიმდევარი გახლდათ.

„ეჰ, თავიდან რა კარგად იყო ყველაფერი, როდესაც ჰელგუმს ნახევარი თემი უჭერდა მხარს. ვინ დაიჯერებდა, რომ იმდენი ხალხი დაგვტოვებდა და ხუთი წლის შემდეგ, თუკი ბავშვებს არ ჩავთვლით, ოციოდე ადამიანი თუ შემოვრჩებოდით?“ ფიქრობდა მოხუცი გზაში.

მისი ფიქრები იმ დროს გადასწვდა, როდესაც მან, მარტოხელა და უღრან ტყეში მივიწყებულმა დედაბერმა, უეცრად უამრავი და-ძმა შეიძინა, რომლებმაც მისი მარტოობა დაარღვიეს. მათ არასოდეს ავიწყდებოდათ დიდთოვლობისას მოხუცის ქოხისკენ მიმავალი ბილიკის გაწმენდა და მის პატარა შეშის ფარდულს მშრალი, დაჩეხილი შეშით ისე ავსებდნენ, რომ ქალს თხოვნაც არ სჭირდებოდა. ის დრო აგონდებოდა, როცა კარინ ინგმარშდოთერი, მისი დები და სოფლის სხვა მდიდარი გლეხები მის პატარა, ნაცრისფერ ქოხს სტუმრობდნენ და სიყვარულით უზიარებდნენ ლუკმას.

„ეჰ, რამდენმა თქვა უარი ჭეშმარიტ ნეტარებაზე!“ ფიქრობდა ქალი. „ჰოდა, ახლა ამისთვის დავისჯებით. მომავალ ზაფხულს ყველანი დავიღუპებით, რადგან უფლის მოწოდებას ასე ცოტა ხალხი გამოეხმაურა, ხოლო ისინი, ვინც მოწოდება შეისმინა, განგვიდგნენ.“

დედაბერი ახლა ჰელგუმის წერილების შინაარსს ჩაუღრმავდა. ამ წერილებს ჰელგუმელები ისე უყურებდნენ, როგორც მოციქულის წერილებს და თავიანთ კრებებზე ბიბლიასავით კითხულობდნენ.

– იყო დრო, როცა მისი წერილებიდან სითბო იღვრებოდა, – თქვა ქალმა. – აქებდა ჩვენს მოთმინებას და მოწყალებას იმათ მიმართ, ვინც არ მოექცა ან ზურგი გვაქცია; ასწავლიდა მდიდრებს, ეჩვენებინათ თავიანთი გულმოწყალება როგორც მართალთათვის, ისე არამართალთათვის, მაგრამ ამ ბოლო დროს ღვარძლიანი და ულმობელი გახდა. მხოლოდ სასჯელსა და გამოცდაზე იწერება.

ამასობაში მოხუცი ტყის პირზე გამოვიდა, საიდანაც მის ქვემოთ გადაშლილი სოფელი მოჩანდა.

თებერვლის მშვენიერი დარი იდგა. გარშემო თოვლით დაფარული მინდვრები გადაჭიმულიყო, ხეები ზამთრის ძილს მისცემოდნენ და ნიავიც არ იძვროდა.

ქალი კი მიდიოდა და იმაზე ფიქრობდა, რომ მთელ ამ შემოგარენს, რომელსაც ახლა ზამთრის მშვიდი ძილი დაუფლებოდა, გოგირდის მდუღარე ნაკადები გამოაღვიძებდა და ხედავდა, თოვლით დაფარულ მინდვრებს ცეცხლი როგორ ააგიზგიზებდა.

„სწორედ ეს სიტყვები კი არ უთქვამს, მაგრამ გამუდმებით დიდ განსაცდელზე გვწერს. დიახ, დიახ, განა ვინმეს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ჩვენი თემი სოდომივით დაისჯება და ბაბილონივით დაიქცევა?!“

ევა გუნარშდოთერი უკვე სოფლის გზაზე მიაბიჯებდა და არც ერთი სახლისთვის არ ჩაუვლია ისე, რომ თვალწინ არ დადგომოდა, როგორ გაასწორებდა მალე მათ მიწისძვრა მიწასთან ისე, თითქოს ქვიშით ნაგები ყოფილიყვნენ. გლეხებთან შეხვედრისას კი ეჩვენებოდა, როგორ მისდევდნენ მათ ჯოჯოხეთის მხეცები და ნთქავდნენ.

„აგერ, მასწავლებლის გოგო, გერტრუდი.“ გაიფიქრა მან, როდესაც გზად ლამაზი გოგო შემოეყარა. „თვალები თოვლზე არეკლილი მზის სხივივით უბრწყინავს. ასეთი ბედნიერი იმიტომ არის, რომ შემოდგომაზე ახალგაზრდა ინგმარ ინგმარშონზე უნდა დაქორწინდეს. აი, ხელში ნართის შეკვრა უჭირავს. ეტყობა, თავისი სახლისთვის საწოლის გადასაფარებლისა და სუფრების მოქსოვას აპირებს, მაგრამ ვიდრე ნაქსოვი მზად ექნება, ყველას განადგურება გვემუქრება.“

მოხუცი მოღუშული ათვალიერებდა სოფელს, რომელიც განსაცვიფრებელი სისწრაფით იზრდებოდა და მშვენდებოდა. თუმცა ეს თეთრი და ყვითელი, ყავრით გადახურული და ფართოფანჯრებიანი სახლები ისევე დაინგრეოდა, როგორც მისი ღარიბული ქოხი, სადაც ფანჯრები ხვრელებს უფრო წააგავდა, კედლის მორებში კი ხავსი გამოჩრილიყო.

შუა სოფელში ქალი შეჩერდა და ჯოხი მაგრად დაარტყა მიწას. საშინელმა მრისხანებამ შეიპყრო.

– დიახ, დიახ! – ისე ხმამაღლა იყვირა მან, რომ ხალხი გაჩერდა და მისკენ მიიხედა. – დიახ, ამ სახლებში ისინი ცხოვრობენ, ვინც ქრისტეს სახარება უარყო და მტრის სახარება აღიარა. რატომ არ შეისმინეს მოწოდება? რატომ არ აქციეს ზურგი ცოდვას? აი, ყველანი სწორედ ამიტომ უნდა დავიღუპოთ. უფლის ხელი ულმობელია. უფლის ხელი მართალსაც და მტყუანსაც ერთნაირ სასჯელს მოუვლენს.

მდინარის მეორე ნაპირზე გადასული მოხუცი სხვა ჰელგუმელებს წამოეწია. ესენი იყვნენ ბებერი კაპრალი ფელტი, კულოს გუნარი ცოლთან ერთად და ბრიტა ინგმარშდოთერი. მალე მათ ჰეკ მათს ერიკსონი, მისი ვაჟი გაბრიელი და ნაფიცი მსაჯულის ქალიშვილი გუნჰილდი შეუერთდნენ.

მშვენიერი და სახალისო სანახავი იყო დათოვლილ, თეთრ ბილიკზე მიმავალი, ჭრელ, სადღესასწაულო ტანისამოსში გამოწყობილი ხალხი, თუმცა ევა გუნარშდოთერს თავში მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა – ისინი სასჯელის ადგილზე მიყვანილი ტუსაღები ან სასაკლაოზე გარეკილი პირუტყვები იყვნენ.

ყველა ჰელგუმელს დარდიანი გამომეტყველება ჰქონდა. თავდახრილები მიდიოდნენ, თითქოს მარცხის მწარე ტვირთით იყვნენ დამძიმებულნი. ეგონათ, ნეტარების სამეფო სწრაფად გაბატონდებოდა მთელ დედამიწაზე და იმ დღეს მოესწრებოდნენ, როცა ზეციური ღრუბლებიდან ახალი იერუსალიმი დაეშვებოდა. ახლა კი, როცა ასე ცოტანი იყვნენ და ხვდებოდნენ, რომ მათი იმედები დაიმსხვრა, ეჩვენებოდათ, რომ მათში რაღაც დაიმსხვრა. ნელა და ფეხათრევით მიდიოდნენ, ხშირ-ხშირად ოხრავდნენ და ერთმანეთისთვის სათქმელიც არაფერი ჰქონდათ, რადგან ეს მათთვის ყველაფერს ნიშნავდა. მათი ცხოვრება ამაზე იყო დამოკიდებული და ყველაფერი დაკარგეს.

„ასეთი დამწუხრებულები რატომ არიან?“ გაიფიქრა დედაბერმა. „მათ ხომ არ სჯერათ, რომ ყველანი დავიღუპებით. ჰელგუმის აზრების გაგება არ სურთ. მისი სიტყვები განვუმარტე, თუმცა ჩემი მოსმენა არ უნდათ. ისინი, ვინც ღია ცის ქვეშ, დაბლობზე ცხოვრობენ, ვერასოდეს მიხვდებიან, რას ნიშნავს შიში. არასოდეს მოუვათ თავში ის აზრები, რაც უღრან ტყეში, მარტოდმარტო მცხოვრებ ადამიანს მოსდის.“

მან შენიშნა, რომ ჰელგუმელები დაფრთხნენ, რადგან ჰალვურმა ისინი სადაგ დღეს შეკრიბა. ეშინოდათ, ახალი განდგომილების შესახებ არ შევიტყოთო. ერთმანეთს მოუსვენრად შესცქეროდნენ, ავადმყოფური, ეჭვიანი მზერით ზომავდნენ, თითქოს უნდოდათ ეკითხათ: „კიდევ რამდენ ხანს იქნები ჩვენს გვერდით? და შენ რამდენ ხანს იქნები?“

„იქნებ, სჯობდეს, ჩვენს ერთობას ერთბაშად მოვუღოთ ბოლო?“ ფიქრობდნენ ისინი. „განა უეცარი სიკვდილი ხანგრძლივ ტანჯვაზე უკეთესი არ არის?“

დასანანია, რომ მათი ერთობა, მათი მშვიდობიანი მოძღვრება, მათი ერთიანი, და- ძმური, წარმტაცი ცხოვრება, რომელიც ასე მოსწონდათ, დასაღუპავად იყო განწირული!

სანამ დადარდიანებული ჰელგუმელები გზას მიუყვებოდნენ, ლურჯ ცაზე ზამთრის ნათელი მზე აკაშკაშდა. თოვლიდან სიგრილის ახალი ტალღა წამოვიდა, რამაც მგზავრებს გამბედაობა და მხნეობა შესძინა, თემს შემოჯარული ნაძვნარი ბორცვებიდან კი სიწყნარე და სიმშვიდე

იფრქვეოდა.

როგორც იქნა, ინგმარის კარ-მიდამოსაც მიაღწიეს და ფეხი დათოვლილ პარმაღზე დადგეს.

სასტუმრო ოთახის კედელზე, ზედ ჭერთან, ნახატი ეკიდა, რომელიც ასი წლის წინ სოფლის მხატვარს შეექმნა. მასზე მაღალი გალავნით გარშემორტყმული ქალაქი იყო გამოსახული, გალავნის იქით კი სახლების თავხეები და სახურავის შვერილები მოჩანდა. ზოგი წითელი, მწვანე ტორფის სახურავიანი გლეხის სახლი იყო, ზოგი – თეთრკედლებიანი, ფიქლის სახურავიანი მემამულის სახლი, სხვებს კი ფალუნის ქრისტინეს ეკლესიის მაგვარი მძიმე, სპილენძის კოშკები ამშვენებდა.

ქალაქის გალავანთან მუხლებამდე შარვლებსა და ფეხსაცმელებში გამოწყობილი, ლერწმის ჯოხებზე დაყრდნობილი ბატონები დასეირნობდნენ, ქალაქის კარიბჭიდან კი კარეტა გამოდიოდა, სადაც თმადაპუდრული და ჩალისქუდიანი ქალბატონები ისხდნენ. გალავნის ქვეშ მუქმწვანე, ხშირფოთლიანი ხეები იდგა, მიწაზე მობიბინე ბალახში კი პატარა, ჩუხჩუხა ნაკადულები გარბოდნენ.

ნახატის ქვეშ დიდი, ჩახუჭუჭებული ასოებით წარწერა იყო გამოყვანილი: „ეს არის უფლის წმინდა ქალაქი იერუსალიმი.“

კედელზე დაკიდებულ ამ სურათს იშვიათად თუ ვინმე შეავლებდა თვალს. ინგმარის კარ-მიდამოს სტუმრების უმეტესობამ მისი არსებობის შესახებ არც კი იცოდა. თუმცა დღეს ტილო მოცვის ფოთლების მწვანე გვირგვინით შეემკოთ, ამიტომაც შემოსულებმა ის მალე შენიშნეს. ევა გუნარშდოთერმა ნახატს უმალ თვალი ჰკიდა და გაიფიქრა: „უყურე შენ, ინგმარის მამულშიც შეუტყვიათ, რომ ვიღუპებით. სწორედ ამიტომ უნდათ, თვალი ზეციურ ქალაქს შევავლოთ.“

კარინი და ჰალვური სტუმრებზე უფრო დაღონებულები ჩანდნენ. „აბა, რა იქნება, იციან, რომ აღსასრული ახლოს არის.“ გულში გაივლო მოხუცმა.

ევა გუნარშდოთერმა, როგორც უხუცესმა, ადგილი მაგიდის თავში დაიკავა. მის წინ გახსნილი წერილი იდო, რომელსაც ამერიკული მარკები ეკრა.

– აი, ჩვენი ძვირფასი ძმისგან, ჰელგუმისგან, ახალი წერილი მივიღეთ. – წარმოთქვა ჰალვურმა. – სწორედ ამიტომ შეგკრიბეთ აქ, ძმებო და დებო.

– როგორც ვხვდები, ეს მნიშვნელოვანი შეტყობინებაა, არა, ჰალვურ? – თქვა შეფიქრიანებულმა კულოს გუნარმა.

– ჰო, – მიუგო ჰალვურმა, – ახლა უკვე ვიცით, რისი თქმა სურდა ჰელგუმს თავის უკანასკნელ წერილში, სადაც ამბობდა, რომ დიდი გამოცდა გველოდება.

– არა მგონია, რომელიმე ჩვენგანს უფლის გამო ტანჯვისა ეშინოდეს. – მიუგო გუნარმა.

ჰელგუმელთაგან ზოგიერთები ჯერ არ ჩანდნენ და მოსულებს დიდხანს მოუწიათ ლოდინი. მოხუცი ევა გუნარშდოთერი წერილს შორსმხედველი თვალებით დაჰყურებდა. მისთვის ეს წერილი, რომელსაც ბევრი ბეჭედი ერტყა, გამოცხადების წიგნის მაგვარი იყო. ეგონა, თუ მას ადამიანის ხელი შეეხებოდა, იმ წამსვე ციდან სიკვდილის ანგელოზი დაეშვებოდა.

მან თავი ასწია და იერუსალიმის გამოსახულებას ახედა.

– ჰო, ჰო, – ჩაიბუტბუტა ქალმა, – როგორ მინდა იმ ქალაქში ჩასვლა, რომელსაც ოქროს კარიბჭე და ბროლის კედლები აქვს. – და თავისთვის შეუდგა კითხვას: „ხოლო ქალაქის გალავანს საძირკველში ძვირფასი ქვები ჰქონდა დატანებული. პირველი ქვა იასპი იყო, მეორე – საფირონი, მესამე – ქალკედონი, მეოთხე – ზურმუხტი, მეხუთე ქვა აქატი იყო, მეექვსე – სარდისი, მეშვიდე – ქრიზოლითი, მერვე – ბერილი, მეცხრე – ტოპაზი, მეათე – ქრიზოპრასი, მეთერთმეტე – ჰიაცინტი და მეთორმეტე – ამეთვისტო.“

დედაბერი ისე გაეტაცებინა გამოცხადების წიგნს, რომ ახლადგაღვიძებულივით შეკრთა, როცა მაგიდასთან ჰალვურ ჰალვურშონი მივიდა.

– მოდი, ჯერ ფსალმუნი ვიმღეროთ, – თქვა მან, – ალბათ, 244-ე აჯობებს.

და ჰელგუმელებმა ერთხმად წამოიწყეს:

„ჩემი ძვირფასი იერუსალიმი, ჩემი ლამაზი, ოქროს ქალაქი, ჩემი მდიდარი, თბილი სამშობლო, მუდამ რომ სიხარულს მანიჭებს.“

ევა გუნარშდოთერმა შვებით ამოისუნთქა რადგან მძიმე წუთები ცოტა ხნით გადაიდო.

„ოჰ, შე ბებრუხანავ, შენა, ნუთუ სიკვდილის ასე გეშინია?!“ გაიფიქრა დარცხვენილმა ქალმა.

სიმღერას რომ მორჩნენ, ჰალვურმა წერილი აიღო და გაშალა.

უეცრად ევა გუნარშდოთერს აღმაფრენა დაეუფლა, ადგა და გრძელი ლოცვის კითხვას შეუდგა, რომ უფალს წყალობა მოეღო მათზე და სწორად გაეგოთ ის შეტყობინება, რაც წერილში იყო გაცხადებული. ჰალვური წერილით ხელში მშვიდად იდგა და ლოცვის დამთავრებას ელოდა, მერე კი მოქადაგის ხმით დაიწყო კითხვა:

„ძვირფასო ძმებო და დებო! ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ!

დღემდე ასე მეგონა, რომ მე და თქვენ, ჩემი მოძღვრების მიმდევრები, ჩვენს რწმენაში მარტონი ვიყავით, მაგრამ მადლობა უფალს, აქ, ჩიკაგოში აღმოვაჩინეთ ჩვენი მსგავსები და ძმები, რომლებიც ჩვენნაირად ფიქრობენ და ცხოვრების ჩვენნაირ წესს მისდევენ.

მინდა გაუწყოთ, რომ ქალაქ ჩიკაგოში ოთხმოციანი წლების დასაწყისში ერთი კაცი, ედვარდ გორდონი ცხოვრობდა. ისიც და მისი მეუღლეც ღვთისმოშიში ადამიანები იყვნენ, გულთან ახლოს მიჰქონდათ ყველა უბედურება, რაც კი ამქვეყნად სუფევდა და ღმერთს ევედრებოდნენ, წყალობა მოეღო, რომ გაჭირვებულებს დახმარებოდნენ.

ისე მოხდა, რომ ედვარდ გორდონის მეუღლეს გემით შორს მოუხდა გამგზავრება, გემი ჩაიძირა და ქალი ოკეანის პირისპირ აღმოჩნდა. როდესაც საშინელი საფრთხე დაემუქრა, უფლის ხმა ჩაესმა. უფლის ხმამ ქალს უბრძანა, ადამიანებისთვის ესწავლებინა, რომ მათ ერთიანობაში უნდა ეცხოვრათ.

ქალი გადარჩა, ქმართან დაბრუნდა და უფლის გზავნილი გადასცა. მაშინ ქმარმა უთხრა: „ღმერთს ჩვენთვის დიადი ნიშანი მოუცია, რომ ერთიანობაში უნდა ვიცხოვროთ, ჰოდა, ჩვენც მის ნებას უნდა მივდიოთ. ეს ისეთი დიდი შეტყობინებაა, რომ დედამიწის ზურგზე ერთადერთი ადგილი მეგულება, რომელიც მისი მიღების ღირსია. მოდი, ჩვენი ძველი მეგობრები შევკრიბოთ, მათთან ერთად იერუსალიმში გავემგზავროთ და ხალხს უფლის უკანასკნელი წმინდა მცნება სიონის მთიდან ვამცნოთ!“ მერე კი ედვარდ გორდონი და მისი მეუღლე ოცდაათ მეგობართან ერთად, რომელთაც უფლის უკანასკნელი ნების აღსრულება სურდათ, იერუსალიმისკენ გაემართნენ.

იქ ყველანი ერთ სახლში ცხოვრობდნენ. ყველაფერს, რაც ჰქონდათ, ერთმანეთს უნაწილებდნენ, ერთმანეთს ეხმარებოდნენ და ერთიმეორის ცხოვრებას თვალყურს ადევნებდნენ. ღარიბ ბავშვებზე ზრუნვას და მათ მკურნალობას მოკიდეს ხელი. ხანდაზმულებსაც ეხმარებოდნენ და ყველას მხარში ედგნენ, ვინც შველას სთხოვდა, ისე, რომ მათგან საზღაურს არ ითხოვდნენ.

თუმცა ისინი ეკლესიებსა და მოედნებზე არ ქადაგებდნენ. მხოლოდ ამას ამბობდნენ, დაე, ჩვენს ნაცვლად ჩვენმა ცხოვრებამ ილაპარაკოსო. სხვები კი, როცა მათ შესახებ შეიტყობდნენ, ამბობდნენ, ესენი, ალბათ, გიჟები არიანო.

ხმამაღლა ამ ერთობას ის ქრისტიანები კიცხავდნენ, რომლებიც პალესტინაში იმისათვის ჩამოსულიყვნენ, რომ ებრაელები და მაჰმადიანები სწავლებითა და ქადაგებით მოექციათ. აი, რას ამბობდნენ ისინი: „ვინ არის ეს ხალხი, რომელიც ქადაგებაზე უარს ამბობს? ალბათ, აქ იმისთვის ჩამოსულან, რომ უზნეოდ იცხოვრონ და თავიანთი ცოდვები წარმართებში გაავრცელონ.“ და მათ წინააღმდეგ ხმები დაყარეს, ამ ხმებმა ზღვა გადაიარა და მათ სამშობლომდეც ჩააღწია.

იერუსალიმში ჩასულთა შორის ერთი მდიდარი, ქვრივი ქალი იყო, რომელიც იქ ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა. მისი ძმა სამშობლოში დარჩა. ჰოდა, ყველა ნაცნობი მასთან მიდიოდა და ეუბნებოდა: „შენს დას და დისშვილებს იმათთან ყოფნის ნებას როგორ აძლევ, რომლებიც უზნეო ცხოვრებას ეწევიან? ისინი ხომ უსაქმურები არიან, რომლებიც შენი დის ხარჯზე ცხოვრობენ?“ ძმამაც დის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი წამოიწყო, რათა ქალი იძულებული გაეხადა, რომ მისი შვილები ამერიკაში აღზრდილიყვნენ.

ამ სასამართლო პროცესის გამო ქვრივი და მისი შვილები, აგრეთვე ედვარდ გორდონი ცოლთან ერთად ჩიკაგოში დაბრუნდნენ. ამ დროს ისინი თოთხმეტი წლის გადასახლებულნი იყვნენ იერუსალიმში.

შორეული ქვეყნიდან მათი დაბრუნების შესახებ ყველა გაზეთი წერდა. ზოგიერთები სულელებად მოიხსენიებდნენ, ვიღაცები კი – თაღლითებად.“

ჰალვურმა ამ ადგილზე კითხვა შეწყვიტა და მთელი ამბავი სხვებს საკუთარი სიტყვებით მოუთხრო, რომ ყველასთვის გასაგები ყოფილიყო, მერე კი განაგრძო:

„მაგრამ დახეთ, თქვენც კარგად იცით, რომ ჩიკაგოში ერთი სახლია. ის სახლი სავსეა ადამიანებით, რომლებიც უფლის სამსახურს მართალი ცხოვრებით ესწრაფვიან. ისინი ყველაფერს ერთმანეთს

უნაწილებენ და ერთიმეორის ყოფას უფრთხილდებიან.

ჩვენ, ამ სახლის ბინადრებმა, იერუსალიმიდან დაბრუნებული „სულელების“ შესახებ ერთ-ერთ გაზეთში ამოვიკითხეთ და ერთმანეთს ვუთხარით: „ამ ადამიანებს ჩვენნაირი რწმენა აქვთ. იმიტომ გაერთიანებულან, რომ ჩვენსავით სამართლიანად იცხოვრონ. უნდა მოვინახულოთ ისინი, რომლებიც ჩვენს რწმენას იზიარებენ.“

მათ მივწერეთ და ვთხოვეთ, სტუმრად გვწვეოდნენ. იერუსალიმიდან ჩამოსულები გამოგვეხმაურნენ, ჩვენ ერთმანეთის რწმენა შევადარეთ და ვთქვით: „ხომ ხედავთ, ერთნაირად ვფიქრობთ და ერთნაირად გვწამს. ღვთის ნებაა, რომ ერთმანეთი ვიპოვნეთ.“

მათ უფლის ქალაქის დიდებულებაზე გვიამბეს, რომელიც გაბრწყინებული აღმართულა თეთრ მთებზე და ჩვენ ხოტბა შევასხით იღბლიანებს, იმ გზებზე რომ გაუვლიათ, სადაც იესო დადიოდა.“

ამ დროს ერთ-ერთმა ჩვენგანმა იკითხა: „რაო, ვითომ რატომ არ შეიძლება, იერუსალიმში ჩვენც გამოგყვეთ?“

მათ კი გვიპასუხეს: „არა, ნუ გამოგვყვებით, რადგან უფლის წმინდა ქალაქი სავსეა განხეთქილებით და ბრძოლებით, ტანჯვით და სნეულებებით, ბოროტებით და სიღატაკით.“ ერთმა ჩვენგანმა მყისვე დაიძახა: „ხომ შეიძლება, ღმერთმა ჩვენთან იმისთვის მოგიყვანათ, რათა იქ გამოგყვეთ და ამ ყველაფერს ვებრძოლოთ?“

მაშინ ჩვენ ერთდროულად გავიგონეთ ჩვენი გულებიდან ამოხეთქილი უფლის ხმა: „დიახ, ასეთია ჩემი ნება.“

მათ ვკითხეთ, მიგვიღებდნენ თუ არა, ჩვენ ხომ ღარიბები და უსწავლელები ვიყავით, და გვიპასუხეს, რომ ჩვენს მიღებაზე თანახმა იყვნენ. გადავწყვიტეთ, და-ძმები ვყოფილიყავით და ყველაფერი გაგვენაწილებინა, მათ ჩვენი რწმენა აღიარეს, ჩვენ კი – მათი. მთელი ეს ხანი თავს ანგელოზი დაგვტრიალებდა და დიდი სიხარული დაგვეუფლა. მერე კი ვთქვით: „ახლა დავრწმუნდით, რომ ღმერთს ვუყვარვართ, რაკი იმ ქვეყანაში გვაგზავნის, სადაც ერთხელ თავისი ძე წარგზავნა. ისიც ვივით, რომ ჩვენი მოძღვრება ჭეშმარიტია, რადგან უფალს სურს, რომ ის ხალხს სიონის წმინდა მთიდან ვამცნოთ.“

უცებ ერთ-ერთმა ჩვენიანმა იკითხა: „კი მაგრამ, შვედეთში მყოფი ჩვენი ძმების საქმე როგორ იქნება?!“ იერუსალიმიდან ჩამოსულებს ავუხსენით, რომ ძმები და დები გვყავდა, რომლებიც შინ, შვედეთში იყვნენ. მათ ბევრი დანაკარგი განიცადეს და სიმართლისათვის მძიმე ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი, რადგან ცოდვილთა შორის ცხოვრობდნენ.

მაშინ იერუსალიმიდან ჩამოსულებმა გვიპასუხეს: „ნებას ვაძლევთ შვედეთში მცხოვრებ თქვენს ძმებსა და დებს, რომ იერუსალიმში გამოგვყვნენ და წმინდა საქმის აღსრულებაში წვლილი შეიტანონ!“ თავიდან იმ აზრმა, რომ იერუსალიმში წამოხვიდოდით და ჩვენთან ერთად ნეტარებით იცხოვრებდით, ძალიან გაგვახარა, მაგრამ მალე ისევ დავღონდით და ვთქვით, რომ ვერასოდეს შეძლებდით თქვენი დიდი მამულების, ნაყოფიერი მინდვრებისა და ყოველდღიური საზრუნავის მიტოვებას. იერუსალიმელებმა გვითხრეს, მათ ველ-მინდვრებს და დიდ მამულებს ვერ შევთავაზებთ, სამაგიეროდ, იესოს მიერ გაკვალული გზებით ივლიანო. ჩვენ კი მაინც ვეჭვობდით და ვთქვით, რომ ისინი არასოდეს მოინდომებდნენ იმ ქვეყანაში გადასახლებას, სადაც მათი ენა არავის ესმოდა. ამაზე იერუსალიმელებმა მოგვიგეს: „გაიგებენ, პალესტინის ქვები მათ მხსნელზე რას ღაღადებენ.“ ისიც ვუთხარით: „განა მათ ქონების უცხოებისთვის გაზიარება და გაღატაკება მოუნდებათ? არც ძალაუფლებას დათმობენ, რადგან თემში გამორჩეული ადამიანები არიან.“ სტუმრებმა გვიპასუხეს: „ვერც ძალაუფლებას და ქონებას შევთავაზებთ, თუმცა შეგვიძლია იესოს – მათი მხსნელის – ტანჯვა გავუზიაროთ.“

ამ სიტყვების გაგონებაზე ისევ დაგვეუფლა დიდი აღტაცება და მივხვდით, რომ უნდა წამოსულიყავით.

ახლა კი მოგმართავთ, ძმებო და დებო, როდესაც ამ წერილს წაიკითხავთ, ვიდრე განსჯას შეუდგებოდეთ, დადუმდით და ისმინეთ! და რასაც უფლის ხმა გიკარნახებთ, ის გააკეთეთ!“

ჰალვურმა წერილი დაკეცა და თქვა:

– მოდი, ისე მოვიქცეთ, როგორც ჰელგუმი გვირჩევს. დავდუმდეთ და ვისმინოთ.

ინგმარის მამულის სასტუმრო ოთახში ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

მოხუცი ევა გუნარშდოთერი სხვებივით ჩუმად იჯდა და ელოდა, უფლის ხმა როდის დაელაპარაკებოდა. ყველაფერი თავისებურად გაიგო. „ჰო, აბა რა, ჰელგუმს იმიტომ უნდა ჩვენი იერუსალიმში წაყვანა, რომ დიდ განადგურებას გადავურჩეთ. უფალი გვიხსნის გოგირდის

მდინარისა და ცეცხლის წვიმისაგან. და ჩვენს შორის მართალნი ვინც არიან, უფლის ხმას გაიგონებენ და გადარჩებიან.“

მოხუცს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ვინმესთვის შინიდან და მშობლიური ქვეყნიდან გამგზავრება შეიძლებოდა მსხვერპლშეწირვის ტოლფასი ყოფილიყო. ვერც წარმოედგინა, რომ მისიანებს მშობლიური სოფლის მწვანე ტყეებთან, მოჩუხჩუხე მდინარესთან და აყვავებულ ველ-მინდვრებთან გამოთხოვება გაუჭირდებოდათ. იქ მყოფთა უმეტესობას აშინებდა ახალი ცხოვრება, მამულზე, მშობლებსა და ნათესავებზე უარის თქმა, ოღონდ ევას – არა. ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ ღმერთი მათ ისევე იხსნიდა, როგორც თავის დროზე ნოე და ლოთი იხსნა. მათ ხომ უფლის წმინდა ქალაქში არამიწიერი დიდებით ცხოვრებისკენ მოუწოდეს. მისი აზრით, ეს იგივე იყო, ჰელგუმს რომ მოეწერა, სიცოცხლეშივე ზეცაში უნდა ამაღლდეთო.

ყველანი თვალდახუჭულები და საკუთარ ფიქრებში ჩაძირულები ისხდნენ. ბევრი მათგანი ისე იტანჯებოდა, რომ მათ შუბლზე ცივმა ოფლმა გამოჟონა. „ჰო, ეს მართლაც ის გამოცდაა, ჰელგუმი რომ გვიწინასწარმეტყველებდა.“ – ოხრავდნენ ისინი.

ჩამავალი მზე ჰორიზონტზე იდგა და ოთახში მწველ სხივებს ისროდა. მზის სისხლივით წითელი ათინათი ოთახში მსხდომთა გაფითრებულ სახეებს ეფინებოდა.

ბოლოს იუნგ ბიორნის ცოლი, მერტა ინგმარშდოთერი, სკამიდან ჩამოცურდა და იატაკზე მუხლი მოიყარა. სხვებმაც მიბაძეს და ერთიმეორის მიყოლებით დაეცნენ მუხლებზე. თანაც ბევრმა მათგანმა ღრმად ამოისუნთქა და სახეები ღიმილმა გაუნათა, მერე კი კარინ ინგმარშდოთერმა განცვიფრებით განაცხადა:

– უფლის ხმა მესმის, რომელიც მეძახის.

ნაფიცი მსაჯულის ქალიშვილმა გუნჰილდმა აღტაცებით ასწია ხელები, სახეზე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

– მეც მივემგზავრები. – თქვა მან. – უფლის ხმა მეძახის.

შემდეგ კრისტერ ლარშონმა და მისმა ცოლმა თითქმის ერთდოულად წარმოთქვეს:

– ყურში ჩამძახის, რომ უნდა გავემგზავრო. უფლის ხმა მესმის.

მოწოდება ერთიდან მეორეზე გადადიოდა და ისინი ერთბაშად გათავისუფლდნენ სინანულისა და მონატრებისაგან. ძალიან დიდი სიხარული დაეუფლათ. მამულები და ნათესავები აღარ ენაღვლებოდათ. მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, მათი ერთობა ხელახლა როგორ აყვავდებოდა, იმ პატივზე ფიქრობდნენ, რაც მათთვის უფლის ქალაქში მიხმობა იყო.

მოწოდება უმეტესობასთან მივიდა, თუმცა ჰალვურ ჰალვურშონამდე ვერ მიაღწია. იგი საკუთარ თავს ებრძოდა, ლოცულობდა და მღელვარებით ფიქრობდა: „უფალს ჩემი მიხმობა ისე არ უნდა, როგორც სხვებისა. ის ხედავს, რომ ჩემი ველ-მინდვრები მის სიტყვებზე მეტად მიყვარს. მე ღირსი არა ვარ.“

კარინ ინგმარშდოთერი ქმართან მივიდა და შუბლზე ხელი დაადო.

– დამშვიდდი, ჰალვურ და ყური დაუგდე.

ჰალვურმა ხელი ხელს ისე მოუჭირა, რომ სახსრებმა დაიტკაცუნა.

– შეიძლება უფალი გამგზავრების ღირსად არ მთვლის, – თქვა მან.

– არა, ჰალვურ, შენც წამოხვალ, ოღონდ უნდა დამშვიდდე, – უთხრა კარინმა, მის გვერდით მუხლებზე დაეშვა და წელზე ხელი მოხვია. – ახლა კი მშვიდად და უშიშრად მოუსმინე, ჰალვურ!

ორიოდე წამში კაცის მღელვარება სადღაც გაქრა.

– შორიდან რაღაც მესმის.

– ეს ანგელოზთა არფებია, რომლების უფლის ხმას წინ უძღვის, – უთხრა ცოლმა. – ახლა კი მართლა დამშვიდდი, ჰალვურ! – ქალი უფრო მიეტმასნა ქმარს, რაც ადრე უცხოების თანდასწრებით არასოდეს გაუკეთებია.

– ოჰ, როგორც იქნა, გავიგონე! – წამოიძახა ჰალვურმა და ტაში შემოჰკრა. – ისე ხმამაღლა ჩამძახა, რომ ყურები მეტკინა: „ჩემს წმინდა ქალაქში, იერუსალიმში უნდა წამოხვიდე!“ ყველამ ეს გაიგონეთ?

– ჰო, ჰო! – დაიყვირეს სხვებმა. – სწორედ ეს გავიგონეთ!

უეცრად მოხუცი ევა გუნარშდოთერი მოთქმას მოჰყვა.

– არაფერი გამიგონია. თქვენ ვერ გამოგყვებით. აქედან ვერსად წავალ, ლოთის ცოლივით გავშეშდები და მარილის სვეტად გადავიქცევი.

შეძრწუნებული ქალი ტიროდა. ჰელგუმელები მის გარშემო შეგროვდნენ და ლოცვა დაიწყეს, თუმცა მოხუცს კვლავ არაფერი ესმოდა და შიშისაგან თავზარდაცემული იყო.

– არაფერი მესმის, მაგრამ თქვენ მაინც უნდა წამიყვანოთ. გთხოვთ, აქ ნუ დამტოვებთ, გოგირდის მდინარეში დასახრჩობად ნუ გამიმეტებთ.

– უნდა მოიცადო, ევა, – შეეცადნენ ჰელგუმელები მის დამშვიდებას. – უფლის მოწოდება შენთანაც მოვა, შესაძლოა, ამაღამ ან ხვალ მოვიდეს.

– თქვენ არ მპასუხობთ, – მიუგო მოხუცმა. – ჩემს სათხოვარზე არ მპასუხობთ. თუკი უფალი არ დამიძახებს, აქ ხომ არ დამტოვებთ?

– დაგიძახებს, დაგიძახებს! – იყვირეს ჰელგუმიანელებმა.

– თქვენ არ მპასუხობთ! – სასოწარკვეთილი ხმით გაიმეორა ქალმა.

– ძვირფასო ევა! თუ უფალი არ მოგიხმობს, თან ვერ წაგიყვანთ, მაგრამ ნუ გეშინია! ის მოგიხმობს. – უთხრეს ჰელგუმელებმა.

მაშინ მოხუცი სწრაფად წამოიმართა, წელში გაიმართა და ჯოხი მაგრად დაჰკრა იატაკს.

– გამგზავრებას აპირებთ, მე კი დასაღუპავად მწირავთ! – წამოიძახა მან. – დიახ, დიახ, თქვენ მიდიხართ და მე უნდა დავიღუპო!

ქალი ისეთი გამძვინვარებული იყო, რომ იქ მყოფებს ახალგაზრდობისდროინდელი ძლიერი, ფიცხი და ცეცხლოვანი ევა გუნარშდოთერი დაუდგათ თვალწინ.

– თქვენი დანახვაც აღარ მინდა! – იყვირა მან. – არ მსურს, თქვენ გადამარჩინოთ. ეშმაკმა წაგიღოთ! ცოლ-შვილსა და მშობლებზე უარს ამბობთ, რათა საკუთარი თავი იხსნათ. წყეულიმც იყავით, გაგიჟებულხართ და თქვენი მდიდრული მამულების მიტოვება დაგიპირებიათ, შეშლილები ხართ, ცრუ წინასწარმეტყველებს რომ დასდევთ უკან. ცეცხლის და გოგირდის წვიმა სწორედ თქვენ დაგატყდებათ თავს. სწორედ თქვენ დაიღუპებით, ჩვენ კი, აქ დარჩენილები, ვიცოცხლებთ!

10. მორი

იმავე მშვენიერი თებერვლის საღამოს, შებინდებისას, ახალგაზრდა წყვილი გზაზე დამდგარა და საუბრობს.

ბიჭს ტყიდან ისეთი უზარმაზარი მორი ჩამოუტანია, რომ ცხენი ძლივს მოათრევს, თანაც შემოვლითი გზით წამოსვლა მოუხდა, მორი მთელ სოფელზე რომ გამოეტარებინა და სკოლის დიდი, თეთრად შეღებილი შენობის გვერდით ჩაევლო.

სკოლასთან ცხენი ისვენებს. მაშინვე გოგონაც აღებს ჭიშკარს და მორის სანახავად გამოდის.

გოგონა აღტაცებას ვერ ფარავს. რა გრძელი, მსხვილი და სწორი მორია, თანაც რა ლამაზი, ღია ყავისფერი ქერქი აქვს, რა ბუმბერაზი და უზადო ხე იქნებოდა!

ბიჭი მთელი სერიოზულობით უყვება, რომ ხე ულოფსჰეთანის უკიდურეს ჩრდილოეთში, ქვიშიან ფიჭვნარში იზრდებოდა; მოუთხრობს, როგორ მოჭრა და რამდენ ხანს დატოვა ტყეში გამოსაშრობად; უხსნის, რამდენი დუიმია ხის გარშემოწერილობა და რამდენი – განივი ჭრილი.

გოგონას მდინარეზე დაცურებული ან გზაზე გატარებული ათასობით მორი უნახავს. ვერასოდეს დაიჯერებდა, რომ მორის დანახვა ასე გაახარებდა.

– ოჰ, ინგმარ, ეს ხომ მხოლოდ პირველი მორია! – ამბობს იგი.

სიხარულთან ერთად გოგონას ის აზრიც აწუხებს, რომ ინგმარს ხუთწლიანი ჯაფა დასჭირდა ამ პირველი მორის ჩამოსატანად, რომელიც მათი ახალი სახლის ასაშენებლად იყო განკუთვნილი. კიდევ რამდენი ხანი უნდა გავიდეს, ვიდრე სხვებსაც ჩამოიტანს და სახლს ააშენებს?

თუმცა ინგმარი ფიქრობს, რომ ყველა სიძნელე უკან ჩამოიტოვა.

– დამაცადე, გერტრუდ! – ამბობს იგი. – აი, მორებს ჩამოვზიდავ და მალე სახლიც მზად იქნება!

ძალიან აცივდა. მზე უკვე დიდი ხანია, ჩავიდა. ცხენს სცივა, თავს აქნევს და ფლოქვით მიწას კაწრავს. ქოჩორი და ფაფარი ჭირხლისგან გათეთრებია.

ბიჭს და გოგოს კი, როგორც ჩანს, სულაც არ სცივათ. იმაზე ლაპარაკი ათბობთ, როგორი იქნება მათი სახლი სარდაფიდან ჭერამდე, ხოლო აშენებას რომ მორჩებიან, ავეჯით გაწყობაზე გადადიან.

– ამ გრძელ კედელთან დივანს დავდგამთ. – ამბობს ინგმარი.

– კი მაგრამ, დივანი სადა გვაქვს? – კითხულობს გოგო.

ბიჭი ტუჩზე იკბენს. ჯერ არ აპირებდა იმის თქმას, რომ მათი დივანი უკვე გამზადებული დგას დურგალთან, ახლა კი საიდუმლო გაამჟღავნა.

გერტრუდმაც უნდა გაუმხილოს რაღაც, რასაც მთელი ხუთი წელი უმალავდა. ინგმარს უყვება, რომ შინ თავსამკაულებს და ყაითნებს ამზადებდა და ყიდდა, დაგროვილი ფულით კი უკვე სახლისთვის საჭირო ყველა ნივთი შეიძინა: ქვაბები და ტაფები, თეფშები და ლანგრები, ზეწრები, ბალიშები, სუფრები და იატაკის საფენები.

ინგმარი ბედნიერია, რომ ასეთი სიმდიდრის პატრონები არიან და აღარ იცის, საცოლე როგორ შეაქოს, მაგრამ შუა ქება-დიდებაში უეცრად ჩუმდება. აქ გერტრუდის მოსანახულებლად მოვიდა და, როგორც ყოველთვის, განცვიფრებულია იმ სილამაზით, რომელიც მისი უნდა გახდეს.

– რა იყო, ინგმარ? – ეკითხება გოგონა.

– რა და, ყველაფერზე უკეთესი მაინც ის არის, რომ შენ მეყოლები.

გერტრუდი არაფერს პასუხობს, მაგრამ ხელს ალერსიანად უსვამს მორს, რომელიც მისი და ინგმარის სახლის კედელში უნდა ჩასვან. იცის, რომ იქ სიმშვიდე და უზრუნველი ცხოვრება ელის, რადგან ჭკვიანი, კეთილი, გულუხვი და ერთგული საქმრო ჰყავს.

ამ დროს ქალ-ვაჟს გვერდით დედაბერი ჩაუქროლებს. იგი ხმამაღლა და გაჯავრებით ქაქანებს.

– ჰო-ჰო-ჰო, – ამბობს მოხუცი. – მათი ბედნიერება შებინდებიდან გარიჟრაჟამდე თუ გასტანს. როგორც კი განსაცდელი დაატყდებათ თავს, მათი ერთგულებაც ხავსისგან დაწნული თოკივით გაქრება და მათი ცხოვრება ხანგრძლივ უკუნეთს დაემსგავსება.

– ეს რა, ჩვენზე ამბობს? – კითხულობს გოგო.

– ჩვენზე რატომ უნდა ამბობდეს? – უარობს ბიჭი.

11. ინგმარის კარ-მიდამოში

მეორე დღე შაბათი იყო. ღამით ქარბუქი ამოვარდა და პასტორი ძლივს მიიკვლევდა გზას. დიდი ტყის ჩრდილოეთით ავადმყოფი მოენახულებინა და შინისაკენ მიეშურებოდა. ცხენი ნამქერში ეფლობოდა, მარხილი სადაცაა გადაბრუნდებოდა, პასტორი და მისი მოჯამაგირე ხშირად ჩამოდიოდნენ მარხილიდან, რომ გზა გაეკვალათ. არც ისე ბნელოდა. სათოვლე ღრუბლებს უკნიდან დიდი, სავსე მთვარე გამოცურდა და მისმა შუქმა არემარე ისე გაანათა, რომ მგზავრებს მკრთალი ნაცრისფერი გადაეკრათ. როცა პასტორი ზემოთ აიხედავდა, სახეზე ტრიალით მომავალი ფიფქები ეცემოდა, ჰაერს რომ თეთრი წერტილებით ავსებდნენ.

მგზავრებს სიარული არ უჭირდათ. გზის პატარა მონაკვეთები ახალმოსულ თოვლს ჯერაც არ დაეფარა და მოყინულზე მარხილი იოლად მისრიალებდა. სხვაგან დიდი თოვლი კი იდო, თუმცა ფხვიერი და თანაბარი იყო და გავლაც შეიძლებოდა. ყველაზე ძნელად სავალი ის ადგილები იყო, სადაც ქარს თოვლი ისე მიენამქრა, რომ მის ზემოთ არაფერი ჩანდა. ამ დროს მგზავრებს გზიდან გადახვევა და მინდვრების თვალიერება უწევდათ, რომ თხრილში არ ამოეყოთ თავი ან ცხენი მიჯნის ბოძს არ დაჯახებოდა.

პასტორსაც და მის მოჯამაგირესაც ძალზე აშფოთებდა დიდი ნამქერი, რომელიც ყოველი ქარბუქისას სწორედ ინგმარის კარ-მიდამოს სიახლოვეს მაღალ, ძველ ღობეს ფარავდა ხოლმე.

– მაგ ადგილს როგორც კი გავივლით, უკვე თითქმის შინ ვიქნებით, – ამბობდნენ ისინი.

პასტორმა გაიხსენა, რამდენჯერ სთხოვა დიდ ინგმარს, მოეშორებინა ეს ღობე, რადგანაც ყველაზე

მეტი თოვლი სწორედ იქ გროვდებოდა, მაგრამ ამაოდ. ღობე დღესაც იქ იდგა და ინგმარის მამულში სხვა ყველაფერი რომ შეეცვალათ, უეჭველად ისევ ძველ ადგილას იქნებოდა.

მალე მგზავრებმა მამულს მოჰკრეს თვალი და კედელივით მაღალი და კლდესავით გაქვავებული ნამქერიც ჩვეულ ადგილზე დახვდათ. გვერდიდან ვერ შემოუვლიდნენ და სხვა გზა არ ჰქონდათ, ზედ უნდა გადასულიყვნენ. ეს ისეთი შეუძლებელი ჩანდა, რომ მოჯამაგირემ პასტორს შესთავაზა, იქნებ მამულში წავიდე და მაშველებს მოვუხმოო.

პასტორმა იუარა. უკვე ხუთ წელზე მეტი იყო, კარინისა და ჰალვურისთვის ხმა არ გაუცია. სულაც არ ეხალისებოდა ძველ მეგობრებთან შეხვედრა, რომლებთანაც უთანხმოება ჰქონდა, ამიტომაც ცხენი ნამქერს აუყვა, როგორც იქნა, თოვლის ზვინს თავზე მოექცა, მერე ერთბაშად დაეშვა ძირს და ისე გაუჩინარდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. მგზავრები კი ისხდნენ და მის კვალს მისჩერებოდნენ. ამ დროს მარხილის ცალი ხელნაც გატყდა და გზას ვეღარ განაგრძობდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ პასტორმა ინგმარშონების სახლის სასტუმრო ოთახის კარი შეაღო.

ღუმელში მშრალი შეშა ტკაცუნობდა. კერიას ერთ მხარეს დიასახლისი უჯდა და წმინდად აჩეჩილ მატყლს ართავდა. მის უკან გრძელ რიგად ისხდნენ მოახლეები და დაქირავებული ქალები და სელს ართავდნენ. ღუმლის მეორე მხარე კაცებს დაეკავებინათ, რომელთაც შეშა სულ ახლახან ჩამოეზიდათ. ზოგი მათგანი ისვენებდა, სხვები კი ისეთ საქმეებს აკეთებდნენ, რაც გართობად ეჩვენებოდათ: ნაფოტებს თლიდნენ, ფოცხის კბილებს ლესავდნენ და ცულის სახელურებს ამზადებდნენ.

პასტორი ოთახში რომ შევიდა და მასპინძლებს უამბო, რაც შეემთხვა, ყველანი დაფაცურდნენ. მოჯამაგირეები ნამქერში ჩავარდნილი ცხენის ამოსათრევად წავიდნენ; ჰალვურმა პასტორი მაგიდასთან მიიყვანა და სთხოვა, დაბალ ძელსკამზე დამჯდარიყო; კარინმა მოახლეები ყავის მოსადუღებლად და სტუმრისთვის ვახშმის მოსამზადებლად სამზარეულოში გააგზავნა, თავად კი პასტორის ქურქი ცეცხლთან გასაშრობად გაფინა, ჭერზე დაკიდებული ლამპა აანთო და სართავი ჯარა მაგიდასთან გადაიტანა, რათა მამაკაცებისთვის საუბარში მხარი აება.

„ამაზე უკეთ დიდი ინგმარის სიცოცხლეშიც კი არ მიმასპინძლებდნენ,“ გაიფიქრა პასტორმა.

ჰალვურმა აუჩქარებლად გააბა ლაპარაკი გზების შესახებ, მერე კი პასტორს ჰკითხა, მარცვლეულში კარგად გადაუხადეს თუ არა და სახლი თუ შეაკეთა, რასაც დიდი ხანია, აპირებდა. კარინმა პასტორის ცოლი მოიკითხა, რომელიც მძიმე ავადმყოფი იყო – ბოლო დროს უკეთესობა ხომ არ ეტყობაო.

პასტორის მოჯამაგირე შემოვიდა და თქვა, ცხენი უკვე ამოიყვანეს, შეკაზმეს და გასამგზავრებლად მოამზადესო. კარინმა და ჰალვურმა სთხოვეს პასტორს, ვახშმად დარჩენილიყო და, ვიდრე არ დაითანხმეს, არ მოეშვნენ.

ყავა შემოიტანეს. ლანგარზე ვერცხლის დიდი ყავადანი ელავდა, საშაქრეც ისეთი ძველებური ვერცხლისა იყო, მხოლოდ ქორწილებისა და დაკრძალვების დროს რომ გამოაქვთ ხოლმე, ფუნთუშები კი სამ მაღალ თასზე დაეხვავებინათ.

პასტორს პატარა, მრგვალი თვალები გაოცებისგან გაუფართოვდა, დროდადრო შუბლზე ისვამდა ხელს, თავი სიზმარში ეგონა და გამოღვიძების ეშინოდა.

ჰალვურმა სტუმარს მამულის ტყეში გასულ შემოდგომას მოკლული ცხენ-ირმის ტყავი აჩვენა, რომელიც იატაკზე გაფინეს. პასტორს ამაზე დიდი და მშვენიერი ბეწვი არასოდეს ენახა. კარინი ქმართან მივიდა და რაღაც ჩასჩურჩულა, მერე კი ჰალვურმა სტუმარს სთხოვა, ტყავი საჩუქრად მიეღო.

კარინი ცისფერი კარადიდან ლამაზი, ძველებური ვერცხლის ჭურჭლის გამოლაგებას შეუდგა, მაგიდაზე ფართონაყშებიანი სუფრა გაშალა და ზედ იმდენი ვერცხლის კოვზი დააწყო, გეგონებოდათ, მთელ ამქარს უმასპინძლდებაო. რძე და სასმელები მაგიდაზე ვერცხლის უშველებელი დოქებით შემოდგა.

ნავახშმევს პასტორმა წასვლა დააპირა. სტუმარი თავად ჰალვურ ჰალვურშონმა გააცილა ორ მოჯამაგირესთან ერთად, რომლებიც ნამქერში გზას მიიკვლევდნენ, მარხილს ისე მართავდნენ, რომ არ მოცურებულიყო და პასტორს შინ მისვლამდე გვერდიდან არ მოსცილებიან.

პასტორი საღ-სალამათი იდგა თავისი სახლის კიბეზე. ფიქრობდა, რა კარგია, ძველი მეგობრები რომ დავიბრუნეო და ჰალვურს გულთბილად ემშვიდობებოდა. მემამულე შეყოვნდა, რადგან ჯიბეში რაღაცას ეძებდა. ბოლოს მან ჯიბიდან დაკეცილი ქაღალდი ამოიღო და პასტორს ჰკითხა, იქნებ სჯობს, ეს ახლავე გადმოგცეთო. საჯარო განცხადება იყო, რომელიც მეორე დღეს ეკლესიაში

უნდა წაეკითხათ. შესაძლოა, პასტორს ამ ქაღალდის მიღება ახლავე ერჩივნა და ჰალვურიც ეკლესიისთვის საგანგებო შეტყობინებას თავიდან აირიდებდა.

პასტორი შინ შევიდა, სანთელი აანთო, ქაღალდი გაშალა და წაიკითხა:

„მფლობელების იერუსალიმში გადასახლების გამო იყიდება საიჯარო მამული – ინგმარის კარ-მიდამო...“

პასტორმა კითხვა შეწყვიტა და ღრმად ჩაფიქრდა.

– ოჰო, აი, თურმე რა ხდება ჩვენს თავს, – ისე ჩაიბუტბუტა მან, თითქოს უამინდობაზე ლაპარაკობსო. – რამდენი წელია, სწორედ ამას ველოდები.

12. ჰეკ მათს ერიკსონი

გაზაფხულის მშვენიერი დღეა. მემამულე ვაჟთან ერთად დიდი ქარხნისკენ მიდის, რომელიც თემის სამხრეთ კიდეზეა.

ისინი ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ამიტომაც მთელი თემი უნდა გადაიარონ, ახლადდათესილ მინდვრებს უნდა გასცდნენ, რომლებიც უკვე ჯეჯილს დაუფარავს. ხედავენ მწვანე, წვნიან ჭვავის ყანებს, თვალწარმტაც საძოვრებს, მალე სამყურას სურნელება რომ მოეფინება.

მამა-შვილს სახლებთანაც მოუწევს ჩავლა, რომელთაც პატრონები ღებავენ, ფანჯრებს უცვლიან ან შემინული ვერანდებით ამკობენ. ბაღებშიც შეიხედავენ, სადაც კვლები გაჰყავთ და მცენარეებს რგავენ. გზად შემოყრილ სოფლელებს ლაფში ამოსვრილი ფეხსაცმელები აცვიათ და ხელები მიწიანი აქვთ, რადგან ყანებიდან და კომბოსტოს ბაღებიდან მოდიან, სადაც კარტოფილი და კომბოსტო დაუთესავთ ან ჭარხალი და სტაფილო დაურგავთ.

მემამულეს გული არ უთმენს, რომ არ შეჩერდეს და გლეხებს არ ჰკითხოს, რა ჯიშის კარტოფილი ჩაყარეს ან ჭვავი რამდენი ხნის წინ დათესეს. როგორც კი ხბოს ან კვიცს მოჰკრავს თვალს, უნდა გაიგოს, რამდენი წლის არის. ითვლის, რამდენი ძროხა დაეტევა იმ კარ-მიდამოში, რომელსაც ახლახან ჩაუარა და რა ეღირება კვიცი, როცა გაიზრდება.

შვილი დროდადრო ცდილობს, მამის ფიქრები სხვა რამეზე გადაიტანოს.

– იცით, რაზე ვფიქრობ? მალე მე და თქვენ სარონის ხეობასა და იუდეის უდაბნოს მოვივლით, – ამბობს იგი.

მამა ჩაიღიმებს და წამით სახე უნათდება.

– ალბათ, ძალიან კარგი იქნება ჩვენი უფალი იესოს ნაკვალევზე სიარული.

თუმცა მალე მის ყურადღებას ჩამქრალი კირით დატვირთული ურიკა იქცევს, რომელიც მისკენ მოემართება.

– გაბრიელ, როგორ გგონია, ამ კირს სახლში ვინ ეზიდება? ამბობენ, კირის ფასმა საშინლად მოიმატაო. ერთი შემოდგომაზე უნდა შევხედო, რა ფასი ექნება.

– რა შემოდგომაზე, მამა?! – საყვედურით ეუბნება ვაჟი.

– ჰო, ვიცი, ვიცი, – პასუხობს კაცი. – შემოდგომაზე იაკობის კარვებში ვიცხოვრებთ და სამეფო ვენახებს გავაშენებთ.

– ჰო, – ეთანხმება ვაჟი, – ასეც იქნება, ამინ, ამინ.

ისინი ცოტა ხანს ჩუმად მიაბიჯებენ და მოძალებულ გაზაფხულს აკვირდებიან. თხრილებში წყალი მიჩუხჩუხებს, გზა კი გაზაფხულის წვიმას აუტალახებია. საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან რაღაცაა გასაკეთებელი. ყველანი მზად არიან ერთმანეთს დაეხმარონ, თუნდაც ეს სხვისი მიწა იყოს.

– იცი, მართალი გითხრა, მერჩივნა მამული შემოდგომაზე, სამუშაოების დამთავრების მერე გამეყიდა. ძნელია, მიწას შეელიო გაზაფხულზე, როცა ამდენი რამის გაკეთება გინდა.

ბიჭი მხოლოდ მხრებს იჩეჩავს. ხვდება, რომ მამას ლაპარაკი უნდა აცალოს.

– აგერ, უკვე ოცდათერთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მე, სულ ახალგაზრდა ბიჭმა, თემის ჩრდილოეთით ნაკვეთი ვიყიდე. იქამდე იმ მიწისთვის ნიჩაბიც არავის დაეკრა, ნახევარი მამული

დაჭაობებული იყო, მეორე ნახევარი კი – ქვიანი. საშინელი შესახედავი იყო. ქვების გროვაში დავდიოდი და ქვებს ვამტვრევდი. მეგონა, წელი მომწყდებოდა. თუმცა ჭაობიანი ადგილი უარესი გამოდგა, ვიდრე იქ თხრილებს გავიყვანდი და დავაშრობდი.

– ჰო, ბევრი გიშრომიათ, მამა, – დაეთანხმა შვილი. – ამიტომაც არ გივიწყებთ უფალი და წმინდა მიწაზე გიხმობთ.

– იმ დროს ისეთ სახლში ვცხოვრობდი, რომელიც ნახშირის შესანახ ქოხს არაფრით სჯობდა, – განაგრძობს გლეხი, – გაუქერქავი მორების ნარჩენებისგან იყო აშენებული, სახურავის ნაცვლად კი მხოლოდ დატკეპნილი მიწა ჰქონდა. ჭერიდან გამუდმებით მაწვიმდა. ძალიან მიჭირდა, განსაკუთრებით, ღამღამობით. ძროხა და ცხენიც ამ დღეში იყვნენ. პირველ წელს მთელი ზამთარი მიწურში გაატარეს, სადაც ისე ბნელოდა, როგორც სარდაფში.

– მამა, მაშ, რატომ ებღაუჭებით ასე იმ მიწას, რომლის გამოც ამდენი ჯაფა დაგადგათ?

– წარმოიდგინე, რა ბედნიერება იყო, როდესაც პირუტყვისთვის დიდი თავლები ავაშენე და როცა საქონელი წლითი წლამდე ისე მრავლდებოდა, სულ სადგომების გაფართოებაზე მიწევდა ზრუნვა! არადა, ყველაფერი რომ არ გამეყიდა, ბოსლის სახურავის შეკეთებას ვაპირებდი. სწორედ რომ დროული იქნებოდა, რადგან თესვას უკვე მოვრჩი.

– მამა, – ეუბნება ბიჭი, – თესვისას ზოგი თესლი ეკლიან ბუჩქნარში ცვივა, ზოგი – კლდეზე, ზოგი – გზაზე, ზოგი კი – ნაყოფიერ ნიადაგზე.

შვილი ღელავს. ჰგონია, რომ მამა ხელიდან უსხლტება. ეშინია, მოხუცი უფლისთვის თავისი ქონების შეწირვაზე არ დათანხმდებაო.

– ახალი სახლები და სადგომები თანამოაზრეებს შორის პატიოსან ცხოვრებას ვერ შეედრება. – ამბობს იგი.

– ალილუია, – პასუხობს მამა, – განა არ ვიცი, რა ბედნიერებაც გვხვდა წილად? აკი ამიტომაც მივდივარ ქარხანაში, რომ ჩემი საკუთრება სამხერხაო საზოგადოებას მივყიდო. უკან დაბრუნებისას ყველაფერი დამთავრებული იქნება და აღარაფერი დამრჩება.

შვილი არაფერს პასუხობს, თუმცა იმითაც კმაყოფილია, რომ მამას გადაწყვეტილება არ შეუცვლია.

ცოტა ხანში ისინი გორაზე ლამაზად შეფენილ კარ-მიდამოს ჩაუვლიან გვერდით. ეზოში თეთრად შეღებილი, აივნიანი და ვერანდიანი სახლი დგას, მის გარშემო კი მაღალი ალვის ხეებია ჩარიგებული, რომელთა ლამაზი, ნაცრისფერ-თეთრი ღეროები წვენით არის დაბერილი.

– შეხედე, – ამბობს მემამულე, – მეც ამის გაკეთებას ვაპირებდი. სწორედ ასეთი ვერანდა და მოჩუქურთმებული აივანი მინდოდა, სახლის წინ კი – ასეთივე მწვანე, ხშირი ბალახი. რა ლამაზი იქნებოდა არა, გაბრიელ?

შვილი დუმს და კაცი ხვდება, რომ ბიჭს მამულზე ლაპარაკის მოსმენა მობეზრდა, ამიტომ ისიც ჩუმდება, თუმცა მისი ფიქრები ისევ სახლს დასტრიალებს. წუხს, რა ეშველებათ მის ცხენებს, როცა ახალი პატრონი ეყოლებათ, რა ბედი ეწევა მის მამულს. „ეჰ, რა სისულელე ჩავიდინე, კარ-მიდამოს სააქციო საზოგადოებისთვის მიყიდვა რომ გადავწყვიტე. მაგათ ხე-ტყის დამზადების გარდა არაფერი გაეგებათ და მამულს გააოხრებენ. იქაურობა ისევ დაჭაობდება, მინდვრები კი არყის ტყეებად გადაიქცევა.“

მამა-შვილი ქარხანას უახლოვდება და მოხუცი კვლავ გამოცოცხლდება. ახლებურ გუთნებს და ფარცხებს ათვალიერებს და მყისვე ახსენდება, როგორ უნდოდა სათიბი მანქანის ყიდვა. გაბრიელს უყურებს, რომელიც მოხდენილი ყნაწვილია და მას ლამაზ, წითელ სათიბ მანქანაზე მჯდომს წარმოიდგენს. ხედავს, როგორ უტყლაშუნებს ბიჭი ცხენებს შოლტს და მაღალ ბალახს ისე აწვენს ძირს, როგორც მამაცი გმირი ცელავს ხოლმე მტრებს.

ქარხნის კანტორაში შესვლისას მოხუცს ყურებში ჯერ ისევ სათიბი მანქანის ხმაური უდგას, მიწაზე მსუბუქად დაფენილი ბალახის ხმაც ესმის და დამფრთხალი ჩიტებისა და მწერების სუსტი წრიპინიც.

ქარხნის კანტორის მაგიდაზე გამზადებული ნასყიდობის ხელშეკრულება დევს. უკვე ყველაფერზე მოილაპარაკეს, ფასზეც შეთანხმდნენ და ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაღა დარჩა.

მოხუცს ხელშეკრულებას უკითხავენ, ის კი უსმენს. კითხულობენ ტყეების, ველებისა და მინდვრების ჩამონათვალს, ამბობენ, რამდენი აკრია[7]. თითოეული, რა საოჯახო ნივთებისა და საქონელის დათმობა მოუწევს. კაცს სახე უქვავდება. „არა,“ თავისთვის ამბობს იგი, „ეს არ

მოხდება.“

კაცი კითხვის დამთავრებისთანავე აპირებს თქმას, რომ ამის გაკეთება არ შეუძლია, მაგრამ ამ დროს მისკენ შვილი იხრება და ჩასჩურჩულებს:

– მამა, კარ-მიდამოსთან მე არაფერი მესაქმება, რადგან, როგორც უნდა გადაწყვიტოთ, მაინც გავემგზავრები.

მოხუცი ისეა ჩაფლული თავის მამულზე ფიქრებში, რომ აქამდე აზრადაც არ მოსვლია, თუ შვილი მის მიტოვებას აპირებდა. მაშ, გაბრიელი მაინც წავა, არა? ხეირიანად ვერაფერი გაუგია. მისი შვილი რომ შინ დარჩენილიყო, თვითონ ხომ გამგზავრებაზე არც იფიქრებდა? კი მაგრამ, ხომ უკვე შეთანხმდნენ, რომ შვილს თავადაც გაყვებოდა. იგი კათედრასთან მიდის, სადაც ხელმოსაწერად გამზადებული ხელშეკრულება დევს. ქარხნის მმართველი თავის ხელით ჩრის კალამს თითებში და ქაღალდზე ანიშნებს:

– აი, აქ უნდა მოაწეროთ, ჰეკ მათს ერიკსონ!

კაცი კალამს ართმევს და იმავ წამს ცხადად აგონდება, ოცდათერთმეტი წლის წინ როგორ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას და დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთის მფლობელი გახდა. ისიც ახსოვს, რომ ხელის მოწერის შემდეგ თავისი სამფლობელოს დასათვალიერებლად გაემართა და თავის თავს უთხრა: „ხედავ, უფალმა რა გიბოძა?! აქ მთელი ცხოვრება უნდა იმუშაო.“

მმართველს ჰგონია, მოხუცი იმის გამო ყოყმანობს, რომ არ იცის, ხელი სად მოაწეროსო და ისევ აჩვენებს:

– შენი სახელი აი, აქ უნდა დაწერო. დაწერე: ჰეკ მათს ერიკსონი!

კაცი წერას იწყებს. „ამას ჩემი რწმენისა და ხსნის გამო ვწერ, ჩემი ძვირფასი მეგობრების, ჰელგუმელების, ჩვენი ერთად ცხოვრების გამო, იმის გამო, რომ მარტო არ დავრჩე, როცა ყველანი გაემგზავრებიან.“ ფიქრობს იგი და პირველ სიტყვას წერს.

„ამას ჩემი შვილის, გაბრიელის, გამო ვწერ, იმისათვის, რომ ასეთი კარგი შვილი არ დავკარგო, ყველა იმ დღისათვის, როცა იგი მოხუც მამას კარგად ექცეოდა, იმის დასამტკიცებლად, რომ ის ჩემთვის მაინც ყველაზე ძვირფასია,“ და ამ ფიქრებში გართული მეორე სახელს მოხაზავს.

„კი მაგრამ, ამას რატომღა ვწერ?“ ფიქრობს იგი, როცა კალამს ისევ იღებს ხელში და საძულველ ქაღალდზე მისდაუნებურად სქელი ხაზების გავლებას იწყებს.

„ჰო, ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ მოხუცი ვარ, რომელმაც მიწაზე უნდა იმუშაოს, ის ადგილი უნდა მოხნას და დათესოს, სადაც ყოველთვის მუხლჩაუხრელად შრომობდა.“

ჰეკ მათს ერიკსონი დარცხვენილი სახით ტრიალდება მმართველისკენ და ქაღალდს უჩვენებს.

– მაპატიეთ, ბატონო მმართველო, ჩემი საკუთრების გაყიდვას კი ვაპირებდი, მაგრამ ვერ შევძელი.

13. აუქციონი

მაისში ინგმარის კარ-მიდამოში აუქციონი გაიმართა. ღმერთო, რა მშვენიერი დარი იდგა, ისე ცხელოდა, თითქოს ზაფხული იყო! კაცებს გრძელი, თეთრი ქურქები გაეხადათ და მოკლე პერანგებით მოსულიყვნენ, ქალები კი უკვე ისეთი ფართო, თეთრი სახელოებით დადიოდნენ, მხოლოდ საზაფხულო კაბებს რომ აქვთ.

მასწავლებლის ცოლი აუქციონზე წასასვლელად ემზადებოდა. გერტრუდს წასვლა არ უნდოდა, სტორმს კი არ ეცალა. დედილო სტინამ წასვლის წინ კლასის კარი შეაღო და ქმარს დაემშვიდობა. სტორმი ბავშვებს დიდი ქალაქის, ნინევიის, დაცემის შესახებ მოუთხრობდა და ისეთი მწუხარე გამომეტყველება ჰქონდა, რომ საბრალო პატარები შეშინებულები შეჰყურებდნენ.

ინგმარის კარ-მიდამოსკენ მიმავალი დედილო სტინა გზადაგზა ჩერდებოდა, თუკი თვალს აყვავებულ შოთხვის ბუჩქს ან თეთრი, სურნელოვანი შროშანებით დაფარულ ბორცვს მოჰკრავდა.

– გინდაც იერუსალიმში გადაიხვეწო, ამაზე მშვენიერს რას ნახავ? – ამბობდა იგი.

მასწავლებლის ცოლს, ისევე როგორც ბევრ სხვას, ორმაგად შეუყვარდა თავისი სოფელი მას შემდეგ, რაც ჰელგუმელებმა ამ ადგილს სოდომი შეარქვეს და მასზე უარის თქმა გადაწყვიტეს.

ქალმა გზის პირას ერთ-ორი ყვავილი მოწყვიტა და სიყვარულით შეათვალიერა. „ისეთი ცუდები

რომ ვყოფილიყავით, ისინი რომ ამბობენ, ღმერთს ჩვენი განადგურება როდი გაუჭირდებოდა. საკმარისი იქნებოდა, სიცივე გაეხანგრძლივებინა და მიწა თოვლით დაეფარა, მაგრამ რაკი უფალი გაზაფხულს და ყვავილებს გვჩუქნის, ესე იგი, ფიქრობს, რომ სიცოცხლის ღირსები ვართ.“

ინგმარის მამულს რომ მიუახლოვდა, დედილო სტინა შეჩერდა და შეშფოთებით მიმოიხედა. „შინ ხომ არ დავბრუნდე? არ შემიძლია, ვუყურო, ეს ძველი სახლი სხვის ხელში როგორ გადავა.“

სინამდვილეში დედილო სტინა ძალიან ცნობისმოყვარე იყო და შინ დაბრუნებას ერჩივნა შეეტყო, მამულს რა ბედი ეწეოდა.

როგორც კი ცნობილი გახდა, რომ მამული უნდა გაყიდულიყო, ინგმარი მის ყიდვას შეეცადა, მაგრამ ექვსი ათას კრონაზე მეტი არ ჰქონდა, ჰალვურს კი ბერისონას ქარხნის დიდმა სამხერხაო საზოგადოებამ ოცდახუთი ათასი შესთავაზა. ინგმარმა იმდენი ფულის სესხება მოახერხა, რომ იგივე თანხა შეეთავაზებინა, თუმცა სამხერხაომ ფასი ოცდაათ ათასამდე ასწია და ინგმარმა ამხელა ვალის აღება ვერ გაბედა.

ამ ამბავში უსიამოვნო მარტო ის კი არ იყო, რომ ინგმარი საგვარეულო მამულს ამ გზით სამუდამოდ კარგავდა, რადგანაც ეს სააქციო საზოგადოება არასოდეს ყიდდა იმას, რასაც ოდესმე შეიძენდა, არამე ისიც, რომ ამბობდნენ, საეჭვოა, საზოგადოებამ ინგმარს ლონგფორშენის სამხერხაოს იჯარით აღების ნება მისცესო, ასეთ შემთხვევაში კი იგი ულუკმაპუროდ დარჩებოდა. ინგმარი ამ შემოდგომაზე გერტრუდსაც ვეღარ შეირთავდა, როგორც გადაწყვეტილი ჰქონდა. ალბათ, სამუშაოს საშოვნელად სადმე გამგზავრება მოუწევდა.

დედილო სტინა, როცა ამაზე ფიქრობდა, ჰალვურსა და კარინზე ძალიან ბრაზობდა.

– დიდი იმედი მაქვს, კარინ ინგმარშდოთერი ჩემთან ლაპარაკს არ მოისურვებს, თორემ ვერ მოვითმენ და ვეტყვი, რა ცუდად ექცევა ინგმარს. – თავისთვის ჩაილაპარაკა ქალმა. – არ შემიძლია, არ ვუთხრა, რომ მეტწილად მისი ბრალია, რომ მამული ინგმარს აღარ ეკუთვნის. ყური კი მოვკარი, რომ გასამგზავრებლად ძალიან ბევრი ფული სჭირდებათ, მაგრამ უცნაურია, კარინს გული როგორ უთმენს, რომ ძველი კარ-მიდამო სააქციო საზოგადოება მიჰყიდოს, რომელიც მხოლოდ ტყეებს გაჩეხავს და მთელ მეურნეობას ქარს გაატანს.

საზოგადოების გარდა მამულის ყიდვა კიდევ ერთ ადამიანს უნდოდა – საოლქო მოსამართლე ბერგერ სვენ პერშონს, რომელიც ძალზე მდიდარი იყო. ეს კი ინგმარისთვის საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, რადგან სვენ პერშონი დიდსულოვანი ადამიანია და ბიჭს სამხერხაოს იჯარით აღებაზე უარს ნამდვილად არ ეტყოდა.

არა მგონია, სვენ პერშონს დაავიწყდეს, რომ ამ მამულში როცა მოვიდა, ღარიბი მწყემსი ბიჭი იყო. დიდმა ინგმარმა გაუმართა ხელი და ფეხზე დადგომაში დაეხმარა.

აუქციონზე მოსულთა უმრავლესობა სახლში კი არა, ეზოში იდგა. მასწავლებლის ცოლმაც სხვებს მიბაძა, ფიცრების გროვაზე მოიკალათა და დაკვირვებით შეუდგა იქაურობის თვალიერებას, რადგან იცოდა, რომ მისთვის ძვირფას ადგილს უკანასკნელად ხედავდა.

ეზო სამი მხრიდან შენობებით იყო შემოსაზღვრული, შუაში კი ბოძებზე შეყენებული პატარა საწყობი იდგა. თვალშისაცემად ძველებური აქ არაფერი იყო, გარდა პარმაღისა, რომლის ჭერიც ნაძერწ ჩუქურთმებს დაემშვენებინა და ლუდსახარშის კარის კიდევ უფრო ძველი, ხვეული კოლონებისა.

დედილო სტინას ყველა ინგმარშონი გაახსენდა, რომელთა ნაკვალევიც ამ კარ-მიდამოს აღებეჭდა. თითქოს თვალწინ დაუდგა, როგორ ბრუნდებოდნენ საღამოობით სამუშაოდან მაღალი, ოდნავ წელში მოხრილი მამაკაცები და კერიას მიაშურებდნენ ხოლმე. სულ იმის ეშინოდათ, ვინმესთვის თავი არ მოებეზრებინათ ან იმაზე უკეთესი ადგილი არ დაეკავებინათ, რასაც იმსახურებდნენ; ის შრომისმოყვარეობა და წესიერებაც მოაგონდა, რაც ამ ოჯახში სუფევდა. „ეს არ უნდა მოხდეს,“ გაიფიქრა მან აუქციონის შესახებ. „მეფემ ეს უნდა შეიტყოს.“

ალბათ, დედილო სტინას ასე მისი საკუთარი სახლის გაყიდვა არ მოუკლავდა გულს.

საჯარო ვაჭრობა ჯერ არ დაწყებულიყო, თუმცა ეზოში უკვე უამრავი ხალხი მოგროვდა. ვიღაცები ბოსელში შევიდნენ და საქონელს ათვალიერებდნენ, სხვები კი ეზოში დარჩნენ და იქ გამოფენილ მოწყობილობებს, საზიდრებს, ცულებს თუ ხერხებს სინჯავდნენ.

როცა დედილო სტინამ ბოსლიდან გამომავალი გლეხის ქალები დაინახა, გულისწყრომით გაიფიქრა: „ინგას და სტავას შეხედე ერთი! ბოსელში ყოფილან და თავიანთთვის ძროხები აურჩევიათ. მერე ტრაბახს მოყვებიან, ინგმარის კარ-მიდამოს ძროხები გვყავსო.“

მოიჯარადრე ნილსის დანახვაზე, რომელიც გუთანს ირჩევდა, ქალს დამცინავად გაეღიმა.

„მოიჯარადრე ნილსს თავი გამოჩენილი კაცი ეგონება, როდესაც ხნულს თავად დიდი ინგმარის ნაქონი გუთნით გაავლებს.“

აუქციონზე გამოფენილ ნივთებს მუდმივად რამდენიმე კაცი დასტრიალებდა თავს. ერთმანეთს ზოგიერთი იარაღის შესახებ ეკითხებოდნენ, რომლებიც ისეთი ძველი იყო, არავის ახსოვდა, რისთვის გამოიყენებოდა. შეკრებილთაგან ზოგიერთი კი ისეთ უპატივცემულობას იჩენდა, რომ ძველი მარხილების გამასხარავებასაც ბედავდა. ზოგი მათგანი მართლაც უძველესი იყო, წითლად და მწვანედ ლამაზად შეღებილი, ხოლო აკაზმულობა – ჭრელი ფოჩებით და თეთრი ნიჟარებით მორთული.

დედილო სტინას კვლავ მოეჩვენა, რომ ინგმარშონების წინაპრები ნელა მოსრიალებდნენ ამ მარხილებით, წვეულებებზე მიდიოდნენ ან ქორწილიდან ბრუნდებოდნენ, გვერდს კი პატარძალი უმშვენებდათ. „და ასეთი კარგი ხალხი ახლა ჩვენს თემს ტოვებს.“ გაიფიქრა ქალმა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ეს დიდი ხნის წინ წასული ადამიანები დღემდე ისევ მამულში ცხოვრობდნენ, მათი სამუშაო იარაღები და საზიდრები კი სხვისი საკუთრება ხდებოდა.

„ნეტავ ინგმარი სად არის და რას აკეთებს?“ გაიფიქრა სტინამ. „მე ასე მიჭირს და ის რა დღეში იქნება!“

ისეთი კარგი დარი იდგა, რომ აუქციონის წამყვანმა შეკრებილებს შესთავაზა, ყველა გასაყიდი ნივთი ეზოში გამოეტანათ, რომ ოთახებში ბევრ ხალხს არ მოეყარა თავი. მოახლეებმა და მოჯამაგირეებმა გარეთ ტიტებით და ვარდებით მოხატული ზანდუკები და კოლოფები გამოზიდეს. ბევრ მათგანს ასეული წლები გაეტარებინა ტანსაცმლის კარადებში ისე, რომ ხელი არავის ეხლო. აქვე ეწყო ვერცხლის სურები და სპილენძის ძველებური ჩაიდნები, სართავი ჯარები და საჩეჩელები, ქვეშაგები და ყველა ჯურის საფეიქრო იარაღი.

ამ ნივთების გარშემო გლეხის ქალები მოგროვდნენ, ყველაფერს ხელში იღებდნენ და ატრიალებდნენ.

დედილო სტინა არაფრის ყიდვას არ აპირებდა, მაგრამ მოაგონდა, რომ აქ ერთი საქსოვი დაზგა უნდა ყოფილიყო, რომელზეც საუკეთესო თეთრეულის მოქსოვა შეიძლებოდა და დაზგის შესათვალიერებლად ქალებს მიუახლოვდა. სწორედ ამ დროს მოახლე დაინახა, რომელსაც ორი უზარმაზარი, ძველი ბიბლია მოჰქონდა. ტყავის ყდებში ჩასმული და მოკაზმული წიგნები ისეთი მძიმე იყო, გოგო ძლივს მოათრევდა.

დედილო სტინა ისე შეძრწუნდა, თითქოს სახეში სილა გააწნესო და თავის ადგილს დაუბრუნდა. ხვდებოდა, რომ უძველეს ენაზე დაწერილ ამ ბიბლიას აღარავინ წაიკითხავდა, მაგრამ მაინც ძალზე გაოცდა, კარინმა რომ მათი გაყიდვა მოინდომა.

„მგონი, ეს სწორედ ის ბიბლიაა, რომელსაც დიასახლისი მაშინ კითხულობდა, როცა აცნობეს, რომ მისი ქმარი დათვმა მოკლა,“ გაიფიქრა მან.

დედილო სტინამ ყველაფერი გაიხსენა, რაც ინგმარშონებზე სმენოდა. ეგონა, ყველა ნივთს, რომელსაც შეხედავდა, მისთვის რაღაცის თქმა სურდა.

აი, ეს ძველი ვერცხლის ბალთები, რომლებიც მაგიდაზე იდო, ერთ-ერთმა ინგმარ ინგმარშონმა კლაკბერიეთში ტროლებს წაართვა.

იმ ძველი ეტლით კი ის ინგმარ ინგმარშონი, სტინას ბავშვობაში რომ ახსოვდა, ეკლესიაში დადიოდა ხოლმე და ყოველთვის, როცა ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე ეტლი მას და დედამისს ჩაუვლიდა, დედა გოგონას მხარზე ხელს ადებდა და ეუბნებოდა:

– რევერანსი გააკეთე, სტინა, ინგმარ ინგმარშონი მოდის.

გოგონას უკვირდა, რომ დედას არასოდეს ავიწყდებოდა მისი გაფრთხილება, ინგმარ ინგმარშონს რევერანსით მიესალმეო, ხოლო ბოქაულთან ან საოლქო მოსამართლესთან შეხვედრისას ასეთ გულისხმიერებას არ იჩენდა.

ბოლოს სტინა მიხვდა, რომ როდესაც დედამისი პატარა გოგო იყო და დედასთან ერთად ეკლესიაში მიდიოდა, ისიც ასე ადებდა შვილს მხარზე ხელს და აფრთხილებდა:

– რევერანსი გააკეთე, ინგმარ ინგმარშონი მოდის.

– ღმერთია მოწმე, მამულის განადგურება მხოლოდ იმიტომ კი არ მადარდებს, რომ ერთ დღესაც გერტრუდი აქაურობის ბატონ-პატრონი უნდა გამხდარიყო. – ოხვრით თქვა დედილო სტინამ. –

ასე მგონია, ჩვენს თემს ერთბაშად მოეღო ბოლო.

ამასობაში პასტორიც მოვიდა. კაცი დაფიქრებული და დამწუხრებული ჩანდა. მაშინვე სახლისკენ გაეშურა და დედილო სტინა მიხვდა, რომ პასტორი ინგმარის თაობაზე კარინთან და ჰალვურთან დასალაპარაკებლად მოსულიყო.

მოგვიანებით ბერისონას მმართველი, რომელიც სამხერხაო საზოგადოებას წარმოადგენდა, და მომრიგებელი მოსამართლე ბერგერ სვენ პერშონი მოვიდნენ. მმართველი სახლში შევიდა, სვენ პერშონი კი კარგა ხანს დადიოდა ეზოში და ნივთებს ათვალიერებდა. ამ დროს ტანდაბალ, გრძელწვერიან მოხუცს ჩაუარა, რომელიც ფიცრების გროვაზე სტინას გვერდით იჯდა.

– ღონიერო ინგმარ, – მიმართა სვენ პერშონმა და მის წინ შეჩერდა, – ხომ არ იცი, ინგმარ ინგმარშონმა რა გადაწყვიტა, ყიდულობს იმ ხე-ტყეს, მე რომ შევთავაზე?

– უარი თქვა, – მიუგო მან, – თუმცა მგონია, მალე გადაიფიქრებს.

მოხუცმა სვენ პერშონს თვალით ანიშნა დედილო სტინაზე, თითქოს გააფრთხილა, არ გაიგონოს, რაზე ვლაპარაკობთო.

– ვფიქრობ, მისთვის ეს კარგი წინადადება იყო. ასეთ საქონელს ყველას კი არ ვაძლევ, ამას მხოლოდ დიდი ინგმარის ხათრით ვაკეთებ.

– ჰო, მართალია, კარგი წინადადება იყო, – დაეთანხმა მოხუცი, – მაგრამ ის ამბობს, უკვე სხვას გავურიგდიო.

– ნეტავ ვიცოდე, იმაზე თუ დაფიქრებულა, რას კარგავს. – თქვა მოსამართლემ და ნელი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას.

აქამდე შინაურებიდან ეზოში არავინ გამოჩენილა, მაგრამ უეცრად შეკრებილებმა ინგმარს მოჰკრეს თვალი. ბიჭი უძრავად იდგა კედელთან და თვალები მოეხუჭა.

რამდენიმე კაცი მისკენ მისასალმებლად გაემართა, თუმცა როგორც კი მიუახლოვდებოდნენ, ზურგს აქცევდნენ და უკან ბრუნდებოდნენ.

ინგმარს მკვდრის ფერი ედო და ყველა, ვინც კი მას შეხედავდა, ხვდებოდა, რომ ბიჭი ძლიერ იტანჯებოდა, ამიტომაც მასთან გამოლაპარაკებას ვერავინ ბედავდა.

ინგმარი ისე ჩუმად იდგა, რომ ბევრმა ვერც შენიშნა, სამაგიეროდ, თუკი ვინმე თვალს ჰკიდებდა, მერე სხვა ვეღარაფერზე ფიქრობდა. ნიშანწყალიც კი არსად ჩანდა მხიარულებისა, რომელიც ასეთ აუქციონებზე ჩვეული ამბავი იყო. ძველი სახლის კედელთან აყუდებული ინგმარის დანახვაზე, რომელსაც იგი მალე დაკარგავდა, აღარავის ეცინებოდა და აღარც ენაკვიმატობის ხალისი ჰქონდა.

აუქციონის დაწყების დროც დადგა. აუქციონის წამყვანი სკამზე შედგა და ყვირილით შეუდგა ძველი გუთნის გაყიდვას. ინგმარი კვლავ ისე უძრავად იდგა, თითქოს ადამიანია კი არა, სურათიაო.

– ღმერთო ჩემო, ნუთუ არ შეიძლება აქაურობას მოშორდეს?! – ამბობდა ხალხი. – რა საჭიროა ამ უბედურების ყურება, მაგრამ ინგმარშონები ხომ სხვებივით არასოდეს იქცევიან.

ჩაქუჩის პირველი დარტყმაც გაისმა. ინგმარი ისე შეძაგძაგდა, თითქოს ჩაქუჩი მას მოხვედროდეს, მერე კი ისევ გაშეშდა, თუმცა ჩაქუჩის ყოველ დარტყმაზე აცახცახდებოდა ხოლმე.

დედილო სტინას გვერდით ორმა გლეხის ქალმა ჩაუარა, რომლებიც ინგმარზე ლაპარაკობდნენ.

– ნეტავ ინგმარს ვინმე მდიდარი გლეხის ქალი მაინც დაენიშნა, მაშინ ალბათ, ფულსაც მიიღებდა და მამულის ყიდვას შეძლებდა, მაგრამ ის ხომ მასწავლებლის გოგოს, გერტრუდის შერთვას აპირებს, – თქვა ერთმა.

– ამბობენ, თემის რომელიღაც წარჩინებული ინგმარს მზითვად მამულს დაპირებია, თუკი მის ქალიშვილს შეირთავდა ცოლად. მისი სიღარიბე არავის ადარდებს, რახან ასეთი კარგი ოჯახიდანაა.

– მაინც დიდი ინგმარის ვაჟიშვილია, ხომ იცი.

„რა კარგი იქნებოდა, გერტრუდსაც რომ ცოტათი მაინც შეძლებოდა დახმარება.“ გაიფიქრა დედილო სტინამ.

ნელ-ნელა ყველა სამეურნეო ნივთი გაიყიდა და აუქციონის წამყვანმა ეზოს მეორე მხარეს გადაინაცვლა, სადაც შინნაქსოვი ხალიჩების, სუფრების და საწოლის ფარდების გაყიდვას შეუდგა. ნივთებს ჰაერში იქნევდა, რათა მათზე ამოქარგული ტიტებს და ერთმანეთში გადაწნულ ჭრელ

ორნამენტებს მყიდველებისთვის თვალი მოეჭრა.

ინგმარმა, ეტყობა, აფრიალებული ქსოვილები შენიშნა და ქუთუთოები უხალისოდ ასწია. დაღლილი, ჩასისხლიანებული თვალები წამით შეავლო ოჯახის გაპარტახებას, მერე კი ისევ თავისით დაეხუჭა.

– ასეთი არაფერი მინახავს, – თქვა ერთმა გლეხის გოგომ, – აქ თუ იდგება და თავს დაიტანჯავს, მოკვდება.

დედილო სტინა წამოდგა და ყვირილი დააპირა, ასე არ შეიძლება გაგრძელდეს და ახლავე შეწყვიტეთო, თუმცა ისევ ადგილს დაუბრუნდა.

– უნდა მახსოვდეს, რომ ღარიბი და უძლური ვარ, – ამოიოხრა მან.

უეცრად ეზოში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ დედილო სტინამ თავი ასწია და შენიშნა, რომ დუმილის მიზეზი კარინ ინგმარშდოთერი გახლდათ, რომელიც სახლიდან გამოვიდა. აშკარა გახდა, რას ფიქრობდა ხალხი კარინსა და მის საქციელზე, რადგან ეზოში რომ მიდიოდა, ყველამ ზურგი შეაქცია, ხელი მისასალმებლად არავის გაუწვდია, ჩუმად იდგნენ და ქალს გამკიცხავ მზერას აყოლებდნენ.

კარინი ღონემიხდილი და დაქანცული ჩანდა. ჩვეულებრივზე უფრო წინ გადახრილი მიდიოდა, ლოყებზე წითელი ლაქები აჩნდა და ისეთივე გატანჯული სახე ჰქონდა, როგორიც ელიასთან ორთაბრძოლის დროს.

კარინმა დედილო სტინა მოძებნა და სთხოვა, შინ შეჰყოლოდა.

– ადრე აქ არასოდეს ყოფილხართ, დედილო სტორმ, – თქვა მან.

მასწავლებლის ცოლმა თავიდან იუარა, თუმცა კარინმა ამ სიტყვებით დაიყოლია:

– მალე გზას უნდა დავადგეთ და გვინდა, ყველა ძველი უთანხმოება დავივიწყოთ.

ვიდრე სახლში შევიდოდნენ, სტინა შეეცადა, თავისი სათქმელი მოესწრო:

– ალბათ, თქვენთვის მძიმე დღეა, კარინ.

კარინმა ამოიოხრა და არაფერი უპასუხა.

– არ ვიცი, გული როგორ გიძლებთ, ამ ძველ მამულს რომ ყიდით.

– უფალს უპირველესად ის უნდა შესწირო მსხვერპლად, რაც ყველაზე უფრო გიყვარს, – მიუგო კარინმა.

– ხალხი კი ფიქრობს, რომ უცნაურია... – დაიწყო სტინამ, მაგრამ კარინმა შეაწყვეტინა:

– უფალიც იმას იფიქრებდა, რომ უცნაური იქნებოდა, მისი კუთვნილიდან რაიმე ჩვენთვის დაგვეტოვებინა.

დედილო სტინამ ტუჩი მოიკვნიტა და გადაწყვიტა, აღარაფერი ეთქვა. ჩანდა, იმ საყვედურებიდან, რის თქმასაც იგი კარინისთვის აპირებდა, მაინც არაფერი გამოვიდოდა. ქალს ისეთი კეთილშობილება ეწერა სახეზე, რომ მის დადანაშაულებას ვერავინ გაბედავდა.

სწორედ იმ დროს, როცა ისინი პარმაღის ფართო საფეხურზე ავიდნენ, დედილო სტინამ კარინს მხარზე ხელი დაადო.

– ხედავთ, იქ ვინ დგას? – თქვა მან და კარინს ძმაზე ანიშნა.

კარინი ოდნავ შეკრთა და სცადა, იქით არ გაეხედა, სადაც ინგმარი იდგა.

– ღმერთი უშველის, – ჩაიბუტბუტა მან, – ღმერთი უშველის.

სასტუმრო ოთახში აუქციონის მიზეზით ბევრი არაფერი შეეცვალათ, რადგან ძელსკამები და საწოლები კედელზე იყო მიჭედებული და ვერ დაძრავდნენ, მაგრამ კედლებზე სპილენძის ჭურჭელი აღარ ბზინავდა, საწოლებიდან ფარდები და ქვეშაგები აეღოთ და ცარიელი იყო, ხოლო ცისფერი კარადის კარი, რომელსაც ადრე ხშირად ღრიჭოდ ტოვებდნენ, რათა უცხოებს თაროებზე დალაგებული ვერცხლის მაღალი დოქები და თასებისთვის თვალი მოეკრათ, ახლა დაეკეტათ იმის ნიშნად, რომ იქ, შიგნით, ისეთი აღარაფერი ინახებოდა, რისი გამოჩენაც ღირდა.

ერთადერთი, რაც კედელს ამშვენებდა, იერუსალიმის ტილო იყო, რომელიც დღესაც ნორჩი, მწვანე ფოთლების გვირგვინით შეემკოთ.

დიდი ოთახი კარინისა და ჰალვურის ნათესავებით და თანამოაზრეებით იყო სავსე და ისინი მიპატიჟების შემდეგ რიგრიგობით მიჰყავდათ გასამასპინძლებლად დიდ, გაშლილ სუფრასთან.

პატარა ოთახის კარი დაკეტილი იყო. იქ თავად მამულის გაყიდვაზე მოლაპარაკება მიმდინარეობდა. ოთახიდან ხმამაღალი და მღელვარე ხმები ისმოდა, რომელთა შორის პასტორის ხმა გამოირჩეოდა.

სასტუმრო ოთახში ხალხმრავლობის მიუხედავად სიჩუმე იდგა, თუ ვინმე დაილაპარაკებდა, მხოლოდ ხმადაბლა ან ჩურჩულით. ყველას გონება იქით იყო მიპყრობილი, სადაც მამულის ბედი წყდებოდა.

დედილო სტინა გაბრიელ მათსონს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– ინგმარი მამულს ვეღარ იყიდის, არა?

– მის ფასს სხვების შეთავაზებულმა ფასმა უკვე ბევრად გადააჭარბა, – მიუგო გაბრიელმა.

კარმსუნდის ფუნდუკის მეპატრონემ ოცდათორმეტი ათასი შეაძლია, მაშინ სააქციო საზოგადოებამ ფასი ოცდათხუთმეტ ათასამდე ასწია. ჰოდა, ახლა პასტორი ცდილობს, პატრონები დაარწმუნოს, რომ მამული საზოგადოებას კი არა, კარმსუნდელ მეფუნდუკეს მიჰყიდონ.

– და ბერგერ სვენ პერშონი რას აპირებს? – იკითხა სტინამ.

– მაგას დღეს არაფერი შეუთავაზებია.

პასტორის მომთხოვნი ხმა კიდევ დიდხანს ისმოდა. სიტყვების გარჩევა ჭირდა, თუმცა მისი ლაპარაკიდან ცხადი იყო, რომ ჯერ არაფერი გადაეწყვიტათ.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი ფუნდუკის მეპატრონემ ხმადაბლა, თუმცა ისე მკაფიოდ დაილაპარაკა, რომ შეუძლებელი იყო, სიტყვები არ გაერჩიათ:

– ოცდათექვსმეტ ათასს ვიძლევი, იმიტომ კი არა, რომ ეს ადგილი ამდენი ღირს, უბრალოდ, არ მინდა, აქაურობა სააქციო საზოგადოების კუთვნილება გახდეს.

ამას მყისვე ისეთი ხმა მოჰყვა, თითქოს ვიღაცამ მაგიდას მუშტი დასცხო და ქარხნის მმართველმა მჭექარე ხმით შესძახა:

– ორმოცი ათასი და არა მგონია, კარინს და ჰალვურს ამაზე მეტი ფასი ვინმემ შეაძლიოს.

დედილო სტინა გაფითრდა, წამოდგა და ისევ ეზოში გავიდა. გარეთაც ყველას დაღვრემილი სახე ჰქონდა, თუმცა ეს უკეთესი იყო, ვიდრე იმ დახუთულ ოთახში ჯდომა და ვაჭრობის ყურის გდება.

აუქციონის წამყვანს ქსოვილების გაყიდვა დაესრულებინა და კვლავ შეეცვალა ადგილი. ახლა ვერცხლის ძველ ნივთებს ყიდდა: ოქროს მონეტებით მოჭედილ ვერცხლის დიდ დოქებს და მეჩვიდმეტე საუკუნის წარწერებით დამშვენებულ თასებს.

როდესაც აუქციონის წამყვანმა ხელში ვერცხლის პირველი დოქი აიღო, ინგმარმა ისე გადმოდგა წინ ნაბიჯი, თითქოს ვაჭრობის შეჩერება უნდაო, მაგრამ უცებ შეჩერდა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

რამდენიმე წუთში ინგმართან მოხუცი გლეხი მივიდა, რომელსაც ხელში ვერცხლის დოქი ეჭირა. მოკრძალებით დადო დოქი ინგმარის ფეხებთან და თქვა:

– მინდა, ეს იმ ყველაფრის სახსოვრად გქონდეს, რაც შენი უნდა ყოფილიყო.

ინგმარს სხეულში ჟრჟოლამ დაუარა, ტუჩები აუცახცახდა და რაღაცის თქმას შეეცადა.

– არაფრის თქმა არ არის საჭირო, სხვა დროს იყოს, – უთხრა გლეხმა და იქაურობას გაშორდა, მერე კი უეცრად მობრუნდა და თქვა: – ყური მოვკარი, ხალხი ამბობს, რომ თუ მოინდომებდი, შეგეძლო მამულს დაპატრონებოდი, ამით თემს უდიდეს სამსახურს გაუწევდი.

ინგმარის მამულში რამდენიმე მოხუცი მოსამსახურე ცხოვრობდა, რომლებსაც თითქმის მთელი სიცოცხლე აქ გაეტარებინათ და ახლაც, სიბერეში, აქ ცხოვრობდნენ. ისინი ყველაზე მეტად ღელავდნენ, ეშინოდათ, ახალი მეპატრონეები ძველი სახლიდან გარეთ გაგვყრიან და მათხოვრობა მოგვიწევსო. ასე იყო თუ ისე, იცოდნენ, რომ ძველი ბატონებივით აღარავინ მოექცეოდათ. მთელი დღე ეზოში დაეხეტებოდნენ და დარდი მოსვენებას არ აძლევდათ. შესაბრალისი სანახავები იყვნენ, დამფრთხალები და უმწეოები, უჩუმრად რომ დაიარებოდნენ, მათ დასუსტებულ, ჩაწითლებულ თვალებში კი შფოთვას დაესადგურებინა.

ბოლოს ერთი, ას წლამდე მიღწეული მოხუცი გაუბედავად მიუახლოვდა ინგმარს და მის გვერდით, მიწაზე დაჯდა. ეს თითქოს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ის მშვიდად გრძნობდა თავს, რადგან წყნარად იჯდა და დაუძლურებული, მოცახცახე ხელებით ჯოხის ბუნიკს ჩაბღაუჭებოდა.

როგორც კი მოხუცმა ლისამ და მწველავმა მერტამ დაინახეს, სად იჯდა კორპ ბენგტი, თვითონაც მივიდნენ და ინგმარს გვერდით მიუსხდნენ. მისთვის ხმა არ გაუციათ, თუმცა ბუნდოვნად გრძნობდნენ, რომ ბიჭს მათი დახმარება შეეძლო – ის ხომ ინგმარ ინგმარშონი იყო.

მოხუცების მოსვლის შემდეგ ინგმარს თვალები აღარ დაუხუჭავს, იდგა და მათ დაჰყურებდა, თითქოს იმ წლებს და ჯაფას ითვლიდა, მათ რომ გადაიტანეს, როცა მის ოჯახს ემსახურებოდნენ და, ალბათ, ფიქრობდა, რომ მისი უპირველესი მოვალეობა იმაზე ზრუნვა იყო, ამ ხალხს დარჩენილი წლები მათ ძველ სახლში გაეტარებინა.

ბიჭმა ეზოს გადახედა, ღონიერ ინგმარს მოჰკრა თვალი და თავი მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია.

ღონიერი ინგმარი სიტყვის უთქმელად შევიდა სახლში, სასტუმრო ოთახი გადაჭრა და პატარა ოთახში შევიდა, კართან შეჩერდა და ხელსაყრელ დროს დაელოდა, რომ იქ მყოფთათვის გადაეცა, რაც დაავალეს.

პასტორი ოთახის შუაგულში იდგა და კარინს და ჰალვურს ესაუბრებოდა, რომლებიც მკვდრებივით გაშეშებულები ისხდნენ. ქარხნის მმართველი მაგიდასთან იჯდა და ისეთი თავდაჯერებული სახე ჰქონდა, ეტყობა, დარწმუნებული იყო, რომ მასზე დიდ ფასს სახლის პატრონებს ვერავინ შეაძლევდა. კარმსუნდელი მეფუნდუკე ფანჯარასთან იდგა. აღელვებული იყო, შუბლზე ოფლს გამოეჟონა და ხელები უკანკალებდა. ბერგერ სვენ პერშონი ოთახის მეორე ბოლოში, დივანზე იჯდა, ფართო, მბრძანებლურ სახეზე შფოთვის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა, ხელები მუცელზე დაეწყო და ცერებს ათამაშებდა.

პასტორმა ლაპარაკი დაამთავრა. ჰალვურმა კარინს გადახედა, თითქოს მის რჩევას ელოდებაო, მაგრამ ქალი ისევ გაშეშებული და თავჩაღუნული იჯდა.

– მე და კარინმა უცხო ქვეყანაში გადასახლება გადავწყვიტეთ, – დაიწყო ჰალვურმა, – ჩვენ და ჩვენმა ძმებმა ქონების გაყიდვით მიღებული ფულით უნდა ვიცხოვროთ. შევიტყვეთ, რომ მხოლოდ იერუსალიმამდე მგზავრობა თხუთმეტი ათას კრონამდე დაგვიჯდება. იქ კი სახლი უნდა ვიქირაოთ, საჭმელი და ტანსაცმელი ვიყიდოთ. ასე, რომ არა მგონია, რამე დათმობაზე წავიდეთ.

– განა უგუნურება არ არის, კარინს და ჰალვურს კარ-მიდამოს ჩალის ფასად გაყიდვა მხოლოდ იმიტომ მოვთხოვოთ, რომ სააქციო საზოგადოებას არ მიჰყიდონ? – თქვა მმართველმა. – ვფიქრობ, ჩემი წინადადება ახლავე უნდა მიიღონ, თუნდაც იმიტომ, რომ უსარგებლო დავა დავასრულოთ.

– ჰო, – კვერი დაუკრა კარინმა, – ალბათ, ყველაზე მაღალ ფასს უნდა დავთანხმდეთ.

პასტორის დაყოლიება არც ისე იოლი აღმოჩნდა. საერო ცხოვრებაზე როცა მიდგებოდა საქმე, მან მშვენივრად იცოდა, რა ელაპარაკა, მოქადაგის კათედრაზე კი სულ სხვანაირი იყო.

– კარინი და ჰალვური ისე არიან მიჯაჭვულნი ამ ძველ კარ-მიდამოზე, რომ ურჩევნიათ, იმას მიჰყიდონ, ვინც მას ხეირიანად შეინახავს, თუნდაც ერთი-ორი ათასი კრონით ნაკლები მიიღონ. – განაცხადა მან და კარინის გასაგონად იმ მამულების შესახებ დაიწყო მოყოლა, რომლებიც სწორედ მას შემდეგ დაიქცა, რაც სააქციო საზოგადოების კუთვნილება გახდა.

კარინმა რამდენჯერმე თავი ასწია და პასტორმა გაიფიქრა, ნეტავ მასზე შთაბეჭდილება ახლა მაინც თუ მოვახდინეო. „ძველი მემამულე ქალბატონისა რამე როგორ არ შერჩებოდა,“ ფიქრობდა კაცი, თან დანგრეულ სახლებსა და ცოცხალ-მკვდარ საქონელზე ლაპარაკობდა.

ბოლოს მან ასე დაასრულა:

– კარგად ვიცი, თუ საზოგადოებას მტკიცედ გადაუწყვეტია მამულის შესყიდვა, ისეთ ფასს დაადებს, სხვა მყიდველები ვერ შესწვდებიან, ხოლო თუ კარინს და ჰალვურს სურთ, ხელი შეუშალონ ამ ძველი მიწა-წყლის განადგურებას, მამულს საბოლოო ფასი უნდა დაადონ, რათა სხვებმა იცოდნენ, რა გზას დაადგნენ.

ამის გაგონებაზე ჰალვურმა შეშფოთებით გადახედა კარინს. ქალმა მძიმედ ასწია ქუთუთოები და უპასუხა:

– მართალია, მე და ჰალვურს გვირჩევნია, მამული ჩვენნაირებს მივყიდოთ, მაშინ გვეცოდინება, რომ აქ ყველაფერი ძველებურად იქნება.

– ჰო, ოღონდ თუ სხვა მყიდველი ორმოცი ათასს გადაგვიხდის, ამ თანხით კმაყოფილი დავრჩებით, – სიტყვა ჩამოართვა ჰალვურმა, რომელიც ახლაღა მიხვდა, ცოლს რა უნდოდა.

როგორც კი ეს სიტყვები ითქვა, ღონიერმა ინგმარმა ოთახი გრძელი ნაბიჯებით გადაჭრა და ბერგერ სვენ პერშონს რაღაც წასჩურჩულა.

მოსამართლე მაშინვე წამოდგა და ჰალვურთან მივიდა.

– რახან ორმოცი ათასზე თანახმა ხართ, ამ თანხას მე გთავაზობთ, – განაცხადა მან.

ჰალვურს სახე დაემანჭა და პასუხის გაცემამდე რამდენჯერმე ნერწყვი გადაყლაპა.

– მადლობელი ვარ, ბატონო მოსამართლევ, – თქვა მან ბოლოს, – მოხარული ვარ, რომ მამული ასეთ კარგ ხელში ჩავარდა.

სვენ პერშონმა კარინსაც ჩამოართვა ხელი. ქალს აღელვებისგან თვალები აცრემლებოდა.

– დარწმუნებული იყავით, კარინ, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩება, – უთხრა მოსამართლემ.

– აქ თავად გადმოდიხართ? – ჰკითხა კარინმა.

– არა, – მიუგო მან და მოზეიმე ხმით დაამატა – ზაფხულში ჩემს უმცროს ქალიშვილს ვათხოვებ და მამულს მას და მის ქმარს ვჩუქნი.

მერე კი მოსამართლე პასტორს მიუბრუნდა და მადლობა გადაუხადა.

– მაინც თქვენი გაიტანეთ, პასტორო. როდესაც ღარიბი მწყემსი ბიჭუნა ვიყავი და ამ ეზოში დავრბოდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე იმდენი ძალაუფლება მექნებოდა, რომ ინგმარ ინგმარშონი თავის მამულში დამებრუნებინა.

პასტორიც და ოთახში მყოფი სხვა მამაკაცებიც იდგნენ და მოსამართლეს ისე მისჩერებოდნენ, ეტყობა, მაშინვე ვერ მიხვდნენ, რას ამბობდა, მაგრამ კარინი გარეთ გავარდა. სანამ სასტუმრო ოთახს გადაჭრიდა, წელში გასწორდა, მოსახვევის ნაკეცები გაისწორა და წინსაფარს ხელი გადაუსვა, მერე კი ღირსეულად და საზეიმო გამომეტყველებით გავიდა ეზოში. ტანი გაშეშებული ჰქონდა, თვალები დაეხარა და ისე ნელა მიდიოდა, გეგონებოდათ, არ მოძრაობსო.

ასე მივიდა ინგმართან და ხელი ჩაავლო.

– გილოცავ, ინგმარ, – თქვა ქალმა და სიხარულისგან ხმა აუკანკალდა. – მართალია, ერთმანეთს დავუპირისპირდით, მაგრამ თუკი ღმერთმა ის სიხარული არ მომანიჭა, რომ ჩვენთან ერთად ყოფილიყავი, იმისთვის მაინც ვწირავ მადლობას, რომ ჩვენი ძველი კარ-მიდამოს მფლობელი გაგხადა.

ინგმარმა არაფერი უპასუხა. მისი ხელი დუნედ იდო კარინის ხელში და, როცა დამ ხელი გაუშვა, ბიჭი ისევ ისეთი დამწუხრებული იდგა, როგორიც მთელ დღეს იყო.

მამაკაცები, რომლები ვაჭრობაში მონაწილეობდნენ, გარეთ გამოვიდნენ, ინგმარს ხელი ჩამოართვეს და მიულოცეს.

– ინგმარ ინგმარშონ, ბედნიერებას გისურვებთ შენს მამულში! – თქვეს მათ.

ბიჭის სახეზე წამით სიხარულმა გაიელვა და მან თავისთვის ჩუმად ჩაიბუტბუტა: „ინგმარ ინგმარშონი ინგმარის კარ-მიდამოდან“ და იმ ბავშვს დაემსგავსა, დიდი ხნის ნანატრი საჩუქარი რომ მიიღო, მაგრამ მერე ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს უნდოდა, ნაბოძები ბედნიერება ზიზღით უკუეგდო.

ახალი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ეზოს. ხალხი ხმამაღლა და აღელვებით ლაპარაკობდა და კითხვებს სვამდა. რამდენიმეს სიხარულისგან თვალზე ცრემლიც მოადგა.

აუქციონის წამყვანს აღარავინ უსმენდა. ყველანი ინგმარს მისცვივდნენ და ულოცავდნენ – გლეხებიც და ბატონებიც, ნაცნობებიც და უცნობებიც.

გახარებული თანასოფლელებით გარშემორტყმულმა ინგმარმა უეცრად თავი ასწია და დედილო სტინას მოჰკრა თვალი, რომელიც განზე გამდგარიყო და მას შეჰყურებდა. ძალზე გაფითრებული იყო და მობერებული და საწყალი სახე ჰქონდა. როდესაც მისი და ინგმარის თვალები ერთმანეთს შეხვდა, ქალი შებრუნდა და შინისაკენ გაეშურა.

ინგმარმა თავი გაითავისუფლა და სტინას დაეწია, მისკენ დაიხარა და დარდისაგან

ათრთოლებულმა, ხრინწიანი ხმით თქვა:

– გერტრუდთან წადით, დედილო სტინა, და უთხარით, რომ ვუღალატე და კარ-მიდამოს გამო თავი გავყიდე! სთხოვეთ, აღარასოდეს იფიქროს ისეთ ნაძირალაზე, როგორიც მე ვარ!

14. გერტრუდი

გერტრუდის თავს რაღაც უცნაური ხდებოდა, რასაც ვერაფერს უხერხებდა, რაც თანდათან იზრდებოდა და მის დაუფლებას აპირებდა.

ეს მაშინ დაიწყო, როდესაც გერტრუდმა შეიტყო, რომ ინგმარმა უღალატა – გოგონა საშინელმა შიშმა შეიპყრო, რომ სადმე ინგმარს ნახავდა: უეცრად გზაზე, ეკლესიაში ან კიდევ სადმე სხვაგან გადაეყრებოდა. არ იცოდა, ეს ასეთი შემზარავი რატომ იყო, თუმცა გრძნობდა, რომ ამას ვერ გადაიტანდა.

გერტრუდი სიხარულით გამოიკეტებოდა შინ დღისითაც და ღამითაც, რათა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ბიჭს ვერსად გადააწყდებოდა, მაგრამ მისნაირი ღარიბი გოგონასთვის ეს შეუძლებელი იყო. ბაღში უნდა ემუშავა, იძულებული იყო, ძროხების მოსაწველად დღეში რამდენჯერმე გაევლო გრძელი გზა საძოვრამდე და შაქრის, ფქვილის თუ სხვა საოჯახო საქონლის საყიდლად დუქანშიც ხშირად აგზავნიდნენ.

გზაზე გამოსული გერტრუდი თავსაფარს სახეზე ჩამოიწევდა, მიწას თვალს არ აცილებდა და ისე მიქროდა, თითქოს მოჩვენება მოსდევსო. თუკი შესაძლებელი იყო, შარაგზიდან გადაუხვევდა ხოლმე და თხრილების და მინდვრების გასწვრივ ვიწრო ბილიკებს მიუყვებოდა, სადაც ინგმართან შეხვედრის საშიშროება ნაკლებად იყო.

თუმცა გოგონას შიში მუდამ თან სდევდა. არ არსებობდა ისეთი ადგილი, სადაც ინგმარის ნახვის საფრთხე არ ემუქრებოდა. თუ მდინარეზე ნავში ნიჩბებს უსვამდა, ამ დროს შეიძლებოდა ინგმარს მორები დაეცურებინა და, თუ უღრან ტყეში მიიპარებოდა, შესაძლოა იქაც სამუშაოზე მიმავალ, მხარზე ნაჯახგადებულ ინგმარს შეჩეხებოდა, მისი დანახვა კი ისე გაუჭირდებოდა, ამას ვერ გადაიტანდა.

ბაღში, როდესაც გერტრუდი კვლებს მარგლავდა, დროდადრო თავს სწევდა, რომ გზაზე მომავალი ინგმარისთვის შორიდანვე მოეკრა თვალი და გაქცევა მოესწრო.

გოგონა სიმწრით ფიქრობდა იმაზე, რომ ინგმარს მის კარ-მიდამოში ასე კარგად იცნობდნენ. ძაღლი არც კი დაუყეფებდა, მისი მტრედები კი, ქვიშიან ბილიკზე რომ დაგოგმანებდნენ, ინგმარის დანახვაზე არ დაფრთხებოდნენ და გერტრუდს ფრთების შრიალით არ გააფრთხილებდნენ.

გერტრუდის შიში კი არ მცირდებოდა, პირიქით, დღითი დღე მატულობდა. მთელი მისი მწუხარება შიშმა ჩაანაცვლა. მასთან გამკლავება კი სულ უფრო უჭირდა. „მალე ის დღეც დადგება, როცა გარეთ გასვლასაც ვერ გავბედავ,“ ფიქრობდა იგი. „ალბათ, ახირებული და მარტოსული გავხდები, თუ მთლად არ გავგიჟდი.“

– ღმერთო, ღმერთო, ამ შიშისაგან დამიხსენი! ჩემი მშობლების სახეებზე ვკითხულობ, რომ უკვე ნახევრად შეშლილი ვგონივართ. იმასაც ვხედავ, რომ ვისაც ვხვდები, ყველა ასე ფიქრობს. ოჰ, უფალო, დამეხმარე!

ერთ ღამეს, სწორედ იმ ხანებში, როცა გერტრუდის შიშმა მწვერვალს მიაღწია, გოგონამ უცნაური სიზმარი ნახა. ეზმანა, რომ შუადღისას სათლით ხელში ძროხების მოსაწველად მიდიოდა. ძროხები შორს, ტყისპირა მინდორში ბალახობდნენ და გერტრუდი იქითკენ ვიწრო ბილიკებით მიეშურებოდა, რომლებიც თხრილებს და ყანის პირებს გასდევდნენ. ესიზმრებოდა, რომ სიარული უჭირდა, ისეთი დაღლილი და ღონემიხდილი იყო, ფეხებს ძლივს მიათრევდა.

– ნეტავ რა მემართება? სიარული ასე რატომ მიჭირს? – იკითხა მან სიზმარში, მერე კი საკუთარ თავს პასუხი გასცა:

– ასე იმიტომ დაიქანცე, რომ ზურგზე მწუხარების მძიმე ტვირთი გაწევს.

ბოლოს, როგორც იქნა, მოეჩვენა, რომ მინდორს მიაღწია, მაგრამ იქ მისულს ძროხები აღარ დახვდა. გერტრუდს ძალიან შეეშინდა და ყველგან ეძება, სადაც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, თუმცა ძროხებს ვერც ფიჩხნართან მიაგნო, ვერც ნაკადულთან და ვერც არყის ხეების ქვეშ. ძებნისას შენიშნა, რომ ღობე ტყის მხარეს გარღვეულიყო და, პირველი, რაც თავში მოუვიდა, ის იყო, რომ ძროხები აქედან გავიდნენ. დანაღვლიანებული და სასოწარკვეთილი გერტრუდი იდგა და ხელებს

იმტვრევდა.

– ისეთი გასავათებული ვარ, ახლა კი ამხელა ტყეში უნდა ვიხეტიალო და ძროხები ვეძებო! – მოთქვამდა იგი, თუმცა ტყეში მაინც შევიდა და ფრთხილად გაიკვლია გზა ტანდაბალ ნაძვებსა და ეკლიან ღვიის ბუჩქებს შორის. სულ მალე კი ტყის სწორ ბილიკზე გავიდა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, იქ როგორ მოხვდა. ბილიკი ნაძვის ყავისფერ წიწვებს დაეფარა, ამიტომაც რბილი და ოდნავ სრიალა იყო, მის გვერდით ტანმაღალი ნაძვები იყო ჩარიგებული, ხოლო ხეების ქვეშ ყვითელ ხავსზე მზის ათინათი კრთოდა. გარშემო ისეთი სილამაზე და სიმშვიდე სუფევდა, რომ გერტრუდის შიში სადღაც გაქრა.

უცებ გოგონამ ხეებს შორის მოხუც ქალს მოჰკრა თვალი. ეს ფინ მარიტი იყო, რომელზეც ამბობდნენ, რომ ჯადოს გაკეთება შეეძლო. „რა საშინელებაა, ეს ბებერი კუდიანი კიდევ ცოცხალი ყოფილა და მაინცდამაინც მე გადამეყარა ტყეში,“ გაიფიქრა გერტრუდმა და ფეხაკრეფით განაგრძო გზა, რომ დედაბერს ვერ შეემჩნია, მაგრამ ქალმა სწორედ მაშინ დაინახა, როცა გოგომ გვერდით ჩაუარა.

– ეი, შენ, დაიცადე და რაღაცას გაჩვენებ! – დაუძახა მოხუცმა და თვალის დახამხამებაში მის წინ მუხლებზე დაეცა, წიწვებში საჩვენებელი თითით წრე შემოხაზა და წრის შუაში თითბრის ბრტყელი თასი დადო. „ეტყობა, ჯადოს გაკეთებას აპირებს,“ გაუელვა გერტრუდს, „მართალი ყოფილა, რომ ამბობდნენ, მოჯადოება შეუძლიაო!“

– თასში ჩაიხედე და შეიძლება რამე დაინახო! – თქვა ფინ მარიტმა.

გერტრუდმა ჩაიხედა და შეკრთა. მკაფიოდ დაინახა თასის ფსკერზე აღბეჭდილი ინგმარის სახე. ამ დროს მოხუცმა ხელში გრძელი ნემსი ჩასჩარა.

– აი, ეს აიღე და თვალები ამოჩიჩქნე! ამის ღირსია იმიტომ, რომ გიღალატა!

გერტრუდი შეყოყმანდა, თუმცა ამის ჩადენის უცნაური სურვილი დაეუფლა.

– რატომ უნდა ცხოვრობდეს მდიდრულად და ბედნიერად, როცა შენ ასე იტანჯები? – ჰკითხა ქალმა.

გერტრუდს დაუოკებელი სურვილი გაუჩნდა, რომ კუდიანს დამორჩილებოდა და ნემსი ძირს დახარა.

– ეცადე, შიგ თვალებში მოახვედრო! – უთხრა ქალმა.

გერტრუდმა ორჯერ სწრაფად უჩხვლიტა ნემსი ინგმარს თვალებში, მაგრამ ამ დროს შენიშნა, რომ ნემსი ღრმად ჩაერჭო, თითქოს იქ თითბრის ზედაპირი კი არა, რაღაც რბილი დახვედროდეს და, როცა ნემსი ამოიღო, ის გასისხლიანებული იყო.

ამის დანახვაზე გერტრუდმა იფიქრა, ინგმარს თვალები მართლა ამოვჩიჩქნეო და ისეთმა სინდისის ქენჯნამ შეიპყრო და ისე ხმამაღლა დაიყვირა, რომ გამოეღვიძა.

გერტრუდი დიდხანს იწვა, ცახცახებდა და იქამდე ტიროდა, ვიდრე დარწმუნდებოდა, რომ ეს სიზმარი იყო.

– უფალო, შემეწიე, უფალო, შემიწყალე იმის გამო, რომ შურისძიება განვიზრახე! – ქვითინებდა იგი, მაგრამ დამშვიდება და ჩაძინება ძლივს მოასწრო, რომ იგივე სიზმარი ნახა.

ისევ იმ საძოვრისკენ მიმავალ ბილიკებს გაუყვა, ძროხებიც ისევ დაკარგა და მათ მოსაძებნად ტყეში შევიდა, მერე კი კვლავ იმ ლამაზ გზაზე გავიდა, სადაც ხავსზე მზის სხივები იყო დაფენილი და მოაგონდა, ახლახან სიზმარში რაც გადახდა. ეშინოდა, ისევ იმ კუდიანს არ გადავეყაროო და უხაროდა, რომ იგი არსად ჩანდა.

უეცრად მიწა მის წინ ორად გაიყო და ნაპრალიდან ჩია კაცის თავი გამოჩნდა, რომელიც ზემოთ ამოსვლას ცდილობდა, თან რაღაცას ბზუოდა. გერტრუდი მიხვდა, რომ ეს შეშლილი, ბზუილა პეტერი იყო. იგი სოფელში ცხოვრობდა, თუმცა ზაფხულს ტყეში, მიწურში ატარებდა ხოლმე.

გერტრუდს მყისვე გაახსენდა, რას ამბობდნენ ბზუილა პეტერზე – ისინი, ვისაც უნდოდა, თავის მტრებს სხვისი ხელით გასწორებოდა, ამისათვის ბზუილა პეტერს იყენებდნენ. ეჭვობდნენ, რომ მას სხვების დავალებით ბევრი სახლ-კარი გადაეწვა.

გერტრუდი კაცთან მივიდა და ვითომ ხუმრობით ჰკითხა, ინგმარის კარ-მიდამოს გადაწვას ხომ არ აპირებ, მინდა, ეს გააკეთო, რადგან ინგმარ ინგმარშონი თავის მამულზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე ჩემზეო.

მისდა საუბედუროდ, შეშლილმა ეს განზრახვა მაშინვე აიტაცა. გახარებულმა თავი დაუქნია ქალს და სოფლისკენ დაეშვა. გერტრუდი გაეკიდა, მაგრამ ვერ დაეწია. გზად ნაძვის ტოტები ეღობებოდა, ჭაობში ფეხი ეფლობოდა და ქვებზე ბორძიკობდა. ბოლოს ტყის პირას გამოვიდა და ხეებს შორის ცეცხლის ანარეკლი შენიშნა. „ეს უკვე ჩაიდინა, მამულს ცეცხლი წაუკიდა!“ გაიფიქრა მან და ამ კოშმარულმა ხილვამ ისევ გამოაღვიძა.

გერტრუდი საწოლში წამოჯდა. ლოყებზე ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა და იმის შიშით, ისევ რამე არ დამესიზმროსო, დაწოლას ვეღარ ბედავდა.

– ღმერთო, მიხსენი! ღმერთო, მიხსენი! – იმეორებდა იგი. – არც კი ვიცი, ჩემში რამდენი ბოროტებაა, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, რომ ინგმარზე შურისძიება გულშიც არ გამივლია. უფალო, ამ ცოდვაში ნუ ჩამაგდებ!

– დარდი სახიფათოა! – ყვიროდა სასოწარკვეთილი გერტრუდი და ხელებს იმტვრევდა. – დარდი სახიფათოა! დარდი სახიფათოა!

გოგონა ხეირიანად თავადაც ვერ ხვდებოდა, ამით რისი თქმა სურდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მისი საბრალო გული გაჩანაგებულ ბაღს ჰგავდა, სადაც დარდი მებაღესავით დაეხეტებოდა და ეკლიან ნარშავს და შხამიან ყვავილებს რგავდა.

მთელი დილა გერტრუდს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ისევ სიზმარში იყო. ბოლომდე ვერ გამოფხიზლებულიყო, რადგან ზმანება ისე ჩაებეჭდა გონებაში, რომ ვერაფრით ივიწყებდა. როდესაც აგონდებოდა, რა სიხარულით ჩაარჭო ინგმარს ნემსი თვალებში, ფიქრობდა: „რა საშინელებაა. ნუთუ ასეთი შურისმაძიებელი და ღვარძლიანი ვყოფილვარ? არ ვიცი, ბოროტებას და ბიწიერებას თავი როგორ დავაღწიო.“

შუადღისას გერტრუდმა სათლი აიღო და ძროხების მოსაწველად გაეშურა. ჩვეულებისამებრ, მოსახვევი სახეზე ჩამოეფარებინა და მიწას თვალს არ აშორებდა. სწორედ იმ ბილიკებს მიუყვებოდა, სიზმარში რომ ნახა და გზისპირა ყვავილებიც კი ეცნო. იმ უცნაურ ნახევრად სიფხიზლეში ხეირიანად ვერ არჩევდა, რომელი იყო სინამდვილე და რომელი – მისი წარმოსახვის ნაყოფი.

საძოვარს რომ მიაღწია, სიზმარმა ისევ შეახსენა თავი, რადგან ძროხები ვერ დაინახა და მათ ძებნას ისევე შეუდგა, როგორც ესიზმრა: ნაკადულთან, არყის ხეების ქვეშ, ფიჩხნარში. ვერსად ვერ იპოვა, თუმცა გრძნობდა, რომ ძროხები სადღაც იქვე იყვნენ და, ბოლომდე გამოღვიძებული რომ ყოფილიყო, დაინახავდა კიდევაც.

მალე გერტრუდმა გარღვეულ ღობეს მოჰკრა თვალი, მიხვდა, საქონელი სწორედ აქედან გავიდოდაო და ძებნა განაგრძო. ძროხის ჩლიქებს ტყის რბილ ნიადაგზე ღრმა ნაკვალევი დაეტოვებინა, გოგონა სწორედ ამ ნაკვალევს გაჰყვა და მალე შორეული საძოვრისკენ მიმავალ გზაზე გავიდა.

– ოჰ, ახლა კი მივხვდი, სადაც არიან! – წამოიძახა გერტრუდმა. – გამახსენდა, რომ ლიკგორდელები დილით საქონლის საძოვარზე გარეკვას აპირებდნენ. ჰოდა, ჩვენმა ძროხებმა ზანზალაკების ჟღარუნი რომ გაიგონეს, ალბათ, ხმას გაჰყვნენ და ტყეში ავიდნენ.

მღელვარებამ გოგონა გამოაფხიზლა და თავისი ძროხების ჩამოსაყვანად საძოვარზე ასვლა გადაწყვიტა, თორემ ვინ იცის, საქონელი შინ როდის დაბრუნდებოდა, ამიტომაც იგი სწრაფად აუყვა ციცაბო, ქვიან ბილიკს. ცოტა ხანს აღმართზე მიდიოდა, მერე კი უეცრად გზამ მკვეთრად მოუხვია და გერტრუდის წინ სწორი, წიწვებით მოფენილი ბილიკი გადაიჭიმა.

გოგონამ სიზმარში ნანახი გზა იცნო. იგივე მაღალი ხეების ქვეშ, მოყვითალო ხავსზე ისეთივე მზის ათინათები თამაშობდა. გერტრუდი ამის დანახვაზე ისევ ბურანში ჩაიძირა და ლამის დაიჯერა, რომ თავს რაღაც ზებუნებრივი გადახდებოდა. ნაძვებს მისჩერებოდა, რომ სადმე იმ უცნაურ ქმნილებებს არ გადაჰყროდა, უღრან ტყეში რომ დაძრწოდნენ. არავინ ჩანდა, თუმცა გერტრუდს ახირებული აზრები აეკვიატა: „რა მოხდებოდა, ინგმარზე რომ შური მეძია? იქნებ მაშინ შიშისგან და სიგიჟისგან თავი დამეღწია? ინგმარი თუ ჩემსავით დაიტანჯებოდა, იქნებ შვება მეგრძნო?“

ლამაზი ბილიკი დაუსრულებლად გრძელი მოეჩვენა. უკვე მთელი საათი გავიდა და გერტრუდი გაოცებული იყო, რომ უჩვეულო არაფერი ხდებოდა. ბოლოს ბილიკმა ხასხასა ბალახით და ფერადი ყვავილებით მოფენილ წარმტაც ტყის მდელოზე გაიყვანა. მდელოს ერთ მხარეს ფრიალო კლდე აღმართულიყო, დანარჩენი სამი მხრიდან კი მაღალი ხეები შემოჯარვოდა – დიდ, თეთრყვავილედებიანი ცირცელი, არყის ხე და მურყანი. კლდიდან ფართო და წყალუხვი ნაკადული გადმოჩქეფდა, რომელიც მდელოზე მიედინებოდა, მერე კი ჯუჯა ხეებით და ბუჩქებით გაბარდულ ნაპრალში ეშვებოდა.

გერტრუდი შეჩერდა. ადგილი მაშინვე იცნო. ამ ნაკადულს შავ წყალს ეძახდნენ და მის შესახებ განსაცვიფრებელ ამბებს ყვებოდნენ. ნაკადულზე გადასვლისას ბევრს ჰქონია უცნაური ხილვა. ერთმა ბიჭმა, წყალზე გადასვლისას, საქორწინო პროცესია დაინახა, რომელიც სოფლის ეკლესიისკენ ეშვებოდა, ერთმა მენახშირემ კი ცხენზე ამხედრებული მეფე იხილა, რომელიც თავზე გვირგვინით და სამეფო კვერთხით ხელში საკუთარ კორონაციაზე მიეშურებოდა.

გერტრუდს გული ყელში მოებჯინა.

– უფალო, შენ დამიფარე იმისაგან, რაც ახლა უნდა ვნახო! – ძლივს წაილუღლუღა მან და ლამის იყო, უკან დაბრუნება დააპირა.

– კი მაგრამ, მე უბედურმა გზა ხომ უნდა განვაგრძო, ძროხები რომ ვიპოვო! – დაიჩივლა გოგონამ.

– ღმერთო, რამე საშინელებას ნუ დამანახებ და განსაცდელს ნუ მომივლენ! – შეევედრა იგი და მღელვარებისგან ხელები ერთმანეთს გადააჭდო.

ისეთი დარწმუნებული იყო, რომ რაღაცას დაინახავდა, ნაკადულის ბრტყელ ქვებზე გაუბედავად მიაბიჯებდა.

ნახევარი გზა რომ გაიარა, გერტრუდმა ნაკადულის მეორე ნაპირზე, ტყის სიღრმეში მოძრავი არსება შეამჩნია. თუმცა ეს საქორწინო პროცესია კი არა, ვიღაც კაცი იყო, რომელიც ნელი ნაბიჯით მოდიოდა მდელოსკენ.

მაღალ, ახალგაზრდა მამაკაცს თავით ფეხამდე შავები ეცვა. მოგრძო, ლამაზი სახე ჰქონდა, თავშიშველი იყო და გრძელი, შავი კულულები მხრებზე სცემდა.

უცნობი პირდაპირ გერტრუდისკენ მოდიოდა. ნათელი, სხივიანი თვალები ჰქონდა და, როდესაც გოგონას შეაცქერდა, იგი მიხვდა, რომ კაცმა მისი სადარდებელი კარგად იცოდა. ისიც შენიშნა, რომ უცნობს შეებრალა გოგონა, რომელსაც ამქვეყნიური, წვრილმანი უსიამოვნების შიშით გონება დაბნელებოდა, რომლის სულიც შურისძიებას დაესნეულებინა, გულს კი ნარშავი და შხამიანი ყვავილები გაეხარებინა.

კაცი რაც უფრო უახლოვდებოდა, გერტრუდი გრძნობდა, როგორ ეუფლებოდა ნეტარება და სიმშვიდე, ხოლო როდესაც გვერდით ჩაუარა, მისი დარდი და გულისწყრომა სადღაც გაუჩინარდა, თითქოს სნეულებისგან განიკურნა და ჯან-ღონით აივსო.

გერტრუდი დიდხანს არ დაძრულა ადგილიდან. ხილვა გაქრა, თუმცა ნეტარებაში ჩაძირული გოგონა ისევ იქ იდგა. უკან რომ მიიხედა, ვეღარაფერი დაინახა, მაგრამ ნანახისგან ჯერაც გონს ვერ მოსულიყო. აღტყინებულმა, ხელები ერთმანეთს გადააჭდო და მაღლა აღმართა.

– იესო ვიხილე! – აღტაცებით წამოიძახა გოგონამ. – იესო ვიხილე, ჩემი დარდი თან წაიყოლა. მე მიყვარს იგი და ამქვეყნად სხვას ვეღარავის შევიყვარებ.

ყველა საზრუნავი არარაობად მოეჩვენა, სიცოცხლის გრძელი წლები – წამიერად, მიწიერი ბედნიერება კი უფერული და უმნიშვნელო გახდა.

გერტრუდი უეცრად მიხვდა, რაც უნდა ექნა.

იმისათვის, რომ შიშის ჭაობში აღარასოდეს ჩაფლულიყო, ბოროტების ჩადენისა და შურისძიების ცდუნება არ დაუფლებოდა, აქაურობა უნდა მიეტოვებინა და ჰელგუმელებს გაჰყოლოდა იერუსალიმში.

ეს აზრი გერტრუდს მაშინ მოუვიდა, როცა იესომ გვერდით ჩაუარა. ეგონა, ეს მან ჩააგონა და მის თვალებში ამოიკითხა.

ივნისის მშვენიერ დღეს, როდესაც ბერგერ სვენ პერშონი თავისი ქალიშვილისა და ინგმარ ინგმარშონის ქორწილს იხდიდა, დილაუთენია საქორწილოდ მომზადებულ მამულში ახალგაზრდა ქალი მოვიდა და სასიძოსთან შეხვედრა ითხოვა. სტუმარი მაღალი და ტანადი იყო, თავსაფარი ისე წამოეწია წინ, რომ მხოლოდ ყირმიზი ღაწვები და ვარდისფერი ტუჩები მოუჩანდა. ხელში კალათი ეჭირა, სადაც შინ დამზადებული ყაითნების და თმის მოსართავების პატარა ფუთები ეწყო.

ქალმა თავისი სათხოვარი მოხუც მოახლეს უთხრა, რომელიც ეზოში შეეგება. ისიც შინ შევიდა და დიასახლისს მოეთათბირა. დიასახლისმა მყისვე უპასუხა:

– გადაეცი, რომ ინგმარ ინგმარშონი უკვე ეკლესიაში მიდის და მასთან სალაპარაკოდ არ სცალია!

როგორც კი უცნობმა ეს პასუხი მოისმინა, მაშინვე ეზოდან გავიდა და მთელი დილა არავის

უნახავს, მაგრამ როცა მექორწილეები ეკლესიიდან დაბრუნდნენ, ისიც გამოჩნდა და ინგმარ ინგმარშონთან დალაპარაკება ითხოვა.

ამჯერად ქალმა სათხოვარი ახალგაზრდა მოჯამაგირეს დააბარა, რომელიც თავლის კართან ტრიალებდა. იგი ოჯახის უფროსთან მივიდა და სტუმრის თხოვნა გადასცა.

– უთხარი, რომ ინგმარ ინგმარშონი სწორედ ახლა საქორწილო სუფრასთან ჯდება და მასთან ლაპარაკის დრო არა აქვს! – თქვა მემამულემ.

ამ სიტყვების გაგონებაზე სტუმარმა ამოიოხრა, იქაურობას გაეცალა და მზის ჩასვლამდე არ მობრუნებულა. ახლა თხოვნა ბავშვს დააბარა, რომელიც ჭიშკარზე ქანაობდა. ბავშვი სახლში შევიდა და დანაბარები პატარძალს გადასცა.

– უთხარი, ინგმარ ინგმარშონი თავის ცოლს ეცეკვება და არ სცალია-თქო! – მიუგო მან.

ბავშვმა რომ უთხრა, რაც დააბარეს, უცნობს გაეღიმა და თქვა:

– ტყუილს ამბობ, ინგმარ ინგმარშონი ცოლთან არ იცეკვებს.

ქალი აღარსად წასულა და ჭიშკართან გაჩერდა. მალე პატარძალმა ინანა, ქორწილის დღეს ტყუილი რამ მათქმევინაო, ინგმართან მივიდა და უთხრა, ეზოში ვიღაც გელოდება და შენთან დალაპარაკება უნდაო.

ინგმარი გარეთ გამოვიდა და ჭიშკართან მომლოდინე გერტრუდი დაინახა.

გოგონა გზაზე გავიდა და ინგმარიც გაჰყვა. სანამ სახლს კარგა მანძილით არ დაშორდნენ, ხმა არც ერთს არ ამოუღია.

ინგმარს ამ ორიოდე კვირაში თითქოს ასაკი მომატებოდა. ყოველ შემთხვევაში, უწინდელზე ჭკვიანური და ფრთხილი გამომეტყველება ჰქონდა. გამდიდრების შემდეგ წელშიც უფრო მოხრილიყო და უფრო მოკრძალებულადაც გამოიყურებოდა, ვიდრე მაშინ, როცა არაფერი ებადა.

გერტრუდის ნახვა სულაც არ გახარებია. ყოველ ცისმარე დღე ცდილობდა, საკუთარი თავი დაერწმუნებინა, რომ გარიგებით კმაყოფილი იყო და თავისთვის ამბობდა, ჩვენთვის, ინგმარშონებისთვის, ჩვენს მამულში ხვნა-თესვა ყველაზე მთავარიაო.

გერტრუდის დაკარგვაზე მეტად ის ტანჯავდა, რომ არსებობდა ადამიანი, რომელსაც შეეძლო ეთქვა, რომ ინგმარმა მისთვის მიცემული პირობა არ შეასრულა და ახლა, მის გვერდით მიმავალი, მხოლოდ იმ დამცინავ სიტყვებზე ფიქრობდა, რომელთა თქმის უფლებაც გერტრუდს ჰქონდა.

გოგონა გზის პირას, ქვაზე ჩამოჯდა, კალათი ძირს დადო და თავსაფარი სახეზე კიდევ უფრო ჩამოიწია.

– ჩამოჯექი! – უთხრა მან ინგმარს და მეორე ქვაზე ანიშნა. – სალაპარაკო ბევრი მაქვს.

ინგმარი დაჯდა. უხაროდა, რომ ასე მშვიდად იყო. „ყველაფერი უკეთ არის, ვიდრე ველოდი,“ გაიფიქრა მან. „მეგონა, გერტრუდთან შეხვედრა და მისი მოსმენა გაცილებით ძნელი იქნებოდა. მეგონა, სიყვარული სრულიად დამჯაბნიდა.“

– ქორწილის დღეს არ უნდა შემეწუხებინე, მაგრამ იძულებული გავხდი, – დაიწყო გერტრუდმა. – აქედან მივდივარ და აღარასოდეს დავბრუნდები. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ წასასვლელად მზად ვიყავი, მაგრამ ისეთი რაღაც მოხდა, რამაც მაიძულა, გამგზავრება გადამედო და სწორედ დღეს დაგლაპარაკებოდი.

ინგმარი დუმდა და თავი მხრებში ისე ჩაემალა, თითქოს ქარიშხლის მოლოდინშიაო, თან ფიქრობდა, გერტრუდმა რაც არ უნდა თქვას, მაინც სწორად მოვიქეცი, მამული რომ ავირჩიე, მის დაკარგვას ვერ გადავიტანდი და სხვის ხელში რომ ჩავარდნილიყო, დარდისგან მოვკვდებოდიო.

– ინგმარ, – განაგრძო გოგონამ და ისე გაწითლდა, რომ ღაწვი, რომელიც თავსაფრიდან მოუჩანდა, სულ აუღაჟღაჟდა. – ალბათ, გახსოვს, რომ ხუთი წლის წინ ჰელგუმელებთან შეერთება განვიზრახე. მაშინ ჩემი გული ქრისტეს მივუძღვენი, თუმცა მერე უკან დავიბრუნე, რომ შენთვის მომეძღვნა. როგორც ჩანს, შეცდომა დავუშვი, ჰოდა, ასე ამიტომაც დავისაჯე. იმან, ვინც მიყვარდა, ისე მიღალატა, როგორც მე ვუღალატე ქრისტეს.

როგორც კი ინგმარმა გაიგო, რომ გერტრუდი ჰელგუმელებთან ერთად აპირებდა წასვლას, უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა და უარის ნიშნად უნებლიეთ თავი გააქნია. „ვერ ავიტან, ჰელგუმელებს რომ შეუერთდეს და უცხო ქვეყანაში გაემგზავროს,“ გაიფიქრა მან. ისე დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა, თითქოს ისევ მისი საქმრო ყოფილიყო.

– ასე ნუ ფიქრობ, გერტრუდ, – თქვა მან. – ეს უფლის სასჯელი არ ყოფილა.

– არა, ინგმარ, რასაკვირველია, სასჯელი კი არ ყოფილა, უფალს იმის დამტკიცება სურდა, რომ არჩევანში შევცდი. ეს სასჯელი არ არის! მე ხომ ისეთი ბედნიერი ვარ. აღარაფერი მინდა, გულიდან დარდი გადამეყარა. ნუთუ არ გესმის, ინგმარ, უფალმა თავად ამირჩია და მიმიხმო.

ინგმარი ჩუმად იჯდა, სახე გაქვავებოდა და გერტრუდის ნათქვამს გონებაში წონიდა. „რა სულელი ხარ," ლანძღავდა თავს, „უთხარი, გაემგზავროს! ერთმანეთს ზღვები და ქვეყნები დაგაშორებთ – ეს ხომ საუკეთესო გამოსავალია. ზღვები და ქვეყნები, ზღვები და ქვეყნები." მაგრამ რადგანაც მისი არსების ის ნაწილიც ძლიერი აღმოჩნდა, რომელსაც გერტრუდის გაშვება არ უნდოდა, ამიტომ ინგმარმა თქვა:

– ვერასოდეს მივხვდები, მშობლები მათი მიტოვების ნებას როგორ გაძლევენ.

– არც მომცემენ, – მიუგო გერტრუდმა, – ეს კარგად ვიცი, ამიტომაც თქმას ჯერ კიდევ ვერ ვბედავ. მამა ამას არასოდეს დათანხმდება. ალბათ, ძალასაც გამოიყენებს, ხელი რომ შემიშალოს. ყველაზე ძნელი კი ის არის, რომ მშობლებს უნდა გავეპარო. ჰგონიათ, ჩემი ყაითნების გასაყიდად დავდივარ და, ვიდრე გეტებორგში იერუსალიმის მომლოცველებს არ შევუერთდები და გემი ქვეყანას არ დატოვებს, ვერაფერს გაიგებენ.

ინგმარი ძალიან დააღონა იმან, რომ გერტრუდი მზად იყო, მშობლებისთვის ასეთი საშინელი ტკივილი მიეყენებინა. „ნუთუ არ ესმის, რომ ცუდად იქცევა?" გაიფიქრა მან, უნდოდა, ეს გერტრუდისთვისაც ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა. „უფლება არა გაქვს, გერტრუდს რამე უსაყვედურო, ინგმარ," შეახსენა თავს.

– დედა-მამა ძალიან მეცოდება, მაგრამ იესოს უნდა გავყვე. – გოგონას მხსნელის ხსენებაზე გაეღიმა. – მან ხომ ბოროტებისგან და სულით ავადმყოფობისგან მიხსნა. – მხურვალედ თქვა გერტრუდმა და ტაში შემოჰკრა, მერე კი, თითქოს გამბედაობა ახლაღა მოიკრიბაო, თავსაფარი უკან გადაიწია და ინგმარს თვალებში შეხედა. ბიჭს გულზე მოხვდა, რომ გერტრუდი მას იმ ხატებას ადარებდა, რომელიც თვალწინ ედგა და იგრძნო, რა პატარა და უმნიშვნელო იყო მისთვის.

– დედ-მამა მეცოდება, – გაიმეორა გერტრუდმა. მამა ისე მოხუცდა, რომ მალე სკოლიდან წამოვა და საარსებო სახსარიც მოაკლდებათ. თანაც უმუშევრად დარჩენილს ხასიათი გაუფუჭდება. დედასაც გაუჭირდება მასთან ცხოვრება. ისხდებიან და იგლოვებენ. მე რომ შინ დავრჩენილიყავი და გამემხნევებინა, ასე არ იქნებოდა.

გერტრუდმა შეისვენა, თითქოს ყოყმანობდა, ლაპარაკი განეგრძო თუ არა, ინგმარმა კი იგრძნო, რომ სადაცაა აქვითინდებოდა. მიხვდა, გოგოს უნდოდა, მისთვის ეთხოვა, ჩემს მოხუც მშობლებს მიხედეო. „მეგონა, ჩემს გასაკიცხად და დასაცინად მოვიდა, სინამდვილეში კი თურმე როგორ მენდობა!"

– თხოვნა რა საჭიროა, გერტრუდ, – თქვა ინგმარმა. – დიდ პატივს სდებ კაცს, რომელმაც გიღალატა. შენს მოხუც მშობლებზე უკეთ ვიზრუნებ, ვიდრე შენზე ვზრუნავდი.

ინგმარს ხმა უკანკალებდა, სახეზე კი კეთილგონიერების ნასახიც აღარ ეტყობოდა. „რა კარგად მექცევა!" გაიფიქრა მან. „ამას მხოლოდ მშობლების გამო კი არ მთხოვს, იმის დამტკიცებაც უნდა, რომ მაპატია."

– ჰო, ინგმარ, ვიცოდი, რომ უარს არ მეტყოდი, ახლა კი სხვა რამეც უნდა გითხრა. – გერტრუდის ხმა უფრო მკაფიოდ და მხიარულად აჟღერდა. – შენთვის დიდი საჩუქარი მაქვს.

„რა ლამაზად ლაპარაკობს!" გაიფიქრა უეცრად ინგმარმა. „ასეთი ტკბილი, ხალისიანი და წკრიალა ხმა არასოდეს გამიგონია!"

– რვა დღის წინ შინიდან წავედი, ჰელგუმელების დასახვედრად გეტებორგში ვაპირებდი წასვლას, ჰოდა, ღამე ბერისონას ქარხნის ახლოს, ერთი ღატაკი მჭედლის ქვრივთან გავათიე. მას მარია ბუვინგი ჰქვია. ეს სახელი დაიმახსოვრე, ინგმარ, და თუ გაუჭირდება, დაეხმარე.

„რა ლამაზია!" ფიქრობდა ინგმარი, თან გერტრუდს თავს უქნევდა და ჰპირდებოდა, მარია ბუვინგის სახელს დავიმახსოვრებო. „რა მშვენიერია! რა მეშველება, თუკი ვეღარასოდეს ვნახავ? ღმერთო, შენ მიშველე, ნუთუ შევცდი, ძველი მამულის გამო რომ მასზე უარი ვთქვი?! განა მინდვრები და ტყეები ადამიანის მაგივრობას გამიწევს? განა შეუძლიათ, გამიღიმონ, როცა ბედნიერი ვიქნები ან მანუგეშონ, როცა დარდი შემომაწვება? ამქვეყნად არაფერია ისეთი, რაც საყვარელი ადამიანის დაკარგვას აგინაზღაურებს."

– მარია ბუვინგს სამზარეულოს გვერდით პატარა ოთახი აქვს, სადაც მომათავსა, – განაგრძო

გერტრუდმა, – „აი, ნახავ, ამაღამ რა ტკბილად დაგეძინება," მითხრა მან, „ინგმარის მამულის აუქციონზე ნაყიდი ქვეშაგები გაგიშალე." როგორც კი დავწექი, თავქვეშ, ბალიშში რაღაც უცნაური, ქვასავით მაგარი ნივთი ვიგრძენი. ვიფიქრე, ეტყობა, მარიას არც ისე კარგი ქვეშაგები აურჩევია-მეთქი, მაგრამ მთელი დღის ხეტიალმა ისე დამქანცა, რომ ჩამეძინა. შუაღამისას გამომეღვიძა და ბალიში შევატრიალე, რომ თავი კარგად დამედო. ამ დროს მივხვდი, რომ საგანი შუაზე ტლანქად იყო გადახვეული, შიგ კი რაღაც ქაღალდივით შრიალებდა. „ქვებზე ხომ არ დავიძინებ," გავიფიქრე მე და შევეცადე, ის რაღაც ბალიშიდან გამომეძრო. ჰოდა, შეკრულა გამოვიღე, რომელიც საგულდაგულოდ იყო გახვეული და ბაწრით შეკრული.

გერტრუდი წამით დადუმდა და ინგმარს გახედა, ყურს მიგდებს თუ არაო, მაგრამ ბიჭი უყურადღებოდ უსმენდა. „ლაპარაკს რა ლამაზად აყოლებს ხელს,! ასეთი ნარნარი მოძრაობები არასოდეს მინახავს, მასავით მსუბუქად სიარულიც არავის შეუძლია. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, ადამიანებს ყველაფერზე მეტად ადამიანები უყვართო. თუმცა მაინც მგონია, რომ სწორად მოვიქეცი, რადგან მხოლოდ ჩემს კარ-მიდამოს კი არა, მთელ თემს ვჭირდებოდი." გაიფიქრა ინგმარმა, მაგრამ სასოწარკვეთილმა შენიშნა, რომ უკვე ასე იოლად ვეღარ დაირწმუნებდა თავს, გერტრუდს მამული მირჩევნიაო.

– შეკვრა საწოლთან დავდე და დავაპირე, მეორე დღეს მარიასთვის მეჩვენებინა, – განაგრძობდა გერტრუდი, – მაგრამ როდესაც გათენდა, შევნიშნე, რომ გარედან შენი სახელი ეწერა. კარგად დავათვალიერე და გადავწყვიტე, თან წამომეღო და შენთვის მომეცა ისე, რომ ამის შესახებ არც მარიასთვის და არც არავისთვის არაფერი მითქვამს. აი, აგერ მაქვს, ინგმარ. ეს შენი საკუთრებაა.

გერტრუდმა კალათის ძირიდან მომცრო შეკვრა ამოაძვრინა და ინგმარს გადასცა, თან თვალს ადევნებდა, თითქოს ელოდა, რომ ბიჭს ძალზე გაახარებდა.

ინგმარმა დაუფიქრებლად გამოართვა საჩუქარი. ცდილობდა, თავი დაეღწია მწარე სინანულისათვის, ნელ-ნელა რომ იპყრობდა.

„ნეტავ გერტრუდმა იცოდეს, რა საზიფათოა, როდესაც ასეთი ნაზი და კეთილია! უკეთესი იქნებოდა, ჩემს გასალანძღად მოსულიყო! ეგ უფრო გამახარებდა, ახლა კი რა გამოვიდა? გეგონება, გერტრუდი მადლობელია, რომ ვუღალატე. ამას კი ვერ ავიტან!"

– ინგმარ, – გერტრუდი შეეცადა, ბიჭი ბოლოს და ბოლოს მიეხვედრებინა, რომ ძალზე მნიშვნელოვანი სათქმელი ჰქონდა, – იცი, რა ვიფიქრე? როდესაც ელიასი შენს სახლში ლოგინად იყო ჩავარდნილი, თავი ამ ბალიშზე ედო-მეთქი.

მან ინგმარს შეკრულა გამოართვა და გაშალა. ბიჭს ახალი, ტკიცინა ბანკნოტების შრიალი მოესმა, მერე გერტრუდმა ოცი ათასკრონიანი ბანკნოტი გადათვალა და ინგმარს თვალებთან მიუტანა:

– შეხედე, ინგმარ, აი, შენი მემკვიდრეობა. ელიასს ფულის შეკვრა ბალიშში ჰქონია დამალული.

ინგმარმა სიტყვები გაიგონა და ფულიც დაინახა, მაგრამ ეგონა, ბურანში ვარო. გერტრუდმა ფული გაუწოდა, მაგრამ ბიჭს ხელები არ ემორჩილებოდა და შეკვრა ძირს დავარდა. გერტრუდმა ფული აიღო და ინგმარს ჯიბეში ჩაუტენა. ბიჭი ადგა, მაგრამ იგრძნო, რომ მთვრალივით ბარბაცებდა. უცებ ხელი შემართა და ჰაერში ვიღაცას მუშტი სწორედ ისე მოუქნია, როგორც მთვრალებს სჩვევიათ.

– ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! – აღმოხდა მას.

უნდოდა, უფლისთვის რაღაც ეთქვა, უნდოდა, მისთვის ეკითხა, რატომ ვერ მიიღო ეს ფული უფრო ადრე, რატომ იპოვა ახლა, როცა აღარ სჭირდებოდა, როცა გერტრუდი უკვე დაკარგა. მერე კი მისი ხელები მძიმედ დაეშვა გერტრუდის მხრებზე.

– თურმე შურისძიება შეგძლებია.

– ნუთუ ამას შურისძიებას ეძახი? – ჰკითხა თავზარდაცემულმა ქალმა.

– აბა, რა დავუძახო? ფული მაშინვე რატომ არ მომიტანე?

– მინდოდა, ქორწილის დღეს დავლოდებოდი.

– ჩემს დაქორწინებამდე რომ მოსულიყავი, სვენ პერშონისგან მამულის გამოსყიდვას შევძლებდი და შენ შეგირთავდი.

– ჰო, ვიცოდი, რომ ასე მოიქცეოდი.

– მაგრამ სწორედ ქორწილის დღეს მოხვედი, როცა უკვე ძალზე გვიან იყო.

– სულ ერთია, მაინც გვიან იქნებოდა, ინგმარ. ერთი კვირის წინაც ძალიან გვიან იყო, ახლაც გვიანაა და ყოველთვის გვიან იქნება.

ინგმარი კვლავ ქვაზე დაეშვა, ხელები თვალებზე აიფარა და ამოიკვნესა.

– მეგონა, საშველი არ იყო! მეგონა, ვეღარაფერს შევცვლიდი! ახლა კი ვხედავ, გამოსავალი ყოფილა! ვხედავ, რომ შეგვეძლო ბედნიერები ვყოფილიყავით!

– ერთი რამ უნდა გაიგო, ინგმარ. როცა ფული ვიპოვე, მაშინვე მივხვდი, რომ ამ ფულს, როგორც შენ ამბობ, შენი ხსნა შეეძლო, თუმცა მე ვერ მიხსნიდა, რადგან სხვას ვეკუთვნი.

– ეგ ფული შენთვის უნდა შეგენახა! – წამოიძახა ინგმარმა. – ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს გულმკერდს მგელი ნაკუწ-ნაკუწ მიგლეჯდეს. როცა ვიცოდი, რომ მამულის დაბრუნება შეუძლებელი იყო, ვერაფერსაც ვერ ვგრძნობდი, მაგრამ ახლა ხომ ვიცი, რომ შენი შერთვა შემეძლო!

– აქ შენს გასახარებლად მოვედი, ინგმარ.

ამასობაში მექორწილეებმა მოთმინება დაკარგეს, კიბეზე გამოიშალნენ და ყვირილი მორთეს:

– ინგმარ! ინგმარ!

– ჰო, მართლა, იქ პატარძალი მელოდება, – სევდიანად თქვა ინგმარმა. – შენი ბრალია, გერტრუდ, რაც მოხდა! მე იმიტომ გიღალატე, რომ სხვა გამოსავალი არ მქონდა, შენ კი ეს ჩემს გასაუბედურებლად ჩაიდინე! ახლაღა მივხვდი, რას გრძნობდა მამა, როცა დედაჩემმა შვილი მოკლა!

და ბიჭი მწარედ აქვითინდა.

– არასოდეს მიგრძვნია შენს მიმართ ის, რაც ამ საღამოს ვიგრძენი, – მოთქვამდა იგი, – ასე არასოდეს მყვარებიხარ. რა ვიცოდი, რომ სიყვარული ასეთი მწარე და სასტიკი იყო!

გერტრუდმა ხელი ნაზად დაადო თავზე.

– შენზე შურისძიება არასოდეს მომსვლია აზრად, ინგმარ, მაგრამ ვიდრე მხოლოდ ამქვეყნიურ საზრუნავზე იფიქრებ, შენი გულიც მწუხარებით იქნება სავსე.

ინგმარი კიდევ დიდხანს სლუკუნებდა. როცა ბოლოს და ბოლოს თავი ასწია, გერტრუდი იქ აღარ იყო, სახლიდან კი მის მოსაძებნად გამოსული ხალხი მორბოდა.

ბიჭმა ხელი დასცხო ქვას, რომელზეც იქამდე იჯდა და სახეზე შეუპოვრობა და სიჯიუტე დაეტყო.

– მე და გერტრუდი კიდევ შევხვდებით, – ხმამაღლა წარმოთქვა მან, – და მაშინ ყველაფერი სხვანაირად იქნება. ჩვენ, ინგმარშონები, იმით ვართ ცნობილი, რომ მიზანს ყოველთვის ვაღწევთ.

15. პასტორის მოხუცი ქვრივი

ისიც უნდა მოგითხროთ, როგორ ცდილობდნენ ყველანი ჰელგუმელების დარწმუნებას, რომ არ გამგზავრებულიყვნენ. ბოლოს გეგონებოდათ, რომ მთა და ბარი ექოსავით იმეორებდა: „არ წახვიდეთ! არ წახვიდეთ!“

მებატონეებიც კი ცდილობდნენ, გლეხებისთვის ამ აზრზე უარი ეთქმევინებინათ. ბოქაული იქნებოდა თუ ლენსმანი, მათ მოსვენებას არ აძლევდა. ეკითხებოდნენ, იქნებ ის ამერიკელები თვითმარქვიები არიან, ხომ არ იცით, როგორი ხალხია, ვისაც უნდა შეუერთდეთო.

იმ ქვეყანაში, სადაც დალარნელები მიემგზავრებოდნენ, არც კანონები იყო და არც – წესრიგი, დღისით-მზისით ყაჩაღები დათარეშობდნენ; არც გზები იყო და ტვირთს ცხენს აჰკიდებდნენ ხოლმე, ისე, როგორც ფინეთის ტყეებში იცოდნენ.

ექიმმა უთხრა, იქაურ კლიმატს ვერ გადაიტანთ, თანაც იერუსალიმში ყვავილი და ცხელებაა მოდებულიო. ასე, რომ დალარნელები დასაღუპავად იყვნენ განწირულნი.

ჰელგუმელები პასუხობდნენ, ეს ყველაფერი ვიცით და იქ სწორედ ამიტომაც მივდივართო. იმისათვის მიემგზავრებოდნენ, რომ ყვავილს და ცხელებას შებრძოლებოდნენ, გზები გაეყვანათ, მიწა დაემუშავებინათ. უფლის ქვეყანაში მწირი მიწები აღარ უნდა ყოფილიყო, იქაურობა სამოთხედ უნდა გადაექციათ და ამ განზრახვაზე ხელს არ აიღებდნენ.

სოფელში, ეკლესიასთან პასტორის მოხუცი ქვრივი ცხოვრობდა. ძალიან მოხუცი იყო, ფოსტის შენობის დიდი მანსარდა ეკავა, რომელიც ეკლესიას გადაჰყურებდა. იქ პასტორის კარ-მიდამოდან გადმოსვლის შემდეგ დაბინავდა.

წესისამებრ, მდიდარი მემამულეების ცოლები კვირაობით, ეკლესიაში წასვლამდე ქვრივს მოინახულებდნენ ხოლმე და მისთვის ახლადგამომცხვარი პური, ცოტაოდენი კარაქი ან რძე მიჰქონდათ. მოხუცი მყისვე ცეცხლზე ყავადანს შემოდგამდა ხოლმე, ის ქალი კი, რომელსაც ყვირილი უკეთ ეხერხებოდა, მას საუბარს გაუბამდა, რადგან ქვრივი თითქმის ყრუ იყო. სტუმრები ცდილობდნენ, მისთვის კვირის ახალი ამბები მოეთხროთ, თუმცა ვერასოდეს ხვდებოდნენ, ნათქვამიდან რამეს იგებდა თუ არა.

ქვრივი ოთახიდან არასდროს გამოდიოდა და ხალხს ის კარგა ხნით ავიწყდებოდა ხოლმე. გამვლელი, რომელიც სქელი, თეთრი ფარდების მიღმა მის დაბერებულ სახეს მოჰკრავდა თვალს, ფიქრობდა: „მარტოხელა მოხუცის დავიწყება როგორ შეიძლება. ხვალ, ხბოს რომ დავკლავთ, მოვინახულებ და ცოტა ახალ ხორცსაც მივუტანო.“

ვერავინ იტყოდა, ქვრივმა თემში მომხდარი ამბებიდან რა იცოდა და რა – არა. ქალი სულ უფრო ბერდებოდა და ბოლოს აღარაფერი აღელვებდა, რაც გარე სამყაროში ხდებოდა. იჯდა და ძველ ქადაგებებს კითხულობდა, რომლებიც უკვე ზეპირად იცოდა.

ქვრივს ერთი ბებერი მოახლე ჰყავდა, რომელიც ჩაცმაში ეხმარებოდა და კერძებს უმზადებდა. ორივეს ეშინოდა ქურდების და ვირთხების და ხანძრის შიშით საღამოობით სანთლის ანთებასაც გადაჩვეოდნენ.

ზოგიერთი იმათგანი, ვინც შემდეგ ჰელგუმელი გახდა, ქვრივთან ადიოდა ხოლმე და მისთვის მცირედი მოსაკითხი მიჰქონდა, თუმცა მას მერე, რაც მოექცნენ და ყველას ჩამოშორდნენ, იგი აღარ მოუნახულებიათ. არავინ იცოდა, მიხვდა თუ არა ქალი, რატომ შეწყვიტეს მასთან სტუმრობა ან იერუსალიმში დიდი გადასახლებისთვის ყური თუ მოეკრა.

ერთ დღეს პასტორის ქვრივმა მოახლეს უბრძანა, ცხენები და ეტლი მომიყვანე, სადღაც უნდა წავიდეო.

უნდა გენახათ, მოხუცი მოახლე როგორ განცვიფრდა! მაგრამ როგორც კი წინააღმდეგობის გაწევა სცადა, ქალბატონმა ყურიც არ ათხოვა, მხოლოდ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი შემართა და თქვა:

– წასვლა მინდა, სარა ლენა. ცხენები და ეტლი მიშოვე.

სარა ლენასაც სხვა რა გზა ჰქონდა – ქალს დამორჩილდა. ეკლესიაში წავიდა და ხეირიანი ეტლი ითხოვა, მერე კი დიდი გასაჭირი დაადგა, რომ ბეწვის ძველი საყელო და ხავერდის ქუდი გაენიავებინა, რომლებსაც აგერ, ოცი წელია, ქაფურში ინახავდნენ. იოლი საქმე არც ქვრივის კიბეზე ჩამოყვანა და ეტლში ჩასმა გახლდათ. დედაბერი ისე იყო დაჩაჩანაკებული, გეგონებოდათ, სულის შებერვაზე სანთელივით ჩაქრებაო.

ქვრივმა ეტლში ჩაჯდომისთანავე ბრძანა, ინგმარის მამულში წამიყვანეთო.

მამულის ბინადრების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახეს, მათთან სტუმრად ვინ მოდიოდა. გარეთ გამოცვივდნენ, ქალი ეტლიდან გადმოსვეს და სასტუმრო ოთახში შეიყვანეს. იქ რამდენიმე ჰელგუმელი შეკრებილიყო. ბოლო დროს ისინი ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე და ბრინჯს, ჩაის თუ სხვა ღარიბულ საჭმელს შეექცეოდნენ, რომ უდაბნოში მოსალოდნელი ხეტიალისთვის მომზადებულიყვნენ.

ქვრივი ზღურბლზე შედგა და ოთახი მოათვალიერა. იქ მყოფები შეეცადნენ, გამოლაპარაკებოდნენ, მაგრამ იმ დღეს მას სრულიად არაფერი ესმოდა.

ქალმა ხელი ასწია და ყრუებისთვის დამახასიათებელი ხრინწიანი, უხეში ხმით წარმოთქვა:

– თქვენ ჩემთან აღარ მოდიხართ, ამიტომაც მე მოვედი თქვენთან იმის სათქმელად, რომ იერუსალიმში არ უნდა გაემგზავროთ. ეს ბიწიერი ქალაქია. ჩვენი მხსნელი ჯვარს სწორედ იქ აცვეს.

კარინმა შეპასუხება დააპირა, თუმცა მოხუცს არაფერი ესმოდა და განაგრძობდა:

– ეს ბიწიერი ქალაქია, სადაც ბოროტი ხალხი ცხოვრობს. ქრისტე სწორედ იქ აცვეს ჯვარს. აქ იმისთვის მოვედი, რომ ეს კარგი სახლია. ინგმარშონებს კარგი სახელი აქვთ. ყოველთვის კარგი სახელი ჰქონდათ. თქვენ თემში უნდა დარჩეთ.

მერე კი ქალი შებრუნდა და გარეთ გავიდა. თავისი საქმე უკვე გააკეთა. ახლა შეეძლო მშვიდად მომკვდარიყო. ეს უკანასკნელი საქციელი იყო, რაც ცხოვრებამ მისგან მოითხოვა.

კარინი მოხუცის წასვლის შემდეგ ატირდა.

– იქნებ მართლაც ვცდებით, წასვლას რომ ვაპირებთ, – ამბობდა იგი, თუმცა პასტორის ცოლის სიტყვებმაც გაახარა: „ინგმარშონებს კარგი სახელი აქვთ. ყოველთვის კარგი სახელი ჰქონდათ.“

ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო, როცა კარინ ინგმარშდოთერი თავისმა განზრახვამ დააეჭვა.

16. გამგზავრება

ივლისის ერთ მშვენიერ დილას ინგმარის კარ-მიდამოდან საზიდრებისა და ფორნების გრძელი ქარავანი დაიძრა. ეს იერუსალიმში მიმავალი მომლოცველები იყვნენ, რომლებმაც, როგორც იქნა, მზადება დაამთავრეს და რკინიგზის სადგურისკენ მიმავალ გრძელ გზას დაადგნენ.

სოფელში ქარავანმა ერთ ღარიბულ ეზოს ჩაუარა, რომელსაც მიკელმირა ერქვა. იქაურ ბინადრებს ცუდი სახელი ჰქონდათ – ასეთები მაშინ ჩნდებიან, როცა უფალი ადამიანებს თვალს არიდებს ან სხვა საზრუნავი აქვს.

ამ სახლში ბინძური და ჩამოკონკილი ბავშვების მთელი ხროვა ცხოვრობდა, რომელიც გამვლელ-გამომვლელისთვის სალანძღავ სიტყვებს არ იშურებდა; კიდევ ერთი ბებრუხანა, რომელიც ხშირად მთვრალი იჯდა ხოლმე გზის პირას და ცოლ-ქმარი, დღენიადაგ რომ ჩხუბობდა ან ერთმანეთს ურტყამდა.

არავის უნახავს, მათ ოდესმე ემუშავოთ; იცოდნენ, რომ ისინი მათხოვრობით და ქურდბაცაცობით ირჩენდნენ თავს.

როდესაც ქარავანმა ამ საცოდავ, დაფხავებულ ქოხს ჩაუარა, მრავალ წელს ქარისა და წვიმის შემოტევისგან რომ ლამის ნანგრევებად ქცეულიყო, ფხიზელი და წელში გამართული დედაბერი ჰელგუმელებს გზის პირას, სწორედ იმ ადგილას დახვდა, სადაც სხვა დროს მთვრალი იჯდა ხოლმე, აქეთ-იქით ირწეოდა და რაღაცას ბუტბუტებდა. გარშემო ოთხი ბავშვი შემოხვეოდა. ბავშვები დაბანილ-დავარცხნილები და, ასე თუ ისე, რიგიანად ჩაცმულები იყვნენ.

პირველ საზიდარში მსხდომებმა მათ დანახვაზე სვლა შეანელეს და მოხუც ქალს ნელა ჩაუარეს გვერდით. სხვებმაც მათ მიბაძეს და ცხენებმა აუჩქარებლად გაიარეს ეზოსთან.

უეცრად იერუსალიმში მიმავლებს ცრემლები წასკდათ. მოზრდილები ჩუმად სლუკუნებდნენ, ბავშვები კი ხმამაღლა ღრიალებდნენ. მერე ვერაფრით ხვდებოდნენ, მოხუცი ლენა-მათხოვრის დანახვამ, საცოდავად რომ იდგა გზის პირას, მათზე ასე რატომ იმოქმედა. ის კი არა, მერეც ეტირებოდათ, როცა იხსენებდნენ, რომ ქალს იმ დღეს არაფერი დაულევია და, მათთვის გზა რომ დაელოცა, ფხიზელი, დაბანილ-დავარცხნილ ბავშვებთან ერთად გამოვიდა გარეთ.

მთელმა ქარავანმა რომ ჩაიარა, ლენა-მათხოვარიც ატირდა.

– ცაში მიდიან იესოსთან შესახვედრად, – უთხრა მან ბავშვებს. – ეგენი ყველანი ზეცისკენ მიდიან, ჩვენ კი კვლავ აქ, გზის პირას ვისხდებით.

საზიდრებმა და ფორნებმა ნახევარი სოფელი გადაჭრეს და მდინარეზე გადებულ გრძელ, ტივტივა ხიდს მიადგნენ. ხიდზე გადასვლა იოლი არ იყო. ჯერ მკვეთრად ეშვებოდა ქვემოთ, თითქმის წყლის ზედაპირამდე, მერე ციცაბო აღმართი იწყებოდა, რომ ნავებს და ტივებს მის ქვეშ თავისუფლად გაევლოთ, მეორე ნაპირთან კი ისე უეცრად ეშვებოდა მდინარის კალაპოტისკენ, რომ ცხენებიც და ადამიანებიც შიშისაგან ცახცახებდნენ, როცა ხიდზე გადასვლა უწევდათ.

ხიდი იქაურებს ხშირად დიდ გასაჭირში აგდებდა. ფიცრები დამპალი და გამოსაცვლელი იყო. ყინულის დნობისას ხიდს დღედაღამ დარაჯობდნენ, რომ არ დაშლილიყო, გაზაფხულობით, წყალდიდობის დროს კი წყალს ხიდის დიდი ნაწილები მიჰქონდა და ბერისონას ქარხანასთან, ჭორომებში ჩაიტანდა ხოლმე.

თუმცა სოფლელები ხიდით მაინც ამაყობდნენ. აბა, ის რომ არ ყოფილიყო, მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლა ხომ ნავით ან ბორნით მოუხდებოდათ.

ხიდი აჭრიალდა და აქანავდა, როდესაც მასზე იერუსალიმელთა ქარავანმა დაიწყო გადასვლა. წყალმა ფიცრებს შუა ამოასხა და ცხენების ფეხებს მისწვდა.

მგზავრები საყვარელ ხიდთან განშორებამ დაასევდიანა. ეს ისეთი რამ იყო, რაც ყოველ მათგანს ეკუთვნოდა. სახლებს, ეზოებს, მინდვრებს თუ ტყეებს თავისი პატრონები ჰყავდა, ხიდი კი ყველას საკუთრება იყო და მასთან გამოთხოვება ყველას ენანებოდა.

განა სხვა არაფერი იყო, რაც ყველას ეკუთვნოდა? განა ხიდის მეორე მხარეს, არყის ხეების ქვეშ შემალული ეკლესიაც მათი არ იყო? სკოლის ლამაზი, თეთრი შენობაც და პასტორის კარ-მიდამოც.

კიდევ რა გააჩნდათ? ის სილამაზე, რაც ხიდიდან ჩანდა – ფართო, წყალუხვი მდინარე, ზაფხულის მზით განათებული, ნელა რომ მიედინებოდა ხეების კორომებს შორის და ცისფერ გორაკებამდე გადაჭიმული თვალუწვდენელი ხეობა. ეს ყველაფერი, რაც თვალებმა სამუდამოდ აღბეჭდეს და რასაც ვეღარასოდეს ნახავდნენ, მათ ეკუთვნოდა.

მგზავრებმა ხიდის ნახევარი რომ გადაიარეს, სენკის[8] ერთ-ერთი საგალობელი წამოიწყეს.

– ოდესმე ისევ შევხვდებით, – მღეროდნენ ისინი, – ოდესმე ისევ შევხვდებით, ოდესმე სამოთხეში შევხვდებით.

ხიდზე მათ გარდა არავინ იყო, ვინც მოუსმენდა. მგზავრები სამშობლოს ცისფერ გორაკებს, მდინარის ანკარა წყალს და მოშრიალე ხეებს უმღეროდნენ. მათ ვეღარასოდეს ნახავდნენ და მათი შეკავებული ქვითინისგან დაჭიმული ყელიდან გამოსამშვიდობებელი სიმღერა იღვრებოდა:

„ყური დაგვიგდე, ჩემო ლამაზო სამშობლო, შენი სტუმართმოყვარე კარ-მიდამოებით, ხეებში ჩაფლული, წითელი და თეთრი სახლებით, შენი ნაყოფიერი ველ-მინდვრებით და საძოვრებით, შენი გრძელი ხეობებით, რომელთა შუაში კამკამა მდინარეები მიედინება! უფალს ვევედროთ, კვლავ შეგვახვედროს შენთან! ვევედროთ, რომ ზეცაში გიხილოთ!“

ქარავანმა ხიდი გადაიარა და სასაფლაოსკენ გაუყვა გზას. სასაფლაოზე ერთი დიდი, ბრტყელი, დრო-ჟამისაგან ნახევრად დაფშვნილი საფლავის ქვა იდო. ზედ არც თარიღი ეწერა და არც სახელი, თუმცა იქაურებმა მოხუცებისგან იცოდნენ, რომ მის ქვეშ იუნგგორდელი მემამულე განისვენებდა.

თურმე ერთხელ, როდესაც იუნგ ბიორნ ულოფსონი, რომელიც ახლა იერუსალიმში მიემგზავრებოდა, და მისი ძმა პერი პატარები იყვნენ, ამ საფლავის ქვაზე ისხდნენ და საუბრობდნენ. თავიდან ყველაფერი რიგზე იყო, მერე კი რაღაცაზე წაკამათდნენ და, გაჯავრებულებმა, ხმას აუწიეს.

შემდეგ აღარც ახსოვდათ, რაზე კამათობდნენ, ის კი არასოდეს დავიწყნიათ, რომ გახურებული ჩხუბის დროს ქვაზე, რომელზეც ისხდნენ, ვიღაცამ რამდენჯერმე მკაფიოდ და ნელა დააკაკუნა.

ბიჭები მყისვე გაჩუმდნენ, ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და მოკურცხლეს. მას მერე ამ ქვის დანახვაზე ეს ამბავი ახსენდებოდათ.

ჰოდა, იუნგ ბიორნმა სასაფლაოზე თავისი ძმა, პერი, დაინახა, რომელიც სწორედ იმ საფლავის ქვაზე იჯდა და თავი ხელებზე ჩამოეყრდნო.

იუნგ ბიორნმა ცხენს სადავე მოქაჩა და სხვებს ანიშნა, შეჩერდით და დამელოდეთო. ფორნიდან გადმოვიდა, სასაფლაოს კედელზე გადაძვრა და ძმას გვერდით მიუჯდა.

– შენ მამული გაყიდე, ბიორნ, – მიახალა პერ ულოფმა.

– ჰო, – მიუგო ბიორნმა, – ყველაფერი, რაც გამაჩნდა, უფალს შევწირე.

– ჰო, მაგრამ ეს შენი ქონება არ იყო, – ჩუმად უთხრა ძმამ.

– ჩემი არ იყო?

– არა, მამული ოჯახს ეკუთვნოდა.

იუნგ ბიორნმა არაფერი უპასუხა და დაელოდა, ძმა კიდევ რას ეტყოდა. იცოდა, რომ რახან პერი ამ ქვაზე იჯდა, ჩხუბს არ აპირებდა და ამიტომაც მშვიდად იყო.

– ჩვენი მამული გამოვისყიდე, – უთხრა პერმა.

იუნგ ბიორნი შეკრთა.

– რაო, ჩვენს ოჯახს რომ აღარ ეკუთვნოდა, ის ვერ აიტანე?

– არც ისე მდიდარი ვარ, რომ ამის გამო გამომესყიდა.

ბიორნმა ძმას კითხვის თვალით შეხედა.

– ეს იმიტომ გავაკეთე, რომ აქ რაღაც გქონოდა, რის გამოც დაბრუნდებოდი.

ბიორნს თვალზე ცრემლი მოადგა, მერე კი აქვითინდა.

– და კიდევ იმიტომ, რომ შენს შვილებსაც ჰქონოდათ რაღაც, რის გამოც დაბრუნდებოდნენ.

ბიორნმა ძმას ალერსით გადახვია ხელი.

– ჩემი საყვარელი რძლის გამოც გავაკეთე, გაუხარდება, როცა გაიგებს, რომ აქ სახლი ელოდება. ჩვენი ძველი სახლი ყოველთვის ღია იქნება ნებისმიერი თქვენგანისთვის, ვინც დაბრუნდება.

– პერ, ჩაჯექი ფორანში და იერუსალიმში გაემგზავრე, მე კი შინ დავრჩები. – უთხრა ბიორნმა, – აღთქმულ მიწაზე ყოფნას ჩემზე მეტად შენ იმსახურებ.

– არა, – ღიმილით შეეპასუხა ძმა, – მესმის, რასაც ამბობ, მაგრამ ჩემი ადგილი აქ არის.

– მე კი მგონია, რომ შენი ადგილი ზეცაშია, – უთხრა ბიორნმა და ძმას მხარზე თავი დაადო. – მაპატიე ყველაფერი.

ისინი წამოდგნენ და დასამშვიდობებლად ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

– ხომ ხედავ, ამჯერად არავის დაუკაკუნებია, – თქვა პერმა.

– რა უცნაურია, აქ რომ მოხვედი და ამ ქვაზე რომ ჩამოჯექი.

– ბოლოს როცა შევხვდით, მშვიდობიანი საუბარი არ გამოგვივიდა.

– ნუთუ გეგონა, დღესაც გეჩხუბებოდი?

– არა, მაგრამ ვბრაზდები, როცა მახსენდება, რომ გკარგავ.

ძმები შარაგზაზე გავიდნენ, იუნგ პერმა ბიორნის ცოლს მაგრად ჩამოართვა ხელი და უთხრა:

– იუნგგორდენი ვიყიდე. ამას ახლა იმიტომ გეუბნები, რომ იცოდე – როცა მოისურვებ, მაშინ შეგიძლია შინ დაბრუნდე.

მერე იგი უფროს ძმისწულსაც დაემშვიდობა.

– გახსოვდეს, თუ სამშობლოში დაბრუნება მოგინდება, აქ სახლი და მიწა გაქვს!

პერი ერთი ბავშვიდან მეორეზე გადადიოდა. ბოლოს კი ლილ ერიკს მიადგა, რომელიც მხოლოდ ორი წლის იყო და ვერც ხვდებოდა, რას ეუბნებოდნენ.

– ბავშვებო, დაიმახსოვრეთ, ლილ ერიკს უთხარით, რომ თუ უკან დაბრუნებას მოისურვებს, აქ სახლი და მიწა ელოდება!

გრძელი ქარავანი დაიძრა, მაგრამ როგორც კი სასაფლაოს გასცდა, მგზავრებს მათთან გამოსამშვიდობებლად მოსული ნათესავებისა და მეგობრების დიდი ჯგუფი შემოეყარა და კარგა ხნით შეყოვნდნენ, რადგან ყველას უნდოდა, მათთვის ხელი ჩამოერთმია და რამდენიმე სიტყვით გამოთხოვებოდა.

სოფლის შარაგზა გლეხებით იყო სავსე, რომელთაც ჰელგუმელების გამგზავრების ნახვა სურდათ. ისინი ყველა კიბეზე იდგნენ, ფანჯრებიდან იცქირებოდნენ, ღობეებზე ისხდნენ, ისინი კი, ვინც მოშორებით ცხოვრობდნენ, გორაკებზე და ბორცვებზე შემომდგარიყვნენ და ხელებს იქნევდნენ.

გრძელი ქარავანი ნელა მიიკვლევდა გზას ხალხის ბრბოში, ვიდრე ნაფიცი მსაჯულის, ლარშ კლემენტსონის, სახლს არ მიაღწია. აქ პროცესია შეჩერდა და გუნჰილდი შინ შევიდა, რომ მშობლებს დამშვიდობებოდა.

მას შემდეგ, რაც იერუსალიმში გადასახლება გადაწყვიტა, გუნჰილდი ინგმარის მამულში ცხოვრობდა. ეს არჩია გამუდმებულ კამათს მშობლებთან, რომლებიც ვერაფრით ეგუებოდნენ იმ აზრს, რომ ქალიშვილი მათგან მიდიოდა.

ფორნიდან გადმოსულმა გუნჰილდმა შენიშნა, რომ სახლი უკაცრიელს ჰგავდა. არც ეზოში ჩანდა ვინმე და არც – ფანჯრებში. ჭიშკარი დაკეტილი დახვდა, მაგრამ მოკლე გზით გადავიდა ღობეზე და ეზოში შევიდა. წინკარიც ჩაეკეტათ. გუნჰილდმა სახლს შემოუარა და სამზარეულოს კარს მიადგა, მაგრამ ისიც შიგნიდან კაუჭით იყო დაკეტილი.

გოგონამ ერთი-ორჯერ დააკაკუნა, მაგრამ არავინ გამოხმაურებია. მაშინ მან კარის ღრიჭოში ჯოხი შეყო, კაუჭი გადასწია და შინ შევიდა.

სამზარეულოში კაციშვილი არ ჭაჭანებდა, სასტუმრო ოთახიც ცარიელი იყო და საძინებელიც.

გუნჰილდს არ უნდოდა, ისე წასულიყო, რომ მშობლებისთვის არ ენიშნებინა, დასამშვიდობებლად შემოვიარეო. მაღალ კომოდთან მივიდა და გააღო. იცოდა, რომ მამა მელანს და ქაღალდს იქ ინახავდა. მელანს ვერ მიაგნო, ამიტომაც ყუთებში დაიწყო ქექვა და უეცრად ზარდახშას გადააწყდა, რომელიც მაშინვე იცნო. ეს დედამისის ზარდახშა იყო, რომელიც ქმარმა ქორწილის დღეს აჩუქა და, როცა გუნჰილდი პატარა იყო, დედა ამ ზარდახშას ხშირად აჩვენებდა ხოლმე.

ზარდახშა თეთრად იყო გალაქული და გარშემო ყვავილების არშია ჰქონდა შემოვლებული. სახურავზე შიგნიდან მეცხვარე ეხატა, რომელიც თეთრი ბატკნებისთვის უკრავდა. გუნჰილდმა ზარდახშას სახურავი ახადა, რომ მეცხვარისთვის კიდევ ერთხელ შეევლო თვალი.

უწინ გუნჰილდის დედა ზარდახშაში იმ ნივთებს ინახავდა, რომლებიც მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო: დედის ხმარებისაგან გაცვეთილ ნიშნობის ბეჭედს, მამის გაჩერებულ საათს და თავის ოქროს საყურეებს, მაგრამ როცა გოგონამ ზარდახშა გააღო, დაინახა, რომ იქიდან ყველაფერი ამოეღოთ და მათ ნაცვლად წერილი იდო.

ეს მისი წერილი იყო. ორიოდე წლის წინ გუნჰილდი მურაში მიემგზავრებოდა და სილიანის ტბაზე გადასვლისას ნავი ამოუყირავდა. მისი თანამგზავრებიდან რამდენიმე დაიღუპა და მის მშობლებს ამბავი მიუტანეს, რომ გუნჰილდიც დაიხრჩო.

გოგონა მიხვდა, რომ დედა ისეთი ბედნიერი იყო, როდესაც მისი წერილი მიიღო, სადაც ატყობინებდა, გადავრჩიო, საქორწილო ზარდახშიდან ყველაფერი ამოიღო და იქ თავისი უძვირფასესი საგანძური – წერილი ჩადო.

გუნჰილდს მკვდრის ფერი დაედო, გული შეეკუმშა და წაიჩურჩულა:

– ახლა უკვე ვიცი, რომ დედას ვკლავ.

გოგონამ ბარათის დატოვება გადაიფიქრა და გარეთ გავარდა. ფორანში ისე ჩაჯდა, რომ პასუხი არ გაუცია შეკითხვებზე, შეხვდა თუ არა მშობლებს. მთელი მგზავრობის მანძილზე უძრავად იჯდა, ხელები კალთაში ედო და დაჟინებით იყურებოდა წინ. „დედას ვკლავ,“ ფიქრობდა იგი, „ვიცი, რომ დედას ვკლავ. ვიცი, მოკვდება. ბედნიერება აღარ მეღირსება. წმინდა მიწაზე კი მივდივარ, მაგრამ საკუთარ დედას ვკლავ.“

საზიდრებისა და ფორნების გრძელი ქარავანი სოფელს და ხეობას გასცდა და ჭალაში შევიდა.

მგზავრებმა ახლაღა შენიშნეს, რომ მათთან ერთად რამდენიმე ადამიანი იყო, რომელთაც არ იცნობდნენ. ვიდრე სოფელში იყვნენ, იმდენ ახლობელს დაემშვიდობნენ და იმდენ ვინმესთან დააბარეს მოკითხვა, რომ უცხო საზიდარი არავის შეუმჩნევია, აქ კი, ჭალაში, ყველას ყურადღება მიიქცია.

საზიდარი ხან ყველას გაუსწრებდა და მსვლელობას თავში მოექცეოდა ხოლმე, ხან კი სიჩქარეს უკლებდა და დანარჩენებს წინ გაატარებდა. ჩვეულებრივი საზიდარი იყო და სწორედ ამიტომაც შეუძლებელი იყო იმის გამოცნობა, ვის ეკუთვნოდა. ცხენიც ვერავინ იცნო.

საზიდარს წელში მოხრილი მოხუცი მართავდა, დანაოჭებული ხელები და გრძელი, თეთრი წვერი ჰქონდა. მას არავინ იცნობდა, თუმცა მოეჩვენათ, რომ ქალი, რომელიც გვერდით ეჯდა, ეცნობოდათ. მის სახეს ვერავინ ხედავდა, რადგან თავზე შავი შალი მოეხვია, შალის ბოლოები კი ისე ჩაებღუჯა, რომ თვალებიც არ უჩანდა. ბევრი მგზავრი ცდილობდა, აღნაგობით და სიმაღლით გამოეცნო ქალის ვინაობა, მაგრამ ყველანი სხვადასხვა ადამიანს ასახელებდნენ.

ნაფიცი მსაჯულის ქალიშვილმა გუნჰილდმა მაშინვე ის თქვა, ეს დედაჩემიაო, ისრაელ თუმასონის ცოლი კი ამტკიცებდა, რომ ეს მისი და იყო. მგზავრებიდან თითქმის არავინ დარჩენილა, თავისი ვარაუდი რომ არ გამოეთქვა. ტიმს ჰალვურს ეგონა, ეს ევა გუნარშდოთერი იყო, რომელიც მათ იერუსალიმში არ წაიყვანეს.

საზიდარი ქარავანს მთელი გზა მისდევდა, თუმცა ქალს შალი ერთხელაც არ მოუხსნია.

ერთისთვის ის მისთვის საყვარელი ადამიანი იყო, მეორესთვის – ის, ვისაც უფრთხოდა, სხვებისთვის კი ის, ვინც მათ მიატოვეს.

რამდენჯერმე, როდესაც გზა გაფართოვდა, უცნობები გვერდზე გადგნენ და სხვა საზიდრები გაატარეს. ამ დროს ქალი მგზავრებისკენ შებრუნდებოდა ხოლმე და ათვალიერებდა, თუმცა არც ერთისთვის არაფერი უნიშნებია და ვერავის შეეძლო ეთქვა, ვინ იყო.

ქალი ქარავანს რკინიგზის სადგურამდე მიჰყვებოდა. ყველას ეგონა, მის სახეს იქ მაინც მოჰკრავდნენ თვალს, მაგრამ როდესაც სადგურში ეტლებიდან გადმოვიდნენ და მისი ძებნა დაიწყეს, უცნობი უკვე აღარსად ჩანდა.

იმ დროს, როდესაც გრძელი ქარავანი მთელი თემის გავლით მიიწევდა წინ, მინდვრებში კაციშვილს ვერ ნახავდი, რომელიც თიბავდა ან ფოცხით თივის ზვინს დგამდა. იმ დილით სამუშაო ყველამ გადადო, გლეხები გზის პირას ჩამწკრივებულიყვნენ ან საეკლესიო ტანსაცმელში გამოწყობილები მგზავრებს მიაცილებდნენ. ზოგიერთი მათგანი ქარავანს ერთ მილზე გაჰყვა, ზოგი – ორზე, რამდენიმე კი რკინიგზის სადგურამდეც მივიდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთადერთ კაცს თუ მოჰკრავდით თვალს, რომელიც მუშაობდა. ეს კაცი ჰეკ მათს ერიკსონი გახლდათ. გასათიბ ბალახს არც გაკარებია, ეს საქმე მეტისმეტად ეადვილებოდა. თავისი მიწიდან ქვებს ეზიდებოდა, ისევე, როგორც სიჭაბუკეში, როცა ახლადშეძენილ მიწას მოსახნავად ამზადებდა.

გაბრიელ მათსონმა მამა გზიდან დაინახა, როცა გვერდით ჩაუარა. ჰეკ მათსი მინდორში დადიოდა, ქვებს აგროვებდა და ყორეზე ყრიდა. თავაუღებლად მიათრევდა ქვებს, რომელთაგან ზოგიერთი ისეთი მძიმე ჩანდა, რომ გაბრიელმა გაიფიქრა, ზურგი არ დაიშავოსო, მერე კი ისეთი ძალით ყრიდა ძირს, რომ ქვები ნაპერწკლებს ყრიდნენ და ნატეხები სცვიოდათ.

გაბრიელი მძიმედ დატვირთულ საზიდარს მართავდა, თუმცა მისი ცხენი ერთხანს თავის ნებაზე იყო მიშვებული, რადგან ბიჭი მამას თვალს არ აშორებდა.

მოხუცი ჰეკ მათსი კი მუშაობდა და მუშაობდა. ისე მუყაითად ირჯებოდა, როგორც გაბრიელის ბავშვობაში, როდესაც მამა თავისი მამულის გაფართოებაზე ზრუნავდა.

ჰეკ მათსს გულზე მძიმე ნაღველი შემოსწოლოდა და სულ უფრო და უფრო მძიმე ქვებს ირჩევდა, რომ მერე ყორესთან მიეზიდა.

პროცესიის ჩავლიდან სულ ცოტა ხანში საშინელი ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა დაიწყო. ყველამ სახლებს შეაფარა თავი. ჰეკ მათსმაც დააპირა თავშესაფრის მოძებნა, მაგრამ გადაიფიქრა და მინდორში დარჩა. სამუშაოს მიტოვებას ვერ ბედავდა.

შუადღისას სახლიდან მისი ქალიშვილი გამოვიდა და მამას გასძახა, შინ შემოდი და ისადილეო.

ჰეკ მათსს ძალიან არ შიოდა. კი გაიფიქრა, ურიგო არ იქნება, ცოტას თუ წავიხემსებო, თუმცა შინ მაინც არ შევიდა – სამუშაოს შეწყვეტისა ეშინოდა.

მისმა ცოლმა გაბრიელი რკინიგზის სადგურამდე მიაცილა და გვიან საღამოს მარტო დაბრუნდა შინ. ქმართან მივიდა იმის სათქმელად, ჩვენი ვაჟი უკვე გაემგზავრაო, მაგრამ იგი ძალაყინმომარჯვებული დადიოდა წინ და უკან და ცოლის მოსმენა არ მოისურვა.

მეზობლებმა შენიშნეს, რომ ჰეკ მათსს იმ დღეს არ დაუსვენია. მის სანახავად გარეთ გამოვიდნენ, ცოტა ხანს იდგნენ და უხმოდ შეჰყურებდნენ კაცს, მერე კი სახლებში შევიდნენ და შინაურებს ამცნეს:

– ჯერ ისევ იქ არის, მთელ დღეს მუხლჩაუხრელად შრომობდა.

მოსაღამოვდა, თუმცა ჯერ არ ბნელოდა და ჰეკ მათსიც განაგრძობდა მუშაობას. ეჩვენებოდა, რომ სანამ ძალა შესწევდა, იქამდე თუ არ იშრომებდა, დარდი დაჯაბნიდა.

ცოლი ისევ გარეთ გამოვიდა, იდგა და ქმარს შესცქეროდა. მინდორი უკვე გაწმენდილი იყო, აქა-იქ ქვის დიდი გროვები მოჩანდა, თუმცა კაცი მაინც ვერ ისვენებდა და იმხელა ქვებს ეზიდებოდა, გოლიათს რომ შეეფერებოდა.

ზოგჯერ რომელიმე მეზობელი ჩაუვლიდა გვერდით, რომ ენახა, ჰეკ მათსი მუშაობას თუ აგრძელებდა, თუმცა კაცს არავინ გამოლაპარაკებია.

ამასობაში ისე დაბნელდა, რომ მეზობლები ჰეკ მათსს ვეღარ ხედავდნენ, თუმცა ხმები მაინც ესმოდათ და, როდესაც კაცი ქვებს ძირს ყრიდა, გარშემო გაცვენილი ნაპერწკლები ჩანდა. ბოლოს ჰეკ მათსს მოქნეული ძალაყინი ხელიდან გაუვარდა, მის ასაღებად დაიხარა, ძირს დაეცა და, ვიდრე რამეს მოისაზრებდა, ჩაეძინა.

ცოტა ხანში ჰეკ მათსი სახლში შევიდა, არაფერი უთქვამს, საწოლში ჩაწოლაზე არც უფიქრია, იქვე, ხის მერხზე დაეცა და დაიძინა.

საზიდრებისა და ფორნების გრძელმა მწკრივმა, როგორც იქნა, რკინიგზის სადგურს მიაღწია. რკინიგზა ახლახან გაეყვანათ და სადგურიც სულ ახლადაშენებული იყო. ამისათვის უღრან ტყეში

უზარმაზარი ფართობი გაეკაფათ. იქ არც დასახლება იყო, არც ველ-მინდვრები და არც ბაღები, თუმცა ყველაფერი ისე გაეთვალათ, რომ სადგურის შემოგარენში, ამ უდაბურ ადგილას მალე ბევრი ხალხი ჩასახლებულიყო.

თავად რკინიგზის სადგურთან, მოსწორებულ ადგილზე ქვის ფართო ბაქანი, დიდი საწყობები და ფართო, ცარიელი და ვრცელი, მოკირწყლული მოედნები იყო. მოედნების გარშემო უკვე აეშენებინათ ორიოდე დუქანი, სახელოსნო, ფოტოატელიე და სასტუმრო, დარჩენილ ადგილას კი ყამირი მიწა მოჩანდა.

დალელვენი აქაც მოედინებოდა, გაცოფებული მოექანებოდა ტყის სიღრმეებიდან და აქაფებულ ტალღებს მოაგორებდა. იერუსალიმში მიმავალმა დალარნელებმა ვეღარ იცნეს ის ფართო, მდორე მდინარე, დილით რომ უკან მოიტოვეს. აქ არც ხეობები მოგტაცებდათ თვალს. საითაც უნდა გაგეხედათ, მხოლოდ ჩამუქებულ, ნაძვნარით დაფარულ გორაკებს დაინახავდით.

პატარები, რომლებიც მშობლებთან ერთად იერუსალიმში მიემგზავრებოდნენ, სადგურზე საზიდრებიდან ჩამოსხეს. ბავშვებს აქაურობა არ მოეწონათ, გაჭირვეულდნენ და ატირდნენ. აქამდე ძალიან უხაროდათ მგზავრობა, თუმცა მშობლიურ სახლებთან განშორებისას ბევრი იტირეს, ხოლო სადგურზე კიდევ უფრო დანაღვლიანდნენ.

უფროსები ბარგს ეზიდებოდნენ და ვაგონში შეჰქონდათ. ყველანი ფუსფუსებდნენ და ბავშვებისთვის არავის ეცალა. ისინი ერთად მოგროვდნენ, მჭიდრო წრე შეკრეს და ბჭობა დაიწყეს, როგორ მოვიქცეთო.

მალე უფროსმა ბავშვებმა უმცროსებს ხელები ჩაჰკიდეს და წყვილ-წყვილად დაიძრნენ სადგურიდან. იმავე გზას დაადგნენ, რომლითაც აქ მოვიდნენ – ქვიშრობის, ყამირის, მდინარის და უღრანი ტყის გავლით.

უცებ ერთ-ერთ ქალს ბავშვები მოაგონდა. საუზმის ყუთი გახსნა და მათი დაპურება განიზრახა. ქალმა ბავშვებს მოუხმო, მაგრამ არავინ გამოეპასუხა. ბავშვები სადღაც გაუჩინარდნენ. ორი მამაკაცი მათ მოსაძებნად გაეშურა. ისინი ქვიშაში ბავშვების მიერ დატოვებულ უამრავ პატარა ნაკვალევს მიჰყვნენ და, როდესაც ტყეში შევიდნენ, ისინი დაინახეს კიდევაც: გრძელ რიგად ჩამწკრივებულები მიიწევდნენ წინ, წყვილ-წყვილად, პატარები და დიდები. უფროსების დაძახილზე ყურიც არ შეუბერტყავთ და გზა განაგრძეს. მაშინ კაცები სირბილზე გადავიდნენ, რომ ბავშვებს დასწეოდნენ. მათ გაქცევა დააპირეს, მაგრამ პატარებმა დიდებს ნაბიჯი ვერ აუწყვეს და წაიქცნენ. ნამტირალევი და დამწუხრებული ბავშვები შეჩერდნენ.

– საით გაგიწევიათ? – იკითხა ერთ-ერთმა კაცმა.

ყველაზე პატარებმა ღრიალი მორთეს, ყველაზე უფროსმა ბიჭმა კი უპასუხა:

– არ გვინდა იერუსალიმში გამგზავრება. შინ დაბრუნება გვინდა.

მას შემდეგ, რაც სადგურზე დააბრუნეს და ვაგონებში ჩასხეს, ბავშვები კიდევ დიდხანს ტიროდნენ და ჩიოდნენ:

– არ გვინდა იერუსალიმში გამგზავრება. შინ დაბრუნება გვინდა.

მეორე წიგნი. წმინდა მიწაზე

პირველი ნაწილი

1. „ოქროს კედლები და ბროლის ჭიშკრები“

ახლა დალარნელი გლეხების მგზავრობაზე მოგითხრობთ. ისინი ჯერ რკინიგზით ჩავიდნენ გეტებორგამდე, იქიდან – შვედური ორთქლის გემით, ანტვერპენამდე, მერე კი დიდი გერმანული ხომალდით, რომელსაც „აუგუსტა ვიქტორია“ ერქვა, პალესტინამდე. მგზავრობამ მშვიდობიანად ჩაიარა და, როდესაც იაფას მიაღწიეს, ყველანი კარგად გრძნობდნენ თავს და ჯანმრთელობასაც არ უჩიოდნენ.

როგორც კი ხომალდმა იაფას მისადგომებთან ჩაუშვა ღუზა, იერუსალიმისკენ მიმავალი

მგზავრები მყისვე გემბანზე გამოიშალნენ, რათა პირველად შეევლოთ თვალი წმინდა მიწისთვის, თუმცა „აუგუსტა ვიქტორია“ ნაპირიდან შორს, ღია ზღვაში იდგა, დილის მზე კი თვალს სჭრიდა, ამიტომაც ბევრი ვერაფერი გაარჩიეს. ყველაზე მკაფიოდ სანაპიროსთან, მათ წინ აღმართული მოზრდილი გორაკი მოჩანდა ზედ შეფენილი ბრტყელსახურავიანი ყვითელი სახლებით და მუქმწვანე ბაღებით.

ცოტა ხანში ისიც შენიშნეს, რომ გორაკს ორივე მხრიდან დაბალი სანაპირო ზოლი ეკვროდა, სადაც ქვიშის დიუნებს ფართო დაბლობები ენაცვლებოდა, შორს კი, ჰორიზონტთან, გრძელი და არც თუ ისე მაღალი მთაგრეხილი ილანდებოდა.

არაფერი განსაცვიფრებელი თუ ღირსშესანიშნავი ამ ქვეყანას არ ეტყობოდა და მისი პირველად დანახვისას ყველა გლეხმა უთუოდ თავისთვის ჩაილაპარაკა: „უყურე შენ, თურმე როგორი ყოფილა აქაურობა! მეგონა, სულ სხვანაირი იყო. ახლა კი მეჩვენება, თითქოს ეს ქვეყანა უწინაც მრავალჯერ მინახავს.“

გეტებორგში ჩასულ დალარნელ გლეხებს ჰელგუმი დახვდა, რომ მათთვის მგზავრობა გაეადვილებინა. ჰელგუმი იქ პირდაპირ იერუსალიმიდან ჩავიდა, სადაც ორიოდე თვე იყო, თავის მიმდევრებთან ერთად ცხოვრობდა, ამიტომაც პალესტინაში თავს შინაურულად გრძნობდა და, როდესაც შენიშნა, როგორ გასცქეროდნენ გლეხები ნაპირს, მათთან მივიდა, რომ აეხსნა, რას ხედავდნენ.

– აი, ამ კლდეზე იაფაა თავისი ხუთასი ფორთოხლის ბაღით, – თქვა მან. – უკან რომ დაბლობია, შარონის ვაკე ჰქვია, იქ შროშანები იზრდება, შორს რომ მთები მოჩანს, ის კი იუდას მთებია.

ამ სახელი წარმოთქმა იყო და შვედებმა ისეთი რამ შენიშნეს, რაც ადრე მათ თვალს გამოპარვოდა. მზე აქ უფრო მცხუნვარედ ანათებდა, ვიდრე მათ სამშობლოში და დაბლობსაც, მთებსაც და ქალაქსაც ისეთი ვარდისფერი, ცისფერი და ვერცხლისფერი გადაჰკრავდა, როგორიც გლეხებს აქამდე არსად ენახათ.

– ალილუია! – სიხარულით აღმოხდათ მათ. – ხედავთ, რა შორს წამოვსულვართ!

მართლაც დაუჯერებელი ჩანდა, რომ მათ, საწყალმა დალარნელმა გლეხებმა, ყველა დაბრკოლება გადალახეს და ახლა შარონის ვაკის და იუდას მთების ცქერით ტკბებოდნენ.

– სწორედ იაფაში გამოუგზავნა მეფე ჰირამმა[9] კედრის ხე ლიბანიდან სოლომონს[10], – წარმოთქვა ჰელგუმმა, – და სწორედ აქ შეაფარა თავი წინასწარმეტყველმა იონამ, როდესაც უფლის ნება არ შეასრულა.

გლეხები მოკრძალებით უსმენდნენ. ეჩვენებოდათ, რომ ღვთის სახლის კარიბჭესთან იდგნენ, სადაც ყველა სიწმინდე ხელუხლებლად ინახებოდა, თუმცა მაინც ვერ შეიკავეს თავი ღიმილისგან, როდესაც ჰელგუმმა იონა ახსენა, რომელიც ვეშაპის ფართოდ დაღებული ხახიდან წყალთან ერთად გამოტყორცნილი ბევრ ძველ ნახატზე ენახათ.

იერუსალიმს მიმავალთა შორის მჭედელი ბირგერ ლარშონიც იყო, რომელიც მთელი მგზავრობის მანძილზე ძალზე ბედნიერი ჩანდა. მასავით იოლად არავინ არ გამოსთხოვებია შინაურებს და მასავით არავინ შეჰხაროდა იერუსალიმის დიდებულების ხილვას.

ბირგერმა ჰელგუმისკენ გზა გაიკვლია და მიმართა:

– შენ ჯერ ის გვითხარი, იერუსალიმი საით არის.

– იერუსალიმიც და ბეთლემიც ზემოთ, იუდას მთებს შორისაა, – მიუგო ჰელგუმმა, – იერუსალიმი თითქმის იაფას გასწვრივ არის, ბეთლემი კი ცოტა მოშორებითაა, სამხრეთით.

ბირგერმა მყისვე იქით მიმართა მზერა, საითაც იერუსალიმი ეგულებოდა და, ეტყობა, იქიდან თვალის მოცილებას არც აპირებდა.

ჰელგუმს მგზავრობისას უკვე ნათქვამი ჰქონდა გლეხებისთვის, იაფას ნავსადგურთან ზღვის დონე ისეთი დაბალია, რომ იქ შესვლა მხოლოდ მეთევზეთა ნავებს და პატარა იალქნიან გემებს შეუძლიათო. დიდი გემები კი, როგორიც „აუგუსტა ვიქტორია“ გახლდათ, ღუზას ღია ზღვაში უშვებდნენ და მგზავრები ნაპირზე ნიჩბიანი ნავებით გადაჰყავდათ, ტვირთიც ამ გზით გადაჰქონდათ. მგზავრებმა ისიც იცოდნენ, რომ ცუდ ამინდში ნაპირზე გადასხდომა შესაძლოა სახიფათო ყოფილიყო, რადგან კარგა ხანს ღია ზღვაში ნიჩბების ამარა ცურვა და ქარსა თუ ტალღებთან გამკლავება მოუწევდათ.

თუმცა ახლა ზღვა მშვიდი იყო და კარგი დარი იდგა, ჰოდა, ჰელგუმს, რომელსაც პირველი მგზავრობისას ნაპირზე გადასვლა გაუჭირდა, ეს ძალზე ახარებდა. მან მგზავრებს ორი შავი კლდე

დაანახა ნავსადგურის შუაში, რომელთაც ერთმანეთს ნიჩბის ორიოდე მოსმის მანძილი თუ აშორებდა, და თქვა, რომ იაფაში მომავალ ყველა ნავს ამ ორ კლდეს შუა უნდა გაევლო. არაერთხელ მომხდარა ისე, რომ ძლიერი შტორმის დროს პატარა ნიჩბიანი ნავები კლდეებს შეჯახებია და ნაფოტებად ქცეულა.

„აუგუსტა ვიქტორიას“ ღუზა ახლად ჩაშვებული ჰქონდა, რომ ქალაქიდან მისკენ უამრავი ნიჩბიანი ნავი დაიძრა. ნავები სწრაფად მოსრიალებდნენ წყალზე და გლეხებს ისღა დარჩენოდათ ეფიქრათ, რომ მათ დახელოვნებული მენიჩბეები მართავდნენ. ისინი ფეხზე მდგომნი უსვამდნენ ნიჩბებს, რათა უფრო სწრაფად ევლოთ. თავიდან ფრთხილობდნენ, თუმცა როგორც კი სახიფათო კლდეები უკან მოიტოვეს, ნავებს შორის ნამდვილი რბოლა გაიმართა. მათი სიცილი და გამამხნევებელი შეძახილები ხომალდამდეც აღწევდა.

– ხედავთ, რა დღეში არიან? – თქვა ჰელგუმმა. – ისე არიან მოწადინებულები, რომ პირველები მოვიდნენ, ხშირად მგზავრების სიცოცხლესაც არად დაგიდევენ. ერთი კარგად შეხედეთ, გემზე რომ ამოვლენ! ყველა მენიჩბეს სახე ნაიარევებით და ნაკაწრებით აქვს დაფარული. ესენი ხმელთაშუა ზღვისპირეთის ყველაზე ველური ბინადრები არიან. დანით დაჭრას ან ნიჩბის დარტყმასაც არ ერიდებიან, რომ სხვა ნავმა არ გადაასწროს.

ჰელგუმს სიტყვა არც დაემთავრებინა, რომ გემზე რამდენიმე მენიჩბე ამოვიდა. დალარნელები გაოცებით შეჰყურებდნენ ზორბა და ღონიერ მამაკაცებს. არ ელოდნენ, ამ შორეულ ქვეყანაში ასეთი წარმოსადეგი ხალხი თუ იქნებოდა.

– ერთი შეხედეთ! – თქვა ჰელგუმმა. – შეხედეთ, ქარიშხალივით რომ მოიწევენ გემბანისკენ! ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, რომ ისეთი კარგი დარი დაიჭირა, შეგვიძლია ნაპირზე მშვიდობიანად გადავიდეთ.

როგორც კი ეს წარმოთქვა, ბირგერ ლარშონმა ნაბიჯი გადმოდგა და რამდენიმე სიტყვა თქვა, რომლებიც დალარნელებს არასოდეს დავიწყებიათ:

– არ ვიცი, სხვები რას ფიქრობენ ამაზე, მაგრამ მე ის უფრო მომეწონებოდა, ნავსადგურში ქარიშხალი რომ მძვინვარებდეს და აქაფებული ტალღები იმ შავ კლდეებს ეხეთქებოდნენ, ჰელგუმს რომ ასე ძალიან ეშინია. ვისურვებდი, ნაპირზე ამ ველურ მენიჩბეებს გადავეყვანე თავიანთი საშინელი ნავებით და აი, მაშინ გამოჩნდებოდა, რომ ჩვენ ღვთის ნებას ვართ მინდობილები და ნაპირამდე მიღწევაში ვერაფერი შეგვიშლის ხელს.

– ამინ, ამინ! – ერთხმად აღმოხდათ გლეხებს და მათი გულები ისეთი რწმენით აღივსო, რომ ეგონათ, წყალზე გავლასაც შეძლებდნენ.

იაფას ნაპირზე გადასვლისთანავე ბირგერ ლარშონი შეუძლოდ გახდა. იაფას ქუჩებით რკინიგზის სადგურისკენ მიმავალ დალარნელებს ქარი სახეში სცემდათ და ბირგერი კანკალმა აიტანა, თუმცა არ უნდოდა, სხვებს გაეგოთ, რომ თავს ცუდად გრძნობდა და ამიტომაც, როდესაც გლეხებმა ბარგი სადგურში დააწყვეს და ქალაქის დასათვალიერებლად გაეშურნენ, ისიც გაჰყვა.

დალარნელები პალესტინაში აგვისტოში ჩავიდნენ. ეს თვე კი აქ ყველაზე ცხელი იყო. მზე ისე მაღლა იდგა ცაში, რომ მისი სხივები ხალხს პირდაპირ კეფაზე აცხუნებდა. ღრუბლის ნასახიც არსად ჩანდა და ირგვლივ ყველაფერი ისე იყო გამომშრალი, რომ ჩანდა, ჰელგუმი არ ტყუოდა, როცა ირწმუნებოდა, აპრილის მერე არ უწვიმიაო. იმასაც ამბობდა, იაფაში ისე არ ცხელა, როგორც სხვაგან, რაკი ზღვისპირეთიაო, თუმცა გლეხები ხედავდნენ, რომ აქაც საკმარისად ცხელოდა. სადგურისკენ რომ მიდიოდნენ, მზის გულზე ჩამომჭკნარ აბუსალათინს მოჰკრეს თვალი, ხოლო ნემსიწვერა, რომელსაც დალარნაში ქოთნებში ახარებდნენ, აქ თხრილის პირებზე იზრდებოდა და სიცხისაგან თავი ჩაექინდრა. ყველაზე უკეთ კი მაშინ მიხვდნენ, როგორ ცხელოდა, როცა ზღვისკენ საბანაოდ გაქცეული ბავშვები დაინახეს, რომლებიც ტერფებს ჰაერში ასავსავებდნენ, რადგან ცხელი ქვიშა ფეხებს სწვავდათ.

ჰელგუმმა დალარნელები დიდ საპნის სახარშებთანაც მიიყვანა, რომლებიც იაფას ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად ითვლებოდა და იმ ნანგრევებთანაც, სადაც გადმოცემით, პეტრე მოციქულის სახლის ნარჩენები იყო. ორივეგან საშინელი სიმყრალე და სიცხე იყო და ბირგერ ლარშონი უარესად შეიქნა, თუმცა ავადმყოფობის შესახებ სიტყვაც არ დასცდენია, პირიქით, ყველაზე კარგ გუნებაზე და ყველაფრით კმაყოფილი ჩანდა. იაფაში, ისევე როგორც აღმოსავლური ქალაქების უმეტესობაში, ქუჩაში მიმავალი კაცი უფანჯრო კედლების გარდა ვერაფერს დაინახავდა და გლეხებსაც დიდად არ ეხალისებოდათ ქალაქში ხეტიალი, ბირგერს კი ის მცირედიც ახარებდა, რასაც ხედავდა: გზად შემოყრილი ლამაზი ბავშვები, ბოსტნეულის დიდი კალათებით დატვირთული სახედრები, პატარა, მახინჯი ქუჩის ძაღლებიც კი.

ყველაზე კმაყოფილი ბირგერი მაშინ დარჩა, როდესაც ჰელგუმმა დალარნელები გერმანელების

კოლონიაში მიიყვანა, რომელიც ქალაქის კარიბჭესთან იყო. ეს კოლონია ოცდაათი წლის წინ შექმნეს პალესტინაში გადასახლებულმა გერმანელმა გლეხებმა, რომლებიც სამშობლოში სექტანტობის გამო იდევნებოდნენ. მათ ბევრი გაჭირვება გადალახეს, თუმცა უკვე მტკიცედ მოეკიდებინათ ფეხი წმინდა მიწაზე და უზრუნველად ცხოვრობდნენ. კოლონიაში კარგად ნაგები სახლები, დიდი ბაღები და მინდვრები იყო. იქ მისულს გეგონებოდა, უეცრად პატარა, ლამაზ შვედურ ქალაქში აღმოვჩნდიო. ბირგერ ლარშონმა ამ კოხტა სახლების დანახვაზე თავისთვის ჩაილაპარაკა, იმედია, გერმანელებზე უარესად არც ჩვენ წაგვივა საქმეო.

– აი, ნახავთ, სულ ცოტა ხანში იერუსალიმთან ჩვენც ზუსტად ასეთი ლამაზი, პატარა დასახლება გვექნება, – თქვა მან.

სადილობის დრომ რომ მოაწია, ისე დაცხა, ქუჩაში სიარული აღარ შეიძლებოდა. დალარნელები იძულებულნი გახდნენ, რკინიგზის სადგურში დაბრუნებულიყვნენ თავის შესაფარებლად. მატარებელის ჩამოდგომამდე რამდენიმე საათს მოუწიათ ლოდინი. ბირგერი უარესად გახდა, თუმცა ცდილობდა, არაფერი შეემჩნია. იგი ფანჯარასთან იჯდა და უეცრად ადამიანების გრძელი რიგი შენიშნა, რომელმაც გვერდით ჩაუარა. ისინიც გლეხებს ჰგავდნენ, მრგვლად შეჭრილი თმა და გრძელი წვერი ჰქონდათ, გრძელი, ნაცრისფერი ქურთუკები და მაღალყელიან ჩექმებში ჩატანებული შარვლები ეცვათ. მხრებზე ჯოხი ჰქონდათ გადებული, რომლის ბოლოზეც პატარა ბოხჩა ეკიდა. ბირგერმა ყური მოჰკრა, რომ ესენი პალესტინაში მომლოცველებად ჩამოსული რუსები იყვნენ. ისინიც ორთქლის გემს ჩამოჰყოლოდნენ, მაგრამ როგორც კი იაფას ნავსადგურში გადმოვიდნენ, ფეხით განაგრძეს გზა, რადგან სწორედ ისე სურდათ ქვეყანა მოევლოთ, როგორც ქრისტეს.

ბირგერი ამის გაგონებაზე ღრმად ჩაფიქრდა. ჩანდა, თავადაც სიამოვნებით მიბაძავდა რუსების მაგალითს.

– ოდესმე ჩვენც ასე მოვიქცეთ, – უთხრა მან თანამგზავრებს, – რა კარგი იქნება, იესოს ნაკვალევს თუ გავყვებით.

როდესაც მატარებელი ბოლოს და ბოლოს ჩამოდგა და ბირგერი დახუთულ ვაგონში ავიდა, თავი ისე ასტკივდა, ლამის იყო გასკდომოდა და უკვე სხვებმაც შეამჩნიეს, რომ შეუძლოდ იყო. ეკითხებოდნენ, რა დაგემართაო და ბირგერი პასუხობდა, სიცხისგან ცოტათი თავი ამტკივდაო.

– რანაირი მჭედელი ხარ, სიცხე თუ ვერ აგიტანია, – შეარცხვინეს გლეხებმა და არც ერთს აზრადაც არ მოსვლია, რომ ბირგერი მართლაც ავად იყო.

მატარებელმა თავდაპირველად იაფას ბაღებს ჩაუქროლა, მერე კი შარონის ვაკეს, რომელიც წლის ამ დროს უდაბნოს ჰგავდა. იმ პატარა ქალაქებსა თუ დასახლებებში, რომლებიც ვაკეზე იყო გაფანტული, ალბათ, ხალხიც ცხოვრობდა, თუმცა მზის ჩასვლამდე შინიდან გამოსვლას ვერავინ ბედავდა, რომ სიცხისგან ცუდად არ გამხდარიყვნენ. და, რაც არ უნდა მომხდარიყო, არავინ ტოვებდა სოფელს, სადაც სახლის კედლები და ეულად მდგარი ხეები ოდნავ მაინც იფარავდნენ. ვაკეზე სიმწვანის ნასახის აღმოჩენაც ისევე შეუძლებელი იყო, როგორც ადამიანისა. გაზაფხულის უმშვენიერესი წითელი ფრინტები და ყაყაჩოები, ზიზილები და მიხაკები, რომლებიც მიწას თეთრ-წითელ ხალიჩასავით ფარავდნენ, უკვალოდ გამქრალიყო. ვაკის იმ ნაწილში, სადაც მოხნული მიწები იყო, ხორბლის, ჭვავის და სორგოს ყანები მოჩანდა, თუმცა გლეხები თავიანთი კამეჩებით და ვირებით, სიმღერებით და ცეკვებით სახლებში შემალულიყვნენ. გაზაფხულის ერთადერთი ნაკვალევი, რომელიც აქ ჯერ ისევ შემორჩენილიყო, გახლდათ გადახრუკულ მიწაზე აღმართული რამდენიმე მაღალი, გამომშრალი სვეტი, რომლებიც ადრე, ალბათ, შარონის სახელგანთქმული შროშანებით იყო მორთული.

ჰელგუმი თანამგზავრებს განუწყვეტლივ უთითებდა იმ გამორჩეულ თუ წმინდა ადგილებზე, რომელიც გზაში ხვდებოდათ, თუმცა ბირგერი უკვე ისე ცუდად იყო, ნათქვამის ნახევარიც არ ესმოდა. გაიგონა, რომ სამსონსა და ფილისტიმელებზე იყო საუბარი და წარმოიდგინა, რომ აქაური მინდვრებიც სამსონმა გადაწვა და ხანძარიც მის თავში მან გააჩაღა.

როდესაც მატარებელმა ვაკე უკან მოიტოვა და იუდას მთებს შორის მოექცა, ბირგერი ვეღარ გაერკვა, საით მიდიოდნენ. გარშემო მთები კი არა, უწესრიგოდ მიმოფანტული ამწვანებული გორაკები იყო, რომელთა შორისაც რკინიგზა დიდი გაჭირვებით მიიკვლევდა გზას. ბირგერ ლარშონს ეჩვენებოდა, რომ ეს მწვანე ბორცვები მასა და იმ ქალაქს შორის აღმართულიყო, საითაც იგი მიისწრაფოდა. ცდილობდა, ფიქრი სხვა რამეზე გადაეტანა, მაგრამ მის წინ წამსვე ახალი დაბრკოლება აღიმართებოდა ხოლმე. კაცს სიცხემ ისე აუწია, რომ ოფლმა დაასხა, თანაც ისე დასუსტდა და დაიღალა, რომ გონება დაებინდა. როდესაც ბორცვები, როგორ იქნა, გაიარეს და ერთ-ერთმა მგზავრმა თქვა, მალე იერუსალიმში ვიქნებითო, ბირგერი ისე ცუდად იყო, რომ ტიმს ჰალვური და იუნგ ბიორნი აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და ბაქანზე ლამის ხელით ჩაიყვანეს.

ჰელგუმმა იაფადან დეპეშით შეატყობინა კოლონისტებს, შვედები რომ ჩამოდიოდნენ და ბევრი მათგანი სადგურზე გამოვიდა თანამემამულეებთან შესახვედრად. აქ იყო ჰელგუმის ცოლი, დიდი ინგმარის ორივე ქალიშვილი, რომლებიც მამის სიკვდილის შემდეგ ამერიკაში გაემგზავრნენ და კიდევ დასახლების ბევრი სხვა მცხოვრები, ჰელგუმთან ერთად რომ წავიდნენ ამერიკაში, შემდეგ კი პალესტინაში გამოჰყვნენ. ყველანი ბირგერ ლარშონის ძველი ნაცნობები იყვნენ, თუმცა მან ვერც ერთი ვერ იცნო. მისთვის ერთადერთი რამ იყო ცხადი – ის, რომ იერუსალიმამდე მოაღწია და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, იმდენ ხანს გაეძლო, წმინდა ქალაქის ნახვა ღირსებოდა.

რკინიგზის სადგურიდან, რომელიც ქალაქს კარგა მანძილით იყო დაშორებული, ბირგერმა ვერაფერი დაინახა. ვიდრე იქაურობას დატოვებდნენ, თვალდახუჭული, ჩუმად იწვა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველამ დაიკავა ადგილი ფურგონებში, რომლებიც მგზავრებს ელოდა. ისინი ჰინომის ხეობაში დაეშვნენ და მთის თხემზე, მათ ზემოთ იერუსალიმიც გამოჩნდა.

ბირგერმა დამძიმებული ქუთუთოები ასწია და ქონგურებით და კოშკით შემკული, მაღალი გალავნით გარშემორტყმული ქალაქი დაინახა. კედლის უკან ცადატყორცნილი თაღოვანი შენობები და ორიოდე პალმა ჩანდა, რომლებსაც მთის ნიავზე ირხეოდნენ.

საღამო ხანი იყო და მზე დასავლეთით, ბორცვების კიდეებზე იდგა. უზარმაზარი და წითელი მზე მძლავრ სხივებს ისე აფრქვევდა ციდან, რომ მიწას ერთიანად წითელ-ყვითლად აფერადებდა, თუმცა ბირგერს ეგონა, ამ სხივებს დედამიწას მზე კი არა, ჩემ ზემოთ გადაშლილი ქალაქი აფენსო. სინათლე ამ ოქროსფრად აელვარებული კედლებიდან და ბროლის ფირფიტებით მოოჭვილი კოშკიდან იფრქვეოდა.

ბირგერს ამ ორი მზის დანახვაზე ჩაეღიმა – ერთი ზეცაში იყო, მეორე კი მიწაზე და ეს მეორე მზე უფლის ქალაქი, იერუსალიმი, გახლდათ. წამით ისიც კი იგრძნო, რომ ამ მაცოცხლებელმა სიხარულმა ძალა შემატა, თუმცა ციებ-ცხელებამ ისევ შემოუტია და, ვიდრე დარჩენილ გზას გაივლიდნენ კოლონიამდე, რომელიც ქალაქის მეორე ბოლოში იყო, უგონოდ იყო. არც ის გაუგია, როგორ შეხვდნენ ახალჩამოსულებს, ამიტომაც არც მარმარილოს კიბეებიანი დიდი სახლის დანახვას გაუხარებია და არც მშვენიერი გალერეისა, რომელიც ბაღს ეკვროდა. ბირგერი ვერც კიბის თავზე მათ შესახვედრად გამოსული მისის გორდონის ლამაზი, ჭკვიანური სახის ცქერით დატკბა, ვერც ბუსთვალებიანი მის ჰოგსი ნახა და ვერც დანარჩენი ახლადშეძენილი ძმები და დები გაიცნო. არც ის გაუგია, როგორ შეიყვანეს დიდ, ნათელ ოთახში, სადაც ამიერიდან მის ოჯახს უნდა ეცხოვრა და სადაც მისთვის სასწრაფოდ ამზადებდნენ საწოლს.

ბირგერი მეორე დღესაც არ მომჯობინებულა, თუმცა დროდადრო გონზე მოდიოდა ხოლმე. ძალიან განიცდიდა იმას, რომ სიკვდილის წინ იერუსალიმს ვერ დაათვალიერებდა და მის დიდებულებას უფრო ახლოდან ვერ იხილავდა.

– აბა, ეს საქმეა? ასე შორს წამოვსულვარ და ისე ვკვდები, იერუსალიმის სასახლეები და მოოქროვილი ქუჩები ვერ უნდა ვიხილო, სადაც გრძელ, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი წმინდანები პალმის რტოებით ხელში დადიან.

ბირგერი იწვა და ორ დღეს ამაზე ჩიოდა. შემდეგ კი სიცხემ აუწია და ბოდვა დაიწყო, თუმცა ამ დროსაც იმაზე წუხდა, რომ აღარ ეღირსებოდა ოქროცურვილი კედლებისა და ელვარე კოშკის ხილვა, რომელიც უფლის ქალაქს იცავდა.

ბირგერი ისეთი სასოწარკვეთილი და შეშფოთებული იყო, რომ იუნგ ბიორნს და ტიმს ჰალვურს ავადმყოფი შეებრალათ და გადაწყვიტეს, დაემშვიდებინათ. იფიქრეს, უკეთ გახდება, თუკი თავის სურვილს შეისრულებსო. ხის საკაცე შეკრეს და ერთ საღამოს, ოდნავ აგრილდა თუ არა, სნეული ქალაქში წაიყვანეს.

გლეხები ბირგერთან ერთად პირდაპირ ქალაქისაკენ გაეშურნენ. იგი სრულიად საღ გონებაზე გახლდათ და ქვაფენილებსა და მოტიტვლებულ ბორცვებს თვალს არ აცილებდა. როდესაც დამასკოს ჭიშკარი და ქალაქის გალავანი გამოჩნდა, საკაცე ძირს დადეს, რომ ავადმყოფი დიდი ხნის ნანატრი სანახაობით დამტკბარიყო.

ბირგერმა ხმაამოუღებლად მოიჩრდილა თვალები და მხედველობა დაძაბა.

მის წინ ერთი ჩვეულებრივი, სხვა კედლებივით ქვით და თიხით ნაშენი, მონაცრისფრო-ყავისფერი კედელი აღმართულიყო. დიდი კარიბჭე კი, დაბალი შესასვლელით და წაწვეტებული თავებით, საშინელებად მოეჩვენა. დაუძლურებულმა ბირგერმა იფიქრა, მეგობრებმა ნამდვილ იერუსალიმში არ წამომიყვანესო. განა ეს ადგილი ორიოდე დღის წინ მზესავით არ ანათებდა?

„ძველი მეგობრები და თანასოფლელები ასე როგორ მომექცნენ?“ გაიფიქრა მან. „არ მოინდომეს, რომ ნამდვილი იერუსალიმი მენახა!“

გლეხებს ბირგერი ციცაბო დაღმართზე ჩაჰყავდათ, რომ კარიბჭემდე მისულიყვნენ. სნეულს კი ეჩვენებოდა, ქვესკნელში მიმაქანებენო და, როდესაც თაღქვეშ გაიარეს, ოდნავ წამოიწია, რომ დარწმუნებულიყო, ნამდვილად ოქროს ქალაქში მიჰყავდათ თუ არა.

ბირგერი ძალზე გააოცა ირგვლივ უშნო, ნაცრისფერი სახლების კედლების დანახვამ, მაგრამ კიდევ უფრო შეაშფოთა კარიბჭესთან ჩამომსხდარმა, დასახიჩრებულმა მათხოვრებმა და გაძვალტყავებულმა, ბინძურმა ძაღლებმა, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად წამოწოლილიყვნენ ნაგვის დიდ გროვებზე. ადრე არასოდეს უგრძვნია ასეთი უცნაური, მწვავე სიმყრალე, რომელიც ცხვირში სცემდა ან ამგვარი სულისშემხუთველი სიცხე. ნეტავ ისეთი რა ქარი უნდა ამოვარდნილიყო, რომ ეს მძიმე სუნი გაექრო.

როდესაც ბირგერმა ქვაფენილს დახედა, შენიშნა, რომ ქვები ჭუჭყის გამომშრალ ფენებს დაეფარა; განაცვიფრა ქუჩაში მიმოფანტულმა ნაგავმა და ხილისა და ბოსტნეულის ნაფცქვენებმა.

– საოცარია, რაში სჭირდება ჰალვურს ჩემთვის ამ ღატაკი და გაუბედურებული ადგილის ჩვენება, – ბურტყუნებდა იგი.

გლეხებმა ბირგერი შუა ქალაქში შეიყვანეს. თავად უკვე მრავალჯერ მოენახულებინათ აქაურობა და ახლა ავადმყოფს უხსნიდნენ, სად რა იყო.

– ეს სახლი ერთი მდიდარი კაცისაა, – თქვა ჰალვურმა და თითით ანიშნა სახლზე, რომელიც ბირგერის აზრით, ნახევრად დანგრეული იყო.

გლეხები ერთ ქუჩას აუყვნენ, სადაც ისე ბნელოდა, თითქოს მზის სხივი იქაურობას არასოდეს მოხვედრიაო. ბირგერი იწვა და ქუჩის ორივე მხარეს სახლებზე გადაჭიმულ თაღებს ათვალიერებდა. „ეს კი ნამდვილად საჭიროა“, ფიქრობდა იგი, „ეს ნანგრევები კარგად თუ არ გაამაგრე, შეიძლება თავზე დაგემხოს.“

– ეს ქრისტეს ვნების გზაა, – ამცნო ჰალვურმა ბირგერს, – იესომ ჯვართან ერთად სწორედ ამ გზით გაიარა.

ბირგერი ჩუმად იწვა, მთლად გაფითრებულიყო. სისხლმა თითქოს დინება შეწყვიტა და სხეული ყინულივით გაუცივდა.

საითაც არ უნდა წასულიყვნენ, ყველგან ჩამოქცეულ, ნაცრისფერ კედლებს ან დაბალ ჭიშკრებს აწყდებოდა, იშვიათად ფანჯარასაც მოჰკრავდა თვალს, თუმცა ყველგან შუშები იყო ჩამტვრეული და ცარიელი ადგილები ჩვრებით ამოექოლათ.

ჰალვური საკაცესთან ერთად შეჩერდა.

– აქ პილატეს სასახლე იდგა, – წარმოთქვა მან, – სწორედ აქედან გამოიყვანეს ქრისტე და პილატემ მის შესახებ თქვა: „აჰა, კაცი იგი!“[11]

ბირგერ ლარშონმა თითით მიიხმო თავისთან ჰალვური და ხელში ჩაეჭიდა.

– შენ ხომ ჩემი ნათესავი ხარ, ჰოდა, ერთი რამ მითხარი, – თქვა მან, – შენ ამბობ, რომ ეს ნამდვილი იერუსალიმია?

– ნამდვილი იერუსალიმია, აბა, რა არის, – მიუგო ჰალვურმა.

– ავადმყოფი კაცი ვარ, დღეს თუ არა და ხვალ მოვკვდები, ხომ გესმის, რომ ჩემი მოტყუება არ შეიძლება? – დაანამუსა ბირგერმა.

– მერედა, ვინ გატყუებს? – უპასუხა ჰალვურმა.

ბირგერს იმედი ჰქონდა, ჰალვურს სიმართლეს ვათქმევინებო და თვალზე ცრემლი მოადგა იმის გაფიქრებაზე, რომ მეგობრებს შეეძლოთ ასე ცუდად მოქცეოდნენ.

უეცრად თავში ერთმა აზრმა გაუელვა: „ამას იმიტომ აკეთებენ, რომ წმინდა ქალაქის მაღალ კარიბჭეში შესვლამ უფრო მეტი სიხარული მომანიჭოს. კეთილი, როგორც უნდათ, ისე მოიქცნენ. ასე ხომ ჩემ გამო ირჯებიან. განა ჩვენ, ჰელგუმელებმა, პირობა არ დავდეთ, რომ ძმურად დავეხმარებოდით ერთმანეთს?“

გლეხები კვლავინდებურად ბნელ ქუჩებს მიუყვებოდნენ. ზოგი მათგანი უზარმაზარი, ალაგ-ალაგ ნასვრეტებიანი და ამოგლეჯილი ჩარდახით იყო გადახურული და გამვლელებს სიმყრალისგან და სულისშემხუთველ სიცხისგან ცოტათი მაინც იფარავდა.

საკაცე დიდი, ნაცრისფერი შენობის წინ გაჩერდა. დიდი ეზო სავსე იყო მათხოვრებით და ღატაკი მეწვრილმანეებით, რომლებიც ხალხს მარგალიტის მძივებს, ტირიფის წნელებს, პატარა სურათებს

და სხვა ამგვარ საქონელს სთავაზობდნენ.

– შეხედე, ეს ის ტაძარია, რომელიც ქრისტეს საფლავსა და გოლგოთაზე აიგო.

ბირგერ ლარშონმა შენობას დაღლილი მზერა მიაპყრო. ტაძარს დიდი კარიბჭე და ფართო ფანჯრები ჰქონდა და საკმაოდ მაღალი იყო, მაგრამ ბირგერს არასოდეს უნახავს სხვა სახლებს შორის ასე ჩაკვეხებული ტაძარი. ვერც კოშკს მოჰკრა სადმე თვალი, ვერც – სამლოცველოს და ვერც ტაძრის შესასვლელს. ვერ წარმოედგინა, ეს ნაგებობა თუ ღვთის სახლი იქნებოდა. არც იმის დაჯერება შეეძლო, რომ ეზოში, სადაც ქრისტეს საფლავი იყო, ამდენი მეწვრილმანე და მოვაჭრე ტრიალებდა. მან ხომ კარგად იცოდა, როგორ გამოაძევა იესომ ტაძრიდან მევახშეები და მტრედებით მოვაჭრეთა გალიები როგორ დაამხო.

– ვხედავ, ვხედავ, – თავი დაუქნია ბირგერმა ჰალვურს, თავისთვის კი გაიფიქრა: „ნეტავ შემდეგისთვის რას მოიფიქრებენ?“

– ხომ არ დაიღალე, იქნებ დღეისათვის საკმარისია? – ჰკიტხა ჰალვურმა.

– არა, ყველაფერი რიგზეა, – მიუგო სნეულმა, – თუ თქვენ არ დაიღალეთ.

გლეხებმა საკაცე ასწიეს და გზა განაგრძეს. ახლა უკვე ქალაქის სამხრეთისკენ მიეშურებოდნენ.

აქაც ისეთივე ქუჩები იყო, ოღონდ ხალხით სავსე. ჰალვურმა საკაცე გზაჯვარედინზე შეაჩერა და ბირგერს შავგვრემანი ბედუინები დაანახა, რომელთაც მხარზე თოფი ჰქონდათ გადაკიდებული, წელში კი ხანჯალი გარჭობილი. მერე მეთულუხჩეებიც აჩვენა, ღორის ტყავისაგან დამზადებული ტიკებით წყალს რომ დაატარებდნენ, და რუსი მღვდლებიც, რომელთაც თმა კეფაზე ქალებივით შეეკრათ. ნახეს მაჰმადიანი ქალებიც, თეთრ სამოსში გახვეულები და შავი ჩადრით პირახვეულები მოჩვენებებს რომ წააგავდნენ.

ბირგერი სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა იმაში, რომ მეგობრები რაღაც უცნაურად ეხუმრებოდნენ. ეს ხალხი ხომ სრულიად არ ჰგავდა ნამდვილი იერუსალიმის ქუჩებში მოსეირნე, პალმის რტოებიან, მშვიდობიან ადამიანებს და, როდესაც ბირგერი ბრბოში გაერია, ისევ ციებ-ცხელებამ შემოუტია. ჰალვურმა და დანარჩენმა გლეხებმა, რომელთაც საკაცე მიჰქონდათ, შენიშნეს, რომ მათი მეგობარი უარესად შეიქნა. ხელებს უღონოდ ამოძრავებდა საბანზე, ხოლო შუბლზე ოფლის წვეთებმა გამოჟონა. თუმცა, შინ დაბრუნება რომ დააპირეს, ბირგერი წამოიწია და თქვა, უთუოდ მოვკვდები, თუ გზას არ გააგრძელებთ და უფლის ქალაქს არ მაჩვენებთო.

მეგობრები იძულებულები გახდნენ, მის სურვილს დამორჩილებოდნენ და იმდენი იარეს, ვიდრე სიონის ბორცვებზე არ ავიდნენ. როგორც კი სნეულმა სიონის კარიბჭე დაინახა, ხმამაღლა მოითხოვა, იქ შეეყვანათ, იმ იმედით, რომ კედლის იქით სწორედ იმ საოცნებო უფლის ქალაქს იხილავდა.

ჭიშკრის იქით ბირგერმა ვერაფერიც ვერ ნახა, ყვითლად გადახრიოკებული, უნაყოფო მიწის გარდა, რომელიც ქვებით, ნამსხვრევებით და ნაგვით იყო დაფარული.

ზედ კარიბჭესთან მიწაზე მუხლმორთხმული რამდენიმე კაცი იჯდა. ისინი ბირგერთან ახლოს მიცოცდნენ, მოწყალებას სთხოვდნენ და მისკენ ხელებს იშვერდნენ, რომლებზეც თითები აკლდათ. მათი ხმა ძაღლის ღრენას მოგაგონებდათ, სახეები კი საშინლად ჰქონდათ დამახინჯებული: ზოგს ცხვირი აკლდა, ზოგს – ლოყები.

ბირგერმა შიშისაგან ხმამაღლა დაიყვირა, ცრემლები წასკდა და მოთქმა დაიწყო, ჯოჯოხეთში ამოვყავი თავიო.

– ესენი მხოლოდ კეთროვნები არიან, – აუხსნა ჰალვურმა. – განა არ იცი, ბირგერ, ამ ქვეყანაში რამდენი კეთროვანია?

გლეხებმა საჩქაროდ მოაშორეს სნეული იქაურობას, რათა საბრალო სახიჩრების ცქერით არ გატანჯულიყო.

ცოტა ხანში ჰალვურმა საკაცე ძირს დადო, ავადმყოფთან მივიდა და თავი ბალიშიდან წამოუწია.

– აბა, ახლა კარგად შეხედე, ბირგერ. ქვემოთ მკვდარი ზღვა და მოაბის მთა გამოჩნდება.

ბირგერმა კიდევ ერთხელ ასწია დაღლილი ქუთუთოები და იერუსალიმის დასავლეთით, ველური, უკაცრიელი მთაგრეხილის ძირს მიაჩერდა. იქ სადღაც, ძალიან შორს წყლის სარკესავით ზედაპირი მოჩანდა, მის მეორე ნაპირზე კი მთა დაინახა, რომელიც მოცისფრო-ოქროსფერ შარავანდედში გახვეულიყო.

ეს ისეთი მშვენიერი, ჰაეროვანი და ნათელი სურათი იყო, რომ არამიწიერ სანახაობას

მოგაგონებდა.

აღტაცებული ბირგერი საკაციდან წამოდგა, შორეული ხილვისაკენ ბარბაცით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მერე კი ძალაგამოცლილი დაეცა ძირს.

გლეხებმა თავდაპირველად იფიქრეს, ბირგერი მოკვდაო, მაგრამ იგი ისევ გონს მოვიდა და მხოლოდ ორი დღის შემდეგ მიიცვალა; სიკვდილამდე ბოდავდა და ნამდვილ იერუსალიმზე ლაპარაკობდა; სულ იმას ჩიოდა, რომ რაც უფრო უახლოვდებოდა წმინდა ქალაქს, ის მით უფრო შორს მიიწევდა და არავის, არც მას და არც სხვა მის თანამოძმეს, არ ძალუძდა იქ შეღწევა.

2. ჯვარისმტვირთველი

იმ წლების განმავლობაში, რაც გორდონის კოლონია იერუსალიმში დამკვიდრდა, ყოველ ცისმარე დღეს წმინდა ქალაქის ქუჩებში ერთ კაცს ხედავდნენ ხოლმე, რომელიც მძიმე და ტლანქად გამოთლილ ჯვარს მიათრევდა. იგი არავის სცემდა ხმას და მასაც არავინ ელაპარაკებოდა. არავინ იცოდა, ეს კაცი შეშლილი იყო და თავი ქრისტედ წარმოედგინა თუ მხოლოდ ღატაკი მომლოცველი იყო, რომელიც ცოდვების გამოსყიდვას ცდილობდა.

საბრალო ჯვარისმტვირთველს ღამღამობით ზეთისხილის მთაზე, ერთ გამოქვაბულში ეძინა. ყოველ დილით, მზის ამოსვლისთანავე, მთაზე გადმოდგებოდა და მის პირდაპირ, სიონის ბორცვზე გადაშლილ იერუსალიმს გასცქეროდა. კაცი ქალაქს ისე ათვალიერებდა ხოლმე, თითქოს რაღაცას დაეძებსო, თვალებს სახლიდან სახლზე, გუმბათიდან გუმბათზე აცეცებდა, ყველაფერს გულდასმით ათვალიერებდა, გეგონებოდათ, იმას ელოდება, გასულ ღამეს რამე დიდი ცვლილება ხომ არ მომხდარაო. ბოლოს და ბოლოს, როდესაც დარწმუნდებოდა, რომ ყველაფერი ისევ ძველებურად იყო, ღრმად ამოიოხრებდა ხოლმე, გამოქვაბულში ბრუნდებოდა, თავის უზარმაზარ ჯვარს მხრებზე მოიკიდებდა და თავზე საკუთარი ხელით გაკეთებულ ეკლიან გვირგვინს დაიდგამდა. მერე კი კაცი მთიდან ჩამოსვლას იწყებდა, რის ვაი-ვაგლახით გამოატარებდა თავის მძიმე ტვირთს ვენახებსა და ზეთისხილის ბაღებს შორის, ვიდრე გეთსემანიის ბაღის მაღალ კედელს არ მიაღწევდა. აქ იგი დაბალ ჭიშკართან შეჩერდებოდა ხოლმე, ჯვარს მიწაზე დადებდა და კართან რაღაცას ელოდებოდა; დროდადრო დაიხრებოდა, გასაღების ჭუჭრუტანას თვალს მიადებდა და ცდილობდა, დაენახა, რა ხდებოდა პატარა ბაღში. თუკი რომელიმე ფრანცისკანელს მოჰკრავდა თვალს, რომელიც გეთსემანიის ბაღს დარაჯობდა და ბებერ ზეთისხილის ხეებსა და მირტის ბუჩქებს შუა მიმოდიოდა, კაცს სახეზე დაძაბული გამომეტყველება აღებეჭდებოდა და რაღაც სასიხარულოს მოლოდინში ჩაიღიმებდა, თუმცა მალე თავს გააქნევდა, თითქოს ხვდებოდა, რომ ის, ვისაც ეძებდა, არ მოვიდა, ჯვარს ისევ აიკიდებდა და გზას აგრძელებდა.

შემდეგ კაცი, ჩვეულებისამებრ, მთის დაბალი ტერასებით იოსაფატის ხეობაში ეშვებოდა, სადაც ებრაელთა დიდი სასაფლაო იყო. გრძელი ჯვარი უკან მისთრევდა, საფლავის ქვებს ეხეთქებოდა და მათზე დაწყობილ პატარა ქვებს აქეთ-იქით ფანტავდა. დროდადრო კაცი, როცა ქვების რახარუხს გაიგონებდა, ჩერდებოდა და, იმაში დარწმუნებული, რომ ვიღაც მისდევდა, უკან იხედებოდა. ყოველ ჯერზე, როდესაც შენიშნავდა, რომ შეცდა, მძიმედ ამოიოხრებდა და სიარულს აგრძელებდა.

ამგვარი ამოოხვრა ნამდვილ კვნესაში გადადიოდა, როდესაც კაცი ხეობის ძირამდე ჩავიდოდა და თავისი უზარმაზარი ჯვრის მთის კალთაზე აზიდვა უწევდა, რომლის წვერზეც იერუსალიმი იყო. ამ მხარეს მუსულმანების სასაფლაო იყო და იგი ხშირად ხედავდა იქ მგლოვიარე ქალს, რომელიც თეთრ მოსასხამში გამოხვეული იჯდა ხოლმე რომელიმე დაბალ, კუბოს ფორმის სამარხზე. თუ კაცი მის მხარეს წაბორძიკდებოდა და ჯვარი სამარხს გამოედებოდა, ჟღრიალით შეშინებული ქალი მისკენ მოაბრუნებდა სახეს, რომელიც ისე აეხვია შავი ჩადრით, თითქოს სახის ადგილას ცარიელი, ბნელი ხვრელიაო. აცახცახებული კაცი სწრაფად შეტრიალდებოდა და გზას განაგრძობდა.

იგი ენით აუწერელი ტანჯვით მიბობღავდა ბორცვის წვერისკენ, სადაც ქალაქის გალავანი იყო აღმართული, მერე კი მოკლე ნაბიჯებით მიიწევდა პირდაპირ სიონის მთისკენ, ვიდრე მის სამხრეთ კალთაზე პატარა სომხურ ეკლესიას არ მიაღწევდა, რომელსაც კაიფას სახლი ერქვა. აქ კაცი ჯვარს ისევ ძირს დადებდა და ჭუჭრუტანაში იცქირებოდა, თუმცა ამით არ კმაყოფილდებოდა, ზარის თოკს მოქაჩავდა და რეკავდა. როდესაც ქვაფენილზე ფაჩუჩების ფრატუნს გაიგონებდა, ჩაიღიმებდა და ხელებს ეკლის გვირგვინის მოსახსნელად ასწევდა. მაგრამ როგორც კი ეკლესიის მსახური კარს გააღებდა და ჯვარისმტვირთველს თვალს მოჰკრავდა, უარის ნიშნად თავს აქნევდა.

მონანიე წინ გადაიხრებოდა და ნახევრად ღია კარში იხედებოდა; მოათვალიერებდა პატარა ეზოს,

სადაც, თქმულების თანახმად, პეტრემ მხსნელი უარყო, და დარწმუნდებოდა, რომ ეზოში არავინ იყო. მის სახეზე ღრმა მწუხარება აღიბეჭდებოდა, კარს საჩქაროდ მიხურავდა და სვლას აგრძელებდა.

მძიმე ჯვარი ჟღარუნით ედებოდა ქვებს და შენობის ნანგრევებს, რომლებითაც სიონის მიწა იყო დაფარული. აქედან კაცი უფრო აუჩქარებდა ფეხს, თითქოს მოუთმენლობამ ძალა შემატაო. იგი ქალაქისაკენ მიისწრაფოდა და ჯვარს იქამდე არ დებდა ძირს, ვიდრე მოუხეშავ, ნაცრისფერ შენობამდე არ მივიდოდა, რომელიც მეფე დავითის სამარის სახელით იყო ცნობილი, თუმცა იმასაც ამბობდნენ, რომ ამ შენობაში იყო დარბაზი, სადაც ქრისტემ საიდუმლო სერობა მოაწყო.

კაცი აქ ტოვებდა ხოლმე ჯვარს, თავად კი ბაღში შედიოდა. მუსულმანი დარაჯი, რომელიც მრისხანე მზერით ხვდებოდა ხოლმე ყველა ქრისტიანს, ღვთით შეპყრობილის დანახვაზე ქედს იდრეკდა და ხელზე ემთხვეოდა. ყოველთვის, როცა კაცი პატივისცემის ამ ნიშანს მიიღებდა, მოლოდინით აღსავსე თვალებით შეაცქერდებოდა დარაჯს, მერე კი უცებ გამოგლეჯდა ხელს, თავის გრძელ, უხეშ ლაბადაზე შეიწმენდდა, მიტრიალდებოდა და ჯვარს მხრებზე გაიდებდა.

გზის მომდევნო მონაკვეთი, ქალაქის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილამდე, სადაც პირქუშად გადაჭიმულიყო ქრისტეს ვნების გზა, უსასრულოდ ჭიანურდებოდა. როგორც კი კაცი ხალხმრავალ ქუჩებზე აღმოჩნდებოდა, თითოეულ გამვლელს სახეზე აკვირდებოდა, ჩერდებოდა, რაღაცას იძიებდა და შემდეგ მუდამ იმედგაცრუებული ისევ უკან ბრუნდებოდა. გულკეთილი მეთულუხჩე, რომელიც ეუბნებოდა, ამდენი ხეტიალით გაოფლილი ხარო, ხშირად უწვდიდა წყლით სავსე თუნუქის თასს, ხოლო ბოსტნეულის გამყიდველები პეშვით ლობიოს ან თხილს გადაუყრიდნენ ხოლმე. ამგვარ ძღვენს კაცი თავდაპირველად სიხარულით იღებდა, თუმცა მერე ისეთი უკმაყოფილო სახით მიტრიალდებოდა ხოლმე, თითქოს სულ სხვა და უკეთეს რამეს ელოდაო.

როდესაც კაცი ვნების გზის ვიწრო ქუჩებს მიაღწევდა, აქ უფრო იმედიანი გამომეტყველება უჩნდებოდა, ვიდრე გზის დასაწყისში. ისე მძიმედ აღარ ოხრავდა მძიმე ჯვრის ქვეშ, პირიქით, წელში გაიმართებოდა და გარემოს ისე ათვალიერებდა, თითქოს ახლად გათავისუფლებული პატიმარიაო.

კაცი ქრისტეს ვნების გზაზე ქვის პატარა დაფებით აღნიშნული თოთხმეტი ქანდაკებიდან პირველს მიადგებოდა, თუმცა მხოლოდ სიონის დების მონასტერთან ჩერდებოდა, იმ თაღის ახლოს, სადაც პილატემ ხალხს ქრისტე წარუდგინა. აქ იგი ჯვარს ქუჩაში ისე დააგდებდა, თითქოს აღარასოდეს აპირებდა ამ მძიმე ტვირთის ტარებას და მონასტრის ჭიშკარზე სამჯერ ძლიერად და გამომწვევად აბრახუნებდა. ვიდრე კარს გაუღებდნენ, ეკლის გვირგვინს მოიხდიდა და ზოგჯერ, თავის საქციელში დარწმუნებული, ერთ-ერთ ძაღლს გადაუგდებდა ხოლმე, რომელიც მონასტრის ახლოს ბინადრობდა.

მონასტერში მის კაკუნს ცნობდნენ. ღვთისმოსავი დებიდან რომელიმე ჭიშკარს შეაღებდა და კაცს პატარა, მრგვალ პურს გამოაწვდიდა.

ამაზე კაცი საშინლად განრისხდებოდა. პურს ხელს არ ახლებდა და ქუჩაზე აგდებდა, მიწაზე ფეხებს აბაკუნებდა და ველურ, სასოწარკვეთილ ხმებს გამოსცემდა. კარგა ხანს იდგა ხოლმე ჭიშკართან. ბოლოს და ბოლოს მისი სახე ისევ მრავლისმომთმენი წამებულის გამომეტყველებას იბრუნებდა. მერე ძირს იხრებოდა, პურს იღებდა და მტაცებლური სიხარბით გადასანსლავდა, შემდეგ კი თავის ეკლის გვირგვინს მოძებნიდა და ჯვარსაც წამოიკიდებდა. სულ რამდენიმე წამში მოლოდინით სახეგაბრწყინებული იდგა პატარა სამლოცველოს წინ, რომელსაც წმინდა ვერონიკას სახლი ერქვა, მერე კი იმედგაცრუებული შორდებოდა იქაურობას. ასე აივლიდა მთელ ქუჩას ერთი სადგურიდან მეორემდე და თავდაჯერებული ელოდა ხსნას სამლოცველოსთან, რომელიც იმ ადგილის აღსანიშნავად იდგა, სადაც სამართლიანობის კარიბჭე იყო და საიდანაც იესომ ქალაქი დატოვა და იქაც, სადაც მხსნელი იერუსალიმელ ქალებს ესაუბრებოდა.

როდესაც კაცი ამგვარად გაივლიდა ქრისტეს ვნების გზას, ზოგჯერ წმინდა საფლავის ტაძრის პატარა ბაღში მოხვდებოდა ხოლმე, თუმცა აქ საბრალო ჯვარისმტვირთველი თავის ტვირთს მიწაზე არ დებდა და არც ეკლის გვირგვინს იხსნიდა. როგორც კი პირქუშ, ნაცრისფერ ფასადს მოჰკრავდა თვალს, შებრუნდებოდა და გარბოდა. მოხუცი მონანიე, ეტყობა, დარწმუნებული იყო, რომ ეს ერთადერთი ადგილი გახლდათ, სადაც შეუძლებელი იყო იმის პოვნა, რასაც იგი ეძებდა.

ეს იმ საღამოს მოხდა, როდესაც ბირგერ ლარშონი დაკრძალეს. კოლონიის ყველა მკვიდრი – ძველი გორდონელები, რომლებიც იერუსალიმში აგერ უკვე თოთხმეტი წელია, ცხოვრობდნენ, ჰელგუმთან ერთად ჩამოსული ამერიკელი შვედები, და ახლადჩამოსული დალარნელი გლეხები საღამოს წირვაზე შეკრებილიყვნენ, თუმცა რადგანაც სიცხის გამო წირვას შენობაში ვერ ატარებდნენ, სკამები სამრევლო დარბაზის ტერასაზე გამოეტანათ, ღია ცის ქვეშ ესაუბრებოდნენ

ერთმანეთს და ფსალმუნებს მღეროდნენ.

ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ ყველა თავის საქმეს დაუბრუნდა, თუმცა დალარნელებს ფეხი არ მოუცვლიათ, რადგან მათი აზრით, დაკრძალვის დღეს სხვა რამის კეთება ულამაზო საქციელი იქნებოდა. წელში გამართულები, ღირსეულად ისხდნენ სკამებზე და თითქმის სულ დუმდნენ. ბირგერს ცოლი და რვა შვილი დარჩა, რომლებიც იქვე ისხდნენ და ჩუმად ქვითინებდნენ. ხან ერთი, ხან მეორე გლეხი დროდადრო ორიოდე სიტყვას თუ ეტყოდა მათ, რათა შეეხსენებინა, რომ მომავლის შიში არ უნდა ჰქონოდათ.

– არ გეგონოთ, რომ სხვა ქვრივ-ობლების ბედი გეწევათ, – ეუბნებოდნენ თანასოფლელები, – უწინდელივით იცხოვრებთ და არაფერი გაგიჭირდებათ. ახლა ხომ ასობით ახალი და-ძმა გყავთ, რომლებიც დახმარების ხელს გამოგიწვდიან.

ამასობაში მზე ჩავიდა, მერე კი ისე სწრაფად დაბნელდა, რომ ცაზე მთვარე და ვარსკვლავები გამოჩნდა, თუმცა მთიდან საღამოს გრილი ნიავი კი არ უბერავდა, კვლავინდებურად სიცხე და შეხუთული ჰაერი იყო. მთელ დღეს აუტანლად ცხელოდა და დალარნელების უმეტესობას ციებ-ცხელებამ შემოუტია. ლამის იყო, დაიჯერეს, რომ ისინიც ბირგერ ლარშონის ბედს გაიზიარებდნენ და ახლა, როდესაც სიბნელესა და სიჩუმეში ისხდნენ, იმაზე ფიქრობდნენ, რატომ გამოგზავნა ღმერთმა ამ მხარეში, თუკი აქ ცხოვრებას ვერ შეძლებდნენ.

სხვა მხრივ კი აქ გაცილებით უკეთესად მოეწყვნენ, ვიდრე ამას მოელოდნენ. დალარნელებს ეგონათ, აქ მხოლოდ დაბრკოლებები და გაჭირვება შეხვდებოდათ, სინამდვილეში კი კოლონისტები თავს კარგად გრძნობდნენ და უზრუნველად ცხოვრობდნენ. გარდა იმ დიდი სახლისა დამასკოს კარიბჭესთან, სადაც მათი სამრევლო დარბაზი, სასადილო, სამზარეულო და სამრეცხაო იყო და არა მარტო დალარნელების წიმანძღოლებს, არამედ თითოეულ ოჯახს საკუთარი ვრცელი და ლამაზი ოთახი ჰქონდა, კოლონისტებმა იერუსალიმში სამი სახლი დაიქირავეს. ორი მათგანი საცხოვრებელი სახლი იყო, მესამეში კი სკოლა გახსნეს. დალარნელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დარწმუნდნენ, რომ კოლონიაში შესანიშნავი სკოლა იყო, სადაც მათი შვილები უკეთეს განათლებას მიიღებდნენ, ვიდრე სამშობლოში.

დალარნელებმა ბარგი რომ ამოალაგეს და ოთახებში მოეწყვნენ, მაშინვე აღმოაჩინეს, რომ ზოგი საოჯახი ნივთი და ავეჯი არ ჰქონდათ და გადაწყვიტეს, სადურგლო დაზგები გაეკეთებინათ სკამების, მაგიდების, საწოლების, ჭურჭლის სარეცხი ბაკნების, სამზარეულოს კარადების და სხვა ავეჯის დასამზადებლად. ქალების საუბარსაც მოჰკრეს ყური, რომლებიც ჩიოდნენ, აღმოსავლურ ღუმლებში, აქ რომ გვაქვს, წესიერი პური არ ცხვებაო და ღუმლის ამოყვანაც განიზრახეს. ქმრებთან ერთად მათმა ცოლებმაც დაიწყეს ფიქრი, რა სარგებლობის მოტანა შეეძლოთ კილონიისთვის. ჩანდა, საქმე მათთვისაც გამოიძებნებოდა.

ძველ გორდონელებს თავისი სამუშაო ჰქონდათ – სკოლას უძღვებოდნენ და ავადმყოფებს და ღარიბებს ეხმარებოდნენ. ვიდრე ცოტანი იყვნენ, ყველაფერს თავად აკეთებდნენ, მაგრამ ამერიკელმა შვედებმა საოჯახო საქმეები საკუთარ თავზე აიღეს. სამუშაო არც ისე იოლი იყო. ას ოც ადამიანზე მუდმივად უნდა ეზრუნათ. მთელ დღეებს საჭმლის მომზადებასა და ტანსაცმლის რეცხვაში ატარებდნენ. დალარნელებმა ქალებმა კი გადაწყვიტეს, ქსოვისა და კერვისთვის მოეკიდათ ხელი. სასწრაფოდ უნდა აემუშავებინათ საფეიქრო დაზგები და ტანსაცმელი, ხალიჩები, პირსახოცები და ლამაზი სუფრები მოექსოვათ, ამისთვის კი მუყაითად უნდა ეშრომათ, თორემ ამდენი ხალხისთვის ამ ყველაფრის ყიდვა ხუმრობა ხომ არ იყო.

ყველაზე საუკეთესო, რაც დალარნელებს კოლონიაში დახვდათ, მაინც დიდი სიყვარული და სითბო იყო. ძველ გორდონელებთან დალაპარაკება ჯერაც არ შეეძლოთ, თუმცა კარგად ხედავდნენ, რომ ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ახლადმოსულებს თავი შინაურულად და ბედნიერად ეგრძნოთ. ამერიკელი შვედებიც უმოწმებდნენ, რომ უკეთესი ხალხი არსად შეხვედროდათ. ნებისმიერ დროს მზად იყვნენ, დახმარებოდნენ, არასოდეს არავისთვის ერთი უხეში სიტყვაც კი არ უთქვამთ და არასოდეს უგრძნობინებიათ მათთვის, რომ გლეხებზე უკეთესები იყვნენ. არც ერთ მათგანს არ სურდა, მარტო თვითონ ჰქონოდა რამე, რაც ერთს ეკუთვნოდა, ის ყველას საკუთრება იყო. ამიტომაც სუფევდა კოლონიაში ასეთი სიხარული. ისინი ბავშვებივით გულწრფელები იყვნენ, მათი ბავშვები კი – უფროსებივით მამაცები, უზრუნველები და ხალისიანები.

დალარნელების თვალში ყველაფერზე მაღლა მაინც ის იდგა, რომ ისინი უფლის ქალაქში, იერუსალიმში, იმყოფებოდნენ. აქ ჩამოსვლამდე არ ეგონათ, რომ იმ ადგილების მონახულება, სადაც ქრისტე დადიოდა, ასეთ სიხარულს მიანიჭებდა. ახლა კი თითქოს მუდამ უფალი ედგათ თვალწინ და მისი არსებობა წამითაც არ ავიწყდებოდათ. მათ ცხოვრებაში ისეთი ნეტარება გამეფებულიყო, როგორიც ალბათ, ხალხის იმ ბრბოში, რომლებიც მესიას ყველგან თან დაჰყვებოდნენ და ყველაფერს გაიღებდნენ, რომ მისი მოძღვრებით ეცხოვრათ.

ყველაფერი კარგად იქნებოდა, იმაზე დარდი რომ არა, როგორ შეძლებდნენ წმინდა მიწაზე ცხოვრებას. ასე ეგონათ, ჰაერიც კი შხამით იყო გაჟღენთილი. რა განზრახვა ჰქონდა უფალს? ნუთუ ისინი აქ მხოლოდ იმიტომ გამოგზავნა, რომ ახალი, მშვენიერი ცხოვრების გარიჟრაჟი ეხილათ და შემდეგ დახოცილიყვნენ?

დალარნელები ამგვარ ფიქრებს მისცემოდნენ, როცა უეცრად სკოლის მასწავლებლის შვილი გერტრუდი ყვირილით წამოხტა ფეხზე.

– იმას ხედავთ? – იკითხა მან, თან მზერა სამხრეთით, იერუსალიმისკენ მიეპყრო და ისეთი შეძრწუნებული იყო, რომ არ დაცემულიყო, სკამის საზურგეს ეყრდნობოდა.

თავად იერუსალიმი კოლონიიდან არ ჩანდა, რადგან გზად რამდენიმე ბორცვი ეფარებოდა. ბევრი თვლიდა, რომ სინამდვილეში გოლგოთა ამ ბორცვებიდან ერთ-ერთია და, მათი აზრით, უსამართლობა იყო, რომ გოლგოთად იმ ადგილს მიიჩნევდნენ, სადაც წმინდა საფლავზე აღმართული ეკლესია იყო. ჰოდა, ახლა გერტრუდმა სწორედ ამ ბორცვის თავზე მდგარი ფიგურა შენიშნა, რომელიც მკაფიოდ მოჩანდა მთვარიანი ცის ფონზე. იგი გრძელ მოსასხამში გახვეულიყო, თავი ეკლის გვირგვინით შეემკო, ხელში კი დიდი ჯვარი ეჭირა.

დალარნელებმა იქით გაიხედეს, საითაც გოგო მიუთითებდა და იგივე ხატება იხილეს. ბევრი მათგანი წამოდგა და ბალუსტრადისკენ გაეშურა, რომ უკეთ დაენახა ყველაფერი, ზოგი კი ისე გაშეშებული იდგა, თითქოს ნანახმა თავზარი დასცაო. ხატება სიზმარეულ ჩვენებასავით არ გამქრალა, ეკლის გვირგვინიანი და ჯვრიანი კაცი მართლაც იდგა იმ ბორცვზე, სადაც ხალხის რწმენით ნამდვილი ჯვარცმის ადგილი იყო; მთვარის მორუხო-მომწვანო შუქზე უჩვეულოდ დიდი ჩანდა და, ალბათ, არც ერთ დალარნელს არ სჯეროდა, რომ ის, რასაც ხედავდნენ, მიწიერი და ხელშესახები იყო.

ამ დროს ჰელგუმმა, რომელიც მათთან ერთად იჯდა, გადაწყვიტა, სასწრაფოდ აეხსნა ხალხისთვის, ვინ იდგა ბორცვზე.

– ეს ერთი საბრალო შეშლილია, – თქვა მან. – აქ, იერუსალიმში, ბევრჯერ მინახავს. ჰგონია, ქრისტეს ჯვარს ატარებს და ამ ტვირთს მხოლოდ მაშინ დააღწევს თავს, თუკი ვინმე შეენაცვლება.

ჰელგუმის ნათქვამს ყური არავინ ათხოვა. ყველა ბორცვზე მდგომ კაცს მისჩერებოდა. ისეთი სანახაობა იყო, უჭირდათ იმ აზრთან გამოთხოვება, რომ მის გამოცხადებაში რაღაც უჩვეულო იმალებოდა.

ხმაური, რაც დალარნელების ტერასის კიდესთან გადანაცვლებას მოჰყვა, ეტყობა, ჯვარისმტვირთველის ყურსაც მისწვდა. ხალხმა შენიშნა, როგორ მობრუნდა იგი და მათ თვალიერებას მოჰყვა, მერე ფერდობზე დაშვებას შეუდგა და თან ცალ მხარზე გადაკიდებულ ჯვარს მოათრევდა. ესმოდათ, როგორ კვნესოდა კაცი მძიმე ტვირთის ქვეშ და როგორ მოახრიგინებდა ჯვარს ქვიან მიწაზე.

ჰელგუმმა განაგრძო თხრობა, თუ როგორ შემოივლიდა ხოლმე ეს ბედკრული კაცი ყოველდღე იერუსალიმს და როგორ მიაშურებდა ყოველ შემხვედრს იმ იმედით, რომ სწორედ იმას გადააწყდა, რომელსაც უნდა გაეთავისუფლებინა, დალარნელები კი ჯვარისმტვირთველს თვალს არ აშორებდნენ.

წამით კაცი ბორცვებს შორის გაუჩინარდა, თუმცა მალე ქვემოთ, კოლონიისაკენ მომავალ გზაზე გამოჩნდა.

– აქეთ მოდის! აქეთ მოდის! – გაისმა ხალხში აღელვებული ხმები, თითქოს ჯერ კიდევ ვერ გაეცნობიერებინათ, რომ მათკენ თავად ქრისტე არ მოემართებოდა.

– ჰო, სწორედ ასე აკეთებს, – თქვა ჰელგუმმა. – როგორც კი ვინმეს მოჰკრავს თვალს, მისკენ მიისწრაფვის ხოლმე, მაგრამ თუ შენიშნა, რომ ეს ის არ არის, ვისაც ელოდა, უმალ ზურგს შეაქცევს.

– როგორ ხვდება, რომ ის არ არის? – იკითხა გერტრუდმა.

– ეს არავინ იცის, – მიუგო ჰელგუმმა, – ალბათ, არც თვითონ.

ჯვარისმტვირთველი მოახლოვდა და დალარნელები ახლა უკვე მკაფიოდ არჩევდნენ, რამხელა ჯვარი მოჰქონდა და რა ვაი-ვაგლახით მოათრევდა ტვირთს.

– ოჰ, საწყალი! – სიბრალულით აღმოხდათ ქალებს, ხელები გაიწოდეს და სახეზე შეეტყოთ, რომ ერთი სული ჰქონდათ, ძირს ჩასულიყვნენ და კაცს ტვირთის ზიდვაში შეშველებოდნენ, თუმცა როდესაც იგი სახლს მოუახლოვდა, სიჩუმე ჩამოვარდა, რადგან ადამიანი, რომელსაც ისინი

ხედავდნენ, მათთვის სიწმინდის ისეთი დამაჯერებელი განსახიერება იყო, რომ ხალხი საოცარმა მოწიწებამ შეიპყრო. იდგნენ და მხოლოდ იმას ელოდნენ, კაცი რას მოიმოქმედებდა. ჯვარისმტვირთველიც უძრავად იდგა და ორიოდე წუთს მათ აჰყურებდა. ტერასა ძალიან მაღალი არ იყო, მთვარის შუქი დალარნელების სახეებს ანათებდა და იგი, ალბათ, კარგად არჩევდა მათ რწმენით აღსავსე, სერიოზულ ნაკვთებს.

ბოლოს და ბოლოს კაცი ადგილიდან დაიძრა.

– აი, დაგვინახა, – თქვა ჰელგუმმა, – ახლა ნახავთ, როგორ მიატოვებს აქაურობას.

მაგრამ ჯვარისმტვირთველს გზა აღარ გაუგრძელებია. ამის ნაცვლად სახლს უფრო მოუახლოვდა, ჯვარი ჩამოიღო და გზაზე დადო, თან გვირგვინიც მოიხსნა და ჯვრის ცალ მხარეს ჩამოკიდა.

წუთის შემდეგ დალარნელებმა დაინახეს, როგორ მიუყვებოდა კაცი გზას – წელგამართული და მსუბუქი ნაბიჯით, ტვირთისგან თავდახსნილი.

როდესაც დალარნელები მიხვდნენ, რომ კაცმა ტვირთი მათ სახლთან დატოვა, სიტყვაც არ დასცდენიათ, მაგრამ ზოგიერთმა მაგრად ჩასჭიდა ხელი გვერდით მდგომს, ერთი-ორს კი თვალები ცრემლებით აევსო. ყველას ნათელმა გადაუარა სახეზე და თითქოს უეცრად გალამაზდნენ კიდეც. მათ თავის კითხვებზე პასუხს მიაგნეს. აქ არც სიკვდილისთვის მოსულან და არც სიცოცხლისთვის, აქ მხოლოდ იმისთვის იყვნენ, რომ ქრისტეს ჯვარი ეზიდათ და ეს ერთადერთი რამ იყო, რისი ცოდნაც სჭირდებოდათ.

3. გორდონელები

ოთხმოციანი წლების დასაწყისში, იმ დროისათვის, როცა დიდი ხომალდი „უნივერსი“ ჩაიძირა და რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე ინგმარის ძველი თემის მასწავლებელი მისიის სახლის აგებას დაიწყებდა, იაფაში ერთი ახალგაზრდა კაცი, სახელად ელიაჰუ, დასახლდა. იგი ღარიბი იყო, თუმცა მისიონერულ სკოლაში კარგი აღზრდა მიეღო და შვიდ ენაზე ლაპარაკობდა. ელიაჰუ მიხვდა, რომ თავის ცოდნას ყველაზე უკეთ სწორედ იმაში გამოიყენებდა, თუ წმინდა მიწაზე ჩამოსულ უცხოელებს თარჯიმნობას და მეგზურობას გაუწევდა, ხოლო რადგანაც გონიერი იყო და ჩამოსულებზეც ზრუნავდა, სამუშაო არ ელეოდა.

უნდა ითქვას, რომ იმ დროს პალესტინაში ენით აუწერელი გაჭირვება სუფევდა, ყველაზე სამწუხარო კი ის გახლდათ, რომ არავის სჯეროდა, თუ რაიმე უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. სამაგიეროდ ყველა დარწმუნებული იყო, რომ პალესტინა ყოველთვის ის ქვეყანა იქნებოდა, სადაც არც გზებია, არც ხიდები, არც წესიერი სარწყავი არხები და, აქედან გამომდინარე, არც შემოსავლიანი სოფლის მეურნეობა. წარმოუდგენელი იყო, რომ გლეხები ოდესმე ზეთისხილის ხის დაბრეცილი ტოტებისგან გაკეთებული სახნავი იარაღების ნაცვლად სხვა რამის გამოყენებას ისწავლიდნენ, ან თიხის უფანჯრო ქოხებში არ იცხოვრებდნენ, სადაც ხალხი და საქონელი ერთ ჭერქვეშ ბინადრობდა. იმის შეცვლაც შეუძლებელი ჩანდა, რომ ქვეყნის სამი მეოთხედი საძოვრებს ეკავა და ხალხს არც იმის იმედი ჰქონდა, რომ ტვირთს ოდესმე რკინიგზით გადაიტანდნენ და არა აქლემის ზურგზე აკიდებულს, ან ზღვის ნაპირზე ნავსადგურებს ააშენებდნენ, ან კიდევ ქუჩის ძაღლების გარდა სხვა მენაგვეები ეყოლებოდათ.

იქაურების უმეტესობა მართლაც არასოდეს დაფიქრებულა, რა ჩამორჩენილი იყო მათი ქვეყანა, მაგრამ ელიაჰუს, რომელსაც ევროპიდან თუ ამერიკიდან ჩამოსულებისგან მუდამ ესმოდა, რამდენ რამეს მიაღწიეს მათ სამშობლოში, არ შეეძლო არ შეემჩნია თავისი ქვეყნის სავალალო ყოფა. ალბათ, მასაც სხვებივით ეგონა, გამოსავალი არ არსებობსო, მაგრამ ბევრჯერ, როცა მოგზაურებს დაჰყვებოდა, ღრმად ჩაფიქრებული იჯდა ხოლმე ცხენზე და ცდილობდა, გარკვეულიყო, რატომ გადაიქცა ასეთ ღატაკ და უბადრუკ ქვეყანად ერთ დროს უძლიერესი სამეფო პალესტინა.

ელიაჰუ საკუთარ თავს ეკითხებოდა, ამაში ადგილი ხომ არ იყო დამნაშავე, თუმცა სულ ის ესმოდა, რა დიდი უპირატესობა იყო ქვეყნისთვის ხმელთაშუა ზღვის პირას რომ მდებარეობდა და სანაპიროს მრავალი მილი ეკავა. მართალია, სანაპირო ბრტყელი და სწორი იყო, კუნძულებისა და ყურეების გარეშე და არც ერთი ნავსადგური არ ჰქონდა, მაგრამ ელიაჰუმ იცოდა, რომ იაფაში, კაიფაში ან სადმე სხვაგან ერთი ნავსადგურის აშენება სავსებით შესაძლებელი გახლდათ. როდესაც ამ ნავსადგურზე ფიქრობდა, თავბრუც კი ეხვეოდა. მოგზაურების რამხელა ნაკადი მოაწყდებოდა აქაურობას, რამდენი საქონელი შემოვიდოდა, ვაჭრობა გაჩაღდებოდა! მთელი არაბეთი, სპარსეთი და მესოპოტამია აქეთ დაიძვრებოდა ძვირფასი ხალიჩებით და ჯიშიანი ცხენებით, ნაქარგებით, ნელსურნელებით და საუკეთესო იარაღით, რათა ეს ყველაფერი მერე

დასავლეთში გაეტანათ.

იქნებ პალესტინის სიღატაკე ადგილმდებარეობის კი არა, ცუდი ნიადაგის ბრალი იყო. ელიაჰუს, რომელსაც უკვე მრავალჯერ შემოევლო მთელი ქვეყანა, ვერც ეს დაეჯერებინა. პატარა ქვეყანა მხოლოდ ზღვის პირას გადაშლილი ერთი დიდი ვაკისგან შედგებოდა, რომელიც მთელ პალესტინას გასდევდა სიგრძეზე, ხოლო სიგანეში სამი მილი იყო, ამას გარდა ვაკის ზევით მთაგრეხილი გადაჭიმულიყო, მის ძირში კი – მდინარე იორდანეს ღრმა ხეობა, რომელიც ასევე მთელ ქვეყანას გასდევდა ჩრდილოეთით ტიბერიის ტბიდან უკიდურესი სამხრეთით მკვდარ ზღვამდე, თუმცა ელიაჰუ ვერც ერთ ამ ადგილზე ვერ იტყოდა, უნაყოფოაო.

მან იცოდა, რომ სანაპირო ვაკეზე ძალზე ნაყოფიერი ნიადაგი იყო. ელიაჰუს უნახავს, რომ აქ მიწას უბრალო ხის გუთნით ხნავდნენ და წლიდან წლამდე უხვ მოსავალს იძლეოდა და გული სტკიოდა, რადგან ეს მინდვრის ყვავილებით მოფენილი მიწა, თუ კარგად დაამუშავებდი, შეიძლებოდა ხორბლის და სიმინდის ზღვად გადაქცეულიყო. მთაგრეხილი, ელიაჰუს აზრით, სანაპირო ვაკეზე უფრო მდიდარი ადგილიც კი გახდებოდა. ჯანსაღი ჰაერისა და ასატანი სიცხის გამო საცხოვრებლადაც უკეთესი იყო. დაუსახლებელი და გაუვალი ადგილების მიუხედავად, მთაგრეხილის დიდი ნაწილი დაბალი ბორცვებისგან შედგებოდა, სადაც მთლიანად სახნავად ვარგისი მიწები იყო. ელიაჰუს ხშირად უოცნებია, ეს ბორცვები ბაღებში ჩაფლული და ისეთივე აყვავებული ენახა, როგორიც ბეთლემის შემოგარენი იყო. ისე ცხადად წარმოიდგენდა ხოლმე ამ სურათს, რომ ქვიანი ნიადაგი, სადაც თხის არვეები ეკალბარდებში ბალახობდნენ, სადღაც ქრებოდა და მის ნაცვლად ნუშის და გარგარის, ბროწეულის და ლეღვის, ზეთისხილის და ფორთოხლის თვალწარმტაცი ჭალები გადაეშლებოდა წინ.

ელიაჰუს ოცნებები განსაკუთრებით მაშინ ისხამდა ფრთებს, როდესაც ტირიფის ბუჩქნარში მიიკვლევდა ხოლმე გზას, რომლითაც იორდანეს ხეობის ფსკერი იყო მოფენილი. ამ, მთის მაღალი კალთებით დაცულ და წყაროებით მდიდარ, ღრმა ხეობაში ყველაზე სათუთი და იშვიათი მცენარეულობა ხარობდა. საბრალო ელიაჰუს წარმოსახვაში ეს ადგილი ახალი ედემი გახლდათ, მაღალი პალმებით, სადაც უხვად იზრდებოდა სურნელოვანი სანელებლები თუ ის იდუმალი მცენარეები, რომელთაც ნელსურნელების, საღებავების და წამლების დასამზადებლად იყენებენ. თუმცა ეს მხოლოდ ოცნებები იყო, რომელთაც არასოდეს ეწერათ ახდენა. რამდენიმე პალესტინელი, რომელთაც ელიაჰუ ამის შესახებ ესაუბრებოდა, მხოლოდ მხრებს იჩეჩავდა და ზღვისკენ, ჩრდილო-დასავლეთით იშვერდა ხელს. ამით ყველაფერი იყო ნათქვამი.

ელიაჰუმაც კარგად იცოდა, რომ მთელი ამ უბედურების მიზეზი კონსტანტინოპოლში იყო, სადაც თურქები ბატონობდნენ. სწორედ მათი წყალობით მოიშალა ძველი წყალსადენი, უპატრონოდ დარჩა გზები, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ რკინიგზის გაყვანას, ხელს უშლიდნენ დაინტერესებულ უცხოელებს ნავსადგურების აშენებაში, კრძალავდნენ დასავლური წიგნებისა და გაზეთების შემოტანას. სწორედ მათ დაუწესეს დიდი გადასახადები ყველას, ვინც საჭირო ან შემოსავლიან სამუშაოს ასრულებდა, რათა ხალხს მთელი სიცოცხლე უქმად გაეტარებინა. სწორედ მათ დაამკვიდრეს ქვეყნად უსამართლობა, მოსამართლეები კი ქრთამის აღებას დააჩვიეს, მძარცველებიც წლობით დათარეშობდნენ დაუსჯელად, ხალხი კი ამ ყველაფერს შეეგუა და ბედს დამორჩილდა, აღარავის შესწევდა ძალა, რაიმე შეეცვალა.

ელიაჰუ მრისხანებისაგან სისხლი უდუღდა, როცა თურქების ყველა დანაშაულს ჩამოთვლიდა ხოლმე. ვერაფრით გაეგო, როგორ შეეძლოთ მათ ასე მშვიდად ეპარპაშათ მის სამშობლოში. განა პალესტინა ყველა ქრისტიანისთვის საყვარელი ქვეყანა არ იყო? მათთვის ხომ პალესტინა უცხო მიწა არ გახლდათ. აქ ყველა ჯურის მონასტერი, სკოლა და მისიონერული წარმომადგენლობა იყო, სადაც რუსები და ბერძნები, კათოლიკეები და პროტესტანტები, სომეხი ქრისტიანები, კოპტები თუ იაკობინელები ბინადრობდნენ. დაუჯერებელი იყო, რომ ეს ხალხი, რომელთაგან ზოგიერთი თავის სამშობლოში დიდი გავლენით სარგებლობდა, თურქებს ამდენი ბოროტების ჩადენის ნებას აძლევდა. რატომ არ ცდილობდნენ ეს ადამიანები, რომლებიც ქრისტეს აღიარებდნენ, უფლის ქვეყანაში სამართლიანი მმართველობა დამყარებულიყო? რატომ არ სურდათ, სხვა ხალხებს ეთქვათ: „შეხედეთ იესოს სამშობლოს, ამ ღვთიურ წალკოტს დედამიწაზე. იქ მშვიდობა და სიყვარული გამეფებულა, ერთმანეთს არავინ მტრობს, მთელი ქვეყანა ხარობს და ყვავის. სხვაგან იესოს მოძღვრებას არ მისდევენ, პალესტინაში კი უფლის სიტყვა მთელი მშვენებით არის წარმოჩენილი.“ რატომ არ უნდოდათ აქაურ ქრისტიანებს, სხვებს ეს ეთქვათ? ძალიან რომ მოენდომებინათ, თურქები ხომ ხელს ვერ შეუშლიდნენ?

ბევრი გულმხურვალე პალესტინელი ქრისტიანისთვის დაუსვამს ელიაჰუს ეს კითხვა, მაგრამ მუდამ ერთსადაიმავე პასუხს იღებდა:

– ნუთუ ვერ ხედავ, რომ ჩვენ, ქრისტიანები, ამ ქვეყანაში ვერაფერს მივაღწევთ, რადგან ერთიანობა არა გვაქვს. ჩვენ ხომ მუდმივად ვმტრობთ და ვექიშპებით ერთმანეთს. მაშ, როგორღა

შევძლებთ უფლის სამეფოს შექმნას? აქ, სადაც იესო ცხოვრობდა, რწმენა უფრო ძლიერია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, თუმცა სწორედ ამიტომაც სიძულვილი სხვადასხვა აღმსარებლებს შორის აქ უფრო მძვინვარებს, ვიდრე სხვაგან. მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ქრისტიანები უკეთ ეგუებიან ერთმანეთს, ვიდრე წმინდა მიწაზე.

ელიაჰუ აღიარებდა, რომ ეს სიმართლე იყო. კარგად ესმოდა, რომ მის სამშობლოში გამეფებულ წყვდიადს ბოლო არ მოეღებოდა, ვიდრე ქრისტიანები თანხმობით ცხოვრებას არ ისწავლიდნენ. თანაც იერუსალიმში იმდენი ფანატიკოსი და რწმენის ბრმად მიმდევარი ენახა, ხვდებოდა, რომ ეს დღე არასოდეს დადგებოდა.

ელიაჰუ უკვე წელიწადზე მეტი იყო, უცხოელებს თარჯიმნობას უწევდა, როცა პალესტინაში ამერიკელი მოგზაურების ჯგუფი ჩამოვიდა. ყველა მათგანი ჩიკაგოელი იყო და მოგზაურობის დაწყებამდე არა მარტო კარგად იცნობდა ერთმანეთს, ახლობლები და კარგი მეგობრებიც იყვნენ; არც მდიდარი უსაქმურები იყვნენ, მხოლოდ გასართობად რომ მოგზაურობენ, არამედ უბრალო და შეძლებული ადამიანები, რომელთაც იმ ქვეყნის გაცნობა და შესწავლა სურდათ, სადაც მათი მხსნელი ცხოვრობდა. მათ შორის გამოირჩეოდნენ ადვოკატი ედვარდ გორდონი და მისი მეუღლე. სულ თხუთმეტამდე მოგზაური იყო: ახალგაზრდა ექიმი დასთან ერთად და რამდენიმე მასწავლებელი ოჯახებითურთ. ამერიკელებს მთელი პალესტინის შემოვლა და ყველა წმინდა ადგილის დათვალიერება სურდათ, მერე კი სამშობლოში დაბრუნებას აპირებდნენ.

ამ ამერიკელების გაძღოლა ელიაჰუს მოუხდა. იგი ყველაფერზე ზრუნავდა: იშოვა ცხენები, უნაგირები, კარვები, მოსამსახურეები, პროდუქტები და ყველა საჭირო ნივთი. მოგზაურობისას თადარიგს იჭერდა, რომ საჭმელი მუდამ მზად ყოფილიყო იმ დროისთვის, როცა დასასვენებლად შეჩერდებოდნენ, საუკეთესო გზებს არჩევდა და ისე კარგად გაართვა საქმეს თავი, რომ ჰებრონიდან ტიბერიამდე მგზავრებმა დაუბრკოლებლად მიაღწიეს. ელიაჰუს არც ერთ ქარავანთან არ გამოუჩენია ასეთი ძალისხმევა, თუმცა ასე ამერიკელებისგან გულუხვი ჯილდოს მიღების იმედით კი არ ირჯებოდა, არამედ იმიტომ, რომ ეს ხალხი შეუყვარდა.

ელიაჰუს ათასი ჯურის ადამიანი ენახა, მაგრამ ასეთებს ჯერაც არ შეხვედროდა. მოგზაურები ისე უბრალოდ იქცეოდნენ, ელიაჰუს არ სჯეროდა, რომ რომელიმე მათგანს მაღალი მდგომარეობა ეკავა თავის სამშობლოში, თუმცა მათ მიმართ მაინც დიდი პატივისცემით იყო გამსჭვალული. მისი აზრით, ამ ხალხს რაღაც ისეთი დიდებულება ახლდა, რაც მხოლოდ იმათ აქვთ, ვინც სხვებზე ძალაუფლების მოპოვებისთვის არის დაბადებული. ეს, ალბათ, იმის გამოც იყო, რომ ყოველი მათგანი უდიდეს თავშეკავებას ამჟღავნებდა. არასოდეს მიუმართავთ ერთი ურიგო სიტყვითაც არა მხოლოდ ერთმანეთისთვის, სირიელი მოსამსახურეებისთვისაც კი; არასოდეს გამოხატავდნენ უკმაყოფილებას; ყოველთვის, წვიმასა თუ სიცხეში, კარგ გუნებაზე იყვნენ. მათში ისეთი სიხალისე და ჯანსაღი სიმამაცე იგრძნობოდა, რომ ელიაჰუს ხშირად გაუვლია გულში, რა იქნება, ყველა მოგზაური ამ ხალხისნაირი იყოს, მაშინ ხომ მეგზურობა უფრო სასიამოვნო საქმე იქნებოდაო. ამერიკელებთან ერთად ყოფნამ იგი სხვა ადამიანად აქცია და შიშით ელოდა იმ დღეს, როცა მათ იაფამდე მიაცილებდა და იქიდან გამგზავრებულებს გამოეთხოვებოდა.

ელიაჰუმ ამერიკელებთან ერთად მთელი ქვეყანა შემოიარა, შემდეგ კი იერუსალიმში შეჩერდა, სადაც თანამგზავრებს ყველა ტაძარი, ყველა ის ქვა თუ მღვიმე აჩვენა, რომელსაც რაიმე ღირსშესანიშნავი შეეძლო მოეთხრო. თუმცა, როგორც არ უნდა გაეჭიანურებინა დრო, მოვიდა დღე, როცა უნდა ეღიარებინა, რომ საჩვენებელი აღარაფერი იყო და ამერიკელებიც დასამშვიდობებლად მოემზადნენ.

იერუსალიმიდან გამგზავრების წინა საღამოს მოგზაურებმა ელიაჰუს კაცი მიუგზავნეს და პანსიონის სასადილოში მიიწვიეს. იქ მისული ელიაჰუ ჩუმად იჯდა და მაშინვე შეატყობდი, რა დადარდიანებული იყო. ამერიკელებმა სთხოვეს, მათთან ერთად მისჯდომოდა სუფრას, ხოლო ვახშმობისას ამაოდ ცდილობდნენ მეგზურის გამხიარულებას.

– ელიაჰუ, – მიმართა უეცრად მისტერ გორდონმა, – ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ ქვეყნიდან გამგზავრებამდე ყველაფერს მოგიყვებოდით ჩვენს შესახებ. ამ ხნის განმავლობაში ჩვენთვის ძვირფასი მეგობარი გახდით და უმჯობესი იქნება, თუ არ დავშორდებით.

და მან ელიაჰუს უამბო, რომ მისი ცოლი გემის ჩაძირვის დროს ძლივს გადაურჩა სიკვდილს და, როდესაც ტალღებს ებრძოდა, უფლისგან გზავნილი მიიღო; ისიც უთხრა, რომ მისმა თანამგზავრებმა, რომელთაც ელიაჰუ მეგზურობდა და კიდევ რამდენიმე ადამიანმა, ჩიკაგოში რომ დატოვეს, საზოგადოება ჩამოაყალიბეს, რათა გაერთიანებულიყვნენ და მთელი მსოფლიოს ერთიანობისთვის მიეღწიათ. ბოლოს მისტერ გორდონმა ელიაჰუს ჰკითხა, ხომ არ სურდა, მათი საზოგადოების წევრი გამხდარიყო და ამერიკაში გაჰყოლოდა. ელიაჰუ ხომ მარტოხელა იყო და შეეძლო, იქ ეცხოვრა, სადაც მოისურვებდა, ასეთი განათლებული კაცი კი სამუშაოსაც იოლად იშოვნიდა. ამერიკელებმა მოგზაურობისას იმდენი რამ შეიტყვეს ელიაჰუზე, რომ

დარწმუნებულნი იყვნენ, მათთან ცხოვრება არ გაუჭირდებოდა. თავის მხრივ, ელიაჰუც საკმარისად გაეცნო ამერიკელების ცხოვრების ნირს და თავად შეეძლო, გადაეწყვიტა, სურდა თუ არა მათთან შეერთება.

მისტერ გორდონმა რომ ლაპარაკი დაასრულა, ელიაჰუ დიდხანს დუმდა. გასაოცარი ამბავი დაატყდა თავს. როდესაც მისტერ გორდონი იმაზე საუბრობდა, როგორ შექმნეს მან და მისმა თანამოაზრეებმა საზოგადოება საყოველთაო ერთობის დასამყარებლად, მისმა ოცნებებმა თითქოს ხორცი შეისხეს. თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. ეს ადამიანები მის თვალში ისეთი ძლევამოსილები და მომხიბლავები ჩანდნენ, რომ მოესურვებინათ, იერუსალიმელ ქრისტიანებსაც გააერთიანებდნენ, ეს კი ყველა უბედურებას მოუღებდა ბოლოს. ელიაჰუ უკვე ხედავდა შარონის ვაკეზე მობიბინე ხორბლის ყანებს, იერუსალიმის შემოგარენში აყვავებულ ნუშის ხეებს და იერიქონის გარშემო დარხეულ პალმის ხეებს.

– რას იტყვით ჩვენს წინადადებაზე, ელიაჰუ? – ჰკითხა ბოლოს მისტერ გორდონმა, როცა შეატყო, რომ მათი მეგზური ხმის ამოღებას არ აპირებდა.

– ვიტყვი, რომ მე კი არ უნდა გამოგყვეთ, თქვენ უნდა დარჩეთ აქ. – მიუგო მღელვარებისაგან ხმაჩახლეჩილმა ელიაჰუმ.

– რა თქვით, ელიაჰუ? – წამოიძახა მისტერ გორდონმა.

– მისტერ გორდონ, – თქვა ელიაჰუმ. – არსად, არც ერთ ქვეყანაში არ სუფევს ისეთი სიძულვილი ქრისტიანებს შორის, როგორიც აქ, იერუსალიმში. ვიცი, უფლის ნებაა, რომ თქვენ და თქვენი მეგობრები აქ დარჩეთ და ყველა სამწყსოს ასწავლოთ, როგორ გაერთიანდნენ.

ამ სიტყვების წარმოთქმისას ელიაჰუ მკვდარივით გაფითრდა და მღელვარებისგან აცახცახდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს საკუთარი სურვილით კი არ ლაპარაკობდა, არამედ სიტყვები ბაგეებიდან რაღაც უცხო ძალის შთაგონებით სწყდებოდა. ვერ ვიტყვით, რომ მისმა ნათქვამმა ამერიკელებზე შთაბეჭდილება არ მოახდინა. ქვეყანაში მრავალდღიანი მოგზაურობისას ელიაჰუს ბევრჯერ უსაუბრია თანამგზავრებთან თავის ოცნებებსა და სურვილებზე, ამიტომ ისინი უმალ მიუხვდნენ, თუმცა აქ დარჩენა გულშიც არ გაუვლიათ.

მართალია, ამერიკელები დიდი სიყვარულით განიმსჭვალნენ ამ უძველესი ქვეყნის მიმართ, რომელმაც ყველა ის წმინდანი შვა, თითოეული მათგანი ბავშვობიდან რომ იცნობდა და მოგზაურობისას ხშირად უთქვამთ ერთმანეთისთვის, რა უსამართლობა იყო პალესტინის ასეთი განადგურება და დაცემა, რომ ისინი მადლიერები უნდა იყვნენ იმისთვის, რაც ამ ქვეყანაში ისწავლეს, თუმცა წამითაც არ უფიქრიათ, რომ სწორედ ისინი იტვირთებდნენ პასუხისმგებლობას. ჩიკაგოში საკუთარი საქმე, ინტერესები და ქონება ჰქონდათ და უეჭველად იქ უნდა დაბრუნებულიყვნენ.

მისტერ გორდონმა ესეც უთხრა ელიაჰუს. იგი დიდხანს და მეგობრულად ესაუბრა მეგზურს და მის დამშვიდებას შეეცადა, მაგრამ კაცი ჯიუტად იმეორებდა:

– ვიცი, რომ ეს ღვთის ნებაა, ვიცი, რომ უფალს ასე სურს. ამაში მალე დარწმუნდებით.

როდესაც ელიაჰუ ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ ამერიკელებს ვერ გადააფიქრებინებდა, თვალცრემლიანი გავარდა ოთახიდან.

მეორე დღეს ამერიკელები იაფაში გაემგზავრნენ. ელიაჰუც თან ახლდა, თუმცა წინა საღამოს გამართულ საუბარზე სიტყვაც არ დასცდენია. ეტყობა, თავისი ახირებისა რცხვენოდა.

მოგზაურებმა იცოდნენ, რომ მათ იმ დღეს იაფაში დიდი ფრანგული ხომალდი ელოდა, მაგრამ ნავსადგურში გემი რეიდზე არ იდგა. მთელი მომდევნო დღე ზღვას გაჰყურებდნენ ხომალდის მოლოდინში. მართალია, რამდენიმე გემს მოჰკრეს თვალი, მაგრამ არც ერთი მათგანი პალესტინის ნავსადგურში არ შემოსულა.

მგზავრებმა მალე შეიტყვეს მიზეზი. მთავრობამ პალესტინაში ქოლერის ეპიდემია გამოაცხადა და ვერც ერთი ხომალდი იაფაში ვერ შემოვიდოდა, ვიდრე მეზობელ ნავსადგურში კარანტინს არ გაივლიდა. წმინდა მიწაზე ქოლერის შესახებ არაფერი სმენოდათ და, ალბათ, ეს ყველაფერი შეცდომა იყო, თუმცა მგზავრებს ერთი კვირით დაყოვნება მაინც მოუწევდათ, ვიდრე სულთანი აკრძალვას არ გააუქმებდა.

ბოლოს და ბოლოს ხომალდი ჩამოდგა და ამერიკელები გასამგზავრებლად მოემზადნენ, მაგრამ უეცრად ქარიშხალი ამოვარდა, აქაფებული ტალღები შავ კლდეებს ენარცხებოდა და პატარა ნიჩბიანი ნავების ხომალდთან მიახლოება შეუძლებელი გახდა. გემი ნახევარ დღეს რეიდზე იდგა და მგზავრებს ელოდა, მაგრამ ქარიშხალი ისევ მძვინვარებდა და ხომალდი იძულებული გახდა,

გზა მათ გარეშე გაეგრძელებინა.

ამერიკელები გერმანული კოლონიის ერთ პატარა, ხალხმრავალ სასტუმროში ცხოვრობდნენ, სადაც სიბინძურე და უწესრიგობა იყო. ჩანდა, რომ გამგზავრების სურვილი, მგზავრებს პირველ დღეებში რომ ჰქონდათ, დღითიდღე იკლებდა. ისინი ერთმანეთს არ ესაუბრებოდნენ იმ უცნაურობის შესახებ, რომ მათთვის პალესტინიდან გამგზავრება შეუძლებელი გახდა, თუმცა რაღაცნაირი სიმშვიდე და ამაღლებული განწყობა დაეუფლათ, როგორც იმ ადამიანებს, რომელთაც აღიარეს, რომ უზენაესი ძალა მართავთ და საკუთარ ნებას ვერ დაემორჩილებიან.

რაღა თქმა უნდა, ევროპული გემები იაფაში ყოველდღე როდი შემოდიოდნენ, მაგრამ სწორედ იმ დღეებში ერთ-ერთი მათგანი ნავსადგურს მოადგა. გამოიდარა და ზღვაც სარკესავით მშვიდი იყო, მაგრამ უეცრად მის იანგი, ახალგაზრდა ექიმის და, მძიმედ დაავადდა და გემზე ასვლა ვერ შეძლო. ავადმყოფმა და მისმა ძმამ თანამგზავრებს სთხოვეს, მათ გარეშე გამგზავრებულიყვნენ, თუმცა მათ ამის გაგონებაც არ სურდათ.

ელიაჰუმ სასტუმროში მიაკითხა ამერიკელებს იმის გასაგებად, ადიოდნენ თუ არა გემზე და ბარგი უნდა წაეღო თუ არა და შეიტყო, რომ არც ერთი მათგანი არ ემზადებოდა წასასვლელად, ხოლო მისტერ გორდონმა წყნარად უთხრა:

– ახლა კი გვჯერა, რომ მართალი იყავით, ელიაჰუ. პალესტინაში უნდა დავრჩეთ. უფალს ასე სურს.

იმ დროს, როდესაც გორდონელებმა წმინდა მიწაზე დარჩენა გადაწყვიტეს, იერუსალიმში ერთი მოხუცი ინგლისელი ქალი ცხოვრობდა, რომელიც თავს მის ჰოგსს უწოდებდა. იგი მარტოხელა და დამოუკიდებელი იყო და მრავალჯერ ემოგზაურა სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა დარჩენილი ცხოვრების გატარებას იერუსალიმში აპირებდა, რელიგიური მოსაზრებით კი არა, იმიტომ რომ აღმოაჩინა, რომ მსოფლიოში არსად იყო ისეთი ადგილი, სადაც ამდენი გასაოცარი რამ ხდებოდა.

მის ჰოგსმა მშვენიერი სახლი იქირავა ქალაქის ჩრდილოეთით, ზედ გალავანთან. სახლი იერუსალიმის სხვა სახლების მსგავსად იყო აგებული, გეგონებოდათ, რომ მშენებელმა ჯერ ბევრი პატარა, ერთნაირი სიგრძე-სიგანის და სიმაღლის, დაბალთაღიანი სახლი ააშენა, რათა მერე ეზოში უწესრიგოდ მიმოეფანტა და ორიოდე ვერანდაც დაემატებინა. ოთახებს კარები არ ჰქონდა და ერთიდან მეორეში თავისუფლად გადიოდი, ზოგი ოთახიდან კი, რომელიც სამტრედესავით იყო კედელზე მიშენებული, მხოლოდ ვიწრო, სახიფათო კიბეზე შეგეძლო მოხვედრა. თუმცა ეს დიდი და ვრცელი სახლი იყო და, პირველ ყოვლისა, იმით გამოირჩეოდა, რომ ქალაქის ბნელ და ვიწრო ქუჩაზე კი არ გადიოდა, სინათლით და ჰაერით იყო სავსე, თანაც დასავლური ავეჯი იდგა: სკამები, მაგიდები, საწოლები და არა მხოლოდ ხალიჩები და ტახტები.

მის ჰოგსისთვის სახლი მეტისმეტად დიდი იყო, თუმცა მან, როდესაც სახლს ქირაობდა, გადაჭრით განაცხადა, აქ მარტო ცხოვრებას ვაპირებო.

– სხვებს ვერასოდეს ვეწყობოდი და ვერც ისინი მეწყობოდნენ, – თქვა მან. – არავინ მჭირდება, შემიძლია, თავს თვითონ მივხედო. რატომ უნდა შემოვუშვა სახლში უცხო ადამიანი?

ერთ დღეს, როდესაც მის ჰოგსი ანტიკვარული ნივთების საყიდლად იყო გასული, დავითის ქუჩაზე მისის გორდონს შეხვდა, რომელსაც თან ელიაჰუ ახლდა. ისინი მთელ იერუსალიმში დაეხეტებოდნენ და თავიანთი პატარა ერთობისთვის შესაფერის საცხოვრებელს ეძებდნენ. მისტერ გორდონი რამდენიმე მეგობართან ერთად ამერიკაში გაემგზავრა იქაური საქმეების მოსაგვარებლად, დანარჩენებმა კი გადაწყვიტეს, იერუსალიმში დაბინავებაზე ეზრუნათ; პატარ-პატარა ჯგუფებად დაიყვნენ, ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და ეძებდნენ, თუმცა მოსაწონი სახლი ჯერაც ვერ ეპოვათ.

ელიაჰუს ბევრჯერ დაუწუწუნია, რომ მოხუც მის ჰოგსს ქალაქის გალავანთან შესანიშნავი სახლი ჰქონდა დაქირავებული. ადრე იქ შვეიცარიელი მისიონერი ცხოვრობდა, რომელიც მას არწმუნებდა, ეს სახლი ევროპელებისთვის გამოდგებაო.

– რაში სჭირდება მის ჰოგსს ამოდენა სახლი, ის ხომ მარტოხელაა, თანაც კარგად იცის, რა ძნელია იერუსალიმში საცხოვრებლის მოძებნა, – ამბობდა ელიაჰუ.

როგორც კი მის ჰოგსმა მისის გორდონს მოჰკრა თვალი, მისკენ გაეშურა.

– როგორ ხართ? – იკითხა მან. – გახსოვართ, არა? ბოლოს რომ შევხვდით, გითხარით, არასოდეს არაფრის მეშინია-მეთქი. თუმცა შიშის მიზეზიც არ მქონია. აკი ჩვენთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა.

შემდეგ ქალმა მისის გორდონს გამოჰკითხა, იერუსალიმში როდის ჩამოხვედით და აქ დარჩენას

რამდენ ხანს აპირებთო.

მისის გორდონმა მიუგო, იერუსალიმში გადმოსახლებას ვაპირებ და ახლა სწორედ ბინას ვეძებო.

– ეს არც ისე იოლია, – შენიშნა მის ჰოგსმა, მერე კი ეტყობა, იმის შიშით, მისის გორდონმა ჩემი სახლის მიქირავება არ მთხოვოსო, სასწრაფოდ შეცვალა თემა.

– ისე, აქ გადმოსვლა რატომ გადაწყვიტეთ? – დაინტერესდა ქალი, – თქვენს ქმარს იერუსალიმში სამეცნიერო კვლევების ჩატარება უნდა?

მისის გორდონს არ დაუმალავს იერუსალიმში გადმოსახლების მიზეზი. ის და მისი ქმარი რამდენიმე მეგობართან ერთად ახალი ცხოვრების დასაწყებად გაერთიანდნენ. მათი მიზანი იყო ადამიანებისთვის თანხმობით ცხოვრება ესწავლებინათ და ამისათვის იერუსალიმი აირჩიეს.

მის ჰოგსს მისის გორდონისთვის მიშტერებული თვალები დაუმრგვალდა.

– თანხმობით ცხოვრებაო?! – წამოიძახა მან. – აქ, იერუსალიმში?! და აქ გადმოსახლება იმიტომ გადაწყვიტეთ, რომ ადამიანებს თანხმობით ცხოვრება ასწავლოთ?! ეტყობა, იმ გემის ჩაძირვის მერე შეიშალეთ!

მისის გორდონი შეეცადა, მისთვის აეხსნა, უფლისგან ნიშანი მივიღეო, თუმცა მის ჰოგსმა ყურიც არ ათხოვა; მისის გორდონს ხელი ჩაავლო, იქვე, კედელთან დააყენა და მის ჭკუაზე მოყვანას შეუდგა.

– ახლა მომისმინეთ! – განაცხადა მან. – თქვენ ახალგაზრდა ამერიკა ხართ, რომელსაც თავგადასავლები სწყურია, მე კი – ძველი ინგლისი, რომელსაც ბევრი რამ უნახავს და იცის, რისი გაკეთება შეიძლება. დამიჯერეთ, ამ ქალაქში ძალ-ღონეს უქმად დახარჯავთ, სარგებლობას კი ვერავის მოუტანთ!

– ვერ გაგვიგია, მუდმივად რატომ მტრობს ხალხი ერთმანეთს მაინცდამაინც ამ ქალაქში, – თქვა მისის გორდონმა.

– ჰო, როგორ ჩანს, მართლაც არ გესმით, – უპასუხა მის ჰოგსმა, – მაგრამ აბა, ცოტა დაფიქრდით! რა ხალხი ცხოვრობს აქ? მუსულმანები, ებრაელები და ქრისტიანები. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ, ახალგაზრდა ქალი, მუსულმანი ხართ! ეს ქალაქი ხომ თქვენთვის წმინდა ადგილი უნდა იყოს. გწამთ, რომ თქვენი წინასწარმეტყველი სწორედ აქედან, აი, ამ უძველესი სალოცავიდან ამაღლდა ზეცაში და იძულებული ხართ, ებრაელებიც გძულდეთ და ქრისტიანებიც, რადგან იცით, რომ ისინიც თქვენს თავიდან მოშორებაზე ოცნებობენ. ებრაელი რომ იყოთ, მისის გორდონ, მაშინ მუსულმანები უნდა გძულდეთ, ვინაიდან მათ თქვენი სამშობლო დაიპყრეს, ვერც ქრისტიანებს აიტანდით, იმიტომ, რომ ისინი არასოდეს მისცემენ თქვენს ხალხს ამ ქალაქში ბატონობის უფლებას. ახლა წარმოვიდგინოთ, მისის გორდონ, რომ ქრისტიანი ხართ, მაგრამ მაშინ ხომ იერუსალიმი თქვენთვის უფრო წმინდა ქალაქი იქნება, ვიდრე სხვებისთვის, ამიტომ მუსულმანებსაც შეიძულებთ, რომლებიც აქაურობის ბატონ-პატრონები არიან, და ებრაელებსაც, რომელთაც ქვეყნის დაპატრონება სურთ და ამბობენ, რომ ეს მათი ქალაქი და მათი მიწაა და სხვებს აქაურობაზე არანაირი უფლებები არ გააჩნიათ. მაშინაც კი, თუ ქრისტიანი ხართ, ყველა ის ქრისტიანი უნდა გძულდეთ, რომელიც მთლად თქვენნაირი აღმსარებლობის არ არის, ვინაიდან იცით, რომ როგორც კი რომელიმე მათგანი აქ ძალაუფლებას ჩაიგდებს ხელში, შეუბრალებლად გაგაგდებთ ქვეყნიდან. აი, ასე ხდება, ახლა კი იმედი მაქვს, დაგარწმუნეთ, ახალგაზრდა ამერიკა, რომ იერუსალიმში თანხმობით ცხოვრების შესახებ ქადაგება არ ღირს.

– ქადაგებას არც ვაპირებთ, – მიუგო მისის გორდონმა, – მხოლოდ ის გვინდა, ჩვენი მაგალითით ვაჩვენოთ ხალხს, რა ბედნიერებაა თანხმობით ცხოვრება.

– როგორც ჩანს, ანგელოზთა კრებული ხართ, – შენიშნა მის ჰოგსმა. – თუმცა დიდხანს არ მოგიწევთ იერუსალიმის ჰაერით სუნთქვა, მალე ერთმანეთსაც ვეღარ აიტანთ.

– კი, როგორ არა, – არ შეეპუა მისის გორდონი, – მთელი წელი მშვიდობიანად და შეხმატკბილებულად ვცხოვრობდით, ჩვენ შორის არც ერთი უსიამოვნება არ მომხდარა.

– მერედა, ეს რას ამტკიცებს? – თქვა მის ჰოგსმა. ¬– დარწმუნებული ვარ, ვიდრე ერთად ცხოვრებას დაიწყებდით, იქამდეც კარგად იცნობდით ერთმანეთს და იცოდით, რომ ყოველი თქვენგანი მშვიდობიანი და კეთილი ადამიანი იყო და შეგუება არ გაგიჭირდებოდათ. აბა, ერთი ჩემნაირი ბებერი და ბუზღუნა ქალი გყოლოდათ, აი, იმასაც თუ შეეწყობოდით, მაშინ კი დაგიჯერებდით.

– ჩვენთან ხომ არ წამოხვიდოდით, მის ჰოგს, იქნებ ერთად ცხოვრება გვეცადა? – ღიმილით ჰკითხა მისის გორდონმა.

მის ჰოგსსაც გაეცინა.

– რაო? მერე არ გეშინიათ? გახსოვდეთ, მის ჰოგსი ვარ, ყოველთვის იმას ვაკეთებ, რაც მინდა და ვერავინ მიძლებს! არაფრის მეშინია, აზრს არასოდეს ვიცვლი და პატივს არაფერს ვცემ.

– მართლა ხომ არ გადმოხვიდოდით ჩვენთან, მის ჰოგს? – შესთავაზა მისის გორდონმა. – ძალიან გაგვიხარდებოდა.

მის ჰოგსმა თვალები აღაპყრო, დიდხანს იდგა ასე და გაცვეთილ ხალიჩას აჰყურებდა, რომელიც მზის და წვიმისგან დასაცავად გადმოეფინათ. ეტყობა, სწორედ ამ წამს ეწვია უეცარი სინანული იმის გამო, რომ სიბერის პირას ასე მარტოდმარტოდ დარჩენილიყო ამქვეყნად და, ალბათ, იმაზეც ფიქრობდა, რა უსარგებლო იყო იმ ადამიანის ცხოვრება, რომელიც ქვეყნიდან ქვეყანაში მხოლოდ გასართობად და უსაქმურობის გამო დაეხეტებოდა. შეიძლება იმასაც მიხვდა, რომ ამ ამერიკელებს დიადი და კეთილშობილური მიზნები დაესახათ და ახლა, როცა ყველაფერი მობეზრებოდა, მათ დახმარებაზე უკეთესს ვერაფერს გააკეთებდა. თუმცა მის ჰოგსს მისის გორდონისთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამს და საუბარი უწინდებურად განაგრძო:

– ყური მიგდეთ! აქვე, ქალაქის გალავანთან დიდი სახლი ვიქირავე, სადაც უამრავი ოთახია. თუკი თქვენ და თქვენს მეგობრებს გამბედაობა გეყოფათ, შეგიძლიათ ერთი კვირით ჩემთან გადმოხვიდეთ საცხოვრებლად. ნამდვილ მის ჰოგსსაც მაშინ გაიცნობთ და, თუ ვერ შემეგუებით, უნდა დამპირდეთ, რომ იერუსალიმში თანხმობის დამყარების გიჟურ იდეაზე ხელს აიღებთ. ალბათ, ხვდებით, რომ თუ ერთ ჩემნაირს ვერ აიტანთ, ბედი არც სხვებთან გაგიღიმებთ. აბა, რას იტყვით ამაზე?

– მადლობის მეტი რა გვეთქმის, მის ჰოგს, – მიუგო მისის გორდონმა, – თქვენს შემოთავაზებას დიდი სიხარულით მივიღებთ.

მეორე დღეს ამერიკელები გალავანთან მდებარე სახლში გადაბარგდნენ და ნამდვილი მის ჰოგსიც გაიცნეს – ჭკვიანი, პირდაპირი და პატიოსანი მოხუცი, რომელთან შეკამათებაც აზრად არასოდეს არავის მოუვიდოდა.

პირველ დღეებში ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მის ჰოგსი იმედგაცრუებული იყო, რადგან თავის სტუმრებთან საერთო ენას ვერ პოულობდა, თუმცა კვირის ბოლომდე ქალმა ამერიკელებს შესთავაზა, თქვენს ერთობაში შემოვალო. როგორც თავად თქვა, მათ სარგებლობა მოუტანა. ამერიკელები ისეთი კეთილები იყვნენ, თანხმობაში ცხოვრება დიდ დამსახურებად არ ჩაეთვლებოდათ, ხოლო რაკი მისნაირ უხეშ და ჩხუბისთავ ბებრუხანას იტანდნენ, მათი ერთიანობა ნამდვილად ქების ღირსი გახლდათ.

გორდონელების იერუსალიმში დამკვიდრებიდან რამდენიმე წელი იყო გასული, როდესაც მათ შორის ეჭვმა და შფოთვამ მოიკიდა ფეხი. ისინი ბედნიერები და კმაყოფილები იყვნენ და მთელ დროს იერუსალიმელ ღარიბებზე და ავადმყოფებზე ზრუნვას ანდომებდნენ, მაგრამ იძულებულნი გახდნენ ეღიარებინათ, რომ მათი ჩამოსვლის დღიდან ქრისტიანებს შორის ურთიერთობა არ გაუმჯობესებულა. პირიქით, დევნამ, დაბეზღებამ და მტრობამ თითქოსდა იმატა კიდევაც და თან ეს ყველაფერი უმეტესწილად მათ წინააღმდეგ იყო ხოლმე მიმართული. გორდონელებმა მეგობრები იქ შეიძინეს, სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდნენ – ებრაელებსა და მუსულმანებს შორის, თუმცა ჩამოსულებს ამანაც უსიამოვნება მოუტანა, ვინაიდან სხვა ქრისტიანებს ეს ამბავი არ მოსწონდათ. ამერიკელებს თავისდაუნებურად ებადებოდათ კითხვა: „ნეტავ სწორად თუ მოვიქეცით, აქ რომ გადმოვსახლდით? იქნებ ღვთის ნება არასწორად გავიგეთ?“

ამგვარ ეჭვებში მყოფ გორდონელებს ორი ფრანგი მეზღვაური ესტუმრა. ერთი მათგანი ისეთი მოხუცი იყო, გადაწყვეტილი ჰქონდა, ზღვაში აღარ გასულიყო, მეორეს კი ჯერ ოცი წელიც არ შესრულებოდა. ისინი იაფასკენ მიეშურებოდნენ, სადაც გემი ფორთოხლით უნდა დაეტვირთათ და ორივეს რამდენიმე თავისუფალი დღე გამოუჩნდა იერუსალიმის დასათვალიერებლად.

მეზღვაურები კარგი მეგობრებიც იყვნენ, რადგან „უნივერსის“ ჩაძირვისას გემზე იმყოფებოდნენ. იმ ღამით ნანახს ვერ ივიწყებდნენ, მას შემდეგ ცხოვრებას სხვაგვარად უყურებდნენ და სხვა მეზღვაურებსაც ვეღარ ეწყობოდნენ.

მოხუცი მეზღვაურისთვის ამ უბედურებას თითქოს ვერაფერი დაეკლო, ახალგაზრდისთვის კი დიდი ვნება მიეყენებინა. ისეთი ძლიერი შიში განიცადა, რომ ყოველ ღამე კოშმარები ტანჯავდა. როგორც კი ჩაიძინებდა, ეზმანებოდა, თითქოს ორი გემი ერთმანეთს შეეჯახა და ხედავდა, ერთ-ერთი მენიჩბე გემზე უზარმაზარი ჩიტივით რომ ენარცხებოდა. მეორე გემის მეზღვაურებს ეძახდა, „უნივერსზე“ გადასულიყვნენ და თავისთვის ეშველათ, მეზღვაურები კი უყვიროდნენ, ეს ხომალდი იძირებაო და ცდილობდნენ, მაშველი ნავით გადმოეყვანათ თავიანთ გემზე. ბოლოს,

როდესაც გემებს ერთმანეთს დააცილებდნენ, მეზღვაური ხვდებოდა, რომ მათი ხომალდი დაღუპვის პირას იყო. სასოწარკვეთა იპყრობდა იმის გამო, რომ მეორე გემზე გადასვლით თავს არ უშველა და ეს სასოწარკვეთა ისეთი შემზარავი იყო, რომ ბიჭს ეღვიძებოდა. მერე დიდხანს იწვა ხოლმე შიშისა და მღელვარებისაგან აცახცახებული და აქვითინებული და საშინლად იტანჯებოდა, ვიდრე გონს არ მოვიდოდა და საკუთარ თავს არ ეტყოდა, ეს მხოლოდ სიზმარი იყოო.

შესაძლოა, ამისთვის დიდი განსაცდელი არც დაგვერქმია, თუმცა კოშმარი ყოველ ღამე მეორდებოდა და ყმაწვილი ისეთ დღეში ჩავარდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა. საწოლს არ ეკარებოდა და სიზმრების შიშით ფხიზლობდა. ზოგჯერ ზედიზედ რამდენიმე ღამეს უძილოდ ათენებდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც დაეძინებოდა ხოლმე და კოშმარიც უმალვე იწყებოდა. მეზღვაური ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიოდა და ყოველთვის, როცა ახალ ნავსადგურს მიადგებოდა, იმედით აღივსებოდა, იქნებ ეს ის ადგილია, სადაც სიზმრები ვერ მომაგნებენო, თუმცა ჯერაც ვერ ეპოვა თავშესაფარი, სადაც სიმშვიდე დაეუფლებოდა.

მეზღვაურები ახლად ჩასულები იყვნენ იერუსალიმში, როდესაც ქუჩაში მის ჰოგსს გადაეყარნენ. ქალმა მყისვე იცნო ისინი და კოლონიაში წაიყვანა, სადაც სტუმრები ძალიან კარგად მიიღეს. ელიაჰუმ მეზღვაურებს ქალაქის ყველა ღირსშესანიშნაობა დაათვალიერებინა, კოლონისტებმა კი ამას გარდა საჭმელი და ღამის გასათევიც შესთავაზეს – იფიქრეს, ამ საქციელით სტუმრებს ვასიამოვნებთო.

ფრანგებს არც ისე გახარებიათ შეთავაზება, როგორც გორდონელებს ეგონათ. მათ ჯერ კიდევ იაფაში გაეგოთ ჭორები ამ ამერიკელების შესახებ, რომლებიც იერუსალიმში იმისთვის გადმოსახლდნენ, რათა სხვა ქრისტიანებისთვის მაგალითი ეჩვენებინათ, სინამდვილეში კი მხოლოდ ებრაელებთან და მუსულმანებთან მეგობრობდნენ. ამით ხალხი იმაზე მიანიშნებდა, თითქოს ჩამოსულებმა ქრისტიანობაზე უარი თქვეს და წარმართებივით ცხოვრობდნენ.

მეზღვაურებს მაინც მოერიდათ ამერიკელების სტუმართმოყვარეობაზე უარის თქმა. არ შეეძლოთ კოლონიაში ღამის გათევაზე უარი ეთქვათ, თუმცა საკუთარ თავს პირობა მისცეს, დილაუთენია დაეტოვებინათ იქაურობა.

მეორე დღეს, როდესაც სტუმრებმა გაიღვიძეს, ახალგაზრდა მეზღვაურს სიხარულის შეძახილი აღმოხდა. იმ ღამით, პირველად ხომალდის დაღუპვის შემდეგ, უსიზმროდ და უშფოთველად ეძინა.

მეზღვაურები ჩაფიქრდნენ, შემდეგ კი ერთმანეთს უთხრეს:

– შეუძლებელია, რომ ეს ხალხი, რომელსაც აქ გადავეყარეთ, უღმერთო იყოს, რადგან ამ სახლში ისეთი მშვიდობა სუფევს, ბოროტი სიზმრებიც კი ვერ ბედავენ შემოჭრას.

და ისინი მთელი დღით დარჩნენ კოლონიაში, აკვირდებოდნენ იქაურების ცხოვრებას და მათ მოძღვრებას ეცნობოდნენ, მერე კიდევ ერთი ღამე გაათიეს ამ სახლში და ახალგაზრდა მეზღვაური კოშმარებს არც ამჟამად შეუწუხებია.

ორივეს სწამდა, რომ უფლისგან სასიკეთო ნიშანი მიიღეს – კოლონიას უნდა შეერთებოდნენ და ამერიკელებს მათი საქმის აღსრულებაში დახმარებოდნენ. დამშვიდობებისას მასპინძლებს გამოუცხადეს, როგორც კი სამსახურიდან გავთავისუფლდებით, თქვენთან დავბრუნდებითო. ასეც მოიქცნენ, რამაც გორდონელები ძალიან გაახარა. მათი აზრით, ეს იმის კიდევ ერთი დადასტურება იყო, რომ ისინი ღვთის ნებას ემორჩილებოდნენ და სწორ გზას ადგნენ.

გორდონელებს უკვე თორმეტი წელი გაეტარებინათ იერუსალიმში, წმინდა ქალაქის ქრისტიანების გაერთიანებას კი ჯერაც პირი არ უჩანდა, თუმცა გალავანთან მდებარე სახლის ბინადრებს ახლა უფრო სწამდათ იმისა, რომ ღმერთი მათთან იყო, ვინაიდან წმინდა ქვეყანაში ამ თორმეტი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა: ბევრგან გზა გაიყვანეს, იერუსალიმსა და იაფას შორის რკინიგზა შენდებოდა, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში კი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო კოლონიები ჩამოყალიბდა. მთელ ქვეყანას მოედო სკოლებით და საავადმყოფოებით აღჭურვილი ახალი მისიონერული სახლები, ხოლო იერუსალიმის დასავლეთით, ზედ ქალაქის გალავანთან ახალი დასახლება გაჩნდა. ახლა იერუსალიმში ევროპული მაღაზიებიც იყო, ბანკებიც, ტელეგრაფიც და დიდი სასტუმროებიც და იქ ცხოვრებაც უფრო გაიოლდა. არ შეეძლოთ, არ დაენახათ, რომ წმინდა მიწა აყვავების გზას დაადგა, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი იყო. გორდონელები ამაყობდნენ ყველაფრით, რაც მათი ჩამოსვლის შემდეგ მოხდა და სჯეროდათ, რომ უფალი ხედავდა მათ კეთილ ზრახვებს, თუნდაც მათ მცდელობას ისეთი ნაყოფი არ მოეტანა, რისი იმედიც ჰქონდათ. თითქოს ღმერთთან შეთქმულება ჰქონდათ და დარწმუნებულნი იყვნენ, ეს იმიტომ მოხდა, რომ ღვთის ნებას დავემორჩილეთ და იერუსალიმში დავრჩით, რომელიც

უფალმა დაცემისგან იხსნაო.

გორდონელების მიმართ სხვა ქრისტიანების უკმაყოფილება ყოველწლიურად მატულობდა, თან ყველაზე დიდ წინააღმდეგობას მათ საკუთარი თანამემამულეები და კონსული უწევდნენ, რომელიც მეთოდისტური ეკლესიის მრევლი იყო. თუმცა ეს მხოლოდ ხელს უწყობდა გორდონელებში რწმენის განმტკიცებას, რადგან დაინახეს, რომ ბოროტება, რომელიც მათ წინააღმდეგ იყო მიმართული, სასიკეთოდ შემოუბრუნდათ.

ეს იმ დროს მოხდა, როცა რამდენიმე შეძლებულმა ამერიკელმა გადაწყვიტა, დიდი გემი დაექირავებინა და ძველი სამყაროს ქვეყნები დაეთვალიერებინა. ჯგუფში ასამდე კაცმა მოიყარა თავი და მხოლოდ ინგლისი, გერმანია და საფრანგეთი კი არა, ხმელთაშუა ზღვის ყველა ქვეყანაც მოინახულეს. ერთ დილას კი მოგზაურებმა ღუზა იაფაში ჩაუშვეს და იქიდან იერუსალიმისკენ გაეშურნენ.

მგზავრებს შორის ერთი ახალგაზრდა ქალიც იყო, რომელიც „უნივერსზე“ იმყოფებოდა. იგი ხომალდის დაღუპვის დღიდან დამწუხრებული იყო და ბედნიერი და უზრუნველი არავის უნახავს. ქალი ქმართან ერთად საქორწინო მოგზაურობას ატარებდა იმ დანავსულ გემზე და საკუთარ თავს საყვედურობდა, რომ ქმარი მიატოვა და მასთან ერთად არ დაიღუპა, როგორც მეუღლეს სურდა.

ქალი ამჟამად დედასთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც მდიდარი იყო და ნიუ იორკში დიდი სახლი ჰქონდა. დედის ხათრით ქალი ყველა გართობასა და წამოწყებაში იღებდა მონაწილეობას, თუმცა ქმრის გლოვა და სინანული, რომ მისთვის მიცემული აღთქმა ვერ შეასრულა, არასოდეს შეუწყვეტია. სწორედ დედამ აიძულა იგი, ამ დიდ მოგზაურობაში წასულიყო, იმ იმედით, რომ შვილს დარდი შეუმსუბუქდებოდა. მის თანამგზავრს ბევრი დრო ჰქონდა და იერუსალიმში მთელი კვირით აპირებდა დარჩენას. ახალგაზრდა ქვრივს, მისის ჰემონდს, ამ ქალაქში ცოტა გამოცოცხლება შეეტყო. როდესაც მან მთებში ღრმად ჩაწოლილი იერუსალიმი და მის ზემოთ აღმართული ჩაშავებული კლდე დაინახა, რომელიც მხოლოდ უზარმაზარი, ბუნებრივი ხეობებით და მაღლობების გიგანტური ქვის კედლით იყო გარშემორტყმული, თავდაპირველად რაც გაიფიქრა, ის იყო, რომ ქალაქს ისეთი იდუმალი და განმარტოებული იერი ჰქონდა, თითქოს იმთავითვე ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანი სცენის გასათამაშებლად შექმნილიყო. ქალს უცნაური სიბრალული დაეუფლა ქალაქის მიმართ, რომელიც მარადიული სერიოზულობის ნიშნით იყო აღბეჭდილი, სევდა ახრჩობდა იმის გამო, რაც არასოდეს შეიცვლებოდა და არასოდეს არ დაავიწყდებოდათ; იქნებ სიმდიდრე და ძალაუფლება მოეპოვებინა, მაგრამ სხვა ქალაქებივით მხიარული და უზრუნველი კი ვერასოდეს იქნებოდა.

მისის ჰემონდმა იცოდა, რომ მისის გორდონი, რომელიც ასევე „უნივერსის“ მგზავრი იყო, იერუსალიმში ცხოვრობდა და ერთ დღეს ამერიკის კონსულს ჰკითხა, თუ იცნობთო. კონსულმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს გორდონელების შესახებ კითხვის დასმამ შეურაცხყო და მიუგო, მისის გორდონი და მისი მიმდევრები თაღლითების ბრბოა, რომელიც იერუსალიმში, ალბათ, იმიტომ გადმოსახლდა, რომ კანონებისა და შეზღუდვებისთვის გვერდის ავლით ეცხოვრა, არც ერთ ქრისტიანს არ სურს მათთან ურთიერთობა და ისინიც მხოლოდ მუსულმანებთან მეგობრობენო.

თუკი მისის ჰემონდს აქამდე აზრადაც არ მოსვლია მისის გორდონის მონახულება, ასეთი პასუხის შემდეგ მასთან მისვლის სურვილი გაუჩნდა. შეუძლებლად ეჩვენებოდა, რომ მისი თანამემამულე იერუსალიმში მხოლოდ თავგადასავლების საძიებლად ჩამოსახლდა. განა შეიძლებოდა ამ ქალაქში მხოლოდ გასართობად დამკვიდრებულიყავი? უნდოდა, შეეტყო, სინამდვილეში რა ხდებოდა და ამიტომაც მისის გორდონის მოსანახულებლად კოლონიაში წასვლა გადაწყვიტა.

როგორც კი ქალი კოლონიის კედლებში აღმოჩნდა, გამგზავრებამდე იქაურობა თითქმის არც დაუტოვებია; დილიდან დაღამებამდე კოლონიაში იყო: ხან ექიმის, მისტერ იანგის, ოთახში იჯდა, როდესაც იგი დილაობით ავადმყოფებს იღებდა, ხან მისის გორდონს მიჰყვებოდა მუსულმანთა სახლებში, სადაც იგი სამყაროსგან მოწყვეტილ საცოდავ ქალებს როგორც შეეძლო, ეხმარებოდა, ხან კი კოლონიის სკოლას სტუმრობდა, სადაც ღატაკ აღმოსავლელ ბავშვებს უსასყიდლოდ ასწავლიდნენ.

იმ დღეებში მისის ჰემონდი ხშირად ფიქრობდა, რომ თუ კოლონისტებივით იცხოვრებდა, თუ მათ მსგავსად მთელ ცხოვრებას შეჭირვებულთა დახმარებას მიუძღვნიდა, იქნებ საშინელი სინანული აღარ ეგრძნო იმის გამო, რომ ქმართან ერთად არ დაიღუპა. მაშინ ჩათვლიდა, რომ უფლება ჰქონდა, შეენარჩუნებინა სიცოცხლე, რათა მრავალი ადამიანისთვის სარგებლობა მოეტანა, ხოლო მისი წრის მდიდარი ქალბატონის შესაფერის, ნებიერ ცხოვრებას თუ გააგრძელებდა, წარსულზე უარს ვერასოდეს იტყოდა.

ქალი სულ უფრო მეტს ფიქრობდა კოლონიაში დამკვიდრებაზე და იერუსალიმიდან გამგზავრებისას თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ეს ნაბიჯი უნდა გადაედგა. იცოდა, რომ ამ გზით სიმშვიდეს და სასიცოცხლო ძალას მოიპოვებდა, თუმცა გორდონელებთან შეერთებას დედასთან დამშვიდობების გარეშე არ აპირებდა.

როდესაც მისის ჰემონდი ნიუ იორკში დაბრუნდა და თავის განზრახვაზე ალაპარაკდა, დედამისს თავზარი დაეცა და ქალიშვილის ფანატიკოსთა ბრბოსთან შეერთებას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. ვინაიდან მისი ნება ქალიშვილისაზე ძლიერი აღმოჩნდა, მისის ჰემონდს შინ დარჩენა მოუხდა, მაგრამ ის უკანასკნელი ღონეც გამოეცალა, რითაც სიცოცხლეს ებღაუჭებოდა.

ქალი შინ დაბრუნებიდან რამდენიმე თვეში გარდაიცვალა და ყველაფერი, რაც გააჩნდა, გორდონელებს უანდერძა, რათა მათ იმ გზის გაყოლაში დახმარებოდა, თვითონ რომ ასე ძლიერ სურდა.

იმ წელს, როცა დალარნელები პალესტინაში ჩავიდნენ, უკვე აგვისტოში გაწვიმდა, რაც აქაურობისთვის უჩვეულო იყო. სხვა წლებში წვიმა ოქტომბრამდე ან ნოემბრამდე არ მოდიოდა ხოლმე. თანაც ისეთი ხშირი წვიმები იყო, რომ მიწა ხელახლა დაიფარა ბალახით, ხალხს კი მთელი შემოდგომა დასალევი წყალი საკმარისად ჰქონდა. საშინელ სიცხეს ბოლო მოეღო და ივლისამდე ზომიერად თბილოდა.

გორდონელებს ისღა დარჩენოდათ, უფლისთვის მადლობა შეეწირათ, რომ სწორედ ამ წელს ინება წვიმების ასე ადრე დაწყება. კარგად ესმოდათ, რა გაუფრთხილებლად მოიქცნენ, როცა დალარნელები პალესტინაში წლის ყველაზე ცხელ დროს ჩამოიყვანეს. მათი ჩამოსვლიდან სულ ცოტა ხანში წვიმები რომ არ დაწყებულიყო და არ აგრილებულიყო, ალბათ, ყველანი დასნეულდებოდნენ.

ისეთი მშვენიერი დარი იდგა, რომ მისის გორდონმა ახალჩამოსულებს შესთავაზა, შემთხვევით ესარგებლათ და მთელი ქვეყანა მოელოცათ. სურდა, დალარნელებს რამდენიმე კვირა კოლონიის საქმეები კი არ ეკეთებინათ, არამედ ჯერ ის ადგილები შეესწავლათ, რომელთა შესახებ ამდენი რამ ჰქონდათ ბიბლიაში წაკითხული.

ეს მოგზაურობა შემდგომში იერუსალიმში ჩამოსახლებულთა ყველაზე მშვენიერ მოგონებად გადაიქცა. ელიაჰუმ კიდევ ერთხელ გასწია მეგზურობა და ჩამოსულებს თავდაპირველად მთებში, სამარიის გავლით ნაზარეთისკენ გაუძღვა, შემდეგ მათი გზა აღმოსავლეთით, ტიბერიის ტბამდე მიდიოდა, იქიდან სამხრეთით, მდინარე იორდანეს ხეობის გავლით მკვდარი ზღვისკენ, მერე კი უკან ისევ მთების გავლით დაბრუნდნენ და იერუსალიმში ჩამოსვლამდე ჰებრონი და ბეთლემი მოინახულეს.

მომლოცველები ქვეითად მოგზაურობდნენ, მათი აღჭურვილობა მხოლოდ კარვებისა და სურსათისგან შედგებოდა, მაგრამ ისინი მხნედ მიიწევდნენ წინ და თავს სიმღერით ან ღვთისმოსავი საუბრით იქცევდნენ. მათი ფიქრები განუწყვეტლივ წარსულს დასტრიალებდა. ქვეყნის უმეტესი ნაწილი უდაბნოს ეკავა, თუმცა მოგზაურები აქა-იქ მაინც აწყდებოდნენ სოფლებს, რომელთაც ბიბლიური სახელები ერქვათ და ხვდებოდნენ გრძელ, ყავისფერზოლებიან მოსასხამებში გამოწყობილ ადამიანებს, რომელთაც აქლემის ბეწვის ქუდები ეხურათ და მოსეს ან აბრაამს წააგავდნენ. მათ მოსწონდათ, მთის ძირში მობალახე ცხვრის დიდ ფარებსა და თხის არვეებს რომ ხედავდნენ და ახლა უკეთ ესმოდათ, რატომ საუბრობდნენ ამდენს წმინდა წერილში მწყემსებსა და მათ ცხოვრებაზე. გზაზე გადაჭიმული აქლემების ქარავნები რომ იხილეს, მომლოცველებს მოაგონდათ სამი წმინდა მოგვი, რომლებიც გზას ჩვილი იესოს აკვნის საძებნელად დაადგნენ; ნახეს სოფლის ჭისკენ თავზე შემოდგმული წყლის დოქებით მიმავალი ქალები, სწორედ ისეთები, როგორიც ის სამარიტელი ქალი იყო, იესო რომ გამოელაპარაკა; მეთუნე, რომელიც ჭურჭელს გარეთ, თავისი სახლის წინ ამზადებდა; ტიბერიელი მეთევზეები, რომლებიც ბადეების გასაბმელად წყალში ტანსაცმლიანად შედიოდნენ, როგორც ეს ქრისტეს დროს ხდებოდა.

ელიაჰუმ, მას შემდეგ, რაც ზაფხული შვედ ამერიკელებთან ერთად გაატარა, შვედურიც ისწავლა და მოგზაურობისას ახლადჩამოსულებს ძველი გორდონელების ბრძოლებსა და გამარჯვებებზე უყვებოდა. წმინდა მიწის გზებსა და ბილიკებზე კიდევ ერთხელ გაისმა ხმამაღლა, რომ უფალმა თავის სამშობლოს აქ დასახლებული წმინდა ადამიანების გამო უნდა გადმოხედოს და დამპყრობლებისგან გაათავისუფლოს.

შვედები ძალზე ააღელვა ხომალდის დაღუპვის ამბის მოსმენამ და ყველაფერმა, რაც ამას მოჰყვა. არ სჯეროდათ, რომ ეს მართლაც ასე მოხდა. მათაც სურდათ, გორდონელების რწმენა და სიხარული გაეზიარებინათ იმის გამო, რომ უფალი ქვეყანას მათი იქ ყოფნისთვის ააყვავებდა და იმაზე ფიქრსაც ვერ ბედავდნენ, რამდენი უბედურების და გაჭირვების გადატანა მოუწევდათ.

ერთ საღამოს მომლოცველებმა კარავი გაშალეს, დასხდნენ და საუბარი წამოიწყეს. ჰელგუმის ჯერიც დადგა და მან თანამგზავრებს მეზღვაურის შესახებ მოუთხრო, რომელმაც „მამაო ჩვენო“ წაიკითხა და მიცვალებულთათვის ფსალმუნი იმღერა.

– ეგ საიდან იცი, ჰელგუმ, – ჰკითხა გერტრუდმა. – იმ მეზღვაურს შეხვედრიხარ?

– იქიდან ვიცი, რომ ის მეზღვაური ადრე მაწანწალა და ცოდვილი იყო, – მიუგო ჰელგუმმა, – მაგრამ იმ წამიდან ჩათვალა, რომ საჭიროა, ისე იცხოვრო, რომ სიკვდილისთვის ყოველთვის მზად იყო. ვიცი იმიტომ, რომ ის მეზღვაური მე ვარ – ჰო, მე, რომელიც აქ ვზივარ და გესაუბრებით.

შვედებს ძალიან გაუხარდათ ამის გაგონება, რადგან ისინი სწორედ ჰელგუმის წყალობით დაადგნენ გზას, რომელმაც იერუსალიმამდე მიიყვანა. დალარნელები ისხდნენ ამ მშვენიერი ვარსკვლავიანი ცის ქვეშ და ფიქრობდნენ, მოვლენების გრძელ ჯაჭვში როგორ ასხამდა ღმერთი ერთ რგოლს მეორეზე. ახლაღა მიხვდნენ, რომ ისინიც იმათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ, რომლებიც უფალმა თავისი ქვეყნის ასაღორძინებლად მოიხმო. მოგზაურები იმედით და რწმენით აღივსნენ და ირწმუნეს, რომ მხოლოდ განსაცდელი კი არა, უფლის ვენახში ხალისიანი შრომაც მოელოდათ.

4. იერუსალიმი – უფლის წმინდა ქალაქი

ყველას როდი შესწევს იმის ძალა, რომ იერუსალიმში დიდხანს იცხოვროს – ეს სიმართლეა. თუ კლიმატს გაუძლეს და დასნეულებას გადაურჩნენ, სულით დაეცემიან ხოლმე. წმინდა ქალაქი იქ ჩასულებს კაეშნით ან სიგიჟით აჯილდოებს. დიახ, ეს ქალაქი კლავს. ქალაქში ჩასვლიდან ორიოდე კვირაც არ გაივლის, რომ ყური არ მოჰკრა, როგორ ამბობენ უეცრად გარდაცვლილ ამა თუ იმ ადამიანზე, იერუსალიმმა მოკლაო.

ამის გაგონებაზე, რასაკვირველია, გაოცდები და საკუთარ თავს ეკითხები: „ნუთუ ეს შესაძლებელია? როგორ შეიძლება ქალაქმა მოგკლას? ალბათ, სხვა რამეს გულისხმობენ.“ და ვიდრე იერუსალიმში დაეხეტები, არ შეიძლება, არ გაიფიქრო: „უსათუოდ უნდა გავიგო, რას ნიშნავს, რომ იერუსალიმი კლავს. უნდა შევიტყო, სად არის ის იერუსალიმი, რომელიც ასეთი მომაკვდინებელია.“

აი, მაგალითად, თქვენ იერუსალიმის შემოგარენში გასეირნება გადაწყვიტეთ. ჯერ იაფას კარიბჭეს გამოსცდებით, მერე მარცხნივ შეუხვევთ, დავითის შთამბეჭდავ, კვადრატულ კოშკს ჩაუვლით და ვიწრო ბილიკს დაადგებით, რომელიც ქალაქის გალავნის გასწვრივ სიონის კარიბჭისკენ მიემართება. ზედ გალავანთან თურქული ყაზარმაა, საიდანაც საომარი მუსიკა და იარაღის ჟღარუნი ისმის. შემდეგ გზაზე დიდი სომხური მონასტერი შეგხვდებათ, თავისი სქელი კედლებით და დაგმანული ჭიშკრებით ციხე-სიმაგრეს რომ ჰგავს. ცოტასაც თუ გაივლით, უხეშ, ნაცრისფერ შენობას წააწყდებით, რომელსაც დავითის სამარეს უწოდებენ და ამის დანახვაზე უეცრად გახსენდებათ, რომ წმინდა სიონში, მეფეთა მთაზე იმყოფებით და თქვენს წარმოსახვაში მთის ნაცვლად უზარმაზარი თაღი გაჩნდება, სადაც ოქროსფერი მანტიით შემოსილი მეფე დავითი ცეცხლოვან ტახტზე დაბრძანებულა და იერუსალიმი და პალესტინა დღესაც თავისი სკიპტრის ქვეშ ჰყავს მოქცეული. ისიც მოგაგონდებათ, რომ თქვენს გარშემო მიმოფანტული ნანგრევები გაცამტვერებული სამეფო ციხე-კოშკების ნარჩენებია, რომ აი, ის ბორცვი, თქვენს პირდაპირ, სწორედ ის ცდუნების მთა არის, სადაც სოლომონმა შესცოდა და რომ ხეობა, რომელშიც ახლა იცქირებით, ჰინომის ღრმა ხეობა, ერთ დროს იმ ადამიანების გვამებით იყო სავსე, რომლებიც რომაელთა მიერ იერუსალიმის დამხობისას დაიღუპნენ.

მართლაც უცნაური ადგილია. გეჩვენებათ, რომ საბრძოლო ყიჟინა გესმით, ხედავთ კედლებს შესეულ უამრავ მეომარს, მეფეებს, რომლებიც საომარი ეტლებით მოჰქრიან. „იერუსალიმი ძალადობის, ძალაუფლების და ომების ქალაქია,“ ფიქრობთ თავზარდაცემული, როდესაც აქ დატრიალებული ყველა სისხლისღვრა და საშინელება გაგონდებათ.

წამით დაფიქრდებით, ეს ხომ არ არის ის იერუსალიმი, რომელიც ადამიანებს ხოცავს, თუმცა მალე მხრებს აიჩეჩავთ და იტყვით:

– ეს შეუძლებელია, ძალზე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც აქ მახვილების ხმა ისმოდა და სისხლის ნაკადულები მიედინებოდა.

და გზას აგრძელებთ.

როგორც კი გალავნის კუთხესთან შეუხვევთ და ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილს მიაღწევთ, სულ სხვა სურათი გადაგეშლებათ თვალწინ. ახლა წმინდა მხარეში მოხვდით, სადაც მხოლოდ ძველ წმინდა მამებზე და ტაძრის მსახურებზე ფიქრობ. გალავნის შიგნით ებრაელების გოდების

კედელია, სადაც გრძელ წითელ ან ლურჯ ხავერდის მოსასხამებში გამოწყობილი რაბინები ქვის ცივ კედელს მიყრდნობილები დგანან და დასტირიან გაძარცვულ სასახლეს, ჩამოქცეულ გალავანს, დაკარგულ ძალაუფლებას, დიდ ადამიანებს, რომლებიც აღარ არიან ამქვეყნად, მღვდლებს, რომლებიც ჭეშმარიტ გზას ასცდნენ, მეფეებს, რომელთაც ყოვლისშემძლე ღმერთი უარყვეს. აქ აღმართულა მორიას მთა, რომელზეც დიდებული ტაძარია. გალავნიდან სამარხებით დაფარულ იოსაფატის ხეობაში ეშვებით, ხეობის მეორე მხარეს კი გეთსემანიის ბაღი და ზეთისხილის მთა მოჩანს, საიდანაც ქრისტე ზეცად ამაღლდა. აქვე დაინახავთ იმ სვეტებსაც, სადაც განკითხვის დღეს ქრისტე უნდა იდგეს; გრძელი, თმის ღერივით წვრილი სიმის ერთი ბოლო მას ეჭირება, მეორე ბოლო კი – ზეთისხილის მთაზე მდგომ მუჰამედს. მიცვალებულებმა ამ სიმით უნდა გაიარონ იოსაფატის ხეობის თავზე, მართლმორწმუნენი ხეობის მეორე მხარეს მოხვდებიან, ხოლო ურჯულოები ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩაინთქმებიან.

აქ ყოფნისას უსათუოდ გაიფიქრებთ: „ეს კი სიკვდილის და განკითხვის დღის იერუსალიმია, სადაც ზეცის და ჯოჯოხეთის კარიბჭეები იხსნება.“ თუმცა ცოტა ხანში იტყვით:

– არც ეს არის იერუსალიმი, რომელიც კლავს. სამსჯავროს საყვირების ხმა მეტისმეტად შორიდან ისმის და ჯოჯოხეთის ცეცხლიც ჩამქრალა.

გალავანს მიუყვებით და ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილს აღწევთ. გზის შემოგარენი უდაბნოსავით გადამხმარი და ერთფეროვანია. სწორედ აქ არის ის შიშველი ბორცვი, რომელიც გადმოცემით ნამდვილი გოლგოთა უნდა იყოს, აქვეა მღვიმე, სადაც იერემია თავის გოდებას ქმნიდა. ამ კედლის შიგნით აღმოაჩენთ ბეთეზდას აუზს და ვია დოლოროზაც აქ იკარგება პირქუშ თაღებქვეშ. აქ უიმედობის, ტანჯვის, სევდის და მიტევების იერუსალიმია.

წამით ჩერდებით და ჩაფიქრებული გასცქერით ჩამომდგარ წყვდიადს. „არც ეს უნდა იყოს ის იერუსალიმი, ადამიანს რომ კლავს,“ ფიქრობთ თქვენ და გზას განაგრძობთ.

რაც უფრო წინ მიიწევთ, ჩრდილო-დასავლეთიდან დასავლეთისაკენ, შემოგარენი სულ უფრო იცვლება! ქალაქის ახალ ნაწილში ხვდებით, რომელიც მისიონერთა დიდებული სასახლეებით და უზარმაზარი სასტუმროებით გალავანთან აღმოცენდა. აქ არის რუსების ფართოდ გაშლილი კოლონია, ეკლესია, საავადმყოფო და უშველებელი სასტუმრო, რომელსაც ოცი ათასი მომლოცველის დატევა შეუძლია. აქვე იხილავთ კონსულისა და მღვდლების ლამაზ სახლებს და საეკლესიო საქონლით სავსე სავაჭრო ფარდულებს შორის მოხეტიალე მომლოცველებსაც.

ამ მხარესაა გადაჭიმული ებრაელთა და გერმანელთა სამიწათმოქმედო კოლონიები, დიდი მონასტრები და მრავალრიცხოვანი მოწყალების სახლები. აქ შეხვდებით ბერებს, მონაზვნებს, მომვლელებს, დიაკვნებს, მართლმადიდებელ მღვდლებს და მისიონერებს. აქ ცხოვრობენ მეცნიერები, რომლებიც იერუსალიმის წარსულს იკვლევენ და მოხუცი ინგლისელი ქალბატონები, რომელთაც სხვაგან ცხოვრება არ შეუძლიათ.

აქვეა ის მშვენიერი მისიონერული სკოლები, სადაც მოსწავლეებს უფასო განათლებას, საკვებს, ტანსაცმელს და საცხოვრებელს აძლევენ მათი სულების სანაცვლოდ, და მისიონერთა საავადმყოფოც, სადაც ავადმყოფებს სთხოვენ, მოვიდნენ და განიკურნონ, რათა შემდეგ თავიანთ სარწმუნოებაზე მოაქციონ. აქ იმართება მლოცველთა შეკრებები და ღვთისმსახურება, სადაც სულის გადასარჩენად ბრძოლა გიწევთ.

სწორედ აქ ლანძღავს კათოლიკე პროტესტანტს, მეთოდისტი – კვაკერს, ლუთერანი – რეფორმისტს, რუსი – სომეხს. აქ იკიდებს ფეხს შური, მეოცნებე საღი აზრის მქონეს არ ენდობა, მართლმადიდებელი ერეტიკოსს ედავება, გულმოწყალების ადგილი აღარსად არის და ღვთის წინაშე მეტი დიდების მოპოვებას ყველა ერთმანეთის სიძულვილით ცდილობს.

და აი, აქ იპოვით იმას, რასაც ეძებდით: იერუსალიმს, სადაც სულებზე ნადირობენ, იერუსალიმს, სადაც ჭორი, სიცრუე, ცილისწამება და ერთმანეთის ლანძღვაა გამეფებული. აქ დაუღალავად სდევნიან ერთმანეთს და უიარაღოდ ხოცავენ. სწორედ ეს არის ის იერუსალიმი, რომელიც კლავს.

იმ დღიდან, რაც შვედი გლეხები წმინდა ქალაქში ჩამოვიდნენ, გორდონის კოლონიის ყველა მცხოვრებმა შენიშნა, რა სხვანაირად ექცეოდნენ მათ ადამიანები.

თავიდან ყველაფერი ისეთი წვრილმანებით დაიწყო, როგორიც იყო, ვთქვათ, ის, რომ ინგლისელი მეთოდისტი მღვდელი შვედებთან მისალმებას თავს არიდებდა, ან ის, რომ ესე-ჰომოს თაღთან მდებარე მონასტრის ღვთისმოსავი სიონელი დები მათთან შეხვედრისას ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდნენ, თითქოს ეშინოდათ, შვედებისგან რაიმე უკურნებელი სენი არ გადაგვედოსო.

კოლონისტებს ასეთი ამბები არ აწუხებდათ და არც იმას შეუშფოთებიათ, რომ რამდენიმე ამერიკელი მოგზაური, რომელთაც კოლონია მოინახულეს და მთელი საღამო

თანამემამულეებთან საუბარში გაატარეს, მეორე დღეს, დაპირების მიუხედავად, არც გამოჩენილა, თან, ეტყობა, მისის გორდონი და მის იანგიც ვერ იცნეს, როცა მათ ქუჩაში გადაეყარნენ. უფრო უსიამოვნო ამბავი ის იყო, რომ ახალგაზრდა კოლონისტი ქალები იაფას ნავსადგურთან დიდ, ახალ მაღაზიაში შევიდნენ და ბერძენმა ვაჭრებმა ორიოდე სიტყვა ესროლეს. მართალია, გოგონებმა ვერაფერი გაიგეს, თუმცა ეს სიტყვები ისეთი სახით და ისეთი ტონით ითქვა, რომ ისინი გაწითლდნენ.

კოლონისტები შეეცადნენ, თავი დაერწმუნებინათ, რომ ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა.

– ეტყობა, ქალაქის ქრისტიანულ ნაწილში ჩვენზე კიდევ რაღაც ახალი ჭორი გავრცელდა, – ამბობდნენ ისინი, – მაგრამ არა უშავს. ძველ გორდონელებს ახსოვთ, ადრე მათზე რამდენ სიბინძურეს ლაპარაკობდნენ. ამბობდნენ, რომ ისინი ბავშვებს არანაირ აღზრდას არ აძლევდნენ, რომ ერთი მდიდარი, მოხუცი ქვრივის ხარჯზე ცხოვრობდნენ, რომელიც სრულიად გაძარცვეს, რომ თავიანთ ავადმყოფებს მკურნალობის გარეშე ხოცავდნენ, რადგან ასეთი იყო ღვთის ნება, რომ ისლამის მიღებას აპირებდნენ, უზრუნველად და უქმად ატარებდნენ დღეებს და მხოლოდ თავს აჩვენებდნენ, თითქოს ნამდვილი ქრისტიანობის დასამკვიდრებლად იღვწოდნენ.

– ახლაც რამე ამგვარი იქნება, – ამბობდნენ ისინი, – მაგრამ ჭორი, რომელშიც სიმართლის ნატამალიც არ ურევია, მალე კვდება.

ცოტა ხანში ბეთლემელმა ქალმა, რომელსაც კოლონისტებისთვის ხილი და ბოსტნეული მოჰქონდა ხოლმე, მათთან სიარული შეწყვიტა. გორდონელებმა ქალი მოძებნეს და შეეცადნენ, დაერწმუნებინათ, მათთან დაბრუნებულიყო, მაგრამ მან კოლონისტებისთვის ლობიოს თუ თალგამის მიყიდვაზე სასტიკი უარი განაცხადა.

ეს აშკარა ნიშანი იყო. გორდონელები მიხვდნენ, რომ მათზე რაღაც ძალზე შეურაცხმყოფელს ლაპარაკობდნენ. ეს რაღაც ყოველ მათგანს ეხებოდა, იმის მიუხედავად, რომელ ფენას ეკუთვნოდნენ.

დიდ დროს არ გაუვლია და დამამტკიცებელი საბუთიც მიიღეს. ერთ დღეს, როდესაც რამდენიმე შვედი უფლის საფლავის ეკლესიაში იმყოფებოდა, იქვე რუსი მომლოცველების ჯგუფმა ჩაიარა. გულკეთილი რუსები უღიმოდნენ და თავს უქნევდნენ და შვედებმა შენიშნეს, რომ ისინიც მათ მსგავსად გლეხები იყვნენ, მაგრამ ამ დროს ერთი ბერძენი მღვდელი მომლოცველებთან მივიდა და რამდენიმე სიტყვა უთხრა, მათ კი საჩქაროდ გადაიწერეს პირჯვარი, შვედებს მუშტები მოუღერეს და, ალბათ, არც მათი ეკლესიიდან გაყრაზე იტყოდნენ უარს.

იერუსალიმის სიახლოვეს გერმანელი გლეხების კოლონია იყო, რომლებიც იქ იაფას დიდი კოლონიიდან გადმოვიდნენ. ეს ხალხი სამშობლოშიც იდევნებოდა და პალესტინაშიც. სრული განადგურებითაც კი ემუქრებოდნენ, თუმცა ამის მიუხედავად, გერმანელებმა ისე მოიკიდეს ფეხი, რომ ახლა პალესტინაში ბევრი დიდი და მდიდარი კოლონია ჰქონდათ.

ერთ დღეს ამ გერმანელებიდან ერთ-ერთი მისის გორდონთან მივიდა და დაუფარავად განუცხადა, შენს ხალხზე ცუდი ხმები დადისო.

– აი, იქაური მისიონერები ავრცელებენ თქვენზე ჭორებს, – თქვა მან და ქალაქის დასავლეთისკენ მიუთითა. – მართალი გითხრათ, თავად რომ არ გამომეცადა, რას ნიშნავს, როცა სრულიად უდანაშაულო ადამიანს სდევნიან, არც ხორცის მოყიდვას მოვისურვებდი თქვენთვის და არც ფქვილის. ახლა კი ვხვდები, რომ ვერ აუტანიათ, ბოლო დროს ამდენი მიმდევარი რომ გამოგიჩნდათ.

მისის გორდონმა ჰკითხა, მაინც რას გვერჩიანო.

– ამბობენ, რომ კოლონიაში ცუდ ცხოვრებას ეწევით, ღვთის ნებას არ ასრულებთ და ხალხს დაქორწინების უფლებას არ აძლევთ, ამიტომაც დაიწყეს იმის მტკიცება, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ არის.

კოლონისტებმა თავიდან არ დაუჯერეს გერმანელს, თუმცა მალე აღმოაჩინეს, რომ იგი სიმართლეს ამბობდა და ყველა იერუსალიმელი დარწმუნებული იყო, რომ ისინი გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდნენ. არც ერთ იერუსალიმელ ქრისტიანს არ სურდა გორდონელებთან საუბარი. სასტუმროებში უცხოელებს აფრთხილებდნენ, მათთან სტუმრად არ მისულიყვნენ. მოგზაური მისიონერები დროდადრო მაინც ბედავდნენ კოლონიის მონახულებას, თუმცა იქიდან დაბრუნებულები მრავალმნიშვნელოვნად აქნევდნენ თავს. მართალია, უღირსს ვერაფერს ამჩნევდნენ, მაგრამ ფიქრობდნენ, ეტყობა, იქ რაღაც ცუდი ხდება, ოღონდ გარედან არ ჩანსო.

ამერიკელები ხომ, კონსულიდან დაწყებული, მომვლელი ქალით დამთავრებული, ყველაზე ხმამაღლა კიცხავდნენ გორდონელებს.

– ყველა ამერიკელის სირცხვილია, რომ ეს ხალხი იერუსალიმიდან არ გავყარეთ. – ამბობდნენ ისინი.

კოლონისტებმა ჭკუას მოუხმეს და თავის თავს უთხრეს, ვერაფერს ვიზამთ, ხალხმა რაც უნდა, ის ილაპარაკოს, ჩვენი მოწინააღმდეგეები დროთა განმავლობაში მიხვდებიან, რომ მართლები არ იყვნენო.

– აბა, კარდაკარ ხომ არ ვივლით და ვამტკიცებთ, არაფერი დაგვიშავებიაო, – ამბობდნენ ისინი და თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ ერთმანეთი ჰყავდათ, ერთიანობა ჰქონდათ და ბედნიერები იყვნენ.

– იერუსალიმელ ღატაკებს და სნეულებს ჯერ არაფერში დავუდანაშაულებივართ, – ამბობდნენ ისინი. – ყურადღებას ნუ მივაქცევთ; ეს გამოცდა უფალმა გამოგვიგზავნა.

მალე შვედებს მობეზრდათ ჭორების მოსმენა და ყველაფერს მშვიდად ხვდებოდნენ.

– თუკი აქაურები ისეთი თავგზააბნეულები არიან, რომ ჰგონიათ ჩვენ, ღატაკი გლეხები, იმისთვის ჩამოვედით სწორედ იმ ქალაქში, სადაც ჩვენი მხსნელი აღესრულა, რომ უწესოდ ვიცხოვროთ, მათ აზრს იმაზე მეტი ფასი არ ჰქონია, რაზეც ისინი ჭორაობენ.

რაც უფრო მეტ ზიზღს ამჟღავნებდნენ იერუსალიმელები გორდონელთა მიმართ, მით უფრო დიდი იყო მათი სიხარული იმის გაფიქრებაზე, რომ უფალმა ღირსჰყო ისინი, სწორედ იმ ქალაქში ყოფილიყვნენ დევნილნი და დამცირებულნი, სადაც თავად ქრისტე შეურაცხყვეს და ჯვარს აცვეს, მაგრამ აი, ზამთარიც გავიდა და მაისის ერთ დღეს გუნჰილდმა წერილი მიიღო. წერილი მამამისისგან იყო, რომელიც წერდა, რომ გუნჰილდის დედა გარდაიცვალა. არც ისეთი მძიმე წერილი ყოფილა, როგორსაც გუნჰილდი მოელოდა. მამა არაფერზე წუწუნებდა, მხოლოდ დედის ავადმყოფობასა და დაკრძალვაზე მოუთხრობდა. როგორც ჩანს, მოხუცი ფიქრობდა, არ ავაღელვებ, სადარდებელი ისედაც ეყოფაო.

მთელ წერილს, ხელმოწერის ჩათვლით, ასეთივე მშვიდი განწყობა გასდევდა, მაგრამ ბოლოს შეკავებულმა მრისხანებამ უეცრად ამოხეთქა, რადგან მოხუცს კალამი სწრაფად და ღრმად ჩაეწო სამელნეში და წერილის კიდეზე დიდი, დაბრეცილი ასოებით მიეჯღაბნა:

„დედაშენი შენმა გამგზავრებამ კი დაამწუხრა, მაგრამ იმიტომ მოკვდა, რომ მისიონერთა გაზეთში წაიკითხა, თითქოს მანდ, იერუსალიმში, უღირს ცხოვრებას ეწევით. ამას არც შენგან ელოდა ვინმე და არც იმათგან, ვისთან ერთადაც გაემგზავრე.“

გუნჰილდმა წერილი ჯიბეში ჩაიდო, ოთახიდან გავიდა და მთელი დღე ისე გაატარა, ამაზე არავისთან კრინტი არ დასცდენია.

გოგოს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მამამ დედის სიკვდილის მიზეზზე სიმართლე მოსწერა. მისი მშობლებისთვის ძალიან ძვირფასი იყო ღირსება და სახელი. გუნჰილდი თავადაც ასეთი იყო. კოლონიაში ჭორებს მასავით არავინ განიცდიდა. არაფერს შველოდა იმის ცოდნა, რომ უდანაშაულო იყო, თავს დამცირებულად გრძნობდა და მიაჩნდა, რომ ხალხში გამოსაჩენი პირი არ ჰქონდა, იმალებოდა და მთელ დღეებს წუხილში ატარებდა, ბოროტი ენები ნესტარივით ჩხვლეტდა და ტანჯვას აყენებდა. და აი, ახლა ამ ბოროტმა ენებმა დედამისის სიცოცხლე შეიწირა.

გერტრუდი და გუნჰილდი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ და ყოველთვის საუკეთესო მეგობრები იყვნენ, თუმცა გუნჰილდს გერტრუდისთვისაც კი არ გაუმხელია, რა მოსწერა მამამ. ცოდო იყო ჩაეშხამებინა მისთვის ის უსაზღვრო სიხარული, რასაც გერტრუდს იერუსალიმში ყოფნა ანიჭებდა – ქალაქში, სადაც მას ყველაფერი მხსნელს აგონებდა.

გუნჰილდი დროდადრო ამოიღებდა ხოლმე წერილს და ათვალიერებდა, წაკითხვას ვერ ბედავდა, მხოლოდ უყურებდა და გულში მწვავე ტკივილს გრძნობდა. „ნეტავ მოვკვდე!“ ფიქრობდა იგი. „ბედნიერი ვეღარასოდეს ვიქნები. ნეტავ მოვკვდე!“

გოგონა იჯდა და წერილს დასჩერებოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს წერილი შხამიანი იყო და მოკვლას უპირებდა, თვითონ კი მხოლოდ იმას ნატრობდა, ეს სწრაფად მომხდარიყო.

მეორე დღეს გუნჰილდმა დამასკოს კარიბჭეს ჩაუარა. ქალაქში იყო და ახლა შინ, კოლონიაში ბრუნდებოდა.

საოცრად ცხელოდა, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე მაისის ბოლოს. როდესაც გუნჰილდმა ჩაბნელებული ქალაქი დატოვა, სადაც სახლები და თაღები მზეს ჩრდილავდა, მოეჩვენა, რომ დამაბრმავებელი მზის სხივები ისრებივით დაეძგერა და მოუნდა, უკან გაქცეულიყო და გრილი, დაჩდილული თაღებისთვის შეეფარებინა თავი. ეს მზით განათებული გზა, რომელიც უნდა გაევლო, შიშს გვრიდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს პოლიგონზე იყო იმ დროს, როდესაც

ჯარისკაცები მიზანში ისროდნენ.

გუნჰილდს სულაც არ სურდა, მზის შიშით უკან დაბრუნებულიყო. გაგონილი ჰქონდა, ეს სახიფათოაო, თუმცა ძალიანაც არ სჯეროდა. სამაგიეროდ, ისე მოიქცა, თითქოს თავსხმა წვიმაში მოხვდაო: თავი მხრებში ჩამალა, ყელზე მოხვეული თავსაფარი ზევით ამოიწია და ჩქარი ნაბიჯით განაგრძო გზა.

მიდიოდა და ხედავდა, როგორ ეჭირა მზეს ხელში აალებული მშვილდი და მას ზედიზედ ესროდა კაშკაშა ისრებს. მზე მიზანში სროლით ერთობოდა, თითქოს სხვა საქმე გამოლევიაო. გუნჰილდს მწველი ცეცხლის წვიმა დაატყდა თავს, თანაც ეს წვიმა მხოლოდ ციდან კი არ მოდიოდა. გარშემო ყველაფერი კაშკაშებდა და იწვოდა. გზის საფარველიდან პატარა, მჭრელი ისრები მოისწრაფოდნენ. იქვე, ახლოს მონასტრის ფანჯრების მწვანე მინებმა ისე გაიელვა, ქალმა იქით გახედვაც ვერ გაბედა. კარის ფოლადის გასაღებმა პატარა, ავი ცეცხლი გამოისროლა, აბუსალათინის ფოთლები კი ისეთ ელვარებას აფრქვევდნენ, გეგონებოდათ, მცენარე ერთ დღეში მხოლოდ იმიტომ გაიზარდა, რომ მისთვის ტკივილი მიეყენებინაო.

საითაც არ უნდა გაეხედა, ცაშიც და მიწაზეც, ყველაფერი კაშკაშებდა და ელავდა. ქალს ძლიერი სიმხურვალე კი არ აყენებდა ტკივილს, მზის საშინელი თეთრი შუქი სტანჯავდა, რომელიც მის თვალებში აღწევდა და ტვინს ცეცხლივით წვავდა.

გუნჰილდი მზის მიმართ ისეთ მრისხანებას და სიძულვილს გრძნობდა, როგორსაც შეიძლება ის ცხოველი გრძნობდეს, მონადირე რომ ჩასდგომია კვალში. უცნაური სურვილი დაეუფლა – შეჩერებულიყო და მდევრებისთვის თვალებში ჩაეხედა. ცოტა ყოყმანის შემდეგ იგი უეცრად მოტრიალდა და მაღლა, ცაში აიხედა. ჰო, მზე დიდი, ცისფერი ცეცხლის ალივით ბრიალებდა ცაზე. ვიდრე გუნჰილდი ზევით იხედებოდა, ცა სრულიად გაშავდა, მზე კი დაპატარავდა და ავად მოკიაფე ნაპერწკლად გადაიქცა. გოგონას მოეჩვენა, რომ მზემ ცაზე თავისი ადგილი დატოვა და მის მოსაკლავად მიწისკენ გამოეშურა.

გუნჰილდმა შეჰყვირა, ცალი ხელი კისერზე შემოიხვია და გაიქცა. გზაზე, სადაც ცარცის თეთრი მტვრის კორიანტელი ტრიალებდა, ქვის დიდი გროვა დაინახა. ეს სახლის ნანგრევები იყო. ქალი იქით გაეშურა და, თავისდა საბედნიეროდ, მიწისქვეშეთში ჩასასვლელი დაინახა.

გუნჰილდი გრილ და სასიამოვნო წყვდიადში აღმოჩნდა.

იგი შესასვლელისკენ ზურგით იდგა და თვალებს სიბნელეში ასვენებდა. არაფერი ანათებდა და ელავდა. ახლაღა მიხვდა, რას შეიძლება გრძნობდეს საბრალო მელაკუდა, რომელიც მონადირეებისგან დევნილი თავის სოროში ძვრება. სულისშემხუთველი სიცხე და მზის კაშკაშა შუქი სწორედ რომ მონადირეებივით ჩასაფრებულიყვნენ მის თავშესაფართან. გარეთ მთელი ხროვა იდგა და მოელვარე შუბებით ხელში ელოდა, მაგრამ გუნჰილდი აქ უსაფრთხოდ იყო.

გოგონამ თვალები სიბნელეს შეაჩვია, ქვა დაინახა და ზედ ჩამოჯდა. ამ მღვიმედან გამოსვლას დიდხანს ვერ გაბედავდა, იქამდე მაინც, ვიდრე მზე მთელ ცაზე იყო გამეფებული და დასავლეთით არ გადაიხრებოდა. თუმცა დიდხანს არ მოუწია უკუნეთში ჯდომა, რადგან უეცრად ათასობით მზემ თვალებში ნაპერწკლები შეაყარა და მის გავარვარებულ ტვინში არიალდა. გუნჰილდმა ძლიერი თავბრუსხვევა იგრძნო და მოეჩვენა, რომ სარდაფის კედლები დაუსრულებლად ტრიალებდა. იძულებული გახდა, კედელს მიყრდნობოდა, რომ ძირს არ დაცემულიყო.

– ოჰ, ღმერთო, აქაც არ მასვენებს! ეტყობა, რაღაც დავაშავე, რახან მზე დასანახავად ვერ მიტანს, – – აღმოხდა გუნჰილდს და სწორედ ამ დროს მოაგონდა წერილი, დედის სიკვდილი, თავისი გაუნელებელი დარდი და სიკვდილის მონატრება. ვიდრე მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ეს არ გახსენებია, მხოლოდ გადარჩენაზე ფიქრობდა.

გუნჰილდმა წერილი ამოიღო, გაშალა და გასასვლელისკენ გაემართა წასაკითხად. ნახა, რომ იქ ზუსტად ის სიტყვები ეწერა, რაც ახსოვდა და დაიკვნესა, თუმცა მალე ერთი აზრი დაეუფლა, რამაც სიმშვიდე მოჰგვარა.

„ნუთუ არ გესმის, რომ წუთისოფლიდან განრიდება უფლის სურვილი იყო?“ მოეჩვენა, რომ ეს ლამაზი საქციელი და ღვთის უდიდესი წყალობა იქნებოდა. დაბეჯითებით ვერაფერს იტყოდა, რადგან გონება დაბინდული ჰქონდა. ისევ თავბრუ დაესხა, მთელი სარდაფი ტრიალებდა და მის თვალწინ ცეცხლის მოელვარე ათინათი ცეკვავდა, თუმცა თანდათან რწმუნდებოდა იმაში, რომ ღმერთმა იმქვეყნიური ცხოვრება შესთავაზა, სადაც ზეცაში დედას შეხვდებოდა და ყველა დარდს დაივიწყებდა.

გუნჰილდი წამოდგა, ჯერ ხელები კისერზე შემოიჭდო, მაგრამ ისევ ჩამოიღო და ისე მშვიდად

გამოვიდა მზეზე, თითქოს ეკლესიაში შედიოდა.

სიცხეს უწინდებურად ვეღარ გრძნობდა, თავდაპირველად ვეღარც მონადირეები დაინახა, ვეღარც – შუბის წვერები და მოელვარე ისრები, მაგრამ როგორც კი ორიოდე ნაბიჯი გადადგა, ყველაფერი ისევ დაატყდა თავს, თითქოს იქვე სადღაც იყო ჩასაფრებულიო. მთელი დედამიწა კაშკაშებდა და ელავდა, მზე კი ზურგიდან მიეპარა და კისერში მხურვალე მარწუხი ჩაასო.

გოგონამ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე კი მეხდაცემულივით დაეცა ძირს.

რამდენიმე საათის შემდეგ გუნჰილდი კოლონისტებმა იპოვეს. ცალი ხელი გულზე ედო, მეორე, წინ გაშვერილ ხელში კი წერილი ჩაებღუჯა, თითქოს იმის ჩვენება უნდოდა, რამაც მოკლა.

5. განთიადის ფრთებზე

იმ დღეს, როდესაც გუნჰილდმა მზის დარტყმა მიიღო, გერტრუდი ქალაქში იყო და დასავლეთ გარეუბნების ერთ-ერთ ფართო ქუჩაზე მიაბიჯებდა. ღილების და ლენტების საყიდლად გამოსულიყო, რომლებიც საკერავად სჭირდებოდა, მაგრამ ამ ადგილებს არც ისე კარგად იცნობდა, ამიტომაც ბევრი იარა, ვიდრე სასურველ ნივთებს შეიძენდა. არსად ეჩქარებოდა და უხაროდა, რომ თავისუფლად ხეტიალის საშუალება მიეცა.

ქუჩაში სიარულისას გერტრუდს, როგორც ყოველთვის, ბაგეზე ღიმილი დასთამაშებდა. საშინელ სიცხეს და დამაბრმავებელ მზის შუქს ისიც გრძნობდა, თუმცა ეს ისე არ აწუხებდა, როგორც სხვებს. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას იმაზე ფიქრობდა, ალბათ, იესოც ამავე მიწაზე დადიოდაო. იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ მაცხოვრის მზერა სწორედ იმ ბორცვებს სწვდებოდა, რომელთაც მან ქუჩის ბოლოში მოჰკრა თვალი და მტვერი და სიცხეც ისევე სტანჯავდა, როგორც მას. ამის გაფიქრებაზე ქალი ისეთ სიახლოვეს გრძნობდა ქრისტესთან, რომ მომაჯადოებელი სიხარულის გარდა ვერაფერს განიცდიდა.

გერტრუდი პალესტინაში ჩამოსვლის შემდეგ სწორედ იმიტომ იყო უსაზღვროდ ბედნიერი, რომ იესოს ადრინდელზე უფრო მიუახლოვდა. არასოდეს დაფიქრებულა იმაზე, რომ რამდენიმე ათასწლეული აშორებდა იმ დროს, როდესაც მაცხოვარი თავის მოწაფეებთან ერთად ამ ქვეყანაში დადიოდა, მის წარმტაც წარმოსახვაში იესო აქ სულ ცოტა ხნის წინ ცხოვრობდა, მიწაზე მის ნაკვალევს ხედავდა და იერუსალიმის ქუჩებში დარხეული მისი ხმის ექოც კი ჩაესმოდა.

სწორედ მაშინ, როდესაც გერტრუდი იაფას კარიბჭისაკენ მიმავალ დამრეც ბორცვზე ეშვებოდა, აღმართში რამდენიმე ასეული რუსი მომლოცველი გამოჩნდა. მათ ბევრი ეხეტიალათ იერუსალიმის შემოგარენში წმინდა ადგილების მოსანახულებლად და თაკარა სიცხეში სიარულით ისე დაქანცულიყვნენ, ფეხებს ძლივს მიათრევდნენ, რომ ბორცვის თავზე მდებარე რუსულ სასტუმრომდე მიეღწიათ.

გერტრუდი შეჩერდა და გვერდზე ჩავლილი მგზავრები შეათვალიერა. ეტყობოდათ, რომ უბრალო გლეხები იყვნენ და ქალმა გაიფიქრა, როგორ ჰგავდა მისიანებს ეს შინნაქსოვ ქურთუკებსა და შალის კოფთებში ჩაცმული ხალხი. „ნამდვილად ერთი დიდი მრევლია, რომელიც მთლიანად გადმოსახლდა პალესტინაში“, გაიფიქრა ქალმა, ვიდრე მათ ათვალიერებდა. „აი, ის ცხვირზე სათვალეწამოცმული კაცი სკოლის მასწავლებელი იქნება, ის კი, მსხვილი ჯოხი რომ უჭირავს, დიდი კარ-მიდამოს პატრონია და მთელ მრევლს თვალყურს ადევნებს. აგერ ის, გაჭიმული რომ მიაბიჯებს, ძველი ჯარისკაცია, ხოლო ეს ვიწრომხრებიანი და გრძელხელებიანი კაცი სოფლის მკერავი უნდა იყოს.“

გოგონა კარგ გუნებაზე დააყენა ძველი ჩვეულების გახსენებამ – შეეთხზა პატარა ამბები უცნობ ადამიანებზე. „ის აბრეშუმის თავსაფრიანი ქალი მდიდარია“, ფიქრობდა იგი, „თუმცა უწინდელივით კოპწიაობის დრო აღარა აქვს, რადგან ვაჟები და ქალიშვილები ჰყავს დასაქორწინებელი და შვილიშვილები – გასაზრდელი. ის ქალი კი, გვერდით რომ მისდევს და ხელში პატარა ბოხჩა უჭირავს, ღატაკია. ერთ-ერთი იმათგანია, ვინც იძულებულია, მთელი ცხოვრება იშრომოს და ფული დაზოგოს, რათა იერუსალიმში ჩამოსვლა შეძლოს.“

ამ მომლოცველების შეხედვაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ისინი მოგწონებოდათ. თუმცა დამტვერილები და დასიცხულები იყვნენ, კმაყოფილები და ბედნიერები ჩანდნენ, სახეზე იმედგაცრუების ნიშანწყალიც არ ეწერათ. „ალბათ, როგორი ღვთისმოსავები და მომთმენები არიან“, ფიქრობდა გერტრუდი, „და, ალბათ, როგორ უყვართ იესო, რაკი ასეთი ბედნიერები არიან იმით, რომ მის ქვეყანაში მოგზაურობენ და ყველანაირ გასაჭირს იტანენ.“

მწკრივის ბოლოში ისინი მოჩანჩალებდნენ, რომელთაც სრულიად გამოლეოდათ ღონე.

გულისამაჩუყებელი სანახაობა იყო, როგორ ბრუნდებოდნენ მათი მეგობრები და ნათესავები უკან, რათა ჩამორჩენილებისთვის ხელი ჩაეკიდათ და სიარულში მიშველებოდნენ, თუმცა ისინი, რომლებიც ყველაზე უარესად გამოიყურებოდნენ, მარტო მოდიოდნენ, რადგან ალბათ, ისე ცუდად იყვნენ, რომ არავის შესწევდა ძალა, მათ დახმარებოდა.

ყველაზე ბოლოს ჩვიდმეტიოდე წლის გოგონა მოდიოდა. იგი თითქმის ერთადერთი ახალგაზრდა იყო მათ შორის, დანარჩენების უმეტესობა მოხუცი ან შუახნის გახლდათ. როგორც კი გერტრუდმა გოგონას მოჰკრა თვალი, თავისთვის გაიფიქრა, ამ ყმაწვილქალს რაღაც დიდი უბედურება გადახდენია, რის გამოც მისთვის მშობლიურ სახლში ყოფნა აუტანელი გამხდარაო. შეიძლება მასაც გამოეცხადა ტყეში იესო, რომელმაც ურჩია, პალესტინაში წასულიყო.

გოგონას სნეული და დატანჯული გამომეტყველება ჰქონდა. ტანკენარი იყო და უხეში, მძიმე ტანსაცმელი, განსაკუთრებით კი ტლანქი ჩექმები, სხვა ქალებივით მასაც რომ ეცვა, ეტყობა, ძალიან აწუხებდა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და სულის მოსათქმელად შეჩერდა. შუა ქუჩაში დგომა სახიფათო იყო, რადგან შეიძლებოდა გოგონას აქლემი ან საზიდარი დაჯახებოდა.

გერტრუდს ძალიან მოუნდა, გოგონას დახმარებოდა. დიდხანს არ უფიქრია, მასთან მივიდა, წელზე ხელი მოხვია და აჩვენა, როგორ უნდა დაყრდნობოდა მხარზე. გოგონამ გერტრუდს დაბინდული მზერა მიაპყრო და თითქმის გონდაკარგულმა ნება მისცა, ორიოდე ნაბიჯის გადადგმაში დახმარებოდა.

ამ დროს ერთ-ერთი მოხუცი ქალი მათკენ მობრუნდა, გერტრუდს ამრეზით შეხედა და სნეულს მკაცრად დაუყვირა რაღაც. გოგონა, ეტყობა, ძალიან დაფრთხა, რადგან წელში გაიმართა, გერტრუდს ხელი ჰკრა და შეეცადა, მარტოს განეგრძო გზა, თუმცა მალე შეჩერდა.

გერტრუდი ვერ მიმხვდარიყო, რატომ უარყო გოგონამ მისი დახმარება. ეგონა, რუსებს უცხო ადამიანის შეწუხება მოერიდათო. ისევ მივიდა სნეულთან და წელზე ხელი მოხვია. გოგონას სახეზე თავზარდამცემი შიში და სიძულვილი აღებეჭდა, გერტრუდს ხელი ჰკრა და გაიქცა, რომ მისგან თავი დაეღწია.

ახლაღა მიხვდა გერტრუდი, რომ უცხოელებს მისი ეშინოდათ და ეს მხოლოდ იმ საზიზღარი ჭორების ბრალი იყო, გორდონელების შესახებ რომ ვრცელდებოდა. ქალს ერთდროულად დაეუფლა ბრაზი და სევდა. ერთადერთი, რისი გაკეთებაც საბრალო სნეულისთვის შეეძლო, ის იყო, რომ თავი დაენებებინა, მაგრამ როდესაც შედგა და გოგონას მზერა გააყოლა, შენიშნა, რომ იგი, შიშისაგან დაბნეული, პირდაპირ დაღმართზე მთელი სისწრაფით მომავალი საზიდრისკენ გარბოდა. შეძრწუნებულ გერტრუდს თავში გაუელვა, ახლა უცხოელს საზიდარი გადაუვლის და მოკვდებაო.

გოგომ თვალების დახუჭვა დააპირა, რათა ეს საზარელი სურათი ვერ დაენახა, თუმცა თავი ვერ აიძულა, რომ ეს გაეკეთებინა. ასე იდგა თვალებდაჭყეტილი და უყურებდა, როგორ უახლოვდებოდნენ ცხენები სნეულს და სადაცაა გადათელავდნენ, მაგრამ ბოლო წამს ჭკვიანმა ცხოველებმა თავის შეკავება შეძლეს – უკან დაიხიეს, ფლოქვები მაგრად ჩაასვეს მიწაში, რათა წინ მსრბოლავი საზიდრის მთელი სიმძიმე მათზე გადაეტანათ, ამიტომაც გვერდზე გაწევა მოახერხეს და გზა ისე განაგრძეს, რომ დაცემულს არც ერთი ჩლიქი და ბორბალი არ შეხებია.

გერტრუდს ეგონა, საფრთხემ ჩაიარაო. რუსი გოგონა ისევ გაუნძრევლად იწვა მიწაზე, მაგრამ როგორც ჩანს, შიშისაგან გული შეუღონდა.

ხალხი ყველა მხრიდან გამოეშურა გოგონას დასახმარებლად. გერტრუდი პირველი იყო, რომელიც მასთან მიიჭრა, სნეულის წამოსაყენებლად დაიხარა და დაინახა, რომ გოგონას თავიდან კენჭებზე სისხლი წვეთავდა, სახეზე კი უცნაური გამომეტყველება შეყინვოდა. „მკვდარია და მის სიკვდილში მე მიმიძღვის ბრალი!“ გაიფიქრა ქალმა.

ამ დროს ვიღაც კაცმა მოუთმენლად ჩაავლო გერტრუდს ხელი და გვერდზე გასწია. მან ქალს რაღაც დაუყვირა, რაც ალბათ, იმას ნიშნავდა, რომ მისნაირ უღირს ქმნილებას უფლება არ ჰქონდა ხელი ეხლო ახალგაზრდა უცხოელისთვის. შემდეგ იგივე სიტყვები სხვებისგანაც გაისმა. კაცმა მუქარით მოუღერა გერტრუდს ხელები და გოგონას გარშემო შეკრებილი ბრბოდან მუჯლუგუნების კვრით გამოაძევა.

მომხდარმა გერტრუდი გააშმაგა. უნდოდა, თავი დაეცვა, უნდოდა, ისევ დაბრუნებულიყო რუს გოგონასთან – ხომ უნდა გაეგო, მოკვდა თუ არა.

– მე კი არა, სწორედ თქვენ არა გაქვთ მასთან მისვლის უფლება! – შვედურად იყვირა ქალმა. – ის თქვენ მოკალით. თქვენმა ბინძურმა ჭორებმა მიიყვანა სიკვდილის პირას!

მისი არავის ესმოდა და გერტრუდის მრისხანება უსაზღვრო შიშმა შეცვალა. ვინმეს რომ გაეგო,

რასაც ამბობდა და მომლოცველებისთვის ეთქვა! მაშინ ხომ ყველანი შეუბრალებლად დაესხმებოდნენ თავს და სიკვდილის პირას მიიყვანდნენ.

ქალი ადგილს მოსწყდა და თავპირისმტვრევით გაიქცა, თუმცა არავინ დადევნებია. ვიდრე იერუსალიმის ჩრდილოეთით, უკაცრიელ გზაზე არ გავიდა, არ შეჩერებულა.

აქ გერტრუდი შეჩერდა, შუბლი მოიწმინდა და ხელები კეფაზე შემოიჭდო.

– ღმერთო! ღმერთო! – წამოიძახა მან. – ნუთუ ახლა მკვლელი ვარ? ნუთუ ადამიანის სიკვდილში მიმიძღვის ბრალი?

შემდეგ გერტრუდი ქალაქისკენ შებრუნდა, რომლის მაღალი, პირქუში გალავანი მის წინ აღმართულიყო და დაიყვირა:

– მე კი არა, შენ ხარ მკვლელი! ჰო, შენ!

აცახცახებულმა გოგონამ ზურგი შეაქცია ქალაქს და კოლონიისაკენ გაეშურა, რომლის სახურავსაც შორიდანვე მოჰკრა თვალი, თუმცა დროდადრო ჩერდებოდა, რომ შემოჯარულ ფიქრებს გამკლავებოდა.

როდესაც გერტრუდი პალესტინაში ჩამოვიდა, გაიფიქრა: „აი, აქა ვარ, ჩემი უფლისა და მეუფის სამშობლოში, ახლა მისი მფარველობის ქვეშ ვარ და აღარაფერი მემუქრება.“ ღრმად სწამდა, რომ ქრისტემ წმინდა მიწაზე გამგზავრებისკენ იმიტომ მოუწოდა, რომ ხედავდა, როგორ იტანჯებოდა ქალი მძიმე განსაცდელისგან და უნდოდა, ამიერიდან სიმშვიდეში ეცხოვრა. მაგრამ ახლა გერტრუდს ისეთი გრძნობა ჰქონდა, როგორიც ციხე-სიმაგრის ბინადარს, რომელმაც უეცრად დაინახა, როგორ ემხობა ძირს საგუშაგო კოშკი და გალავანი. მიხვდა, რა უმწეო იყო. ბოროტებისაგან არაფერი იცავდა. პირიქით, აქ უფრო დიდი უბედურება შეიძლებოდა დასტყდომოდა თავს, ვიდრე სხვაგან.

ქალმა გაბედულად მოიგერია ფიქრი, რომ რუსი გოგონას სიკვდილში ის იყო დამნაშავე, არ უნდოდა, ამ მიზეზით სინდისის ქენჯნა ეგრძნო, თუმცა ბუნდოვანი შიშიც დაეუფლა იმ საფრთხის გამო, რასაც ეს შემთხვევა უქადდა.

– ახლა ხომ მუდამ ის მედგება თვალწინ, როგორ ეჯახებიან გოგონას ცხენები, – მოთქვამდა გერტრუდი. – შვება ხომ აღარასოდეს მეღირსება.

უეცრად კითხვა დაებადა, რომლის ჩახშობასაც მყისვე შეეცადა, მაგრამ დროდადრო ისევ წამოყოფდა თავს. დაფიქრდა, რატომ გამოგზავნა ამ ქვეყანაში ქრისტემ. ამგვარი ფიქრი დიდი მკრეხელობა იყო, მაგრამ გერტრუდი თავს ვერაფერს უხერხებდა. რა ჰქონდა ქრისტეს განზრახული, როდესაც მას ამ ქვეყანაში აგზავნიდა?

– ოჰ, უფალო, – წარმოთქვა სასოწარკვეთილმა ქალმა, – მწამდა, რომ გიყვარდი და ყველაფერი საუკეთესო გსურდა ჩემთვის! უფალო, ისეთი ბედნიერი ვიყავი, როდესაც შენი მფარველობისა მჯეროდა!

კოლონიაში დაბრუნებულმა გერტრუდმა შენიშნა, რომ იქ უცნაური სიმშვიდე და სევდა გამეფებულიყო. ბიჭს, რომელმაც ჭიშკარი გაუღო, უჩვეულოდ სერიოზული სახე ჰქონდა და, როდესაც ქალი ეზოში შევიდა, თვალში ეცა, რა უხმაუროდ დადიოდნენ ყველანი ქვაფენილზე და ჩუმად საუბრობდნენ. „ჩვენს სამყოფელში სიკვდილმა დაისადგურა,“ იქამდე გაიფიქრა მან, ვიდრე ვინმეს გამოელაპარაკებოდა.

მალე გერტრუდმა შეიტყო, რომ გუნჰილდი გზაზე გარდაცვლილი იპოვეს. ცხედარი უკვე გადმოესვენებინათ და ქვემოთ, სამრეცხაოში საკაცეზე იწვა. გერტრუდმა იცოდა, რომ აღმოსავლეთში მიცვალებულებს სწრაფად აბარებდნენ მიწას, მაგრამ მაინც შეაშფოთა იმის გაგებამ, რომ დაკრძალვის სამზადისი უკვე გაჩაღებულიყო. ტიმს ჰალვურმა და იუნგ ბიორნმა კუბო დაამზადეს, ხოლო რამდენიმე ხანდაზმულმა ქალმა მიცვალებული შემოსა. მისის გორდონი ერთ-ერთი ამერიკული მისიონერული საზოგადოების მეთაურს ეწვია, რათა მისთვის გუნჰილდის ამერიკულ სასაფლაოზე დაკრძალვის ნებართვა ეთხოვა. ჰელგუმი და გაბრიელი ნიჩბებით ხელში იდგნენ გარეთ, ეზოში და მხოლოდ მისის გორდონის დაბრუნებას ელოდნენ, რომ საფლავის გასათხრელად წასულიყვნენ.

გერტრუდი სამრეცხაოში ჩავიდა. დიდხანს იდგა და გუნჰილდს მისჩერებოდა, მერე კი უეცრად აქვითინდა. ძალიან უყვარდა ის, ვინც ახლა მკვდარი ესვენა მის წინაშე, მაგრამ ვიდრე გუნჰილდს უყურებდა, მიხვდა, რომ ვერც მან, გერტრუდმა, და ვერც ვინმე სხვამ გუნჰილდს ის სიყვარული ვერ აგრძნობინეს, რასაც იმსახურებდა. ალბათ, ყველას ესმოდა, რომ გუნჰილდი პატიოსანი, კეთილი და სამართლიანი იყო, თუმცა წვრილმანების მიმართ მეტისმეტად ფაქიზი

დამოკიდებულების გამო საკუთარი და სხვების ცხოვრება ისე დაამძიმა, რომ ადამიანებს გაუუცხოვდა. ამის გაფიქრებისთანავე გერტრუდმა იგრძნო, როგორ ებრალებოდა გუნჰილდი და ცრემლები ისევ ღვარად წასკდა, მაგრამ უეცრად ტირილი შეწყვიტა და ცხედარს შიშით შეხედა. შენიშნა, რომ გუნჰილდის სახეს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც სიცოცხლეში, როდესაც რაიმე რთულ ან ჩახლართულ საქმეზე ფიქრობდა ხოლმე. უცნაური იყო, როგორ იწვა მიცვალებული წარბებს შუა ღრმა ნაოჭით და ცოტათი წინწამოშვერილი ტუჩებით და რაღაცაზე ფიქრობდა.

გერტრუდი ნელა მიუახლოვდა ცხედარს. როდესაც გუნჰილდის სახეზე ისეთი გამომეტყველება შენიშნა, თითქოს იგი რაღაცას ეკითხებოდა, დარდი განუახლდა და თავში გაუელვა, რომ გუნჰილდიც იმაზე ფიქრობდა, რისთვის გამოგზავნა იესომ ამ ქვეყანაში. თითქოს კითხულობდა, ნეტავ რისთვის ჩამოვედი აქ, თუკი სიკვდილის გარდა არაფერი მელოდაო.

როდესაც გერტრუდი ეზოში გავიდა, მისკენ ჰელგუმი გამოეშურა და სთხოვა, ორიოდე სიტყვა ეთქვა ჰეკ გაბრიელ მათსონისთვის. გერტრუდი დაბნეული მისჩერებოდა ჰელგუმს, ისე ჩაძირულიყო ფიქრებში, რომ ვერც კი გაიგო, რა უთხრეს.

– გუნჰილდი გზაზე გაბრიელმა იპოვა, – აუხსნა ჰელგუმმა. გერტრუდს მისი სიტყვები არ გაუგონია და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რატომ ჰქონდა გუნჰილდს ასეთი გამომეტყველება.

– გაბრიელისთვის საშინელება იყო, რომ გუნჰილდის გვამს ასე მოულოდნელად გადააწყდა გზაზე, – თქვა ჰელგუმმა. – შენ ხომ იცი, გერტრუდ, რომ გაბრიელს გუნჰილდი უყვარდა.

გერტრუდმა ისე მიმოიხედა გარშემო, თითქოს ახლაღა გამოფხიზლდაო. რასაკვირველია, დიდი ხანია იცოდა, რომ გაბრიელს გუნჰილდი უყვარდა და, იერუსალიმში გამომგზავრება რომ არა, დაქორწინებასაც აპირებდნენ. მერე კი ორივენი შეთანხმდნენ, რომ პალესტინაში გადმოსულიყვნენ საცხოვრებლად, თუმცა იცოდნენ, რომ გორდონელები მათ მიმდევრებს შეუღლების უფლებას არ აძლევდნენ. და აი, ახლა გაბრიელმა გუნჰილდი გზაზე გარდაცვლილი იპოვა!

გერტრუდი გაბრიელს მიუახლოვდა, რომელიც უძრავად იდგა ჭიშკართან და მისკენ ნაბიჯიც არ გადმოუდგამს. ტუჩები მოეკუმა, მზერა გაშტერებოდა, იდგა და ნიჩბით ქვებს ჩიჩქნიდა. როდესაც გერტრუდი მის წინ შეჩერდა, გაბრიელის ტუჩები ამოძრავდა, თუმცა ხმის ამოღება ვერ შეძლო.

– კარგი იქნება, თუ იტირებს, – წასჩურჩულა ჰელგუმმა გერტრუდს.

გერტრუდმა ჩუმად მოკიდა გაბრიელს ხელი ისე, როგორც ამას დაკრძალვაზე უახლოესი ნათესავები აკეთებენ. ბიჭს უსიცოცხლო და ცივი ხელი ჰქონდა.

– ჰელგუმი ამბობს, რომ ის შენ იპოვე, – თქვა ქალმა.

გაბრიელი არ განძრეულა.

– ეს შენთვის ძალიან ძნელი იქნებოდა, – განაგრძო გერტრუდმა, ვიდრე გაბრიელი გაქვავებულივით იდგა. ქალმა ამასობაში მოასწრო მისი მწუხარების გაზიარება და კარგად ხვდებოდა, რა თავზარდაცემული იყო.

– იცი, რა მგონია? გუნჰილდს მოეწონებოდა, რომ სწორედ შენ იპოვე, – განაგრძო მან.

გაბრიელს სახე დაეღმიჭა და თვალებგაფართოებული მიაჩერდა გერტრუდს.

– გგონია, მოეწონებოდა?

– ჰო, – დაუდასტურა გერტრუდმა, – მესმის, რა დღეშიც ჩავარდი, თუმცა მჯერა, მას ენდომებოდა, რომ შენ გეპოვა.

– მაშველების მოსვლამდე წამითაც არ მიმიტოვებია, – ჩუმად თქვა გაბრიელმა, – აქაც ისე გადმოვასვენე, როგორც წესი და რიგი იყო.

– ჰო, ეჭვი არ მეპარება, – მიუგო გერტრუდმა.

გაბრიელს ტუჩები აუკანკალდა და თვალებიდან ცრემლები წასკდა. ჰელგუმი და გერტრუდი ჩუმად ედგნენ გვერდით და ტირილს არ უშლიდნენ. გაბრიელი სახით კარის ჩარჩოს მიყრდნობოდა და მწარედ ქვითინებდა.

ცოტა ხანში ბიჭი დამშვიდდა, გერტრუდთან მივიდა და ხელი ჩასჭიდა.

– მადლობელი ვარ, რომ ტირილის საშუალება მომეცი, – თქვა მან. რბილი და ალერსიანი ხმა ჰქონდა, გეგონებოდათ, მამამისი, მოხუცი ჰეკ მათსი გელაპარაკებათო. – რაღაც უნდა გაჩვენო,

რის ჩვენებასაც არავისთვის ვაპირებდი, – განაგრძო გაბრიელმა, – როდესაც გუნჰილდი ვიპოვე, ხელში წერილი ეჭირა. ეს მამამისის წერილი იყო და თან წამოვიღე, მეგონა, მხოლოდ მე მქონდა მისი წაკითხვის უფლება, ახლა კი ვფიქრობ, რომ რახან მოხუცი მშობლები შენც გყავს, ეს წერილი უნდა ნახო.

გერტრუდმა წერილი გამოართვა და წაიკითხა, მერე კი გაბრიელს ახედა.

– აი, თურმე, რატომაც მომკვდარა, – თქვა მან. გაბრიელმა თავი დაუქნია.

– მეც ასე ვფიქრობ.

– იერუსალიმო, იერუსალიმო, შენ ყველას სიცოცხლეს გვართმევ! ასე მგონია, უფალმა მიგვატოვა! – შესძახა გერტრუდმა.

ამ დროს ჭიშკარში მისის გორდონი შემოვიდა, გაბრიელი და ჰელგუმი მაშინვე სასაფლაოზე გააგზავნა, გერტრუდი კი იმ პატარა ოთახში შებრუნდა, სადაც გუნჰილდთან ერთად ცხოვრობდა და მთელი საღამო გარეთ არ გამოსულა.

გოგონას ისეთი ძლიერი შიში დაეუფლა, თითქოს მოჩვენება უნდა გამოეცხადოსო. ეგონა, დღეს კიდევ რაღაც საშინელება უნდა მომხდარიყო, რაღაცის ეშინოდა, რაც ოთახის კუთხეში იმალებოდა და მის იქ შეტყუებას ცდილობდა. თან კი ეჭვები სტანჯავდა. „არ ვიცი, ქრისტემ აქ რისთვის გამოგვგზავნა,“ – ფიქრობდა გერტრუდი. „ჩვენ ხომ საკუთარი თავებისთვისაც და სხვებისთვისაც უბედურება მოგვაქვს.“

ქალმა წამით უკუაგდო ეჭვი, თუმცა მალე აღმოაჩინა, რომ ყველა იმ ადამიანის ჩამოთვლა დაეწყო, რომელიც აქ გადმოსახლების გამო ხათაბალაში გაეხვია. არადა, თითქოს იმაზე საიმედო და უეჭველი არაფერი იყო, რომ ღმერთს მათი პალესტინაში ჩამოსვლა სურდა და ნუთუ შეიძლებოდა, ამ განზრახვას მხოლოდ ტანჯვა-წამება მოჰყოლოდა?

გერტრუდმა კალამი და ქაღალდი მოძებნა, რომ მშობლებისთვის წერილი გაეგზავნა, თუმცა სიტყვის დაწერაც ვერ შეძლო.

– როგორ მივწერო, რომ დამიჯერონ? – წამოიძახა მან. – გუნჰილდივით სიკვდილის პირას თუ მივალ, იქნებ მაშინ მაინც ირწმუნონ, რომ უდანაშაულოები ვართ.

დღე მიიწურა და დაღამდა. გერტრუდი ისეთი უბედური იყო, რომ ძილი არ ეკარებოდა. თვალწინ გუნჰილდის სახე ედგა და გამუდმებით ის აზრი აწვალებდა, ნეტავ მიცვალებული რაზე ფიქრობდაო. დარწმუნებული იყო, რომ გუნჰილდსაც იგივე კითხვა აწუხებდა, რაც მას.

გამთენიისას გერტრუდი ადგა და ტანთ ჩაიცვა, რომ გარეთ გასულიყო.

გასული დღე-ღამის განმავლობაში ქალი ისე დაშორდა უფალს, რომ ვეღარ გაეგო, მისკენ გზა როგორ გაეგნო და სურვილმა აიტანა, ის ადგილი მოენახულებინა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილიყო ქრისტეს ნაკვალევი. ვერავინ უარყოფდა, რომ ერთადერთი ასეთი ადგილი ზეთისხილის მთა იყო. ეგონა, თუ იქ ავალ, ღმერთს ისევ მივუახლოვდები, მის სიყვარულს ვიგრძნობ და იმასაც მივხვდები, რა განზრახვა ჰქონდაო.

როდესაც გერტრუდი ჯერ ისევ სიბნელეში ქუჩაში გამოვიდა, ორმაგი სინანული იგრძნო. კვლავ და კვლავ იმ უბედურებასა და უსამართლობაზე ფიქრობდა, წინა დღეს რომ დაატყდა თავს, თუმცა რაც უფრო მაღლა მიიწევდა მთაზე, მოეჩვენა, რომ განსაცვიფრებელი ნათელით აივსო, მძიმე ტვირთისგანაც გათავისუფლდა და მომხდარის გააზრებასაც შეუდგა.

„ამ ყველაფერს ერთადერთი ახსნა აქვს“, ფიქრობდა ქალი. „როდესაც ასეთი უსამართლობა ხდება, სამყაროს აღსასრული უნდა დადგეს. აბა, სხვა რას მივაწეროთ, რომ სიმართლე უსამართლობად გადაიქცა, ღმერთს ძალა არ შესწევს, ბოროტებას ხელი შეუშალოს, წმინდანები იდევნებიან და სიცრუეს არავინ უარყოფს?“

გერტრუდი შეჩერდა და ჩაფიქრდა. ჰო, სწორედ ასე იყო, უფლის მეორედ მოსვლა ახლოვდებოდა და იგი მალე იხილავდა ზეციდან ქრისტეს დაშვებას. მართლაც ასე რომ მომხდარიყო, გასაგები გახდებოდა, რატომ იხმეს ისინი იერუსალიმში. უფლის წყალობით გერტრუდი და მისი მეგობრები აქ იესოსთან შესახვედრად წარმოგზავნეს. ქალმა განცვიფრებისა და აღტაცებისაგან ტაში შემოჰკრა და სწრაფად განაგრძო გზა, ვიდრე იმ მწვერვალს არ მიაღწია, საიდანაც იესო ზეცად ამაღლდა. მართალია, ამ ადგილზე ზღუდე იყო და შესვლა ვერ შეძლო, მაგრამ იქვე დადგა და ცას აჰყურებდა, რომელსაც სწრაფად ემატებოდა დღის ნათელი.

„ვინ იცის, იქნებ სწორედ დღეს მოვიდეს,“ გაიფიქრა მან, ხელი ხელს გადააჭდო და ღრუბლის ქულებით დაფარულ დილის ზეცას ახედა. ღრუბლებს ვარდისფერი შეეპარა და მათი ანარეკლი

გერტრუდს სახეზე დაეფინა.

– ის მოდის, – თქვა მან, – ეს სიმართლეა, ის მოდის.

ქალი ისე დაჟინებით მისჩერებოდა განთიადის ცას, თითქოს პირველად ხედავსო და ეჩვენებოდა, რომ მის სიღრმეში იცქირებოდა. აღმოსავლეთით დიდი თაღი დაინახა მაღალი, ფართო კარიბჭით და ახლა მხოლოდ იმას ელოდა, როდის განიხვნებოდა კარიბჭე, რათა იქიდან ქრისტე და მისი თანმხლები ანგელოზები შემოსულიყვნენ.

მალე აღმოსავლეთის კარიბჭე მართლაც გაიხსნა და ცაზე მზე აკაშკაშდა. გერტრუდი უძრავად იდგა, ვიდრე მზის სხივები იერუსალიმის დასავლეთით, მთის კალთებს არ მოეფინა, სადაც ბორცვები ზღვის ტალღებივით გადადიოდა ერთმანეთზე. ქალი იქამდე ელოდა, სანამ მზემ უფლის საფლავის ეკლესიის გუმბათზე აღმართული ჯვარი არ ააელვარა.

გერტრუდს თითქოს ჩაესმა, რომ ქრისტე მზის ამოსვლისას, განთიადის ფრთებზე გამოეცხადებოდა. მიხვდა, რომ ეს დღეს აღარ მოხდებოდა, თუმცა ამას არ შეუშფოთებია.

– არა უშავს, ხვალ მოვა, – დარწმუნებით წარმოთქვა მან, დაღმართზე დაეშვა და ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებული გაეშურა კოლონიისაკენ. გერტრუდს სიხარული არავისთვის გაუზიარებია. მთელ დღეს ჩვეულებრივად შრომობდა და უმნიშვნელო თემებზე საუბრობდა.

მეორე დღეს, სისხამ დილით გერტრუდი კვლავ ზეთისხილის მთაზე იდგა.

მას შემდეგ ქალი ყოველ დილით აქ მოდიოდა, რადგან სურდა, პირველს ეხილა განთიადისას ქრისტეს გარდამოსვლა.

გერტრუდის ხეტიალმა მალე კოლონიის ყურადღება მიიპყრო და სთხოვეს, შინ დარჩენილიყო. კოლინისტებმა აუხსნეს გოგოს, რა ზიანს მიაყენებდა მათ სახელს ის, რომ ხალხი ყოველდღე ხედავდა ზეთისხილის მთაზე მუხლმოდრეკილ გერტრუდს, რომელიც ქრისტეს მეორედ მოსვლას ელოდა. ასე თუ გააგრძელებდა, მათზე იმასაც იტყოდნენ, შეშლილები არიანო.

გერტრუდი შეეცადა, კოლონისტებს დამორჩილებოდა და შინ დარჩენილიყო, მაგრამ უთენია გამოეღვიძა და მისთვის ცხადი გახდა, რომ იესო სწორედ დღეს მოვიდოდა. ვერავითარი ძალა ვერ აღუდგებოდა წინ, რომ გარეთ არ გავარდნილიყო თავისი მეუფისა და მხსნელის შესახვედრად.

ეს მოლოდინი მისი არსების ნაწილი გახდა. ვერც წინააღმდეგობას გაუწევდა და ვერც მისგან გათავისუფლდებოდა. სხვა მხრივ გერტრუდი არ შეცვლილა, თავშიც ყველაფერი რიგზე ჰქონდა, ერთი ის იყო, რომ უწინდელზე უფრო ხალისიანი და დამთმობი გახდა.

ცოტა ხანში გერტრუდის დილაობით ხეტიალს ყველა ისე მიეჩვია, რომ ყურადღებასაც აღარ აქცევდნენ, თუმცა გარეთ გასვლისას ქალი მუქ ლანდს ხედავდა ხოლმე, რომელიც ჭიშკართან ელოდებოდა, ხოლო მთის კალთებზე ასვლისას რკინით დაჭედილი ლანჩების ხმა ესმოდა. გერტრუდი არასოდეს გამოლაპარაკებია ლანდს, მაგრამ როდესაც ზურგს უკან მძიმე ნაბიჯების ხმას გაიგონებდა, თავს უშიშრად გრძნობდა.

ზოგჯერ, როდესაც გერტრუდი მთიდან ეშვებოდა, გაბრიელს გადააწყდებოდა, რომელიც კედელს მიყრდნობილი ელოდა და კოლონიისკენ ერთად მიუყვებოდნენ გზას. ქალს რასაკვირველია ესმოდა, რომ გაბრიელი მას მხოლოდ იმიტომ ელოდა, რათა გუნჰილდზე ესაუბრათ და უხაროდა, რომ შეეძლო მისთვის ეს სიამოვნება მიენიჭებინა. რაც მეტს ესაუბრებოდა გაბრიელს, მით უფრო ხვდებოდა, რა გულკეთილი და კარგი ადამიანი იყო და მალე გერტრუდი კაცს თავის ოცნებებსა და იმედებსაც უზიარებდა. გაბრიელი არ ეთანხმებოდა და ცდილობდა, გონს მოეყვანა, მაგრამ ამას ფრთხილად აკეთებდა, რომ ქალი არ დაეფრთხო.

6. ბარამ ფაშა

გორდონელებს ძალიან უხაროდათ, რომ დამასკოს კარიბჭესთან ასეთი მშვენიერი სახლის დაქირავება შეძლეს. სახლის სახურავზე განლაგებული ტერასები და ღია კოლონადები ზაფხულის პაპანაქებაში შესანიშნავი თავშესაფარი იყო. როგორ არ უნდა ეფიქრათ, რომ ასეთი სახლის შოვნა უფლის წყალობა იყო. კოლონისტები ხშირად ამბობდნენ, არ ვიცით, როგორ უნდა შეგვენარჩუნებინა კოლონიის ერთობა და წესრიგი, ამხელა სახლი რომ არ დაგვექირავებინა, სადაც სამრევლო დარბაზიც არის, სასადილოც და სამუშაო ოთახებიცო.

სახლი ბარამ ფაშას საკუთრება იყო, რომელიც იმ დროს იერუსალიმის მმართველი გახლდათ. ეს უზარმაზარი სახლი სამიოდე წლის წინ ააგო თავისი ცოლისათვის, რომელიც ამქვეყნად ყველაზე

მეტად უყვარდა. ბარამ ფაშამ იცოდა, რომ ცოლს იმაზე დიდ სიხარულს ვერაფერი მიანიჭებდა, ვიდრე ისეთი სახლი, სადაც მას შეეძლო მთელ თავის დიდ ოჯახთან – ვაჟიშვილებთან და რძლებთან, ქალიშვილებთან და სიძეებთან, შვილიშვილებთან და მოსამსახურეებთან ერთად ეცხოვრა. მაგრამ როდესაც სახლი ააშენეს და ბარამ ფაშა იქ ოჯახთან ერთად გადავიდა, თავს უბედურება დაატყდა. გადასვლიდან ერთ კვირაში მისი ერთ-ერთი ქალიშვილი გარდაიცვალა, მომდევნო კვირას – მეორე, მესამე კვირას კი საყვარელი მეუღლეც გამოეცალა ხელიდან. ბარამ ფაშა ღრმა მწუხარებამ შეიპყრო, მყისვე მიატოვა ახალი სასახლე, კარი დაგმანა და დაიფიცა, რომ ამ სახლის ზღურბლს აღარასოდეს გადააბიჯებდა.

მას შემდეგ სასახლე დაცარიელებული იდგა, ვიდრე ერთ გაზაფხულზე ბარამ ფაშას გორდონელები არ ეწვივნენ და სახლის მიქირავება არ სთხოვეს. მათდა გასაოცრად, კაცი დათანხმდა. არავინ ელოდა, რომ ბარამ ფაშა ოდესმე ვინმეს ამ კედლებში ცხოვრების უფლებას მისცემდა.

როდესაც გორდონელებზე საშინელი ჭორები გავრცელდა, ამერიკელმა მისიონერებმა მოითათბირეს, თანამემამულეები იძულებულები როგორ გაეხადათ, რომ იერუსალიმი დაეტოვებინათ. გადაწყვიტეს, ბარამ ფაშასთან მისულიყვნენ და მოქირავნეებზე დალაპარაკებოდნენ. ყველანაირი საძაგლობა მოუთხრეს, რაც მათზე გაეგონათ და ჰკითხეს, როგორ მისცა ასეთ საზიზღარ ხალხს თავისი ცოლისთვის აშენებულ სახლში ცხოვრების უფლება.

მაისის მშვენიერი დილა იყო, რვა საათი იქნებოდა.

მძიმე ღამე, რომელსაც ქალაქი წყვდიადის ტყვეობაში ჰყავდა მოქცეული, უკვე გასულიყო და იერუსალიმი თავის ყოველდღიურ სახეს იბრუნებდა. დამასკოს კარიბჭესთან მათხოვრებმა თანდათანობით თავიანთი ადგილები დაიკავეს, ქუჩის ძაღლებმა კი, რომლებიც მთელი ღამე ქალაქში დაძრწოდნენ, დასასვენებლად ბუნაგებს და ნაგვის გროვებს მიაშურეს. ზედ კარიბჭესთან წინა საღამოს დაბანაკებული პატარა ქარავანი ახლა წასასვლელად ემზადებოდა. გამყოლები ტომრებს კიდებდნენ მწოლიარე აქლემებს, რომლებიც ზურგზე მძიმე ტვირთს რომ გრძნობდნენ, ბღაოდნენ. შარაგზაზე სოფლელები გამოჩნდნენ, რომლებიც ბოსტნეულით სავსე დიდი კალათებით ქალაქისკენ მიიჩქაროდნენ. მთებიდან მწყემსები ეშვებოდნენ და ღირსეული გამომეტყველებით შედიოდნენ თაღში, უკან კი დასაკლავად გამზადებული ცხვრის ფარები და მოსაწველი თხის არვეები მოსდევდათ.

სწორედ ამ დილის აურზაურის დროს კარიბჭესთან ლამაზ, თეთრ ვირზე ამხედრებული მოხუცი გამოჩნდა. ძვირფასი სამოსი ეცვა – რბილ, ზოლიან აბრეშუმის ტანსაცმელზე ცისფერი ფარჩის, ბეწვით გაწყობილი გრძელი მოსასხამი მოესხა; ქუდიც და სარტყელიც მდიდრული ოქრომკედით იყო დამშვენებული. ეტყობოდა, ადრე ლამაზი და წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო, თუმცა სიბერეს დაღი დაესვა, თვალები გაწყალებული ჰქონდა, პირი – ჩავარდნილი, დიდი, თეთრი წვერი კი მოყვითალო ფთილებად ჩამოჰკიდებოდა.

კარიბჭესთან შეგროვილი ხალხი გაოცებით ეკითხებოდა ერთმანეთს:

– რატომ გამოდის ბარამ ფაშა დამასკოს კარიბჭედან იმ გზაზე, სადაც სამი წელია არ გაუვლია?

სხვები კი სხვა რამეს კითხულობდნენ:

– ნუთუ ბარამ ფაშა თავისი სახლის მოსანახულებლად მიდის, აკი დაიფიცა, იქ ფეხს აღარასოდეს დავადგამო?

ვიდრე ბარამ ფაშა კარიბჭესთან შეკრებილებს შორის გზას გაიკვლევდა, თავის თანმხლებს, მსახურ მაჰმუდს, უთხრა:

– გაიგონე, მაჰმუდ, ყველა გაკვირვებით ეკითხება ერთმანეთს, ნეტავ რა მოხდა? ნუთუ ბარამ ფაშა თავის სახლში მიდის, სადაც სამი წელია, აღარ ყოფილაო.

მსახურმაც დაუდასტურა, რომ მანაც მოჰკრა ყური, როგორ გამოხატავდა ხალხი განცვიფრებას.

მაშინ აღშფოთებულმა ბარამ ფაშამ განაცხადა:

– ხომ არ ჰგონიათ, ისე დავბერდი, რომ რასაც უნდათ, იმას იზამენ? ან იქნებ ჰგონიათ, რომ გადამთიელების უზნეო პარპაშს ავიტან იმ სახლში, რომელიც ჩემი ცოლისთვის – ღირსეული და პატიოსანი ქალისთვის – ავაშენე?

მსახური შეეცადა, ბარამ ფაშა დაემშვიდებინა და უთხრა:

– ბატონო, ნუ გავიწყდებათ, რომ პირველი შემთხვევა არ არის, როცა ვიგებთ, რომ ქრისტიანები ერთმანეთს ცილს სწამებენ.

განრისხებულმა ბარამ ფაშამ ხელები აღმართა და წამოიძახა:

– იმ ოთახებში, სადაც ჩემთვის საყვარელი ადამიანი გარდაიცვალა, ფლეიტისტებს და მოცეკვავეებს შეუფარებიათ თავი! დაღამებამდე ეს ბოროტმოქმედები ჩემს სახლს დატოვებენ.

როგორც კი ბარამ ფაშამ ეს სიტყვები წარმოთქვა, სკოლის მოსწავლეების პატარა ჯგუფს გადაეყარა, რომლებიც ორმწკრივად მოაბიჯებდნენ გზაზე. მოხუცმა შენიშნა, როგორ განსხვავდებოდნენ ეს ბავშვები იმათგან, იერუსალიმის ქუჩებს რომ იყვნენ მოდებულნი: სუფთად იყვნენ დაბანილები, რიგიანი ტანსაცმელი და გამძლე ფეხსაცმელები ეცვათ, თანაც ღია ფერის და კარგად დავარცხნილი თმა ჰქონდათ.

ბარამ ფაშას ვირი არ გაუჩერებია, ისე უბრძანა თავის მსახურს:

– მიდი და ჰკითხე, ვინ არიან!

– კითხვა არ მჭირდება, – მიუგო მსახურმა, – ამათ ყოველდღე ვხედავ. გორდონელების ბავშვები არიან და სკოლაში მიდიან, რომელიც ამ ხალხმა ქალაქში, გალავანთან მდებარე სახლში გახსნა, სადაც თქვენი დიდი სახლის დაქირავებამდე ცხოვრობდნენ.

ფაშა უძრავად იდგა და ბავშვებს გაჰყურებდა. ამ დროს მას ორი გორდონელი მიუახლოვდა. კაცები ურიკას მოათრევდნენ, სადაც ის პატარა მოსწავლეები ისხდნენ, რომელთაც თავად არ შეეძლოთ ქალაქში სიარული. ფაშამ დაინახა, რომ პატარები სიხარულით უკრავდნენ ტაშს, რადგან ურიკით მგზავრობა მოუწიათ, ისინი კი, რომელთაც ბავშვები მიჰყავდათ, იცინოდნენ და მათ გასახალისებლად სწრაფად გარბოდნენ.

მაშინ მსახურმა მხნეობა მოიკრიბა და ფაშას ჰკითხა:

– ბატონო, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ამ ბავშვებს კარგი მშობლები უნდა ჰყავდეთ?

მაგრამ ბარამ ფაშა მოხუცი იყო და, როგორც მოხუცებს სჩვევიათ, უკან დახევა არ უნდოდა.

– მათ შესახებ ბევრ რამეს ლაპარაკობენ, ჰოდა, დაღამებამდე დავატოვებინებ სახლს, – უპასუხა მან.

როდესაც ბარამ ფაშამ კიდევ ცოტა გზა გაიარა, ქალაქისაკენ მიმავალი, ევროპულად ჩაცმული ქალების გუნდი შემოხვდა. ისინი ძალზე ჩუმად და მოკრძალებულად მიაბიჯებდნენ, გაცვეთილი ტანსაცმელი ემოსათ, ხელში კი მძიმე, სავსე კალათები ეჭირათ.

ფაშა მსახურს მიუბრუნდა და უბრძანა:

– წადი და ჰკითხე, საიდან არიან!

მსახურმა კი მიუგო:

– საჭირო არ არის, ბატონო, რადგან მათ ყოველდღე ვხედავ. ეს გორდონელი ქალები არიან, რომელთაც იერუსალიმში საჭმელი და წამლები მიაქვთ იმ სნეულებისთვის, რომლებსაც ავადმყოფობის გამო კოლონიაში მისვლა არ შეუძლიათ.

ბარამ ფაშამ უპასუხა:

– რაც არ უნდა ანგელოზებად მომაჩვენონ თავი, მაინც გავყრი სახლიდან.

და გზა განაგრძო. სახლს რომ მიუახლოვდა, იქიდან რაღაც ხმები მოესმა, რასაც შიგადაშიგ წამოყვირებაც ერთვოდა.

– გესმის, ჩემს სახლში დამკვრელები და მოცეკვავეები რა დღეში არიან? – მიმართა ფაშამ მსახურს, მაგრამ როდესაც კუთხეში შეუხვია, უამრავი სნეული და დაჭრილი დაინახა, რომლებიც ფეხმორთხმულები ისხდნენ სახლის პარმაღთან. ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ გასაჭირს, ზოგ მათგანს კი კვნესა აღმოხდებოდა ხოლმე.

მაჰმუდმა ისევ მოიკრიბა მხნეობა და თქვა:

– აი, ის დამკვრელები და მოცეკვავეები, რომლებიც თქვენს სახლში ჟრიამულობდნენ. ყოველ დილით აქ მოდიან გორდონელების ექიმთან გასასინჯად და მათ მედდებთან გადახვევებზე.

ბარამ ფაშამ უპასუხა:

– ვხედავ, ამ გორდონელებს მოუჯადოვებიხარ, მაგრამ მეტისმეტად მოხუცი ვარ იმისათვის, რომ მათი ტყუილები დავიჯერო. გეუბნები, ძალაუფლება რომ მქონდეს, მაგათ ყველას ჩემი სახლის ჭერზე ჩამოვახრჩობდი.

და კიდევ უფრო განრისხებული ბარამ ფაშა ვირიდან ჩამოხდა და კიბეს აუყვა.

როდესაც მოხუცი ეზოში შევიდა, მაღალი, ზვიადი გამომეტყველების ქალი შემოეგება. თმა სულ გათეთრებოდა, თუმცა ორმოც წელზე მეტის არ იქნებოდა. სახე შთამაგონებელი და ჭკვიანური ჰქონდა და, თუმცა მხოლოდ უბრალო, შავი კაბა ეცვა, ჩანდა, რომ მრავალი ადამიანის მბრძანებლობას იყო მიჩვეული.

ბარამ ფაშა მაჰმუდს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– ეტყობა, ეს ქალი ისეთივე კეთილი და ჭკვიანია, როგორიც წინასწარმეტყველის ცოლი, კადიშა. ამ სახლში რას აკეთებს?

მაჰმუდმა კი, მისმა მსახურმა, მიუგო:

– ეს მისის გორდონია, ქმრის გარდაცვალების შემდეგ, ერთი წელია კოლონიას მართავს.

მოხუცი ისევ მოიღუშა და მაჰმუდს მკაცრად უბრძანა:

– წადი და უთხარი, რომ ამ სახლიდან მისი და მისი ხალხის გაყრას ვაპირებ.

მსახურმა კი შეჰბედა:

– ნუთუ თქვენ, სამართლიანი ბარამ ფაშა, ამ ქრისტიანებს მხოლოდ იმიტომ გაყრით ქუჩაში, რომ მათი თანამოძმეების ჭორაობას აჰყევით? უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, ბატონო, ამ ქალისთვის გეთქვათ, აქ ჩემი სახლის მოსანახულებლად მოვედიო და, თუკი დარწმუნდებით, რომ სახლის ბინადარნი ისე ცხოვრობენ, როგორც მისიონერებმა აგიწერეს, მაშინ გეთქვათ მისთვის: „დატოვეთ ეს სახლი, რადგან აქ, სადაც ჩემთვის საყვარელი ადამიანი გარდაიცვალა, უზნეობის ადგილი არ არის.“

ბარამ ფაშამ უპასუხა:

– უთხარი, რომ ჩემი სახლის მონახულება მინდა!

მაჰმუდმა ეს სიტყვები მისის გორდონს გადასცა, მან კი მიუგო:

– გვიხარია, რომ შეგვიძლია ბარამ ფაშას ვაჩვენოთ, როგორ ვცხოვრობთ მის სასახლეში.

მერე მისის გორდონმა მის იანგის მოყვანა ბრძანა, რომელიც იერუსალიმში ჩამოსვლის დღიდან აღმოსავლურ ენებს სწავლობდა და არაბული მშობლიურ ენასავით იცოდა, და სთხოვა, ბარამ ფაშასთვის მეგზურობა გაეწია.

ფაშამ თავის მსახურს, მაჰმუდს, ხელი ჩაჰკიდა და სახლის დათვალიერებას შეუდგა. ვინაიდან მას მთელი სახლის ნახვა სურდა, მის იანგმა თავდაპირველად სარდაფში ჩაიყვანა, სადაც სამრეცხაო იყო მოწყობილი და ამაყად აჩვენა ახლადგარეცხილი ტანსაცმლის დიდი გროვები, საუცხოო ვარცლები და ქვაბები, ასევე სარეცხის ტაშტებთან და საუთოო დაფებთან გულმოდგინედ მოფუსფუსე მრეცხავები.

სამრეცხაოს გვერდით საცხობი იყო და მის იანგმა ბარამ ფაშას მიმართა:

– შეხედეთ, ჩვენმა ძმებმა რა შესანიშნავი ღუმელი გააკეთეს! ნახეთ, რა კარგ პურს ვაცხობთ!

საცხობიდან ქალმა სტუმარი სადურგლო სახელოსნოში წაიყვანა, სადაც ორი მხცოვანი კაცი მუშაობდა. მის იანგმა ბარამ ფაშას უჩვენა რამდენიმე უბრალო სკამი და მაგიდა, რომლებიც კოლონიაში დაემზადებინათ.

– ოჰ, მაჰმუდ, ეს ხალხი ჩემს გაცურებას აპირებს, – თურქულად წარმოთქვა მოხუცმა ფაშამ, იფიქრა, მის იანგი ვერაფერს გაიგებსო. – საშიშროება იგრძნეს და ჩემი მოსვლის შესახებაც შეიტყვეს. მეგონა, აქაურებს ღვინის სმაში და კამათლების გორებაში გართულებს წავაწყდებოდი და რას ვხედავ – ყველა მუშაობაშია ჩაფლული.

ბარამ ფაშამ სამზარეულო და სამკერვალოც შემოიარა და ერთ ოთახს მიადგა, რომლის კარიც საზეიმოდ გაუღეს. ეს საფეიქრო იყო, სადაც დაზგები ჩაემწკრივებინათ და მრთველები და მატყლის მჩეჩავები გამალებით მუშაობდნენ.

მაშინ ბარამ ფაშას მსახურმა გამბედაობა მოიკრიბა და ბატონს სთხოვა, მტკიცე და გამძლე ქსოვილი ხელით მოესინჯა.

– ბატონო, – თქვა მან, – ეს არც მოცეკვავეების მსუბუქი კაბების ქსოვილია და არც გარყვნილი ქალების ჰაეროვანი სამოსისა.

მაგრამ ბარამ ფაშა დუმდა და გზას განაგრძობდა.

ყველგან, სადაც კი ის შედიოდა, პატიოსან და ჭკვიანურ სახეებს აწყდებოდა. ყველანი ჩუმად ისხდნენ და საქმეში იყვნენ გართულნი, მაგრამ სტუმრის ოთახში შესვლისთანავე კეთილგანწყობის ნიშნად ფეხზე დგებოდნენ.

– მე ვეუბნები, რომ თქვენ სწორედ ის კეთილი მმართველი ხართ, რომელმაც ნება მოგვცა, ეს შესანიშნავი სახლი დაგვექირავებინა და მთხოვეს, მადლობა გადამეხადა თქვენთვის, რომ ასე კარგად მოგვექეცით.

ბარამ ფაშას სახეს პირქუში და კერპი გამომეტყველება არ შორდებოდა და მის იანგისთვის ხმა არ გაუცია. ქალს შიში მოერია და თავისთვის გაიფიქრა: „რატომ არ მცემს ხმას? ნუთუ ჩვენ წინააღმდეგ რაღაც ჩაიფიქრა?“

იგი ფაშას გრძელ, ვიწრო სასადილო ოთახში შეუძღვა, სადაც საუზმის შემდეგ მაგიდებიდან სუფრები აეკეცათ და ფაიფურის ჭურჭელს რეცხავდნენ. მან მკაცრი წესრიგისა და საოცარი სისადავის გარდა აქაც ვერაფერი შენიშნა, მისმა მსახურმა, მაჰმუდმა კი ერთხელაც მოიკრიბა გამბედაობა და პატრონს მიმართა:

– ბატონო, ნუთუ გჯერათ, რომ ამ ადამიანებს, რომლებიც პურსაც თავად აცხობენ და ტანსაცმელსაც თვითონ იკერავენ, ღამღამობით შეუძლიათ ფლეიტის დამკვრელებად და მოცეკვავეებად გადაიქცნენ?

ბარამ ფაშამ ვერაფერი უპასუხა და ჯიუტად განაგრძო ოთახიდან ოთახში ხეტიალი: უცოლო კაცების დიდი საძინებელი მოინახულა, სადაც წესიერად დალაგებული უბრალო საწოლები იდგა, სხვადასხვა ოჯახების საცხოვრებლებში შევიდა, სადაც მშობლები და შვილები ერთად ცხოვრობდნენ და ყველგან მოხეხილ იატაკებს, საწოლების ქათქათა გადასაფარებლებს, ღია ფერის, ხის კოხტა ავეჯს, შინნაქსოვ იატაკის საფენებს და ბამბის უჯრულა პლედებს ხედავდა.

ეტყობა, ნანახმა ბარამ ფაშა კიდევ უფრო გააბრაზა და მაჰმუდს უთხრა:

– ეს ქრისტიანები ჩემს გაცურებას ცდილობენ. მშვენივრად იციან, როგორ შენიღბონ თავიანთი ცოდვილი ცხოვრება. მეგონა, იატაკი ხილის ნაფცქვენებით და თამბაქოს ფერფლით იქნებოდა მოფენილი, ხოლო ქალებს ჭორაობაში გართულებს წავაწყდებოდი, ვიდრე ისინი ნარგილეს ეწეოდნენ და ფრჩხილებს იღებავდნენ.

სულ ბოლოს იგი თვალისმომჭრელად ქათქათა მარმარილოს კიბით ზევით, სამრევლო დარბაზში ავიდა. აქ ადრე ფაშას დიდი მისაღები დარბაზი იყო, ახლა კი ამერიკულ ყაიდაზე იყო მოწყობილი მაგიდების გარშემო მოხერხებული სკამებით, წიგნებით და ჟურნალებით, ფორტეპიანოთი და ორღანით და ღია ფერის კედლებზე დაკიდებული ფოტოსურათებით.

აქ მათ ისევ მისის გორდონი შეეგება, ბარამ ფაშამ კი თავის მსახურს მიმართა:

– უთხარი, რომ მან და მისმა მიმდევრებმა ეს სახლი საღამომდე უნდა დატოვონ.

მაგრამ მაჰმუდმა, ბარამ ფაშას მსახურმა, პატრონს მიუგო:

– ბატონო, აქაური ქალებიდან ერთ-ერთს თქვენი ენა ესმის. თავად ამცნეთ თქვენი სურვილი.

მაშინ ბარამ ფაშამ მის იანგს შეხედა, მან კი მოხუცის მზერას სათნო ღიმილი შეაგება. ბარამ ფაშამ ქალს ზურგი აქცია და მსახურს მიმართა:

– არასოდეს მინახავს სახე, რომლისთვისაც ყოვლადძლიერს უფრო მეტი სილამაზე და სიწმინდე მიემადლებინოს. ვერ გავბედავ, ვუთხრა, რომ ყური მოვკარი, თითქოს მისი ხალხი ცოდვასა და გარყვნილებაში ცხოვრობს.

ბარამ ფაშა სკამზე დაეშვა და სახე ხელებში ჩამალა, თან ცდილობდა, გარკვეულიყო, რომელი იყო სიმართლე – ის, რაც მან გაიგო თუ ის, რაც ნახა.

ამ დროს კარი ნელა გაიღო და ოთახში მოხუცი, ღატაკი ყარიბი შემოვიდა. გაცვეთილი, ნაცრისფერი მანტია ემოსა, ფეხებზე კი ძონძები შემოეხვია. თავზე ჭუჭყიანი ჩალმა ეხურა, რომლის მწვანე ფერიც იმაზე მიუთითებდა, რომ კაცი მუჰამედის შთამომავალი იყო.

მოხუცს ფაშასთვის ზედაც არ შეუხედავს, ისე გადაჭრა ოთახი და ერთ-ერთ სკამზე, სხვებისგან ცოტა მოშორებით ჩამოჯდა. მისთვის არავის უკითხავს, აქ რა გესაქმებაო.

– ვინ არის ეს კაცი და რა უნდა? – იკითხა ბარამ ფაშამ და მის იანგს მიუბრუნდა.

– ამ მოხუცს არ ვიცნობთ, – უპასუხა მის იანგმა, – უწინ აქ არასოდეს ყოფილა. ნუ გაგვიცხავთ

იმისათვის, რომ აქ შემოვუშვით. ჩვენი სახლი ყველასთვის ღიაა, ვინც აქ თავშესაფარს ეძებს.

– მაჰმუდ, – მიმართა ფაშამ მსახურს, – წადი და ჰკითხე იმ ყარიბს, რომელიც წინასწარმეტყველის შთამომავალია, რას აკეთებს აქ, ქრისტიანებთან!

მაჰმუდმა დავალება შეასრულა და ფაშასთან დაბრუნდა.

– მან მიპასუხა, რომ აქ არაფერი დარჩენია, მაგრამ არ უნდოდა ამ სახლის გვერდით ჩაევლო და არ შემოსულიყო, რადგან წერილ არს: „ნუ ჩააგდებთ ცოდვაში თქვენს ფეხებს და ნუ ჩაუვლით გვერდით სიმართლის სამყოფელს!“

ბარამ ფაშა დიდხანს იჯდა ჩუმად.

– ეტყობა, არასწორად გაიგე, – უთხრა მან მაჰმუდს. – ერთხელაც ჰკითხე, რას აკეთებს ამ სახლში!

მაჰმუდი წავიდა და, როცა დაბრუნდა, სიტყვასიტყვით გაიმეორა უწინდელი პასუხი.

– მაშ, მოდი, ღმერთს მადლობა შევწიროთ, ჩემო მეგობარო მაჰმუდ! –თქვა ბარამ ფაშამ. – მან ეს კაცი ჩვენი გონების გასანათებლად გამოგზავნა. აქ შემოსვლის ნებაც იმიტომ მისცა, რომ ჩემს თვალებს ჭეშმარიტება ეხილათ. ახლა შეგვიძლია შინ დავბრუნდეთ, ჩემო მეგობარო მაჰმუდ, ამ ქრისტიანების მათი სახლიდან გაყრას კი აღარ ვაპირებ.

ბარამ ფაშამ მალე კოლონია დატოვა, თუმცა ერთ საათში მაჰმუდი ისევ დაბრუნდა, თან ფაშას ლამაზი, თეთრი ვირი მოჰყავდა. ვირი კოლონისტებს დაუტოვა ბარამ ფაშას დანაბარებთან ერთად – მას სურდა, რომ მის ვირს დილაობით პატარები სკოლაში ეტარებინა.

7. გეენაში

იერუსალიმის გალავანთან, სიონის სამხრეთ კიდეზე ამერიკული მისიონერული საზოგადოების სასაფლაო იყო, სადაც გორდონის კოლონისტებს უფლება ჰქონდათ, თავიანთი მიცვალებულები დაეკრძალათ. მათი რიცხვი უკვე საკმაოდ დიდი იყო, პატარა ჟაკ გარნიეთი დაწყებული, რომელიც ხომალდ „უნივერსზე“ იუნგად მსახურობდა და გორდონელები პირველმა დატოვა, თავად ედვარდ გორდონით დამთავრებული, რომელიც გასულ წელს, ამერიკიდან ახლად ჩამოსული, ციებ-ცხელებისგან გარდაიცვალა.

სასაფლაო ძალზე სადა და უბრალო იყო. მიწის ოთხკუთხა ნაკვეთი ციხე-სიმაგრის გალავანივით მაღალი და ფართო კედლით იყო გარშემორტყმული. აქ არც ხეები იზრდებოდა და არც ბალახი ხარობდა, ნაკვეთი მხოლოდ ქვებისა და ნაგვისაგან გაეწმინდათ და მიწა მოესუფთავებინათ. საფლავის ბორცვებზე კირქვის ბრტყელი დაფები იყო აღმართული, როგორებიც ხშირად შეგხვდებოდა იერუსალიმში, ზოგ საფლავთან კი მწვანე დივნები და სკამები იდგა.

ქვემოთ, აღმოსავლეთ კუთხეში, საიდანაც გალავანი რომ არა, მკვდარი ზღვისა და ოქროსფრად მოელვარე მოაბის მთის შესანიშნავი ხედი გადაიშლებოდა, შვედების საფლავები იყო. აქ უკვე იმდენი შვედი განისვენებდა, თითქოს უფალმა მათ მხოლოდ საკუთარი სახლების მიტოვებისკენ მოუწოდა და ჩათვალა, რომ მის სამფლობელოში მოსახვედრად სხვა აღარაფრის გაკეთება არ მოეთხოვებოდათ. აქ განისვენებდა ბირგერ ლარშონი, მჭედელი, იუნგ ბიორნის პატარა ვაჟი, ერიკი, ნაფიცი მსაჯულის ქალიშვილი გუნჰილდი და ბრიტა ინგმარშდოთერი, რომელიც გუნჰილდის გარდაცვალებიდან სულ მალე წითელამ იმსხვერპლა. აქვე იყვნენ დაკრძალული პერ გუნარშონი და მერტა ესკილსდოთერი, რომლებიც ჯერ კიდევ ამერიკაში ჰელგუმის სამრევლოს წევრები იყვნენ. სიკვდილი კოლონიის ისეთი ხშირი სტუმარი იყო, რომ კოლონისტები თავს უხერხულადაც კი გრძნობდნენ, სასაფლაოს ისედაც მცირე ფართობზე ამხელა ადგილს რომ იკავებდნენ.

სასაფლაოზე ტიმს ჰალვურ ჰალვურშონის ოჯახის წევრიც განისვენებდა – მისი ყველაზე უმცროსი ქალიშვილი, რომელიც მხოლოდ სამი წლისა გახლდათ. მამას იგი გამორჩეულად უყვარდა, რადგან შვილებიდან ყველაზე მეტად ის ჰგავდა. კაცს არასოდეს უგრძვნია ის, რასაც გოგონას მიმართ გრძნობდა და ახლა, როდესაც ცოცხალი აღარ იყო, ვერაფრით ივიწყებდა, რაც არ უნდა ეკეთებინა, ფიქრებით მაინც გარდაცვლილ შვილს დასტრიალებდა.

ბავშვი რომ დალარნაში მომკვდარიყო და სოფლის სასაფლაოზე დაეკრძალათ, ალბათ, მამამისს ასე არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ახლა სულ იმაზე ფიქრობდა, რომ მისი გოგონა მარტოდ გრძნობდა თავს ამ საშინელ სამარეში. ღამღამობით ჰალვური ხშირად ხედავდა ხოლმე შვილს, რომელიც თავის საფლავის ქვაზე იჯდა, ტიროდა, სიცივისაგან კანკალებდა და ჩიოდა, რომ სიბნელის და უცხო გარემოსი ეშინოდა, რომელიც გარს ერტყა.

ერთ დილას ჰალვური იოსაფატის ხეობაში ჩავიდა და შვილის საფლავზე მისატანად ულამაზესი წითელი ყაყაჩოები დაკრიფა. როცა ამწვანებული ხეობის სიღრმეში შევიდა, წარმოთქვა:

– ოჰ, ნეტავ ჩემი გოგონაც აქ მყავდეს, ამ აყვავებულ მდელოზე, ღია ცის ქვეშ, სადაც ის საზარელი კედელი მაინც არ იქნებოდა!

მას ყოველთვის სძულდა სასაფლაოს მაღალი გალავანი. ყოველთვის, როცა გარდაცვლილ შვილზე ფიქრობდა, ეგონა, საბრალო ბავშვი ბნელ და ცივ სახლში ჩავკეტე და იქ უმეთვალყუროდ დავტოვეო; ეგონა, მისი ჩივილიც ესმოდა – როგორ ამბობდა, მცივა და აქ ყოფნა ძალიან მიჭირსო.

ჰალვური ხეობიდან ამოვიდა და ვიწრო ბილიკს გაუყვა, რომელიც ქალაქის გალავანთან გადიოდა და სიონის მთამდე აღწევდა. სასაფლაო სიონის კარიბჭიდან ოდნავ დასავლეთით იყო, სომხების დიდი ბაღის ქვემოთ.

ჰალვური მიაბიჯებდა და თან შვილზე ფიქრობდა. ნაცნობ გზას მიუყვებოდა და მიწას თვალს არ აცილებდა, თუმცა თანდათან ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს რაღაც შეიცვალა. მან თავი ასწია და რამდენიმე კაცი შენიშნა, რომლებიც გზიდან გადასულიყვნენ და კედელს ანგრევდნენ. ჰალვური შედგა და მუშებს მიაჩერდა. ნეტავ რის კედელს ანგრევდნენ? შენობის თუ ღობის? ნუთუ ეს სასაფლაოსთან ხდებოდა ან იქნებ მხარი ექცა?

ჰალვურს რამდენიმე წუთი დასჭირდა გონს მოსასვლელად, მერე კი მიხვდა, რაც მომხდარიყო. მუშები სწორედ სასაფლაოს მაღალ გალავანს ანგრევდნენ.

ჰალვური შეეცადა, თავი დაერწმუნებინა, რომ ამას ადგილის გასაფართოებლად ან გალავნის რკინის ღობით შესაცვლელად აკეთებდნენ. გაიფიქრა, კედლის აღების შემდეგ შიგნით უფრო ნაკლები სინესტე და სიცივე იქნებაო, თუმცა მაინც ისეთი ძლიერი მღელვარება დაეუფლა, რომ სირბილზე გადავიდა. „ოღონდ საფლავს არაფერი მოუვიდეს!“ ფიქრობდა იგი. „ის ხომ სწორედ გალავნის ქვეშ წევს, ოღონდ მას არაფერი დაუშავონ!“

კაცი აქოშინებული გადაძვრა ნანგრევებზე და სასაფლაოზე შევარდა. ახლა შეეძლო საკუთარი თვალით ენახა, რაც შიგნით ხდებოდა. ამ დროს იგრძნო, რომ მის გულს რაღაც დაემართა – მოშლილი საათივით ჯერ უეცრად გაჩერდა, მერე ერთი-ორი ძლიერი დარტყმა იგრძნო, შემდეგ კი ისევ გაჩერდა.

ჰალვური იძულებული გახდა, ქვაზე ჩამომჯდარიყო, ვიდრე გული ამ ბოროტ ხუმრობას შეწყვეტდა. ბოლოს ის ძველებურად, თუმცა მძიმედ და გაჭირვებით ამუშავდა.

– ოჰ, როგორც ჩანს, გადავრჩი, – წყნარად თქვა კაცმა, – ალბათ, გადავრჩი.

მან გამბედაობა მოიკრიბა და კიდევ ერთხელ შეხედა სასაფლაოს. ყველა საფლავი ღია იყო, კუბოები კი სადღაც გამქრალიყო. მიწაზე მხოლოდ რამდენიმე თავის ქალა და ხერხემლის მალა ეყარა, ეტყობა, რომელიღაც დამპალი კუბოდან გადმოცვივდა. ყველა საფლავის ქვა სასაფლაოს ერთ კუთხეში მოეგროვებინათ.

– ღმერთო ძლიერო, ნეტავ მიცვალებულებს რა უქნეს?! – წამოიძახა ჰალვურმა და მუშებისაკენ გაემართა.

– რა უქენით ლილ-გრეტას? – შვედურად იკითხა მან. თავადაც ვერ მიხვდა, რა თქვა, მერე კი, როცა შენიშნა, რომ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდა, შუბლი მოიწმინდა და დაირცხვინა.

ჰალვური შეეცადა, აზრი მოეკრიბა – ის ხომ შეშინებული ბავშვი კი არა, ასაკოვანი და ჭკვიანი კაცი იყო. ოდესღაც მდიდარი გლეხი გახლდათ და მთელი სოფელი პატივს სცემდა. ახლა საჭირო იყო, სიმშვიდე შეენარჩუნებინა.

ჰალვურმა მკაცრი გამომეტყველება მიიღო და ინგლისურად ჰკითხა მუშებს, იცით თუ არა, სასაფლაო რატომ გაანადგურესო.

მუშები აქაურები იყვნენ, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა ცოტა ინგლისური იცოდა და ჰალვურს მოუყვა, რომ ამერიკელებმა სასაფლაოს მიწა გერმანელებს მიჰყიდეს, რომლებიც აქ საავადმყოფოს აგებას აპირებდნენ. სწორედ ამიტომაც ამოთხარეს მიცვალებულები.

ჰალვური ერთხანს გაუნძრევლად იდგა და პასუხზე ფიქრობდა. ჰო, აბა რა, საავადმყოფო სწორედ აქ უნდა აეშენებინათ. წარმოუდგენელი იყო, თითქოს ამ შიშველ ფერდობებზე სხვა ადგილი ვერ იპოვეს! და რა მოხდებოდა, ერთ ბნელ ღამეს აქედან განდევნილი მიცვალებულები რომ მისდგომოდნენ კარზე, ზარი დაერეკათ და შიგნით შეშვება ეთხოვათ?! „ჩვენც გვინდა აქ დაძინება!“ განაცხადებდნენ ისინი და გრძელ მწკრივად იდგებოდნენ – ბირგერ ლარშონი და პატარა ერიკი, გუნჰილდი და, ყველაზე ბოლოს, მისი პატარა გოგონა.

ჰალვური იდგა და ცრემლებს ებრძოდა, თუმცა ყველანაირად ცდილობდა, ისეთი სახე ჰქონოდა, თითქოს ეს ამბავი მას არ ეხებოდა და წითელი ყაყაჩოების თაიგულს აქეთ-იქით გულგრილი გამომეტყველებით იქნევდა.

– კი მაგრამ, მიცვალებულებს რა უყავით? – იკითხა მან.

– ამერიკელები მოვიდნენ და თავიანთი ახლობლების კუბოები წაიღეს. – მიუგო მუშამ, – ყველას, ვისაც რამდენიმე მიცვალებული ჰყავდა, პირობა მისცეს, რომ მათ წასვენებას შეძლებდნენ.

უეცრად მან ლაპარაკი შეწყვიტა და ჰალვურს დააკვირდა:

– თქვენ იმ დიდი სახლიდან ხომ არა ხართ, დამასკოს კარიბჭესთან რომ არის? – თქვა მან. – იქაურებიდან არც ერთს არ წაუსვენებია მიცვალებული.

– ჩვენ არავინ არაფერს დაგვპირებია, – თქვა ჰალვურმა. იგი ისევ ერთ ადგილზე იდგა და თაიგულს იქნევდა, სახე გაქვავებოდა და თან ცდილობდა, უცხო კაცებს არ შეემჩნიათ, როგორ იტანჯებოდა.

– აგერ, იქ არიან ის მიცვალებულები, რომლებიც არ წაუსვენებიათ, – უთხრა მუშამ და თითი ფერდობისკენ გაიშვირა. – გაჩვენებთ, სადაა, მერე კი შეგიძლიათ მოხვიდეთ და მიწას მიაბაროთ.

კაცი წინ წავიდა, ჰალვური კი უკან გაჰყვა. როდესაც დანგრეულ გალავანზე გადაძვრნენ, ჰალვურმა ქვას დასტაცა ხელი. მუშა არხეინად მიუყვებოდა გზას, უკან კი ქვით ხელში ჰალვური მიჰყვებოდა.

– რა უცნაურია, რომ ჩემი არ ეშინია, – შვედურად ხმამაღლა წარმოთქვა კაცმა. – ასე ახლოსაც რომ ბედავს სიარულს? ესეც ხომ იმათთან ერთად იყო, ჩემი გოგონა რომ ამოთხარეს. განა ამ კაცმა არ მოისროლა ლილ-გრეტა სანაგვეზე?

– ლილ-გრეტა, ლილ-გრეტა, – განაგრძო მან, – ისეთი კარგი იყო, მარმარილოს კუბოში უნდა წოლილიყო და ამ საცოდავ სამარეშიც კი არ მოასვენეს.

– ხომ შეიძლებოდა, სწორედ ამ კაცს ამოეთხარა ჩემი შვილი, – ბუტბუტებდა ჰალვური და თან მუშას ქვას უმიზნებდა. – არასოდეს მქონია ასეთი სურვილი, მაგრამ როგორ მინდა ეგ წითელქუდიანი გაპარსული თავი გავუტეხო.

– უნდა გითხრა, რომ ლილ-გრეტა ინგმარის კარ-მიდამოდან იყო, – ბრაზიანად წარმოთქვა მან, – და სრული უფლება ჰქონდა, დიდი ინგმარის გვერდით განესვენა. ისეთი ადამიანი იყო, მეორედ მოსვლის დღემდე საკუთარ სამარეში განსვენებას იმსახურებდა. ხეირიანი დაკრძალვის ცერემონიალიც კი არ ღირსებია, სასაფლაოზე ზარების რეკვით არ მოუსვენებიათ და არც ნამდვილ მღვდელს წაუკითხავს მისთვის სახარება, თუმცა ამის გამო უფლება არ გქონდა საფლავიდან ამოგეთხარა. იქნებ აქამდე კარგი მამა არც ვიყავი, მაგრამ გგონია, ისეთი ცუდი ვარ, რომ ჩემი შვილის სამარიდან ამოთხრას მოვითმენ?

ჰალვურმა ის-ის იყო ქვა ასწია და მართლაც აპირებდა სროლას, რომ ამ დროს მუშა შეჩერდა, მოტრიალდა და თქვა:

– აი, აგერ არიან.

ნაგვის გროვებსა და ნანგრევებს შორის ღრმა ორმო იყო, რომელშიც კოლონისტების შავი, უბრალო კუბოები ეყარა. ისინი დაუდევრად ამოეთხარათ მიწიდან, ძველი კუბოები დამტვრეულიყო და იქიდან მიცვალებულები მოჩანდნენ. ზოგიერთი კუბო კი თავდაყირა ეგდო და მათი დამპალი სახურავებიდან გრძელი, გამხმარი ხელები ისე იყო ამოშვერილი, თითქოს კუბოების ამოტრიალებას ცდილობენო.

ვიდრე ჰალვური იდგა და ძირს იყურებოდა, მუშა მიუახლოვდა და მის ხელს დააკვირდა, რომელსაც ქვა ისე ჩაებღუჯა, რომ თითის წვერები გათეთრებოდა. კაცმა მზერა ჰალვურის სახეზე გადაიტანა და, ეტყობა, იქ ისეთი საშინელება წაიკითხა, რომ შეჰყვირა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

თუმცა ჰალვურს მუშა აღარ ადარდებდა. სრულიად განადგურებული იყო იმით, რასაც ხედავდა. ყველაფერზე საშინელი გვამების მყრალი სუნი იყო, რომელიც ჰაერში ტრიალებდა და ყველას ამცნობდა, რაც მოხდა. ცაში რამდენიმე სვავი დასრიალებდა და მხოლოდ თანამოძმეებს ელოდა, რომ ძირს დაშვებულიყვნენ. ისმოდა ათასგვარი შავი და ყვითელი მწერის ხმამაღალი ზუზუნი, რომლებიც კუბოების თავებზე ირეოდნენ. საიდანღაც ორიოდე მაწანწალა ძაღლმაც მოირბინა, ენაგადმოგდებულები ისხდნენ სამარხის კიდეზე და ქვევით იცქირებოდნენ.

ჟრჟოლაატანილ ჰალვურს მოაგონდა, რომ ჰინომის ხეობის ფერდობზე იმყოფებოდა, სულ ახლოს იმ ადგილთან, სადაც ოდესღაც გეენის ცეცხლი გაჩაღდა.

– ეს მართლაც ჯოჯოხეთია, სატანის სამყოფელი! – წამოიძახა მან.

ჰალვურს ამის ყურება აღარ შეეძლო. იგი ორმოში ჩახტა, მძიმე კუბოები მიყარ-მოყარა და მიცვალებულებს შორის გაფორთხდა. ეძებდა და ეძებდა, ვიდრე ლილ-გრეტას კუბო არ იპოვა, მერე კი მხრებზე გაიდო და სამარხიდან ამოძვრა.

– ჩემი შვილი იმას მაინც ვეღარ იტყვის, რომ მამამისმა ამ ადგილას უკუნეთ ღამეში მიატოვა! – წამოიძახა მან.

– ძვირფასო ბავშვო! – ისეთი სერიოზული და დამაჯერებელი ხმით წარმოთქვა ჰალვურმა, თითქოს მიცვალებულის წინაშე თავის მართლებას ცდილობდა, – ძვირფასო ლილ-გრეტა! ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. არ ვიცოდით, რომ მიწიდან ამოთხრას გიპირებდნენ. სხვებმა გაიგეს, ოღონდ ჩვენთვის არაფერი უთქვამთ. ადამიანებად არ გვთვლიან, ამიტომაც არ შეიწუხეს თავი, ეს ამბავი შეეტყობინებინათ.

როდესაც ჰალვური კუბოსთან ერთად ორმოდან ამოვიდა, იგრძნო, რომ გულმა ისევ შემოუტია. იძულებული გახდა, ჩამომჯდარიყო და დაეცადა, ვიდრე ტკივილი გადაუვლიდა.

– ნუ გეშინია, შვილო, – თქვა მან. – მალე გამივლის. არ იფიქრო, რომ შენს აქედან გაყვანას ვერ შევძლებ.

კაცმა თანდათან ძალა მოიკრიბა და მხარზე კუბოგადებული იერუსალიმისაკენ გაემართა.

როდესაც ჰალვური გალავანთან ვიწრო ბილიკს დაადგა, მოეჩვენა, რომ გარშემო ყველაფერი გადასხვაფერდა. კედლებს და ნანგრევების გროვებს შიშით შესცქეროდა. ყველაფერი უცნაურად შიშისმომგვრელი და მტრული გახდა. ეს უცხო ქვეყანა და უცხო ქალაქი მის მწუხარებას სიხარულით ხვდებოდა.

– მამას ნუ გაუჯავრდები, შვილო, ამ ულმობელ ქვეყანაში რომ ჩამოგიყვანა, – თქვა მან.

– ეს რომ ჩვენთან მომხდარიყო, ტყე ცრემლებად დაიღვრებოდა, მთები კი გოდებას მოჰყვებოდნენ, მაგრამ ეს ულმობელი ქვეყანაა, – განაგრძო კაცმა.

ჰალვურმა ნაბიჯი შეანელა, რათა გულს გაფრთხილებოდა, რომელსაც, ეტყობა, ძალა აღარ შესწევდა, სხეულში სისხლი გადაესროლა. უილაჯობა და სასოწარკვეთა დაეუფლა, ყველაზე მეტად კი – შფოთვა იმის გამო, რომ ასე შორს იყო გადმოხვეწილი უცხო ქვეყანაში, სადაც არავინ შეიბრალებდა.

როდესაც კუთხეში შეუხვია და აღმოსავლეთის კედელს გაუყვა, მის ფერხთით სამარხებით სავსე იოსაფატის ხეობა გადაიშალა.

„აი, სწორედ აქ უნდა გაიმართოს საშინელი სამსჯავრო განკითხვის დღეს და აღდგნენ მიცვალებულები,“ – გაიფიქრა ჰალვურმა.

„ნეტავ განკითხვის დღეს უფალი რას იტყვის ჩემზე იმის გამო, რომ ჩემი ოჯახი ამ მიცვალებულთა ქალაქში, იერუსალიმში, წამოვიყვანე?“ – ჩაეკითხა იგი საკუთარ თავს.

„თანაც მე ხომ მეზობლები და ნათესავებიც დავარწმუნე, რომ ამ საშინელ ქალაქში გადმოსახლებულიყვნენ. ისინი უფლის წინაშე ბრალს დამდებენ.“

ჰალვურს თითქოს მოესმა კიდეც, როგორ აიმაღლეს ხმა მის წინააღმდეგ თანამემამულეებმა. „ჩვენ მისი გვჯეროდა, მან კი იმ ქვეყანაში წამოგვიყვანა, სადაც ძაღლებზე უფრო ვეზიზღებით, იმ ქალაქში, რომელმაც თავისი სისასტიკით გაგვანადგურა.“

იგი შეეცადა, ეს ფიქრები თავიდან მოეშორებინა, მაგრამ ვერ შეძლო. ერთბაშად დაინახა ყველა ის სიძნელე და საშიშროება, რაც მის მეგობრებს ელოდათ. ფიქრობდა იმ საშინელ სიღატაკეზე, რომელიც მალე დაატყდებოდათ თავს, სამუშაოზე, რომელშიც აღარაფერს გადაუხდიდნენ, ფიქრობდა მათთვის უჩვეულო კლიმატზე და დაავადებებზე, რომლებსაც მათი განადგურება შეეძლო, ფიქრობდა იმ სასტიკ დაპირებაზე, თავად რომ მისცეს საკუთარ თავს, განხეთქილებას და დაღუპვას რომ უქადდა. ჰალვურმა საშინელი დაღლილობა იგრძნო.

– ამ ქვეყანაში ცხოვრება ისევე შეუძლებელია, როგორც აქაურ მიწაზე მოსავლის მოყვანა და აქაური წყლის დალევა! – წამოიძახა მან.

კაცი ძლივს მილასლასებდა. ძალა სულ გამოელია.

კოლონისტები უკვე ვახშმობდნენ, როდესაც ჭიშკარზე ძლივს გასაგონად დარეკა ზარმა.

როდესაც კარი გაიღო, ტიმს ჰალვური გარეთ, მიწაზე იჯდა. მომაკვდავს ჰგავდა, გვერდით თავისი პატარა გოგონას კუბო ედგა, ყაყაჩოების დამჭკნარი თაიგულიდან ყვავილებს იღებდა, ამტვრევდა და კუბოს აყრიდა.

კარი იუნგ ბიორნმა გააღო. მას მოეჩვენა, რომ ჰალვურმა რაღაც თქვა და დაიხარა, რომ უკეთ გაეგო.

ჰალვურმა რამდენჯერმე სცადა ლაპარაკის დაწყება, ვიდრე გარკვევით იტყოდა რამეს.

– მათ ჩვენი მიცვალებულები ამოთხარეს, – თქვა ბოლოს, – ისინი ღია ცის ქვეშ ყრიან იქ, გეენაში. ამაღამვე უნდა წახვიდეთ და გადმოასვენოთ.

– რას ამბობ? – ჰკითხა ბიორნმა, რომელმაც ვერაფერი გაიგო.

მომაკვდავმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და წამოიწია.

– მათ ჩვენი მიცვალებულები ამოთხარეს, ბიორნ. ამაღამ ყველანი გეენაში უნდა წახვიდეთ, რომ გადმოასვენოთ.

ამის თქმაზე ჰალვურმა დაიკვნესა და ისევ ძირს დაეშვა.

– ისეთი ტკივილები მაქვს, ბიორნ, ალბათ, ეს გულია. მეშინოდა, იქამდე არ მოვმკვდარიყავი, ვიდრე ამის თქმას მოვასწრებდი. ლილ-გრეტა კი მოვიყვანე შინ, მაგრამ სხვებს ვერაფერი ვუშველე.

ბიორნი ჰალვურის გვერდით მუხლებზე დაეშვა.

– შიგნით არ შემოხვალ, ჰალვურ? – ჰკითხა მან, მაგრამ კაცი არ უსმენდა.

– დამპირდი, ბიორნ, რომ ლილ-გრეტას ისე მიაბარებ მიწას, როგორც წესი და რიგია! არ მინდა იფიქროს, რომ ცუდი მამა ჰყავს.

– ჰო, კარგი, – მიუგო ბიორნმა, – მაგრამ შიგნით შემოდი, ჰალვურ.

ჰალვურმა თავი უფრო ძირს ჩაჰკიდა.

– გთხოვ, ჩემი შვილი მწვანე კორდზე დაასაფლავე, – წაიჩურჩულა მან. – მეც მწვანე კორდზე დამასაფლავე, – დაამატა ცოტა ხნის შემდეგ.

ბიორნი მიხვდა, რომ კაცი ძალიან ცუდად იყო და მაშველის მოსაყვანად გაიქცა, რომ ავადმყოფი შინ შემოეყვანათ. როდესაც იგი დაბრუნდა, ჰალვური გარდაცვლილი დახვდა.

8. სამოთხის ჭა

იერუსალიმს ზაფხულში ძალიან გაუჭირდა უწყლობისა და სნეულებების მომრავლების გამო. იმ ზამთარს წვიმა ძალიან იშვიათად მოდიოდა და წმინდა ქალაქს, რომლისთვისაც წყლის ძირითადი წყარო წვიმა იყო და წვიმის წყალი ყველა ეზოსთან არსებულ მიწისქვეშა ცისტერნებში გროვდებოდა, მალე წყლის მარაგი ამოეწურა. ხალხი იძულებული იყო, ცისტერნების ფსკერზე დარჩენილი უვარგისი, დიდი ხნის ნადგომი წყალი დაელია, ამის გამო კი დაავადებები საშინელი სისწრაფით გავრცელდა. სულ ცოტა ხანში თითქმის ვერ იპოვიდი კარ-მიდამოს, სადაც წითელათი, დიზენტერიით ან ციებ-ცხელებით დაავადებული არ იწვა.

გორდონის კოლონიის ბინადრებს მოსვენება არ ჰქონდათ. თითქმის ყველანი ავადმყოფების მოვლით იყვნენ დაკავებულნი. იერუსალიმში დიდი ხნის წინ ჩამოსულ კოლონისტებს სნეულება არ ემუქრებოდათ და ისინი უშიშრად გადადიოდნენ ერთი ავადმყოფიდან მეორესთან. შვედი ამერიკელებიც, რომლებიც ჩიკაგოს ცხელ ზაფხულს მიჩვეულები იყვნენ, დაავადებებს და დაძაბულობას იოლად უმკლავდებოდნენ. საბრალო დალარნელებიდან კი თითქმის ყველა ერთბაშად დასნეულდა.

თავიდან ყველაფერი არც ისე საშიში ჩანდა. კოლონისტების უმრავლესობა, რომელთაც მუშაობის თავი აღარ ჰქონდათ, მაინც ფეხზე იდგა. ფერდაკარგულები იყვნენ და მუდმივად აციებდათ, თუმცა ყველას ეგონა, ეს მხოლოდ უქეიფობა იყო და მალე გაუვლიდათ, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ბირგერ ლარშონის ქვრივი გარდაიცვალა, ცოტა ხანში კი ერთ-ერთი ვაჟიშვილიც დედას მიჰყვა. ამ დროისათვის სულ ახალ-ახალი ავადმყოფები ჩნდებოდნენ, თითქოს ყველა

დალარნელი ერთდროულად უნდა დახოცილიყო.

ყველა სნეული ერთი და იგივე სურვილით იწვოდა. ისინი წყალს ითხოვდნენ, მხოლოდ ერთ ყლუპ ცივ, ანკარა წყალს. გეგონებოდათ, გამოჯანსაღებისთვის სხვა არც არაფერი სჭირდებოდათ. მაგრამ თუკი მათ წყლის ცისტერნასთან მიიყვანდი, სნეულები თავს მიაბრუნებდნენ ხოლმე და წყალს ზედაც არ უყურებდნენ. იმის მიუხედავად, რომ წყალი გაფილტრული და გაციებული იყო, სნეულებს ეჩვენებოდათ, რომ დაობებული იყო და საშინელი გემო ჰქონდა. ერთ-ორ ავადმყოფს, რომლებმაც ამ წყლის დალევა სცადეს, ძლიერი ტკივილები დაეწყო და ირწმუნებოდნენ, მოგვწამლესო.

ერთ დილას, როდესაც სნეულება ყველაზე მეტად იყო მოდებული კოლონიას, რამდენიმე გლეხი სახლთან მეჩხერ ჩრდილში ჩამომჯდარიყო და ბაასობდა. ყოველ მათგანს მაღალი სიცხე ჰქონდა, ამაზე მათი დაქანცული სახეები და ჩასისხლიანებული თვალები მეტყველებდა. არც ერთი არაფერს აკეთებდა და თიხის ჩიბუხებსაც კი არ ეწეოდა.

გლეხების ერთადერთი საზრუნავი მათ თავზემოთ გადაჭიმული ლურჯი და უღრუბლო ცის ცქერა გახლდათ. ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს ცას და არც ერთი, თუნდაც უმნიშვნელო ჩრდილი ჰორიზონტზე არ გამოეპარებოდათ. მშვენივრად იცოდნენ, რომ სულ მცირე ორი თვე არ იწვიმებდა, მაგრამ როგორც კი შორს ღრუბლის თეთრი ქულა გამოჩნდა, თავს ჩააგონეს, რომ სასწაული მოხდებოდა და მალე გაწვიმდებოდა.

– ვინ იცის, იქნებ ღმერთმა ახლა მაინც გადმოგვხედოს? – ამბობდნენ ისინი.

ვიდრე ისინი ცაზე გამოჩენილ ღრუბელს აკვირდებოდნენ, ლაპარაკი წამოიწყეს, რა მოხდებოდა, თუკი კედლებსა და ფანჯრებზე წვიმის მსხვილი წვეთების წკაპუნს გაიგონებდნენ, წყალსაწრეტებიდან ღვარად წამოსულ წყალს დაინახავდნენ, რომელიც გზებს წალეკავდა და ხრეშს და ქვიშასაც გაიყოლებდა. ყველანი შეთანხმდნენ, რომ თუ წვიმა მოვიდოდა, არც ერთი მათგანი სახლს თავს არ შეაფარებდა, აქვე იჯდებოდა და გაილუმპებოდა. დარწყულება ახლა ისევე სჭირდებოდათ, როგორც აქაურ გამომშრალ მიწას. მაგრამ გლეხებმა შენიშნეს, რომ ღრუბელმა ცოტა ხანს ინებივრა ცაზე, მერე კი თანდათან დაპატარავდა და თითქოს გადნა. ჯერ ფუმფულა კიდეები გაუქრა, შემდეგ წვრილ ლაქებად და ზოლებად დაიშალა, ხოლო რამდენიმე წამში საერთოდ გაუჩინარდა.

ღრუბლის გაქრობასთან ერთად გლეხები სასოწარკვეთამ შეიპყრო. მოხუცები ისე დაეუძლურებინა სნეულებას, რომ ცრემლების შესაკავებლად თვალებზე ხელები აიფარეს.

მაშინ იუნგ ბიორნ ულოფსონი, რომელიც ტიმს ჰალვურის სიკვდილის შემდეგ თავს შვედების წინამძღოლად თვლიდა, შეეცადა, დანარჩენები გაემხნევებინა. მან კედრონის ნაკადულზე დაიწყო მოყოლა, რომელიც ძველად იოსაფატის ხეობაში მიედინებოდა და იერუსალიმს წყლით ამარაგებდა. ბიორნმა ჯიბიდან ბიბლია ამოიღო და ყველა ის ადგილი წაიკითხა, სადაც კედრონი იყო მოხსენიებული. გლეხებს მოუთხრო, რომ კედრონი ისეთი წყალუხვი და ძლევამოსილი იყო, წისქვილებს ამუშავებდა, ზამთრობით კი ნაპირებიდან გადმოდიოდა და იქაურობას ტბორავდა.

იუნგ ბიორნს სახეზე ეტყობოდა, რა შვებას ჰგვრიდა წყალზე საუბარი, რომელიც ოდესღაც იერუსალიმთან მიედინებოდა და ფიქრებითაც მდინარეში დაცურავდა. ყველაზე დიდხანს იმ ადგილზე გაჩერდა, სადაც მოთხრობილი იყო, როგორ გადალახა დავითმა კედრონი, როცა აბსალომისგან გარბოდა. დაწვრილებით აუწერა მსმენელებს, რას შეიძლება გრძნობდე, როცა ფეხშიშველი მიაბიჯებ ცივ, მჩქეფარე წყალში.

– ისე, მაგ წყლის დალევა უფრო მომინდებოდა, – თქვა მან.

იუნგ ბიორნი კიდევ ბევრს ისაუბრებდა კედრონის შესახებ, მის ქვისლს, კულოს გუნარს, რომ არ შეეწყვეტინებინა. გუნარმა განაცხადა, არ მაინტერესებს კედრონი, რომელიც დიდი ხნის წინ დაშრა და აღარ არსებობს, ამ ძნელბედობის ჟამს წინასწარმეტყველ ეზეკიელზე უფრო ვფიქრობ, ორმოცდამეშვიდე თავის პირველ და მომდევნო სტროფებზე, სადაც მოთხრობილია მდინარეზე, რომელმაც ტაძრის ზღურბლი გადალახა, ჭაობი დატბორა და მკვდარ ზღვამდე მიაღწია. კულოს გუნარმა შავი ქოჩორი შუბლიდან გადაიყარა, თვალები გაუბრწყინდა და ისეთი გატაცებით შეუდგა თხრობას, რომ გლეხებმა თითქოს საკუთარი თვალით იხილეს წყლის ნაკადი, რომელიც შუა იერუსალიმში მიედინებოდა და ქვის კალაპოტში წყნარად ბუყბუყებდა, იქიდან კი უთვალავ პატარა ნაკადულად დაქსაქსული გარბოდა მწვანე გაზონებს შორის. ნაპირებზე ტირიფები და ალვის ხეები ჩარიგებულიყო, წყლის ზედაპირზე კი დიდრონფოთლებიანი წყლის მცენარეები იყო გადაკიდებული. ნაკადულების ფსკერი თეთრი კენჭებით იყო მოფენილი და წყალი მათზე გადავლისას ჩუხჩუხებდა და ბუშტებს ისროდა.

– ასეც უნდა მოხდეს! – წამოიძახა კულოს გუნარმა. – ეს ხომ უფლის ერთ-ერთი

წინასწარმეტყველებაა, რომელიც ჯერ არ ასრულებულა. ხომ შეიძლება დღეს ან ხვალ ახდეს?

ამის გაგონებაზე ჰელგუმი, რომელიც ბრბოში იდგა, ძალიან აღელდა, იუნგ ბიორნს ბიბლია გამოართვა და „ქრონიკებიდან“ რამდენიმე სტროფი წაიკითხა.

– აბა, ეს ნახეთ, – თქვა მან, – ეს ყველაზე უცნაური რამ არის, რაც ოდესმე მსმენია, და მან შეკრებილებს წაუკითხა, ეზეკიას[12] მეფობის დროს როგორ შეიტყვეს, რომ სანჰერიბი იერუსალიმის ალყაში მოქცევას აპირებდა. მაშინ ეზეკია თავის წინამძღოლებს და უმამაცეს მეომრებს მოეთათბირა და ყველამ უთხრა:

– ცუდია, თუ ასურელებს იერუსალიმის ალყის დროს ამდენი წყალი ექნებათ.

მაშინ ეზეკია დიდ ლაშქართან ერთად დაიძრა და იერუსალიმს წყალი გადაუკეტა – მხოლოდ დიდი მდინარე კი არა, ქვეყნის შუაგულში რომ მოედინებოდა, არამედ ყველა წყაროც.

როდესაც ჰელგუმმა კითხვა დაასრულა, კოლონიის ირგვლივ უნაყოფო მიწებს შეავლო თვალი.

– ბევრი ვიფიქრე ამ ამბავზე, – წარმოთქვა მან, – ამერიკელებს ვკითხე ამაზე. ჰოდა, ახლა გეტყვით, რა მიპასუხეს.

– ამერიკელებმა მითხრეს, რომ ეზეკიას მეფობის ხანაში ეს მაღლობი ხეებით და ბუჩქებით იყო დაფარული. მარცვლეული ამ ქვიან მიწაზე არ მოდიოდა, მაგრამ სამაგიეროდ აქ ბროწეულის და გარგარის ბაღები იყო გაშენებული, ზაფრანა, კალამუსი და დარიჩინი ყვაოდა, ყველა სურნელოვანი ხე და ყველანაირი იშვიათი ხილი იზრდებოდა. ბაღები კარგად ირწყვებოდა, მდინარეებიდან და ნაკადულებიდან წყალი ყველა ბაღამდე აღწევდა, ხოლო ბაღის ყოველ მფლობელს დღის სხვადასხვა დროს უფლება ჰქონდა წყალი საკუთარ ხეებზე მიეშვა.

და აი, ერთ დილას მეფე ეზეკია წინამძღოლებთან ერთად ბაღებს ეწვია. ეს ის დრო იყო, როცა ხეები ყვავილების დიდებული საბურველით იყვნენ მორთულ-მოკაზმულნი და ეზეკიას მათ ქვეშ გავლისას ნუშის და გარგარის ყვავილები ათოვდა. ირგვლივ თავბრუდამხვევი სურნელი ტრიალებდა, ხოლო საღამოს, როცა ეზეკია მხლებლებთან ერთად შინ ბრუნდებოდა, ხეები ისევ ისე იდგნენ და მეფეს ესალმებოდნენ. მან იმ დღეს იერუსალიმი ყველა წყარო და ის დიდი მდინარე გადაკეტა, რომელიც ქვეყნის შუაგულში მიედინებოდა, მეორე დღეს კი ყველა არხი, რომლებითაც წყალი ფესვებს აღწევდა, უკვე დამშრალი იყო.

რამდენიმე დღეში ხეებს ნაყოფი უნდა გამოესხა, მაგრამ მათ ამის ძალა აღარ შესწევდათ, კვირტებიდან კი პატარა და შემჭკნარი ფოთლები აღმოცენდა.

შემდეგ იერუსალიმს ომები და ათასი დიდი უბედურება დაატყდა თავს. აღარავის ეცალა იმისათვის, რომ წყაროები ისევ გამოეშვა და დიდი მდინარეც კალაპოტში დაებრუნებინა. აი, ასე გადაშენდა ხეხილი იერუსალიმის შემოგარენში. ზოგი პირველივე გვალვას შეეწირა, ზოგი მეორე ზაფხულს გახმა, სხვები კი – მესამე წელს. იერუსალიმის გარშემო მიწა უნაყოფო გახდა და დღემდე ასეა.

ჰელგუმმა ქვის ნამტვრევი აიღო და მიწის ჩიჩქნას შეუდგა.

– ებრაელები რომ ბაბილონიდან დაბრუნდნენ, – განაგრძო მან, – ის ადგილი ვერ იპოვეს, სადაც მდინარე ჯებირით იყო გადაკეტილი და ვერც იმ წყაროებს მიაგნეს. დღემდე ვერავინ იპოვა. მაგრამ ჩვენ, აქ რომ დავმსხდარვართ და წყურვილით ვიხრჩობით, განა არ შეგვიძლია, მეფე ეზეკიას წყაროები ვეძებოთ? ნუთუ არ შეგვიძლია, ის დიდი მდინარე და მრავალრიცხოვანი წყარო ვიპოვოთ? ამას თუ მოვახერხებთ, ამ მაღლობზე ისევ გაიხარებს ხეხილი და ქვეყანა მდიდარი და ნაყოფიერი გახდება. წყალი აქ ოქროს საბადოზე უფრო ძვირფასია.

როდესაც ჰელგუმმა ლაპარაკი დაამთავრა, მსმენელებმა ბჭობა დაიწყეს. ყველამ აღიარა, რომ იგი მართალს ამბობდა და მდინარის პოვნა შეუძლებელი სულაც არ იქნებოდა, თუმცა არც ერთი მათგანი, ჰელგუმიც კი, არ დაძრულა ადგილიდან, რომ ძებნა დაეწყო. როგორც ჩანს, მისი სიტყვები სხვა არაფერი იყო, თუ არა ძლიერი წყურვილის დაკმაყოფილების ხერხი.

მაშინ ჰეკ გაბრიელ მათსონმა წამოიწყო ლაპარაკი, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა და სხვებს უსმენდა.

– მე სხვებივით ამ წყლის სისუფთავესა და მნიშვნელობაზე კი არ ვფიქრობ, – ნელა თქვა მან, – დილიდან საღამომდე მდინარე მელანდება, სადაც ანკარა წყალი მიედინება.

– იმ მდინარეზე გეუბნებით, სათავეს რომ მრავალი ნაკადულიდან და წყაროდან იღებს, მერე კი წყალუხვი და ფართოდ გაშლილი მოედინება გაუვალი ტყიდან და ისეთი ანკარაა, მის ფსკერზე კენჭებსაც დაითვლი. ეს მდინარე კედრონივით დამშრალი როდია, არც ეზეკიელის წყაროებივით

ფუჭი ოცნებაა და, მეფე ეზეკიას მდინარესავით, არც მის პოვნაა შეუძლებელი. ეს მდინარე დღესაც მოჩქეფს და მას დალელვენი ჰქვია.

სამი კაცი ხმაამოუღებლად იჯდა, თავი ჩაეღუნათ და ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ. დალელვენის ხსენებისთანავე პალესტინის წყაროებსა და მდინარეებზე ლაპარაკის ყოველგვარი ხალისი დაეკარგათ.

იმავე დღეს, სადილობამდე, კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა – კულოს გუნარის პატარა, მხიარული ბიჭუნა, რომელიც ყველას უყვარდა. ჩანდა, რომ ბავშვს არავინ გლოვობდა. დალარნელები შიშმა შეიპყრო, რომელსაც ძლივს მალავდნენ. პატარა, მკვდარი ბიჭუნა ყველასთვის უნებლიეთ იმის ნიშანი გახდა, რომ სნეულებას ვერც ერთი მათგანი ვერ გადაურჩებოდა.

დაკრძალვის ნაჩქარევი სამზადისი, ჩვეულებისამებრ, დაუყოვნებლივ დაიწყო, მაგრამ ის გლეხები, რომლებიც კუბოს თლიდნენ, ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ვინ გააკეთებდა ამას, თუკი ისინიც დაიხოცებოდნენ, ხოლო ისინი, ვისაც მიცვალებული უნდა შეემოსა, იმაზე ბჭობდნენ, სიკვდილის შემდეგ როგორ უნდა შეემოსათ.

– გახსოვდეთ, თქვენზე ადრე თუ მოვკვდები, ჩემს საკუთარ ტანსაცმელში გამომაწყვეთ, – ამბობდა ერთი ქალი.

– დაიმახსოვრეთ, ჩემს კუბოს შავი კრეპი უნდა ჰქონდეს შემოვლებული, ნიშნობის ბეჭედი კი თან ჩამატანეთ, – ამატებდა მეორე.

ამასობაში კოლონიაში უცნაური ხმა დაირხა. არავინ იცოდა, პირველად ვინ წარმოთქვა ეს სიტყვები, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი გაისმა, ყველანი შფოთვამ მოიცვა. თავიდან, როგორც ხდება ხოლმე, ყველა ფიქრობდა, ამის გაკეთება წარმოუდგენელიაო, თუმცა მერე ჩათვალეს, რომ ეს ერთადერთი გონივრული რამ იყო, რაც უნდა მოემოქმედათ.

მალე კოლონიაში ჯანმრთელებიც და ავადმყოფებიც, ამერიკელებიც და შვედებიც სხვა არაფერზე ლაპარაკობდნენ.

– ალბათ, უმჯობესია, დალარნელები შინ დაბრუნდნენ, – ამბობდნენ ისინი.

ვერც ერთი ამერიკელი ვერ მალავდა, რომ მართლაც ისე ჩანდა, თითქოს იერუსალიმში ჩამოსული ყველა გლეხი სასიკვდილოდ იყო განწირული. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა ყოფილიყო ამდენი კარგი და პატიოსანი ადამიანის კოლონიიდან წასვლა, სხვა გამოსავალი თითქოს არ იყო. ყველაზე უკეთესი იქნებოდა, დალარნელები შინ გამგზავრებულიყვნენ და საკუთარ სამშობლოში, როგორც შეეძლოთ, ისე ემსახურათ უფლისთვის, ვიდრე აქ, წმინდა ქალაქში დახოცილიყვნენ.

შვედები თავიდან ფიქრობდნენ, შეუძლებელია ამ ქვეყნიდან მოწყვეტა, რომელთანაც ამდენი წმინდა ადგილი და მოგონება გვაკავშირებსო და ჟრუანტელი უვლიდათ იმის გახსენებაზე, რომ ყოველდღიურ საზრუნავსა და სადარდებელს უნდა დაბრუნებოდნენ მას შემდეგ, რაც კოლონიაში მშვიდ, უშფოთველ ცხოვრებას მიეჩვივნენ. ზოგი იმასაც კი ამბობდა, უკეთესი ხომ არ არის, აქ მოვკვდეთ, ვიდრე შინ დავბრუნდეთო, მაგრამ სამშობლოზე ფიქრი ძალზე მაცდუნებელი და მიმზიდველი იყო.

– ეტყობა, დაბრუნების გარდა სხვა გამოსავალი არ არსებობს, – ამბობდნენ ისინი.

უეცრად ზარმა დარეკა, რომელიც კოლონისტებს ღვთისმსახურების დაწყებისა და სამრევლო დარბაზში შეკრებისკენ მოუწოდებდა ხოლმე. ყველანი შეშფოდნენ და ლამის შეშინდნენ კიდევაც. მიხვდნენ, რომ მისის გორდონს სურდა, ისინი შეეკრიბა, რათა ერთად მოეფიქრებინათ, როგორ გამგზავრებულიყვნენ სამშობლოში. ჯერ თავადაც ვერ გარკვეულიყვნენ, რა უნდოდათ, თუმცა იმის გაფიქრებაზეც კი, რომ სნეულებას და სიკვდილს თავს დააღწევდნენ, შვება იგრძნეს. ეს ყველაზე უკეთ იმაზე შეეტყოთ, რომ ბევრი მძიმე ავადმყოფი სამრევლო დარბაზში წასასვლელად საწოლიდანაც კი წამოდგა და ტანთ ჩაიცვა.

ზევით, დარბაზში, შეკრებებისთვის ჩვეული წესრიგი არ იგრძნობოდა. არავინ დამჯდარა, ხალხი აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად იდგა და საუბრობდა. ყველანი ძალიან ღელავდნენ, მაგრამ ყველაზე მგზნებარედ ჰელგუმი ლაპარაკობდა. ჩანდა, საკუთარ თავზე აღებული მძიმე პასუხისმგებლობის გამო იტანჯებოდა, რადგან დალარნელი გლეხები პალესტინაში სწორედ მან ჩამოიყვანა. ჰელგუმი ერთი კაციდან მეორესთან გადადიოდა და შინ დაბრუნებისკენ მოუწოდებდა.

მისის გორდონი ძალიან ფერმკრთალი იყო, გადაღლილი და გატანჯული სახე ჰქონდა. ეტყობა, კარგად არც იცოდა, რა სურდა, რადგან საუბრის დაწყება უჭირდა. არასოდეს არავის ენახა, რომ ქალს ასე ეყოყმანა.

დალარნელები მეტწილად დუმდნენ. მეტისმეტად დაუძლურებულები იყვნენ იმისათვის, რომ თავად მიეღოთ გადაწყვეტილება, მხოლოდ იდგნენ და ელოდნენ, სხვები რას იზამდნენ.

რამდენიმე ამერიკელი გოგონა ძალიან განიცდიდა მათ ამბავს. ისინი ტიროდნენ და ითხოვდნენ, სნეულები შინ დავაბრუნოთ, ნებას არ მივცემთ, აქ ამოხდეთ სულიო.

სწორედ იმ დროს, როდესაც შეკრებილები გაცხარებულები კამათობდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, კარი უხმაუროდ გაიღო და დარბაზში კარინ ინგმარშდოთერი შემოვიდა.

კარინი ძალიან მოტეხილი და დაბერებული ჩანდა. ასაკს თავისი ხელი დაეტყო მისთვის, სახე დაპატარავებოდა და შეჭმუხნოდა, თმა კი სრულიად გაჭაღარავებოდა.

ჰალვურ ჰალვურშონის სიკვდილის შემდეგ კარინი იშვიათად გამოდიოდა ოთახიდან. იქ დიდ სავარძელში იჯდა, რომელიც ჰალვურმა მისთვის გააკეთა. ზოგჯერ თავს ძალას ატანდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილი ორი შვილისთვის მიეხედა, სხვა დროს კი გულხელდაკრეფილი იჯდა და ერთ წერტილს მისჩერებოდა.

კარინი თითქმის უხმაუროდ შემოვიდა, თუმცა მის დანახვაზე ყველა გაჩუმდა და ქალს თვალი გააყოლა.

კარინი ნელა და თავდახრილი მიდიოდა და, მისის გორდონამდე რომ მიეღწია, კედელს მიუყვებოდა.

მისის გორდონმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა და ქალს ხელი გაუწოდა.

– აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ თქვენს გამგზავრებაზე ვისაუბროთ, – თქვა მან. – შენ რას იტყვი ამაზე, კარინ?

კარინი წამით დამბლადაცემულივით შექანდა და ჩამქრალი თვალები გაუნათდა. ეტყობა, თვალწინ თავისი ძველი სახლი დაუდგა და მოეჩვენა, რომ სასტუმრო ოთახში, ცეცხლის პირას იჯდა ან გაზაფხულის დილას ჭიშკართან იდგა და შესცქეროდა, როგორ ძოვდა ნახირი ბალახს. მაგრამ ეს სულ რაღაც ერთ წამს გაგრძელდა. კარინი მყისვე გასწორდა და მის სახეს ისევ ჩვეული უდრეკი და შეუპოვარი გამომეტყველება დაუბრუნდა.

– მინდოდა, ერთი შეკითხვა დამესვა, – თქვა კარინმა ინგლისურად და ისე ხმამაღლა, რომ ყველას გაეგონა. – უფლის ხმამ მოგვიწოდა, რომ იერუსალიმში ჩამოვსულიყავით. განა რომელიმე თქვენგანმა გაიგონა უფლის ხმა, რომელიც აქედან წასვლას უბრძანებდა?

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა.

კარინსაც, ისევე როგორც დანარჩენებს, სიცხე ჰქონდა და, როგორც კი ლაპარაკი დაამთავრა, დაბარბაცდა და კინაღამ დაეცა. მისის გორდონმა ქალს წელზე ხელი მოხვია და დარბაზიდან გაიყვანა.

როდესაც კარინმა თანასოფლელებს გვერდით ჩაუარა, რამდენიმე მათგანმა თავი დაუქნია და უთხრა:

– მადლობა, კარინ!

ქალის გასვლისთანავე ამერიკელებმა ისე განაახლეს გამგზავრებაზე საუბარი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. დალარნელებს ხმა არ ამოუღიათ, თუმცა ნელ-ნელა ერთიმეორის მიყოლებით გაიპარნენ სამრევლო დარბაზიდან.

– რატომ მიდიხართ? – ჰკითხა მათ ერთ-ერთმა ამერიკელმა. – კრება ხომ მისის გორდონის დაბრუნებისთანავე დაიწყება?

– განა ვერ ხედავთ, რომ ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია? – მიუგო იუნგ ბიორნმა. – ჩვენ გამო შეკრება საჭირო აღარ არის. ლამის დაგვავიწყდა და ახლაღა გაგვახსენდა, რომ ჩვენს შინ დაბრუნებას უფლის გარდა ვერავინ გადაწყვეტს.

ამერიკელებმა გაოცებით შენიშნეს, რომ იუნგ ბიორნმაც და მისმა თანასოფლელებმაც თავი მაღლა ასწიეს და ნაკლებად დადარდიანებულები და უფრო თავდაჯერებულები ჩანდნენ, ვიდრე მაშინ, როდესაც აქ შეიკრიბნენ. თითქოს სიმტკიცე და ამტანობა დაუბრუნდათ, როდესაც ცხადად დაინახეს გზა, რომელსაც დაადგნენ და აღარ ფიქრობდნენ საფრთხეზე, რომლისთვისაც თავი უნდა აერიდებინათ.

გერტრუდი ავად იყო და იმ პატარა ოთახში იწვა, სადაც გუნჰილდთან ერთად ცხოვრობდა. ოთახი ნათელი და კოხტა იყო. მთელი ავეჯი გაბრიელმა დაამზადა. აქ უკეთესი და უფრო მდიდრული

ავეჯი იდგა, ვიდრე სხვა ოთახებში. თეთრი ფარდები და საწოლის გადასაფარებლები გერტრუდმა თავისი ხელით მოქსოვა და მაქმანებით და გვირისტებით შეამკო.

გუნჰილდის სიკვდილის შემდეგ გერტრუდის ოთახში ბეტსი ნელსონი, ერთ-ერთი შვედი ამერიკელი გოგონა გადმოვიდა. ის გერტრუდს ძალიან დაუმეგობრდა და ახლა ავადმყოფს დიდი სიყვარულით უვლიდა.

ეს იმავე საღამოს მოხდა, როდესაც დიდ შეკრებაზე გადაწყდა, რომ დალარნელი გლეხები იერუსალიმში უნდა დარჩენილიყვნენ. გერტრუდს მაღალი სიცხე ჰქონდა, იწვა და გაუჩერებლად ლაპარაკობდა. ბეტსი საწოლთან იჯდა და ხანდახან დასამშვიდებლად ერთ-ორ სიტყვას ეტყოდა ხოლმე.

უეცრად ბეტსიმ დაინახა, რომ კარი ნელა გაიღო და ოთახში გაბრიელი შემოვიდა. კაცი ცდილობდა, არ ეხმაურა, ამიტომაც კედელს აეკრო და ასე გაჩერდა. გერტრუდმა ეტყობა, ვერც შენიშნა სტუმარი. ბეტსიმ სნეულის ოთახიდან გაძევება დაუპირა, მაგრამ გაბრიელის სახის დანახვაზე გული გადაუქანდა და ბიჭი ძალიან შეებრალა. „ოჰ, ღმერთო ჩემო, ალბათ, ჰგონია, რომ გერტრუდი კვდება!“ გაიფიქრა მან. „ვხვდები, რასაც ფიქრობს: რაკი დალარნელებმა იერუსალიმში დარჩენა გადაწყვიტეს, გერტრუდს ვეღარაფერი იხსნისო.“

ბეტსი უეცრად მიხვდა, რამდენს ნიშნავდა გერტრუდი გაბრიელისთვის ახლა, გუნჰილდის დაკარგვის შემდეგ და თავისთვის ჩაილაპარაკა: „უმჯობესია, თუ ეს საბრალო აქ დარჩება. უარს ვერ ვეტყვი, იმდენ ხანს უყუროს, რამდენ ხანსაც უნდა. გერტრუდი ხომ მისი საუკეთესო მეგობარია.“

გაბრიელი კართან იდგა და გერტრუდის თითოეულ სიტყვას აყურადებდა. ქალს არც ისეთი მაღალი სიცხე ჰქონდა, რომ ბოდვა დაეწყო, თუმცა სხვა ავადმყოფების მსგავსად ისიც გამუდმებით ჭებს და წყაროებს ახსენებდა, თან მტანჯველ და მწველ წყურვილს უჩიოდა.

ბეტსიმ ჭიქაში წყალი ჩაასხა და ავადმყოფს მიუტანა.

– დალიე, გერტრუდ! ეს წყალი საშიში არ არის, – თქვა მან.

გერტრუდმა ბალიშიდან თავი წამოსწია, ჭიქას ხელი მოჰკიდა და ტუჩებთან მიიტანა, მაგრამ ვიდრე მოსვამდა, თავი უკან გადააგდო.

– ნუთუ ვერ გრძნობ, რა საშინელი სუნი აქვს? – დაიჩივლა მან. – ალბათ, ჩემი მოწამვლა გინდა.

– ამ წყალს არც გემო აქვს და არც სუნი, – წყნარად თქვა ბეტსიმ. – საგანგებოდ არის გაწმენდილი, რათა ავადმყოფებმა უშიშრად დალიონ.

გოგონა შეეცადა, სნეულისთვის წყალი დაელევინებინა, მაგრამ გერტრუდმა ისე ჰკრა ჭიქას ხელი, რომ წყალი საბანზე დაიღვარა.

– ვერ ხედავ, ისედაც ავადა ვარ, ჩემი მოწამვლა რაღაში გჭირდება? – თქვა მან.

– უკეთ გახდები, თუკი გაბედავ და წყალს მოსვამ, – თავისას არ იშლიდა ბეტსი.

გერტრუდმა არაფერი უპასუხა, მერე კი ატირდა.

– რატომ ტირი, ჩემო ძვირფასო? – ჰკითხა ბეტსიმ.

– რა საშინელებაა, რომ არავის შეუძლია, ხეირიანი წყალი დამალევინოს. – მიუგო მან, – აქ უნდა ვიწვე, წყურვილისგან მოვკვდე და არავინ შემიბრალებს.

– ხომ იცი, რომ შეგვეძლოს, დაგეხმარებოდით, – უთხრა ბეტსიმ და ხელზე მოეფერა.

– მაშინ წყალს რატომ არ მაძლევთ? – ქვითინებდა გერტრუდი, – არაფერიც არ მჭირს, მხოლოდ მწყურია. როგორც კი ცივ წყალს დავლევ, მყისვე კარგად გავხდები.

– იერუსალიმში ამაზე უკეთესი წყლის შოვნა შეუძლებელია, – ნაღვლიანად თქვა ბეტსიმ.

გერტრუდი არ უსმენდა.

– ასე იმიტომაც მიჭირს, რომ ვიცი, აქ კარგი წყალიც არის, – დაიკვნესა მან, – გიფიქრიათ იმაზე, რომ შეიძლება წყურვილით მოვკვდე მაშინ, როცა იერუსალიმში ანკარა წყლით სავსე ჭა არსებობს?!

გაბრიელმა ამ სიტყვების გაგონებაზე განცვიფრებით გადახედა ბეტსის. გოგონამ მხრები აიჩეჩა და თავი გააქნია, თითქოს ამბობდა: „ოჰ, ეს მხოლოდ მისი წარმოსახვის ნაყოფია!“ მაგრამ რადგან

გაბრიელს ისევ გაოცებული სახე ჰქონდა, გოგონა შეეცადა, გერტრუდისთვის ეთქმევინებინა, რას გულისხმობდა.

– არა მგონია, იერუსალიმში ნამდვილად იყოს კარგი წყალი, – თქვა მან.

– უცნაურია, რა ცუდი მეხსირება გაქვს, – მიუგო გერტრუდმა, – ან იქნებ იმ დღეს ჩვენთან ერთად არ იყავი, როცა ის უძველესი ადგილი მოვინახულეთ, სადაც ებრაელების ტაძარი იდგა?

– ჰო, მეც იქ ვიყავი.

– ეს ომარის მეჩეთში არ ყოფილა, – განაგრძო ჩაფიქრებულმა ქალმა, – არა, ეს იმ ლამაზ მეჩეთში კი არ ყოფილა, რომელიც ამ ადგილის შუაგულში დგას, ეს იმ ძველ, დანგრეულ მეჩეთშია, რომელიც კიდეშია. განა არ გახსოვს, რომ იქ ჭა იყო?

– მგონი, მახსოვს, – მიუგო ბეტსიმ, – მაგრამ საიდან იცი, რომ იმ ჭაში უკეთესი წყალია, ვიდრე ქალაქის სხვა ადგილებში?

– წყურვილი მახრჩობს და ლაპარაკი მიჭირს, – დაიჩივლა გერტრუდმა, – ვერ გაიგონე, რა გვითხრა მის იანგმა ამ ჭის შესახებ?

გამშრალი ტუჩებით და ცეცხლმოდებული ყელით ლაპარაკი გერტრუდისთვის მართლაც მტკივნეული იყო, თუმცა ვიდრე ბეტსი პასუხს მოასწრებდა, სნეულმა უკვე დაიწყო იმის მოყოლა, რა იცოდა ჭის შესახებ.

– ეს ჭა ერთადერთია იერუსალიმში, რომელიც არასოდეს შრება, – განაცხადა მან, – ასე კი იმიტომ ხდება, რომ ჭა სამოთხის წყაროდან მარაგდება.

– ნეტავი შენ ან ვინმე სხვა როგორ უნდა დარწმუნდეს, რომ ეს ნამდვილად ასეა? – თქვა ბეტსიმ და ჩაეღიმა.

– ყური დამიგდე, – ძალზე სერიოზულად თქვა გერტრუდმა, – იცი, მის იანგმა მოგვითხრო ღატაკი მეთულუხჩის ამბავი, რომელიც ერთ გვალვიან ზაფხულს ძველ მეჩეთში წავიდა წყლის წამოსაღებად. მან თავისი ციცხვი ჭის თავზე დაკიდებულ თოკზე დაამაგრა და ქვემოთ ჩაუშვა, მაგრამ როდესაც ციცხვი წყალში ჩაიძირა, თოკს მოსწყდა და ჭის ფსკერზე ჩავარდა. ალბათ, ხვდები, რომ კაცს ციცხვის დაკარგვა არ უნდოდა.

– კი, მესმის, – მიუგო ბეტსიმ.

– ჰოდა, ისიც სხვა მეთულუხჩეების მოსაყვანად გაეშურა, რომლებმაც იგი ჭის ჩაბნელებულ ფსკერზე ჩაუშვეს.

გერტრუდი იდაყვს დაეყრდნო და ბეტსის ციებ-ცხელებიანი მზერა მიაპყრო.

– კაცი თანდათან ქვემოთ ეშვებოდა და, რაც უფრო ღრმად ჩადიოდა, მისი განცვიფრებაც მატულობდა, რადგან ჭის ფსკერიდან ზემოთ სინათლე იღვრებოდა, ხოლო როდესაც ბოლოს და ბოლოს მიწაზე დადგა ფეხი, წყალი სადღაც გაქრა და მის ადგილზე წარმტაცი ბაღი გადაიშალა. არც მზე ჩანდა სადმე და არც მთვარე, თუმცა იქაურობას სუსტი, ციმციმა შუქი ისე ანათებდა, რომ მეთულუხჩე ყველაფერს გარკვევით ხედავდა. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ აქ თითქოს ყველაფერს ეძინა: ყვავილებს ჯამები დაეკეცათ, ხის ფოთლები ძირს იყო ჩამოკიდებული, ბალახი კი – მიწაზე დაწვენილი. გოლიათ ხეებს ერთმანეთს მიყრდნობილებს ეძინათ, ხოლო ჩიტები გაუნძრევლად ისხდნენ ტოტებზე. წითელი ან მწვანე ფერის ნასახიც არსად ჩანდა, ყველაფერი ფერფლისფერი იყო, თუმცა გარშემო მაინც საოცარი სილამაზე სუფევდა.

გერტრუდი ისე დაწვრილებით და მგზნებარედ ლაპარაკობდა, რომ ბეტსიმ ძალაუნებურად ყველაფერი დაიჯერა.

– იმ კაცს რა დაემართა? – იკითხა მან.

– ცოტა ხანს იდგა და ფიქრობდა, ნეტავ სად მოვხვდიო, მერე კი შეეშინდა, თუ დიდხანს შეყოვნდებოდა, მის მეგობრებს, რომელთაც აქ ჩამოუშვეს, მოთმინება არ დაეკარგათ, მაგრამ ვიდრე მათ ზემოთ ააყვანინებდა თავს, ყველაზე დიდ და ლამაზ ხესთან მივიდა, ტოტი შეატეხა და თან წამოიღო.

– არა მგონია, სამოთხის ბაღი ასე მალე დაეტოვებინა, – ღიმილით შენიშნა ბეტსიმ, მაგრამ გერტრუდს თხრობა არ შეუწყვეტია.

– როდესაც მეთულუხჩე მეგობრებთან დაბრუნდა, – განაგრძო ქალმა, – მოუთხრო მათ, რაც ნახა და მოტეხილი ტოტი აჩვენა. და იცით, რა მოხდა? როგორც კი ტოტი ჰაერსა და სინათლეში მოხვდა,

გაცოცხლდა: ფოთლები გაიშალა და ნაცრისფერის ნაცვლად ხასხასა მწვანე გახდა. მეთულუხჩე და მისი მეგობრები ამის დანახვაზე მაშინვე მიხვდნენ, რომ იქ, ქვემოთ ედემის ბაღი იყო, რომელიც იერუსალიმის ქვეშ თვლემს, ვიდრე განკითხვის დღეს ქვესკნელიდან განახლებული სიცოცხლით და ბრწყინვალებით არ ამოვა.

გერტრუდს სუნთქვა გაუჭირდა და ბალიშზე დაეშვა.

– ძვირფასო, ეტყობა, ამდენმა ლაპარაკმა დაგღალა, – უთხრა ბეტსიმ.

– ამდენი იმიტომაც ვილაპარაკე, რომ მიმხვდარიყავი, რატომ არის იმ ჭაში კარგი წყალი, – ამოიოხრა გერტრუდმა, – თანაც მოსაყოლი ბევრი აღარაფერი დარჩა. ალბათ, გესმის, რომ არავინ დაუჯერებდა ადამიანს, რომელიც ამბობდა, სამოთხეში ვიყავიო, ის ტოტი რომ არ წამოეღო. ეს ხე კი სრულიად არ ჰგავდა აქამდე ნაცნობ არც ერთ ხეს, ამიტომაც მეთულუხჩის მეგობრებმა მყისვე გადაწყვიტეს, ჭის ფსკერზე ჩასულიყვნენ სამოთხის სანახავად, მაგრამ ჭაში წყალი დახვდათ და, თუმცა ღრმად ჩაყვინთეს, ფსკერამდე მაინც ვერ ჩააღწიეს.

– ესე იგი, სამოთხე სხვას აღარავის უნახავს? – ჰკითხა ბეტსიმ.

– არა, აღარავის და იმ დღიდან მოყოლებული, ჭა არასოდეს დამშრალა, უამრავი ადამიანი ცდილობდა ჭის ფსკერამდე ჩაღწევას, მაგრამ ეს ვერავინ მოახერხა.

გერტრუდმა ღრმად ამოიოხრა და ისევ თავიდან წამოიწყო:

– მომისმინე, ხომ იცი, ვიდრე ცოცხლები ვართ, სამოთხეს ვერ ვიხილავთ.

– ჰო, ასეა, – დაუდასტურა ბეტსიმ.

– თუმცა ჩვენთვის მთავარი იმის ცოდნაა, რომ ის არსებობს, მიძინებულია და ჩვენ გველოდება.

– მართალი ხარ.

ახლა ხომ გესმის, ბეტსი, რომ იმ ჭაში ანკარა წყალია, რომელიც სამოთხის წყაროებიდან მოდის.

– ძვირფასო, ნეტავ შემეძლოს იმ წყლის მოტანა, ასე რომ გენატრება! – უთხრა ბეტსიმ და სევდიანად გაუღიმა.

სწორედ მაშინ, როდესაც ბეტსიმ ეს სიტყვები წარმოთქვა, კარი მისმა ერთ-ერთმა უმცროსმა დამ შემოაღო და ხელი დაუქნია.

– ბეტსი, დედა ავად გახდა, წევს და შენ გეძახის, – თქვა ბავშვმა.

ბეტსი შეცბუნებული ჩანდა, არ იცოდა, როგორ მიეტოვებინა გერტრუდი, მაგრამ გადაწყვეტილება უმალ მიიღო და გაბრიელს მიუბრუნდა, რომელიც კვლავ კართან იდგა.

– შეგიძლია, გერტრუდთან დარჩე და ჩემს დაბრუნებამდე თვალი ადევნო? – იკითხა მან.

– ჰო, – მიუგო გაბრიელმა, – ისე მივხედავ, როგორც საჭირო იქნება.

– შეეცადე, წყალი დაალევინო, იქნებ თავიდან ამოიგდოს აზრი, რომ წყურვილისგან მოკვდება! – წასჩურჩულა ბეტსიმ გასვლის წინ.

გაბრიელი საწოლთან, ბეტსის ადგილზე ჩამოჯდა. გერტრუდს, ეტყობა, არ აღელვებდა, გაბრიელი იჯდა იქ თუ ბეტსი; კვლავ სამოთხის ჭაზე ლაპარაკობდა, იწვა და აღწერდა, როგორი ანკარა და მაცოცხლებელი წყალი შეიძლებოდა იქ ყოფილიყო.

– იცი, გაბრიელ, ბეტსი ვერ დავარწმუნე, რომ იმ ჭის წყალი ქალაქის სხვა წყალზე უკეთესია, – დაიჩივლა ქალმა, – ამიტომაც არაფერს აკეთებს მის საშოვნელად.

გაბრიელი ღრმად ჩაფიქრდა.

– აი, ვზივარ ახლა და სწორედ იმაზე ვფიქრობ, უნდა წავიდე თუ არა იმ წყლის მოსატანად, – თქვა მან.

შეძრწუნებულმა გერტრუდმა სახელოში ჩაავლო ხელი გაბრიელს, რომ არ გაეშვა.

– ოჰ, არა, ამაზე არც იფიქრო, მე მხოლოდ ბეტსის ვეწუწუნებოდი იმიტომ, რომ ძალიან მომწყურდა. კარგად ვიცი, რომ არ შეუძლია სამოთხის ჭიდან წყალი მომიტანოს. მის იანგმა გვითხრა, რომ მუსულმანები ჭას წმინდა ადგილად თვლიან და არც ერთ ქრისტიანს არ აძლევენ უფლებას, იქიდან წყალი წამოიღოს.

გაბრიელი ცოტა ხანს ჩუმად იჯდა, თუმცა განზრახვაზე ხელი არ აუღია.

– ხომ შემიძლია, მუსულმანივით გამოვეწყო, – შესთავაზა მან გერტრუდს.

– ნუ ფიქრობ ამაზე, – სთხოვა ქალმა, – ეს მართლაც უგუნური საქციელია.

მაგრამ გაბრიელი გეგმაზე ხელის აღებას არ აპირებდა.

– თუ იმ მოხუც მეწაღეს დაველაპარაკები, კოლონიაში რომ ზის და ჩვენს ფეხსაცმელებს აკერებს, მგონი, ტანსაცმელს მათხოვებს, – განაცხადა მან.

გერტრუდი დაფიქრდა.

– მეწაღე აქ არის? – იკითხა მან.

– კი, აქ არის, – მიუგო გაბრიელმა.

– ჰო, აბა რა, აქ მაინც არ ყოფილიყო. – ამოიოხრა გერტრუდმა.

– ალბათ, ნასადილევს სჯობს წასვლა, მზის დარტყმას მაინც არ მივიღებ. – თქვა გაბრიელმა.

– კი მაგრამ, არ გეშინია? იცოდე, თუ გიცნობენ და მიხვდებიან, რომ ქრისტიანი ხარ, ცოცხალს არ გაგიშვებენ.

– სულაც არა, მთავარია, წითელი ფესი და თეთრი ჩალმა მეხუროს, ფეხზე გაცვეთილი, ყვითელი ფლოსტები მეცვას და ხალათიც მეთულუხჩესავით მქონდეს შეკრული.

– წყალს რითი წამოიღებ?

– ჩვენს ორ დიდ სათლს წავიღებ და სამხრეზე ჩამოვკიდებ. – თქვა გაბრიელმა.

ბიჭს მოეჩვენა, რომ გერტრუდს სიცოცხლის ხალისი შემატა იმ აზრმა, რომ ის წყლის მოსატანად მიდიოდა, თუმცა ქალი სულ ახალ-ახალ სიძნელეებზე ელაპარაკებოდა. ამავე დროს ანაზდად იმასაც მიხვდა, რა შეუძლებელი საქმე წამოიწყო. „არ შემიძლია წყლის მოტანა მეჩეთიდან, რომელსაც მუსულმანები ისეთ სიწმინდედ თვლიან, რომ ქრისტიანებს იქ ფეხსაც არ ადგმევინებენ!“ ფიქრობდა გაბრიელი. „როგორც არ უნდა მინდოდეს ამის გაკეთება, ჩემს კოლონიელ ძმებს ასე არ უნდა მოვექცე! თანაც ამაოდ გავირჯები, რადგან იმ სამოთხის ჭაში, ალბათ, ისეთივე უვარგისი წყალია, როგორიც სხვაგან.“

ამ ფიქრებში იყო გართული, როცა გერტრუდის ნათქვამმა გამოაფხიზლა:

– დღის ამ დროს, ალბათ, გზაზე ცოტა ხალხი დადის.

„რა თქმა უნდა, ჩემს წასვლას ელოდება,“ გაიფიქრა გაბრიელმა, „მის თვალში ახლა ყველაზე უკეთესი ვარ! თვითონ გერტრუდიც ისეთი გახალისებულია, ვერ გავბედავ თქმას, რომ ეს უგუნური საქციელია.“

– ჰო, მართალია, – ყოყმანით დაუდასტურა გაბრიელმა, – ჩემთვის უკეთესი იქნება, თუკი დამასკოს კარიბჭემდე კოლონისტებიდან არავის გადავეყრები.

– რა, წასვლას აგიკრძალავენ? – შეშფოთებით იკითხა გერტრუდმა. გაბრიელი სწორედ რაღაც იმგვარის თქმას აპირებდა, რაც განზრახვაზე ხელს ააღებინებდა, მაგრამ ქალის შეშინებული სახის დანახვაზე გულმა ვერ გაუძლო.

– არა, ვერ ამიკრძალავენ, – მხიარულად წარმოთქვა მან, – ის კი არადა, მეთულუხჩის ტანისამოსში და მხარზე სათლებგადაკიდებულს ვერც კი მიცნობენ.

გერტრუდი ცოტა დამშვიდდა და მყისვე ახალი საზრუნავი გაუჩნდა.

– უი, ეგ სათლები მართლა ასეთი დიდებია? – იკითხა მან.

– აბა, რა, დამიჯერე, იმხელებია, ამ სათლებით მოტანილი წყალი კარგა ხანს გეყოფა.

გერტრუდი ცოტა ხანს წყნარად იწვა, თუმცა გაბრიელს ისეთი თვალებით შესცქეროდა, თითქოს საუბრის გაგრძელებას სთხოვდა და მანაც წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

– დამასკოს კარიბჭეს რომ გავცდები, უარეს დღეში ჩავვარდები, – თქვა მან, – არ ვიცი, ბრბოში გზას როგორ გავიკვლევ.

– ჰო, მაგრამ იქ ხომ სხვა მეთულუხჩეებიც იქნებიან, – დაბეჯითებით წარმოთქვა გერტრუდმა.

– ასეა, თუმცა იქ მარტო ხალხი კი არა, აქლემებიც იქნება, – მიუგო გაბრიელმა, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, ხელისშემშლელი მიზეზები ეპოვა.

– შენ გგონია, ამის გამო იქ დროზე ვერ მიხვალ? – შიშით იკითხა სნეულმა.

გაბრიელს ახლაც იგივე დაემართა, რაც ცოტა ხნის წინ – ვერ გაბედა გერტრუდისთვის იმის თქმა, რომ მათი ჩანაფიქრის შესრულება შეუძლებელი იყო.

– წყლით სავსე სათლებით რომ მივდიოდე, მოცდა მომიწევდა, მაგრამ ცარიელებით, ალბათ, აქლემებს შორის იოლად გავძვრები.

გაბრიელი ისევ დადუმდა. მაშინ გერტრუდმა თავისი გაძვალტყავებული ხელები გამოიწოდა და კაცს ხელზე გადაუსვა.

– რა კეთილი ხარ, ჩემ გამო წყლის მოსატანად რომ მიდიხარ, – ნაზად თქვა მან.

„ნეტავ რა მემართება, ვზივარ აქ და ჩავაგონებ, რომ ამის გაკეთება შემიძლია.“ ფიქრობდა გაბრიელი, მაგრამ რადგანაც გერტრუდის ხელები ისევ ეალერსებოდა მისას, იმის მოყოლა დაიწყო, რა გზის გავლა მოუწევდა.

– მაშ, ჯერ სულ პირდაპირ მივდივარ, ვიდრე ვია დოლოროზამდე არ მივაღწევ, – თქვა მან.

– ჰო, იქ ბევრი ხალხი არასოდეს დადის, – ხალისიანად ჩაურთო გერტრუდმა.

– არა, იქ ერთი-ორი ბებერი მონაზვნის გარდა ვერავის შევხვდები, – დაუდასტურა გაბრიელმა, – სერალამდე და საპყრობილეებამდე დაუბრკოლებლად შემიძლია ჩავიდე.

აქ გაბრიელი ისევ დადუმდა, გერტრუდი კი კვლავ ჩუმად ეფერებოდა ხელზე, თითქოს უხმოდ ევედრებოდა, უკან არ დაიხიოო. „მგონი, მას შემდეგ, რაც დავპირდი, წყალს მოგიტან-მეთქი, წყურვილი ისე აღარ აწუხებს.“ გაიფიქრა გაბრიელმა, „უნდა ვუთხრა, ამას როგორ მოვახერხებ.“

– ქვევით, ციხეებთან, ალბათ, ჩხუბსა და აყალმაყალში მოვხვდები, – თქვა მან, – ჰოდა, როგორც ხდება ხოლმე, პოლიციელიც მოვა და ქურდს ციხეში მიაბრძანებს, მაგრამ იქ ყოველთვის რჩება ბრბო და მომხდარზე ჭორაობს.

– შენ კი საჩქაროდ ჩაუვლი მათ გვერდით და გზას განაგრძობ, არა? – მოუთმენლად ჰკითხა გერტრუდმა.

– არა, ასე რომ მოვიქცე, მაშინვე მიხვდებიან, რომ მეთულუხჩე არა ვარ, შევჩერდები და მოვუსმენ, გავიგებ, რა ხდება.

– რა ჭკვიანი ხარ, გაბრიელ! – აღტაცებით წამოიძახა ქალმა.

– როდესაც ყველა გაარკვევს, რომ ქურდის შესახებ ახალს ვეღარაფერს შეიტყობენ, ბრბო დაიშლება და მეც გზას განვაგრძობ. მხოლოდ ბნელი თაღის გავლა დამრჩება და უკვე მეჩეთის ეზოში აღმოვჩნდები, მაგრამ ამ დროს უეჭველად შუა ქუჩაში მძინარე რომელიმე ბავშვს გადავაწყდები, ვინმე ბიჭუნა კი ფეხს დამიდებს, წავბორძიკდები და შვედურად ლანძღვას მოვყვები. რასაკვირველია, ძალიან დავფრთხები და ბავშვებისკენ მზერას გავაპარებ, რათა დავრწმუნდე, რომ არაფერი შეუნიშნავთ. თუმცა ისინი კვლავინდებურად გულგრილები და გაძვალტყავებულები გორაობენ მტვერში.

გერტრუდს ხელი ისევ გაბრიელის ხელზე ედო და კაცმა იგრძნო, როგორ აუჩუყდა გული. „გუნჰილდს, ალბათ, მოეწონებოდა, რომ მის მეგობარს ასე ვეხმარები,“ გაიფიქრა მან, ასე ეგონა, ბავშვს ზღაპარს უყვებოდა და გადაწყვიტა, თავისი მონათხრობი უფრო მეტი თავგადასავლით შეელამაზებინა „მოდი, ახლა ყველაფერს გავაკეთებ მის გასახალისებლად,“ გაიფიქრა მან, „მერე კი რამენაირად ვეცდები, ამ ამბავს თავი დავაღწიო.“

– ჰოდა, მეჩეთის მზის სხივებით განათებულ ფართო ეზოში რომ შევალ, – განაგრძო მან, – მინდა გითხრა, რომ თავდაპირველად შენც დამავიწყდები, ჭაც და შენთვის მოსატანი წყალიც.

– მითხარი, თუ ღმერთი გწამს, რა შეგემთხვევა? – ჰკითხა გერტრუდმა და გაუღიმა.

– არაფერიც არ შემემთხვევა, – დარწმუნებით მიუგო გაბრიელმა, – უბრალოდ, იქ იმდენი სინათლე, სილამაზე და სიმშვიდეა და ისე არ ჰგავს იმ ჩაშავებულ ქალაქს, საიდანაც მოვდივარ, რომ მხოლოდ უძრავად დგომა და მიდამოს თვალიერება მომინდება. სანახავი კი იმდენი რამ არის: ომარის უმშვენიერესი მეჩეთი, რომელიც ბორცვის შუაგულში დგას, უამრავი პავილიონი და ჭიშკარი, ხვეული კიბე და დახურული ჭა. თანაც რამდენი რამ მომაგონდება! როდესაც გავიფიქრებ, რომ ებრაელთა უძველესი ტაძრის ეზოში ვდგავარ, სურვილი გამიჩნდება, რომ ქვის დიდი ფილები, მიწას რომ ფარავენ, ამეტყველდნენ და ყველაფერი მომითხრონ, რაც იქ მომხდარა.

– კი მაგრამ, განა ასე უცხოსავით დგომა და იქაურობის თვალიერება სახიფათო არ არის? – იკითხა

სნეულმა.

„ალბათ, გერტრუდს უნდა, სწრაფად დავბრუნდე და წყალი მოვუტანო,“ გაიფიქრა გაბრიელმა, „უცნაურია, ასე რატომ განიცდის. თითქოს მართლაც სჯერა, რომ სამოთხის ჭისკენ მიმავალ გზას ვადგავარ.“

სინამდვილეში კი ამ ამბავმა გაბრიელზეც იმოქმედა. იგი ისე გაიტაცა საკუთარმა მონათხრობმა, რომ მეჩეთის ეზო თვალწინ დაუდგა, ხოლო თავგადასავლებზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს მართლაც გადახდენოდა თავს.

– არა, იქ დიდხანს გაჩერებას სულაც არ ვაპირებ, ჯერ ომარის მეჩეთს ჩავუვლი, მერე – იმ დიდ, შავ კვიპაროსებს, სამხრეთ კიდეზე რომ დგას, შემდეგ დიდ აუზთან უნდა გავიარო, რომელიც როგორც ამბობენ, სოლომონის ტაძრის სპილენძის აბაზანაა, და ყველგან, საითაც არ უნდა გაიხედო, ქვის ფილებზე გაშოტილ და მზეს მიფიცხებულ ადამიანებს დავინახავ – მოთამაშე ბავშვებს, მძინარე უსაქმურებს, დერვიშს, მიწაზე რომ დამჯდარა და გარშემო მოწაფეები შემოუსხამს, წინ და უკან ირხევა და მათ რაღაცას უყვება. როდესაც მას ვუყურებ, არ შეიძლება ჩემთვის არ გავიფიქრო, რომ ოდესღაც, ალბათ, იესოც სწორედ ასე იჯდა ამ ეზოში და თავის მოწაფეებს მოძღვრავდა. ამ ფიქრებში ვარ გართული, როცა დერვიში თავს სწევს და მაშტერდება. შენ შეიძლება გეგონოს, რომ დავფრთხები. მას დიდი, შავი თვალები აქვს და გამსჭვალავად მიყურებს.

– ხომ შეიძლება, ვერ მიხვდეს, რომ ნამდვილი მეთულუხჩე არა ხარ? – თქვა გერტრუდმა.

– არა, ალბათ, ჩემი დანახვა არ გაუკვირდება, თუმცა მალე ნამდვილ მეთულუხჩეებს წავაწყდები, რომლებიც ჭიდან წყალს ეზიდებიან. ისინი მეძახიან, მე მივბრუნდები და ვანიშნებ, რომ მეჩეთში მივდივარ. ჰოდა, ჩემს უკან სიჩუმე ჩამოვარდება.

– რა მოხდება, თუ მიხვდებიან, რომ მუსულმანი არა ხარ?

– ერთხელაც მოვტრიალდები და მათ თვალს გავაყოლებ. ისინი ჩემკენ ზურგშექცევით დგანან და ლაყბობენ.

– ალბათ, რაღაც ისეთი დაინახეს, რამაც შენზე უფრო დააინტერესა.

– ჰო, ალბათ.

– და აი, ბოლოს და ბოლოს, ელ აქსას ძველ მეჩეთამდე მივაღწევ, სადაც სამოთხის ჭაა, – განაგრძო გაბრიელმა, – შემდეგ ჭიშკართან სწორედ იმ ორ სვეტს ჩავუვლი, რომლებიც ისე ახლო-ახლოს დგას. ხომ იცი, ამ სვეტებზე რასაც ამბობენ: ვინც მართლმორწმუნე არ არის, მათ შორის ვერ გაივლისო. ჰო, – ვამბობ ჩემთვის, – დღეს, როცა წყლის მოსაპარავად ვარ მოსული, ნამდვილად არ შევეცდები ამ სვეტებს შორის გავლას.

– მასე ნუ ფიქრობ! – წამოიძახა გერტრუდმა. – ეს საუკეთესო რამ არის, რაც ცხოვრებაში გაგიკეთებია.

ქალი ბედნიერი მოლოდინით აღსავსე უსმენდა. ისეთი ცხელება ჰქონდა, რომ ტყუილ-მართალს ვეღარ არჩევდა და უკვე სრულიად დარწმუნებული იყო, რომ გაბრიელს სამოთხის ჭიდან წყალი წამოეღო და უკან ბრუნდებოდა.

– მერე ფლოსტებს ვიხდი და ელ აქსას მეჩეთში შევდივარ, – განაგრძობდა გაბრიელი, ფიქრობდა, ეს ამბავი რა იოლად შევთხზეო, მაგრამ გერტრუდი ძალიან ებრალებოდა და ამიტომაც სიტყვები თავისთავად სწყდებოდა ბაგეებს. ერთადერთი, რაც აწუხებდა, ის იყო, რომ ბოლოს გერტრუდისთვის უნდა გაემხილა, რომ სინამდვილეში მისთვის წყლის შოვნა არ შეეძლო. – როგორც კი შიგნით შევალ, მარცხნივ მაშინვე დავინახავ ჭას, რომელიც სვეტებით არის გარშემორტყმული. ჭასთან ოწინარი დგას კაუჭიანი თოკით და შიგ სათლების ჩაშვება და წყლით გავსება სულ იოლი საქმეა. მინდა გითხრა, რომ ამ ჭიდან ამოღებული წყალი სუფთა და კამკამაა. ვიდრე სათლებს ვავსებ, ჩემთვის ვფიქრობ, როგორც კი გერტრუდი ამ წყალს დაინახავს და გემოს გაუსინჯავს, მაშინვე გამოჯანმრთელდება-მეთქი.

– ჰო, ახლა კი მალე დაბრუნდები შინ და წყალსაც მოიტან! – თქვა გერტრუდმა.

– ოღონდ ახლა ისე მშვიდად ვერ ვიქნები, როგორც იქ მისვლისას, – უპასუხა გაბრიელმა, – ახლა ხომ წყალი მომაქვს და მისი დაკარგვის მეშინია. ჭიშკრისკენ უფრო შეშინებული მივდივარ და მეჩვენება, რომ ყვირილი და შეძახილები მესმის.

– ოჰ, რა შეიძლება გზაში შეგემთხვეს? – ჰკითხა გერტრუდმა და გაბრიელმა შენიშნა, რომ ქალს შიშისგან ფერი აღარ ედო, გადაწყვიტა, ამბის დასრულების დრო დადგაო და წამოიძახა:

– გზაში რა შემემთხვევა? გეტყვი, მთელი იერუსალიმი ფეხზე დადგება.

კაცმა წამით სუნთქვა შეიკავა, რათა განცვიფრება და შიში გამოეხატა.

– ჰო, ყველანი ფეხზე დგანან – ყველა, ვინც ქვის ფილებზე იწვა და ისვენებდა, ახლა ელ აქსას მეჩეთთან დგას და გაჰყვირის, ხმაურზე კი ხალხი ყოველი მხრიდან მოაწყდება. ომარის მეჩეთიდან დიდ ჩალმასა და მელიის ქურქში გამოწყობილი წინამძღვარი მოიჩქარის, შესასვლელებიდან ბავშვები მორბიან, ეზოს ყოველი კუთხიდან კი მათხოვრები მოდიან, რომლებსაც იქვე ეძინათ. მოღერებული მუშტების, მყვირალა პირების და აღმართული მკლავების გარდა ვეღარაფერს ვხედავ, ყავისფერზოლებიანი მოსასხამების, ჰაერში მოფრიალე სამოსის, წითელი სარტყლებისა და მიწაზე მოფრატუნე ყვითელი ფლოსტებისაგან თვალები მიჭრელდება.

ამ ამბის მოყოლისას გაბრიელმა გერტრუდს გახედა. ქალი არაფერს ეკითხებოდა, თუმცა გაფაციცებით უსმენდა და მღელვარებისაგან საწოლიდან წამოიწია კიდევაც.

– მათი შეძახილებიდან არც ერთი სიტყვა არ მესმის, – განაგრძო გაბრიელმა, – თუმცა იმას კი ვხვდები, რომ ძალიან გაჯავრებულები არიან, რადგან ქრისტიანმა სამოთხის ჭიდან წყლის წამოღება გაბედა.

გაფითრებული გერტრუდი ისევ ბალიშზე დაეშვა.

– ჰო, მესმის, რომ ჩემთვის წყლის მოტანა არ შეგიძლია, – ყრუდ წარმოთქვა მან.

გაბრიელი სწორედ იმის აღწერას აპირებდა, თუ როგორ მიაგდებდა სათლებს და თავს უშველიდა, მაგრამ როგორც კი გაიფიქრა, რა ულმობელი და სასტიკი ცხოვრება ელოდა ისეთ გულკეთილ და სათუთ არსებას, როგორიც გერტრუდი იყო, იგრძნო, რომ თავად მაინც უნდა გამოეჩინა სიკეთე მის მიმართ. „დარწმუნებული ვარ, შევძლებ ამბის ისე დასრულებას, რომ როგორღაც გერტრუდს სამოთხის ჭის წყალი მოვუტანო,“ – გაიფიქრა მან.

– ისინი წყალს წაგართმევენ? – ჰკითხა გერტრუდმა.

– არა, ჯერ მხოლოდ დგანან და ყვირიან. ხეირიანად თავადაც არ იციან, რა უნდათ.

გაბრიელი წამით დადუმდა. არც თვითონ იცოდა, როგორ დაეღწია თავი ამ გასაჭირიდან, მაგრამ ამ დროს გერტრუდი მიეშველა.

– იმედი მქონდა, ის კაცი გადაგარჩენდა, მოწაფეებს რომ ესაუბრებოდა.

გაბრიელმა ღრმად ამოიხვნეშა.

– არა, მაინც როგორ მიხვდი?! – წამოიძახა მან და თხრობა განაგრძო:

– ვხვდები, რომ მელიის ლამაზ ქურქში გამოწყობილი მეჩეთის წინამძღვარი ხალხს რაღაცას უბრძანებს, ჰოდა, რამდენიმე კაცი ქამრებიდან ხანჯლებს იძრობს და თავს მესხმის. ეტყობა, ჩემთვის ბოლოს მოღებას აპირებენ. საოცარია, მაგრამ საკუთარ სიცოცხლეს კი არ ვუფრთხილდები, მხოლოდ იმის მეშინია, წყალი არ დაღვარონ, ამიტომ ვიდრე ჩემკენ მორბიან, სათლებს მიწაზე ვაწყობ და წინ ვეფარები. როდესაც კაცები მომიახლოვდებიან, ხელებს ვკრავ და ძირს ვაგდებ. მათ განცვიფრებული სახეები აქვთ. აბა, საიდან უნდა იცოდნენ, რას ნიშნავს დალარნელთან ბრძოლაში ჩაბმა? თუმცა ისინი სწრაფად დგებიან ფეხზე და სხვებიც ემატებიან. იმდენი არიან, რომ უკვე ცხადად ვხედავ საკუთარ დამარცხებას.

– ალბათ, სწორედ მაშინ გამოჩნდება ის დერვიში, – ჩაურთო გერტრუდმა და გაბრიელმაც მყისვე აიტაცა.

– ჰო, იგი ძალიან დინჯად და ღირსეულად გამოდის წინ და ბრბოს რამდენიმე სიტყვას ეუბნება, ხალხი კი მაშინვე წყვეტს მუქარას და თავდასხმას.

– უკვე კარგად ვიცი, მერე რასაც იზამს, – თქვა გერტრუდმა.

– მერე ის ნათელ, მშვიდ მზერას შემავლებს. – თქვა გაბრიელმა.

– კარგი, შემდეგ?

გაბრიელი შეეცადა, რამე ეპასუხა, მაგრამ თავში არაფერი მოსდიოდა.

– შენ ხომ უკვე მიხვდი, რაც მოხდება? – იკითხა მან, რათა გერტრუდი აელაპარაკებინა.

გერტრუდს მთელი სცენა თვალწინ ედგა, ამიტომ წამითაც არ შეყოყმანებულა.

– ის გიბიძგებს, გვერდზე გაგწევს და წყლიან სათლებს დაინახავს, – თქვა მან.

– დიახ, სწორედ ასე მოიქცევა, – კვერი დაუკრა გაბრიელმა.

– ის წყლიან სათლებს უყურებს... – მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა გერტრუდმა, მაგრამ ვიდრე კიდევ რამის თქმას მოასწრებდა, გაბრიელმა, თავისდაუნებურად ქალის აზრები წაიკითხა და მისთვის მყისვე ცხადი შეიქნა, როგორ აპირებდა გერტრუდი მისი თავგადასავლის დაბოლოებას, ამიტომაც მგზნებარედ შეუდგა თხრობას:

– ხომ იცი, გერტრუდ, რომ ელ აქსადან წამოღებული სათლებში მხოლოდ სუფთა წყალი იყო?

– აბა, ახლა რა არის?

– როდესაც ის კაცი სათლებისკენ დაიხრება, წყალში მოტივტივე რამდენიმე ტოტს ვამჩნევ.

– რასაკვირველია, – აღმოხდა გერტრუდს, – სწორედ ასე უნდა მომხდარიყო.

– ნუთუ ვერ ხედავ? ტოტებს შემჭკნარი, მონაცრისფრო ფოთლები ასხია.

– ჰო, ვხედავ, ეგ დერვიში, ეტყობა, სასწაულმოქმედია.

– მართალია, – დაეთანხმა გაბრიელი, – ამასთან კარგი და გულმოწყალე ადამიანია.

– და როდესაც დერვიში ტოტებს სათლებიდან ამოიღებს და მაღლა ასწევს, ფოთლები სწორდება და ხასხასა მწვანე ხდება, – განაგრძობს სნეული.

– ბრბო, რომელიც გაბრიელისთვის ბოლოს მოღებას აპირებდა, გაოცების ყიჟინას დასცემს, ხოლო დერვიში ამწვანებული ტოტებით ხელში მიდის მეჩეთის წინამძღვართან, ჯერ ტოტებზე უთითებს, მერე კი – ჩემზე. ადვილი მისახვედრია, რასაც ამბობს: „ამ ქრისტიანმა სამოთხიდან გაფოთლილი ტოტები ამოიტანა. ნუთუ ვერ ხვდებით, რომ მას ღმერთი მფარველობს? ამ კაცის მოკვლა არ შეიძლება!“ შემედეგ დერვიში ჩემთან მოდის, მოელვარე ტოტები ისევ ხელში უჭირავს. ვხედავ, როგორ ანათებენ ისინი მზეზე და ფერს იცვლიან – ფოთლები ხან სპილენძივით წითელია, ხან კი – ფოლადივით ლურჯი. დერვიში სამხრეების მორგებაში მეხმარება და მანიშნებს, გზა განაგრძეო. მეც, რაც შემიძლია სწრაფად მივდივარ, თუმცა ცდუნებას ვერ ვუძლებ, რომ რამდენჯერმე უკან არ მივიხედო. დერვიში ისევ იმ ადგილზე დგას, ნაირფრად მოხასხასე ტოტებით ხელში, ხალხი კი ჩუმად შესცქერის. ასე დგას, ვიდრე მეჩეთის ეზოს არ გავცდები.

– ღმერთმა დალოცოს! – თქვა გერტრუდმა. ქალი იწვა და გაბრიელს უღიმოდა. – ახლა, ალბათ, ნამდვილად წამოიღებ შინ სამოთხის ჭის წყალს, არა?

– ჰო, – მიუგო გაბრიელმა, – ახლა შინ დაბრუნებაში ხელს ვეღარაფერი შემიშლის.

ამ დროს გერტრუდმა თავი წამოსწია და კაცს მომლოდინე გამომეტყველებით გაუღიმა. „ღმერთო ჩემო! ჰგონია, რომ წყალი აქა მაქვს!“ გაიფიქრა გაბრიელმა. „საშინლად მოვექეცი, რომ ასე მოვატყუე. ნამდვილად მოკვდება, თუ ვეტყვი, რომ წყალი, რომელსაც ასე ნატრობდა, არ მომიტანია.“

აღელვებულმა კაცმა მაგიდიდან სწორედ ის წყლიანი ჭიქა აიღო, რომელიც ბეტსიმ შესთავაზა გერტრუდს და სნეულს გაუწოდა.

– გერტრუდ, არ გინდა სამოთხის წყალს გემო გაუსინჯო? – აკანკალებული ხმით წარმოთქვა მან და განცვიფრებული დარჩა, როცა ქალი წამოჯდა, ჭიქა ორივე ხელით ჩაბღუჯა და ხარბად მოსვა.

– უფალმა გაკურთხოს! – თქვა მან. – ახლა კი, ალბათ, აღარ მოვკვდები.

– ცოტა ხანში კიდევ დაგალევინებ, – შეჰპირდა გაბრიელი.

– მინდა, ეს წყალი სხვა ავადმყოფებსაც დაალევინო, რომ გამოჯანმრთელდნენ, – უთხრა გერტრუდმა.

– არა, – უპასუხა გაბრიელმა, – სამოთხის ჭის წყალი მხოლოდ შენთვის არის, სხვამ არავინ უნდა დალიოს.

– შენ მაინც მოსვი, ნახე, რა კარგია, – შესთავაზა გერტრუდმა.

– კარგი, მოვსვამ, – მიუგო გაბრიელმა, გერტრუდს ჭიქა გამოართვა, ისე შეაბრუნა, რომ მისი ტუჩები იმავე ადგილს შეხებოდა, რომელსაც ახლახან ქალის ბაგე შეეხო და ბოლომდე გამოცალა.

ვიდრე გაბრიელი ჭიქას ისევ მაგიდაზე დადგამდა, გერტრუდი ბალიშზე დაეცა და ბავშვივით ღრმად ჩაეძინა, კაცი კი იდგა და ხან ჭიქას უყურებდა, საიდანაც ის-ის იყო წყალი დალია და ხან – გერტრუდს.

რა მოუვიდა? რატომ იყო ასე საოცრად ბედნიერი იმის გამო, რომ გერტრუდს ჩაეძინა? ან რა იყო ის ძალა, რამაც ეს ამბავი მოაფიქრებინა? და რაც მთავარია: რატომ შეაბრუნა ჭიქა დაუფიქრებლად ისე, რომ მისი ბაგე იმ ადგილს შეხებოდა, საიდანაც ქალმა მოსვა?

9. ინგმარ ინგმარშონი

ერთ კვირადღეს, როცა დალარნელი გლეხები იერუსალიმში წელიწადნახევრის ჩასულები იყვნენ, ისინი სხვა კოლონისტებთან ერთად წირვაზე შეიკრიბნენ. შობა ახლოვდებოდა, მაგრამ ისეთი თბილი და წყნარი დღე იყო, რომ სამრევლო დარბაზის დიდი ფანჯრები გააღეს.

სენკის ერთ-ერთი ფსალმუნის სიმღერისას ჭიშკარზე ზარმა დარეკა. ისე ჩუმად და მორიდებულად გაიჟღარუნა, ფანჯრები რომ ღია არ ყოფილიყო, მის ხმას ვერავინ გაიგონებდა. ერთი ბიჭი, რომელიც შესასვლელთან ახლოს იჯდა, ჭიშკრის გასაღებად გაეშურა, მერე კი ახალმოსული აღარავის გახსენებია.

რამდენიმე წუთში მარმარილოს კიბეზე ვიღაცის მძიმე და ფრთხილი ნაბიჯების ხმა გაისმა. როდესაც სტუმარმა ბოლო საფეხურს მიაღწია, კარგა ხნით შეისვენა. ეტყობოდა, ერთ ადგილას იდგა და ყოყმანობდა, ვიდრე სამრევლო დარბაზის ფართო მისაღების მარმარილოს იატაკზე გამოივლიდა. ბოლოს ხელი კარის სახელურს მოკიდა და ქვევით დასწია, მერე კი კარი ოდნავ შეაღო, თუმცა ჩანდა, შიგნით შესვლას არ აპირებდა.

პირველი ნაბიჯების გაგონებისთანავე დალარნელებმა უნებურად ხმას დაუწიეს, რომ უკეთ მიეყურადებინათ და ახლა ყველას სახე შესასვლელისკენ იყო მიქცეული. რა ნაცნობი იყო მათთვის კარის ასე ფრთხილად გაღება. ერთბაშად დაავიწყდათ, სად იმყოფებოდნენ და ეგონათ, მშობლიურ დალარნაში, ერთ-ერთ სახლში ისხდნენ, თუმცა წამის შემდეგ გონს მოეგნენ და ისევ ფსალმუნების წიგნებს დაუბრუნდნენ.

კარი ნელა და უხმაუროდ გაიღო, მაგრამ ის, ვინც გარეთ იდგა, ჯერ კიდევ არ ჩანდა. კარინ ინგმარშდოთერს და კიდევ რამდენიმეს სახეზე ალმური მოედო, ისინი ცდილობდნენ, აზრი მოეკრიბათ და სიმღერა გაეგრძელებინათ, სხვებმა კი ხმას აუწიეს და ძლიერი ბანი დააგუგუნეს.

ბოლოს, როდესაც კარი კიდევ ცოტათი გაიღო, მაღალი, შეუხედავი კაცი გამოჩნდა, რომელიც ვიწრო ღიობში შემოძვრა. კაცს დარცხვენილი სახე ჰქონდა, იმის შიშით, რომ წირვა არ ჩაეშალა, ნაბიჯის გადადგმა ვეღარ გაბედა და, თავჩაქინდრული და გულხელდაკრეფილი იქვე, პარმაღთან შეჩერდა.

სტუმარს შავი, ძვირფასი მაუდის ტანსაცმელი ეცვა, რომელიც ტანზე ტომარასავით ადგა და ალაგ-ალაგ დანაოჭებულიც იყო. დაჭმუჭვნილი მანჟეტებიდან დიდი, დაკოჟრილი და ძარღვებდაბერილი ხელები მოუჩანდა, ფართო, ჭორფლიანი სახე, სრულიად თეთრი წარბები და მტკიცედ მოკუმული პირი ჰქონდა.

ახალმოსულის შემოსვლისთანავე იუნგ ბიორნი წამოდგა და ასე გააგრძელა სიმღერა. მას სხვა მოხუცმა და ახალგაზრდა დალარნელებმაც მიბაძეს. თავები ჯიუტად ჩაერგოთ წიგნებში და არც ერთი მათგანი არ იღიმებოდა, მხოლოდ დროდადრო თვალს გააპარებდნენ ხოლმე კართან მდგომი კაცისკენ.

სიმღერა უფრო მჭექარედ გაისმა, თითქოს ქარმა ცეცხლი გააღვივაო. ყველაზე მკაფიოდ ინგმარის ოთხი ქალიშვილის წკრიალა ხმები ისმოდა და ისე საზეიმოდ ჟღერდა, როგორც არასოდეს.

ამერიკელები გაოცებით შეჰყურებდნენ დალარნელებს, რომლებიც თავადაც ვერ მიხვდნენ, რომ შვედურად მღეროდნენ.

მეორე ნაწილი

10. ბარბრუ სვენსდოთერი

ახალდაქორწინებული ინგმარ ინგმარშონი ხეირიანად არც დაფიქრებულა იმაზე, რომ ცოლი ჰყავდა. როდესაც იგი გერტრუდს მამულის გამო შორდებოდა, თვალწინ მინდვრები და საოჯახო ნივთები, შენობები და საქონელი წარმოუდგებოდა ხოლმე, რომლებიც მისი გახდებოდა და ცოლი

სათვალავში არც ჩაუგდია. ქორწილის შემდეგაც კი, როცა ცოლ-ქმარი ერთად ცხოვრებას შეუდგა, ინგმარი ისე იქცეოდა, თითქოს ჯერაც ვერ გაეგო, რომ ცოლი ჰყავდა. არასოდეს ადარდებდა ის ამბავი, ქალს ის მოსწონდა ან ენატრებოდა თუ არა. ვერც იმას ამჩნევდა, როგორ უმკლავდებოდა მისი ცოლი ყოველდღიურ საზრუნავს ან როგორ უძღვებოდა ოჯახს. იმდენს ფიქრობდა გერტრუდზე, რომ ცოლი აღარც ახსოვდა, თითქოს იგი რაღაც უსარგებლო ნივთი იყო, მამულს რომ მოჰყვა თან. ქალი თავისთვის ცხოვრობდა, ქმარი კი მის გამო თავს არ იწუხებდა.

თუმცა კიდევ იყო ერთი რამ, რის გამოც ინგმარი ცოლს არაფრად აგდებდა. იგი ზიზღით ეპყრობოდა ქალს, რადგან მან იმ კაცის ცოლობა მოისურვა, რომელიც სხვას ეტრფოდა. „ეტყობა, რაღაც სჭირს," ფიქრობდა იგი, „ასე რომ არ იყოს, მამამისს მისთვის ქმრის ყიდვა ხომ არ დასჭირდებოდა."

ინგმარი ცოლს მხოლოდ მაშინ ამჩნევდა, როდესაც იმ ქალს ადარებდა, რომელსაც დაშორდა. ალბათ, იმასაც ხედავდა, რომ მისი ცოლი ურიგოდ არ გამოიყურებოდა, თუმცა მისი დაკარგული სიყვარულივით მშვენიერი მაინც არ იყო – არც მასავით მსუბუქად დადიოდა, ვერც ხელებს ამოძრავებდა მასავით ლამაზად და არც მასავით დახვეწილი საუბარი შეეძლო. ქალი ჩუმად და მოთმინებით აკეთებდა თავის საქმეს და თითქოს მხოლოდ ამისათვის არსებობდა.

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ინგმარს არ შეეძლო ცოლთან იმაზე საუბარი, რაზეც ყველაზე ხშირად ფიქრობდა. არ შეეძლო გაენდო მისთვის, რომ გამუდმებით მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი აგონდებოდა, რომელიც უცხო ქვეყანაში გადაიკარგა. ამას ვერ გააკეთებდა. ცოლს ვერც იმას ეტყოდა, რომ სულ ღვთის სასჯელს ელოდა, რომელიც სიტყვის გატეხვისთვის თავს უნდა დასტყდომოდა, რომ მამამისის გახსენებისაც ეშინოდა, რომელიც ზეცაში იყო და ეჩვენებოდა, რომ ყველა მას ადანაშაულებდა. ყველა, ვისაც ის ესაუბრებოდა, პატივისცემით ეპყრობოდა, მაგრამ ინგმარი ისეთი დამწუხრებული იყო, რომ ეჭვობდა, როგორც კი ზურგს შემაქცევენ, დამცინიან და ამბობენ, რომ იმ სახელის ღირსი არა ვარ, რომელსაც ვატარებო.

ახლა კი იმის შესახებ მოგითხრობთ, როგორ აღმოაჩინა პირველად ინგმარმა, რომ ცოლი ჰყავდა.

ისე მოხდა, რომ ინგმარი და ბარბრუ სულ რაღაც ორი თვის დაქორწინებულნი იყვნენ, როცა ისინი ცოლის სოფელში მცხოვრებმა ნათესავებმა ქორწილში დაპატიჟეს. წინ გრძელი გზა ედოთ და ცხენის მოსასვენებლად ერთი საათით ფუნდუკში უნდა შეჩერებულიყვნენ. ცუდი დარი იდგა და ცოლი ზემოთ, სტუმრების ერთ-ერთ ოთახში ავიდა მოსასვენებლად. ინგმარმა ცხენს წყალი დაალევინა, შვრია დაუყარა და თავადაც იმ ოთახში ავიდა, სადაც მისი ცოლი გაჩერდა. ბარბრუსთვის არაფერი უთქვამს, უბრალოდ იჯდა და იმაზე ფიქრობდა, როგორ გაუჭირდებოდა უცხო ხალხში გარევა და საკუთარ თავს ეკითხებოდა, შეატყობდა თუ არა მექორწილეებს, რას ფიქრობდნენ მასზე. ამ მტანჯველ ფიქრებში გართულს უცებ თავში გაუელვა, ეს ყველაფერი ჩემი ცოლის ბრალიაო. „მას რომ არ მოენდომებინა ჩემზე დაქორწინება, დღესაც უდანაშაულო ვიქნებოდი. ცდუნებას არ ავყვებოდი და ღირსეული ხალხისთვის თვალებში ჩახედვისაც არ შემრცხვებოდა." ფიქრობდა კაცი.

ინგმარს ადრე არასოდეს უფიქრია, რომ შეიძლებოდა ცოლი შესძულებოდა, თუმცა ახლა სწორედ ეს გრძნობა დაეუფლა, სულ მალე კი სხვა სადარდებელი გაუჩნდა. დარბაზში, რომელიც მათი ოთახის გვერდით იყო, რამდენიმე კაცი შევიდა. როგორც ჩანს, ინგმარი და მისი ცოლი შენიშნეს და მათზე დაიწყეს ლაპარაკი, ფუნდუკს კი ისეთი კედლები ჰქონდა, რომ ოთახში მსხდომებს ყოველი სიტყვა ესმოდათ.

– ნეტავ როგორ შეუძლიათ ასე ყოფნა, – თქვა ერთ-ერთმა კაცმა.

– არ მეგონა, ბარბრუ სვენსდოთერი ოდესმე თუ გათხოვდებოდა, – ჩაურთო მეორემ.

– მახსოვს, როგორ უყვარდა სტიგ ბორიესონი, სამი თუ ოთხი წლის წინ ზაფხულში ბერგერის კარ-მიდამოში რომ მუშაობდა.

ცოლმა გაიგონა, რასაც უცხოები ამბობდნენ და აჩქარებით თქვა:

– განა ჩვენი გამგზავრების დრო არ არის?

მაგრამ ინგმარს არ ესიამოვნა, რომ ვიღაც უცხო კაცები შეიტყობდნენ, ცოლ-ქმარი ოთახში ზის და გვისმენსო და არჩია, მათ წასვლამდე აქედან არ გასულიყო. ისინი კი ბარბრუზე ლაპარაკს განაგრძობდნენ.

– ეგ სტიგ ბორიესონი ღარიბ-ღატაკი იყო და, როგორც კი ბერგერ სვენ პერშონმა შეიტყო, რომ მის ქალიშვილს შეუყვარდა, მაშინვე გააგდო, – თქვა კაცმა, რომელმაც ჩანდა, ეს ამბავი კარგად იცოდა. – მაგრამ ბარბრუ დარდისაგან ისე დაავადმყოფდა, რომ მოხუცი დანებდა და სტიგთან ერთად მღვდელს ეახლა ნიშნობის გამოსაცხადებლად. ყველაზე უცნაური კი ამ ამბავში მაინც ის იყო, რომ

ნიშნობის პირველი გამოცხადების შემდეგ სტიგმა გადაიფიქრა და თქვა, რომ არასოდეს დაქორწინდებოდა. ახლა სვენ პერშონს მოუხდა ქალიშვილის გამო ხვეწნა-მუდარა, რომ სტიგს მისთვის იმედი არ გაეცრუებინა, თუმცა კაცმა შეუბრალებლად განაცხადა, ბარბრუ ისე მეზიზღება, მისი დანახვა აღარ მინდაო, თანაც ხმებს ავრცელებდა, თითქოს იგი არასოდეს ყვარებია და გოგონა თვითონ დასდევდა.

ინგმარს ამგვარი საუბრის მოსმენისა ისე შერცხვა, რომ ცოლისკენ გახედვასაც ვერ ბედავდა. თან იმაზეც ფიქრობდა, რომ ყოველივე ამის მოსმენის შემდეგ იმ დარბაზში გავლას ვერ შეძლებდნენ.

– სტიგი ცუდად მოიქცა, – თქვა ერთ-ერთმა კაცმა, – თუმცა მერე სანანებელი გაუხდა.

– ჰო, ადგა და პირველივე ქალი შეირთო, რომელიც მასზე გათხოვებას დათანხმდა, – მოისმა კაცის ხმა, რომელსაც აქამდე ხმა არ ამოუღია, – ეს მხოლოდ იმიტომ ჩაიდინა, რომ ბარბრუსთვის ეჩვენებინა, არასოდეს შეგირთავო. ცუდი ქალი შეხვდა, ოჯახისთვის სიღატაკისა და უბედურების გარდა არაფერი მოუტანია და სტიგმაც სმა დაიწყო. ჰოდა, ბარბრუ რომ არ ეხმარებოდეს, ახლა ღარიბთა თავშესაფარში თავის ცოლთან ერთად იქნებოდა. ამბობენ, რომ ცოლ-ქმარს სწორედ ის ეხმარება და ტანსაცმელს და საჭმელს აძლევს.

ამის შემდეგ სტუმრებს ბარბრუზე აღარაფერი უთქვამთ და ცოტა ხანში წავიდნენ კიდევაც. ინგმარი ეზოსკენ გაემართა, რომ გასამგზავრებლად მომზადებულიყო და, როდესაც ბარბრუ ქვემოთ ჩამოვიდა და ფორანში ჩაჯდომა დააპირა, კაცმა ხელში აიყვანა. ქალმა იფიქრა, ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთა, კაბა რომ არ დამესვაროსო, სინამდვილეში კი ინგმარს უნდოდა, რამენაირად ეჩვენებინა ცოლისთვის, რომ ებრალებოდა. ის ამბავი, რაც მოისმინა, ძალიან არ ადარდებდა, მხოლოდ ცოლი ეცოდებოდა და მგზავრობისას დროდადრო თავს აბრუნებდა ხოლმე, რომ ცოლისთვის თვალი შეევლო. თურმე ბარბრუ ისეთი დიდსულოვანი ყოფილა, რომ მხარში ამოუდგა ადამიანს, რომელმაც მიატოვა. უცნაური კი იყო, მასაც ხომ ისევე ატკინეს გული, როგორც გერტრუდს.

კარგა მანძილი ჰქონდათ გავლილი, როდესაც ინგმარმა შენიშნა, რომ მისი ცოლი ტიროდა.

– არ ღირს ამის გამო ტირილი, – თქვა მან, – მერე რა მოხდა, სხვა რომ გიყვარს, მეც სხვა მიყვარს.

ინგმარი საკუთარ თავზე გაბრაზდა, ქალს ერთი ალერსიანი სიტყვა როგორ ვერ ვუთხარიო.

გგონიათ, ინგმარს ამ ამბის შემდეგ მაინც აღელვებდა, ისევ ეხმარებოდა თუ არა მისი ცოლი სტიგს? არა, გულშიც არ გაუვლია ქალისთვის ეკითხა, ვინ მოსწონდა ან არ მოსწონდა. თავის ფიქრებში ჩაიძირა და ცოლის არსებობა კვლავ გადაავიწყდა. არც ის აკვირვებდა, რომ ქალი ყოველთვის ჩუმად იყო და ქმარს არაფერში ეწინააღმდეგებოდა, თუმცა ინგმარი ამის საბაბს არც აძლევდა.

ცოლის ასეთმა სიმშვიდემ ინგმარი ბოლოს დაარწმუნა, ქალმა არ იცის, რაც ჩავიდინეო.

შემოდგომის ერთ პირქუშ და ავდრიან საღამოს, როცა ინგმარი და ბარბრუ ექვსი თვის დაქორწინებულები იყვნენ, კაცი შინ დაბინდებისას დაბრუნდა. დარბაზში, სადაც მოსამსახურეებს ეძინათ, კუნაპეტი სიბნელე იყო, პატარა ოთახში კი ღუმელში ცეცხლი ბრიალებდა. ცოლს არ ეძინა და ინგმარს ჩვეულებრივზე უკეთესი ვახშამი გამოუტანა. როდესაც კაცი ოთახში შევიდა, ცოლმა უთხრა:

– ქურთუკი გაიხადე, სულ სველია.

ქალმა ქურთუკი გამოართვა და ცეცხლს მიუშვირა.

– ღმერთო, როგორ დაგისველებია! – თქვა მან. – ნეტავ ხვალამდე როგორ უნდა გავაშრო?

– შეიძლება გავიგო, ასეთ ამინდში სად იყავი? – ჰკითხა ცოლმა ცოტა ხნის შემდეგ.

ბარბრუმ ასეთი რამ პირველად იკითხა. ინგმარი დადუმდა და დაელოდა, მერე რას იტყოდა.

– ხალხი ამბობს, რომ ყოველ საღამოს ქვემოთ, სკოლისკენ მიდიხარ, იქ მდინარის ნაპირას, ქვაზე ჯდები და რამდენიმე საათს გაუნძრევლად ზიხარ.

– ილაპარაკონ რა, – მშვიდად მიუგო ინგმარმა, თუმცა სინამდვილეში უკმაყოფილო იყო, რომ მისი საიდუმლო გამჟღავნდა.

– ჰო, მაგრამ ცოლისთვის ეს არც ისე სასიამოვნო მოსასმენია.

– მართლა? – მიუგო ინგმარმა. – უკეთესს რას უნდა ელოდოს ქალი, რომელიც ქმარს ყიდულობს.

მისი ცოლი იდგა და ქურთუკის სახელოს ამობრუნებას ცდილობდა. ქურთუკი უხეში იყო და

ქალმა დიდხანს იწვალა. ინგმარმა თავი ასწია და ცოლს შეხედა, ნეტავ ჩემს ნათქვამზე რას ფიქრობსო. შენიშნა, რომ ბარბრუს ბაგეზე ღიმილი დასთამაშებდა და, როცა სახელოს ბოლოს და ბოლოს გაუმკლავდა, თქვა:

– არც მე მინდოდა გათხოვება, ასე მამაჩემმა მოინდომა.

ინგმარმა ისევ შეხედა ცოლს, მის მზერას წააწყდა და გაიფიქრა: „ისეთი სახე აქვს, თითქოს იცის, რაც უნდა.“

– არა მგონია, იოლად გაიძულონ რამე.

– მართალია, თუმცა იოლი არც მამაჩემთან ბრძოლაა. მელა ძაღლზე კი არ ნადირობს, ხაფანგს უგებს.

ინგმარმა არაფერი უპასუხა. უკვე თავის ფიქრებში იყო გართული და ხეირიანად არც ესმოდა, ცოლი რას ეუბნებოდა. ბარბრუმ კი გადაწყვიტა, რახან ამდენი რამ ვთქვი, უმჯობესი იქნება, გავაგრძელოო.

– ერთ რამეს გეტყვი, მამაჩემს ყოველთვის ძალიან უყვარდა ინგმარის კარ-მიდამო, სადაც ბავშვობა გაატარა. ყოველთვის ტრაბახობდა ამით და ინგმარის ვაჟიშვილებით. არც ერთი სხვა ადგილის შესახებ ამდენი რამ არ მსმენია და მგონი, აქაურებზე შენზე მეტი ვიცი.

როდესაც ქალი ამ ამბავს ყვებოდა, ინგმარი ადგა, ღუმელთან მივიდა და ცეცხლს ზურგით მიეფიცხა, რომ ცოლის სახე დაენახა.

– მე რაც შემემთხვა, უკვე იცი, – თქვა მან.

– მაგაზე ნუ დარდობ, – სწრაფად თქვა ინგმარმა. რცხვენოდა იმის გახსენებაზე, როგორ იტანჯებოდა მისი ცოლი იმ სასტუმროში.

– უნდა იცოდე, მას შემდეგ, რაც სტიგმა მიმატოვა, მამას შეეშინდა, რომ არავინ მითხოვდა და ყველას ჩემზე დაქორწინებას სთავაზობდა. ამან მალე დამღალა. განა ისეთი რა მჭირდა, რომ მამაჩემს სახვეწრად გაუხდა საქმე, გინდა თუ არა, ცოლად შეირთეო?

ეს თქვა და ინგმარმა შენიშნა, რომ ქალი ოდნავ გასწორდა წელში, ქურთუკი სკამზე მიაგდო და ქმარს თვალებში შეხედა.

– არ ვიცოდი, ამისთვის ბოლო როგორ მომეღო. – განაგრძო მან, – ჰოდა, ერთ დღეს მამას გამოვუცხადე, ინგმარის კარ-მიდამოელი ინგმარ ინგმარშონის გარდა არავის გავყვები ცოლად-მეთქი. როდესაც ამას ვამბობდი, სხვების მსგავსად მეც კარგად ვიცოდი, რომ ინგმარის კარ-მიდამოს მფლობელი ტიმს ჰალვური გახლდათ, შენ კი მასწავლებლის გოგოს, გერტრუდის შერთვას აპირებდი. შეუძლებელს მოვებღაუჭე, რომ ჩემთვის თავი დაენებებინათ. თავდაპირველად მამაც ძალიან შეშფოთდა. „მაშ, ვერასოდეს გათხოვდები,“ – მითხრა მან. „ჰოდა, ძალიან კარგი,“ – ვუპასუხე მე, თუმცა ვხედავდი, რომ მამას ეს აზრი მოეწონა. „სიტყვა სიტყვაა?“ – მკითხა ცოტა ხნის შემდეგ. „ჰო, მამა,“ – მივუგე მე. ხომ ხვდები, გულშიც არ გამივლია, რომ რამეს მოახერხებდა. ეს ისეთივე შეუძლებელი ჩანდა, როგორც მეფეზე გათხოვება.

მომდევნო ორი წელი ხელის მთხოვნელებს აღარ შევუწუხებივარ და ბედნიერი ვიყავი, რომ თავი დამანებეს. მამის დიდ სახლს ვუვლიდი და ყველაფერს ჩემს ჭკუაზე ვაკეთებდი, რადგან მამაჩემი იმ დროს ქვრივი იყო. მაგრამ მაისის ერთ საღამოს მამა გვიან დაბრუნდა შინ, დამიძახა და გამომიცხადა: „ახლა შეგიძლია ინგმარის კარ-მიდამოელ ინგმარ ინგმარშონს გაყვე ცოლად.“ ამის შესახებ ორი წელი სიტყვაც არ დაუძრავს. „შენ კი სიტყვა უნდა შეასრულო. კარ-მიდამო ორმოცი ათას კრონად ვიყიდე.“ „კი მაგრამ, ინგმარს ხომ საცოლე ჰყავს?“ – ვიკითხე მე. „მასზე უკვე აღარ ფიქრობს, რადგან შენს შერთვას აპირებს.“ – მიპასუხა მამამ.

ინგმარი ბარბრუს მონათხრობს უსმენდა და მწარედ ფიქრობდა: „რა უცნაურია, ეს ამბავი გასართობივით ჟღერს. თურმე გერტრუდს მხოლოდ იმიტომ დავშორებივარ, რომ ბარბრუს მამამისთან ერთად ჩემთვის დაეცინა.“

– აღარ ვიცოდი, რა მექნა, – განაგრძო ქალმა, – ისიც მაწუხებდა, რომ მამაჩემმა ჩემ გამო ამდენი ფული დახარჯა. მაშინვე უარის თქმას ვერ შევძლებდი. არც ის ვიცოდი, შენ რა გეშველებოდა, რადგან კარ-მიდამო შენთვის ყველაფერზე ძვირფასი იყო, თანაც მამამ დაიფიცა, რომ თუ ცოლად არ გამოგყვებოდი, კარ-მიდამოს სამხერხაო საზოგადოებას მიჰყიდდა. ამასობაში შინაც ყველაფერი შეიცვალა. მამა მესამედ დაქორწინდა, მე კი საკუთარ სახლში დედინაცვლის ჭკუაზე სიარული სულაც არ მომწონდა. ჰოდა, ვინაიდან მაშინვე არც თანხმობა მითქვამს და არც უარი, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მამაჩემს სურდა. ალბათ, ამ ამბავს სერიოზულად არ მოვკიდებივარ.

– ჰო, – მიუგო ინგმარმა, – ვხვდები, რომ შენთვის ეს ყოველთვის თამაში იყო.

– არ მესმოდა, რას ვაკეთებდი, ვიდრე არ შევიტყვე, რომ გერტრუდი მშობლებს გაეპარა და იერუსალიმში გაემგზავრა, ამის მერე კი მოსვენება დავკარგე. მე ხომ არავის გაუბედურება არ მინდოდა.

– ახლა იმასაც ვხედავ, როგორ იტანჯები, – თქვა ბარბრუმ, – და გამუდმებით ვფიქრობ, რომ ყველაფერი ჩემი ბრალია.

– არა, არა, – უთხრა ინგმარმა, – საკუთარ დანაშაულზე მხოლოდ მე ვაგებ პასუხს. ის მივიღე, რაც დავიმსახურე.

– არ ვიცი, როგორ უნდა შევეგუო იმ აზრს, რომ ასეთი ბოროტება ჩავიდინე, – თქვა ცოლმა. – ყოველ საღამოს ვზივარ და მგონია, რომ არ დაბრუნდები. მგონია, იქ, მდინარის პირას დარჩები. როგორც კი ეზოში ხმაურს მოვკრავ ყურს, მგონია, რომ შენ მოგასვენებენ და იმაზე ვფიქრობ, მერე რა მეშველება. მთელი სიცოცხლე ვერ დავივიწყებ, რომ შენი სიკვდილის მიზეზი გავხდი.

ვიდრე ქალი ლაპარაკით გულს მოიოხებდა, ინგმარს უჩვეულო ფიქრები მოეჯარა. ახლა ისიც დამშვიდდება და განიკურნებაო, გაიფიქრა. ქალი რომ მასზე წუხდა, ესეც არ სიამოვნებდა. ის დრო ერჩივნა, როდესაც ცოლი ისე ჩუმად იყო, რომ მის არსებობას ვერ ამჩნევდა. მისი სადარდებელიღა მაკლდაო, ფიქრობდა, თუმცა მიხვდა, რომ რამე მასაც უნდა ეთქვა.

– ჩემზე ნუ წუხხარ! – თქვა მან. – რაც ჩავიდინე, ისიც მეყოფა.

ქალს ამ სიტყვების გაგონებაზე სახე აელეწა.

რა გულგრილიც უნდა ყოფილიყო ინგმარი ცოლის მიმართ, როცა გაიგო, ქალი როგორ წუხდა, რამდენიმე საღამოს შინიდან არ გასულა. ბარბრუ არ იმჩნევდა, რომ ხვდებოდა, კაცი საღამოებს სახლში რატომაც ატარებდა და, როგორ სჩვეოდა, ჩუმად და მშვიდად იყო. ქალი კარგად ექცეოდა ინგმარის კარ-მიდამოს ყველა ძველ მოსამსახურეს და მათაც ძალიან უყვარდათ. ახლა, როდესაც ინგმარი შინ რჩებოდა და სასტუმრო ოთახში ღუმელს სხვებთან ერთად ეფიცხებოდა, მოხუცი ლისა და კორპ ბენგტი გვერდით უსხდნენ და სულ ხითხითებდნენ. მთელი საღამოები ლაყბობაში გადიოდა და, ინგმარის აზრით, დრო იმაზე სწრაფად გადიოდა, ვიდრე ის ელოდა.

ინგმარმა ორი საღამო გაატარა სახლში, მესამე დღე კვირა იყო. ცოლმა გიტარა მოიტანა და დროის გასაყვანად ამღერდა. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, ვიდრე ქალმა ის სიმღერა არ წამოიწყო, სადაც გერტრუდი ფორანზე დაწოლილი მოჰყავთ. ინგმარმა მეტს ვეღარ გაუძლო, ქუდი დაიხურა და სახლიდან გავარდა. გარეთ წყვდიადი იდგა და ცივი წვიმა ცრიდა, თუმცა ინგმარს სწორედ ასეთი ამინდი უყვარდა. იგი სკოლისკენ დაეშვა, მდინარის პირას, ქვაზე ჩამოჯდა და გერტრუდზე და იმ დროზე დაიწყო ფიქრი, როცა პირობას ასრულებდა და ღირსეული, სამართლიანი ადამიანი იყო. თორმეტი იყო დაწყებული, როდესაც ინგმარი შინ დაბრუნდა. მისი ცოლი ცეცხლის პირას იჯდა და ელოდა. კაცს ეს არ მოეწონა, თუმცა ვიდრე პატარა ოთახში არ შევიდნენ, ცოლისთვის არაფერი უთქვამს.

– ვერ ამიკრძალავ, მაშინ წავიდე და მოვიდე, როცა მინდა, – თქვა მან და ქალმა ხმაზე შეატყო, რომ ქმარი უკმაყოფილო იყო, მაგრამ არაფერი უპასუხა, ასანთს გაკრა და საჩქაროდ შეუდგა სანთლების ანთებას. ინგმარმა ახლაღა შეამჩნია, რომ ბარბრუს სველი და ტალახიანი ტანსაცმელი ეცვა. მან ქმარს ვახშამი გამოუტანა, ღუმელში ცეცხლი დაანთო და ლოგინები გაშალა, სველი ტანსაცმელი კი ტანზე ეკვროდა და ტყლაშუნობდა, თუმცა ვერ იტყოდი, გაჯავრებული ან ნაწყენიაო. „ნეტავ მართლა ისეთი ღვთისმოსავია, რომ არაფერი სწყინს?“ – გაიფიქრა ინგმარმა.

კაცი უეცრად ცოლისკენ შებრუნდა და ჰკითხა:

– შენც რომ ისე მოგქცეოდი, როგორც გერტრუდს მოვექეცი, მაპატიებდი?

ქალმა წამით შეავლო თვალი.

– არა, – მხოლოდ ეს თქვა და თვალები აენთო.

კაცი ჩუმად იჯდა. „რატომ არ მაპატიებდა, იმ სტიგს ხომ აპატია?“ – ფიქრობდა იგი. „ალბათ, იმას გულისხმობს, რომ მე უარესად მოვიქეცი – გერტრუდს ანგარების გამო ვუღალატე.“

რამდენიმე დღის შემდეგ ინგმარმა სატეხი დაკარგა; ყველგან ეძება და ბოლოს ლუდსახარშის საკანში შევიდა. იქ მოხუცი ლისა იწვა, რომელიც ავად იყო, ბარბრუ საწოლთან ეჯდა და ბიბლიას უკითხავდა. უზარმაზარ ბიბლიას თითბრის გარეკანი ჰქონდა და სქელი ტყავით იყო მოკაზმული. ინგმარი წიგნს დააცქერდა, გაიფიქრა, ალბათ, ბარბრუმ შინიდან მოიტანაო და ძებნა განაგრძო, მაგრამ მყისვე მობრუნდა, ცოლს წიგნი გამოართვა და პირველი გვერდი გადაშალა. ახლაღა

მიხვდა, რომ ეს ერთ-ერთი ის უძველესი ბიბლია იყო, რომელიც კარ-მიდამოში ინახებოდა და რომლის აუქციონზე გაყიდვის ნებაც კარინმა დართო.

– ეს აქ საიდან გაჩნდა? – იკითხა კაცმა.

ცოლს ხმა არ ამოუღია და ლისამ უპასუხა:

– განა ბარბრუს შენთვის არ უთქვამს, რომ ბიბლია გამოისყიდა?

– როგორ თუ გამოისყიდა?!

– ამაზე მეტიც გააკეთა, – აღელვებით თქვა ლისამ, – ერთი, წადი და სასტუმრო ოთახის კარადაში შეიხედე.

ინგმარი სწრაფად გავიდა ლუდსახარშიდან და სასტუმრო ოთახის კარადას მიადგა. კარი რომ გამოაღო, თაროზე ორი ძველი თასი დაინახა. თასები გადმოიღო, ამოაბრუნა, რომ მათ ფსკერზე ამოტვიფრული ნიშნები ენახა და დარწმუნდა, რომ ნამდვილად მისი თასები იყო. ოთახში ბარბრუც შემოვიდა და დარცხვენილი იქვე შეჩერდა.

– საბანკო წიგნაკზე ცოტა ფული მქონდა, – ხმადაბლა თქვა მან.

დიდი ხანია, ინგმარი ასეთი ბედნიერი არ ყოფილა. ქალთან მივიდა და ხელი მოკიდა.

– ამისთვის მართლა მადლობელი ვარ, – თქვა მან, მერე წელში გაიმართა და ოთახიდან გავიდა. ცოლის მიმართ სითბოს გამოხატვა უსამართლობად მიაჩნდა. თითქოს გერტრუდის წინაშე ვალდებული იყო, სიყვარული ან ყურადღება არ ეგრძნობინებინა იმ ქალისთვის, რომელმაც მისი ადგილი დაიკავა.

ამ ამბის შემდეგ ერთი კვირა იქნებოდა გასული. ინგმარი ფარდულიდან გამოვიდა და სახლისკენ გაეშურა. ამ დროს ვიღაც კაცმა ჭიშკარი გააღო და ეზოში შემოვიდა. სტუმარი ინგმარს მიესალმა და იკითხა, ბარბრუ სვენსდოთერი შინ არისო?

– მისი ძველი ნაცნობი ვარ, – დაამატა კაცმა.

უცნაური ის იყო, რომ ინგმარი მყისვე მიხვდა, ვინც ეწვია.

– სტიგ ბორიესონი ხარ, არა? – ჰკითხა მან.

– არ მეგონა, აქ ვინმე თუ მიცნობდა, – მიუგო სტუმარმა, – ბარბრუს ორიოდე სიტყვას ვეტყვი და მაშინვე წავალ. ოღონდ ინგმარ ინგმარშონს არ უთხრა, რომ ვიყავი! ალბათ, არ მოეწონება, აქ რომ მოვედი.

– არა, ინგმარს გაუხარდებოდა შენი დანახვა, – თქვა კაცმა, – ალბათ, აინტერესებს, როგორ გამოიყურება ისეთი არამზადა, როგორიც შენ ხარ.

ინგმარი გაცოფებული იყო, რადგან ეს საცოდავი კაცი ისევ აქ ტრიალებდა და ცდილობდა, ხალხი დაერწმუნებინა, რომ ბარბრუ სვენსდოთერს უყვარდა.

– არ ვიცოდი, არამზადას თუ მეძახდნენ, – თქვა სტიგმა.

– არ გეძახდნენ, მაგრამ მე გეძახი, – უპასუხა ინგმარმა და სილა გააწნა.

კაცმა უკან დაიხია, მკვდარივით გაფითრდა და ბრაზისგან სახე მოეღრიცა.

– დამშვიდდი! – თქვა მან. – არც კი იცი, რას აკეთებ. ბარბრუსგან მხოლოდ ფული მინდოდა მესესხა. ჩვენს შორის არაფერი არ ხდება.

ინგმარს ცოტა შერცხვა, რომ ასე გაცხარდა. ვერ გაეგო, ასე რატომ მოიქცა, მაგრამ ამ უბედურის წინაშე მონანიება არ უნდოდა და ამიტომაც გაჯავრებულმა უთხრა:

– გგონია, იმის მეშინია, რომ ბარბრუს უყვარხარ? სილა იმისთვის მიიღე, რომ მოატყუე.

სტიგ ბორიესონი ინგმარს მიუახლოვდა.

– თუ გინდა, რაღაცას გეტყვი, იმიტომ, რომ დამარტყი, – დაისისინა მან, – ახლა რასაც გაიგონებ, გამათრახებაზე უარეს ტკივილს მოგაყენებს. ეტყობა, ძალიან გიყვარს ეგ შენი ბარბრუ, ამიტომაც უნდა გითხრა, რომ ის სორიბაკენელი ცხენებით მოვაჭრის გვარიდან არის.

კაცი იდგა და ელოდა, ინგმარი რა გამომეტყველებას მიიღებდა, თუმცა იგი ცოტათი გაოცებული ჩანდა.

– რისი თქმა გინდა? – ჰკითხა ინგმარმა.

– აჰ, არ იცი, არა? – გაჯავრებით მიუგო სტიგმა, – კეთილი, მაშინ მოგიყვები.

იყო ერთი კაცი, რომელიც ცხენების გაცვლით იყო გატაცებული; გამუდმებით დადიოდა ბაზრობიდან ბაზრობაზე და თავის ცხენებს სხვისაში ცვლიდა, თანაც ცხოველებს ძალიან ცუდად ექცეოდა და მათთვის არაერთი ოინი ჰქონდა მოფიქრებული: ხან ავადმყოფ ცხენებს თეთრ ლაქებს დაახატავდა შუბლზე, რომ ხალხს ვერ ეცნო, ხან ბებერ ჯაგლაგებს ისეთ რამეს აჭმევდა, რომ ვიდრე მათ გაცვლას მოასწრებდა, ნაპატიებ ცხენებს დამსგავსებოდნენ. ყველაზე უარესად კი პირუტყვებს საცდელი დოღის დროს ექცეოდა, როცა ნამდვილი სიშმაგე ეუფლებოდა და ცხენებს ისე ამათრახებდა, რომ ზურგი გადატყავებული ჰქონდათ და იარებიდან გასისხლიანებული ხორცის ნაფლეთები მოუჩანდათ.

ერთხელ კაცმა ბაზრობაზე მთელი დღე ისე გაატარა, რომ ვერც ერთი ცხენის გაცვლა ვერ მოახერხა. ეს ნაწილობრივ იმიტომ მოხდა, რომ ხალხი უკვე იმდენჯერ მოატყუა, მასთან საქმის დაჭერისა ყველას ეშინოდა, ნაწილობრივ კი იმის გამო, რომ ცხენი, რომლის გაცვლასაც იმ დღეს აპირებდა, ისეთი ბებერი და შესაბრალისი იყო, მისი შეძენა არავის უნდოდა. კაცი საცოდავ ჯაგლაგს წინ და უკან დაარბენინებდა ბრბოში და ისე ურტყამდა მათრახს, რომ პირუტყვს ფერდებზე სისხლი ჩამოსდიოდა, მაგრამ რაც უფრო მეტს ცდილობდა, ხალხი მასთან შევაჭრებას მით უფრო უფრთხოდა.

საღამოსკენ კაცი, ეტყობა, მიხვდა, რომ იმ დღეს აღარაფერი გამოუვიდოდა. შინ დაბრუნებამდე გადაწყვიტა, უკანასკნელად ეცადა ბედი და ისეთი საშინელი სისწრაფით გააჭენა ცხენი ბაზრის მოედანზე, შეკრებილებს ეგონათ, იქაურობა დაიქცეოდა. შუაგულ რბოლაში მოვაჭრემ ვიღაც კაცს მოჰკრა თვალი, რომელიც ლამაზ, ახალგაზრდა შავრა ცხენზე ამხედრებულიყო და მასავით სწრაფად მიაჭენებდა, ოღონდ შოლტის და მათრახის გარეშე.

მოვაჭრემ გაჩერება და ფორნიდან ჩამოსვლაც ვერ მოასწრო, რომ მასთან იმ კარგი ცხენის პატრონი მივიდა. დაბალი და დაძარღვული იყო, გალეული სახე და ნიკაპზე წაწვეტებული წვერი ჰქონდა. შავი ტანსაცმელი ეცვა და მოვაჭრე ვერც ქსოვილით და ვერც თარგით ვერ მიხვდა, რომელი მრევლიდან იყო.

ცხენებით მოვაჭრემ მალე შეატყო, რომ გლეხი კარგა ჩერჩეტი იყო. მოვაჭრეს უთხრა, შინ ყავისფერი ცხენი მყავს და მინდა, ეს შავი ცხენი გავცვალო, რომ ორივე ერთნაირი იყოსო. „შენი ცხენი სწორედ იმ ფერისაა, მე რომ მჭირდება,“ – თქვა მან, „მინდა, ჩემი გახდეს, სხვა რამეშიც გამომადგება. ოღონდ რიგიანად უნდა მომექცეთ და ცუდი ცხენი არ შემომატყუოთ, რადგან ამქვეყნად ყველაფერზე ნაკლებად ცხენით ვაჭრობისა გამეგება.“

ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ ცხენით მოვაჭრემ თავისი ჯაგლაგი გლეხს მისცა და სამაგიეროდ მისი შავრა ცხენი მიიღო. ასეთი დიდებული ბედაური თავის სიცოცხლეში არასოდეს შეუკაზმავს. „არ მახსოვს, დღე ასე ცუდად დაწყებულიყო ჩემთვის და ასე კარგად დამთავრებულიყო.“ – თქვა მან, როდესაც შინ დასაბრუნებლად ფორანში ჩაჯდა.

წინ დიდი გზა არ ედო და ახლად დაბინდებული იყო, სახლს რომ მიაღწია. ჭიშკარში შესვლისთანავე დაინახა მეგობრები – სხვადასხვა სოფლების ცხენებით მოვაჭრეები, რომლებიც მის ქოხთან იდგნენ და ელოდნენ. ისინი კარგ გუნებაზე იყვნენ და, როცა კაცი ეზოში შემოვიდა, ყვირილით, შეძახილებით და თავაწყვეტილი ხარხარით შეეგებნენ.

„ასე რამ გაგამხიარულათ, ბიჭებო?“ – იკითხა მოვაჭრემ და სადავეებს მოსწია.

„რამ და, შენ გელოდებოდით, რომ გვენახა, როგორ შემოგასაღა იმ გლეხმა თავისი ბრმა კვიცი. ბაზრობაზე მიმავალს გადავეყარეთ და დაგვენიძლავა, რომ გაგაცურებდა.“

მოვაჭრე ფორნიდან გადმოხტა, ცხენს წინ დაუდგა და მათრახის ტარით თვალებს შუა ძლიერად უთავაზა. ცხოველი დარტყმის ასარიდებლად არც განძრეულა. კაცები მართალს ამბობდნენ. ცხენი სრულიად ბრმა იყო.

ცხენებით მოვაჭრე ისე გააფთრდა, ლამის ჭკუიდან შეიშალა. ვიდრე მეგობრები მასხრად იგდებდნენ, ცხენი ფორნიდან გამოხსნა, სადავეები მოიმარჯვა და ცხოველი ქოხის უკან, ციცაბო ბორცვზე აიყვანა, თან გამწარებით ურტყამდა მათრახს. ცხენი სწრაფად მიიწევდა წინ, მაგრამ ბორცვის წვერზე რომ ავიდა, შეჩერდა და ფეხი არ მოიცვალა. ბორცვზე ნაპრალი იყო, მის ძირში კი – ღრმა და ფართო ორმო, სადაც იქაური გლეხები წლების განმავლობაში ხრეშს აგროვებდნენ. ცხენმა, ალბათ, იგრძნო, რომ მის წინ თხრილი იყო და წინ წასვლა არ მოინდომა. კაცი ურტყამდა და მის დაძვრას ცდილობდა, მაგრამ ცხენი სულ უფრო ფრთხებოდა, მერე ყალყზე შედგა, თუმცა მაინც არ დაძრულა. ბოლოს, სხვა გზა რომ აღარ დარჩა, კამარა შეკრა, თითქოს თხრილს უნდა

გადაახტესო, ეტყობა, იმედი ჰქონდა, რომ მეორე მხარეს აღმოჩნდებოდა, მაგრამ როცა ფეხქვეშ საყრდენი ვერ იპოვა, ხმამაღლა და საზარლად დაიჭიხვინა, წამის შემდეგ კი უკვე კისერმოტეხილი იწვა თხრილის ფსკერზე. მოვაჭრეს არც შეუხედავს ცხენისთვის და მეგობრებთან დაბრუნდა. „მორჩით სიცილს,“– თქვა მან, „დაიშალეთ და, ვისაც დაენაძლევეთ, იმას გადაეცით, რა ბედი ეწია მის კვიცს!“

– მაგრამ იცი რა, ეს ამბავი ამით არ მთავრდება, – განაგრძო სტიგმა, – მისმინე, მერე რა მოხდა. დრო გავიდა და მოვაჭრის ცოლს ვაჟი შეეძინა. ბავშვი ჭკუასუსტი დაიბადა, არაფერი გაეგებოდა და თანაც ბრმა იყო. მარტო ის კი არა, ყველა დანარჩენი ვაჟი, რომელიც მის ცოლს ეყოლა, ჭკუასუსტი და ბრმა გამოდგა, სამაგიეროდ, ქალიშვილები ლამაზები და ჭკვიანები იყვნენ და კარგადაც გათხოვდნენ.

ინგმარი ისევ იქ იდგა და მონუსხულივით უსმენდა. ისე შეირხა, თითქოს ტვირთის მოშორება უნდაო, მაგრამ როცა სტიგმა თხრობა გააგრძელა, ისევ ერთ ადგილს მიეჯაჭვა.

– ყველაფერი ამით არ დამთავრებულა, – თქვა სტიგმა, – როდესაც იმ გათხოვილ ქალიშვილებს შვილები ეყოლათ, ყველა ბიჭი ჭკუასუსტი და ბრმა იყო, ყველა გოგო კი ლამაზი და ჭკვიანი. და დღემდე ასე გრძელდება. ყველას, ვინც ამ გვარის ქალს შეირთავს ცოლად, ჭკუასუსტი ვაჟები ჰყავთ, ამიტომაც მათ საგვარეულო კარ-მიდამოს ხალხმა სორიბაკენი – მწუხარების ბორცვი – შეარქვა და არც გადაურქმევიათ.

ინგმარს ახლაღა მოაგონდა, რომ ბავშვობაში სმენოდა სორიბაკენის ბინადართა ამბავი, მაგრამ ამას მხოლოდ თქმულებასავით ყვებოდნენ და არასოდეს სჯეროდა, რომ სინამდვილეშიც ასე მოხდა, ამიტომაც სტიგს სიცილი დააყარა.

– ეტყობა, ამ ამბის არ გჯერა, – უთხრა სტიგმა და ინგმართან უფრო ახლოს მივიდა, – მაგრამ მინდა გითხრა, რომ სვენ პერშონის მეორე ცოლი სწორედ ამ გვარიდან იყო. სორიბაკენელთა ყველა ნათესავი სხვაგან გადასახლდა და ამიტომაც აქ ყველას დაავიწყდა, როგორები არიან, თუმცა დედაჩემმა მათ შესახებ ყველაფერი იცოდა. ის არავის ეუბნებოდა, რაც იცოდა და არავისთვის უთქვამს, სვენ პერშონმა ვინ შეირთო ცოლად, ვიდრე მის ქალიშვილზე დაქორწინება არ განვიზრახე. ამ ამბის გაგების შემდეგ მისი მოყვანა არ შემეძლო, თუმცა როგორც პატიოსანმა კაცმა, მიზეზი არ გავამხილე. არამზადა რომ ვყოფილიყავი, ყველაფერს ვიტყოდი. ყველა საყვედურს მშვიდად ვიტანდი, ვიდრე არ დამარტყი. თავად სვენ პერშონს, რასაკვირველია, არასოდეს გაუგია, ვის შეჰყარა ბედმა. მისმა ცოლმა ერთადერთი ქალიშვილი გაუჩინა და გარდაიცვალა. სორიბაკენელთა ქალიშვილები ლამაზები და სათნოები არიან, მხოლოდ ბიჭები გამოდიან ბრმა იდიოტები. ახლა კი იმას იმკი, რაც დათესე. შეიძლება გეგონოს, რომ დაგცინე, როცა გამახსენდა, სატრფო როგორ მიატოვე და როცა იმ ინგმარ ინგმარშონზე გავიფიქრე, შენი სიკვდილის შემდეგ კარ-მიდამოს რომ გაუძღვება. დღეიდან, ალბათ, უამრავ ბედნიერ დღეს გაატარებ შენს ცოლთან ერთად.

იმ დროს, როცა სტიგი ინგმარის ახლოს იდგა და ამ ამბავს სისინით უამბობდა, კაცმა შემთხვევით სახლისკენ გაიხედა და კართან კაბის კალთას მოჰკრა თვალი. მიხვდა, რომ ბარბრუ პარმაღზე გამოვიდა, როცა ის და სტიგი ეზოში ერთმანეთს შეხვდნენ, ახლა კი იქ იდგა და ყველაფერი გაიგონა. ინგმარი შეშფოთდა და თავში გაუელვა: „რა საშინელებაა, რომ ბარბრუმ ეს მოისმინა. იქნებ სწორედ ის მოხდა, რისიც ამდენ ხანს მეშინოდა? იქნებ ეს სწორედ ღვთის სასჯელია, რომელსაც ველოდი?“

ინგმარმა ახლა პირველად იგრძნო, რომ ნამდვილად ჰყავდა ცოლი, რომელზეც უნდა ეზრუნა, ამიტომაც ნაძალადევად გაიცინა და შეეცადა, უდარდელი იერი მიეღო.

– კარგია, რომ ეს ამბავი მომიყევი, თორემ შენზე გაჯავრებული ვიქნებოდი.

– მართლა? – მიუგო სტიგმა, – მაშ, ამ ამბავს არაფრად აგდებ?

– აბა, რა გეგონა, ისეთი სულელი ვარ, რომ ბედს ხელიდან ძველთაძველი მითქმა-მოთქმის გამო გავუშვებდი?

– კეთილი, ამჯერად სხვას აღარაფერს გეტყვი, – უთხრა სტიგმა, – ვნახოთ, ერთი წლის შემდეგ ასეთივე თავდაჯერებული თუ იქნები.

– თუ გინდა, შემოდი და ბარბრუს დაელაპარაკე, – შესთავაზა ინგმარმა, როცა შემიშნა, რომ სტიგმა წასვლა დააპირა.

– არა, სხვა დროს იყოს, – მიუგო სტიგმა.

როგორც კი სტუმარი წავიდა, ინგმარი მაშინვე სახლში შევიდა, რომ ცოლს დალაპარაკებოდა. ქალი

ოთახში იდგა და ქმარს ელოდა, მაგრამ ვიდრე ინგმარი სიტყვის თქმას მოასწრებდა, მან მშვიდად უთხრა:

– ამგვარ ზღაპრებს არ უნდა დავუჯეროთ, ინგმარ. არაფერი მესაქმება ასი წლის წინ მომხდარ ამბებთან, თუკი მართლაც ასე მოხდა.

– ანუ ყველაფერი გაიგონე? – ჰკითხა ქმარმა, რომელსაც არ უნდოდა გაემჟღავნებინა, რომ შეამჩნია, ქალი როგორ უსმენდა.

– ეგ ძველი ამბავი სხვებივით მეც გაგონილი მაქვს, თუმცა დღემდე არ ვიცოდი, რომ მასთან რაიმე მაკავშირებდა.

– ვწუხვარ, რომ ამის მოსმენა მოგიხდა, მაგრამ თუ არ გჯერა, მაშინ ეს არაფერს ნიშნავს.

ცოლს გაეღიმა.

– არანაირი წყევლა არ მამძიმებს, – თქვა მან.

ინგმარს თავში გაუელვა, იშვიათად მინახავს ვინმე ამაზე მშვენიერი შესახედავიო.

– შენზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სხეულიც ჯანსაღი გაქვს და სულიც, – თქვა მან.

გაზაფხულის პირს ბარბრუს შვილი ეყოლა. ქალს მთელი ეს ხანი თავი მამაცურად ეჭირა და წუხილს არ ამჟღავნებდა. ინგმარმა არაერთხელ გაიფიქრა, ჩემს ცოლს სტიგის მონათხრობი, ეტყობა, გადაავიწყდაო. თავად ინგმარი ამ საუბრის შემდეგ ვეღარ ბედავდა ადრინდელივით საკუთარ სადარდებელს მისცემოდა. სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაემტკიცებინა ცოლისთვის, რომ არ სჯეროდა წყევლის, რომელიც ქალს თან სდევდა. ცდილობდა, შინ ყოფნისას კმაყოფილი გამომეტყველება მიეღო და ისეთი სახით არ ევლო, თითქოს ღვთის სასჯელის მოლოდინში იყო. ინგმარი ახლა კარ-მიდამოზეც უფრო მეტს ზრუნავდა და დაამტკიცა, რომ მამამისის მსგავსად სხვებისთვის სარგებლობის მოტანა შეეძლო. „ამიერიდან დამწუხრებულმა აღარ უნდა ვიარო," – ფიქრობდა იგი, „თორემ ბარბრუს ეგონება, რომ იმ წყევლისა მჯერა და ამიტომ ვდარდობ."

ქალი ძალიან ბედნიერი იყო, შვილი რომ ეყოლა. ბიჭუნა ლამაზი იყო, მაღალი, ფართო შუბლი და დიდი, ნათელი თვალები ჰქონდა. ბარბრუ წარამარა ეძახდა ინგმარს, რომ ბიჭუნასთვის შეეხედა.

– ნამდვილად ჯანმრთელია, არა? ხომ არაფერი სჭირს? – ეკითხებოდა ცოლი.

ინგმარი დაბნეული იდგა ხოლმე, ხელებს ზურგს უკან მალავდა და ჩვილის შეხებას ვერ ბედავდა.

– მგონი, ყველაფერი რიგზე აქვს, – იმეორებდა იგი.

– ახლა დარწმუნდები, რომ ხედავს, – ეუბნებოდა ქალი, ლამპას ანთებდა და ბავშვის თვალებთან მიჰქონდა.

– ხედავ, როგორ ეძებს შუქს? – კითხულობდა იგი.

– ჰო, – პასუხობდა ინგმარი და რწმუნდებოდა, რომ ცოლი ხედავდა, როგორ აყოლებდა ჩვილი თვალს სინათლეს, თუმცა თავად ვერაფერს ამჩნევდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ბარბრუ უკვე ფეხზე იყო, მამა და დედინაცვალი ეწვივნენ ბავშვის მოსანახულებლად. დედინაცვალმა ჩვილი აკვნიდან ამოიყვანა და თითქოს ხელით აწონა.

– დიდი ბავშვია, – კმაყოფილი სახით თქვა მან.

მაგრამ უცებ ქალი ჩვილს თავზე დააკვირდა.

– განა ამ ბავშვს მეტისმეტად დიდი თავი არა აქვს? – იკითხა მან.

– ჩვენს გვარში ყველა ბავშვი დიდთავიანია, – მიუგო ინგმარმა.

– თქვენი შვილი ჯანმრთელია? – ჰკითხა დედინაცვალმა და ბავშვი ისევ აკვანში ჩააწვინა.

– ჰო, – უპასუხა ბარბრუმ, – დღითიდღე იზრდება.

– დარწმუნებულები ხართ, რომ ხედავს? – თქვა დედინაცვალმა, – თვალები უძრავად აქვს დაჭყეტილი.

ბარბრუ კანკალმა აიტანა, ტუჩები უცახცახებდა.

– შუქი რომ მივანათოთ, დარწმუნდებით, რომ კარგად ხედავს. – თქვა ინგმარმა.

ცოლმა საჩქაროდ აანთო ლამპა და ჩვილს თვალებთან მიუტანა.

– რასაკვირველია, ხედავს, – იმედიანად თქვა მან.

ბავშვი წყნარად იწვა აკვანში და თვალები უძრავად დაეჭყიტა.

– ნახეთ, როგორ გააყოლა თვალი სინათლეს? – თქვა ბარბრუმ.

ხმა არავის ამოუღია.

– ვერ ხედავთ? თვალებს ამოძრავებს. – მიუბრუნდა ქალი დედინაცვალს.

მას სიტყვაც არ უთქვამს.

– ახლა ეძინება, – თქვა ბარბრუმ, – მერე კარგად დაინახავს.

– რას არქმევთ? – იკითხა დედინაცვალმა ცოტა ხნის შემდეგ.

– ამ ოჯახში უფროს ვაჟს ინგმარს არქმევენ ხოლმე, – მიუგო მასპინძელმა.

– მინდოდა, მეთხოვა, რომ მამაჩემის პატივსაცემად სვენი დაგვერქმია, – ჩაერია ცოლი.

საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. ინგმარმა შენიშნა, რომ ცოლი ყურადღებით ადევნებდა თვალს, თუმცა თავს ისე აჩვენებდა, თითქოს იატაკს უყურებდა.

– არა, – თქვა მან, მამაშენი, სვენ პერშონი, კარგი კაცია, მაგრამ უფროს ვაჟს ინგმარი უნდა დავარქვა.

ერთ ღამეს, როდესაც ჩვილი რვა დღისა იყო, ძლიერი კრუნჩხვა დაემართა და დილამდე ვერ მიატანა. ასე, რომ მისმა მშობლებმა მაინც ვერ შეიტყვეს, ჯანმრთელი იყო თუ არა. ცდილობდნენ, თავი დაერწმუნებინათ, რომ ჩვილს არაფერი სჭირდა, თუმცა ვერც იმას დაამტკიცებდნენ, რომ ასე არ იყო.

სტიგთან საუბრის შემდეგ ინგმარი ბარბრუს კარგად ექცეოდა და ზოგჯერ ისინი ახლადდაქორწინებულებსაც კი მოგაგონებდათ. კაცს კვლავინდებურად სწამდა, რომ მისი სიყვარული გერტრუდს ეკუთვნოდა და საკუთარ თავს ეუბნებოდა: „არა, ბარბრუ კი არ მომწონს, მაგრამ კარგად უნდა მოვექცე, მას ხომ ასეთი მძიმე ტვირთი აწევს. უნდა იგრძნოს, რომ ამქვეყნად მარტო კი არ არის, ქმარი ჰყავს, რომელიც სურს, რომ მასზე იზრუნოს.“

ბარბრუს შვილი დიდხანს არ უგლოვია. თითქოს კმაყოფილიც კი ჩანდა და ორიოდე კვირაში დამშვიდდა. ვერავინ იტყოდა, რომ უბედური იყო ან მძიმე ფიქრები აწუხებდა.

ზაფხულის დადგომამდე ბარბრუ საზაფხულო საძოვარზე ავიდა, ინგმარი კი მარტო დაბრუნდა შინ. სახლში რომ შევიდა, მიხვდა, რომ რაღაც უცნაურად გრძნობდა თავს, წინ და უკან დადიოდა და თითქოს ბარბრუს ეძებდა. ზოგჯერ, შუა მუშაობისას, თავს სწევდა და აყურადებდა, ცოლის ხმა ხომ არ მესმისო. ასე ეგონა, კარ-მიდამომ მყუდროება დაკარგა და თითქოს გაუცხოვდა.

შაბათ საღამოს ინგმარი ტყეში ავიდა, ბარბრუსთან. ქალი საძოვართან, ქვის ფილაზე ჩამომჯდარი დახვდა, ხელები მუხლებზე დაეწყო და ინგმარის დანახვაზე მის შესახვედრად არ წამომდგარა. ქმარი გვერდით მიუჯდა.

– იცი, უცნაური რაღაც დამემართა, – უთხრა ცოლს.

– მართლა? – მიუგო მან, თუმცა სხვა არაფერი უკითხავს.

– ვატყობ, რომ ნელ-ნელა მომწონხარ.

ქალმა შეხედა და ინგმარმა შენიშნა, რომ იგი ისეთი დაღლილი იყო, თვალებს ძლივს ახელდა.

– უკვე ძალიან გვიან არის, – თქვა ბარბრუმ.

ინგმარი ცოლის გამომეტყველებამ შეაშფოთა.

– ტყეში მარტო ყოფნა არას გარგებს, – თქვა მან.

– აქ თავს კარგად ვგრძნობ, მთელ სიცოცხლეს აქ გავატარებდი.

ინგმარი შეეცადა, მისთვის აეხსნა, რომ ახლა ცოლი უყვარდა და მის გარდა არავისზე ფიქრობდა, ამას იქამდე ვერ მიხვდა, ვიდრე ქალი სახლიდან არ წავიდა. ბარბრუმ მოკლედ უპასუხა:

– ეს გასულ შემოდგომას უნდა გეთქვა.

– გასულ შემოდგომას გიყვარდი? – ჰკითხა ინგმარმა.

– მაშინ ყოველ ღამე ვევედრებოდი უფალს, რომ შეგყვარებოდი, – მიუგო ბარბრუმ. – თანახმა ვიყავი, ფეხქვეშ გაგგებოდი, ოღონდ ჩემთვის ერთი თბილი სიტყვა მაინც გეთქვა.

– არასოდეს მომიცია საბაბი, რომ მოგწონებოდი, – გაოცებით უთხრა ინგმარმა.

– ეს, ალბათ, შენს გაცნობამდე მოხდა, – უპასუხა ცოლმა. – მამამ ისე მომაბეზრა თავი ინგმარის კარ-მიდამოსა და მის ვაჟიშვილებზე ლაპარაკით, რომ სულ იმას ვცდილობდი, სახლ-კარისთვისაც და შენთვისაც შარი მომედო, მაგრამ როგორც კი ამ ძველი სახლის ზღურბლს გადმოვაბიჯე, თავი საკუთარ სახლში ვიგრძენი და მივხვდი, რომ ეს სწორედ ის ადგილი იყო, სადაც ყოველთვის მინდოდა მეცხოვრა.

– ნეტავ ასე რატომ მოხდა? – იკითხა ინგმარმა.

– ალბათ, მამაჩემის გამო. ინგმარის კარ-მიდამოში ერთი კვირა რომ გავატარე და ვნახე, აქ როგორ ცხოვრობდნენ, მივხვდი, რომ ყველაფერი საუკეთესო მამას აქ ჰქონდა ნასწავლი, მთელი ის ძველი ყაიდის მეურნეობა და წესრიგი, რაც ჩვენს ოჯახში იყო, აქედან მოდიოდა. ასე მგონია, მამა მთელი სიცოცხლე იქითკენ მიისწრაფოდა, რომ ინგმარის ვაჟიშვილი გამხდარიყო და მეც ისე მზრდიდა, როგორც ინგმარის ერთ-ერთ ქალიშვილს.

– ჰო, შენ ხომ სვენ პერშონმა თვითონ გაგზარდა, – თქვა ინგმარმა.

– მართალია, დედა რომ გარდაიცვალა, პატარა ვიყავი.

– თავადაც ხომ ხედავ, შეუძლებელია, არ მიყვარდე, – უთხრა კაცმა.

ბარბრუმ გამომცდელად შეხედა.

– გასულ შემოდგომას მივხვდი, რომ ის მეორე მხოლოდ დიდი შეცდომა იყო. არ მესმოდა, როგორ შემეძლო შენს გარდა სხვა ვინმეს შეყვარება. მეგონა, ჩვენს შორის გერტრუდი რომ არ ჩამდგარიყო, დაინახავდი იმ რაღაც განსაკუთრებულს, რაც ერთმანეთთან გვაკავშირებდა.

ინგმარი კარგა ხანს გარინდებული იჯდა და ფიქრობდა, მერე კი თავი ასწია და გაიღიმა:

– ალბათ, გეგონა, იმაზე უკეთესი ვიყავი, ვიდრე სინამდვილეში ვარ.

– რას გულისხმობ?

– აი, ხომ გეგონა, რომ ისეთი კარგი ადამიანი ვიყავი, რომ აზრს არასოდეს შევიცვლიდი. თავადაც ვფიქრობდი, რომ საცოდაობა იყო, გერტრუდთან დაშორება, მერე კი მივხვდი, არაფერი დაშავდება, თუ საკუთარი ცოლი შემიყვარდება-მეთქი. მაინც ხომ შენთან ერთად უნდა ვიცხოვრო და არა სხვასთან.

– ჰო, მართალია, – თქვა ბარბრუმ, – და მაინც ეს სწორი არ არის.

– გერტრუდმა მომწერა და მთხოვა, მასზე აღარ მეფიქრა, – თქვა ინგმარმა. – ახლა უფრო ბედნიერია, ვიდრე ოდესმე იქნებოდა, თუ დავქორწინდებოდით. ჰალვური და კარინიც მწერენ, რომ გერტრუდი იქ მყოფთაგან ყველაზე კმაყოფილი ჩანს.

– ჩემო კარგო, ნუთუ გჯერა, რომ ეს სიმართლეა?! – წამოიძახა ბარბრუმ და თან თავი ასწია, თითქოს ტვირთი მოიშორაო.

– ნუთუ გინდოდა, გერტრუდს მთელი ცხოვრება ჩემზე დარდში გაეტარებინა? – ჰკითხა ინგმარმა.

– ნეტავ დარწმუნებული ვიყო იმაში, რომ გერტრუდი ბედნიერი იქნება, მაშინ იქნებ მეც უფრო ბედნიერი ვყოფილიყავი, – თქვა ბარბრუმ და წამით სახე სიხარულმა გაუნათა.

სოფელში დაბრუნებულ ინგმარს შინ იერუსალიმიდან გამოგზავნილი წერილი ელოდა. ამჯერად წერილი ისეთი სიხარულით და ბედნიერებით აღსავსე როდი იყო, როგორიც გასულ ზამთარსა და გაზაფხულზე გადასახლებულთაგან მიღებული სხვა ბარათები. ერთბაშად შეიტყო, რომ ჰალვური და გუნჰილდი ცოცხლები აღარ იყვნენ და რომ გერტრუდი რაღაც უცნაურად იქცეოდა. წერილი ჰეკ გაბრიელ მათსონისგან იყო და იგი ინგმარს ჰპირდებოდა, გერტრუდზე როგორც შემიძლია, ვიზრუნებო, თუმცა ჩანდა, შიშობდა, ქალი ჭკუაზე არ შეიშალოსო.

– არა, ბედნიერება არ მეღირსება, – თქვა ინგმარმა, როდესაც წერილი წაიკითხა, – ჯერ ხომ არაფერი მომინანიებია. ვიდრე ყველაფერს არ გამოვასწორებ, რაც ჩამიდენია, ვერ დავიჯერებ, რომ უფალი მომიტევებს,.

აგვისტოს ერთ დღეს ინგმარი ისევ ავიდა საძოვარზე.

– დიდი მწუხარება დაგვატყდა თავს, – ამცნო მან ბარბრუს.

– რა მოხდა? – ჰკითხა ცოლმა.

– მამაშენი გარდაიცვალა.

– ჰო, ეგ ჩვენთვის კარგი ახალი ამბავია, – თქვა ქალმა.

ბარბრუ გზის პირას, ქვაზე ჩამოჯდა და ინგმარს ანიშნა, გვერდით მომიჯექიო.

– ახლა შეგვიძლია, როგორც გვინდა, ისე მოვიქცეთ – უნდა განვქორწინდეთ.

კაცს უნდოდა, შეეჩერებინა, მაგრამ ბარბრუმ სიტყვის თქმა არ აცალა.

– მამაჩემის სიცოცხლეში ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ ახლა დაუყოვნებლივ უნდა გავეყაროთ, ხომ გესმის?

– არა, – მიუგო ინგმარმა, – არაფერიც არ მესმის.

– ხომ ნახე, რა დაემართა ბავშვს, მე რომ გაგიჩინე?

– მშვენიერი ბავშვი იყო, – შეეკამათა ქმარი.

– ბრმა იყო და ჭკუასუსტი გაიზრდებოდა.

– რა მნიშვნელობა აქვს, როგორი იყო, მაინც შენ მინდიხარ.

ქალმა ხელი ხელს გადააჭდო და ინგმარმა შენიშნა, რომ იგი ტუჩებს ამოძრავებდა.

– ღმერთს მადლობას სწირავ თუ რას აკეთებ? – ჰკითხა მან.

– მთელი ზაფხული უფალს ხსნას ვევედრებოდი. – მიუგო ცოლმა.

– ღმერთო ჩემო, ნუთუ რაღაც ძველი ზღაპრების გამო ბედნიერებაზე უარის თქმა მომიწევს?! – წამოიძახა ინგმარმა.

– ეს ზღაპარი არ ყოფილა, ბავშვი ბრმა იყო. – უპასუხა ბარბრუმ.

– ეგ არავინ იცის. რომ არ მომკვდარიყო, დარწმუნდებოდი, რომ მშვენივრად ხედავდა.

– მომდევნო ბავშვი მაინც ჭკუასუსტი იქნება, ამის ნამდვილად მჯერა.

ინგმარი დანებებას არ აპირებდა.

– შენთან გაყრა მხოლოდ ბავშვის გამო არ მინდა. – უთხრა ქალმა.

ქმარმა ჰკითხა, ხელს კიდევ რა გიშლისო.

– მინდა, იერუსალიმში გაემგზავრო და გერტრუდი ჩამოიყვანო.

– ამას არასოდეს ვიზამ. – გამოუცხადა კაცმა.

– ეს ჩემ გამო უნდა გააკეთო, სულის სიმშვიდე რომ მოვიპოვო.

ინგმარს ამის გაგონებაც არ უნდოდა და ამბობდა, ჩემგან ამგვარ უგუნურ საქციელს ნუ ითხოვო.

– ეს მაინც უნდა გააკეთო, იმიტომ რომ სწორად მოიქცევი. განა ვერ ხედავ? თუ ცოლ-ქმარივით ცხოვრებას გავაგრძელებთ, ღმერთი ყოველთვის სასჯელს მოგვივლენს.

ქალმა თავიდანვე იცოდა, რომ ქმარი ბოლოს მაინც დაუთმობდა, რადგან სინდისი აწუხებდა.

– უნდა გიხაროდეს, რომ შეგიძლია შარშან დაშვებული შეცდომა გამოასწორო, – თქვა მან. – თუ არადა, მთელი ცხოვრება ამაზე იდარდებ.

ინგმარმა შეპასუხება დააპირა, მაგრამ ცოლმა განაგრძო:

– კიდევ ერთი რამ: კარ-მიდამოზე ნუ იჯავრებ, როცა დაბრუნდები, შეგიძლია ჩემგან გამოისყიდო, ხოლო ვიდრე იერუსალიმში იქნები, აქ დავრჩები და ყველაფერს მივხედავ.

ცოლ-ქმარი შინ დაბრუნდა, რომ გაყრის ამბავი მოეგვარებინა. ინგმარს ახლა უფრო უჭირდა, ვიდრე ოდესმე. ხედავდა, ბარბრუ რა ბედნიერი იყო მისგან გათავისუფლებით. ყველაფერზე მეტად იმაზე ლაპარაკი ახარებდა, მისი ქმარი და გერტრუდი ერთად როგორ იქნებოდნენ; იმის წარმოდგენით ტკბებოდა, გერტრუდს როგორ გაუხარდებოდა, ინგმარი იერუსალიმიდან რომ წამოიყვანდა. ერთხელ, როცა ქალი ძალზე გაიტაცა ამაზე საუბარმა, ინგმარმა გაიფიქრა, ბარბრუს

სულაც არ ვყვარებივარ, თორემ გამუდმებით ჩემი და გერტრუდის შეხვედრაზე ხომ არ ილაპარაკებდაო, წამოდგა და მაგიდას ხელი დასცხო.

– კარგი, გავემგზავრები, – იყვირა მან, – ოღონდ ამ ამბავზე კრინტი აღარ დაძრა!

– ჰოდა, ყველაფერიც მოგვარდება, – მიუგო ქალმა, რომელიც გახარებული ჩანდა. – გახსოვდეს, ინგმარ, ვიდრე გერტრუდს არ შეურიგდები, სიმშვიდე არ მეღირსება.

მერე ყველაფერი როგორც წესი და რიგი იყო, ისე მოხდა: ცოლ-ქმარი ჯერ პასტორმა გააფრთხილა, შემდეგ – საეკლესიო საბჭომ, საშემოდგომო კრებამ კი ისინი ერთმანეთს ერთი წლით, სარეცელით და საცხოვრებლით გაჰყარა.

იმავე დღეს, როცა კრებამ განაჩენი გამოიტანა, ინგმარი იერუსალიმში გაემგზავრა..

11. ინგმარის წერილი

ინგმარის იერუსალიმში ჩასვლიდან მეორე დღეს კარინ ინგმარშდოთერი, ჩვეულებისამებრ, მარტო იჯდა თავის ოთახში. წინა საღამო მისი ჩამოსვლით გახარებულმა ქალმა სამრევლო დარბაზში ძმასთან საუბარში გაატარა, ახლა კი უწინდელივით გაშეშებული, უსაქმოდ იჯდა ჰალვურის სავარძელში და დაჟინებით იცქირებოდა წინ.

ამ დროს კარი გაიღო და ინგმარი შემოვიდა. ვიდრე კაცი გვერდით არ ამოუდგა, კარინმა ვერ შენიშნა. ქალს შერცხვა, რომ ძმამ უქმად მჯდომს მოუსწრო და საჩქაროდ განაგრძო წინდის ქსოვა.

ინგმარი ჩუმად ჩამოჯდა სკამზე, კარინს თვალს არიდებდა. ქალს ახლაღა მოაგონდა, რომ გუშინ საღამოს მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდნენ, როგორ მოეწყვნენ აქ, იერუსალიმში, ინგმარის შესახებ კი ვერავინ ვერაფერი შეიტყო, არც ის იცოდნენ, რატომ ჩამოვიდა მათ მოსანახულებლად. „ალბათ, სწორედ ამის სათქმელად შემოვიდა“, – გაიფიქრა კარინმა.

ინგმარმა ტუჩები რამდენჯერმე შეარხია, თითქოს საუბრის დაწყებას აპირებსო, თუმცა ხმა ვერ ამოიღო. კარინი იჯდა და ძმას აკვირდებოდა. „როგორ მოტეხილა,“ – გაუელვა თავში, „მამას სიბერეშიც კი არ ჰქონდა შუბლი ასე დანაოჭებული. მას შემდეგ, რაც ბოლოს ვნახე, ან მძიმე ავადმყოფობა გადაუტანია, ან კიდევ რაღაც ცუდი შეემთხვა.“

კარინი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, უნდოდა გაეგო, რა დაემართა ინგმარს. ბუნდოვნად ახსოვდა, რომ დებმა ერთხელ წერილში რაღაც ამოიკითხეს, რაც მას ეხებოდა, მაგრამ ქალი ისე შთაენთქა საკუთარ მწუხარებას, რომ ყველაფერი, რაც გარესამყაროში ხდებოდა, ისე უვლიდა გვერდს, თითქოს მას სულ არ ეხებოდა.

კარინი ფრთხილად შეეცადა, ინგმარი საუბარში აეყოლიებინა და გაერკვია, რა სჭირდა ან იერუსალიმში რისთვის ჩამოვიდა.

– რა კარგია, რომ ჩემთან შემოხვედი, მინდოდა, მეკითხა, შინ რა ხდება-მეთქი, – დაიწყო მან.

– ჰო, – მიუგო ინგმარმა, – ვფიქრობ, ბევრი ისეთი რამ არის, რისი გაგებაც გინდა.

– ჩვენს ხალხს მუდამ ჰყავდა წინამძღოლი, ვის სიტყვასაც ემორჩილებოდა. – ნელა უპასუხა კარინმა, იმ ადამიანის მსგავსად, რომელიც ცდილობს, რაღაცას ჩაწვდეს, მაგრამ დიდი ხანია, არაფერზე უფიქრია, – ადრე ეს მამა იყო, მერე – ჰალვური, დიდი ხნის განმავლობაში კი – სკოლის მასწავლებელი. ნეტავ ახლა ვინ უნდა იყოს?

ინგმარს კითხვა თითქოს არც გაუგონია, თვალდახრილი, ჩუმად იჯდა და გამომეტყველებაც არ შეცვლია.

– ალბათ, პასტორი, არა? – მიხვდა კარინი.

ინგმარი გაშეშებული იჯდა და კვლავ დუმდა.

– არა, მგონი, ეს იუნგ ბიორნის ძმა, პერი, იქნება, ის ხომ მთელ მრევლში გამორჩეული ადამიანია, – ჯიუტად განაგრძობდა კარინი, თუმცა პასუხი არც ახლა მიუღია.

– განა არ ვიცი? ყოველთვის ასე იყო, გლეხები ინგმარის კარ-მიდამოს მეპატრონეს ირჩევდნენ ხოლმე, თუმცა ვერავის მოსთხოვ, შენისთანა ახალგაზრდა კაცს დაემორჩილოს. – გამომწვევად წარმოთქვა ქალმა და ინგმარმაც ბოლოს და ბოლოს ამოიღო ხმა.

– ხომ იცი, მეტისმეტად ახალგაზრდა ვარ საიმისოდ, რომ საბჭოში ან კომიტეტში ამირჩიონ.

– ხალხის წინამძღოლობა თანამდებობის გარეშეც შეიძლება.

– ჰო, მართალი ხარ. – დაეთანხმა ინგმარი.

კარინს ამის გაგონება ძალიან გაუხარდა. „მორჩა, სხვას აღარაფერს ვკითხავ!“ – გადაწყვიტა მან, თუმცა სინამდვილეში არც ისე უხაროდა, რომ წინაპრების ძალაუფლება და სახელი ინგმარს გადაეცა. ქალი წელში გასწორდა და ხმაში ამპარტავნობა შეეპარა.

– მე მგონი, ხალხი ბრძენია და მიხვდება, რა სწორად მოიქეცი, რომ კარ-მიდამოს დაეპატრონე.

ინგმარმა კარინს დაჟინებით შეხედა. მიხვდა, რა იმალებოდა მის სიტყვებში. ეტყობა, შიშობდა, კაცს გერტრუდის მიტოვების გამო თავს მრევლის ზიზღი არ დატყდომოდა.

– ღმერთს ამ გზით არ დავუსჯივარ. – თქვა მან.

„ეს თუ არა, მაშ, რაღაც სხვა უბედურება სჭირს.“ – გაიფიქრა კარინმა. ქალი კარგა ხანს ჩუმად იჯდა და ფიქრობდა. დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა იმ ფიქრებსა და გრძნობებთან გასამკლავებლად, რაც ამ უძველეს ქვეყანაში ეუფლებოდა.

– ნეტავ მრევლში ჩვენი მოძღვრების მიმდევრები თუ დარჩნენ? – იკითხა მან.

– თითო-ოროლა თუ იქნება, მეტი არა.

– ყოველთვის მჯეროდა, რომ უფლის მოწოდებას სხვებიც მიიღებდნენ და გამოგვყვებოდნენ. – თქვა მან და ინგმარს გამომცდელად შეხედა.

– არა, – უპასუხა ინგმარმა, – როგორც ვიცი, უფალს აღარავისთვის მოუწოდებია.

– გუშინ, როცა აქ დაგინახე, მეგონა, ღმერთმა მოწყალე თვალით გადმოგხედა. – უთხრა კარინმა.

– არა, აქ ამ მიზეზით არ ჩამოვსულვარ.

კარინი ცოტა ხნით შეყოვნდა და გაუბედავად განაგრძო კითხვების დასმა, თითქოს პასუხის მოსმენისა ეშინიაო.

– შინ, ალბათ, არავინ დარჩა, ვინც ჩვენზე, აქ წამოსულებზე, ფიქრობს?

ამაზე ინგმარმა ცოტა არ იყოს დარცხვენილმა უპასუხა:

– თავიდან ბევრი ვიდარდე, ახლა ეს იმდენად აღარ მაწუხებს.

– მართლა? ნუთუ დარდობდი? მე კი მეგონა, რახან თავიდან მოგვიშორეთ, შვება იგრძენით.

– არა, რას ამბობ, ვდარდობდით და გვენატრებოდით კიდევაც. – დარწმუნებით უთხრა ინგმარმა, – ჩვენს მეზობლებს კარგა ხანი დასჭირდათ იმათთან შესაგუებლად, ვინც იქ თქვენს ნაცვლად დასახლდა. ვიცი, რომ ბერშ ბერიტ პერშდოთერი, იუნგ ბიორნის მეზობელი, გასულ ზამთარს ყოველ ღამე გარეთ გამოდიოდა და ჩუმ-ჩუმად მისი სახლის გარშემო დაეხეტებოდა.

კარინმა შემდეგი შეკითხვა ძალზე აუჩქარებლად დასვა:

– მაშ, ყველაზე უფრო ბერშ ბერიტი დარდობდა?

– ოჰ, არა, – უკმეხად მიუგო ინგმარმა, – კიდევ იყო ერთი, რომელიც შემოდგომის ყოველ საღამოს, სიცივესა და სიბნელეში სკოლასთან, მდინარის პირას ჩადიოდა და იმ ქვაზე ჯდებოდა, რომელზეც ადრე გერტრუდს უყვარდა ხოლმე ჩამოჯდომა და მზის ჩასვლის ყურება.

კარინი მიხვდა, რატომაც დაბერებულიყო ინგმარი და სწრაფად შეცვალა საუბრის თემა.

– ვიდრე აქ იქნები, კარ-მიდამოს შენი ცოლი გაუძღვება? – იკითხა მან.

– ჰო, – უპასუხა ინგმარმა.

– კარგი დიასახლისია? – განაგრძო ქალმა.

– ჰო, – ისევ მოკლედ მიუგო ძმამ.

ვიდრე კიდევ რამეს იტყოდა, კარინმა წინსაფარზე ხელი ჩამოისვა. დების ნათქვამი მოაგონდა, ინგმარს და მის ცოლს კარგი ურთიერთობა არა აქვთო.

– შვილები გყავთ? – ჰკითხა ბოლოს.

– არა, – უთხრა ინგმარმა, – არა გვყავს.

კარინი უილაჯოდ ისვამდა ხელს წინსაფარზე. ერთი სული ჰქონდა, ინგმარისთვის ეკითხა, რატომ ჩამოხვედიო. მათ ოჯახში ამგვარი რამ წესად არ ჰქონდათ, მაგრამ ამ დროს თავად ძმა მიეშველა.

– მე და ბარბრუ ერთმანეთს ვეყრებით. – მტკიცედ განაცხადა მან.

კარინი წამოდგა და უცებ ისევ ინგმარის კარ-მიდამოს დიასახლისს დაემსგავსა, რომელსაც მაშინდელი ფიქრებისა და საზრუნავის გარდა არაფერი ახსოვდა.

– ღმერთმა დაგიფაროს, აბა, რას ამბობ! – წამოიძახა მან, – ჩვენს გვარში არასოდეს არავინ განქორწინებულა.

– ეს უკვე გადაწყვეტილია, – მიუგო ინგმარმა, – საშემოდგომო კრებამ ერთი წლით გაგვყარა სარეცელით და საცხოვრებლით, ერთი წლის შემდეგ კი საბოლოოდ გავეყრებით.

– რას ერჩი? – ჰკითხა კარინმა. – უფრო შეძლებულ და კარგი ოჯახის შვილს ვერასოდეს მოიყვან ცოლად.

– არაფერს ვერჩი. – ორჭოფულად უპასუხა ინგმარმა.

– გაყრა შენს ცოლს უნდა?

– ჰო, მას უნდა.

– რიგიანად რომ მოქცეოდი, იქნებ განქორწინებაც აღარ მოეთხოვა. – გაჯავრებით თქვა კარინმა.

ქალმა სავარძლის სახელურებს ხელები მაგრად მოუჭირა. ძალიან გულნატკენი იყო და ეს მაშინ უფრო შეეტყო, როცა ჰალვურზე წამოიწყო ლაპარაკი.

– რა კარგია, რომ მამა და ჰალვური ცოცხლები აღარ არიან და ამას ვერ მოესწრნენ. – თქვა მან.

– ჰო, ყველასთვის კარგია, ვინც მოკვდა. – დაეთანხმა ინგმარი.

– მაშ, ახლა აქ გერტრუდის გამო ჩამოხვედი, არა?! – წამოიძახა კარინმა.

ინგმარმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ თავი ჩაღუნა.

– არ მიკვირს, რომ გრცხვენია. – უთხრა დამ.

– იმ დღეს უფრო მრცხვენოდა, როცა ინგმარის კარ-მიდამოს აუქციონი გაიმართა.

– როგორ გგონია, ხალხი რას იტყვის, როცა გაიგებს, რომ ცოლთან ხეირიანად განქორწინებულიც კი არა ხარ და სხვა ქალის ხელის სათხოვნელად ჩამოხვედი?

– დრო აღარ იცდიდა, – რბილად თქვა ინგმარმა, – უნდა ჩამოვსულიყავი და გერტრუდისთვის მიმეხედა. წერილი მივიღე და შევიტყვე, რომ გერტრუდი სიგიჟის პირასაა.

– ტყუილად შეიწუხე თავი. – გესლიანად უთხრა კარინმა, – აქ გერტრუდს შენზე უკეთ უვლიან.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი ინგმარი წამოდგა.

– ამ საუბრისგან სხვა რამეს ველოდი. – თქვა მან და ამ სიტყვებში ისეთი ღირსება ჩააქსოვა, რომ კარინმა უნებურად ისეთივე რიდი იგრძნო მის მიმართ, როგორსაც მამის მიმართ გრძნობდა. – ძალზე უსამართლოდ მოვექეცი გერტრუდსაც და სტორმებსაც, რომლებიც შვილივით მეპყრობოდნენ. მეგონა, ამ შეცდომის გამოსწორებაში დამეხმარებოდი.

– კანონიერ ცოლზე უარის თქმით უარეს ცოდვას სჩადიხარ! – მკაცრად უთხრა დამ. იგი ცდილობდა, მწარე სიტყვები არ დაეშურებინა, რომ ბრაზი არ განელებოდა; შიშობდა, ინგმარმა თავის მხარეზე არ გადამიბიროსო.

ინგმარმა ცოლის ხსენებას წაუყრუა და მხოლოდ ეს თქვა:

– მეგონა, მოგეწონებოდა, რომ შევეცადე, უფლის გზას დავდგომოდი.

– სატრფოს გამო სახლი და ცოლი მიატოვე და გინდა ვიფიქრო, რომ უფლის გზას მისდევ?

ინგმარი ნელა წავიდა კარისკენ. დაღლილი და გაწამებული სახე ჰქონდა. სულაც არ ჰგავდა სიგიჟემდე შეყვარებულ კაცს.

– ჰალვური რომ ცოცხალი იყოს, შინ დაბრუნებას და ცოლთან შერიგებას გირჩევდა. – თქვა კარინმა.

– სხვების რჩევებით ცხოვრებას აღარ ვაპირებ. – უპასუხა ინგმარმა.

კარინიც წამოდგა. ბრაზი ისევ მოერია, რადგან ძმამ იმაზე გადაუკრა სიტყვა, რომ უფლის ნებას ასრულებდა.

– არა მგონია, გერტრუდს უწინდელივით უყვარდე. – წამოისროლა მან.

– ვიცი, რომ კოლონიაში ქორწინებაზე არავინ ფიქრობს, მაგრამ მინდა, მაინც ვცადო.

– ჰო, – შეაწყვეტინა კარინმა, – თავს ნუ შეიწუხებ იმაზე ფიქრით, რაც ჩვენი ერთობის წევრებმა ერთმანეთს შევფიცეთ, ოღონდ ჩემს სიტყვებს ალბათ, უფრო მეტ მნიშვნელობას მიანიჭებ, თუ გეტყვი, რომ გერტრუდს ახლა სხვა მოსწონს.

ინგმარი უკვე კართან იდგა. ამ სიტყვების გაგონებაზე ადგილზე გაშეშდა და ხელები ბრმად მოაფათურა, თითქოს სახელურს ვერ პოულობსო. კარინისკენ არც მიბრუნებულა. წამიც არ გასულა, რომ ქალმა თავისი სიტყვები ინანა.

– ღმერთმა დამიფაროს იმის თქმისგან, თითქოს რომელიმე ჩვენგანს ვინმე ხორციელი სიყვარულით შეუყვარდა, – თქვა მან, – თუმცა მგონი, გერტრუდს ახლა კოლონიის ერთ-ერთი ძმა შენზე უფრო უყვარს.

ინგმარმა ღრმად ამოიოხრა, სწრაფად გააღო კარი და ოთახიდან გავიდა.

კარინ ინგმარშდოთერი ცოტა ხანს ჩაფიქრებული იჯდა, მერე ადგა, თმა გაისწორა, თავსაფარი მოიხვია და მისის გორდონთან დასალაპარაკებლად გაემართა.

კარინმა გულახდილად უამბო მისის გორდონს, მისი ძმა რისთვისაც ჩამოვიდა და წინამძღვარს ურჩია, თუ ერთ-ერთი დის დაკარგვა არ გინდა, ინგმარს კოლონიაში დარჩენის ნება არ მისცეო. ვიდრე კარინი ლაპარაკობდა, მისის გორდონი ფანჯარასთან იჯდა და ძირს, ეზოში იცქირებოდა, სადაც კედელს მიყრდნობილი ინგმარი იდგა და ისეთი უმწეო და მოუხეშავი ჩანდა, როგორც არასდროს. მისის გორდონს სახეზე რაღაც ღიმილის მსგავსმა გადაურბინა.

მისის გორდონმა კარინს უპასუხა, არავის გაგდება არ მინდა კოლონიიდან, მით უმეტეს კაცის, ვინც ასე შორიდან ჩამოვიდა და კოლონისტებს შორის ამდენი ახლო ნათესავი ჰყავს და, თუკი ღმერთმა გერტრუდს განსაცდელი მოუვლინა, ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ ავარიდოთო.

კარინი პასუხმა გააოცა. აღელვებული ქალი მისის გორდონს მიუახლოვდა, რომ ენახა, ვის უღიმოდა. კარინი მხოლოდ იმას ამჩნევდა, როგორ დამსგავსებოდა ინგმარი მამამისს და, რა გაჯავრებულიც უნდა ყოფილიყო ძმაზე, მაინც აღიზიანებდა, რომ მისის გორდონს ერთი რამ არ ესმოდა: ის, ვისაც ახლა უყურებდა, პირველ ყოვლისა, კაცი იყო და სხვებზე მეტი სიბრძნე და ღირსება ჰქონდა.

– კეთილი, – თქვა მან, – შეგიძლიათ დარჩენის ნება მისცეთ. სულ ერთია, მაინც იმას გააკეთებს, რაც უნდა.

იმ საღამოს კოლონისტების უმეტესობას დიდ დარბაზში მოეყარა თავი, სადაც საამურად ატარებდნენ დროს. ზოგი მოთამაშე ბავშვებს ადევნებდა თვალს, სხვები იმაზე საუბრობდნენ, იმ დღეს რა გადახდათ, ზოგიერთები კი კუთხეში შეკრებილიყვნენ და ხმამაღლა კითხულობდნენ ამერიკულ ჟურნალებს. როდესაც ინგმარ ინგმარშონმა ეს დიდი და ნათელი ოთახი და ამდენი ბედნიერი და კმაყოფილი ადამიანი ნახა, ძალაუნებურად გაიფიქრა: „ცხადია, დალარნელები აქ თავს ბედნიერად გრძნობენ და სახლი სულაც არ ენატრებათ. ამ ამერიკელებს ჩვენზე უკეთ გაეგებათ, როგორ ისიამოვნონ თავადაც და სხვებმაც. ისიც მესმის, რომ კოლონისტები სწორედ შინაური სიმყუდროვის გამო იტანენ ამდენ მწუხარებას და დანაკარგს. მართალია, უწინდელი კარ-მიდამოს მეპატრონეები ახლა მხოლოდ ერთ ოთახში ცხოვრობენ, სამაგიეროდ, ადრინდელზე ბედნიერები და ხალისიანები არიან. თან რამდენი რამ ნახეს და ისწავლეს! უფროსებზე რომ არაფერი ვთქვა, აქ ერთი ბავშვიც კი არ მეგულება, ჩემზე ბევრად მეტი რომ არ იცოდეს.“

რამდენიმე თანასოფლელი ინგმარს მიუახლოვდა და ჰკითხა, აქაურობა თუ მოგწონსო.

– ჰო, – უპასუხა ინგმარმა, სხვა ვერაფრის თქმა ვერ შეძლო.

– ალბათ, გეგონა, მიწურებში ვცხოვრობდით, არა? – ჰკითხა იუნგ ბიორნმა.

– არა, ვიცოდი, რომ საქმე ასე ცუდად არ იყო. – მიუგო ინგმარმა.

– გავიგეთ, თურმე იქ, სოფელში ასეთი ხმები დადიოდა.

ამ საღამოს ინგმარს წვრილად გამოჰკითხეს თემის ამბები. გლეხები რიგრიგობით მოდიოდნენ, ინგმარის გვერდით სხდებოდნენ და თავიანთ ახლობლებზე ეკითხებოდნენ. თითქმის ყოველმა მათგანმა მოხუცი ევა გუნარშდოთერი მოიკითხა.

– ჯანს არ უჩივის, – პასუხობდა ინგმარი, – ოღონდ ყველა შემხვედრთან ჰელგუმელებს ლანძღავს.

ინგმარმა შენიშნა, რომ ორი ადამიანი მთელი საღამო მასთან სიახლოვეს გაურბოდა და ეს ორნი გაბრიელი და გერტრუდი იყვნენ. ყველაზე უფრო ის უკვირდა, რომ გაბრიელმა მამის ამბავი არ ჰკითხა. გერტრუდი რატომაც არიდებდა თავს, გასაგები იყო. არც ის შეუმჩნევია, რომ ისინი ერთმანეთს დალაპარაკებოდნენ, თუმცა მოეჩვენა, რომ გერტრუდი საითაც არ უნდა წასულიყო, გაბრიელი თვალს აყოლებდა. ინგმარმა, თავისდა გასაოცრად, ისიც შენიშნა, რა საუცხოოდ გამოიყურებოდა გაბრიელი. ყოველთვის ლამაზი ბიჭი იყო, მაგრამ ახლა მოწიფული და ახოვანი ვაჟკაცი დამდგარიყო, უფრო მეტიც, ის სიცოცხლე და სიმკვირცხლე შემატებოდა, რაც ადრე არ ჰქონდა.

„გაბრიელი რომ შინ დაბრუნდეს, ჩემზე მეტ პატივისცემას მოიპოვებს,“ – გაიფიქრა მან.

ამის გაფიქრებისთანავე ინგმარი სწრაფად მივიდა იუნგ ბიორნთან და სთხოვა, ქაღალდი და კალამი მიშოვნეო. ბიორნს ცოტა გაუკვირდა. ინგმარმა შუბლზე ხელი გადაისვა და აუხსნა, რომ სასწრაფო წერილი უნდა დაეწერა. სულ გადამავიწყდა, მაგრამ ამ საღამოს თუ დავწერ, იქნებ ხვალ დილით პირველი მატარებლით გავაგზავნოო.

იუნგ ბიორნმა სათხოვარი შეუსრულა და, ინგმარისთვის ხელი რომ არავის შეეშალა, ქვემოთ, სადურგლო სახელოსნოში ჩაიყვანა, ლამპა აუნთო და დაზგასთან სკამი დაუდგა.

– შეგიძლია აქ დაჯდე და მთელი ღამე მშვიდად წერო. – თქვა მან წასვლისას.

როგორც კი მარტო დარჩა, ინგმარმა ხელები ისე გაიწოდა, როგორც დიდი დარდით შეპყრობილებს სჩვევიათ და კვნესა აღმოხდა.

– ოჰ, ამას ვერ გადავიტან, – თქვა მან. – რაც ჩავიფიქრე, იმას ვერ მივაღწევ.

– დღედაღამ მხოლოდ მასზე ვფიქრობ, ვინც მივატოვე. ყველაზე უარესი კი ისაა, რომ არ მჯერა, გერტრუდის გაბედნიერებას შევძლებ თუ არა.

კაცი ცოტა ხნას ჩაფიქრებული იჯდა, მერე კი თავისთვის ჩაეღიმა.

– წესით ჩემთვის, დიდი ინგმარის ვაჟისთვის, სწორად მოქცევა უფრო ადვილი უნდა იყოს, ვიდრე სხვებისთვის, თუმცა ეს ვერაფერს მშველის. დიდი მხდალი ვინმე ვარ და ეგ არის.

წერილზე, რომლის დაწერასაც ინგმარი ახლა აპირებდა, შინიდან გამომგზავრების შემდეგ ყოველდღე ფიქრობდა. მთელი მგზავრობის მანძილზე ინგმარს, რომელიც ცოლს არასოდეს ელაპარაკებოდა, ეჩვენებოდა, რომ რაც მოხდებოდა, მისთვის უნდა შეეტყობინებინა. წერილის დაწერაც უჭირდა, თუმცა მაინც თვლიდა, რომ წერილში უფრო ადვილად დაძლევდა სიმორცხვეს, რაც აზრის გამოთქმაში ხელს უშლიდა.

ინგმარმა ბარბრუს მისწერა და ყველაფერი უამბო, რაც მის სულში ხდებოდა, იმ დღიდან მოყოლებული, რაც ცოლ-ქმარი გახდნენ; შეახსენა ყველა ის მნიშვნელოვანი ამბავი, რაც მათი ერთად ცხოვრებისასა მოხდა, მოუთხრო, რას გრძნობდა ამა თუ იმ შემთხვევის დროს და თანდათანობით როგორ შეუყვარდა ცოლი. კაცი დიდხანს წერდა და რამდენიმე გვერდი გაავსო. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა გრძელი ვედრება ბარბრუსადმი, რათა მას უარი ეთქვა თავის მოთხოვნაზე, ინგმარს გერტრუდი შეერთო და ქმრისთვის შინ დაბრუნების ნება მიეცა.

ბარბრუს უნდა გაეგო, რომ ინგმარისთვის შეუძლებელი იყო იმის დაბრუნება, რაც მოკვდა და რომ ახლა გერტრუდთან მოჩვენებითი სიყვარულით დაახლოება მის მეორედ მოტყუებას ნიშნავდა.

როდესაც ინგმარმა ეს სიტყვები დაწერა, მოაგონდა, რა უთხრა ბარბრუმ, როცა განქორწინებაზე ელაპარაკებოდა: „ეს ჩემ გამო უნდა გააკეთო, რათა სიმშვიდე დავიბრუნო.“

კაცს ეგონა, ისევ იქ, ტყის პირას იჯდა და ცოლს უსმენდა: „გაგიმართლა, რომ შეგიძლია, გაფუჭებული საქმე გამოასწორო.“ ეს სიტყვებიც ესმოდა და სხვა დანარჩენიც, რაც ქალმა უთხრა.

ინგმარს გული ცოლისადმი სიყვარულით აევსო. „განა ის, რის გაკეთებასაც ბარბრუ მთხოვს, იმ უბედურებაზე მეტია, რასაც თვითონ უმკლავდება?“

უეცრად ინგმარს მოეჩვენა, რომ ყველაზე ნაკლებად ის უნდოდა, ცოლს ეს წერილი ენახა. არა, ბარბრუმ არ უნდა იცოდეს, რომ ინგმარს ამის ატანა არ შეუძლია. ნუთუ ასე საწყალობლად უნდა ევედრებოდეს ქალს, რომ მონანიებას და სასჯელს თავი აარიდოს?

ბარბრუ წამითაც არ შეყოყმანებულა, ისე აჰყვა საკუთარ გულისთქმას და ქმარიც აიძულა, დამორჩილებოდა. და ახლა მისთვის კიდევ ერთხელ უნდა ეთქვა, რომ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო!

ინგმარმა დაწერილი ფურცლები მოაგროვა და დაკეცა.

– ამ წერილის დასრულება საჭირო აღარ არის. – თქვა მან.

კაცმა ლამპა ჩააქრო და სადურგლო სახელოსნოდან გამოვიდა. ისევ დატანჯული და უბედური ჩანდა, თუმცა უკვე მტკიცედ გადაეწყვიტა, ცოლის ნებას დაჰყოლოდა.

ინგმარი გარეთ გავიდა და იქვე პატარა, ღია უკანა ჭიშკარს მოჰკრა თვალი. უკვე გათენებულიყო. ჭიშკარში დადგა და სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა. „რაღა დროს დაძინებაა," – გაიფიქრა მან.

მზის სხივები თითქოს შეუმჩნევლად მოისწრაფოდნენ ციდან და ბორცვებს სერავდნენ, რომელთაც ჯერ თუ მოყავისფრო-მოწითალო ელფერი ჰქონდათ, მერე ყოველ წუთს ფერს იცვლიდნენ.

ინგმარმა ზეთისხილის მთისკენ მიმავალ ფერდობზე გერტრუდი დაინახა. მზის სხივები კვალდაკვალ მისდევდნენ და თავადაც მზის სხივებში გახვეულიყო. ბედნიერი და გახარებული ადამიანივით მსუბუქად მიაბიჯებდა და ინგმარს მოეჩვენა, რომ სხივოსან ნათებას ქალი გამოსცემდა. გერტრუდის უკან კი ინგმარმა მაღალი კაცი შენიშნა, რომელიც მას ცოტა მოშორებით მისდევდა, ზოგჯერ ჩერდებოდა და სხვა მხარეს იხედებოდა, თუმცა ცხადი იყო, რომ გერტრუდს ადევნებდა თვალს.

ინგმარმა მყისვე იცნო კაცი, თვალები დახარა, მიწას ჩააშტერდა და ჩაფიქრდა. ჩანდა, რაღაცას მიხვდა, რაც წინა დღესაც შეამჩნია და გული სიხარულით აევსო.

– ახლა კი მჯერა, რომ უფალი შემეწევა. – თქვა მან.

12. დერვიში

ერთ საღამოს, შებინდებისას, გერტრუდი იერუსალიმის ქუჩებში გავიდა. მალე მის წინ მიმავალი მაღალი, გამხდარი კაცი შენიშნა, რომელსაც კოჭებამდე შავი მანტია ეცვა. გერტრუდი გრძნობდა, რომ მასში რაღაც უჩვეულო იყო, თუმცა ვერ ხვდებოდა – რა. ეს რაღაც მწვანე ჩალმა ვერ იქნებოდა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ კაცი წინასწარმეტყველის შთამომავალი იყო, ამგვარ თავსაბურავიან კაცებს ყოველ ქუჩაზე შეიძლებოდა გადაყროდით. უფრო უცნაური, ალბათ, ის იყო, რომ უცნობს თმა სხვა აღმოსავლელების მსგავსად გადაპარსული ან ჩალმის ქვეშ შეკრული კი არ ჰქონდა, არამედ თანაბარ კულულებად ეფინა მხრებზე.

გერტრუდი მიდიოდა და კაცს თვალს არ აშორებდა. რატომღაც ძალიან მოუნდა, უცნობი მობრუნებულიყო და მისი სახე დაენახა. უცნობისკენ ახალგაზრდა კაცი გამოეშურა, მდაბლად დაუკრა თავი, ხელზე ემთხვია და გზა განაგრძო. შავოსანი წამით შეჩერდა, მობრუნდა და იმ კაცს თვალი გააყოლა, რომელიც ასე მოკრძალებულად მიესალმა. გერტრუდის სურვილი ახდა.

გოგოს სიხარულისა და განცვიფრებისგან სუნთქვა შეეკრა. უძრავად იდგა და ხელი გულზე მიედო.

– ეს ქრისტეა! – თქვა მან. – იესო ქრისტეა, რომელსაც ტყეში, ნაკადულთან შევხვდი.

კაცმა მაშინვე განაგრძო გზა. გერტრუდი შეეცადა, უკან გაყოლოდა, მაგრამ მან ხალხმრავალ ქუჩაზე გადაუხვია და ქალმა მისი კვალი დაკარგა. გერტრუდი შინ, კოლონიისკენ გაემართა. ძალიან ნელა მიდიოდა, დროდადრო ჩერდებოდა, კედელს ეყრდნობოდა და თვალებს ხუჭავდა.

– ნეტავ არ დამავიწყდეს მაინც, – ბუტბუტებდა იგი, – ნეტავ მისი სახის წარმოდგენა ყოველთვის შემეძლოს!

გერტრუდი შეეცადა, ახლახან ნანახი მეხსიერებაში აღედგინა.

– ოდნავ შეჭაღარავებული წვერი ჰქონდა, – თავისთვის იმეორებდა იგი, – საკმაოდ მოკლე და ორად გაყოფილი, მოგრძო სახე, გრძელი ცხვირი და ფართო, თუმცა არც ისე მაღალი შუბლი და ძალიან ჰგავდა ქრისტეს, ისეთს, ხატებზე რომ მინახავს. სწორედ ისეთი იყო, ტყის ბილიკზე რომ შემომეყარა, ოღონდ ახლა უფრო ლამაზი და დიადი ჩანდა. თვალებიდან ნათელს და ძალაუფლებას ასხივებდა, თვალების გარშემო კი კანი ჩამუქებული და დანაოჭებული ჰქონდა. ჰო, მისი თვალების გარშემო თავი მოეყარა სიბრძნეს, სიყვარულს, მწუხარებას, სიბრალულს და კიდევ რაღაც უფრო მეტს, თითქოს მის თვალებს ზეცაში უფლის და მისი ანგელოზების განჭვრეტის უნარი ჰქონდათ.

გერტრუდმა მთელი გზა სახლამდე ამგვარად აღგზნებულმა გაიარა. ასეთი ბედნიერი იმ დღის

შემდეგ არ ყოფილა, რაც ტყის გზაზე ქრისტე გამოეცხადა. გულხელდაკრეფილი და თვალებაპყრობილი მიიწევდა წინ და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მიწაზე კი არ მიაბიჯებდა, ზეცის ლურჯ სივრცეში დაფრინავდა.

ქრისტესთან შეხვედრა აქ, იერუსალიმში უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დალარნას უსიერ ტყეში გამოცხადება. იქ მან მოჩვენებასავით ჩაუარა გვერდით, უფლის აქ გამოჩენა კი იმას ნიშნავდა, რომ ქრისტე ადამიანებს დაუბრუნდა.

ჰო, ქრისტეს გამოცხადება ისეთი დიდი მოვლენა იყო, რომ გერტრუდს არ შეეძლო ერთბაშად ეფიქრა იმ ყველაფერზე, რასაც ეს ნიშნავდა, მაგრამ პირველი, რაც მან ნამდვილად განიცადა, სიმშვიდე, სიხარული და ნეტარება იყო.

გერტრუდი ქალაქიდან გავიდა და კოლონიას უახლოვდებოდა, როცა ინგმარ ინგმარშონს გადაეყარა. კაცს ისევ ის შავი, ნატიფი ტანსაცმელი ეცვა, რომელიც ასე არ უხდებოდა მის დაკოჟრილ ხელებს და სახის უხეშ ნაკვთებს, თან დაღვრემილი და გულგრილი გამომეტყველება ჰქონდა.

იერუსალიმში ჩამოსული ინგმარი რომ დაინახა, გერტრუდი გაოცებული დარჩა, ამ კაცით ოდესღაც ასეთი გატაცებული რატომ ვიყავიო. ისიც უცნაურად ეჩვენებოდა, რომ ინგმარი შინ ასეთი დიდი ვინმე ეგონა და ღარიბ-ღატაკიც რომ ყოფილიყო, ისიც და სხვებიც თვლიდნენ, რომ უკეთესს ვერავის მისთხოვდებოდა. აქ კი, იერუსალიმში, ინგმარი ისეთი დაბნეული და უმწეო ჩანდა, ქალს ვერ გაეგო, მისი თანასოფლელები ამ კაცში განსაკუთრებულს რას ხედავდნენ.

გერტრუდი წყენასაც ვეღარ გრძნობდა ინგმარის მიმართ და სიამოვნებით მოაჩვენებდა თავს მეგობრულად, მაგრამ მერე ვიღაცამ უთხრა, რომ ინგმარი ცოლს გაეყარა და იერუსალიმში გერტრუდის დასაბრუნებლად ჩამოსულიყო. შეშფოთებულმა ქალმა გაიფიქრა: „ახლა მასთან დალაპარაკებასაც ვერ გავბედავ. უნდა დავუმტკიცო, რომ აღარ მიყვარს. წამითაც არ უნდა ეგონოს, რომ ჩემი დაბრუნება შეუძლია. აქ, ალბათ, იმიტომ ჩამოვიდა, რომ ჰგონია, ძალიან უსამართლოდ მომექცა, ჰოდა, როცა დაინახავს, რომ ზედაც არ ვუყურებ, მალე მოეგება გონს და შინ დაბრუნდება.“ მაგრამ ახლა, როდესაც გერტრუდს კოლონიასთან ინგმარი შეეჩეხა, მხოლოდ ის გაიფიქრა, ბოლოს და ბოლოს იმ ადამიანს შევხვდი, რომელსაც შემიძლია ჩემი დიდი, გასაოცარი აღმოჩენა გავანდოო, ინგმარს მივარდა და შესძახა:

– მე ქრისტე ვნახე!

ასეთი შთამბეჭდავი შეძახილი იერუსალიმის შემოგარენის უნაყოფო მიწებსა და ბორცვებს იმ დღეების შემდეგ არ სმენიათ, რაც ღვთისმოსავმა ქალებმა დაცარიელებული სამარე იხილეს და მოციქულებს შეჰღაღადეს: „უფალი ჭეშმარიტად აღსდგა!“

ინგმარი შედგა და ქუთუთოები დახარა, როგორც მაშინ სჩვეოდა, როცა სურდა, დაემალა, რაზე ფიქრობდა.

– მართლა? – ჰკითხა გერტრუდს, – ქრისტე ნახე?

გერტრუდი ადრინდელივით მოუთმენლობამ შეიპყრო, როცა ინგმარი მაშინვე ვერ ჩასწვდებოდა ხოლმე მის ოცნებებსა და აზრებს. ერჩივნა, გაბრიელს შეხვედროდა, რომელიც გაცილებით უკეთ მიუხვდებოდა, თუმცა მაინც შეუდგა იმის მოყოლას, რაც ნახა.

ინგმარს არც ერთი სიტყვით არ გაუცია, რომ მისი არ სჯეროდა, მაგრამ გერტრუდმა მაინც ამჯობინა, ამბავი ისე მოეთხრო, ვითომც აქ არაფერიაო: ქუჩაში კაცი შემხვდა, რომელიც ქრისტეს ჰგავდა, სულ ეს იყოო. თითქოს სიზმარი ნახა. მაშინ მოეჩვენა, რომ ეს განსაკუთრებული ამბავი იყო, მაგრამ ახლა, როცა მის მოყოლას შეეცადა, ყველაფერი გაუფერულდა.

ინგმარს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს გაუხარდა, რადგან გერტრუდს საუბარში აჰყვა. თავს ძალა დაატანა და ქალს გამოჰკითხა, სად და როდის შეხვდა იმ კაცს, ისიც შეიტყო, რა ეცვა და როგორ გამოიყურებოდა, მაგრამ როდესაც ისინი კოლონიამდე მივიდნენ, გერტრუდი სასწრაფოდ მოშორდა ინგმარს. ქალი დანაღვლიანდა და საშინელი დაღლილობა იგრძნო. „ვხვდები, რომ ამ ამბის სხვებისთვის მოყოლას არანაირი აზრი არა აქვს,“ – გაიფიქრა მან, „ოჰ, რა ბედნიერი ვიყავი, როცა ეს მხოლოდ მე ვიცოდი!“ და გადაწყვიტა, ეს ამბავი აღარავისთვის მოეთხრო. ინგმარისთვისაც უნდა ეთხოვა, რომ ჩუმად ყოფილიყო.

– ეს ხომ სიმართლეა, ეს სიმართლეა, – თავისთვის იმეორებდა გერტრუდი, – მე მას ტყის ბილიკზე შევხვდი, მაგრამ მეტისმეტი იქნება, სხვებსაც მოვთხოვო, რომ დამიჯერონ.

რამდენიმე დღის შემდეგ გერტრუდი ძალიან გაოცდა, როცა ნავახშმევს მასთან ინგმარი მივიდა და უთხრა, ის შავოსანი კაცი მეც ვნახეო.

– მას შემდეგ, რაც მასზე მომიყევი, იმ ქუჩაზე ბოლთას ვცემდი და იმ კაცს ველოდებოდი. – თქვა კაცმა.

– რა კარგია, მაშ, მაინც დამიჯერე, არა?! – წამოიძახა გახარებულმა გერტრუდმა და რწმენამ მის არსებაში ახალი ძალით იფეთქა.

– იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ყველაფერს იოლად რომ იჯერებენ. – უპასუხა ინგმარმა.

– ოდესმე ასეთი სახე თუ გინახავს? – ჰკითხა გერტრუდმა.

– არა, – მიუგო ინგმარმა, – ასეთი სახე არასოდეს მინახავს.

– განა თავად არ დარწმუნდი ამაში, როცა იქ წახვედი?

– ჰო, მართალია.

– როგორ გგონია, ის ქრისტე იყო?

ინგმარმა პასუხს თავი აარიდა.

– მისი ნებაა, დაგვანახებს თუ არა, ვინ არის.

– ნეტავ კიდევ ერთხელ შემეძლოს მისი ნახვა! – წამოიძახა გერტრუდმა.

ინგმარი შეყოყმანდა.

– მგონი, ვიცი, ამ საღამოს სადაც იქნება. – აუჩქარებლად წარმოთქვა მან.

გერტრუდი მყისვე აენთო.

– რას ამბობ? იცი, სად არის? მაშინ უნდა გამომყვე, რომ კიდევ ერთხელ ვნახო.

– ახლა ხომ კუნაპეტი სიბნელეა, ასეთ დროს იერუსალიმში სიარული სახიფათოა. – იუარა ინგმარმა.

– ოჰ, სულაც არ არის სახიფათო, ავადმყოფებთან ამაზე გვიანაც წავსულვარ.

გერტრუდი ბევრს ეცადა, რომ ინგმარი დაერწმუნებინა.

– ჩემთან ერთად იმიტომ არ მოდიხარ, რომ შეშლილი გგონივარ, არა? – თქვა მან, თან თვალები სახიფათოდ ჩაუმუქდა.

– სისულელე ჩავიდინე, როცა გითხარი, რომ ის კაცი ვიპოვე. – უთხრა ინგმარმა, – მაგრამ ახლა მგონი, უმჯობესი იქნება, გამოგყვე.

გერტრუდს სიხარულისაგან თვალზე ცრემლი მოადგა.

– ოღონდ შევეცადოთ, რომ კოლონიიდან შეუმჩნევლად გავიდეთ, – თქვა მან, – ვიდრე იმ კაცს კიდევ ერთხელ არ ვნახავ, არ მინდა, ვინმემ რამე გაიგოს.

ქალმა ფარანი მოძებნა და ბოლოს და ბოლოს ისინი გზაზე გამოვიდნენ. სახეში წვიმა და ქარი დაეძგერათ, თუმცა გერტრუდს წარბიც არ შეუხრია.

– დარწმუნებული ხარ, რომ მას ამ საღამოს ვნახავ? – წარამარა კითხულობდა გოგო, – ნამდვილად დარწმუნებული ხარ?

გერტრუდი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. ახლა ის ადრინდელივით ენდობოდა კაცს, თითქოს მასა და ინგმარს შორის არაფერი მომხდარიყო. მოუყვა, როგორ იდგა ხოლმე ყოველ დილით ზეთისხილის მთაზე და ელოდა. იმაშიც გამოუტყდა, როგორ იტანჯებოდა, როცა ზოგჯერ ზევით უცხო ადამიანები ამოდიოდნენ და შესცქეროდნენ, როგორ იდგა ქალი მუხლებზე და ზეცას აჰყურებდა.

– არ მსიამოვნებდა, რა უცნაურად მიყურებდა ყველა, თითქოს გიჟი ვიყავი. მე ხომ დანამდვილებით ვიცოდი, რომ ქრისტე მოვიდოდა. აბა, მაშ, რისთვის ავდიოდი მთაზე და ველოდებოდი?

რასაკვირველია, მერჩივნა, უფალი განთიადის ციდან ძლევამოსილად დაშვებულიყო, – განაგრძო მან, – თუმცა ის მოვიდა და ამაზე აღარ ვფიქრობ! მერე რა მოხდა, თუ ზამთრის ბნელ ღამეში გამოგვეცხადა? სულ ერთია, მის გამოჩენას ნათელი დილა მოჰყვება. წარმოგიდგენია, ინგმარ? აქ სწორედ მაშინ აღმოჩნდები, როცა უფალი დღის სინათლეზე გამოვა! გაგიმართლა, ლოდინი აღარ დაგჭირდება, კარგ დროს ჩამოხვედი.

გერტრუდი უეცრად შეჩერდა და ფარანი ასწია, რომ ინგმარის სახე დაენახა. კაცს დაღვრემილი და პირქუში შესახედაობა ჰქონდა.

– ამ ერთ წელიწადში როგორ დაბერებულხარ, ინგმარ, – თქვა ქალმა, – მესმის, რაც გადაიტანე და ჩემ გამო როგორ დაიტანჯე, მაგრამ უნდა დაივიწყო, რომ ცუდად მომექეცი. ეს უფლის ნება იყო, უფლის დიდი წყალობა იყო ჩემს და შენს მიმართ. მას სურდა, ჩვენ პალესტინაში სწორედ ამ დიად დროს ჩამოვსულიყავით.

– ახლა, როცა უფლის განზრახვას შეიტყობენ, დედა და მამაც კმაყოფილები იქნებიან. – აგრძელებდა გერტრუდი. – ჰო, წერილებში მათ არასოდეს უსაყვედურებიათ ჩემთვის, რომ სახლიდან გავიქეცი. ალბათ, ესმოდათ, როგორ მიჭირდა იქ გაძლება, მაგრამ ვიცი, რომ შენზე გაჯავრებულები იყვნენ. ახლა კი ორივე შვილს შეუნდობენ, რომელიც მათ სახლში გაიზარდა. იცი, ასე მგონია, შენზე უფრო დარდობენ, ვიდრე ჩემზე.

ინგმარი მდუმარედ მიაბიჯებდა ქარსა და წვიმაში. გერტრუდისთვის ხმა არ გაუცია. „ალბათ, არ სჯერა, რომ ქრისტე ვიპოვე.“ – გაიფიქრა ქალმა, „მერე რა, მაინც ხომ მომყვება მასთან! ეჰ, ცოტასაც მოვითმენ და მალე ვიხილავ ყველა ქვეყნიდან ჩამოსულ და მხსნელის წინაშე მუხლმოყრილ ხალხს და წარჩინებულებს.“

ინგმარმა გერტრუდი ქალაქის მუსულმანურ ნაწილში მიიყვანა, ახლა ისინი ბნელი და მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით მიიწევდნენ წინ. ბოლოს კაცი დაბალ ჭიშკართან გაჩერდა, რომელიც მაღალ, უფანჯრო კედელში იყო დატანებული და შეაღო. მათ გრძელი გალერეა გაიარეს და განათებულ ეზოში შევიდნენ.

კუთხეში რამდენიმე მსახური ფუსფუსებდა, კედელთან მიდგმულ ქვის მერხზე კი ორიოდე მოხუცი მიკუნჭულიყო, ინგმარისა და გერტრუდისთვის ზედაც არავის შეუხედავს. ისინი მეორე მერხზე დასხდნენ და გერტრუდმა იქაურობა მოათვალიერა. ეს ეზოც ისეთივე იყო, როგორიც იერუსალიმის სხვა ეზოები, რომლებიც მას ენახა. ოთხივე მხარეს დახურული კოლონადა გადაჭიმულიყო, შუაში, ღია სივრცეს კი დალაქავებული და დაძონძილი ქსოვილი ფარავდა. ჩანდა, ეს ადგილი ოდესღაც მდიდრული და გამორჩეული იყო, თუმცა ახლა გავერანებული ჩანდა. სვეტები ეკლესიიდან წამოღებულს ჰგავდა. მათ ზედა ნაწილს, ალბათ, ადრე ლამაზი ჩუქურთმები ამშვენებდა, რომლებიც დამტვრეული და დამახინჯებული იყო. კედლებიდან გაჯი ჩამოცვენილიყო და მისი ნაპრალებიდან ბინძური ძონძები გამოჩრილიყო. ერთ-ერთ კედელთან ერთმანეთზე აკოკოლავებული ყუთები და ქათმის გალიები მოჩანდა.

გერტრუდმა ინგმარს წასჩურჩულა:

– დარწმუნებული ხარ, რომ ეს ის ადგილია, სადაც მას ვნახავ?

ინგმარმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ეზოს შუაგულში წრიულად დალაგებულ კრაველის ოციოდე ხალიჩაზე ანიშნა.

– გუშინ ის აქ ვნახე თავის მოწაფეებთან ერთად. – თქვა მან.

გერტრუდი ცოტათი იმედგაცრუებული ჩანდა, თუმცა მალე ისევ გაიღიმა.

– წარმოიდგინე, სულ ასე რომ იყოს – ის რომ დიდებითა და პატივით იყოს გარემოცული. ის ხომ ამას არ ესწრაფვის, მორჩილებასა და სიღატაკეში სურს ყოფნა, მაგრამ ხომ გესმის, მე ებრაელებს არ ვგავარ, რომელთაც მისი აღიარება არ უნდოდათ, რახან იგი ამა ქვეყნის ძლიერთა მსგავსი არ იყო.

ციტა ხანში ეზოში რამდენიმე კაცი შემოვიდა. ისინი ნელი ნაბიჯით მივიდნენ შუა ეზომდე და კრაველის პატარა ხალიჩებზე დასხდნენ. ყველას აღმოსავლური ტანისამოსი ეცვა, თუმცა ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ: ზოგი ახალგაზრდა იყო, ზოგი – მოხუცი, ზოგს ძვირფასი ქურქი და აბრეშუმი ემოსა, ზოგს კი – ღარიბი მეთულუხჩისა და მიწის მუშის ტანსაცმელი. მათი გამოჩენისთანავე გერტრუდი მათთვის სახელების შერქმევას შეუდგა.

– შეხედე, ეს ნიკოდემუსია, რომელიც ღამით მივიდა იესოსთან, – თქვა მან მოხუც დიდგვაროვანზე, – აი, ის გრძელწვერიანი კი პეტრეა, იქით იოსებ არიმათიელი ზის. არა, ასე კარგად ვერასოდეს გავიგებდი, რა ხდებოდა, როცა იესოს მოწაფეები მის გარშემო შემოიკრიბნენ! აგერ, ის კაცი, თვალები რომ დაუხრია, იოანეა, წითურთმიანი კი, თექის ქუდი რომ ახურავს, – იუდა. ის ორი კაცი, ქვის მერხზე რომ მოუკალათებია, ყალიონს ეწევა და, როგორც ჩანს, არც აღელვებს ის, რაც უნდა მოისმინონ, გადამწერები არიან. მათ ქრისტესი არ სწამთ, უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის გამო არიან მოსულები ან იმისთვის, რომ იესოს შეეპასუხონ.

გერტრუდს ჯერ კიდევ არ დაესრულებინა ამგვარი ლაპარაკი, როდესაც წრე მთლიანად შეივსო.

მალე ისიც მოვიდა, ვისაც ქალი ასე ელოდა და წრის შუაგულში დადგა.

გერტრუდმა ვერ შეამჩნია, საიდან მოვიდა კაცი და კინაღამ წამოიყვირა, როცა უეცრად თვალი მოჰკრა.

– ჰო, ეს ის არის! – წამოიძახა მან და ტაში შემოჰკრა.

ქალი დაჟინებით მიაჩერდა კაცს, რომელიც უძრავად იდგა და თვალები ისე დაეხარა, თითქოს ლოცულობსო და, რაც უფრო დიდხანს უყურებდა, მისი რწმენა მით უფრო მტკიცე ხდებოდა.

– ინგმარ, ნუთუ ვერ ხედავ, რომ ის ადამიანი არ არის? – დაიჩურჩულა მან და ინგმარმაც ჩურჩულით უპასუხა:

– გუშინ, როცა იგი პირველად დავინახე, მეც მეგონა, რომ უფრო მეტი იყო, ვიდრე ადამიანი.

– მისი შეხედვაც კი ნეტარებით მავსებს, – თქვა გერტრუდმა, – არ ვიცი, რა უნდა მთხოვოს, რომ ვერ შევასრულო.

– ჰო, მიგვაჩვიეს იმაზე ფიქრს, რომ მხსნელი სწორედ ასე უნდა გამოიყურებოდეს. – თქვა ინგმარმა.

კაცი, რომელიც გერტრუდს იესო ეგონა, ახლა მბრძანებლურად იდგა შემაღლებულზე, თავისი მიმდევრების წრის შუაგულში. მან ხელი ოდნავ აიქნია და ამ ნიშანზე მიწაზე მის ირგვლივ მსხდომებმა ხმამაღლა წამოიწყეს: „ალაჰ! ალაჰ!“ ამავე დროს ყველამ თავის ქნევა დაიწყო: ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ. ისინი ერთდროულად მოძრაობდნენ და ყოველ მოძრაობაზე ყვიროდნენ: „ალაჰ! ალაჰ!“ შუაში მდგომი კაცი თითქმის არ მოძრაობდა და მხოლოდ თავის ოდნავ შესამჩნევი ქნევით ანიშნებდა დანარჩენებს, არ შეჩერებულიყვნენ.

– ეს რა არის? – აღმოხდა გერტრუდს. – ეს რა არის?

– გერტრუდ, შენ იერუსალიმში ჩემზე დიდხანს ცხოვრობდი და უკეთ გეცოდინება, ეს რა არის. – მიუგო ინგმარმა.

– მსმენია მათ შესახებ – მათ მოცეკვავე დერვიშებს ეძახიან და ეს, ალბათ, მათი რიტუალია.

ქალი ჩუმად იჯდა და ფიქრობდა, მერე კი თქვა:

– ეს მხოლოდ დასაწყისია, შეიძლება აქაური ადათია, სწორედ ისეთი, ჩვენ რომ ღვთისმსახურებას ფსალმუნით ვიწყებთ. როდესაც ეს დამთავრდება, ის, ალბათ, თავის მოძღვრებაზე ლაპარაკს დაიწყებს. ოჰ, რა ბედნიერი ვიქნები, როცა მის ხმას გავიგონებ!

ეზოს შუაში მჯდომი კაცი ისევ გაიძახოდა: „ალაჰ! ალაჰ!“, დანარჩენები კი ამ დროს თავებს წინ და უკან აქნევდნენ, ისინი სულ უფრო და უფრო სწრაფად და რიტმულად მოძრაობდნენ, მათ შუბლზე ოფლის წვეთებმა გამოჟონა, ალაჰის სადიდებელ შეძახილებს კი ჩახლეჩილი ხმით გაჰყვიროდნენ.

ასე გრძელდებოდა განუწყვეტლივ, დიდი ხნის განმავლობაში, ვიდრე წინამძღოლმა ხელის მსუბუქი მოძრაობით ნიშანი არ მისცა. წრეში მსხდომები ცოტა ხნით გაჩერდნენ.

გერტრუდი თვალდახრილი იჯდა, რომ ამ ხალხის ტანჯვისთვის არ ეცქირა. როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, მაღლა აიხედა და ინგმარს უთხრა:

– ახლა, ალბათ, ლაპარაკს დაიწყებს. რა ბედნიერია ის, ვინც მის მოძღვრებას ეზიარება! თუმცა იმითაც კმაყოფილი ვიქნები, მის ხმას თუ გავიგონებ.

სიჩუმე ცოტა ხანს გაგრძელდა, მერე კი წინამძღოლმა ისევ მისცა ნიშანი და მისი მიმდევრები ისევ აყვირდნენ: „ალაჰ! ალაჰ!“ ამ ჯერზე მარტო თავებს კი არ აქნევდნენ, მთელი ზედა ტანით მოძრაობდნენ და მალე ყველაფერი უწინდელივით გაგრძელდა. კაცი, რომელსაც მბრძანებლური სახე და ქრისტეს ლამაზი თვალები ჰქონდა, მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ მის მიმდევრებს უფრო სწრაფად და გაუჩერებლად ემოძრავათ. მათაც, თითქოს ზებუნებრივ ძალებს ემორჩილებიანო, ყველაფერი იმაზე დიდხანს აიტანეს, ვიდრე ადამიანისგან იყო მოსალოდნელი. საშინელება იყო მათი ცქერა და მოსმენა – დაძაბულობისგან ლამის სიკვდილის პირას მისულიყვნენ და ყელიდან, სადაც ჰაერი აღარ იყო, კვნესის მაგვარი შეძახილები ამოსდიოდათ.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი გიჟური მოძრაობა ისევ განახლდა.

– ვინ იცის, რამდენ ხანს ივარჯიშეს, ასეთი თავაწყვეტილი რიტუალისთვის რომ თავი გაერთმიათ. – თქვა ინგმარმა.

გერტრუდმა ინგმარს უმწეოდ და შიშნარევად ახედა, ტუჩები ოდნავ უკანკალებდა.

– როგორ გგონია, ოდესმე დაამთავრებს? – იკითხა მან, თან მზერა კაცის წარმოსადეგი ფიგურისკენ გააპარა, რომელიც შთამაგონებლად და ძლევამოსილად ჩამდგარიყო თავისიანებში და ისევ იმედი მიეცა.

– ალბათ, მალე სნეულები და ტანჯულები მოაკითხავენ, – მხურვალედ თქვა ქალმა, – უნდა ვნახო, როგორ განკურნავს კეთროვანთა იარებს და ბრმებს თვალს აუხელს.

დერვიში კი თავისას განაგრძობდა. მის ნიშანზე ხალხი წამოდგა და უფრო შმაგად ამოძრავდა. ყველა თავის ადგილზე დარჩა, თუმცა მათი საბრალო სხეულები მთელი ძალით ქანაობდნენ წინ და უკან; მზერა დაებინდათ და თვალები ჩაუსისხლიანდათ, უმეტესობამ, ეტყობა, ისიც კი არ იცოდა, სად იმყოფებოდა, მათი სხეულები თითქოსდა თავისთავად მოძრაობდნენ წინ და უკან, ზევით-ქვევით, უფრო და უფრო სწრაფად.

ბოლოს და ბოლოს, რამდენიმე საათი რომ გავიდა, შეძრწუნებულმა გერტრუდმა ინგმარის ხელი ჩაბღუჯა.

– იგი მათ არაფერს ასწავლის? – წაიჩურჩულა ქალმა.

ახლაღა მიხვდა, რომ კაცს, რომელიც ქრისტე ეგონა, ამ გიჟური ვარჯიშის გარდა, სხვა მოძღვრება არ ჰქონდა. ერთადერთ რამეზე ფიქრობდა: ეს შეშლილთა ბრბო როგორ აღეგზნო და წაექეზებინა. თუკი რომელიმე მათგანი სხვებზე მგზნებარედ იგრიხებოდა, კაცს იგი წრის შუაში გამოჰყავდა, რათა დანარჩენებისთვის მაგალითი ეჩვენებინა. თავად წინამძღოლსაც მოუსვენრობა დაეუფლა, მისი სხეულიც ისე ირხეოდა და იკლაკნებოდა, თითქოს ერთ ადგილზე გაჩერება არ შეუძლიაო.

გერტრუდი ცრემლებს და სასოწარკვეთას ებრძოდა. ყველა მისი იმედი და ოცნება ნამსხვრევებად იქცა.

– ნუთუ არაფრის, სულ არაფრის სწავლებას არ აპირებს? – ისევ იკითხა მან.

თითქოს მის პასუხად დერვიშმა რაღაც ანიშნა რამდენიმე მოსამსახურეს, რომლებიც რიტუალში არ მონაწილეობდნენ. მათ ხელი დაავლეს სვეტზე ჩამოკიდებულ ინსტრუმენტებს – დაფებს და დაირებს. როგორც კი მუსიკის ხმა გაისმა, შეძახილები უფრო ხმამაღალი და ყურისწამღები გახდა, მოძრაობები კი – უფრო თავბრუდამხვევი. ზოგიერთებმა ფესები და ჩალმები მოიხადეს და თმა გაიშალეს. თავზარდამცემი შესახედაობა ჰქონდათ, რადგან რხევის დროს თმა ხან სახეზე ეყრებოდათ, ხან – ზურგზე. თვალები უმოძრაო გაუხდათ, მათი სახეები მიცვალებულთა სახეებს დაემგვანა, მოძრაობები კრუნჩხვებში გადაიზარდა და პირზე თეთრი დუჟი მოადგათ.

გერტრუდი წამოდგა. მისი სიხარული და აღტკინება სადღაც გამქრალიყო. იმედის უკანასკნელი ნაპერწკალიც ჩაქრა და ძლიერი ზიზღის გარდა აღარაფერი დარჩა. ქალი ისე დაიძრა გასასვლელისკენ, რომ არც კი შეუხედავს კაცისთვის, სულ ახლახან მხსნელის წარმოგზავნილი რომ ეგონა.

– მეცოდება ეს ქვეყანა, – თქვა ინგმარმა, როცა უკვე ქუჩაში გავიდნენ, – გაიხსენე, ძველად აქ როგორი მოძღვრები იყვნენ, ახლა კი ეს კაცი მოწაფეებს მხოლოდ შეშლილებივით მანჭვა-გრეხას ასწავლის!

გერტრუდმა, რომელიც სწრაფად მიდიოდა შინისაკენ, არაფერი უპასუხა. კოლონიას რომ მიუახლოვდნენ, ფარანი ამოიღო.

– ის გუშინაც ამ დღეში ნახე, არა? – იკითხა მან და ინგმარს მრისხანებისაგან ანთებული თვალებით შეხედა.

– ჰო, – უყოყმანოდ მიუგო ინგმარმა.

– ნუთუ ეს კაცი იმიტომ მაჩვენე, რომ გინდოდა, ჩემთვის სიხარული ჩაგეშხამებინა? – თქვა გერტრუდმა. – ამას არასოდეს გაპატიებ. – დაამატა მან ცოტა ხნის შემდეგ.

– მესმის, – თქვა ინგმარმა, – და მაინც, ის უნდა გააკეთო, რაც სწორად მიგაჩნია.

ისინი უკანა კარიდან შეიპარნენ. გერტრუდი ინგმარს მწარე სიცილით გამოეთხოვა.

– ახლა შეგიძლია მშვიდად დაიძინო, – თქვა მან, – ყველაფერი შესანიშნავად გამოგივიდა. უკვე აღარ ვფიქრობ, რომ ის კაცი ქრისტეა. შეშლილიც აღარა ვარ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

ინგმარი ჩუმად გაემართა კიბისკენ, რომელიც მამაკაცების საძინებლებისკენ ადიოდა. გერტრუდი უკან გაჰყვა.

– ოღონდ დაიმახსოვრე, რომ ამას არასოდეს გაპატიებ! – გაიმეორა მან.

მერე კი თავის ოთახში შევიდა, დაწვა და ტირილში ჩაეძინა. მეორე დღეს ადრე გაეღვიძა, თუმცა ადგომას არ ჩქარობდა. იწვა და თავისი საქციელით გაკვირვებული ფიქრობდა: „ნეტავ ეს რას ნიშნავს? რატომ არ ვდგები და ზეთისხილის მთისკენ რატომ არ მივიჩქარი?“ ქალმა თვალებზე ხელები აიფარა და ისევ ატირდა.

– მას აღარ ველოდები. იმედი აღარა მაქვს. გუშინდელმა სანახაობამ ისეთი ტკივილი მომაყენა, რომ თავს მოტყუებულად ვგრძნობ. მის ლოდინს ვეღარ ვბედავ. არ მჯერა, რომ მოვა.

საღამოს, როცა კოლონისტები, ჩვეულებისამებრ, დიდ დარბაზში შეიკრიბნენ, ინგმარმა შენიშნა, რომ გერტრუდი გაბრიელის გვერდით იჯდა და დიდხანს და გაცხარებით ელაპარაკებოდა.

ცოტა ხანში გაბრიელი ადგა და ინგმართან მივიდა.

– გერტრუდმა მიამბო, რა გაუკეთე გუშინ საღამოს. – უთხრა გაბრიელმა.

– მართლა? – თქვა ინგმარმა, ვერ გაეგო, გაბრიელს საუბარი საით მიჰყავდა.

– გგონია, ვერ ვხვდები, რომ მისი გონზე მოყვანა გინდა? – ჰკითხა გაბრიელმა.

– ამაში ცუდი არაფერია. – მიუგო ინგმარმა.

გაბრიელმა წასვლა რომ დააპირა, უეცრად ინგმარმა ხელი გაუწოდა.

– ადრე ყოველთვის კარგი მეგობრები ვიყავით. – თქვა მან.

გაბრიელი ოდნავ გაფითრდა, თუმცა ინგმარს ხელი ჩამოართვა და მაგრად მოუჭირა.

13. პალესტინის ყვავილები

თებერვლის მიწურულია, ზამთრის წვიმები შეწყდა და გაზაფხული მოდის, თუმცა მისი მოსვლა ჯერ არაფერს ეტყობა. ლეღვის ხეებზე კვირტები არ დაბერილა, ვაზის მუქყავისფერ ლერწებს პწკალები და ფოთლები არ გამოუსხამს და არც ფორთოხლის ხეების დიდი ყვავილედები გაშლილა. ამ ადრეულ გაზაფხულზე მხოლოდ მინდვრის ყვავილებს გაუბედავთ გამოჩენა.

საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან ყვავილებს დაინახავ. კლდოვანი ფერდობები დიდი, სისხლივით წითელი ფრინტებითაა მოფენილი, კლდის შვერილებზე იისფერი ყოჩივარდები ყვავის, მდელოებზე ჯუჯა მიხაკები და ზიზილები იზრდება, ყოველი ნოტიო ტევრი კი კროკუსებითაა სავსე.

თუ სხვა ქვეყნებში ხილს კრეფენ და კენკრას აგროვებენ, პალესტინაში ყვავილების მოსავალს იღებენ. ყველა მონასტრიდან, ყველა მისიონერული ერთობიდან მოედინება ხალხი ყვავილების მოსაკრეფად. ღარიბი ებრაელი მრევლი, მოგზაურები და სირიელი მუშები ქვემოთ, კლდოვან ხეობებში ერთმანეთს ყვავილებით სავსე კალათებით ხელში ხვდებიან, საღამოობით კი ენძელებით და სუმბულებით, იებით და ტიტებით, ნარგიზებით და ორქიდეებით დატვირთულები ბრუნდებიან შინ.

წმინდა ქალაქის სხვადასხვა მონასტრისა თუ სასტუმროს ეზოებში ქაშანურის უზარმაზარი თასები დგას, სადაც გაზაფხულის ყვავილებს წყალში აწყობენ, მერე კი სენაკებსა და ოთახებში ქაღალდის დიდ ფურცლებში ახვევენ და ახმობენ.

როგორც კი მინდვრის მიხაკები და სუმბულები კარგად გამოშრება, მათ პატარა და დიდ თაიგულებად კონავენ, ლამაზ თუ უშნო კომპოზიციებს აკეთებენ და ღია ბარათებზე ან ზეთისხილის ხისყდიან პატარა ალბომებში აკრავენ, რომელთაც წარწერა ამშვენებს: „პალესტინის ყვავილები“ და სულ მალე სიონში, ჰებრონში, ზეთისხილის მთაზე და იერიქონში დაკრეფილი ყვავილები მთელ მსოფლიოს მოეფინება.

ისინი მაღაზიებში იყიდება, წერილებთან ერთად იგზავნება, სახსოვრად გადაეცემა, სამონასტრო ძღვენში იცვლება. გაზაფხულის ეს პატარა ყვავილები – ღატაკი, წმინდა მიწის ერთადერთი სიმდიდრე – ინდურ მძივებსა და ბურსას აბრეშუმზე უფრო შორს ვრცელდება.

გაზაფხულის მშვენიერი დილა იყო. გორდონის კოლონიაში დიდი ფაციფუცი გაეჩაღებინათ, ყველანი გარეთ გასასვლელად და ყვავილების დასაკრეფად ემზადებოდნენ. ბავშვები, რომლებიც სკოლიდან მთელი დღით დაითხოვეს, გადარეულებივით დარბოდნენ და უფროსებს ყვავილების კალათებს სთხოვდნენ. ქალები დილის ოთხი საათიდან ფეხზე იყვნენ, საგზალს ამზადებდნენ და

სამზარეულოდან ღვეზელებს და მურაბის ქილებს ეზიდებოდნენ. ზოგ მამაკაცს ჩანთა ბუტერბროდებით, რძიანი ბოთლებით, ცივად მოხარშული ხორცით და პურით გაევსო, სხვებს კი ხელში წყლიანი ბოთლები ან ჩაის ფინჯნებით და პურით სავსე კალათები ეჭირათ. როგორც იქნა, ჭიშკარი გაიღო. ჯერ ბავშვები გაიჭრნენ გარეთ, მათ მოზრდილების დიდი და პატარა ჯგუფებიც მიჰყვნენ. შინ არავინ დარჩენილა და დიდი სახლი მალე სრულიად დაცარიელდა.

ჰეკ გაბრიელ მათსონი იმ დღეს ძალიან ბედნიერი იყო. ისე მოახერხა, რომ გერტრუდის გვერდით ევლო და აღმართებზე ტვირთის ტარებაში დახმარებოდა. გერტრუდს თავსაფარი წინ წამოეწია და გაბრიელი ვერც მის ნიკაპს ხედავდა და ვერც ლოყებს. კაცი მიდიოდა და თავისთვის იღიმებოდა, იმითაც კმაყოფილი იყო, რომ გერტრუდის გვერდით მოუწია ყოფნა, თუმცა ვერც მის სახეს ხედავდა და არც დალაპარაკებია.

ინგმარის ჩამოსვლის პირველ დღეებში გაბრიელი მოუსვენრობამ და შფოთვამ შეიპყრო. შიშობდა, რომ ინგმარი გერტრუდის – მისი ერთგული მეგობრის – შვედეთში წასაყვანად ჩამოვიდა. კაცი საშინლად იდარდებდა მის გარეშე. ზოგჯერ მთელ მის არსებას ისეთი მღელვარება ეუფლებოდა, რომ გაბრიელს ეშინოდა, ის დიდი სიყვარული, რასაც გუნჰილდის მიმართ განვიცდიდი, მთლიანად გერტრუდზე გადავიდაო. მაგრამ ინგმარი უკვე სამი თვის ჩამოსული იყო იერუსალიმში და გერტრუდს ახლოსაც არ ეკარებოდა, გაბრიელსაც თანდათან სულიერი სიმშვიდე დაუბრუნდა. „რასაც გერტრუდის მიმართ განვიცდი, სიყვარული არ არის,“ – არწმუნებდა იგი თავს, „უბრალოდ, სხვა არავინ მყავს, ვისაც დაველაპარაკები, ამიტომაც ვერ ავიტან, აქედან რომ გაემგზავროს. მშვიდად მხოლოდ მაშინ ვიქნები, თუ მეცოდინება, რომ მის გვერდით ყოფნა შემიძლია და ახლა, როდესაც მხარდამხარ მივაბიჯებთ, მეჩვენება, რომ საყვარელ დას ვუყურებ.“

გაბრიელი ბედნიერი იყო, რადგან ის და გერტრუდი შეყვარებულები არ იყვნენ, თანაც გორდონელები ახალგაზრდა კოლონისტებს დაქორწინების უფლებას არ აძლევდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ერთობის წევრებს ყველანი ერთნაირად უნდა ჰყვარებოდათ და რაიმე განსაკუთრებული კავშირი აქ მიუღებელი იყო, ამიტომაც დიდი უსიამოვნება შეემთხვეოდა, თუკი გერტრუდს მართლაც გაუმიჯნურდებოდა.

გერტრუდსაც არ უყვარდა გაბრიელი, კაცი ამაში დარწმუნებული იყო. მას შემდეგ, რაც ქალმა მხსნელის გამოცხადების იმედი დაკარგა, დაღვრემილი დადიოდა და ხალხს გაურბოდა. გაბრიელს სხვებზე ოდნავ უკეთ ექცეოდა, ეს იყო და ეს. ნაკლებად სავარაუდო ჩანდა, რომ მას მიწიერი სიყვარული გაიტაცებდა.

კარინ ინგმარშდოთერი და მისი დები გაბრიელს და გერტრუდს უკან მიჰყვებოდნენ. მათ დილის ფსალმუნი წამოიწყეს, რომელსაც დედასთან ერთად მღეროდნენ შინ, ინგმარის კარ-მიდამოში, როდესაც სისხამ დილით სართავ ჯარას უსხდნენ ხოლმე.

გაბრიელის წინ ბებერი კაპრალი ფელტი მიაბიჯებდა. როგორც ყოველთვის, გარს ბავშვები შემოხვეოდნენ, მის ჯოხს ებღაუჭებოდნენ და ფარაჯაზე ექაჩებოდნენ. გაბრიელს კაპრალი იმ დროიდან ახსოვდა, როცა ბავშვები მის დანახვაზე თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ და თავისთვის გაიფიქრა: „ასეთი გაჯგიმული და თავდაჯერებული არასოდეს მინახავს. ისე ამაყობს, ბავშვები რომ გარს ეხვევიან, ულვაშებიც უფრო აბურძგვნია და ცხვირიც კი უწინდელზე გაღუნული უჩანს.“

გაბრიელმა ხალხში ჰელგუმი დაინახა, რომელსაც ცალი ხელი ცოლისთვის ჩაეკიდა, მეორე კი – თავისი ლამაზი, პატარა გოგონასთვის. „ჰელგუმს შეხედე ერთი,“ – გაიფიქრა გაბრიელმა, „მას შემდეგ, რაც ამერიკელებთან გავერთიანდით, ყურს აღარავინ უგდებს. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ისინი მართლაც გამორჩეულები არიან და ღვთის სიტყვის გადმოცემის დიდი ნიჭიც აქვთ. ნეტავ ვიცოდე, რას ფიქრობს ჰელგუმი, ასეთ დღეს რომ მის ირგვლივ არავინ არის. სამაგიეროდ, მის ცოლს უხარია, რომ ქმარი გვერდით ჰყავს. ქცევასა და სიარულზეც კი ეტყობა, რა ბედნიერია.“

მსვლელობას წინ მშვენიერი მის იანგი მიუძღოდა. გვერდით ახალგაზრდა ინგლისელი მიჰყვებოდა, რომელიც კოლონიას რამდენიმე წლის წინ შეუერთდა. გაბრიელმა, სხვების მსგავსად, იცოდა, რომ ბიჭს მის იანგი უყვარდა და ერთობაში იმ იმედით შემოვიდა, რომ მასზე იქორწინებდა. რა თქმა უნდა, გოგონასაც მოსწონდა ინგლისელი, თუმცა გორდონელები სულაც არ აპირებდნენ მის გამო თავიანთი მკაცრი კანონების შეცვლას, ასე, რომ ახალგაზრდები იძულებულნი იყვნენ წლიდან წლამდე უიმედო მოლოდინში ეცხოვრათ. დღეს ისინი გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ, მხოლოდ ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ და სხვებს ზედაც არ უყურებდნენ. ისე ლაღად და მკვირცხლად მიიწევდნენ წინ, თითქოს უნდოდათ, ყველანი უკან ჩამოეტოვებინათ, სადმე შორს გაჭრილიყვნენ და ცოტა ხანს მაინც ეცხოვრათ თავის ნებაზე.

მსვლელობის ბოლოში გაბრიელმა ინგმარ ინგმარშონს მოჰკრა თვალი, რომელიც ელიაჰუს

ესაუბრებოდა. ბოლო დღეებში ეს ორნი სულ ერთად დადიოდნენ და გაბრიელმა იცოდა, რომ ინგმარს უნდოდა, ელიაჰუს მისთვის ინგლისური ესწავლებინა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ინგმარი ჯერჯერობით კოლონიიდან წასვლას არ აპირებდა, თუმცა გაბრიელი თითქმის დარწმუნებული იყო, ინგმარი ერთი წელიც რომ დარჩენილიყო აქ, გერტრუდს თან მაინც არ წაიყვანდა.

პროცესიამ თავდაპირველად აღმოსავლეთისკენ, შორეული და უდაბური მთიანეთისკენ აიღო გეზი. აქ ყვავილები არ ხარობდა, ფრიალო ფერდობებიდან ნიადაგი ჩამორეცხილი იყო და ირგვლივ მხოლოდ მოშიშვლებული, მოყვითალო კლდეები მოჩანდა.

„რა უცნაურია," – გაიფიქრა გაბრიელმა, „ისეთი ლურჯი ცა, რომელიც ამ ყვითელ ფერდობებს დაჰყურებს, ადრე არასოდეს მინახავს. მთებიც ასეთი მოტიტვლებული კია, მაგრამ უშნო მაინც არ არის. როდესაც ამ ლამაზად მომრგვალებულ ბორცვებს ვხედავ, ის დიდი გუმბათები მახსენდება, რომლებითაც აქაურები ეკლესიებს და სახლებს ხურავენ."

ერთ საათს ფეხით სიარულის შემდეგ კოლონისტები პირველ კლდოვან ხეობას მიადგნენ, რომლის ფსკერიც წითელი ფრინტებით იყო მოფენილი. პროცესიაში ჩოჩქოლი ატყდა, ყველანი გამხიარულდნენ, ყიჟინით და სიცილით შეესივნენ ფერდობს და ყვავილების კრეფას შეუდგნენ. სანამ ერთნი მუყაითად კრავდნენ ენძელების თაიგულებს, სხვებმა მეორე ხეობა იპოვეს, რომელიც იებით იყო სავსე, მერე კი – მესამე, სადაც გაზაფხულის ნაირ-ნაირი ყვავილები ხარობდა.

თავიდან შვედები ბეჯითად შეუდგნენ საქმეს და ყველა ყვავილს განურჩევლად წყვეტდნენ, მერე კი მათთან ამერიკელები მივიდნენ და აჩვენეს, როგორ უნდა ემუშავათ – ყვავილები ფრთხილად უნდა შეერჩიათ და მხოლოდ გასახმობად გამოსადეგები უნდა დაეკრიფათ. ეს ფაქიზი სამუშაო იყო.

გაბრიელი გერტრუდთან ერთად კრეფდა. როდესაც წელში გაიმართა, იქვე რამდენიმე მემამულეს მოჰკრა თვალი, რომელთაც მრავალი წელია ყვავილები ასე ბეჯითად არ უძებნიათ. გაბრიელმა სიცილი ძლივს შეიკავა.

უეცრად ბიჭი გერტრუდს მიუბრუნდა და უთხრა:

– აი, აგერ დავდივარ და ვფიქრობ, რას გულისხმობდა ქრისტე, როცა თქვა: „უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა."[13]

გერტრუდმა თავი ასწია და გაბრიელს შეხედა.

– საოცარი სიტყვებია, – თქვა მან.

– ჰო, – ნელა თქვა ჩაფიქრებულმა გაბრიელმა, – ეტყობა, ეს იმ შემთხვევაზეა ნათქვამი, როდესაც ბავშვები დიდობანას თამაშობენ. ამ დროს ისინი ყველაზე საყვარლები არიან. რა სჯობია იმის ყურებას, როცა ბავშვები შუა შარაზე მინდორს შემოღობავენ ხოლმე და ხნავენ, როცა ქურანა ცხენებს ენის წკლაპუნით უხმობენ და კანაფის შოლტს უტყლაშუნებენ ან კიდევ ნაძვის ტოტით ქვიშაში კვლები გაჰყავთ. რა კარგი მოსასმენია, როდესაც ისინი ერთმანეთს ელაპარაკებიან, ნეტავ თესვას მეზობლებზე ადრე მოვრჩეთო ან, როცა წუწუნებენ, ასეთი ყამირი მიწა არასოდეს შეგვხვედრიაო.

გერტრუდი თავჩაღუნული მიდიოდა და ყვავილებს კრეფდა. არაფერი უპასუხია. ვერ მიხვდა, გაბრიელს რისი თქმა სურდა.

– მახსოვს, როგორ ვერთობოდი, როცა ბავშვობაში ნაფოტებისგან ბოსელი ავაშენე და შიგ ნაძვის გირჩები დავაწყვე, ვითომ ძროხები იყვნენ. – ისეთივე სახით განაგრძო გაბრიელმა, – დილა-საღამოს მუყაითად ვუზიდავდი ჩემს ძროხებს ახლადმოთიბულ ბალახს, ზოგჯერ კი წარმოვიდგენდი, რომ გაზაფხული იყო და ძროხები საძოვარზე უნდა გამედენა; არყის ხის ქერქის სტვირში ჩავბერავდი და ისე ვუხმობდი შერნას და გულლილიას, რომ მთელ ეზოს ესმოდა. დედას ვუყვებოდი ხოლმე, რამდენს იწველიდნენ ჩემი ძროხები და ჩემს კარაქში რძის ქარხანაში რამდენს გადამიხდიდნენ. გულმოდგინედ გავაკეთე ტიხრები ხარისთვის და ყველას, ვინც გვერდით ჩამივლიდა, ვუყვიროდი, ფრთხილად იყავით, ეს სახუმარო როდია, ჩემი ხარი ხალხს ერჩის-მეთქი.

გერტრუდს მუშაობის ხალისი დაეკარგა. გულისყურით უსმენდა გაბრიელს და ფიქრობდა, ნუთუ მასაც იგივე აზრები და ოცნებები აქვს, რაც მე მიტრიალებს თავშიო.

– ყველაზე სახალისო კი მაინც ის იყო, როცა ბიჭები წარმოვიდგენდით, ვითომ მოწიფული კაცები ვიყავით და კრებებს ვმართავდით, – აგრძელებდა გაბრიელი. – მახსოვს, მე, ჩემი ძმები და კიდევ ერთი-ორი ბიჭი როგორ ვისხედით ფიცრების გროვაზე, ჩვენს ეზოში რომ რამდენიმე წელი ეყარა.

თავმჯდომარე ფიცარზე ხის კოვზით აკაკუნებდა, ჩვენ კი მორჩილად ვუსხედით გარს და ვწყვეტდით, რომელ ჩვენგანს უნდა მიეღო ღარიბთა შემწეობა და ამას და ამას რამხელა ბეგარა უნდა გადაეხადა. ვისხედით ჟილეტის ღილკილოებში ცერათითებგაყრილები და, შვრიის ფაფით პირგამოტენილები, ბოხი ხმით ვლაპარაკობდით, ხოლო ერთმანეთს ნაფიც მსაჯულს, მნათეს, ეკლესიის წინამძღვარს ან ოლქის მოსამართლეს ვუწოდებდით.

გაბრიელი შედგა და შუბლზე ისე მოისვა ხელი, თითქოს როგორც იქნა, სათქმელს თავი მოუყარაო. გერტრუდს ყვავილების კრეფა შეეწყვიტა, ძირს ჩამჯდარიყო, თავსაფარი უკან გადაეწია და ისე მისჩერებოდა გაბრიელს, თითქოს მისგან რაღაც ახლის და უჩვეულოს გაგონებას ელისო.

– კარგია, როცა ბავშვები უფროსობანას თამაშობენ, – თქვა კაცმა, – არც უფროსებს აწყენდათ ზოგჯერ ბავშვებივით მოქცევა. ამ მოხუცებს რომ ვუყურებ, რომლებიც ეგეთ დროს უღრან ტყეში მუშაობდნენ ხოლმე და წელს იწყვეტდნენ ტყის გაკაფვასა და შეშის დამზადებაში, ახლა კი აქ ყვავილების კრეფით ერთობიან, ვფიქრობ, რომ იესოს მორჩილებისა და მონანიების გზას ვადგავართ და ბავშვებს ვემსგავსებით.

გაბრიელმა შენიშნა, რომ გერტრუდს თვალები გაუნათდა. ქალი ახლაღა მიხვდა, მას რისი თქმაც უნდოდა და ამ აზრით აღტაცებული დარჩა.

– ანუ, რაც აქ ჩამოვედით, ყველანი ბავშვებად გადავიქეცით, არა? – თქვა გერტრუდმა.

– ჰო, – მიუგო გაბრიელმა, – ჩამოსვლისას მართლაც ბავშვებს ვგავდით, რადგან თავიდან აღვიზარდეთ. აქ ვისწავლეთ დანა–ჩანგლის ხმარება და იმ საჭმლის დაგემოვნება, ადრე რომ არასოდეს გაგვესინჯა, თანაც თავიდან დამჯერი ბავშვებივით ქალაქში გამყოლის გარეშე ვერ გავდიოდით, გზა რომ არ დაგვბნეოდა, გვაფრთხილებდნენ, რომ საშიშ ხალხს და ადგილებს არ გავკარებოდით.

– შვედეთიდან ჩამოსულები ხომ მთლად პატარა ბავშვებს ვგავდით, რადგან ლაპარაკიც უნდა გვესწავლა, – ჩაურთო გერტრუდმა, – ვკითხულობდით, რა ერქვა მაგიდას, სკამს, კარადას თუ საწოლს.

ორივენი გახალისდნენ და შეეცადნენ, მსგავსი ამბები გაეხსენებინათ. გაბრიელი ძალიან ბედნიერი იყო: როგორც იქნა, გერტრუდი ისე დააინტერესა, რომ ქალის ჩვეული გულგრილობა სადღაც გაქრა და უწინდელივით მხნედ და ხალისიანად ლაპარაკობდა.

– ბალახეულობის და ხეების ცნობა ვისწავლე, სწორედ ისე, როგორც ამას ბავშვობაში დედა მასწავლიდა, – განაგრძო გაბრიელმა, – ვისწავლე, როგორ გამერჩია ერთამეთისგან ატამი და გარგარი, ან ნუჟრებიანი ლეღვის ხე – ზეთისხილის დაგრეხილი ხისგან. ვისწავლე, როგორ ამომეცნო მოკლექურთუკიანი თურქი, ზოლიან მოსასხამში გამოწყობილი ბედუინი, თექისქუდიანი დერვიში და ებრაელი, რომელსაც ყურებთან დაკლაკნილი კულულები ჰქონდა.

– ჰო, – დაეთანხმა გერტრუდი, – სწორედ ასე გვასწავლიდნენ ბავშვობაში, ქურთუკებით და ქუდებით როგორ გაგვერჩია ერთმანეთისგან, გლეხები ფლოდადან იყვნენ თუ გაგნეფიდან.

– ყველაზე მეტად, ალბათ, იმით ვგავართ ბავშვებს, რომ მთლიანად სხვებზე ვართ დამოკიდებულები, – თქვა გაბრიელმა, – საკუთარი ფულიც კი არა გვაქვს და თითოეული გროში სხვებს უნდა ვთხოვოთ. ყოველთვის, როცა ხილით მოვაჭრე ფორთოხალს ან ყურძნის მტევანს მთავაზობს, მაგონდება, რას ვგრძნობდი ბავშვობაში, როცა ბაზრობაზე კამფეტების ფარდულს ჩავუვლიდი ხოლმე და ჯიბეში ერთი ერეც კი არ მქონდა.

– ჰო, ალბათ, ძალიან შევიცვალეთ, – მიუგო გერტრუდმა, – ახლა შვედეთში რომ დავბრუნდეთ, იქაურები ვერც გვიცნობენ.

– როგორ შეგვიძლია, არ ვიფიქროთ, რომ ისევ ბავშვები ვართ, როცა კარტოფილს ხელისგულისოდენა ნაკვეთზე ვთხრით, – აღელვებით თქვა გაბრიელმა, – როცა ხის ტოტისგან გაკეთებული სახნისით ვხნავთ, ცხენის ნაცვლად აქაური პატარა ვირებით დავდივართ და ნამდვილი სამუშაოს მაგივრად მხოლოდ წვრილმან შინაურ საქმეებს ვაკეთებთ?

– მაგრამ ქრისტემ ეს სიტყვები რომ თქვა, ყველაზე მეტად სულიერებაზე ფიქრობდა. – შეეკამათა გერტრუდი.

– სულიერებაც შეიცვალა, – წამოისროლა გაბრიელმა, – ნამდვილად ასეა. ნუთუ არ შეგიმჩნევია, რომ როდესაც მძიმე სადარდებელი გვაქვს, დღეები და კვირები კი არ ვიტანჯებით, ვცდილობთ, ის ორიოდე საათში დავივიწყოთ?

სწორედ მაშინ, როდესაც გაბრიელმა ეს სიტყვები წარმოთქვა, მათ სასაუზმოდ უხმეს. გაბრიელი ამან გააბრაზა. ერჩივნა, მთელი დღე უსმელ-უჭმელს გერტრუდის გვერდით გაეტარებინა.

და მაინც, იმ დღეს ისეთი სიმშვიდე და კმაყოფილება დაეუფლა, რომ გაიფიქრა: „ცხადია, კოლონისტები მართლები არიან. ადამიანებს ბედნიერებისათვის მხოლოდ სიმშვიდე და ერთიანობა სჭირდებათ – სწორედ ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. სრულიად კმაყოფილი ვარ იმით, რომ ყველაფერი ისეა, როგორც არის. რაც არ უნდა მიჯაჭვული ვიყო გერტრუდზე, მისი ცოლად მოყვანის ფიქრი არ მაწუხებს, ვეღარც სიყვარულით გამოწვეულ მწვავე ნაღველს ვგრძნობ, რომლისგანაც სხვები ასე იტანჯებიან. სრულიად მაკმაყოფილებს მასთან ყოველდღე ცოტა ხნით შეხვედრა, მასზე ზრუნვა და მისი დაცვა.“

გაბრიელს მოუნდა გერტრუდისთვის ეთქვა, რომ ბავშვივით თავს ამის გამოც გრძნობდა, მაგრამ მეტისმეტად მორცხვი იყო და საჭირო სიტყვებს თავი ვერ მოუყარა.

გაბრიელი მთელი გზა ამაზე ფიქრობდა. უეჭველად უნდა ეთქვა გერტრუდისთვის ორიოდე სიტყვა, რომ ქალს მასთან უშიშრად უნდა ეგრძნო თავი და ძმასავით მინდობოდა.

გორდონელები შინ სწორედ მზის ჩასვლისას დაბრუნდნენ. გაბრიელი ბებერი ჭადრის ხის ძირში ჩამოჯდა, რომელიც სახლის ჭიშკართან იდგა. უნდოდა, რაც შეიძლება დიდხანს დარჩენილიყო გარეთ. როდესაც ყველანი შიგნით შევიდნენ, მასთან გერტრუდი მივიდა და ჰკითხა, შინ ხომ არ შემოხვალო.

– ვზივარ და იმაზე ვფიქრობ, რაზეც დღეს ვილაპარაკეთ, – უთხრა გაბრიელმა, – წარმოვიდგინე, ამ გზაზე რომ ქრისტეს ჩამოევლო, როგორც უთუოდ მრავალჯერ ჩამოუვლია, ამ ხის ქვეშ რომ ჩამომჯდარიყო და ჩემთვის ეთქვა: „უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა.“ გაბრიელს ისეთი მეოცნებე ხმა ჰქონდა, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო. გერტრუდი ჩუმად იდგა და უსმენდა. მას მოაგონდა, ხალხს როგორ უყვარდა გაბრიელის მამის მოსმენა და მიხვდა, რომ მას მამისგან მიეღო მემკვიდრეობით ისეთი სიტყვებით ლაპარაკის უნარი, რომლებიც მისგან კი არ მოდიოდა, ზევიდან იყო ნაკარნახევი.

– მე კი პასუხად ვეტყოდი, – განაგრძო გაბრიელმა: „უფალო, ჩვენ ყრმათა მსგავსად ერთმანეთს უანგაროდ ვეხმარებით და მხარში ვუდგავართ და, თუკი ერთმანეთზე ვბრაზობთ, ეს სიძულვილის გამო კი არა, იმიტომ ხდება, რომ სიკვდილამდე კარგ მეგობრებად ვრჩებით. განა ვერ ხედავ, უფალო, როგორ ვგავართ ბავშვებს?“

– როგორ გგონია, რას ქრისტე გიპასუხებდა? – ჩუმად ჰკითხა გერტრუდმა.

– არაფერს, – უთხრა გაბრიელმა, – მხოლოდ ჩუმად იჯდებოდა და კიდევ ერთხელ გამიმეორებდა: „თუ ჩემს სასუფეველში დამკვიდრება გსურთ, უნდა მოიქცეთ, ვითარცა ყრმანი.“ მე კი უწინდელივით ვეტყოდი: „უფალო, ჩვენ სწორედ ისე გვიყვარს ყველა ადამიანი, როგორც ბავშვებს სჩვევიათ ხოლმე. ჩვენ არ განვასხვავებთ ერთმანეთისგან ებრაელებს და სომხებს, ბედუინებს და თურქებს, თეთრებს და შავებს, გვიყვარს ნასწავლიც და უსწავლელიც, მაღალიც და დაბალიც, ჩვენს ქონებას თანაბრად ვუნაწილებთ ქრისტიანებს და მუსულმანებს. განა ეს იმას არ ნიშნავს, უფალო, რომ ჩვენ ყრმებს ვგავართ და შენს სასუფეველში შემოსვლის უფლება გვაქვს?“

– ქრისტე ამაზე რაღას გპასუხობს? – ისევ იკითხა გერტრუდმა.

– არაფერს, – მიუგო გაბრიელმა, – კვლავ ხის ქვეშ ზის და ძალიან ჩუმად ამბობს: : „უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა!“ და მხოლოდ მაშინ ვხვდები, რას გულისხმობს და ვეუბნები: „უფალო, ბავშვს იმითაც ვგავარ, რომ ისეთ სიყვარულს აღარ განვიცდი, რასაც უწინ ვგრძნობდი, სატრფო ჩემთვის თითქოს ის ბავშვია, რომელიც თამაშში ამყვება, საყვარელი დაიკოა, რომელთან ერთადაც დავეხეტები და მინდორში ყვავილებს ვაგროვებ. უფალო, ნუთუ მე არ...“

გაბრიელს სიტყვა გაუწყდა, რადგან უეცრად მიხვდა, რომ ცრუობდა. მოეჩვენა, თითქოს ქრისტე მართლაც მის წინაშე იდგა და მის სულში იხედებოდა და გაიფიქრა, რომ უფალს შეეძლო დაენახა, როგორ იზრდებოდა მის არსებაში სიყვარული და გარეული მხეცივით გლეჯდა, იმიტომ, რომ მას ამ სიყვარულის და საყვარელი ადამიანის უარყოფა უნდოდა.

გაბრიელმა სახეზე ხელები აიფარა და წამოიძახა:

– არა, უფალო, მე ბავშვს არ ვგავარ და არც შენს სასუფეველში შემოსვლა შემიძლია. ალბათ, სხვებს ეს შეუძლიათ, მე კი არ ძალმიძს ჩემს სულში ცეცხლის ალის და გულში სიცოცხლის ნაპერწკლის ჩაქრობა, რადგან ისე მიყვარს, როგორც არც ერთ ბავშვს არ შეუძლია უყვარდეს. მაგრამ, უფალო, თუკი შენი ნება იქნება, დაე, სიცოცხლის ბოლომდე ამ ცეცხლში დავიდაგო და ნუგეში ვერ ვპოვო.

გაბრიელი კიდევ დიდხანს იჯდა და ტიროდა, იმ დიდი სიყვარულით წალეკილი, რომელსაც სამალავიდან თავი დაეღწია. როცა მან ზემოთ აიხედა, გერტრუდი იქ აღარ იყო. ქალი ისე ჩუმად

გაიპარა, რომ მან ვერც კი შენიშნა, როდის წავიდა.

14. მძიმე დროება

ინგმარ ინგმარშონი რამდენიმე თვის ჩასული იქნებოდა იერუსალიმში. აპრილის მიწურული იყო. ერთ მშვენიერ დღეს იგი იაფას კარიბჭესთან იდგა. უჩვეულოდ თბილოდა, ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა და ინგმარი ჭრელი ბრბოს ცქერით ტკბებოდა, რომელიც ჭიშკარში გადი-გამოდიოდა. თუმცა კაცს მალე მოაგონდა, სადაც იმყოფებოდა და ისევ იმ ამბავს დაუბრუნდა, რაც ამ დღეებში აწუხებდა. „ნეტავ ვიცოდე, როგორ დავარწმუნო გერტრუდი, რომ კოლონიიდან წავიდეს, მაგრამ როგორც ჩანს, ეს შეუძლებელია.“ ფიქრობდა იგი.

ინგმარისთვის სრულიად ნათელი იყო, რომ გერტრუდს იერუსალიმში ვერ დატოვებდა. თუ უნდოდა, სულის სიმშვიდე დაებრუნებინა, ქალი თან უნდა წაეყვანა. „ოჰ, ნეტავ ისევ შინ ვიყოთ, იმ ძველ სკოლაში!“ ფიქრობდა ის, „ნეტავ შემეძლოს, რომ ამ საშინელი ქვეყნიდან წავიყვანო, სადაც ამდენი სასტიკი ადამიანი ცხოვრობს, ამდენი საშიში დაავადება მძვინვარებს და ამდენი ახირებული აზრი და ბოდვაა გამეფებული! ერთადერთი რამ, რაზეც ახლა უნდა ვიფიქრო, ის არის, როგორ წავიყვანო გერტრუდი შინ, დალარნაში. სულაც არ მაღელვებს, მიყვარს თუ არა ან მას ვუყვარვარ თუ არა, მხოლოდ იმას ვცდილობ, მოხუც მშობლებს ჩავუყვანო. ახლა კოლონიაში ყველაფერი ისე კარგად როდია, როგორც ჩემი ჩამოსვლისას. კოლონიას მძიმე დროება უდგას, სწორედ ეს უნდა მოვიმიზეზო, რომ გერტრუდის წაყვანა შევძლო. არ ვიცი, კოლონისტები ასე ერთბაშად რამ გააღატაკა. როგორც ჩანს, ფული სულ გამოელიათ. მათ შორის ერთიც არ მეგულება, ახალი ქურთუკის ან კაბის შეძენა რომ შეეძლოს, ერთი ფორთოხლის ყიდვასაც კი ვერავინ ბედავს და არა მგონია, სადილობისას რომელიმე მათგანი დანაყრებული დგებოდეს სუფრიდან.“

ბოლო დროს ინგმარი ამჩნევდა, რომ გერტრუდს გაბრიელი მოსწონდა, ფიქრობდა, სამშობლოში რომ იყვნენ, ალბათ, დაქორწინდებოდნენო და გრძნობდა, რა დიდი ბედნიერება იქნებოდა, ასე რომ მომხდარიყო. „ვიცი, ბარბრუს ვერ დავიბრუნებ,“ ფიქრობდა იგი, „მაგრამ მირჩევნია, მარტო დავრჩე, ვიდრე სხვა მოვიყვანო ცოლად.“ ინგმარი ყოველთვის ცდილობდა, თავი დაეღწია ამ აზრებისთვის და საკუთარ თავს მკაცრად კიცხავდა. „ასეთი რაღაცები არ უნდა წარმოვიდგინო. მხოლოდ ერთ რამეს უნდა ვეცადო – გერტრუდი როგორმე შინ წავიყვანო.“

ინგმარი ამ ფიქრებში იყო გართული, როცა შენიშნა, რომ ერთ-ერთი გორდონელი ამერიკის საკონსულოდან კონსულის თანხლებით გამოვიდა. კაცს ეს უცნაურად მოეჩვენა. უკვე ისე იყო ჩახედული კოლონიის საქმეებში, რომ იცოდა, როგორ ცდილობდა კონსული, მისთვის რაც შეიძლებოდა, მეტი ზიანი მიეყენებინა. ყველას მიაჩნდა, რომ მასა და კოლონისტებს შორის მტრობა იყო ჩამოვარდნილი.

კონსულის თანმხლები რუსი იყო, გვარად გოდოკინი, რომელიც, ვიდრე გორდონელებს შეუერთდებოდა, დიდხანს ცხოვრობდა შეერთებულ შტატებში. ისინი ქუჩაში გამოვიდნენ და კონსული კაცს დაემშვიდობა.

– მაშ, გინდათ, ხვალ სცადოთ, არა? – ჰკითხა კონსულმა.

– ჰო, – მიუგო კაცმა, – მისის გორდონის აქ არყოფნაში ყველაფერში უნდა დავრწმუნდე.

– მხნეობა უნდა მოიკრიბოთ, – უთხრა კონსულმა, – რაც არ უნდა მოხდეს, მე მხარს დაგიჭერთ.

სწორედ ამ დროს კონსულმა ინგმარს მოჰკრა თვალი.

– განა ეს კაცი ერთ-ერთი თქვენგანი არ არის? – ხმადაბლა იკითხა მან.

შეშფოთებულმა გოდოკინმა მიმოიხედა, მაგრამ ინგმარი რომ იცნო, დამშვიდდა.

– ოჰ, ეგ მთელ დღეებს ძილში ატარებს, – უზრუნველად თქვა მან და ხმისთვისაც კი არ დაუწევია. – დიდი ხანი არ არის, რაც კოლონიაშია და არა მგონია, ინგლისური ესმოდეს.

ამ სიტყვებმა კონსულიც დაამშვიდა და გოდოკინს გამოთხოვებისას უთხრა:

– საქმეს მიხედე და, იმედია, ბოლოს და ბოლოს ამ ბრბოს თავიდან მოვიშორებთ.

– ჰო, – უპასუხა გოდოკინმა, თუმცა მთლად თავდაჯერებულად არ გამოუვიდა. იგი იდგა და კონსულს გაჰყურებდა. ინგმარს მოეჩვენა, რომ კაცი ცახცახებდა და სახეზე ნაცრისფერი ედო. ბოლოს, როგორ იქნა, წავიდა. ინგმარი ცოტა ხანს ერთ ადგილას იდგა, თუმცა გაგონილმა ძალზე შეაფიქრიანა.

– ჰო, ის მართალს ამბობდა – ინგლისური კარგად არ ვიცი, მაგრამ იმდენი კი მესმის, რომ სწორედ ახლა, როცა მისის გორდონი იაფაში გაემგზავრა, ეს კაცი კოლონიაში რაღაც მზაკვრობას აპირებს. ნეტავ რა აქვს ჩაფიქრებული? კონსული ისეთი ბედნიერი ჩანდა, თითქოს მთელ კოლონიას უკვე მოუღო ბოლო. – ჩაილაპარაკა ინგმარმა.

„ეს კაცი, ეტყობა, დიდი ხანია, უკმაყოფილოა კოლონიის წესებით," ფიქრობდა ინგმარი, „მსმენია, რომ თავიდან ის ერთ-ერთი ყველაზე მგზნებარე კოლონისტი იყო, თუმცა ბოლო ხანებში, როგორც ჩანს, გული გაუცივდა. ვინ იცის, იქნებ ვინმე უყვარს სხვა გზით აქედან ვერ მიჰყავს და, რასაკვირველია, ფიქრობს, რომ მას შემდეგ, რაც კოლონიაში სიღატაკემ დაისადგურა, ის დიდხანს არსებობას ვეღარ შეძლებს. ჰოდა, რაც უფრო მალე დაიშლება, მით უკეთესი. ვხვდები, რომ სიღარიბის გამო აუცრუვდა გული აქაურობაზე. კარგა ხანია, ყველგან დაძვრება და ცდილობს, სხვებსაც აუბნიოს თავგზა. ერთხელ ყური მოვკარი, როგორ შენიშნა, მის იანგს სხვებზე ლამაზად აცვიაო, ერთ დღეს კი განაცხადა, მისის გორდონის მაგიდაზე უკეთესი კერძებია, ვიდრე სხვებისო."

„რა ვქნა?" გაიფიქრა ინგმარმა და ქუჩაში გამოვიდა. „ეს კაცი ძალიან საეჭვათო ვინმეა. რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავბრუდე შინ და სხვებს ვუამბო, რაც მოვისმინე."

თუმცა ინგმარი მალე ისევ იაფას კარიბჭესთან დაბრუნდა. „ინგმარ, ასეთი რამ კოლონისტებს ყველაზე ბოლოს შენ უნდა უთხრა." მიმართა მან საკუთარ თავს.

„თუკი ამ კაცს თავის ნებაზე მიუშვებ, საქმე გაგიადვილდება. განა შენ არ იყავი, ახლახან იმაზე რომ იმტვრევდი თავს, გერტრუდი აქაურობისთვის როგორ მოგეშორებინა?! ახლა კი ყველაფერი თავისთავად მოგვარდება. ცხადი იყო, კონსულიც და გოდოკინიც იმას გულისხმობდნენ, რომ მალე იერუსალიმში გორდონელების კვალიც აღარ დარჩება. რა კარგი იქნება, კოლონია რომ დაიშლებოდეს," ფიქრობდა ინგმარი, „მაშინ ხომ გერტრუდი სიხარულით დაბრუნდებოდა შინ, შვედეთში."

როგორც კი ინგმარმა გაიფიქრა, მალე შინ გავემგზავრებიო, იგრძნო, როგორ მონატრებოდა მშობლიური მხარე. „წარმოვიდგენ თუ არა, რომ შემიძლია აპრილში ჩემი მინდვრები მოვხნა, სულ ხელები მექავება და ისე მინდა, სადავეები მეჭიროს, რომ თითები მტკივა. არ მესმის, როგორ ძლებენ აქ შვედები ამდენ ხანს, ტყეში და მინდორში მუშაობის გარეშე. დარწმუნებული ვარ, ტიმს ჰალვურისნაირ კაცს ნახშირის გამოსაწვავ ორმოსთან რომ ეტრიალა ან მიწა მოეხნა, დღესაც ცოცხალი იქნებოდა."

ინგმარი მღელვარებისა და დარდისაგან ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. კარიბჭეში გავიდა და ჰინომის ხეობისკენ მიმავალ გზას დაუყვა. დროდადრო ისევ აგონდებოდა აკვიატებული აზრი, რომ შინ თუ დაბრუნდებოდნენ, გერტრუდი გაბრიელს გაჰყვებოდა ცოლად, თავად კი მარტო იცხოვრებდა. „ხომ შეიძლება, კარინიც გამოგვყვეს და ინგმარის კარ-მიდამოს დიასახლისი გახდეს," ფიქრობდა იგი, „ეს ძალზე მოსახერხებელი იქნებოდა, მერე კი, ალბათ, კარ-მიდამო მემკვიდრეობით მის ვაჟს დარჩებოდა."

„ბარბრუ გინდაც მამისეულ სახლში დაბრუნდეს, მისი სოფელი არც ისე შორსაა ჩვენგან, რომ მისი მონახულება ვერ შევძლო." განაგრძობდა ინგმარი მომავალზე ფიქრს, „თუ მომინდება, ყოველ კვირადღეს მის ეკლესიაში ვივლი ხოლმე, ხან კი სადმე ქორწილში ან დაკრძალვაზე გადავეყრებით ერთმანეთს. მის გვერდით დავჯდები და დაველაპარაკები. ჩვენ რა, მტრები კი არა ვართ, თუმცა კი ერთმანეთს გავეყარეთ."

ერთხელ ინგმარს თავში გაუელვა, უსამართლობაა, კოლონიის დაშლის ამბავი ასე რომ მახარებსო, მაგრამ მაშინვე თავი იმართლა: „ყველა, ვისაც კოლონისტებთან უცხოვრია, აღიარებს, რომ ისინი შესანიშნავი ადამიანები არიან და მაინც, არავის უნდა ამის გაგრძელება. განა ვერ ხედავ, რამდენი მათგანი მოკვდა ან რა დევნას და შევიწროებას გაუძლეს, ახლა კი საშინელ სიღატაკეში ჩაცვივდნენ! არა, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, განსაკუთრებით ახლა, როცა კოლონია გაღარიბდა – ის რაც შეიძლება მალე უნდა დაიშალოს."

ამ ფიქრებში გართული ინგმარი სწრაფად მიიწევდა წინ. ჰინომის ხეობა გადაჭრა და ავაზაკთა მთისკენ მიმავალ გზას შეუყვა. იქ, ზევით, უძველესი ნანგრევების გვერდით უამრავი ახალი სასახლე იყო. ინგმარმა მათ შორის ისე ჩაიარა, რომ არც დაფიქრებულა, საით მიდიოდა. ხან შეჩერდებოდა, მერე კი გზას აგრძელებდა, როგორც მძიმე ფიქრებით შეპყრობილებს სჩვევიათ ხოლმე.

ბოლოს ინგმარი ერთი ხის ქვეშ შედგა. კარგა ხანი გავიდა, ვიდრე ხეს შეათვალიერებდა. ხე საკმაოდ მაღალი იყო და სხვა ხეებისგან სრულიად განსხვავდებოდა, ვინაიდან ტოტები მხოლოდ ცალ მხარეს ჰქონდა. სიმაღლეში არც ერთი ტოტი არ იზრდებოდა და ხშირ, ერთმანეთში

გადახლართულ საბურველს ქმნიდნენ, რომელიც აღმოსავლეთისკენ იყო მიქცეული.

როგორც კი ინგმარმა ხე იცნო, ტანში შიშის ჟრუანტელმა დაუარა. „ეს ხომ იუდას ხეა," გაიფიქრა მან, „სწორედ აქ ჩამოიხრჩო თავი გამყიდველმა. განა უცნაური არ არის, რომ ამ ადგილას მოვხვდი?"

ინგმარი უძრავად იდგა და ხეს აჰყურებდა.

„ნეტავ ვიცოდე, უფალმა აქ რატომ მომიყვანა, იმიტომ ხომ არა, რომ კოლონიის ბინადრებს ვუღალატე?"

კაცი კვლავ მდუმარედ იდგა ხის ქვეშ.

– იქნებ უფლის ნებაა, რომ კოლონიამ არსებობა განაგრძოს? – თქვა მან.

ინგმარი მძიმე ფიქრებმა შეიპყრო და ეს ფიქრები მწარე და მტანჯველი იყო.

„როგორც გინდა, ისე შეგიძლია თავი იმართლო, მაგრამ მაინც უსამართლობაა, კოლონისტებს რომ არ აფრთხილებ, როდესაც იცი, რომ მათ წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება. ალბათ, გგონია, რომ ღმერთმა არ უწყოდა, რას აკეთებდა, როცა შენი ახლობლები ამ უცხო ქვეყანაში ჩამოიყვანა. თუნდაც ვერ ხვდებოდე, რა ჰქონდა განზრახული, ის მაინც ხომ გესმის, რომ კოლონიის ორიოდე წლით არსებობა უფლის ნება არაფრით არ იქნებოდა."

შეიძლება ღმერთმა გადმოხედა იერუსალიმს და იმ ბრძოლებს, რომლებიც თავს დაატყდა ქალაქს და გაიფიქრა: „შეხედეთ, აქ მინდა შევქმნა წმინდა ქალაქი, სადაც ერთიანობა სუფევს და სადაც თანხმობა და მშვიდობა დაიდებს ბინას."

ინგმარი ადგილიდან არ დაძრულა, ფიქრები კი თავის ნებაზე მიუშვა. ისინი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ და ბრძოლოს ველზე ეცემოდნენ.

სამშობლოში მალე დაბრუნების იმედი მასში ისევ ცოცხლობდა. კაცი დიდხანს ცდილობდა მის შენარჩუნებას. მზე ჩავიდა და სწრაფად ჩამობნელდა, ინგმარი კი წყვდიადში იდგა და თავს ებრძოდა. მისთვის სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ უფალს აქ, აღმოსავლეთში დიადი მიზნები ჰქონდა. „მალე დადგება დღე, როცა ეს ქვეყნები მჩაგვრელებისგან გათავისუფლდებიან," ფიქრობდა ინგმარი, „ხოლო იმისათვის, რომ ეს დღე კურთხეული იყოს და არა ბოროტების მომტანი, უფალმა ყველა ქვეყნიდან აქ ისეთი ადამიანები შეკრიბა, რომელთაც სხვების სწავლება და აღზრდა ძალუძთ, რათა აღორძინება დაიწყოს." ბოლოს ინგმარმა ხელები აღაპყრო და უფალს შეევედრა:

– გევედრები, უფალო, ნება მომეცი, შენს გზას დავადგე. თუ ჩემი მრევლის ხალხი აქ გჭირდება, არ მინდა, გზაზე გადაგეღობო.

ეს სიტყვები დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ ინგმარმა უცნაური შვება იგრძნო. ამავე დროს კი მისი ნება სადღაც გაქრა და ინგმარი იმ სურვილს დაემორჩილა, რომელიც მისი კი არა, ვიღაცის იყო. ეს ისე ნათლად დაინახა, თითქოს ვიღაცამ ხელი ჩაკიდა და წაიყვანა. „ეს უფალია, უფალს მივყავარ." გაიფიქრა მან.

ინგმარი ავაზაკთა მთიდან ძირს დაეშვა, ჰინომის ხეობა გადაჭრა და იერუსალიმში შევიდა. სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ მივიდოდა კოლონიაში და მმართველებს უამბობდა, რაც ნახა, მაგრამ როცა იმ გზაჯვარედინამდე მივიდა, სადაც იაფას გზა იწყებოდა, უკნიდან ცხენის ფლოქვების ხმა მოესმა. კაცი მიტრიალდა. ეს გამყოლი იყო, რომელიც რამდენჯერმე ენახა კოლონიაში. მას თან ორი ცხენი მოჰყავდა, ერთზე თავად იჯდა, მეორე კი აღვირით ეჭირა.

– საით გაგიწევია? – ჰკითხა ინგმარმა და კაცი შეაჩერა.

– იაფასკენ, – მიუგო მან.

– მეც იაფაში უნდა გავემგზავრო, – სწრაფად უთხრა ინგმარმა. უეცრად თავში გაუელვა, ამ შემთხვევით ვისარგებლებ და კოლონიაში დაბრუნებამდე ჯერ მისის გორდონს მოვინახულებო.

მალე შეთანხმდნენ, რომ ინგმარი მეორე ცხენით წავიდოდა იაფაში. ცხენი კარგი იყო და ინგმარი თავისი ახირებით კმაყოფილი დარჩა. „შვიდ მილს იაფამდე ამაღამ გავივლი," ფიქრობდა იგი, „ასე რომ, მისის გორდონს შეუძლია ხვალ, ნასადილევს დაბრუნდეს შინ." მაგრამ ერთი საათის ჭენების შემდეგ ინგმარმა შენიშნა, რომ მისმა ცხენმა კოჭლობა დაიწყო. იგი ჩამოქვეითდა და დაინახა, რომ ცხენს ნალი დაკარგვოდა.

– როგორ მოვიქცეთ? – ჰკითხა ინგმარმა გამყოლს, რომელიც მის გვერდით მოდიოდა.

– სხვა გზა არა გვაქვს, – უპასუხა კაცმა, – იერუსალიმში უნდა დავბრუნდე და ცხენი დავჭედო.

ინგმარი მარტოდმარტო იდგა შუა გზაზე და აღარ იცოდა, რა ექნა. უეცრად გადაწყვიტა, ფეხით გაეგრძელებინა მოგზაურობა და იაფამდე მიეღწია. არ იცოდა, გონივრულად იქცეოდა თუ არა, მაგრამ რაღაც ძალამ, რომელიც მას მართავდა, აიძულა ნაბიჯი გადაედგა. უკან დაბრუნება გვიანღა იყო.

ინგმარი ფართო ნაბიჯებით, სწრაფად მიიწევდა წინ, თუმცა მალე ახალი სადარდებელი გაუჩნდა. „ნეტავ როგორ უნდა შევიტყო, მისის გორდონი სად დაბინავდა იაფაში. აი, გამყოლთან ერთად რომ ჩავსულიყავი, სხვა საქმე იქნებოდა. ახლა კი კარდაკარ უნდა ვიარო და მისის გორდონი ვეძებო.“ ინგმარს კარგად ესმოდა, რომ მისი შფოთვა უსაფუძვლო არ იყო, თუმცა სიარულს მაინც აგრძელებდა.

იგი ფართო შარაგზას მიუყვებოდა და, თუმცა ბნელი ღამე იყო, სიარული არ უჭირდა. რვა საათზე მთვარე ამოვიდა და ბორცვები, რომელთა შორისაც შარაგზა მიიკლაკნებოდა, კაშკაშა შუქით გაანათა.

გზა ამ ბორცვებზე ადი-ჩამოდიოდა. როგორც კი ინგმარი ერთ ბორცვს გადალახავდა, წინ ახალი დაბრკოლება ელოდა. დროდადრო საშინელ დაღლილობას გრძნობდა, მაგრამ ის უცხო ძალა წინ მიარბენინებდა. წუთითაც ვერ მოახერხა, გაჩერებულიყო და დაესვენა.

რამდენიმე საათს ინგმარი ასე მიდიოდა. არ იცოდა, რამდენი გაიარა, თუმცა კვლავინდებურად მთებს შუა იყო მომწყვდეული. დაადგამდა თუ არა ფეხს მორიგი ბორცვის თხემს, გაიფიქრებდა, უკვე იმდენი ვიარე, რომ შარონის ვაკეს და მის უკან გადაშლილ ზღვას დავინახავო, მაგრამ მის წინ გადაჭიმული ბორცვების უსასრულო მწკრივის გარდა ვერაფერს ხედავდა.

ინგმარმა საათი ამოიღო. მთვარე ისე ანათებდა, რომ ციფრების და ისრის გარჩევა იოლი იყო. უკვე თერთმეტი სრულდებოდა.

„ოჰ, რა გვიან არის!“ გაიფიქრა მან. „მე კი ისევ იუდას მთებში ვარ მოქცეული.“

ინგმარს ძლიერი შიში დაეუფლა. სიარული აღარ შეეძლო, ახლა უკვე გარბოდა. ქოშინებდა, სისხლი საფეთქლებში ურტყამდა და გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

– მოვკვდები, ამდენს ვეღარ გავუძლებ, – ფიქრობდა იგი, მაგრამ მაინც გარბოდა.

ინგმარმა სწრაფად ჩაირბინა გრძელი ფერდობი. გზა სწორი და მთვარით განათებული იყო და კაცი საფრთხეს არსაიდან ელოდა, მაგრამ ხეობა ჩაბნელებული დახვდა. გზას კარგად ვეღარ არჩევდა, მაგრამ მაინც გარბოდა. ამ დროს ქვას წამოჰკრა ფეხი და წაიქცა.

ინგმარი მყისვე წამოდგა, თუმცა მაშინვე იგრძნო, რომ მუხლი დაეშავებინა და სიარულს ვეღარ შეძლებდა. კაცი გზის პირას ჩამოჯდა. „ალბათ, მალე გამივლის, მანამდე კი ცოტას დავისვენებ,“ გაიფიქრა მან. მალე მიხვდა, რომ ერთ ადგილზე ჯდომა არ შეეძლო. სული მოითქვა და ეგ იყო.

– ვატყობ, რომ ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი. თითქოს ვიღაც მიმერეკება იაფასკენ.

ინგმარი წამოდგა. მუხლში საშინელმა ტკივილმა დაუარა, მაგრამ აინუნშიც არ ჩაუგდია და გზა განაგრძო. ცოტა ხანში ფეხმა უმტყუნა და ძირს დაეცა.

– ახლა კი დადგა ჩემი აღსასრულის დღე, – მიმართა მან მასში ჩასახლებულ მბრძანებელს, – რამე უნდა მოიფიქრო და დამეხმარო.

ეს თქვა ინგმარმა და შორიდან ბორბლების ხმა მოესმა, რომელიც დაუჯერებელი სისწრაფით ახლოვდებოდა. თითქმის მაშინვე, როგორც კი ეს ხმა გაიგონა, უკვე ზედ ყურთან ჩაესმოდა. ცხენი გადარეულივით მოქროდა ბორცვებიდან. ინგმარმა გარკვევით გაიგონა შოლტის ხმა, რომელიც გაუჩერებლად ტყლაშუნობდა და მეეტლის ყვირილი, ცხენს რომ მოაჭენებდა.

ინგმარი საჩქაროდ ადგა ფეხზე და გზის ნაპირზე გადავიდა, რომ ეტლს არ გადაეთელა.

როგორც იქნა, მგზავრმა იმ ბორცვის ძირამდე ჩამოაღწია, რომელიც ინგმარმა ახლახან ჩამოირბინა. კაცი კარგად ხედავდა მომავალს. ეს ჩვეულებრივი, მწვანედ შეღებილი, მსუბუქი ფორანი იყო, ისეთივე, როგორითაც ვესტერდალარნაში დადიოდნენ. „არა, აქ რაღაც ისე არ არის. პალესტინაში ასეთი ფორანი არ შემხვედრია.“ გაიფიქრა ინგმარმა. მეეტლე კიდევ უფრო უცნაური ჩანდა. ისიც მისიანს ჰგავდა – ნამდვილი დალარნელი გლეხივით გამოიყურებოდა პატარა, შავი ქუდით და მრგვლად შეკრეჭილი თმით. თანაც ქურთუკი გაეძრო და ფორანს მწვანე, წითელსახელოებიან ჟილეტში გამოწყობილი მართავდა, ეს კი უეჭველად დალარნული სამოსი გახლდათ. ცხენიც გასაოცარი იყო – ლამაზი, დიდებული და ძლიერი. შავრა იყო, მაგრამ ისე ბზინავდა და ისეთი

მოვლილი ჩანდა, რომ ნათელი გადასდიოდა. მეეტლე კი არ იჯდა, ცხენისკენ გადაწეული იდგა და თავზემოთ შოლტს უტყლაშუნებდა, თუმცა ცხენი, ეტყობოდა, დარტყმებს ვერ გრძნობდა, არც ჭენებისგან ქანცგამოცლილი ჩანდა და თამაშ-თამაშით მიექანებოდა წინ.

მგზავრი ინგმარის წინ შედგა და ფრთხილად უბიძგა.

– თუ გინდათ, მე წაგიყვანთ, – თქვა მან.

მართალია, ინგმარს ძალიან უნდოდა გზის გაგრძელება, მაგრამ შეთავაზების მიღების არანაირი სურვილი არ გასჩენია. ჯერ ერთი, ხვდებოდა, რომ ამ ყველაფერს უწმინდურობის ელფერი დაჰკრავდა, თანაც კაცს საზარელი სახე ჰქონდა – ნაიარევებით დაფარული, თითქოს მრავალი ბრძოლა გადახდენიაო. ცალი თვალის ზემოთ დანის სულ ახალი ჭრილობაც კი მოუჩანდა.

– ალბათ, ასეთ სწრაფ მგზავრობას ნაჩვევი არ ხართ, – უთხრა კაცმა, – თუმცა მეგონა, ჩქარობდით.

– თქვენი ცხენი საიმედოა? – ჰკითხა ინგმარმა.

– ბრმაა, მაგრამ მისი ნდობა შეიძლება.

ინგმარს თავით ფეხებამდე ჟრჟოლამ დაუარა. კაცი ფორნიდან გადმოიხარა და ინგმარს სახეში ჩააცქერდა.

– ნურაფრის გეშინიათ, – უთხრა მან, – ალბათ, ხვდებით, ვინც გამომგზავნა.

ამ სიტყვების გაგონებაზე ინგმარს მხნეობა დაუბრუნდა, ფორანზე აძვრა და ისიც თავბრუდამხვევი სისწრაფით დაეშვა შარონის ვაკეზე.

მისის გორდონი იაფაში ერთ-ერთი ავადმყოფი მეგობრის მოსავლელად ჩამოსულიყო. სნეული მისიონერის ცოლი გახლდათ, რომელიც კოლონისტებთან მეგობრობდა და მათ ყველანაირად ეხმარებოდა.

იმ ღამეს, როცა ინგმარ ინგმარშონი იაფასკენ მიეშურებოდა, მისის გორდონი ავადმყოფს ადგა თავს, მაგრამ ნაშუაღამევს სხვა შეენაცვლა. სნეულის ოთახიდან გამოსულ ქალს ნათელი ღამე დახვდა, მთვარის ვერცხლისფერი შუქი ისე ეფინებოდა არემარეს, როგორც ზღვის ნაპირზე იცის ხოლმე. მისის გორდონი აივანზე გავიდა, რომ ფორთოხლის დიდი ბაღების, ციცაბო კლდეზე შეფენილი ძველი ქალაქის და უსაზღვრო, მოელვარე ზღვის ცქერით დამტკბარიყო.

მისის გორდონი იაფაში კი არა, გერმანულ კოლონიაში ბინადრობდა, რომელიც ქალაქგარეთ, პატარა ბორცვზე იყო.

სწორედ იმ აივნის ქვეშ, რომელზეც ქალი იდგა, გადაჭიმულიყო ფართო შარაგზა, რომელიც კოლონიაზე გადიოდა. მისის გორდონმა სახლებსა და ბაღებს შორის მთვარის შუქით განათებულ გზას გახედა და კოლონიისკენ ძალიან ნელა და გაუბედავად მომავალი კაცი შენიშნა. მგზავრი ზორბა ტანისა იყო, მთვარის შუქზე კი კიდევ უფრო ახოვანი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში და ქალს გოლიათად მოეჩვენა. კაცი ყოველ სახლთან ჩავლისას ჩერდებოდა და ყურადღებით ათვალიერებდა. მისის გორდონს რატომღაც კაცი ავისმომასწავებლად და შემზარავად მოეჩვენა, თითქოს მოჩვენება იყო, რომელიც სახლში შეჭრას და საბრალო ბინადრების დაფრთხობას აპირებდა.

ბოლოს კაცი იმ სახლს მოუახლოვდა, სადაც მისის გორდონი იდგა. ამ სახლთან უფრო დიდი ხნით შეჩერდა, გარს შემოუარა და ქალმა გაიგონა, როგორ აკაკუნებდა იგი დარაბებზე და კარის საკეტების გაღებასაც ცდილობდა. მისის გორდონი აივნიდან გადაიხარა, რომ დაენახა, რა მოხდებოდა და ამ დროს კაცმა იგი შენიშნა.

– მისის გორდონ, – ჩუმად თქვა მან, – ნება მომეცით, ორიოდე სიტყვა გითხრათ.

ამ დროს კაცმა თავი უკან გადასწია, რომ ქალისთვის შეეხედა და მისის გორდონმა ინგმარ ინგმარშონი იცნო.

– მისის გორდონ, პირველ ყოვლისა, ის უნდა გითხრათ, რომ აქ თქვენს მოსაძებნად ჩემი ნებით წამოვედი, არც ერთმა ძმამ ამის შესახებ არაფერი იცის.

– რამე მოხდა? – იკითხა ქალმა.

– ჯერ არაფერი, მაგრამ კარგი იქნება, თუ შინ დაბრუნდებით. – მიუგო ინგმარმა.

– ხვალ ჩამოვალ. – უთხრა მისის გორდონმა.

ინგმარი შეყოყმანდა, მერე კი აუჩქარებლად თქვა:

– სჯობს, ამაღამვე გაემგზავროთ.

მისის გორდონი მოუთმენლობამ შეიპყრო, როცა წარმოიდგინა, რომ მთელი სახლი ფეხზე უნდა დაეყენებინა, თან მაინცდამაინც ამ გლეხსაც არ ენდობოდა. „ნეტავ გამაგებინა, რა მოხდა," გაიფიქრა მან და ინგმარს კითხვები დააყარა, ვინმე ავად ხომ არ გამხდარა ან უსახსროდ ხომ არ დარჩაო. პასუხის ნაცვლად ინგმარი გზისკენ გაემართა.

– მიდიხართ? – ჰკითხა მისის გორდონმა.

– ამბავი მოგიტანეთ. ახლა როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით, – ისე უპასუხა ინგმარმა, რომ არც მობრუნებულა.

მისის გორდონი მიხვდა, რომ რაღაც სერიოზული ხდებოდა და მყისვე მიიღო გადაწყვეტილება.

– ცოტა ხანს თუ დამელოდებით, ჩემთან ერთად წამოხვალთ. – გადასძახა მან ინგმარს.

–არა, გმადლობთ, – მიუგო ინგმარმა, – უკან თქვენზე სწრაფად დავბრუნდები.

მისის გორდონმა მასპინძლისგან ჩინებული ცხენები ითხოვა, შარონის სწორი ვაკე საოცრად სწრაფად გადაჭრა და იუდას მთისკენ მიმავალ ბორცვებს შეუყვა.

ის-ის იყო ინათა, როცა მისის გორდონი გრძელი ფერდობებისკენ შეუდგა გზას, რომლის ძირშიც აბუ გოშის ყაჩაღების ძველი ბუნაგი იყო. უკვე ძალიან ნანობდა, რომ ასე იოლად დაიყოლიეს შინ დაბრუნებაზე. რატომ უნდა დაეჯერებინა იმ გლეხისთვის, რომელმაც კოლონიის შესახებ არაფერი იცოდა? რაც დრო გადიოდა, უფრო მეტს ფიქრობდა იმაზე, რომ მგზავრობის გაგრძელების ნაცვლად იაფაში დაბრუნებულიყო.

როდესაც მისის გორდონმა ფერდობების გრძელი მწკრივი უკან მოიტოვა და ხეობისკენ დაეშვა, გზის პირას ჩამომჯდარ კაცს მოჰკრა თვალი. თავი ხელებში ჩაერგო და მძინარეს ჰგავდა. როცა ეტლმა გვერდით ჩაუარა, კაცმა თავი ასწია და მისის გორდონმა ინგმარ ინგმარშონი იცნო.

„ნეტავ ასე როგორ გამომასწრო?" გაიფიქრა ქალმა, მეეტლეს უბრძანა, შეჩერებულიყო და ინგმარს შეეხმიანა. კაცს მისი ხმის გაგონება ისე გაუხარდა, რომ მაშინვე წამოხტა.

– მისის გორდონ, კოლონიაში ბრუნდებით? – იკითხა მან.

– ჰო. – მიუგო ქალმა.

– რა კარგია. იცით, თქვენს წამოსაყვანად მოვდიოდი, მაგრამ დავეცი და მუხლი ვიტკინე, ჰოდა, მთელი ღამე აგერ ვიჯექი.

მისის გორდონს განცვიფრება დაეტყო.

– განა ამაღამ იაფაში არ ყოფილხართ, ინგმარ ინგმარშონ? – ჰკითხა მან კაცს.

– არა, – უპასუხა მან, – ეგ არის, რომ სიზმარი ვნახე. როგორც კი ცოტათი ჩავთვლიმე, მომეჩვენა, ვითომ იაფას ქუჩებში დავეხეტებოდი და გეძებდით.

მისის გორდონი ღრმად ჩაფიქრდა და დადუმდა. მისი დუმილით დაბნეულმა ინგმარმა დარცხვენით გაიღიმა და ჰკითხა:

– მისის გორდონ, შეიძლება თქვენ გამოგყვეთ? სიარულს ვერ შევძლებ.

მისის გორდონი მყისვე გადმოვიდა ეტლიდან და კაცს ასვლაში მიეშველა, მაგრამ თავად გზაზე იდგა და არ იძვროდა.

– შეუძლებელია, არაფერი მესმის. – ჩუმად თქვა მან. ინგმარი იძულებული გახდა, ქალი გამოეფხიზლებინა.

– ნუ კი გამიჯავრდებით, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ სასწრაფოდ შინ დაბრუნდებით.

მისის გორდონი ეტლში ჩაჯდა, თუმცა ისევ დუმდა და რაღაცაზე ფიქრობდა. სიჩუმე კვლავ ინგმარმა დაარღვია.

– უკაცრავად, მაგრამ რაღაც უნდა გითხრათ. გოდოკინის შესახებ ხომ არაფერი გაგიგიათ?

– არა. – მიუგო მისის გორდონმა.

– გუშინ გავიგონე, თქვენს კონსულს რომ ელაპარაკებოდა. დღეს, ვიდრე კოლონიაში არ იქნებით, რაღაც არეულობის მოწყობას აპირებს.

– რას ამბობთ?! – წამოიძახა მისის გორდონმა.

– მას კოლონიის განადგურება განუზრახავს.

მისის გორდონი, როგორც იქნა, გონს მოეგო, ინგმარს მიუბრუნდა და დაწვრილებით გამოჰკითხა, რაც გაიგონა. ქალი ისევ ფიქრებში ჩაიძირა, მერე კი უეცრად ინგმარს უთხრა:

– მიხარია, რომ ასე შეგტკივათ გული კოლონიაზე, ინგმარ ინგმარშონ.

ინგმარი წამოწითლდა და ქალს ჰკითხა, საიდან იცით, რომ კოლონიის ბედი მაღელვებსო.

– იქიდან ვიცი, რომ ამაღამ იაფაში იყავით და შემატყობინეთ, რომ შინ უნდა დავბრუნებულიყავი. – უპასუხა მისის გორდონმა.

ქალმა უამბო ინგმარს, როგორ შეხვდა ღამით და კაცმა რა უთხრა. როცა თხრობა დაამთავრა, ინგმარმა თქვა, ასეთი საოცარი რამ არასოდეს გადამხდენიაო.

– თუ ყველაფერი კარგად იქნება, საღამომდე უფრო გასაოცარი ამბების მომსწრენი გავხდებით, – თქვა მისის გორდონმა, – რადგან ახლა ნამდვილად ვგრძნობ, რომ უფალს ჩვენი დახმარება სურს.

ქალი დამშვიდდა და კარგ გუნებაზე დადგა, ინგმარს ისე ესაუბრებოდა, თითქოს არანაირი საფრთხე არ ემუქრებაო.

– აბა, ინგმარ ინგმარშონ, მომიყევით, ჩემს არყოფნაში შინ რა ხდებოდა.

ინგმარი შეყოყმანდა და მოიბოდიშა, ენა არც ისე კარგად ვიციო.

– ოჰ, მე კი ყველაფერს მშვენივრად მაგებინებთ, ინგლისურად სხვა შვედებზე უარესად როდი ლაპარაკობთ.

– ასეთი რამ, ალბათ, ჩვეულებრივი ამბავია, – თქვა ბოლოს ინგმარმა.

– გატყობთ, რაღაცის მოყოლა გინდათ, – გაამხნევა მისის გორდონმა.

– ოდესმე თუ გსმენიათ ბარამ ფაშას წისქვილზე? – ჰკითხა ინგმარმა.

– არა, რა ხდება? – უთხრა მისის გორდონმა. – ისიც კი არ ვიცოდი, რომ ბარამ ფაშას წისქვილი ჰქონდა.

– ჰო, – დაიწყო ინგმარმა, – როდესაც ბარამ ფაშა იერუსალიმის მმართველად დანიშნეს, იმაზე დაფიქრდა, როგორ უჭირდა ხალხს ხელის საფქვავებით დაფქვა, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა აქვე, ერთ-ერთ დიდ ხეობაში ორთქლის წისქვილი აეგო. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ამ წისქვილზე არაფერი გსმენიათ, რადგან მას ხეირიანად არც უმუშავია. ბარამ ფაშას არავინ ჰყავდა ისეთი, ვინც წისქვილს მიხედავდა და ისიც მუდამ გაფუჭებული იყო. ჰოდა, ორიოდე დღის წინ ბარამ ფაშამ შემოგვითვალა, იქნებ გორდონელებიდან ვინმემ წისქვილის ამუშავება შეძლოსო. რამდენიმე კაცი წავიდა და წისქვილი შეაკეთა.

– ეს კარგი ახალი ამბავია, – თქვა მისის გორდონმა, – მიხარია, რომ ბარამ ფაშასთვის სამსახურის გაწევა შევძელით.

– ბარამ ფაშა ისეთი კმაყოფილი დარჩა, რომ კოლონისტებს შესთავაზა, წისქვილისთვის მიეხედათ და მისი ამუშავებისთვის იჯარაც არ მოუთხოვია.

„შეგიძლიათ, წისქვილიდან მიღებული სარგებელი თქვენთვის დაიტოვოთ. მხოლოდ იმაზე იზრუნეთ, რომ იმუშაოს.“ თქვა მან.

მისის გორდონი ინგმარისკენ მიტრიალდა.

– მერე? – ჰკითხა მან, – გორდონელებმა რა უპასუხეს?

– პასუხის გაცემა არ გასჭირვებიათ, – მიუგო ინგმარმა, – აბა, რა უნდა ეთქვათ იმის გარდა, რომ სიამოვნებით მიხედავდნენ წისქვილს და ამისთვის არანაირ საზღაურს არ ითხოვდნენ.

– ჰო, სწორად მოქცეულან. – თქვა მისის გორდონმა.

– არ ვიცი, სწორად მოიქცნენ თუ არა, რადგან ბარამ ფაშამ კოლონისტებისთვის წისქვილის გადაცემა გადაიფიქრა. ასე ამბობს, წისქვილს ვერ განდობთ, თუკი გასამრჯელოს არ აიღებთ, არ მინდა, ხალხი ყველაფრის მუქთად მიღებას მიეჩვიოსო. იმასაც ამბობს, რომ ფქვილით მოვაჭრეები და სხვა წისქვილების მფლობელები მას სულთანთან დააბეზღებენ.

მისის გორდონი ჩუმად იჯდა.

– ამრიგად, წისქვილისგან არაფერი გამოვიდა, – განაგრძო ინგმარმა, – ისე, შეგეძლოთ, კოლონიისთვის სამყოფი პური მაინც გეშოვნათ, თან წისქვილის ამუშავება ხალხსაც დიდ შვებას მოუტანდა, თუმცა ამაზე არავის უფიქრია.

მისის გორდონმა არც ამაზე გასცა პასუხი.

– სხვა არაფერი მომხდარა? – ისე ჰკითხა მან ინგმარს, თითქოს სიტყვა ბანზე აუგდოო.

– როგორ არა. მის იანგისა და სკოლის შესახებაც არაფერი გაგიგიათ?

– არა. – მიუგო მისის გორდონმა.

– ორიოდე დღის წინ ჩვენთან აჰმედ ეფენდი მოვიდა, იერუსალიმის მუსულმანური სკოლების მმართველი, და გვითხრა: „იერუსალიმში გოგონების დიდი მუსულმანური სკოლაა, სადაც უამრავი ბავშვი დადის, მაგრამ ჩხუბისა და ყვირილის გარდა არაფერს აკეთებენ. სკოლიდან ისეთი ღრიალი ისმის, თითქოს იაფას ნავსადგურში ხმელთაშუა ზღვა ბობოქრობსო. არ ვიცი, მასწავლებლებმა წერა-კითხვა იციან თუ არა, ის კი ვიცი, რომ ბავშვებს არაფერს ასწავლიან. იქ წასვლა არც მე შემიძლია და ვერც ვერავის გავუშვებ წესრიგის დასამყარებლად, რადგან ჩვენი რელიგია მამაკაცებს გოგონების სკოლაში შესვლას უკრძალავს. ჰოდა, სკოლის დასახმარებლად ერთი რამ მოვიფიქრე,“ თქვა აჰმედ ეფენდიმ, „იქნებ მის იანგს მოეკიდა ხელი ამ საქმისთვის. მის იანგი განსწავლულია. ისიც მომეხსენება, რომ არაბულად ლაპარაკობს. ოღონდ უარს ნუ მეტყვის და, რა ჯამაგირიც უნდა მომთხოვოს, თანახმა ვარ.“

– მერე? – იკითხა მისის გორდონმა, – ეგ ამბავი როგორ დამთავრდა?

– ისევე, როგორც წისქვილის ამბავი. მის იანგმა განაცხადა, სიამოვნებით დაგეხმარებით, მაგრამ ამ სამუშაოში ფულს ვერ ავიღებო. მაშინ აჰმედ ეფენდიმ უთხრა: „ჩვევად მაქვს, გადავუხადო იმათ, ვინც ჩემთვის ირჯება. სამადლოდ არასოდეს არაფერი მიმიღია.“ მის იანგი არ შედრკა და აჰმედ ეფენდის იმედი გაუცრუვდა. კაცი ძალიან გაჯავრდა და წასვლისას მის იანგს უთხრა, შენი ბრალი იქნება, ამდენი ღატაკი ბავშვი აღზრდა-განათლების გარეშე რომ დარჩებაო.

მისის გორდონი დუმდა, მერე კი თქვა:

– როგორც მივხვდი, თვლით, რომ ამ შემთხვევებში უსამართლოდ მოვიქეცით. ჭკვიანი კაცის აზრის გაგება ყოველთვის კარგია, ამიტომაც გთხოვთ, მირჩიეთ, ჩვენი ცხოვრების წესში რა უნდა შევცვალოთ.

ინგმარი კარგა ხანს ყოყმანობდა. მისის გორდონი ისეთი ღირსეული ქალბატონი გახლდათ, რომ მასთან შეკამათება იოლი არ იყო.

– ჰოო, – დაიწყო კაცმა, – მგონია, ეს საქმე ისე შეგიძლიათ მოაგვაროთ, რომ სიღარიბეში ცხოვრება არ მოგიხდეთ.

– შენი აზრით, ამას როგორ ავარიდოთ თავი? – ღიმილით ჰკითხა მისის გორდონმა.

ინგმარმა პასუხი ადრინდელზე უფრო დააყოვნა.

– თქვენი ხალხისთვის გასამრჯელოს აღების ნება რომ მიგეცათ, ასეთ გასაჭირშიც არ იქნებოდით.

მისის გორდონი ფიცხლად შეტრიალდა მისკენ.

– თექვსმეტი წელია, კოლონიას ვმართავ და ამ ხნის განმავლობაში თანხმობით და სიყვარულით ვიცხოვრეთ, ამიტომაც თქვენნაირ ახლადმოსულს უფლება არა აქვს, ცვლილებებზე ილაპარაკოს.

– რატომ ბრაზობთ ჩემზე, განა ამ საუბარში თავად არ ამიყოლიეთ? – მიუგო ინგმარმა.

– ვხვდები, რისი თქმაც გინდათ, – თქვა მისის გორდონმა, – იმასაც გეტყვით, რომ ჯერ კიდევ ბლომად ფული გვაქვს, მაგრამ ახლახან ვიღაცამ ამერიკაში ჩვენს ბანკირებს კოლონიის შესახებ ყალბი ცნობები მიაწოდა და მათაც ამიტომ არ უნდოდათ ფულის გამოგზავნა, თუმცა ვიცი, რომ ფული ჩამოგვივა.

– ამის გაგონება ძალიან მიხარია, – თქვა ინგმარმა, – ისე კი, ჩვენთან ამბობენ, რომ სჯობს, საკუთარი შრომის იმედი გქონდეს, ვიდრე დანაზოგის.

მისის გორდონმა არაფერი უპასუხა და ინგმარიც მიხვდა, რომ უკეთესი იქნებოდა, ამაზე ხმა აღარ ამოეღო.

ცოტა ხანში მისის გორდონმა საუბარი განაახლა.

– დარწმუნებული ვარ, ეს თქვენი ერთადერთი შენიშვნა არ არის, ინგმარ, ალბათ, კიდევ ბევრი რამ არ მოგწონთ.

ინგმარი დიდხანს უარობდა და მისის გორდონმა ძლივს დაარწმუნა, აზრი გამოეთქვა.

– მგონი, ხალხისთვის ნება არ უნდა მიგეცათ, თქვენზე ეჭორავათ. – ამოღერღა ბოლოს მან.

– როგორ ფიქრობთ, ინგმარ, ამისთვის ხელი როგორ უნდა შეგვეშალა? – ჰკითხა ქალმა.

– არ გეჩვენებათ, რომ ის ბინძური ხმები, რასაც ხალხი თქვენზე ავრცელებდა, იმის ბრალი იყო, რომ გინდოდათ, მეტისმეტად წმინდანები ყოფილიყავით? ამას მალე მოეღებოდა ბოლო, ჩვეულებრივი ადამიანებივით რომ მოქცეულიყავით და ახალგაზრდებისთვის დაქორწინების უფლება მიგეცათ.

ინგმარის გასაოცრად, მისის გორდონი მის ნათქვამს უფრო მშვიდად შეხვდა, ვიდრე მის რჩევას, რომ კოლონისტებს გაწეული სამსახურით ფული ეშოვნათ.

– პირველი არა ხართ, ვინც მაგას მეუბნება, – თქვა მან, – მაგრამ კოლონიაში ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველა გიპასუხებთ, რომ სიწმინდის და უმწიკვლობის შენარჩუნება უნდათ.

– ჰო, აბა რა. – დაეთანხმა ინგმარი.

– უფალი ნიშანს მოგვცემს, თუკი რამის შეცვლა მოუნდება. – თქვა ქალმა და საუბარიც ამით დასრულდა.

მისის გორდონი დილით ადრე დაბრუნდა კოლონიაში. ცხრა საათზე მეტი არ იქნებოდა. ბოლო ნახევარ საათს იგი უგუნებოდ იყო და თავს ეკითხებოდა, ნეტავ შინ რა ამბავი დამხვდებაო. როდესაც კოლონიის შენობა დაინახა და შენიშნა, რომ გარშემო სიმშვიდე სუფევდა, შვებით ამოისუნთქა. გეგონებოდათ, ელოდა, აღმოსავლურ ზღაპრებში ნახსენებმა რომელიღაც ავსულმა მთელი კოლონია ზურგზე მოიგდო და გაფრინდაო.

როდესაც მისის გორდონი და ინგმარი სახლს მიუახლოვდნენ, იქიდან ფსალმუნის ხმა შემოესმათ.

– როგორც ჩანს, ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. – თქვა მისის გორდონმა, როცა ეტლი ჭიშკართან შეჩერდა. – დილის ლოცვაზე არიან.

ქალმა კარი საკუთარი გასაღებით გააღო, რომ მლოცველებისთვის ხელი არ შეეშალა. ინგმარს მუხლი მთლად გაშეშებოდა და სიარული უჭირდა. მისის გორდონმა წელზე ხელი მოხვია და დაეხმარა, მრგვალ ეზოში შესულიყო. ინგმარი მაშინვე მერხზე ჩამოჯდა.

– ახლა კი უნდა წახვიდეთ და შეიტყოთ, კოლონიაში რა ამბებია, მისის გორდონ. – თქვა მან.

– ჯერ მუხლს შეგიხვევთ, – უთხრა ქალმა, – ახლა სწორედ შესაფერისი დროა, ხომ გაიგონეთ, დილის ლოცვაა.

– არა, – შეეპასუხა ინგმარი, – ახლა მაინც დამიჯერეთ. დაუყოვნებლივ უნდა წახვიდეთ და გაიგოთ, რამე ხომ არ მომხდარა.

ინგმარმა თვალი გააყოლა მისის გორდონს რომელმაც კიბე აიარა და ღია წინკარიდან სამრევლო დარბაზში შევიდა. როდესაც ქალმა კარი შეაღო, ინგმარმა ვიღაცის ხმამაღალ ლაპარაკს მოჰკრა ყური, რომელიც მყისვე შეწყდა. კარი დაიხურა და სიჩუმე ჩამოვარდა.

ინგმარს ხუთ წუთზე მეტხანს არ დასჭირვებია ლოდინი. სამრევლო დარბაზის კარი უეცრად გაიღო და ოთხი კაცი გამოჩნდა, რომელთაც ვიღაც მოჰყავდათ. მათ მდუმარედ ჩაიარეს კიბე, ეზო გადაჭრეს და ინგმარს მიუახლოვდნენ. კაცი წინ გადაიხარა და სახეში ჩააცქერდა იმას, ვინც მოჰყავდათ. ეს გოდოკინი იყო.

– სად მიგყავთ? – იკითხა მან.

კაცები შეჩერდნენ.

– ქვემოთ, მიცვალებულთა ოთახში. მკვდარია.

შეძრწუნებული ინგმარი ფეხზე წამოდგა.

– როგორ მოკვდა?– იკითხა მან.

– კაციშვილს არ დაუკარებია ხელი. – უპასუხა იუნგ ბიორნმა.

– მაშ, როგორ მოკვდა? – გაიმეორა ინგმარმა.

– მოგიყვები, ეს როგორ მოხდა. – თქვა იუნგ ბიორნმა, – დილის ლოცვის დასრულების შემდეგ გოდოკინი წამოდგა და ლაპარაკი დაიწყო. მან გვითხრა, სასიხარულო ამბავი მოგიტანეთო. მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო, რადგან ამ დროს კარი გაიღო და მისის გორდონი შემოვიდა. როგორც კი გოდოკინმა მას თვალი მოჰკრა, დადუმდა და სახეზე მკვდრისფერი დაედო. ჯერ გაუნძრევლად იდგა, მაგრამ მისის გორდონი რომ მიუახლოვდა, უკან დაიხია და სახეზეც ხელები აიფარა. ეს ისეთი უცნაური სანახაობა იყო, რომ ყველანი ერთბაშად წამოვდექით. ამასობაში გოდოკინი, ეტყობა, გონს მოეგო, მუშტების ჰაერში გაშმაგებულ ქნევას მოჰყვა, თითქოს საშინელ მტერს ებრძვისო და მისის გორდონისკენ დაიძრა. „აქ როგორ მოხვდით?“ ჰკითხა მან მისის გორდონს. მაშინ მისის გორდონმა სერიოზულად შეხედა გოდოკინს და უთხრა: „უფალი დამეხმარა.“ „ვხედავ.“ თქვა კაცმა და შიშისაგან თვალები გადმოკარკლა. „ვხედავ, ვინც გახლავთ.“ „მეც ვხედავ, ვინ გახლავს,“ მიუგო მისის გორდონმა. „ეს სატანაა.“

ამის შემდეგ გოდოკინს მისის გორდონისთვის შეხედვა აღარ გაუბედავს, ისევ უკან-უკან წავიდა და სახეზე ხელი აიფარა. მისის გორდონი კაცს გაჰყვა და მისკენ ხელი გაიშვირა, თუმცა იქვე შეჩერდა. „შენს უკან სატანას ვხედავ!“ მჭექარე და შემზარავი ხმით გაიმეორა მან.

და მაშინ ყველას მოგვეჩვენა, რომ გოდოკინის ზურგს უკან სატანა დავინახეთ, ხელები გავიშვირეთ მისკენ და ავყვირდით: „სატანა! სატანა!“

გოდოკინმა ჩვენს შორის გზა გაიკვლია და, თუმცა ხელი არავის უხლია, ხმამაღლა კვნესოდა, თითქოს დაჭრილი ან ნაცემიაო. წელში მოკაკული მივიდა კართან, მაგრამ როცა გაღება დააპირა, კიდევ ერთხელ შევყვირეთ: „სატანა! სატანა!“ და დავინახეთ, როგორ დაეცა ძირს პირქვე და ასე დარჩა, ხოლო როდესაც ახლოს მივედით და ხელი შევახეთ, მკვდარი იყო.

– ის მოღალატე იყო, – თქვა ინგმარმა, – ჰოდა, თავისი მიეზღო.

– მართალია, – დაეთანხმნენ დანარჩენებიც, – თავისი მიეზღო.

– ნეტავ რას გვიპირებდა? – იკითხა ერთმა.

– ეგ არავინ იცის. – თქვა მეორემ.

– ალბათ, ჩვენი განადგურება უნდოდა.

– კი, მაგრამ როგორ?

– ეგ არავინ იცის.

– ჰო, არავინ იცის.

– კარგია, რომ მოკვდა. – თქვა ინგმარმა.

– ჰო, კარგია, რომ მოკვდა.

მთელი ის დღე კოლონისტები ძალზე აფორიაქებულები იყვნენ. არავინ იცოდა, რის გაკეთებას აპირებდა გოდოკინი ან საფრთხე თავიდან აიცილეს თუ არა. რამდენიმე საათი სამრევლო დარბაზში ლოცვასა და ფსალმუნების სიმღერაში გაატარეს. თითქოს ამ ქვეყანას განერიდნენ და ისეთი გრძნობა დაეუფლათ, რომ უფალი მათ დასაცავად იბრძოდა.

დროდადრო კოლონისტები ამჩნევდნენ, რომ ადამიანები, ძირითადად რუსი მომლოცველები, ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ კოლონიის უდაბურ შემოგარენში, იდგნენ და სახლს აკვირდებოდნენ. გორდონელები დარწმუნდნენ, რომ გოდოკინს მათზე თავდასხმა ჰქონდა განზრახული, ახლა ეს ველური ბრბო შემოესეოდა და სახლიდან გამოაძევებდა, მაგრამ რუსები მალე გაუჩინარდნენ და დღე უხიფათოდ დასრულდა.

საღამოს მისის გორდონი მოვიდა ინგმარ ინგმარშონის მოსანახულებლად, რომელიც მუხლშეხვეული თავის საწოლზე იჯდა. ქალმა მადლობა გადაუხადა გაფრთხილებისა და დახმარებისათვის და ინგმარს ძალიან მეგობრულად ესაუბრა.

ინგმარმა ჰკითხა, თუ იცით, გოდოკინმა და კონსულმა კოლონიის წინააღმდეგ რა ჩაიფიქრესო.

– ახლახან შევიტყვეთ, რის ჩადენასაც აპირებდნენ, – უპასუხა მისის გორდონმა, – უნდოდათ, მისის ჰანტი გაეტაცებინათ, ჩემი საუკეთესო მეგობარი, რომელიც კოლონიის დაარსების დღიდან ჩვენს გვერდით არის. მას ძმა ჰყავს, რომელიც ვერასოდეს ეგუებოდა იმას, რომ მისი და ჩვენ შემოგვიერთდა. ამ დღეებში ჩამოვიდა და უკანასკნელად შეეცადა, და იმაში დაერწმუნებინა, რომ მივეტოვებინეთ. აქ იყო მოსული და მისის ჰანტს ელაპარაკა, ხოლო როდესაც დამ შინ

დაბრუნებაზე უარი უთხრა, ვერაგული გეგმა ჩაიფიქრა. კონსულს დახმარება სთხოვა და გოდოკინი მოისყიდა. მისის ჰანტი მას უნდა გაეტყუებინა კოლონიიდან ისეთ ადგილას, სადაც შეეძლოთ, თავს დახმოდნენ და გაეტაცებინათ. როგორც ჩანს, მის გიჟად გამოცხადებას ან რაღაც ამდაგვარს აპირებდნენ, რათა ქალის დაჭერა უცნაურად არავის მოჩვენებოდა. თანაც ძმას ეგონა, რომ საკმარისი იყო, მისი და ჩემგან შორს დაეგულებინა, მალე მისის ჰანტი მის ვედრებას შეისმენდა და თავისი ნებით გაჰყვებოდა.

ინგმარმა მიუგო, ეს დამაჯერებლად ჟღერს, თუმცა ვერ გავიგე, თუკი მხოლოდ ერთი ადამიანის მოტაცებაზე იყო საუბარი, კონსული რას გულისხმობდა, როცა თქვა, იმედია, მაგათ ყველას თავიდან მოვიშორებო.

– მან იცოდა, რასაც ამბობდა, – თქვა მისის გორდონმა, – მისის ჰანტი ერთადერთი იყო ჩვენ შორის, რომელიც დიდ ქონებას ფლობდა. ბოლო დროს ძმა ფულს აღარ უგზავნიდა და ჩვენ, დანარჩენები, იძულებულნი გავხდით, ჩვენი მცირე დანაზოგებისთვის მიგვემართა. ვცდილობთ, ფული რაც შეიძლება ყაირათიანად ვხარჯოთ, თუმცა ვიცით, რომ მალე აღარაფერი გვექნება. მისის ჰანტს თავისი ბანკირი უარს ვეღარ ეუბნებოდა მისი საკუთრების გაცემაზე, ფული გამოუგზავნა კიდევაც და გვეგონა, საფრთხემ ჩაიარა. ახლა კი ესენი გამოჩნდნენ და მისის ჰანტის გატაცება სცადეს, რომ ჩვენთვის ბოლო მოეღოთ. ყველაფერი ისე მოხდებოდა, როგორც მათ სურდათ და იძულებულები გავხდებოდით, კოლონია დაგვეშალა, ღმერთს რომ თქვენ არ გამოეგზავნეთ ჩვენს დასახმარებლად, ინგმარ.

– ეგ გოდოკინი ნამდვილი მოღალატე იყო. – თქვა ინგმარმა.

– დიდი საფრთხე გვემუქრებოდა. – სერიოზულად თქვა მისის გორდონმა. – გოდოკინის გეგმით, თუ მისის ჰანტს მშვიდობიანი გზით ვერ გაიყვანდა აქედან, მაშინ თავის თანამემამულეებს მოუხმობდა. რუს მომლოცველებს ეტყოდა, რომ აქ ქალს ვმალავდით, რომელსაც ჩვენთან დარჩენა არ უნდოდა და აიძულებდა, მის გასათავისუფლებლად კოლონიისთვის შეეტიათ. გოდოკინის რამდენიმე მეგობარი მოვიდა და იგი მოიკითხა, მასთან მივიყვანეთ და ვუამბეთ, როგორ გარდაიცვალა. ისინიც მიხვდნენ, რომ გოდოკინი მეგობრების ღალატისთვის საკადრისად დაისაჯა და არანაირ ზიანს არ მოგვაყენებენ.

ინგმარმა მისის გორდონს მიულოცა.

– ღრმად მწამს, უფალს სურს, რომ კოლონიამ აქ, იერუსალიმში იარსებოს. – განაცხადა მან.

– ინგმარ ინგმარშონ, – თქვა მაშინ მისის გორდონმა, – თუ შემიძლია, სამაგიერო გადაგიხადოთ, ძალიან გამიხარდება. თუ გინდათ, მიამბეთ, რისთვის ჩამოხვედით იერუსალიმში და დაგეხმარებით.

მისის გორდონმა მშვენივრად იცოდა, რა სურდა ინგმარს და სხვა დროს მხარს არ დაუჭერდა, მაგრამ ახლა გულით უნდოდა, იმ კაცს დახმარებოდა, რომელმაც ასეთი დიდი სამსახური გაუწია.

მისის გორდონის შეთავაზებაზე ინგმარმა თვალები დახარა და დიდხანს ფიქრობდა, ვიდრე რამეს უპასუხებდა.

– დამპირდით, რომ ჩემს სათხოვარზე არ გამიბრაზდებით. – თქვა მან.

მისის გორდონმა მიუგო, მოთმინებით მოგისმენო.

– როგორც ჩანს, ის ამბავი, რის გამოც აქ ჩამოვედი, მალე ვერ მოგვარდება, მე კი უქმად ყოფნა მომწყინდა.

მისის გორდონს ეს კარგად ესმოდა.

– ჰოდა, მისის გორდონ, თუ ჩემი დახმარება გინდათ, – განაგრძო ინგმარმა, – და თუ წინააღმდეგი არ იქნებით, იქნებ უფლება მომცეთ, ბარამ ფაშას წისქვილს მივხედო. თქვენ იცით, რომ სხვებისგან განსხვავებით, ფულის აღებაზე უარი არ მითქვამს, თანაც იმ საქმეს გავაკეთებ, რომელიც მომწონს.

მისის გორდონმა გამომცდელად შეხედა ინგმარს, მაგრამ კაცი თითქმის თვალდახუჭული იჯდა, სახე კი უმეტყველო ჰქონდა. ქალს გაუკვირდა, რომ ინგმარმა სხვა რაღაც არ სთხოვა, თუმცა ამით კმაყოფილიც დარჩა.

– რატომაც არ უნდა დაგეხმარო? – თქვა მან. – აქ ისეთი არაფერია. ჩვენთვისაც კარგი იქნება, თუ ბარამ ფაშას სურვილს შევასრულებთ.

– ჰო, ასეც ვიცოდი, რომ დამეხმარებოდით. – უთხრა ინგმარმა, ქალს მადლობა გადაუხადა და

ერთმანეთს ძალიან კმაყოფილები დაშორდნენ.

15. ინგმარის ბრძოლა

ინგმარმა ბარამ ფაშას წისქვილს მოკიდა ხელი. თვითონ მეწისქვილეა, კოლონიიდან კი მის დასახმარებლად ხან ვინ მოდის და ხან – ვინ.

ძველთაგანვე ცნობილია, რომ წისქვილი იდუმალი ადგილია და კოლონისტებიც მალე ამჩნევენ, რომ საკმარისია, ბარამ ფაშას წისქვილში ერთი დღე მაინც გაატარონ და დოლაბების ხმაურს ყური მიუგდონ, რომ თავს მოჯადოებულად გრძნობენ.

ყველა, ვინც დოლაბებს უსმენს, ბოლოს ხვდება, რომ ისინი ასე ღიღინებენ: „ჩვენ ხორბალს ვფქვავთ, ფულს ვშოულობთ, სარგებლობა მოგვაქვს, მაგრამ რას აკეთებ შენ, რას აკეთებ შენ, რას აკეთებ შენ?“ და ამ სიმღერის გაგონებისას შენში საოცარი სურვილი იღვიძებს, პური საკუთარი ოფლით მოიპოვო. დოლაბების მოსმენისას თითქოს ციებ-ცხელება გიპყრობს. ძალაუნებურად იმაზე იწყებ ფიქრს, რის მაქნისი ხარ, თუ კოლონიის დასახმარებლად ვერაფერს აკეთებ.

ისინი, ვისაც წისქვილში ორიოდე დღე მაინც გაუტარებია, მხოლოდ ხეობების სახნავ მიწებზე ლაპარაკობენ, რომლებიც ტყუილუბრალოდ ცდება ამ ქვეყანაში, ლაპარაკობენ მთებზე, ტყეებით რომ უნდა იყოს დაფარული, უპატრონოდ მიგდებულ ვენახებზე, რომლებიც მუშახელს უხმობენ. ერთ-ორ კვირაში, წისქვილის დოლაბები რომ ისევ ამღერდება, ის დღეც დგება, როცა შვედი გლეხები ქვემოთ, შარონის ვაკეზე, მიწის ნაგლეჯს იჯარით იღებენ და ხვნა-თესვას იწყებენ.

ცოტა ხანში ისინი ზემოთ, ზეთისხილის მთაზე შეფენილ დიდ ვენახებს ეპატრონებიან. გამოხდება ხანი და ისინი ერთ-ერთ ხეობაში წყალსადენის გაყვანასაც იწყებენ.

შვედების ამგვარ წამოწყებას ნელ-ნელა ამერიკელი და სირიელი კოლონისტებიც უბამენ მხარს. ისინი სკოლებში მუშაობენ, ფოტოაპარატს ყიდულობენ და მთელ ქვეყანაში დაეხეტებიან ფოტოების გადასაღებად, რომელთაც მერე მოგზაურებზე ყიდიან, კოლონიის ერთ-ერთ კუთხეში კი ძვირფასეულობის პატარა მაღაზიას ხსნიან.

დიდი ხანი არ გაივლის და მის იანგი უკვე აჰმედ ეფენდის სკოლის გამგე ხდება. სკოლაში შვედი გოგონებისთვისაც მოიძებნება სამუშაო. ისინი მუსულმან ბავშვებს კერვას და ქსოვას ასწავლიან.

შემოდგომაზე მუშაობა დუღს და გადმოდუღს და კოლონია ჭიანჭველების ბუდეს ემსგავსება.

თუკი კარგად ჩაუფიქრდები, მთელი ზაფხულის განმავლობაში არც ერთი უბედური შემთხვევა არ მომხდარა. იმ დღიდან, რაც ინგმარმა წისქვილში დაიწყო მუშაობა, არც არავინ მომკვდარა და არც იერუსალიმის მანკიერებაზე დარდს შეუშლია ჭკუაზე.

ყველას ძალზე კმაყოფილი სახე აქვს, კოლონია ახლა უწინდელზე უფრო უყვართ, გეგმებს ადგენენ, ახალ წამოწყებებს აგვარებენ. სრული ბედნიერებისთვის, ალბათ, სწორედ ეს სჭირდებოდათ და ახლა ყველას სწამს, რომ უფლის ნება იყო, საკუთარი შრომით ლუკმაპურის შოვნა რომ დაიწყეს.

სექტემბერში ინგმარი წისქვილს იუნგ ბიორნს გადაულოცავს, თავად კი კოლონიაში რჩება. ის და გაბრიელი იქვე, ახლოს, შიშველ მიწაზე რაღაც ფარდულს აშენებენ, თუმცა არავინ იცის, ფარდული რაში სჭირდებათ, შიგნითაც არავის ახედებენ, ეს დიდი საიდუმლოა.

ბოლოს და ბოლოს ფარდული მზად არის. ინგმარი და გაბრიელი იაფაში მიემგზავრებიან და იქაურ გერმანელ კოლონისტებთან ხანგრძლივ, დაუსრულებელ მოლაპარაკებას იწყებენ. ორ დღეში კი შინ ბრუნდებიან, ოღონდ ახლა ჩინებულ წაბლა ცხენებზე არიან ამხედრებულნი.

ეს ცხენები უკვე კოლონიის საკუთრებაა და, ალბათ, მის ჭიშკარს თავად სულთანმა ან იმპერატორმა რომ მიუკაკუნოს და განაცხადოს, კოლონისტებს მინდა შევუერთდეო, საეჭვოა, უფრო დიდი პატივით მიიღონ.

ერთი განახათ, რა ხალისით დასდევენ ბავშვები ცხენებს და როგორ ამაყობენ ის გლეხები, რომელთაც ამ ცხენებით მიწის მოხვნა ხვდათ წილად!

ასეთ მოვლილ ცხენებს იშვიათად ნახავ მთელ აღმოსავლეთში. გლეხები ყოველ ღამე დგებიან, რომ დახედონ, ბაგა თივით სავსეა თუ არა. დილაობით კი, როცა რომელიმე შვედი გლეხი ცხენებს კაზმავს, ძალაუნებურად ასე ფიქრობს:

„ამ ქვეყანაში ცხოვრება არც ისე ძნელი ყოფილა. ახლა ვგრძნობ, რომ აქაურობას თანდათან

ვეჩვევი. ეჰ, ნეტავ ტიმს ჰალვურიც მოსწრებოდა ამ დღეს! ასეთი ცხენებით რომ ეჯირითა, განა დარდს გადაჰყვებოდა.“

სექტემბრის ერთ დღეს, დილაბნელზე, ინგმარი და გაბრიელი კოლონიიდან გამოვიდნენ. ზეთისხილის მთაზე იჯარით აღებულ ერთ-ერთ ვენახში სამუშაოდ მიეჩქარებოდათ.

ისე მოხდა, რომ ინგმარი და გაბრიელი იშვიათად ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის თითქოს არანაირი შუღლი არ იყო, თუმცა ყველაფერზე განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ. ამჯერად ზეთისხილის მთისკენ მიმავალი გზის გამო შეკამათდნენ. გაბრიელს გრძელი გზა ერჩივნა, რომელიც ბორცვებზე გადიოდა, ამბობდა, სიბნელეში ეს გზა უფრო უხიფათოაო. ინგმარს კი უფრო მოკლე და ძნელი გზით სიარული უნდოდა, რომელიც ჯერ იოსაფატის ხეობაში ჩადიოდა, მერე კი – პირდაპირ მთაზე ადიოდა.

კამათი ახლად დაწყებული ჰქონდათ, როდესაც ინგმარმა გაბრიელს შესთავაზა, ორივე ჩვენ-ჩვენს გზას დავადგეთ და ვნახოთ, ვინ უფრო მალე მივაო. გაბრიელიც დათანხმდა და ისინი სხვადასხვა მხარეს წავიდნენ.

როგორც კი გაბრიელი თვალს მიეფარა, ინგმარს ძლიერი ნაღველი დაეუფლა, რომელიც მარტო დარჩენისას მუდამ სულს უხუთავდა.

– ნუთუ უფალი მოწყალებას არ მოიღებს და სამშობლოში არ დამაბრუნებს? – თქვა მან. – ნუთუ გერტრუდის იერუსალიმიდან წაყვანაში არ დამეხმარება?

– უცნაურია, რომ სწორედ იმაში არ მიმართლებს, რის გამოც აქ ჩამოვედი. – ხმადაბლა თქვა წყვდიადში მიმავალმა ინგმარმა. – გერტრუდს ერთი ნაბიჯითაც ვერ მივუახლოვდი. სამაგიეროდ, სხვა რამეებში იმაზე უკეთ წამივიდა საქმე, რომ არც ველოდი. ახლაც არ მჯერა, რომ ეს ხალხი ოდესმე მუშაობას დაიწყებდა, მე რომ წისქვილის ამუშავება არ მომსვლოდა აზრად.

– მერედა, რა მშვენიერი სანახავია, თანდათან როგორ გაიტაცა ყველა მუშაობამ, – განაგრძობდა ის. – ჰო, ძალიან კარგი და ჭკუის სასწავლებელი რამ არის, თუმცა ჩემი სახლის მონატრებას ეს მაინც ვერაფერს შველის. ზოგჯერ მგონია, აქ მოვკვდები, შინ ვეღარასოდეს გავემგზავრები და ბარბრუს და ინგმარის კარ-მიდამოსაც ვერასოდეს ვიხილავ.

ამ ფიქრებში გართულმა ინგმარმა ამასობაში ხეობის ფსკერს მიაღწია. მის ზემოთ, ღამეული ცის ფონზე ქალაქის ინკრუსტრირებული კედლის სილუეტი იხატებოდა, გარშემო კი ყოველმხრივ უზარმაზარი მთები აღმართულიყო.

„სახეტიალოდ მაინც საშიში ადგილია.“ გაიფიქრა ინგმარმა და ახლაღა გაახსენდა, რომ მუსულმანური და ებრაული სასაფლაოები უნდა გაევლო.

სასაფლაოების ხსენებაზე ინგმარს ერთი შემთხვევა მოაგონდა, რომელიც სწორედ იმ დროს მოხდა იერუსალიმში. წინა დღეს, როცა ეს ამბავი მოისმინა, ინგმარს სხვა ამბების მსგავსად, რასაც წმინდა ქალაქში ყვებოდნენ, აინუნშიც არ ჩაუგდია, მაგრამ ახლა, ღამის წყვდიადში, მონათხრობი შემზარავად მოეჩვენა.

საქმე ის გახლდათ, რომ ებრაულ დასახლებაში ერთი პატარა საავადმყოფო იყო, რომელსაც ქალაქში ცუდი სახელი ჰქონდა, რადგან პაციენტები არასოდეს ჰყავდა. ინგმარს ბევრჯერ ჩაუვლია საავადმყოფოსთან, ფანჯრებშიც შეუხედავს და უნახავს, რომ საწოლები ყოველთვის ცარიელი იყო. თუმცა ამას სრულიად ბუნებრივი მიზეზი ჰქონდა და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. საავადმყოფო ინგლისელ მისიონერთა საზოგადოებამ დააარსა და იქ სნეულ ებრაელებს იმიტომ იღებდნენ, რომ თავის რჯულზე მოექციათ, მაგრამ ებრაელები, იმის შიშით, საავადმყოფოში რაიმე აკრძალული საკვების ჭამა არ მოგვთხოვონო, იქაურობას თავს არიდებდნენ.

ორიოდე დღის წინ კი საავადმყოფომ მაინც მიიღო ერთი პაციენტი – ღარიბი, მოხუცი ებრაელი ქალი, რომელიც ქუჩაში, სწორედ საავადმყოფოსთან, წაქცეულიყო და ფეხი მოეტეხა. ქალი საავადმყოფოში შეიყვანეს და უმკურნალეს, მაგრამ ორი დღის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

სიკვდილამდე ქალმა ბრიტანელ მოწყალების დებს და ექიმს ფიცი დაადებინა, რომ მას იოსაფატის ხეობაში, ებრაელთა სასაფლაოზე დაკრძალავდნენ. თქვა, ღრმად მოხუცებული იერუსალიმში მხოლოდ ამიტომ ჩამოვედი და, თუ პირობას არ მომცემთ, მერჩივნა ქუჩაში მოვმკვდარიყავიო.

მოხუცის გარდაცვალების შემდეგ ინგლისელებმა მართლაც შეუთვალეს ებრაელთა თემის წინამძღოლს, მიცვალებულის გადასასვენებლად და დასაკრძალავად ხალხი გამოეგზავნა, მაგრამ ებრაელებმა უპასუხეს, უფლება არა გვაქვს, მოხუცი ქალი, რომელიც ქრისტიანთა საავადმყოფოში გარდაიცვალა, ებრაულ სასაფლაოზე დავკრძალოთო.

მისიონერები შეეცადნენ, ებრაელები დაერწმუნებინათ, რომ დათმობაზე წასულიყვნენ. მთავარ რაბინსაც კი მიმართეს, მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა. სხვა რა გზა ჰქონდათ, მიცვალებული თავად უნდა მიებარებინათ მიწისთვის, თუმცა არ უნდოდათ, ქალისთვის ის სურვილი არ შეესრულებინათ, რასაც მთელი თავისი საბრალო ცხოვრება შეჰხაროდა. ამიტომაც ებრაელების აკრძალვა ყურად არ იღეს, იოსაფატის ხეობაში, სასაფლაოზე სამარე გაჭრეს და მიცვალებული ჩაასვენეს.

ებრაელებს მათთვის ხელის შეშლა არც უცდიათ, სამაგიეროდ, მეორე ღამეს სამარე გახსნეს და იქიდან კუბო ამოიღეს.

ინგლისელები მოხუცისთვის მიცემული სიტყვის ერთგულები აღმოჩნდნენ. როგორც კი შეიტყვეს, ქალი საფლავიდან ამოიღესო, მაშინვე უკან დააბრუნეს. მეორე ღამეს კი ებრაელებმა კუბო ისევ ამოთხარეს.

ინგმარ ინგმარშონი უეცრად შეჩერდა და მიაყურადა. „ვინ იცის, იქნებ ის საფლავის მთხრელები ამაღამაც იქ არიან.“

თავიდან არაფერი ესმოდა, მერე კი რაღაც ჟღრიალი გაიგონა, თითქოს ქვაზე რკინის საგანს ურტყამდნენ.

ინგმარი იქით გაემართა, საიდანაც ხმა მოესმა, მერე კი ისევ შეჩერდა და ყური მიუგდო. ახლა უკვე მკაფიოდ გაიგონა, როგორ თხრიდნენ მიწას რკინის ნიჩბებით და ქვებს და ქვიშას ზემოთ ისროდნენ.

კაცი ისევ დაიძრა ადგილიდან და კვლავ მოესმა ნიჩბების ხმა. „ხუთი-ექვსი ნიჩაბი მაინც იქნება,“ გაიფიქრა მან, „საშინელებაა იმის წარმოდგენა, რომ ადამიანები სიკვდილის განდევნას ამგვარად ცდილობენ.“

ინგმარი წინ მიიწევდა და ნიჩბების ხმას აყურადებდა, თან გრძნობდა, რომ საშინელი მრისხანება ეუფლებოდა, რომელიც სულ უფრო მატულობდა.

– ეს შენი საქმე არ არის, – თქვა მან თავის დასამშვიდებლად, – ამასთან საერთო არაფერი გაქვს. მაგრამ სისხლმა თავში აასხა და ყელში რაღაცამ ისე წაუჭირა, კინაღამ დაიხრჩო. „რა საზიზღარი და შემზარავი ხმებია,“ გაიფიქრა მან, „ამაზე უარესად არასოდეს ვყოფილვარ.“

ბოლოს ინგმარი შეჩერდა, ხელი მაღლა ასწია და მუშტის ქნევას მოჰყვა.

– ეი, თქვენ, არამზადებო, დაიცადეთ. – თქვა მან. – კარგა ხანია, მოვდივარ და ეს ხმები მესმის. ვერავინ მაიძულებს, მშვიდად აგიაროთ გვერდი, როდესაც მიცვალებულის ამოთხრას აპირებთ.

ინგმარმა სწრაფად და ჩუმი ნაბიჯით განაგრძო გზა. გულზე მოეშვა და თავი თითქოს ბედნიერადაც კი იგრძნო. „ეს, ალბათ, სიგიჟეა, მაგრამ ნეტავ მამაჩემი რას იტყოდა, მისი სიკვდილის დღეს ვინმეს რომ დაენახა, როგორ შედიოდა წყალში იმ პატარა ბავშვების კვალდაკვალ და დაეძახა, თავს გაუფრთხილდი და მდინარეში არ შეხვიდეო. ჰოდა, ახლა მეც ხომ მაქვს უფლება, ისე მოვიქცე, როგორც მინდა, რადგან აქ, ჩემ გვერდით, ბოროტების მდინარე მიედინება და აბობოქრებულ, შავ წყალს მკვდრებიც და ცოცხლებიც მიაქვს, მე კი ნაპირზე უქმად ვეღარ ვიდგები. ახლა ჩემი ჯერი დადგა და დინებას უნდა შევებრძოლო.“ გაიფიქრა მან.

და, აი, ინგმარი უკვე იმ სამარის პირას იდგა, რომელსაც რამდენიმე კაცი მუყაითად თხრიდა. არც სანთელი ჰქონდათ, არც ჩირაღდანი და სიბნელეში მუშაობდნენ. ინგმარმა არ იცოდა, რამდენი იყვნენ და ეს არც უკითხავს, ისე გაერია მათში. ერთ-ერთს ნიჩაბი ხელიდან გამოგლიჯა და აქეთ-იქით ქნევას მოჰყვა. კაცებს ისე მოულოდნელად დაესხა თავს, რომ მათ შიშისაგან ლამის გონება დაკარგეს და ისე მოკურცხლეს, წინააღმდეგობის გაწევა არც უცდიათ. მალე ინგმარი მარტო დარჩა.

პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ ამოყრილი მიწა ისევ საფლავში ჩააბრუნა, მერე კი იმაზე დაფიქრდა, კიდევ რა უნდა ექნა. მისი აზრით, გათენებამდე აქედან წასვლა გონივრული საქციელი არ იყო, რადგან როგორც კი გზას დაადგებოდა, მიწის მთხრელები ისევ მობრუნდებოდნენ.

ამგვარად, ინგმარი კვლავ საფლავთან იდგა და ელოდა. ყველა ბგერას ფხიზლად უგდებდა ყურს, თუმცა თავიდან გარშემო სიჩუმე იდგა. „ვერ დავიჯერებ, რომ ერთი კაცის შიშით შორს გაიქცეოდნენ.“ ფიქრობდა იგი და სწორედ ამ დროს მეზობელ საფლავებზე მოფანტული კენჭების ჩუმი ჩხრიალი გაიგონა. მოეჩვენა, რომ მისკენ მუქი ფიგურები მოიწევდნენ.

„ახლა კი, მგონი, ცუდადაა საქმე.“ თავში გაუელვა ინგმარს და მოწინააღმდეგის მოსაგერიებლად ნიჩაბი შემართა. მოულოდნელად მისკენ დიდი თუ პატარა ქვების ისეთი სეტყვა წამოვიდა, რომ თავგზა აებნა, თანაც რამდენიმე კაცი მივარდა და მის წაქცევას შეეცადა. სასტიკი შეტაკება

გაიმართა. ინგმარი ძალიან ღონიერი იყო და მომხდურებს ერთიმეორის მიყოლებით იგერიებდა, მაგრამ ისინი მედგრად იბრძოდნენ და დანებებას არ აპირებდნენ. ბოლოს ერთ-ერთი მათგანი ზედ ინგმარის ფეხებთან გაიშხლართა. მან სწორედ მაშინ გადადგა ნაბიჯი, წაბორძიკდა, მძიმედ დაასკდა მიწას და თვალში საშინელი ტკივილი იგრძნო. ახლა კაცი სრულიად უმწეო იყო. გრძნობდა, როგორ ესეოდნენ და ხელ-ფეხს უკრავდნენ, თუმცა წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა. ტკივილი ისეთი მწვავე და მტანჯველი იყო, რომ ინგმარს არაქათი გამოეცალა და თავდაპირველად ისიც კი გაიფიქრა, ვკვდებიო.

ამ დროს გაბრიელი გზას მიუყვებოდა და, რაც დაშორდნენ, მას შემდეგ ინგმარზე ფიქრობდა. ჯერ ძალიან სწრაფად მიდიოდა, რადგან ინგმარზე ადრე უნდოდა მთაზე ასულიყო, მაგრამ ცოტა ხანში ნაბიჯი შეანელა და თავისთვის ნაღვლიანად გაეღიმა. „განა არ ვიცი? როგორც არ უნდა ვიჩქარო, ინგმარს მაინც ვერ ავასწრებ. ჯერ არავინ შემხვედრია, ვისაც ყველაფერში ასე უმართლებდეს და ასეთი უნარი ჰქონდეს, რომ თავისი გაიტანოს. გერტრუდის წაყვანას აპირებს დალარნაში და, ალბათ, ვერც ამაში შევუშლი ხელს. ხომ ვნახე, სულ რაღაც ექვს თვეში მთელი კოლონია როგორ აიყოლია.“

გაბრიელი ზეთისხილის მთაზე, იმ ადგილას ავიდა, სადაც ის და ინგმარი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ კაცი იქ არ დახვდა და ეს ძალიან ესიამოვნა. გაბრიელი საქმეს შეუდგა და კარგა ხანს მუშაობდა. „იქნებ ამ ერთხელ მაინც აღიაროს, რომ არასწორი გზა აირჩია.“ ფიქრობდა იგი.

ირიჟრაჟა და ინგმარი რომ ისევ არ გამოჩნდა, გაბრიელი მოუსვენრობამ შეიპყრო, ჩემს თანამგზავრს რამე ხომ არ შეემთხვაო და მის საძებნელად მთიდან ძირს დაეშვა. „ინგმარისთვის ნამდვილად უჩვეულო საქციელია,“ გაიფიქრა მან, „მართალია, მიზეზი არა მაქვს, მომწონდეს, მაგრამ მგონია, გული დამწყდება, რამე რომ მოუვიდეს.“

მალე გათენდა კიდევაც და იოსაფატის ხეობაში ჩასულ გაბრიელს დიდი ხანი არ დასჭირვებია ინგმარის საპოვნელად, რომელიც ორ საფლავის ქვას შუა იწვა. კაცს ხელები შეკრული ჰქონდა და გაუნძრევლად ეგდო, მაგრამ როგორც კი გაბრიელის მძიმე ნაბიჯების ხმა გაიგონა, თავი წამოსწია.

– შენა ხარ, გაბრიელ? – იკითხა მან.

– ჰო, – მიუგო გაბრიელმა, – როგორ ხარ?

და ამ დროს ინგმარის სახე დაინახა. თვალები დახუჭული ჰქონდა, ცალი თვალი შეშუპებოდა და უპედან სისხლი სდიოდა.

– რა ჩაიდინე, კაცო? – უჩვეულოდ ყრუ ხმით ჰკითხა გაბრიელმა.

– იმ საფლავის მთხრელებს შევებრძოლე, – თქვა ინგმარმა, – ერთს ზედ დავეცი, იმას კი ხელში დანა ეჭირა და პირდაპირ თვალში მომხვდა.

გაბრიელი ინგმარის წინ მუხლებზე დაეცა და ხელებზე თოკის შეხსნას შეუდგა.

– საფლავის მთხრელებთან ჩხუბში როგორ მოხვდი? – ჰკითხა მან.

– მე ხომ ხეობის გავლით მივდიოდი და გავიგონე, როგორ თხრიდნენ.

– ჰოდა, შენც ვერ აიტანე, რომ ის მიცვალებული ამაღამაც უნდა ამოეთხარათ, არა?

– ჰო, – უპასუხა ინგმარმა, – ვერ ავიტანე.

– ძალიან გაბედულად მოქცეულხარ, ინგმარ. – უთხრა გაბრიელმა.

– არა, რას ამბობ, – თქვა ინგმარმა, – ალბათ, მათთან შებმა სისულელე იყო.

– შენ ყველანი გვაიძულე, რომ შეგვრცხვეს, ინგმარ, – თქვა გულაჩუყებულმა და თვალზე ცრემლმომდგარმა გაბრიელმა, – მინდა თუ არა, შენით მაინც აღტაცებული ვარ.

16. ზეთისხილის მთაზე

ინგმარს თვალის დიდი ინგლისური ჰოსპიტლის ექიმი მკურნალობდა, რომელიც ყოველდღე მოდიოდა კოლონიაში და სახვევს ადებდა. კაცმა დაზიანებულ თვალში მხედველობა დაკარგა, მაგრამ ჭრილობა სწრაფად შეუხორცდა და მალე ისე გამოჯანმრთელდა, რომ საწოლიდან ადგომა და სიარულიც შეძლო.

ერთ დილას ექიმმა შენიშნა, რომ ინგმარს მეორე, ჯანსაღი თვალი გაუწითლდა და შეუშუპდა. ექიმი ძალზე შეშფოთდა და მყისვე განკარგულება გასცა, როგორ უნდა ემკურნალათ თვალისთვის, მერე კი ინგმარს მიუბრუნდა და განუცხადა, უმჯობესი იქნება, თუკი პალესტინიდან რაც შეიძლება მალე გაემგზავრებიო.

– ვშიშობ, რომ აღმოსავლეთში გავრცელებული თვალის საშიში სნეულება შეგეყარათ, – თქვა მან. – ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, მაგრამ მეეჭვება, თქვენმა ერთადერთმა თვალმა სნეულებას გაუძლოს. აქ თუ დარჩებით, რამდენიმე კვირაში აუცილებლად დაბრმავდებით.

ამ ამბავმა ძალიან დაამწუხრა მთელი კოლონია, არა მხოლოდ ინგმარის ნათესავები, არამედ სხვა კოლონისტებიც. ყველა ამბობდა, რომ ინგმარმა გორდონელებს კეთილდღეობა მოუტანა, როდესაც მათ, სხვა ადამიანების მსგავსად, საკუთარი შრომით ლუკმაპურის შოვნა დააწყებინა და ასეთ კაცს კოლონია არ უნდა დაეტოვებინა. თუმცა ყველანი ფიქრობდნენ, რომ ინგმარი უნდა გამგზავრებულიყო და მისის გორდონმაც მაშინვე განაცხადა, ერთ-ერთი ძმა უნდა მოემზადოს და მას თან გაჰყვეს, რადგან მარტო მგზავრობას ვერ შეძლებსო.

ინგმარი დიდხანს უგდებდა ყურს, როგორ ლაპარაკობდნენ მის გამგზავრებაზე, ბოლოს კი თქვა:

– დარწმუნებული არა ვარ, რომ თუ აქ დავრჩები, უეჭველად დავბრმავდები.

მისის გორდონმა ჰკითხა, ამით რისი თქმა გინდაო.

– ის საქმე, რის გამოც ჩამოვედი, ჯერ არ დამიმთავრებია. – ნელა უპასუხა კაცმა.

– იმას გულისხმობ, რომ გამგზავრება არ გინდა?

– ჰო, შინ ხელცარიელი დაბრუნება ძალიან მიმძიმს.

ეტყობა, მისის გორდონი დიდ პატივს სცემდა ინგმარს, რადგან გერტრუდი მოინახულა და უთხრა, რომ ინგმარს შინ დაბრუნება არ სურდა, ხოლო, თუ დარჩებოდა, დაბრმავება ემუქრებოდა.

– ხომ იცი, ვის გამო არ მიემგზავრება? – ჰკითხა მისის გორდონმა.

– ვიცი. – მიუგო გოგომ.

გერტრუდი დაჟინებით უყურებდა მისის გორდონს, მაგრამ მას აღარაფერი უთქვამს, არ უნდოდა, იგი კოლონიის წესების დარღვევისკენ წაექეზებინა, თუმცა გერტრუდი მიხვდა, რომ ინგმარის გამო რაც არ უნდა ექნა, ყველაფერი ეპატიებოდა.

გერტრუდთან მთელი დღე ერთიმეორის მიყოლებით მოდიოდნენ კოლონისტები და ინგმარზე ელაპარაკებოდნენ. ვერავინ ბედავდა, მისთვის პირდაპირ ეთქვა, რომ შინ უნდა გაჰყოლოდა, სამაგიეროდ, შვედი გლეხები გვერდით ესხდნენ ქალს და იმ გმირის შესახებ ჰყვებოდნენ, რომელიც იოსაფატის ხეობაში მოცვალებულის დასაცავად იბრძოდა. ამბობდნენ, ინგმარმა დაამტკიცა, რომ ძველთაძველი საგვარეულო ხის ღირსეული შტო არისო.

– რა დასანანია ასეთი კაცის დაბრმავება. – ამატებდნენ ისინი.

– ინგმარი იმ დღეს ვნახე, როდესაც მის კარ-მიდამოში საჯარო ვაჭრობა იყო. – თქვა იუნგ ბიორნმა, – მაშინ რომ ის გენახათ, დამიჯერეთ, მასზე გულში წყენას არასოდეს ჩაიდებდით.

გერტრუდს კი ეჩვენებოდა, რომ მთელ დღეს იმგვარ ზმანებას ებრძოდა, როცა სადღაც მიგეჩქარება, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვრი. უნდოდა, ინგმარს დახმარებოდა, ის კი არ იცოდა, ამისთვის ძალა როგორ მოეკრიბა. „ეს როგორ გავაკეთო, მე ხომ ინგმარი აღარ მიყვარს?“ ეკითხებოდა თავის თავს და იქვე ახალი კითხვა უჩნდებოდა: „ან როგორ შემიძლია, ეს არ გავაკეთო, როცა ვიცი, რომ ის დაბრმავდება?“

საღამოს გერტრუდი კოლონიის წინ, დიდი ჭადრის ქვეშ იდგა და კვლავ იმაზე ფიქრობდა, რომ ინგმარს უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების ძალა არ შესწევდა. ამ დროს გაბრიელი მიუახლოვდა.

– ზოგჯერ ისე ხდება, რომ ადამიანები თავისი უბედურებით ხარობენ და ბედნიერებით იტანჯებიან. – თქვა მან.

გერტრუდი მისკენ მიბრუნდა და შეშინებული თვალებით შეხედა. არაფერი უთქვამს, მაგრამ კაცი მიხვდა, რაზეც ფიქრობდა: „ნუთუ შენც ჩემს შესაგულიანებლად და აქედან გასაგდებად მოხვედი?“

გაბრიელმა ტუჩზე იკბინა და სახე შეეცვალა, თუმცა მაინც თქვა ის, რის თქმასაც აპირებდა:

– როდესაც ვინმე ისეთი გყავს, ვინც შენთვის ყველაზე ძვირფასია, სულ მისი დაკარგვისა გეშინია, ხოლო მისი დაკარგვის ყველაზე მეტად მაშინ გეშინია, როცა ხედავ, რომ იგი ისეთი გულქვაა, რომ მიტევება არ შეუძლია.

გაბრიელმა ეს მკვახე სიტყვები ისე წყნარად წარმოთქვა, რომ გერტრუდს არ სწყენია, მაგრამ ატირდა. მოაგონდა, როგორ ესიზმრა ერთხელ, რომ ინგმარს თვალები ამოჩიჩქნა. „აი, სიზმარიც ამიხდა, მე კი მართლაც ისეთივე გულქვა და შურისმაძიებელი გამოვდექი, როგორიც იმ სიზმარში ვიყავი.“ გაიფიქრა მან, „ჰოდა, ინგმარი თუ დაბრმავდება, ჩემი ბრალი იქნება.“ ქალი ძალიან დანაღვლიანდა, თუმცა უძლურება, რომელიც ხელ-ფეხს უბორკავდა, არსად გამქრალა და ღამით, როცა დასაძინებლად წავიდა, გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიეღო.

დილით ქალი ადრიანად ადგა და ზეთისხილის მთისკენ გაეშურა. იქ მას შემდეგ არ ყოფილა, რაც დერვიში ნახა, მაგრამ ახლა გრძნობდა, რომ მოსაფიქრებლად განმარტოება სჭირდებოდა.

მთელი გზა გერტრუდი საკუთარ უძლურებას ებრძოდა. ის კი იცოდა, რაც უნდა ექნა, მაგრამ მისი ნება დათრგუნული იყო და არ შეეძლო იმის გადალახვა, რაც ასე აკავებდა.

ქალს გაახსენდა, როგორ ნახა ერთხელ მერცხალი, რომელიც მიწას დაასკდა, ქვიშაში ფართხალებდა და, ეტყობა, ფრთების ასაქნევად ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. სწორედ ასეთი გრძნობა ჰქონდა ახლა გერტრუდს – მიწას იყო დანარცხებული და უმწეოდ ფრთხიალებდა, მაგრამ როდესაც ზეთისხილის მთის მწვერვალს მიაღწია და იმ ადგილას დადგა, სადაც, ჩვეულებისამებრ, მზის ამოსვლას ელოდა ხოლმე, დაინახა, რომ ის დერვიში, იესოს რომ ჰგავდა, მასზე ადრე მისულიყო, მიწაზე ფეხმორთხმული იჯდა და დიდი თვალებით იერუსალიმს გადაჰყურებდა.

გერტრუდს წამითაც არ დავიწყნია, რომ ეს კაცი ერთი საწყალი დერვიში იყო, რომელმაც მხოლოდ იმით გაითქვა სახელი, რომ თავისი მომხრეებისგან სხვებზე უფრო მგზნებარე ცეკვას ითხოვდა, მაგრამ როგორც კი მისი სახე დაინახა ჩაშავებული თვალებით და მწუხარედ მოკუმული პირით, სხეულში ცახცახმა დაუარა, გულხედაკრეფილი მის გვერდით დადგა და შეაცქერდა.

გერტრუდი სიზმარს არ ხედავდა, არც ხილვა ჰქონია, ეს მხოლოდ საოცარი მსგავსება იყო, რაც ძალაუნებურად აფიქრებინებდა, ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს ვუყურებო.

ქალმა ისევ გაიფიქრა, ამ კაცმა ხალხის წინაშე გამოცხადება რომ მოინდომოს, დაარწმუნებს, რომ შემეცნების სიღრმეებს ჩასწვდაო. დაიჯერა, რომ მისი მცნებები ქარიშხალსაც და ტალღებსაც დააცხრობდა; დაიჯერა, რომ ის უფალს ესაუბრებოდა; დაიჯერა, რომ მან ყველანაირი ტანჯვის სამსალა გამოცალა; დაიჯერა, რომ ყველა მისი ფიქრი იდუმალ ამბებს დასტრიალებდა, რომელთა ამოცნობაც არავის შეეძლო.

გერტრუდი მიხვდა, სნეული რომ ვიყო, აქ დგომა და ამ კაცის ცქერაც განმკურნავდაო.

„ეს ჩვეულებრივი ადამიანი არ არის,“ გაიფიქრა ქალმა, „ვგრძნობ, ციური ნეტარება როგორ გადმოდის ჩემზე მხოლოდ იმიტომ, რომ მას ვხედავ.“

გერტრუდი კარგა ხანს იდგა დერვიშის გვერდით. კაცი არ იმჩნევდა, რომ იგი შენიშნა, მაგრამ უეცრად მისკენ შემობრუნდა.

გერტრუდმა კაცის მზერას ვერ გაუძლო და უკან დაიხია.

დერვიში მთელი წუთი მშვიდად შესცქეროდა ქალს, მერე კი საკოცნელად ხელი გაუწოდა, როგორც ამას მისი მიმდევრები აკეთებდნენ ხოლმე. გერტრუდიც მდაბლად ეამბორა ხელზე, კაცმა კი თავაზიანად ანიშნა, წადი და ნუღარ შემაწუხებო.

გერტრუდი მორჩილად გატრიალდა და ნელა ჩაუყვა გზას. ისიც ენიშნა, როგორ გამოისტუმრა დერვიშმა – თითქოს მისთვის ეთქვას: „რაღაც დროის განმავლობაში ჩემი იყავი და მე მემსახურებოდი, ახლა კი გათავისუფლებ. დატკბი მიწიერი ცხოვრებით შენს ახლობლებთან ერთად.“

როდესაც გერტრუდი კოლონიას მიუახლოვდა, მომნუსხველი ხიბლი ნელ-ნელა გაიფანტა.

– ვიცი, რომ ის ქრისტე არ არის. მჯერა, რომ ქრისტე არ არის. – ისევ თქვა მან.

თუმცა დერვიშთან შეხვედრას გერტრუდისთვის უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. თვალწინ ქრისტეს ხატება ედგა და ეჩვენებოდა, რომ მიწაზე დაგდებული ყოველი ქვა წმინდა მოძღვრებას იმეორებდა, რომელსაც უფალი ოდესღაც ამ ქვეყანაში ქადაგებდა, ხოლო ყვავილები სურნელს იმიტომ აფრქვევდნენ, რომ მის გზას გაჰყოლოდნენ.

გერტრუდი კოლონიაში დაბრუნებისთანავე ინგმართან შევიდა.

– შინ შენთან ერთად ვბრუნდები, ინგმარ. – განაცხადა მან.

ინგმარმა რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა და გულზე მოეშვა. გერტრუდის ხელები თავის ხელებში მოიქცია და მოუჭირა.

– როგორც იქნა, ღმერთმა წყალობის თვალით გადმომხედა, – თქვა მან.

17. „ოდესმე ისევ შევხვდებით“

კოლონიაში უჩვეულო ფუსფუსი იყო. დალარნელები თავიანთ ოთახებში გაკრეფილიყვნენ და ისე იყვნენ საქმეში ჩაფლულები, რომ იმის დროც არ ჰქონდათ, მინდვრებისა და ვენახებისთვის მიეხედათ, ამიტომაც შვედი ბავშვები სკოლიდან დაითხოვეს, რომ უფროსებს დახმარებოდნენ.

გადაწყდა, რომ ინგმარი და გერტრუდი ორ დღეში გაემგზავრებოდნენ. სწორედ ამიტომ ჩქარობდა ყველა იმის მომზადებას, რაც მათთვის მშობლიურ სოფელში უნდა გაეტანებინათ.

დადგა დრო, პატარ-პატარა სახსოვარი გაეგზავნათ თანაკლასელებისა თუ ერთგული, ძველი მეგობრებისათვის. ახლა უკვე თბილად ფიქრობდნენ მათზე, ვისაც დაშორდნენ და შინ გატარებული იმ მძიმე დღეების გახსენებაც არ სურდათ, როცა მოხუცი, ბრძენი თანასოფლელები გამგზავრების წინ რჩევებით თავს აბეზრებდნენ. ახლა საშუალება მიეცათ, პატარა სიხარული მიენიჭებინათ მშობლებისა და სატრფოებისათვის, პასტორისა და სკოლის მასწავლებლისათვის, რომლებმაც ისინი აღზარდეს.

იუნგ ბიორნი და კულოს გუნარი მთელი დღე ხელში კალმებჩაბღუჯულები ისხდნენ და მეგობრებსა და ნათესავებს წერილებს სწერდნენ. ამ დროს გაბრიელი დაზგასთან იდგა და ზეთისხილის ხისგან პატარა ფინჯნებს ახარატებდა, კარინ ინგმარშდოთერი კი უამრავ კონვერტში გეთსემანიის და მაცხოვრის საფლავის ეკლესიის, მათი დიდი სახლის და საუცხოო სამრევლო დარბაზის დიდ ფოტოებს ალაგებდა.

ბავშვები ცდილობდნენ, ზეთისხილის ხის თხელი ფირფიტები ტუშით ისე მოეხატათ, როგორც ამერიკულ სკოლაში ასწავლეს და ფოტოსურათების ჩარჩოები დაეწებებინათ, რომელთაც ათასგვარი აღმოსავლური მარცვლეულით, თესლებით და კურკებით ამკობდნენ.

მერტა ინგმარშდოთერმა თავისი მოქსოვილი ტილოები დაჭრა და რძლისა და სიძისთვის გასაგზავნ პირსახოცებსა და ხელსახოცებზე სახელების ამოქარგვას შეუდგა, თან ჩუმ-ჩუმად ეღიმებოდა იმის გაფიქრებაზე, როგორ დარწმუნდებოდნენ შინაურები, რომ თუმცა კი იერუსალიმში გადმოსახლდა, ლამაზი და მკვრივი ტილოების ქსოვა სულაც არ დავიწყებია.

ინგმარის ორივე ქალიშვილი, რომლებიც ადრე ამერიკაში ცხოვრობდნენ, გარგარის და ატმის მურაბებიან ქილებს ხუფავდნენ, ქილების ფსკერზე კი იმ ძვირფას სახელებს აწერდნენ, რომელთა გახსენებისას ცრემლებს ვერ იკავებდნენ.

ისრაელ თუმასონის ცოლმა თაფლაკვერების ცომი მოზილა, თან ღუმელში ტორტის გამოცხობას ადევნებდა თვალს. ტორტს ინგმარს და გერტრუდს ატანდა საგზლად, ოღონდ თაფლაკვერებისთვის, რომლებიც დიდხანს ძლებდა, ხელი არ უნდა დაეკარებინათ – იმ მოხუცი ქალისთვის უნდა ჩაეტანათ მიკელმირაში, რომელიც მათი იერუსალიმში გამომგზავრებისას მორთულ-მოკაზმული იდგა გზის პირას და კიდევ – ევა გუნარშდოთერისთვის, რომელიც ადრე ერთობის წევრი იყო.

პატარა ამანათები გერტრუდთან მიჰქონდათ, რომელიც მათ დიდ ფუთებად კრავდა.

ზოგ ამანათზე ისეთი უცნაური მისამართი ეწერა, გერტრუდს რომ ბავშვობიდან იმავე თემში არ ეცხოვრა, ძღვენის ჩამორიგებას თავს ნამდვილად ვერ გაართმევდა. კარგა ხანს იმტვრია თავი, ვიდრე მიხვდებოდა, სად უნდა ეპოვნა „ფრანსი, რომელიც გზაჯვარედინზე ცხოვრობდა,“ ან „ლისა, რომელიც პერ ლარშონის და იყო“, ანდა „ერიკი, რომელიც ორი წლის წინ მომრიგებელ მოსამართლესთან მსახურობდა.“

იუნგ ბიორნის ვაჟი, გუნარი, ყველაზე დიდი ამანათით მოვიდა. ზედ ასეთი მისამართი ეწერა: „კარინს, რომელიც სკოლაში ჩემს გვერდით იჯდა და დიდ ტყეში ცხოვრობდა.“ მამის სახელი აღარ ახსოვდა, თუმცა კარინისთვის ლაქის ფეხსაცმელი გაემზადებინა, რომელსაც მაღალი, მორკალული ქუსლები ჰქონდა და გუნარს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ეს ყველაზე ლამაზი ფეხსაცმელი იყო, რომელიც კი ოდესმე კოლონიაში შეუკერავთ.

– გადაეცი, ჩემთან ჩამოვიდეს, როგორც ჩემი სახლიდან წამოსვლისას შევთანხმდით. – თქვა მან

და ამანათი გერტრუდს გადასცა.

შეძლებული მემამულეები ინგმართან მიდიოდნენ, წერილებს ატანდნენ და მნიშვნელოვან დავალებებს აძლევდნენ.

– პასტორთანაც მიდი, ნაფიც მსაჯულთანაც და მასწავლებელთანაც და უამბე, რაც საკუთარი თვალით ნახე: რომ ჩვენ კარგად ვართ, ნამდვილ სახლში ვცხოვრობთ და არა მიწურებში, სამუშაოც გვაქვს, რიგიანი საჭმელიც და ღირსეულად ვცხოვრობთ. – თქვეს მათ ბოლოს.

მას შემდეგ, რაც გაბრიელმა იოსაფატის ხეობაში ინგმარი იპოვა, მათი ძველი მეგობრობა ისევ განახლდა. როგორც კი თავისუფალი დრო გამოუჩნდებოდა, მაშინვე ინგმარს მიაკითხავდა ხოლმე, რომელიც ავადმყოფობის გამო ახლა სტუმრების ოთახში მარტო ცხოვრობდა. მაგრამ იმ დღეს, როცა გერტრუდი ზეთისხილის მთიდან ჩამოვიდა და ინგმარს დაჰპირდა, შინ, დალარნაში, გამოგყვებიო, გაბრიელი ავადმყოფის ოთახში არ გამოჩენილა. ინგმარმა რამდენჯერმე მოიკითხა მეგობარი, მაგრამ გაბრიელის ასავალ-დასავალი არავინ იცოდა.

დღე გადიოდა და ინგმარის შფოთვა მატულობდა. თავდაპირველად, როცა გერტრუდი დაპირდა, თან გამოგყვებიო, კაცს სიმშვიდის და ბედნიერების გრძნობა დაეუფლა. მაშინ მხოლოდ ბედს მადლობას სწირავდა, რომ ამ საშიში ქვეყნიდან გერტრუდის წაყვანას შეძლებდა, სადაც იგი მის გამო გამოემგზავრა და, თუმცა ეს ამბავი უხაროდა, რაც დრო გადიოდა, ცოლი სულ უფრო მეტად ენატრებოდა. თავისი ჩანაფიქრის ასრულება სრულიად შეუძლებლად ეჩვენებოდა. დროდადრო ძლიერი სურვილი იპყრობდა, ყველაფერი გერტრუდისთვის ეამბნა, მაგრამ ცოტას რომ დაფიქრდებოდა, ამის გაკეთებას ვერ ბედავდა. როგორც კი ინგმარი მიხვდა, გერტრუდი აღარ მიყვარსო, კინაღამ უარი თქვა მასთან ერთად გამგზავრებაზე. არ იცოდა, გერტრუდს ვინ უყვარდა – ის თუ ვინმე სხვა. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ეს გაბრიელი იყო, თუმცა ბოლოს ჩათვალა, რომ ვიდრე გერტრუდი კოლონიაში ცხოვრობდა, რასაკვირველია, ვერავინ ეყვარებოდა იმის გარდა, ვისაც ზეთისხილის მთაზე ელოდა ხოლმე. ახლა კი, როცა ქალი უწინდელ ცხოვრებას უბრუნდებოდა, შეიძლება ინგმარის მიმართ ძველი სიყვარული ისევ გაღვიძებოდა და, თუკი ეს მართლაც მოხდებოდა, უკეთესი იყო, ინგმარს გერტრუდი შეერთო ცოლად და მისი გაბედნიერება ეცადა, ვიდრე მუდამ იმის მონატრებაში ყოფილიყო, ვინც მისი აღარასოდეს იქნებოდა. და თუმცა ინგმარი საკუთარ თავს ებრძოდა, მასში თანდათან მატულობდა წინააღმდეგობის გრძნობა, რომელიც სულ უფრო ტანჯავდა. თვალები ახვეული ჰქონდა და სულ ცოლი ედგა თვალწინ. „ეტყობა, მასთან ვარ დაკავშირებული და ჩემზე ზეგავლენა სხვას არავის აქვს.“ ფიქრობდა იგი.

„ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი, როცა გავბედე და ეს ამბავი წამოვიწყე,“ განაგრძობდა ინგმარი ფიქრს. „მინდოდა, მამაჩემისნაირი ვყოფილიყავი. მეც ისევე მინდოდა გერტრუდი იერუსალიმიდან წამეყვანა, როგორც მან დაიხსნა დედაჩემი საპყრობილედან, თუმცა ახლა მესმის, რომ ისე არ წამივიდა საქმე, როგორც მამაჩემს. დავმარცხდი, რადგან მამაჩემივით ერთგული არა ვარ.“

საღამოს გაბრიელი, როგორც იქნა, ინგმართან შევიდა და კართან ისე გაჩერდა, თითქოს მყისვე გზის გაგრძელებას აპირებდა.

– გავიგე, რომ გიკითხივარ. – თქვა მან.

– ჰო, – მიუგო ინგმარმა, – მივემგზავრები.

– ვიცი, ეს უკვე გადაწყვეტილია. – მოკლედ უპასუხა გაბრიელმა.

ინგმარს ორივე თვალი ახვეული ჰქონდა. თავი იქით მიაბრუნა, სადაც გაბრიელი იდგა, თითქოს მის დანახვას ლამობდა.

– შენ რა, გეჩქარება? – იკითხა მან.

– ბევრი საქმე მაქვს. – უპასუხა გაბრიელმა და კარისკენ ფეხი გადადგა.

– არადა, რაღაც მინდოდა მეკითხა.

გაბრიელი ოთახში შემობრუნდა, ინგმარმა კი განაგრძო:

– მინდოდა გამეგო, ერთი-ორი თვით შინ დაბრუნებაზე რას იტყოდი, გაბრიელ. მგონია, მამაშენს ძალიან გაუხარდება შენი დანახვა.

– არ ვიცი, ეს აზრი თავში როგორ მოგივიდა.

– თუ ჩვენთან ერთად წამოხვალ, მაშინ შენი მგზავრობის საფასურს გადავიხდი.

– მართლა?

– ჰო, – დაუდასტურა ინგმარმა, რომელიც სულ უფრო ღელავდა, – ვიფიქრე, მამაშენს გავახარებდი, თუკი სიკვდილამდე ერთხელ მაინც გნახავდა.

– მაშინ მთელი კოლონია თან უნდა წაგეყვანა. – ცოტა დამცინავად უთხრა გაბრიელმა.

ინგმარს ენა ჩაუვარდა. გაბრიელის დარწმუნება, რომ შინ გაჰყოლოდა, მისი უკანასკნელი იმედი იყო. „მჯერა, თუ გაბრიელი შინ დაბრუნდება, გერტრუდსაც შეუყვარდება," ფიქრობდა კაცი, „ერთნაირი რწმენა აქვთ და აქ, კოლონიაში ერთმანეთს შეეჩვივნენ, თან ისიც ხომ რაღაცას ნიშნავს, რომ გაბრიელს გერტრუდი მოსწონს."

მალე ინგმარს იმედის ახალი ნაპერწკალი გაუჩნდა. „იქნებ ეს მხოლოდ ჩემი ბრალია, სულელური თხოვნა გამომივიდა." გაიფიქრა მან.

– იცი რა, – ხმამაღლა თქვა მან. – ვაღიარებ, ამას უფრო მეტად ჩემ გამო გთხოვ.

გაბრიელი დუმდა. ინგმარი პასუხს ელოდა, მაგრამ როცა ვერ მიიღო, განაგრძო:

– არ მესმის, მე და გერტრუდმა ასეთი მძიმე გზა როგორ უნდა გავიაროთ. თუ ასე თვალახვეულმა უნდა ვიმგზავრო, ვერ ვხვდები, როგორ უნდა ჩავსხდეთ და გადმოვსხდეთ იმ პატარა ნიჩბიან ნავებში, გემამდე რომ უნდა მიგვიყვანოს. არც ტრაპის კიბეებზე და რაღაც ამისთანებზე აძრომა იქნება ადვილი. მეშინია, ფეხი არ დამიცდეს და ზღვაში არ გადავვარდე. კარგი იქნება, მგზავრობისას თან მამაკაცი მახლდეს.

– ამაში კი მართალი ხარ. – დაეთანხმა გაბრიელი.

– გერტრუდი ჩვენთვის ბილეთების ყიდვასაც კი ვერ მოახერხებს.

– გეთანხმები, ვინმე უნდა გახლდეს თან. – თქვა გაბრიელმა.

– ჰო, – მიუგო გახარებულმა ინგმარმა, – მგონი, გესმის, რომ ვიღაც იძულებულია, გამომყვეს.

– ჰელგუმს სთხოვე, მგზავრობას ყველა ჩვენგანზე უფრო შეჩვეულია.

ინგმარი ისევ დადუმდა, მერე კი დადარდიანებულმა განაგრძო:

– მე შენს წაყვანას ვაპირებდი.

– არა, ამას ნუ მთხოვ, – უთხრა გაბრიელმა, – აქ, კოლონიაში, ძალიან ბედნიერი ვარ. ხომ შეგიძლია, ვინც გინდა, ის წაიყვანო.

– ჩემთვის სულ ერთი არაა, ვისთან ერთად ვიმგზავრებ. შენ სხვებზე უკეთ გიცნობ.

– მაინც არ შემიძლია. – განუცხადა გაბრიელმა.

ინგმარი კიდევ უფრო დანაღვლიანდა.

– ძალიან გამიცრუე იმედი„ – თქვა მან, – მეგონა, გულწრფელი იყავი, როცა თქვი, რომ ჩემთან მეგობრობა გინდოდა.

გაბრიელმა საჩქაროდ შეაწყვეტინა.

– მადლობელი ვარ შემოთავაზებისთვის, თუმცა არა მგონია, რამე ისეთი თქვა, რომ გადავიფიქრო, ჰოდა, მივდივარ, საქმეს უნდა მივხედო. – როგორც კი ეს თქვა, გაბრიელი სწრაფად შებრუნდა და ისე წავიდა, რომ ინგმარს სიტყვის თქმაც არ აცალა.

ინგმარის ოთახიდან გამოსულ გაბრიელს ვერავინ შეატყობდა, რომ საჩქარო საქმე ჰქონდა. მან ნელა გაიარა ჭიშკარი და დიდი ხის ქვეშ, მიწაზე ჩაჯდა. უკვე მოსაღამოვებულიყო, დღის შუქი აღარსად ჩანდა, მაგრამ ცაზე ვარსკვლავები და ნამგალა მთვარე ლამაზად ანათებდა.

გაბრიელი ხუთ წუთსაც არ მჯდარა ხის ქვეშ, რომ ჭიშკარი წყნარად გაიღო და გარეთ გერტრუდი გამოვიდა. ქალი შედგა და მიმოიხედა, მერე კი გაბრიელი შენიშნა.

– გაბრიელ, შენა ხარ? – იკითხა მან, მივიდა და კაცს გვერდით მიუჯდა.

– ვიცოდი, რომ აქ გიპოვიდი. – თქვა გერტრუდმა.

– ჰო, საღამოობით აქ ბევრჯერ ვმსხდარვართ, – მიუგო გაბრიელმა.

– ჰო, – დაეთანხმა ქალი, – ახლა აქ უკანასკნელად ვართ.

– მართალი ხარ.

გაბრიელი დაძაბული და გაშეშებული იჯდა, ისეთი ცივი და ყრუ ხმით ლაპარაკობდა, გეგონებოდათ, ის რაზეც საუბრობდნენ, საერთოდ არ აღელვებდა.

– ინგმარმა მითხრა, რომ აპირებდა, შენთვის ეთხოვა, გამოგვყოლოდი.

– ჰო, მთხოვა, მაგრამ უარი ვუთხარი.

– მჯერა, რომ გამგზავრება არ გინდა. – უთხრა გერტრუდმა.

ისინი დიდხანს ისხდნენ ჩუმად, თითქოს ერთმანეთისთვის სათქმელი არაფერი ჰქონდათ, თუმცა გერტრუდი დროდადრო თავს აბრუნებდა და გაბრიელს აკვირდებოდა. კაცს თავი უკან გადაეწია და ცას აჰყურებდა.

როცა დუმილი გაჭიანურდა, გაბრიელმა ისე, რომ არ განძრეულა და ვარსკვლავებისთვისაც თვალი არ მოუშორებია, თქვა:

– არ შეგცივდა? დიდი ხანია, აქ ზიხარ.

– გინდა, წავიდე? – ჰკითხა გერტრუდმა.

გაბრიელმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია, თუმცა დარწმუნებული არ იყო, რომ გერტრუდი სიბნელეში ამას შეამჩნევდა, ხმამაღლა კი თქვა:

– მომწონს, აქ რომ ზიხარ.

– ამ საღამოს გარეთ იმიტომ გამოვედი, რომ არა მგონია, ჩემს გამგზავრებამდე კიდევ შევძლოთ შეხვედრა. მინდოდა, ამით მესარგებლა და მადლობა გადამეხადა შენთვის ყველა იმ დილისთვის, ზეთისხილის მთაზე რომ მაცილებდი.

– ამას მხოლოდ ჩემი სიამოვნებისთვის ვაკეთებდი.

– მაშინ სამოთხის ჭიდან რომ წყალი მომიტანე, იმისთვისაც მადლობელი ვარ. – თქვა გერტრუდმა და გაიღიმა.

გაბრიელმა დააპირა, ეპასუხა, მაგრამ სიტყვების ნაცვლად რაღაც ქვითინის მსგავსი აღმოხდა.

გერტრუდს მოეჩვენა, რომ გაბრიელი ამ საღამოს ძალზე აღელვებული იყო და მის მიმართ ღრმა თანაგრძნობით განიმსჭვალა. „ნეტავ ვიცოდე, რა უნდა ვუთხრა, რომ დავამშვიდო! ნეტავ ისეთი რამის თქმა შემეძლოს, რაზეც სიამოვნებით იფიქრებდა, როცა საღამოობით ამ ხის ქვეშ ჩამოჯდებოდა!“

როგორც კი გერტრუდმა ეს გაიფიქრა, იგრძნო, რომ გული მწუხარებით შეეკუმშა და სხეულში უცნაურმა სიცივემ დაუარა. „ალბათ, მეც მომენატრება გაბრიელი.“ გაიფიქრა მან. „ბოლო დროს ბევრს ვსაუბრობდით. მივეჩვიე, რომ ჩემს დანახვაზე სახე გაუბრწყინდებოდა და ბედნიერი იყო, მეც მსიამოვნებდა გვერდით რომ ისეთი ადამიანი მყავდა, რომელსაც, რაც არ უნდა გამეკეთებინა, ჩემთან ერთად ყოფნა ყოველთვის უხაროდა.“

ქალი კარგა ხანს დუმდა. გრძნობდა, რომ ნაღველი სნეულებასავით სწრაფად ეუფლებოდა. „ეს რა არის? რა მემართება?“ ფიქრობდა იგი. „ნუთუ გაბრიელთან განშორება ასე მიმძიმს?“

უეცრად გაბრიელმა ხმა ამოიღო.

– მთელი საღამოა, ერთ რამეზე ვფიქრობ. – თქვა მან.

– მითხარი, რა გაწუხებს! – აიტაცა გერტრუდმა და გულზე მოეშვა, კაცი რომ ალაპარაკდა.

– ჰო, – დაიწყო გაბრიელმა, – ინგმარმა ერთხელ სამხერხაოზე ჩამომიგდო სიტყვა, რომელიც თავის კარ-მიდამოში აქვს. მგონი, უნდოდა, შინ იმიტომ გავყოლოდი, რომ ის სამხერხაო ჩემთვის იჯარით მოეცა.

– როგორც ჩანს, ინგმარი ძალიან დაგიმეგობრდა, რადგან მაგ სამხერხაოზე ძვირფასი არაფერი ეგულება.

– ახლა მთელი საღამოა, ყურში სამხერხაოს ხმები ჩამესმის. – თქვა გაბრიელმა. – მდინარის შენაკადების ღრიალი, ბორბლის ღრჭიალი, მდინარეში მორების ერთმანეთთან შეჯახება. არ დაიჯერებ, ეს რა კარგი მოსასმენია. ჰოდა, აი, ვზივარ და ვფიქრობ, რა კარგი იქნებოდა, ჩემი სამუშაო რომ მქონოდა და კოლონიაში უქმად ყიალის ნაცვლად საკუთარი თავის ბატონ-პატრონი ვყოფილიყავი.

– აჰა, აი, თურმე რაზე ფიქრობდი, სანამ აქ ასე ჩუმად იჯექი, – ცივად თქვა გერტრუდმა, რომელიც

ცოტა არ იყოს, გულნაკლული დარჩა გაბრიელის სიტყვებით. – ამდენი ვაი-ვიში რად გინდა, ადექი და გაყევი ინგმარს.

– სხვა რამეც არის. – განაგრძო გაბრიელმა, – ინგმარმა მითხრა, რომ სამხერხაოს გვერდით სახლის ასაშენებლად გამზადებული მასალა უწყვია. თქვა, რომ მდინარის ზემოთ, ბორცვზე, სადაც ორი დიდი არყის ხე დგას, თავისუფალი ადგილი მონიშნა. ჰოდა, მეც მთელი საღამოა, ამ სახლს ვხედავ. ვხედავ შიგნიდან და გარედან. ვხედავ ნაძვის მწვანე ტოტებს პარმაღზე, ვხედავ ღუმელში აბრიალებულ ცეცხლს და, როდესაც სამხერხაოდან ვბრუნდები, იმას ვხედავ, ვინც წინკარში დგას და მელოდება.

– უკვე აცივდა, გაბრიელ, – შეაწყვეტინა გერტრუდმა, – არ გინდა, შიგნით შევიდეთ?

– მართლა? მაშ, წასვლა გინდა? – ჰკითხა გაბრიელმა.

ადგილიდან არც ერთი არ დაძრულა. ისევ გვერდიგვერდ იდგნენ და დუმილს ხანდახან თუ დაარღვევდნენ.

– მეგონა, კოლონია ყველაფერზე მეტად გიყვარდა და აქაურობას ამქვეყნად არაფრის გულისათვის არ დათმობდი. – უთხრა გაბრიელს გერტრუდმა.

– მართალია, – უპასუხა კაცმა, – თუმცა არის რაღაც, რის გამოც მსხვერპლს გავიღებდი.

გერტრუდი ისევ დაჯდა და ჩაფიქრდა, მერე კი იკითხა:

– არ მეტყვი, ეს რა არის?

გაბრიელმა უცებ არ უპასუხა, კარგა ხანს ყოყმანის შემდეგ კი ყრუ ხმით თქვა:

– კარგი, გეტყვი. ეს მაშინ მოხდებოდა, თუკი ქალი, რომელიც მიყვარს, მეტყოდა, მეც მიყვარხარო.

გერტრუდს სუნთქვა შეეკრა და, თუმცა ხმა არც ერთს არ ამოუღია, გაბრიელს მოეჩვენა, თითქოს ქალი სიყვარულში გამოუტყდა, რადგან უფრო მხნედ განაგრძო:

– ხომ ხედავ, გერტრუდ, ინგმარისადმი სიყვარული ისევ იღვიძებს შენში. დიდხანს იყავი მასზე ნაწყენი, რადგან გიღალატა, მაგრამ ახლა, როცა აპატიე, ისევ უწინდელივით შეგიყვარდება.

გაბრიელი პასუხის მოლოდინში წამოიწია, მაგრამ გერტრუდი დუმდა.

– საშინელება იქნება, რომ არ შეგიყვარდეს. – გააგრძელა კაცმა, – გაიხსენე, რამდენი რამ გააკეთა შენს დასაბრუნებლად! შენს გარეშე გამგზავრებას დაბრმავება არჩია.

– ჰო, საშინელება იქნება, თუ მას არ შევიყვარებ. – მიმქრალი ხმით დაეთანხმა გერტრუდი. მიხვდა, რომ გულის სიღრმეში ამ საღამომდე სჯეროდა, რომ ინგმარის გარდა არასოდეს არავინ შეუყვარდებოდა.

– ამას ამაღამ ვერ გადავწყვეტ, გაბრიელ, – თქვა ქალმა. – არ ვიცი, ჩემს თავს რა ხდება, მაგრამ ინგმარზე აღარ მელაპარაკო.

მერე ხან ერთი იტყოდა, შინ შევიდეთო, ხან – მეორე, თუმცა იქამდე ისხდნენ ხის ძირში, ვიდრე კარინ ინგმარშდოთერი არ გამოვიდა გარეთ და არ დაუძახა:

– ინგმარმა გთხოვათ, ორივენი მასთან შეხვიდეთ.

ვიდრე გერტრუდი გაბრიელს ესაუბრებოდა, კარინი ინგმართან იყო და შინაურებთან მოკითხვას აბარებდა. იქ ყოფნა ძალიან გაუგრძელდა და ცხადი იყო, რომ ძმისთვის რაღაცის თქმას აპირებდა და ამაზე სიტყვის ჩამოგდება უჭირდა.

– იუნგ ბიორნმა თავისი ძმის, პერის, წერილი მიიღო. – თქვა მან ბოლოს ისეთი შემპარავი ხმით, რომ ყველა, ვინც ქალს იცნობდა, მიხვდებოდა, ბოლოს და ბოლოს მთავარ სათქმელს მიადგაო.

– მართლა? – მიუგო ინგმარმა.

– მინდა გითხრა, რომ მაშინ, ჩემს ოთახში საუბრისას, ახლადჩამოსული რომ იყავი, უსამართლოდ მოგექეცი.

– არა უშავს, – თქვა ინგმარმა, – მხოლოდ ის თქვი, რაც გეგონა, რომ სწორი იყო.

– არა, ახლა მესმის, რომ ბარბრუსთან განქორწინებისთვის მიზეზი გქონდა. იუნგ პერი წერს, რომ ის წესიერი ქალი არ არის.

– ბარბრუზე ცუდი არასოდეს მითქვამს.

– ამბობენ, ინგმარის კარ-მიდამოში ბავშვი ცხოვრობსო.

– რა ხნისაა? – იკითხა ინგმარმა.

– წელს, აგვისტოში დაიბადა.

– ტყუილია! – წამოიძახა ინგმარმა და მაგიდას მუშტი დასცხო. ხელი კარინის ხელზე მოუხვდა.

– შენ ახლა დამარტყი? – ჰკითხა ქალმა.

– არ დამინახავს, რომ ხელი მაგიდაზე გედო. – უპასუხა ძმამ.

კარინმა კიდევ კარგა ხანს ილაპარაკა ამ ამბავზე და ინგმარიც ცოტა დამშვიდდა.

– ალბათ, გესმის, რომ ამის გაგება არ გამხარებია. – უთხრა მან დას. – გთხოვ, იუნგ ბიორნს ჩემგან გადაეცი, ეს ამბავი არ გაახმაუროს, ვიდრე არ დავრწმუნდებით, რომ სრული სიმართლეა.

– გპირდები, ხმას არ ამოიღებს.

– და კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს: იქნებ გერტრუდი და გაბრიელი მომიყვანო. – თქვა ინგმარმა.

როდესაც გერტრუდი და გაბრიელი ავადმყოფის ოთახში შევიდნენ, ინგმარი ისე მიყუჟულიყო ბნელ კუთხეში, რომ თავდაპირველად ვერც შეამჩნიეს.

– რა მოხდა, ინგმარ? – ჰკითხა გაბრიელმა.

– იცით, ერთი რამ მაწუხებს, რაც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. – თქვა კაცმა, რომელიც იჯდა და აქეთ-იქით ირწეოდა.

– ინგმარ, – მიმართა გერტრუდმა და მასთან ახლოს მივიდა, – გულახდილად მითხარი, რა გჭირს! ჩვენ ხომ ბავშვობიდან არაფერს ვუმალავდით ერთმანეთს.

ინგმარს გატანჯული სახე ჰქონდა. ქალი მასთან მივიდა და თავზე ხელი დაადო.

– ალბათ, ახლა მაინც მივხვდები, რა მოგდის.

უეცრად ინგმარი წელში გასწორდა.

– არა, გერტრუდ, არაფრის მიხვედრა არ გჭირდება. – თქვა მან, თან ჯიბიდან თავისი საფულე ამოიღო და ქალს გადასცა. – ხედავ? აქ დიდი წერილი დევს, რომელიც ბარბრუს მივწერე.

– ჰო, – უპასუხა გერტრუდმა, – აგერ არის.

– გთხოვ, ამოიღე და წაიკითხე, – უთხრა ინგმარმა, – ორივემ წაიკითხეთ. ეგ წერილი ჩამოსვლისთანავე დავწერე, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ შემწევდა იმის ძალა, რომ გაგზავნისგან თავი შემეკავებინა.

გაბრიელი და გერტრუდი მაგიდას მიუსხდნენ და კითხვას შეუდგნენ. ინგმარი ისევ კუთხეში დარჩა. იჯდა და ფურცლების შრიალს უსმენდა. „ახლა ამას კითხულობენ,“ ფიქრობდა იგი, „ახლა კი ამას. ახლა იმ ადგილზე არიან, როცა ბარბრუმ მიამბო, როგორ გაგვაცურა ბერგერ სვენ პერშონმა, რათა ცოლ-ქმარი გავმხდარიყავით. ალბათ, უკვე იმის შესახებაც წაიკითხეს, როგორ გამოისყიდა ბარბრუმ ვერცხლის თასები და სტიგ ბორიესონის მოყოლილ ამბავსაც მიადგებოდნენ. ჰოდა, გერტრუდიც გაიგებს, რომ ის უკვე აღარ მიყვარს და იმასაც მიხვდება, რომ ლაჩარი ვარ.“

ოთახში სრული სიჩუმე ჩამოწვა. გერტრუდი და გაბრიელი, წერილის გადაფურცვლას თუ არ ჩავთვლით, არ განძრეულან. გეგონებოდათ, სუნთქვასაც ვერ ბედავენო.

„როგორ გავაგებინო გერტრუდს, რომ სწორედ დღეს, როცა ფარ-ხმალი დაყარა, არაფრით არ შემიძლია არ ვუთხრა, რომ ბარბრუ მიყვარს?“ ფიქრობდა ინგმარი.

„და თავად თუ მესმის, რომ ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბარბრუს ოჯახის წყევლის შესახებ შევიტყვე? სწორედ მაშინ მივხვდი, რომ სხვასთან ვეღარ ვიცხოვრებდი. არ ვიცი, რა მემართება, თუმცა ასე მგონია, ადამიანი აღარ ვარ-მეთქი.“

ინგმარი დაძაბული აყურადებდა და მოუთმენლად ელოდა, როდის ამოიღებდა ვინმე ხმას, მაგრამ ფურცლების შრიალის გარდა არაფერი გაუგონია. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ჯერ კიდევ საღი თვალიდან სახვევი ფრთხილად მოიშორა. მერე გაბრიელს და გერტრუდს გახედა. ისინი კითხვაში იყვნენ გართულები, თავები ისე მიეახლოვებინათ ერთმანეთისთვის, რომ თითქმის ლოყა ლოყაზე მიედოთ, გაბრიელს კი ქალისთვის წელზე ხელი შემოეხვია.

ყოველი გვერდის გადაფურცვლისას ისინი სულ უფრო უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, ლოყები წამოსწითლებოდათ, ზოგჯერ წერილს მზერას სწყვეტდნენ და ერთმანეთს თვალებში შეჰყურებდნენ, თვალები კი ჩვეულებრივზე უფრო ჩამუქებული და გაბრწყინებული ჰქონდათ.

როდესაც მათ ბოლოს და ბოლოს უკანასკნელი გვერდი ჩაიკითხეს, ინგმარმა შენიშნა, რომ გერტრუდი სულ ახლოს მიჩოჩებულიყო გაბრიელთან და ახლა ისინი ჩახუტებულები ისხდნენ, ძალიან აღელვებულები და თან ბედნიერები. ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ იჯერებდნენ, რას ნიშნავდა ის, რაც წაიკითხეს – მათ სიყვარულს წინ აღარაფერი ეღობებოდა. ინგმარმა კი ნელა გადააჭდო ერთმანეთს თავისი დიდი ხელები, მოხუცი, ნატანჯი ადამიანის ხელებს რომ მიუგავდა, და ღმერთს მადლობა შესწირა. სამივენი დიდხანს ისხდნენ ასე, გაშეშებულები.

კოლონისტებმა დილის ლოცვაზე დიდ დარბაზში მოიყარეს თავი. ეს ბოლო ღვთისმსახურება იყო, რომელსაც ინგმარი ესწრებოდა. ორიოდე საათში ის გერტრუდსა და გაბრიელთან ერთად იაფას გზას დაადგებოდა.

წინა დღეს გაბრიელი მისის გორდონს და კოლონიის სხვა წინამძღოლებს დაელაპარაკა და უთხრა, რომ განიზრახა, ინგმარს სოფელში გაჰყოლოდა და იქ დარჩენილიყო. იძულებული გახდა, ინგმარის მთელი ამბავი მოეთხრო. მისის გორდონი დიდხანს დუმდა და მოსმენილზე ფიქრობდა, მერე კი თქვა:

– არა მგონია, ვინმემ თავის თავზე აიღოს ინგმარის უფრო მეტად გაუბედურება, ამიტომაც ხელს არ შეგიშლი – გაემგზავრე მასთან ერთად. თანაც მეჩვენება, რომ უფალმა ნიშანი მოგვცა – უნდა, რომ კოლონიაში ახალგაზრდებს დაქორწინების უფლება მივცეთ, ხოლო ასე თუ მოხდა, დარწმუნებული ვარ, შენ და გერტრუდი ოდესმე დაგვიბრუნდებით. მგონია, სხვაგან თავს ასე მშვიდად ვერასოდეს იგრძნობთ.

იმისათვის, რომ ინგმარს თანამგზავრებთან ერთად მშვიდად დაეტოვებინა კოლონია, გადაწყდა: კოლონიის წევრთა უმეტესობას არაფერი უნდა გაეგო იმის გარდა, რომ გაბრიელი მხოლოდ ინგმარისა და გერტრუდის დასახმარებლად მიემგზავრებოდა.

სწორედ იმ დროს, როცა დილის ლოცვა უნდა დაწყებულიყო, სამრევლო დარბაზში ინგმარი შემოიყვანეს. მისის გორდონი ადგა და მისკენ გაემართა, ხელი მოკიდა და იქ მიიყვანა, სადაც თვითონ იჯდა, მერე მოხერხებული სკამი გამოუწია და ფრთხილად დასვა.

ორღანთან მჯდომმა მის იანგმა ფასლმუნი წამოიწყო და დილის ლოცვა ჩვეულებისამებრ წარიმართა. თუმცა როდესაც მისის გორდონმა ბიბლიის მოკლე ახსნა-განმარტება დაამთავრა, რასაც ყოველ დილით აკეთებდა ხოლმე, მოხუცი მის ჰოგსი წამოდგა და უფალს შესთხოვა ინგმარის კეთილი მგზავრობა და შინ ბედნიერად დაბრუნება. შემდეგ ამერიკელები და სირიელები ერთიმეორის მიყოლებით ადგნენ და ღმერთს შეევედრნენ, ინგმარისთვის ჭეშმარიტების გზა გაენათებინა.

ზოგიერთმა მათგანმა ძალზე ლამაზად გამოთქვა სათქმელი. მათ პირობა დადეს, რომ ყოველდღე ილოცებდნენ ინგმარისთვის, რომელიც მათი ძვირფასი ძმა იყო, იმედოვნებდნენ, რომ გამოჯანმრთელდებოდა და ყველას სურვილი იყო, რომ ინგმარი იერუსალიმში დაბრუნებულიყო.

ვიდრე უცხოელები ლაპარაკობდნენ, შვედები ჩუმად იყვნენ. ისინი ინგმარის პირისპირ ისხდნენ და მას შესცქეროდნენ.

ინგმარის დანახვაზე მათ თავისდაუნებურად აგონდებოდათ ის, რაც ამ ძველ ქვეყანაში საიმედო, სამართლიანი და რიგიანი იყო. ეჩვენებოდათ, რომ სანამ ინგმარი მათთან ერთად ცხოვრობდა, აქაც ყველაფერი რიგზე იყო, ახლა კი, მისი გამგზავრების წინ, შიში და უიმედობა დაეუფლათ. თავს მიტოვებულად გრძნობდნენ ამ ნებაზე მიშვებულ ქვეყანაში იმათ შორის, რომლებიც შეუბრალებლად ებრძოდნენ ერთმანეთს ადამიანთა სულებისათვის.

მერე შვედები სამშობლოზე ფიქრებმა დაადარდიანა. მთელ შემოგარენს ხედავდნენ თავისი მინდვრებითა და ბაღებით. ხალხი მშვიდად დადიოდა გზებზე, საშიშროება არსაიდან ემუქრებოდა, დღე დღეს ცვლიდა, წლები კი ისე ჰგავდა ერთმანეთს, რომ ვერც გაარჩევდი.

როგორც კი გლეხებს მშობლიური სოფლის სიმშვიდე მოაგონდათ, უცებ იმასაც მიხვდნენ, რა დიდი და თავბრუდამხვევი გრძნობა იყო ის, რომ მიზანი ჰქონდათ, რისთვისაც ცხოვრობდნენ და ასე შორს იყვნენ ერთფეროვანი, ნაცრისფერი დღეებისაგან.

ერთ-ერთმა მათგანმა ხმა აიმაღლა, შვედურად წამოიწყო ლოცვა და თქვა:

– უფალო, მადლობას გწირავ იმისათვის, რომ იერუსალიმში მომიყვანე.

მას სხვებმაც მიბაძეს: ერთიმეორის მიყოლებით დგებოდნენ და ღმერთს მადლობას სწირავდნენ

მათი იერუსალიმში ჩამოყვანისათვის. მადლობას სწირავდნენ მათთვის ძვირფასი კოლონიისათვის, რომელიც ამხელა სიხარულს ანიჭებდა; მადლობას სწირავდნენ თავიანთი შვილების გამო, რომლებიც სიყრმიდანვე სწავლობდნენ ყველა ადამიანთან ერთობაში ცხოვრებას და იმედი ჰქონდათ, რომ მათი შვილები მათზე უფრო იოლად მიაღწევდნენ სრულქმნილებას; მადლობას სწირავდნენ დევნისა და ტანჯვისათვის; იმ მშვენიერი მოძღვრებისათვის, რომლის ხორცშესხმაც მათი მოწოდება იყო; უნაყოფო ქვეყნისათვის, რომელიც დღითიდღე, მათ თვალწინ სწორდებოდა წელში.

არავინ დამჯდარა იქამდე, ვიდრე ყველაფერი არ გამოთქვეს იმ დიდ ბედნიერებაზე, თითოეული მათგანი რომ იყო გამსჭვალული. ინგმარიც მიხვდა, რომ ამ სიტყვებს მის გასაგონად ამბობდნენ და სურდათ, სამშობლოში, მათი ახლობლებისთვის სწორედ ის ეთქვა, რომ აქ ყველანი ბედნიერები იყვნენ.

ინგმარი თანასოფლელების მოსმენისას სკამზე ოდნავ გასწორდა, თავი მაღლა ასწია და პირის გარშემო უხეში ნაკეცი უფრო გამოეკვეთა.

ბოლოს, როდესაც გულახდილობის ნიაღვარი ცოტათი შენელდა, მის იანგმა ისევ ფსალმუნი წამოიწყო, ყველამ იფიქრა, საზეიმო შეკრება დამთავრდაო და წამოიშალნენ, მაგრამ ამ დროს მისის გორდონმა თქვა:

– დღეს შვედურადაც უნდა ვიმღეროთ.

და შვედებმა ის სიმღერა დაიწყეს, რომელიც სამშობლოდან გამომგზავრებისას იმღერეს.

– ოდესმე ისევ შევხვდებით, – მღეროდნენ ისინი, – ოდესმე ისევ შევხვდებით, სამოთხეში ოდესმე ისევ შევხვდებით.

სიმღერისას ყველას აუჩუყდა გული, ბევრს კი თვალზე ცრემლი მოადგა. ახლა ისინი ახსენდებოდათ, ვინც მოენატრათ და ვისაც მხოლოდ ზეცაში თუ შეხვდებოდნენ.

სწორედ იმ წამს, როცა სიმღერა დამთავრდა, ინგმარი წამოდგა და ორიოდე სიტყვის თქმა დააპირა. ამ სიტყვებით თავისიანებს თითქოს იმ ქვეყნიდან მიმართავდა, სადაც მალე დაბრუნდებოდა.

– მგონია, რომ თქვენი აქ ყოფნით ჩვენ, შინ დარჩენილებს, დიდ პატივს გვდებთ. – თქვა მან. – ვფიქრობ, სადაც არ უნდა იყოთ – ზეცაში თუ მიწაზე, თქვენთან შეხვედრა ყველას გაუხარდება. ჩემი აზრით, არაფერია იმაზე მშვენიერი, ვიდრე იმ ადამიანების გვერდით ყოფნა, რომლებიც დიდი მსხვერპლის ფასად სამართლიანობას ემსახურებიან.

18. ბავშვი

ახლა მოგითხრობთ, რა შეემთხვა ბარბრუ სვენსდოთერს მას შემდეგ, რაც ინგმარი იერუსალიმში გაემგზავრა.

ინგმარი ერთი თვის წასული იყო, როცა მოხუცმა ლისამ შენიშნა, რომ ბარბრუ ყოველთვის მოუსვენრად იყო და რაღაც აწუხებდა. „რაღაც უცნაური, ველური გამოხედვა აქვს,“ ფიქრობდა ლისა, „არ გამიკვირდება, ერთ დღესაც თუ გაგიჟდება.“

ერთ საღამოს ლისამ გადაწყვიტა, ბარბრუ გამოეკითხა.

– ნეტავ ვიცოდე, რა გაწუხებს. – თქვა მან. – პატარა გოგო რომ ვიყავი, ერთ ზამთარს ამ კარ-მიდამოს დიასახლისი ვნახე, რომელსაც სწორედ შენნაირი თვალები ჰქონდა.

– ეგ ის არ არის, ბავშვი რომ მოკლა? – სწრაფად ჰკითხა ბარბრუმ.

– ჰო, – მიუგო მოხუცმა, – და ახლა მგონია, შენც მაგაზე ფიქრობ.

ბარბრუმ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა.

– როცა ეს ამბავი შევიტყვე, ერთმა რაღაცამ გამაოცა.

მოხუცმა ლისამ ჰკითხა, ეს ერთი რაღაც რა იყოო.

– რა და, საკუთარ თავსაც იგივე რატომ არ გაუკეთა.

მოხუცი ლისა ამ დროს ართავდა. მან დაზგის ბორბალი ხელით გააჩერა და ბარბრუს შეხედა.

– არაფერია იმაში საკვირველი, რომ თავს ცუდად გრძნობ, თუკი კარ-მიდამოს ბავშვი უნდა მოევლინოს მაშინ, როცა სახლის პატრონი აქ არ არის, – ნელა თქვა მან. – მან ხომ არაფერი იცოდა, როცა გაემგზავრა?

– არაფერი ვიცოდით – არც მან და არც მე. – ისე ჩუმად უპასუხა ბარბრუმ, თითქოს გულზე ისეთი მძიმე დარდი აწვა, რომელიც ლაპარაკში ხელს უშლიდა.

– მაგრამ ახლა ხომ მისწერ?

– არა. – მიუგო ბარბრუმ, – ერთადერთი, რაც მანუგეშებს, ის არის, რომ ინგმარი აქ არაა.

შეძრწუნებულმა მოხუცმა ხელები ჩამოუშვა.

– ეგ რანაირი ნუგეშია? – იკითხა მან.

ბარბრუ ფანჯარასთან იდგა და წინ იყურებოდა.

– ნუთუ არ იცი, რა წყევლა მაწევს? – თქვა მან და შეეცადა, ხმა არ აკანკალებოდა.

– ჰო, აბა რა, აქ რას არ მოკრავ ყურს, გამიგონია, რომ შენ სორიბაკენიდან ხარ.

ცოტა ხნით ორივე დადუმდა. მოხუცი ლისა ართავდა, ხანდახან კი ბარბრუსკენ აპარებდა თვალს, რომელიც კვლავ ფანჯარასთან იდგა და ჟრჟოლა უვლიდა. ხუთი წუთის შემდეგ მოხუცმა მუშაობა დაამთავრა, ადგა და კარისკენ გაემართა.

– სად მიდიხარ? – ჰკითხა ბარბრუმ.

– კარგი, გეტყვი. ვინმე ისეთი უნდა ვნახო, ვინც ინგმარს მისწერს.

ბარბრუ წინ გადაეღობა.

– შენი ნებაა, – თქვა მან, – მაგრამ ვიდრე წერილი დაიწერება, მე ლონგფორშენში გადავვარდები.

ქალები იდგნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ. ბარბრუ ძლიერი იყო და ლისას ეგონა, ძალით დამაკავებსო, მაგრამ უეცრად ბარბრუმ გადაიკისკისა და მოხუცს გზა დაუთმო.

– მისწერე რა, – თქვა მან, – ეს სულაც არ მაღელვებს. უბრალოდ, ყველაფერს უფრო ადრე მოეღება ბოლო, ვიდრე განზრახული მქონდა.

– არა, რას ამბობ, – უთხრა ლისა, რომელიც მიხვდა, რომ ბარბრუსნაირ სასოწარკვეთილ ქალთან უფრო მეტი სიფრთხილე მართებდა. – აღარ მივწერ. სულაც არ მინდა, რაიმე სულელური საქციელისკენ გიბიძგო.

– მიდი, მისწერე, – თავისას არ იშლიდა ბარბრუ, – ჩემთვის მაინც სულ ერთია. მშვენივრად იცი, რომ მაინც თავს მოვიკლავ. ამ უბედურებას ბოლო უნდა მოვუღო.

მოხუცი სართავ დაზგასთან დაბრუნდა და სამუშაოს მიუჯდა.

– წერილის გასაგზავნად აღარ მიდიხარ? – ჰკითხა ბარბრუმ და ლისასთან მივიდა.

– შეიძლება, ერთი ჭკვიანური რამე გითხრა? – ჰკითხა მოხუცმა.

– კი, – უპასუხა ქალმა, – რატომაც არა.

– აი, რას ვფიქრობ, – უთხრა ლისამ, – გპირდები, ყველაფერს საიდუმლოდ შევინახავ, ოღონდ არც ბავშვს და არც საკუთარ თავს არაფერს დაუშავებ, ვიდრე არ დავრწმუნდებით, რომ ისეთი დაიბადა, როგორსაც ველოდით.

ბარბრუ შეყოყმანდა.

– მპირდები, რომ ამის შემდეგ ხელს არ შემიშლი?

– ჰო, გპირდები – უპასუხა მოხუცმა, – ამის შემდეგ შეგიძლია, რაც გინდა, ის გააკეთო.

– ოჰ, ვფიქრობ, არ გამიჭირდება, თავს უცებ მოვუღო ბოლო. – გულგრილად თქვა ბარბრუმ.

– მეგონა, ახლა ყველაზე უფრო ის გინდოდა, ინგმარს შეცდომა გამოესწორებინა, – თქვა მოხუცმა, – თუმცა ამგვარი ახალი ამბების გაგების შემდეგ, ვეჭვობ, აქედან რამე გამოვიდეს.

ბარბრუ შეკრთა და გული შეუქანდა.

– კეთილი, ისე მოვიქცეთ, როგორც შენ გინდა, – თქვა მან, – თუმცა ეს მძიმე პირობაა. კარგად უნდა

დაფიქრდე, რომ იმედი არ გამიცრუო.

შეთანხმება ორივე ქალმა პირნათლად შეასრულა. მოხუც ლისას არაფერი წამოსცდენია, ბარბრუ კი ისე ფრთხილობდა, რომ ვერავინ ხვდებოდა, რა სჭირდა. გაუმართლა, რომ ადრიანი გაზაფხული იყო და ტყეში თოვლი აპრილში დადნა. ბარბრუმ პირუტყვის ნაწილი საზაფხულო საძოვარზე გადენა, რომელიც შორს, ერთ უდაბურ ადგილას მიგდებული მწვანე ზოლი იყო. ბარბრუ და მოხუცი ლისა საქონელს მოსავლელად გაჰყვნენ.

ბავშვი მაისის ბოლოს დაიბადა. ბიჭი იყო და გაცილებით უარესად გამოიყურებოდა, ვიდრე წინა გაზაფხულზე დაბადებული ბავშვი. პატარა იყო, სუსტი და გამუდმებით ტიროდა. როცა მოხუცმა ლისამ ბარბრუს ახალშობილი აჩვენა, ქალს მწარედ გაეღიმა.

– ამ ბავშვის გამო არ ღირდა დაძალება, რომ მეცოცხლა. – თქვა მან.

– არავინ იცის, ასეთი პაწია მერე როგორი იქნება. – შეეკამათა ლისა.

– ხომ გახსოვს, პირობა უნდა შეასრულო და ხელი არ უნდა შემიშალო. – მტკიცედ განაცხადა ბარბრუმ.

– ჰო, მაგრამ ჯერ უნდა დავრწმუნდე, რომ ჩვილი ბრმაა. – უპასუხა მოხუცმა.

– ხომ შეიძლება, თავი მოიკატუნო, ვითომ ვერ ამჩნევ, ბავშვს რა სჭირს? – ჰკითხა ბარბრუმ.

თავად ბარბრუც უფრო სუსტად იყო, ვიდრე წინა მშობიარობისას. პირველ კვირას ისე ცუდად იყო, საწოლიდან არც წამომდგარა. ბავშვი ქოხში კი არ იწვა, მოხუცი მას იმ პატარა ფარდულებიდან ერთ-ერთში მალავდა, რომლებიც მთიან საძოვარზე იდგა. ქალი დღე და ღამე პატარას უვლიდა, თხის რძეს ასმევდა და ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ბავშვი ამქვეყნისკენ მოებრუნებინა. ერთი-ორჯერ ჩვილი ქოხშიც შეიყვანა, მაგრამ ბარბრუ კედლისკენ გადაბრუნდა, რომ შვილი არ ენახა.

ერთხელ მოხუცი ლისა ქოხის ფანჯარასთან იჯდა და გარეთ იყურებოდა. ბავშვი ხელში ეჭირა, პატარა, ჩვეულებისამებრ, ტიროდა, ქალი კი ფიქრობდა, რა პაწია და საბრალოაო.

– შეხედე, შეხედე, – უეცრად წამოიძახა მან და წინ გადაიხარა, რომ უკეთ დაენახა, – ჩვენკენ ვიღაცები მოდიან! ლისა ბავშვთან ერთად თვალის დახამხამებაში ბარბრუსთან გაჩნდა. – ცოტა ხანს დაიჭირე, გავალ და ვეტყვი, რომ ქოხში ავადმყოფი წევს და არ უნდა შემოვიდნენ.

მან ბავშვი საწოლზე დააწვინა, ბარბრუ კი შვილს არც მიჰკარებია. ბიჭუნა მთელი ხმით გაჰკიოდა. მოხუცი ლისა მალე დაბრუნდა.

– ეს ბავშვი ისე ყვირის, რომ მთელ ტყეს ესმის, – თქვა მან, – თუ ვერ გააჩუმებ, ხალხს დიდხანს ვეღარ დავუმალავთ. ქალი ისევ გარეთ გავიდა, ბარბრუს კი სხვა რაღა დარჩენოდა – ჩვილი მკერდზე მიიკრა.

მოხუცი კარგა ხანს არ შემოსულა, ხოლო როდესაც დაბრუნდა, ბავშვს ეძინა, ბარბრუ კი მას შეჰყურებდა.

– ნუ გეშინია, – დაამშვიდა ქალი ლისამ, – არაფერი გაუგონიათ, სხვა მხარეს გაუხვიეს.

ბარბრუმ მოხუცს გამგმირავად შეხედა.

– ყველაფერი კარგად გამოგივიდა, არა? – იკითხა მან. – გგონია, ვერ მივხვდი, რომ გარეთ არავინაც არ იყო და იმიტომ შემაშინე, რომ ბავშვი ხელში ამეყვანა?

– შემიძლია, ისევ ავიყვანო.

– იწვეს, სანამ გაიღვიძებს.

საღამოს მოხუცმა ისევ დააპირა ბავშვის გაყვანა. პატარა წყნარად იწვა და პაწია ხელებს ხან მომუჭავდა, ხან გაშლიდა.

– ღამღამობით სად აძინებ? – იკითხა ბარბრუმ.

– თივის ფარდულში.

– კატის კნუტი ხომ არ არის, თივაში რომ ეძინოს?

– არ მეგონა, ბავშვის ბედი ასე თუ გაღელვებდა, მაგრამ თუ გინდა, ქოხში დარჩეს.

ჩვილი ექვსი დღის რომ გახდა, ბარბრუ საწოლში წამოჯდა და უყურებდა, როგორ ახვევდა ლისა ბიჭუნას.

– რა ცუდად გიჭირავს, – შენიშნა ქალმა, – არ არის გასაკვირი, რომ ამდენს ტირის.

– ბავშვებისთვის ადრეც მომივლია, – შეეკამათა მოხუცი, – ვფიქრობ, ამ საქმეში შენზე ნაკლები არ გამეგება.

ბარბრუ ცოტა ხნით დადუმდა, თუმცა გულში ფიქრობდა, არასოდეს მინახავს, ბავშვს ვინმე ასე ცუდად უვლიდესო.

– ისე გიჭირავს, რომ სახე სულ გაულურჯდა. – მოუთმენლად თქვა მან.

– არ მეგონა, ამ ღლაპს ისე თუ უნდა მოვფრთხილებოდი, თითქოს უფლისწული იყოს, – გაჯავრებით ჩაიბუზღუნა მოხუცმა, – მაგრამ რაკი თავს ვერ ვართმევ, იქნებ თავად გეცადა. – ამის თქმაზე ლისამ ჩვილი ბარბრუს მიუგდო და გარეთ გავიდა.

ბარბრუმ ბავშვი ხელში აიყვანა, შეახვია და ბიჭუნაც მაშინვე დაწყნარდა.

– ნახე, რა ჩუმად არის? – ამაყად თქვა მან, როდესაც ლისა ქოხში დაბრუნდა.

– ყველა აღიარებს, რომ ბავშვებს კარგად ვუვლი. – თავისას არ იშლიდა მოხუცი და მერე კარგა ხანს გაბუტული დადიოდა.

ასე იყო თუ ისე, ამის შემდეგ ბიჭუნას ბარბრუ უვლიდა. ერთ დღეს, მაშინ, როცა ჯერ კიდევ იწვა, ლისას სთხოვა, სუფთა საფენი მომაწოდეო. მოხუცმა უპასუხა, აღარა გვაქვსო და ნახმარი საფენების რეცხვას შეუდგა. ბარბრუ წამოწითლდა და თვალები ცრემლით აევსო.

– ბავშვი აქ ისე იზრდება, თითქოს ვიღაც გლახაკის შვილი იყოს. – აჩქარებით თქვა მან.

– ამაზე ცოტა ადრე უნდა გეფიქრა, – მიუგო ლისამ, – ნეტავ მაშინ რაღას იზამდი, მე რომ ბავშვის ტანსაცმელი არ მომემამარაგებინა და თან არ წამომეღო?

ბარბრუ გონს ახლაღა მოეგო. ის საშინელი სასოწარკვეთა დაეუფლა, რომელშიც მთელი ზამთარი გაატარა და გული ისევ გაუქვავდა.

– უკეთესი იქნებოდა, ბავშვისთვის არც სახვევები გვქონოდა და მისთვის არ მოგვევლო. – თქვა მან.

მეორე დღეს ბარბრუ ფეხზე წამოდგა, ნემსი და ძაფი მოიმარჯვა და ზეწრის დაჭრას შეუდგა, რომ მისგან ჩვილის ტანსაცმელი შეეკერა. ცოტა ხანს იმუშავა, მერე კი მწარე ფიქრები მოეძალა. „რა აზრი აქვს იმას, რასაც ბავშვს ვუკეთებ? უკეთესი იქნება, მასთან ერთად ჭაობის ფსკერზე ვიყო. ორივეს ბოლო ხომ მაინც ეს არის?“

იგი ლისასთან გავიდა, რომელიც ძროხებს წველიდა, ვიდრე მათ ტყეში გადენიდა.

– ყური მიგდე, ლისა, რამდენი ხანი უნდა გავიდეს, ვიდრე დავრწმუნდებით, რომ ბავშვი ვერ ხედავს?

– ალბათ, რვა დღე ან შეიძლება ორი კვირაც დასჭირდეს, სანამ დანამდვილებით გვეცოდინება. – უპასუხა მოხუცმა.

ბარბრუ ქოხში შევიდა და სამუშაოს მიუბრუნდა. ზეწარი მაკრატლით უსწორმასწოროდ გადაჭრა, იგრძნო, რომ ხელები უკანკალებდა. მალე ცახცახი მთელ სხეულს გადაედო და იძულებული გახდა, მუშაობა შეეწყვიტა. „ღმერთო, რა მჭირს? ნუთუ შესაძლებელია, იმის გაგებაზე, რომ შვილი რამდენიმე კვირას კიდევ მეყოლება, სიხარულისგან ყოველი ნაკვთი მიკანკალებდეს?“

მოხუც ლისას დიდი ჯაფა ადგა. ძროხებს საძოვარზეც ის ერეკებოდა და წველიდა კიდეც. ბარბრუ ახლა მხოლოდ შვილის მოვლაზე ფიქრობდა და ლისას მისაშველებლად ვერ იცლიდა.

– იცი, ბარბრუ, რომ ზიხარ და ბავშვს მისჩერებიხარ, სჯობდა, რამე საქმისთვის მოგეკიდა ხელი. – თქვა ერთხელ დაქანცულმა მოხუცმა.

ბარბრუ ადგა და ქოხიდან გავიდა, მაგრამ პარმაღზე შემობრუნდა.

– მერე მოგეხმარები, ზაფხულში, – თქვა მან. – ამ დღეებში არ მინდა, მას მოვშორდე.

ბარბრუ გრძნობდა, რომ შვილი სულ უფრო მეტად უყვარდებოდა და საკუთარ თავს ეუბნებოდა, რომ ყველაზე დიდი გულმოწყალება, რაც შეიძლებოდა მის მიმართ გამოეჩინა, მისი თავდაპირველი განზრახვის შესრულება იქნებოდა. ბიჭუნა ისევ სუსტი იყო და ავადმყოფური შესახედაობა ჰქონდა. დაბადების შემდეგ თითქმის არ გაზრდილა, ყველაზე მეტად კი ქალს ის აშფოთებდა, რომ პატარას თვალები მუდამ შესიებული და ჩაწითლებული ჰქონდა, ქუთუთოებს

კი ძლივს სწევდა.

ერთხელ მოხუცმა ლისამ ბავშვის ასაკზე წამოიწყო ლაპარაკი.

– ბიჭი უკვე სამი კვირისაა, ბარბრუ. – თქვა მან.

– არა, – ცხარედ შეეპასუხა ქალი, – სამი კვირისა მხოლოდ ხვალ გახდება.

– მართლა? – გაიკვირვა ლისამ, – შეიძლება მეშლება, მაგრამ თითქოს ასე მახსოვს, რომ ოთხშაბათს დაიბადა.

– იმედია, ნებას დამრთავ, მასთან კიდევ ერთი დღე გავატარო. – უთხრა ბარბრუმ.

მეორე დილას მოხუცმა ლისამ ტანთ ჩაცმისას ბარბრუს უთხრა:

– აქ ძროხებს ბალახი აღარ ჰყოფნით. ცოტა ქვემოთ ჩავრეკავ ტყეში და, ალბათ, საღამომდე შინ ვერ დავბრუნდებით.

ბარბრუ ფიცხლად მიტრიალდა მისკენ, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მერე ტუჩები მოკუმა და დადუმდა.

– რამის თქმა გინდოდა? – შეეკითხა მოხუცი. მოეჩვენა, რომ ბარბრუს სურდა, მისთვის შინ დარჩენა ეთხოვა, თუმცა არაფერი მომხდარა.

საღამოს მოხუცი საქონელთან ერთად ფეხათრევით ბრუნდებოდა შინ. მოდიოდა და თან ძროხებს უხმობდა, რომლებიც ხან მარჯვნივ გადაუხვევდნენ ხოლმე, ხან – მარცხნივ და ყველგან ჩერდებოდნენ, სადაც ბალახის ბღუჯას დაინახავდნენ. ლისამ მოთმინება დაკარგა და ჯიუტი პირუტყვის ლანძღვას მოჰყვა.

– აბა, ასე რისთვის ცხარობ, ლისა, – თქვა მან ბოლოს, – შინ ხომ მაინც მალე დაბრუნდები და სწორედ იმას ნახავ, რასაც ელოდი.

როდესაც მოხუცმა ქოხის კარი შეაღო, ბარბრუ დაინახა, რომელსაც ბავშვი მუხლებზე დაესვა და უმღეროდა.

– მადლობა ღმერთს, მოხვედი, ლისა! – წამოიძახა მან. – აღარ ვიცოდი, რა მექნა. შეხედე, ბიჭს გამოაყარა! იგი მოხუცთან მივიდა და ბავშვის ყელზე ორიოდე წითელი ლაქა აჩვენა.

მოხუცი ლისა ისევ კართან იდგა. მან ტაში შემოჰკრა და გაიცინა. ბარბრუ განცვიფრებული უყურებდა.

– მაშ, ეს გამონაყარი საშიში არ არის? – იკითხა მან.

– ხვალამდე გაუვლის. – უპასუხა მოხუცმა და სიცილი გააგრძელა. ბარბრუ უფრო გაოცდა, თუმცა ბოლოს გაახსენდა, რა შიში შეიძლებოდა გადაეტანა ლისას იმ დღეს.

– ჰო, ეს რომ ჩამედინა, ყველასთვის უკეთესი იქნებოდა, – თქვა მან. – ალბათ, შენც ამაზე ფიქრობდი, რახან სწორედ დღეს გადაწყვიტე, გაგვცლოდი.

– ღამით ვიწექი და ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი, – მიუგო მოხუცმა, – ჰოდა, რაღაც ხმამ მიკარნახა, რომ ბავშვი საკუთარ თავს უკეთ მიხედავდა, თუკი მასთან მარტო დაგტოვებდი.

საღამოს, როცა ყველა საქმე მოილიეს და დასაძინებლად წვებოდნენ, ლისამ ბარბრუს ჰკითხა:

– დარწმუნებული ხარ, რომ ბიჭუნა იცოცხლებს?

– ჰო, – უპასუხა ქალმა, – თუ ღმერთი ჯანმრთელობას მისცემს, შვილს არ დავკარგავ.

– და თუ ჭკუასუსტი ან ბრმა იქნება, მაშინ?

– უკვე ვიცი, რომ ასე იქნება, მაგრამ მაინც არ შემიძლია, ზიანი მივაყენო. როგორიც უნდა იყოს, იმისთვისაც მადლობელი ვიქნები, რომ შემიძლია მასზე ვიზრუნო.

მოხუცი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა.

– რახან ასე გადაწყვიტე, მაშინ იქნებ ინგმარისთვის მიგეწერა? – თქვა მან.

ბარბრუს სახეზე შიში აისახა.

– მგონი, ძალიან გინდა, ბავშვი ცოცხალი დარჩეს, – თქვა მან, – მაგრამ თუ ინგმარს მისწერ, საკუთარ საქციელზე პასუხს არ ვაგებ.

– ნეტავ გამაგებინა, სხვანაირად ამ საქმეს როგორ მოაგვარებ? ნებისმიერს, ვინც გაიგებს, რომ ბავშვი გყავს, შეუძლია ეს ინგმარს მისწეროს.

– შევეცდები, ყველაფერი საიდუმლოდ შევინახო, ვიდრე ინგმარი გერტრუდზე არ დაქორწინდება.

მოხუცი ლისა კვლავ ჩუმად იჯდა და კარგა ხანს ფიქრობდა ქალის სიტყვებზე. ცხადი იყო, ბარბრუ ისე ესწრაფოდა, რაიმე უბედურება აეტეხა თავისთვის, რომ მოხუცს შეპასუხება ვერ გაებედა.

– შენ ინგმარის კარ-მიდამოს მოხუცებს ძალზე კარგად ექცეოდი, ამიტომაც არ უნდა გაგიკვირდეს, რომ მინდა, ისევ იქაურობის დიასახლისი იყო. – ფრთხილად თქვა ლისამ.

– თუ ოდესმე კარგად მოგქცევივარ, სამაგიეროს ათასმაგად გადამიხდი იმით, რომ წინააღმდეგობას არ გამიწევ.

ბარბრუმ თავისი გაიტანა და მთელი ზაფხული არავის გაუგია ბიჭუნას არსებობის შესახებ. როცა ვინმე საძოვარს მოუახლოვდებოდა, ქალი სათივეში იმალებოდა. ბარბრუ ძალიან წუხდა, როგორ უნდა დაემალა ბავშვი შემოდგომაზე, როცა სოფელში დაბრუნება მოუწევდა. მთელ დღეებს ამაზე ფიქრში ატარებდა.

რაც დრო გადიოდა, ბავშვი ბარბრუსთვის სულ უფრო ძვირფასი ხდებოდა და თანდათან უწინდელი სიმშვიდეც დაუბრუნდა. ბიჭუნა ცოტა მოღონიერდა, თუმცა ზრდაში და განვითარებაში მაინც ჩამორჩებოდა. მთელი ზაფხული ტირილში გაატარა, ამიტომაც ქუთუთოები ისეთი დაწითლებული და შესიებული ჰქონდა, თვალებს ძლივს ახელდა. ბარბრუს წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ მისი შვილი ჭკუასუსტი იყო და, თუმცა მხოლოდ ბიჭუნასთვის სიცოცხლის შენარჩუნებისთვის ზრუნავდა, მასზე მძიმე ფიქრებს ბევრჯერ გაუწამებია. ეს ფიქრები უფრო ხშირად ღამოთ ეწვეოდა ხოლმე, ამ დროს ქალი დგებოდა და შვილს აკვირდებოდა. ბიჭუნა ძალიან უშნო იყო, მკრთალი, მოყვითალო კანი და თხელი, წითური თმა ჰქონდა; ცხვირი ძალიან მოკლე, ხოლო ქვედა ტუჩი – მეტისმეტად დიდი. ძილის დროს წარბებს ისე ჭმუხნიდა, რომ შუბლზე ღრმა ნაოჭები უჩნდებოდა. როდესაც ბარბრუ ბავშვს შესცქეროდა, ფიქრობდა, ნამდვილი ჭკუასუსტის სახე აქვსო, მერე წვებოდა და შვილის საცოდაობით მთელ ღამეს ტირილში ატარებდა. მაგრამ დილით ბავშვი გამოძინებული და კარგ ხასიათზე იღვიძებდა, იწვა კალათში, აკვნის მაგივრობას რომ უწევდა და დედის ხმის გაგონებაზე ხელებს მისკენ იშვერდა. ბარბრუც ისევ მშვიდდებოდა.

– ასე მგონია, იმათ, ვისაც ჯანსაღი შვილები ჰყავთ, ბავშვები ისე არ უყვართ, როგორც მე მიყვარს ჩემი ავადმყოფი ბიჭი. – ეუბნებოდა იგი ლისას.

დრო გადიოდა და ზაფხულიც იწურებოდა. ბარბრუს ჯერაც ვერ მოეფიქრებინა, შინ დაბრუნების შემდეგ როგორ მოახერხებდა ბავშვის დამალვას. ზოგჯერ ეჩვენებოდა, სხვა გზა აღარ დამრჩა, აქედან უნდა გავემგზავროო.

სექტემბრის დასაწყისში ერთ საღამოს ძალიან აცივდა, გაწვიმდა და ქარმაც დაუბერა. ბარბრუმ და ლისამ ღუმელი დაანთეს, ისხდნენ და ცეცხლს ეფიცხებოდნენ. ბარბრუს ბავშვი მუხლებზე ეწვინა და, როგორც ყოველთვის, იმაზე ფიქრობდა, რა გავაკეთო, რომ ინგმარმა ვერაფერი გაიგოსო.

„თუ არადა, ისევ დამიბრუნდება,“ ფიქრობდა ის, „არ ვიცი, მაშინ როგორღა გავაგებინებ, რომ ერთადერთი რაც მინდა, მარტო ცხოვრებაა.“

როგორც კი ეს გაიფიქრა, მოულოდნელად ქოხის კარი გაიღო და ოთახში ვიღაც შემოვიდა.

– ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ! – მიესალმა კაცი. – ბედმა გამიღიმა, რომ ქოხი ვიპოვე. ამ კუნაპეტ სიბნელეში სოფლამდე ვერ ჩავედი, მერე კი მომაგონდა, რომ სადღაც ამ მიდამოებში ინგმარის მამულის საძოვარი იყო.

სტუმარი ერთი საწყალი კაცი იყო, რომელიც ადრე მეწვრილმანეობით ირჩენდა თავს, ახლა კი საქონელი აღარ ჰქონდა და მათხოვრობდა. არც ისეთი ღატაკი იყო, რომ სხვების გულმოწყალების გარეშე ვერ ეცხოვრა, თუმცა ეზო-ეზო კი დაეხეტებოდა და ახალ ამბებს იგებდა.

პირველი, ვისაც მან ქოხში თავლი მოჰკრა, რასაკვირველია, ბავშვი იყო და კაცს მის დანახვაზე თვალები გაუფართოვდა.

– ეს ბავშვი ვისია? – მყისვე იკითხა სტუმარმა.

ორივე ქალი ცოტა ხანს დუმდა, მერე კი ლისამ მოკლედ და მკაფიოდ მიუგო:

– ინგმარ ინგმარშონის.

სტუმარი კიდევ უფრო გაოცდა. იმანაც დააბნია, რომ შემთხვევით ისეთ რამეს შეესწრო, რაც არ

უნდა სცოდნოდა. შეცბუნებული კაცი ბავშვისკენ დაიხარა და იკითხა:

– რა პატარაა, რა ხნის არის?

ახლა ბარბრუმ იჩქარა პასუხის გაცემა:

– ერთი თვის.

კაცი უცოლო იყო და ბავშვებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, ამიტომაც ვერ მიხვდა, რომ ბარბრუმ მოატყუა და შეძრწუნებული მიაჩერდა ქალს, რომელიც სრულიად მშვიდად იჯდა.

– მაშ, მხოლოდ ერთი თვისაა, არა? – იკითხა მან.

– ჰო. – აუღელვებლად დაუდასტურა ბარბრუმ. კაცი პატარა ბიჭივით გაწითლდა და დაიბნა, ბარბრუს კი ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მას არაფერი ეხებოდა. სტუმარმა შენიშნა, რომ მოხუცი ლისა ქალს რაღაცას ანიშნებდა, თუმცა ის ამაყად თავაწეული იჯდა და მინიშნებებს თითქოს ვერც ამჩნევდა. „ამ მოხუცს ტყუილის თქმისა არ ეშინია, ბარბრუს კი, ეტყობა, მიაჩნია, რომ ეს არ ეკადრება.“ გაიფიქრა კაცმა.

მეორე დილით მან ბარბრუს ნდობის ნიშნად ხელზე ხელი მოუჭირა და უთხრა:

– სჯობს, ჩუმად ვიყო, არა?

– ჰო, ამის იმედი მაქვს. – მიუგო ქალმა.

– ვერასოდეს გავიგებ, რამ მოგიარა, ბარბრუ. – თქვა მოხუცმა, როგორც კი სტუმარი წავიდა. – საკუთარ თავს რატომ ატყუებ?

– სხვა გამოსავალი არ მქონდა. – უპასუხა ბარბრუმ.

– და შენ გგონია, კრემარ-იუჰანესი ამისთან რამეზე გაჩუმდება?!

– აზრადაც არ მომსვლია, რომ გაჩუმდებოდა.

– ის არ მოგსვლია აზრად, რომ ხალხი იფიქრებს, ბავშვი ინგმარის არ არისო?

– ჰო, იფიქრებს, – თქვა ბარბრუმ, – ახლა უკვე შეუძლებელია ბავშვის დამალვა. სხვა გამოსავალი აღარ დარჩა, ხალხმა უნდა დაიჯეროს, რომ სწორედ ასეა.

– რა გგონია, ამაში მხარს აგიბამ?

– ჰო, თუ არ გინდა, რომ ინგმარის მამულის მემკვიდრე ჭკუასუსტი იყოს.

შუა სექტემბერში ყველა, ვინც ზაფხულის საძოვრებზე იყო, შინ ბრუნდებოდა. ბარბრუ და ლისაც დაბრუნდნენ მამულში და მყისვე შენიშნეს, რომ ახალი ამბავი მთელ სოფელს მოსდებოდა. ბარბრუ აღარ ცდილობდა, საიდუმლოდ შეენახა, რომ ბავშვი ჰყავდა, თუმცა ძალიან ეშინოდა, რომ მას ვინმე დაინახავდა.

ქალი შვილს ყოველთვის ლუდსახარშში, მოხუცი ლისას ოთახში მალავდა. ეგონა, ვერ აიტანდა, რომ ვინმეს მისთვის თვალი მოეკრა და ეთქვა, ბავშვი სნეულია და მისგან ნამდვილი კაცი ვერასოდეს დადგებაო.

სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ამ შემოდგომაზე ბარბრუს გაკიცხვის და ლანძღვის ნიაღვარი დაატყდა თავს. ხალხი არც კი ცდილობდა, დაემალა, რას ფიქრობდა მასზე და სულ მალე ქალს ისე უფრთხოდნენ, რომ იგი სახლში გამოიკეტა. მსახურებიც აღარ ექცეოდნენ უწინდებურად. მოჯამაგირეები და შინამოსამსახურეები მის გასაგონად უხამსი ნართაულებით ლაპარაკობდნენ და ქალს მათი დამორჩილება უჭირდა.

ეს ამბავი მოულოდნელად დასრულდა. ღონიერი ინგმარი მამულის ბოლოში ცხოვრობდა და, ვიდრე სახლის პატრონი უცხო ქვეყანაში იყო, იქაურობას უძღვებოდა. ერთ დღეს მან ყური მოჰკრა, რა უხეშად უპასუხა ერთ-ერთმა მოჯამაგირემ ბარბრუს და კაცს ისე ლეწა ყურის ძირში, რომ იგი კედელს მიენარცხა.

– თუ ერთხელაც გავიგონებ ასეთ რამეს, უარესს მიიღებ. – თქვა მოხუცმა.

ბარბრუ გაოცებული უყურებდა.

– დიდი მადლობა. – თქვა მან.

მოხუცი ქალს მიუბრუნდა და არც თუ ალერსიანი მზერა სტყორცნა.

– სამადლობელი არაფერია, მაგრამ სანამ ამ კარ-მიდამოს დიასახლისი ხარ, თვალი უნდა მეჭიროს იმაზე, რომ აქაურებმა შენს მიმართ პატივისცემა და მორჩილება გამოიჩინონ. – თქვა მან.

გვიან შემოდგომაზე იერუსალიმიდან წერილი მოვიდა, რომ ინგმარი და გერტრუდი კოლონიიდან გამოემგზავრნენ. „შეიძლება იქამდეც კი ჩამოვიდნენ, ვიდრე ეს სტრიქონები თქვენამდე მოაღწევს,“ ეწერა წერილში. ამ ამბის გაგონებაზე ბარბრუს თავდაპირველად გულზე მოეშვა. ახლა უკვე დარწმუნებული იყო, რომ ინგმარი გაყრის საქმეს ბოლომდე მიიყვანდა, ბარბრუ გათავისუფლდებოდა და მას შემდეგ ერთ დღესაც აღარ მოუწევდა თავსდატეხილი ზიზღის ატანა, ასე რომ ამძიმებდა.

თუმცა ამ დღის დადგომამდე საქმეში გართულ ქალს დროდადრო თვალები ცრემლით ევსებოდა ხოლმე. მაინც უკლავდა გულს ის, რომ მასა და ინგმარს შორის ყველაფერი დამთავრდა. დაუჯერებლად ეჩვენებოდა, რომ ამ ორ ადამიანს ერთმანეთთან აღარაფერი დააკავშირებდა.

19. შინ დაბრუნება

ბარბრუ სვენსდოთერს დილით, ადგომამდე სულ ცოტა ხნით ადრე, ლამაზი სიზმარი ესიზმრა. ვითომ პატარა გოგონა იყო, მშობლებთან ერთად თავის მამულში ცხოვრობდა, გარეთ გამოვიდა და მძიმე მარხილს აწვებოდა. ცივი ზამთარი იყო, ცა ნაცრისფრად მოქუფრულიყო, გოგონას წინ თოვლის ნამქერები ეღობებოდა, ციცაბო აღმართზე მიდიოდა და ისე უჭირდა მარხილის თრევა, რომ სუნთქვა ეკვროდა, კვნესოდა და მთელი ძალით ცდილობდა, საქმეს გამკლავებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ფერდობზე ავიდა და მარხილი შეაბრუნა, რომ დაღმართზე დაშვებულიყო. ამ დროს შეამჩნია, რომ ყველაფერი შეცვლილიყო. უკვე გაზაფხული იდგა. ღრუბლის თეთრ ქულებს შორის მზე კაშკაშებდა, თოვლის ნამქერები დნებოდა და გოგონას უნდა ეჩქარა, რომ თოვლის გადნობამდე მარხილით დაშვება მოესწრო. ასე კარგად მარხილით არასოდეს უსრიალია. დაღმართზე ისე მოქროდა, რომ სიხარულისგან თავბრუ ეხვეოდა. ფერდობის ძირას თოვლი უკვე გამდნარიყო, მაგრამ მარხილი გუბეებს და ტოროსებს საოცარი სისწრაფით გადაახტა. როცა ბოლოს და ბოლოს გაჩერდა, ბარბრუ მარხილიდან გადმოვიდა და ფერდობს ახედა, შენიშნა, რომ გაზაფხული ძალაში შესულიყო. ნამქერი აღარსად ჩანდა, დაღმართზე მჩქეფარე ნიაღვრები და ნაკადულები მოედინებოდა, ირგვლივ მწვანე ბალახს და ყვავილებს ამოეყო თავი. ყველაზე უცნაური კი ამაში ის იყო, რომ ქალს ყველაფერი, რასაც ხედავდა, ისეთი მღელვარე სიხარულით ავსებდა, რომ ამ სიხარულმა გამოაღვიძა. მაშინაც კი, როცა უკვე ეღვიძა, სიხარული არ გამქრალა. გონება საგაზაფხულო ხალისით და გაზაფხულის სურნელით ჰქონდა სავსე. გული ისე უზრუნველად და იოლად უცემდა, როგორც ქალიშვილობაში. უდარდელობის გრძნობა ისეთი კარგი იყო, რომ იმის შიშით, არ გაქრესო, განძრევასაც ვერ ბედავდა. უნებურად გაიფიქრა, ამ სიზმარში რაღაც გამაფრთხილებელი და წინასწარმეტყველურიაო. „თუ იმ მძიმე აღმართს დავძლევ, რასაც ახლა ვარ შეჭიდებული, ჩემი ცხოვრება გაზაფხულის დღესავით ნათელი და უზრუნველი გახდება.“ გაიფიქრა მან.

ბარბრუს ადგომის მერე გაახსენდა, რომ იმ დღეს კვირა იყო. სიზმარმა ისე გაახალისა, რომ გამბედაობა მოიკრიბა და ეკლესიაში წასვლა დააპირა. ეს მთლად გონივრული საქციელი არ იყო, თუმცა ქალს დიდი ხანია, ეკლესიაში მისვლა უნდოდა და გადაწყვიტა, ეს სწორედ ახლა გაეკეთებინა. გაიფიქრა, იმხელა სადარდებელი მაქვს, იქ წასვლა სხვაზე მეტად მე მჭირდებაო. საკვირაო ტანსაცმელი ჩაიცვა და სახლიდან ისე გამოიპარა, მოხუცი ლისას გარდა არავისთვის დაუბარებია, სად მიდიოდა.

ეკლესიის ეზოში შესვლისას ბარბრუს მოეჩვენა, რომ ხალხი გაოცებული მზერით აცილებდა, ამიტომაც მაშინვე ეკლესიაში შევიდა და თავის ადგილზე ისე დაჯდა, ხმა არავისთვის გაუცია, თავსაფარი შუბლზე ჩამოიწია და თავი დახარა. ხალხისთვის თვალებში შეხედვას ვერ ბედავდა, მაგრამ მაინც უხაროდა, რომ სახლიდან გამოაღწია.

იმ დროს, როცა ბარბრუ ეკლესიაში იჯდა და წირვის დაწყებას ელოდა, ინგმარ ინგმარშონი რკინიგზის სადგურიდან გამოვიდა. ეტლში წინა სკამზე იჯდა მეეტლის გვერდით, უკან კი გაბრიელი და გერტრუდი ისხდნენ. სწორედ მაშინ, როდესაც ტივტივა ხიდი გადაიარეს, ეკლესიის ზარების გუგუნი შემოესმათ.

– არა მგონია, შინ ამ დროს ვინმე ისეთი დაგვხვდეს, ვისი ნახვაც გვინდა, – თქვა ინგმარმა და გაბრიელს და გერტრუდს მიუბრუნდა. – იქნებ ჩვენც ეკლესიაში წავსულიყავით?

სხვებიც დაეთანხმნენ და ინგმარმა მეეტლეს სთხოვა, გეზი ეკლესიის ეზოსკენ აეღო.

ეკლესიაში რომ შევიდნენ, მრევლს უკვე სიმღერა დაეწყო და ყველანი ფსალმუნის წიგნებზე

თავდახრილები ისხდნენ. გერტრუდი პირველი შევიდა. კარგა ხანს მიდიოდა მსუბუქი ნაბიჯებით და, ვიდრე ვინმე შეამჩნევდა, კარგა მანძილის გავლა მოასწრო. ბოლოს მისმა ერთ-ერთმა თანაკლასელმა შემთხვევით თავი ასწია, როდესაც გერტრუდმა გვერდით ჩაუარა და იცნო. მან გვერდით მეზობელს მუჯლუგუნი გაჰკრა და მერხიდან მერხზე ჩურჩული ატყდა:

– ეს გერტრუდია, მასწავლებლის ქალიშვილი.

ჩურჩული ბარბრუმაც გაიგონა და თავი ასწია. რიგებს შუა ახალგაზრდა ქალი მოდიოდა, ლამაზს და ტანწერწეტას რბილი, თეთრი კანი, ნათელი თვალები და ჰაეროვანი ნაბიჯი ჰქონდა. ძალზე სანდომიანი და მიმზიდველი იყო და ბედნიერი ჩანდა. ეტყობოდა, ეკლესიაში ყოფნის მიუხედავად, ღიმილს ძლივს იკავებდა.

ბარბრუს გული აუძგერდა. მაშ, ეს იყო გერტრუდი! ჰო, სწორედ ასეთიც უნდა ყოფილიყო. ბარბრუს დარწმუნებით შეეძლო თქმა, რომ ეს გერტრუდი იყო, თუმცა ჩურჩული არ გაუგონია.

ქალს უცნაური გრძნობა დაეუფლა. ბოლო წლებში სულ ამაზე, ინგმარის და გერტრუდის ქორწინებაზე ოცნებობდა, რათა მათ შორის ჩამდგარი სინდისის ქენჯნისგან გათავისუფლებულიყო. მადლობელი იყო, რომ ეს ტვირთი მაინც მოაშორეს, თუმცა ეს არაფერს შველოდა, რადგან იმის გაფიქრებაც უმძიმდა, რომ ინგმარი სხვას მოიყვანდა ცოლად. უკვე ბავშვის მამის ვინაობის დამალვაც არ სჭირდებოდა და ესეც დიდი შვება იყო. „როგორც სიზმარმა მიწინასწარმეტყველა, დღეს მართლაც დიდი ბედნიერება მეწვია,“ თავისთვის ჩაილაპარაკა ქალმა, თუმცა ისე არ გახარებია, როგორც ელოდა.

ბარბრუმ დაინახა, რომ გერტრუდი დედამისის, დედილო სტინას, მერხისკენ გაემართა. ეკლესიაში სიჩუმე ჩამოვარდა. ხალხმა გერტრუდს გზა დაუთმო დედასთან მისასვლელად, რომელიც იჯდა და წიგნს ჩასჩერებოდა. არც შეუმჩნევია, ვინ მიუჯდა გვერდით. დედილო სტინა დაბერებული ჩანდა. წელში მოხრილიყო, ხელები კი, ფსალმუნების წიგნი რომ ეჭირა, დანაოჭებოდა და ამ ხელებს ვიღაცამ თავისი რბილი, ვარდისფერი ხელი დაადო. „გერტრუდის ხელს ჰგავს,“ გაიფიქრა დედილო სტინამ, „მის ხელებზე ლამაზი არასოდეს მინახავს.“ მაგრამ თავი არც აუწევია, რადგან ყველაფრის მიმართ გულგრილი გამხდარიყო და აღარაფერი აინტერესებდა. ლამაზმა ხელმა წიგნი აიღო და თავის მხარეს გადაანაცვლა.

– დედა, შეიძლება თქვენს წიგნში მეც ჩავიხედო? – დაიჩურჩულა გერტრუდმა. დედილო სტინამ შვილის ხმა იცნო და, გერტრუდს რომ არ დაეჭირა, წიგნი იატაკზე დაუვარდებოდა. მოხუცმა სწრაფად შეხედა შვილს და შენიშნა, რომ მას სახე შორეული მოგზაურობიდან შინ დაბრუნებულის სიხარულით უბრწყინავდა. სიცილს ძლივს იკავებდა, თუმცა ეკლესიაში იყვნენ. ეტყობა, ისეთივე ხასიათზე დადგა, როგორზეც ბავშვობაში იყო ხოლმე.

– დედა, ახლა ჩვენ ისე ვიმღერებთ, როგორც უწინ ვმღეროდით. – უჩურჩულა გერტრუდმა და სიმღერას ხმა ააყოლა. დედილო სტინამაც სცადა, აჰყოლოდა. ხმა აღარ ემორჩილებოდა, მაგრამ მაინც მღეროდა და ეჩვენებოდა, რომ ხმა დაუბრუნდა და ყოველ ბგერაზე სულ უფრო ძლიერად ჟღერდა.

მასწავლებლის ცოლს სულაც არ სურდა, საეკლესიო წესები დაერღვია და ცდილობდა, იმ ფსალმუნის სიტყვებზე ეფიქრა, რომელსაც მღეროდა, თუმცა თავს ვერ ერეოდა და წამდაუწუმ თავს ატრიალებდა, რომ გერტრუდისთვის შეეხედა. არა, ნამდვილად არაფერი სჭირდა! სრულ ჭკუაზეც იყო, გახარებული, ბედნიერი და უწინდელზე მშვენიერიც.

– დედა, უნდა იმღეროთ, მარტო მე კი არ უნდა მიცქიროთ. – თქვა გერტრუდმა და წინ გადაიხარა, რომ დედასთან შეხვედრის სიხარული დაემალა.

ბარბრუმაც და სხვებმაც, რომლებიც დედილო სტინას უკანა მერხებზე ისხდნენ, შეამჩნიეს, რომ ყოველ ჯერზე, როცა მოხუცი გერტრუდისკენ თვალს გააპარებდა, წელში თანდათან სულ უფრო იშლებოდა, წირვის დასრულებისას კი უკვე თითქმის ტანში გამართული იჯდა მერხზე.

ბარბრუ ვერაფრით ახერხებდა, სიმღერას აჰყოლოდა. რახან გერტრუდი ეკლესიაში მოვიდა, სადაცაა ინგმარიც უნდა გამოჩენილიყო. ქალი იჯდა და აყურადებდა, შემოსასვლელში მისი მძიმე ნაბიჯების ხმას როდის გაიგონებდა.

მამაკაცების მხარეს, განაპირა მერხზე ჰეკ მათს ერიკსონი იჯდა. როგორც ყოველთვის, კეთილი და სანდომიანი გამომეტყველება ჰქონდა და არც ძალიან დაბერებულიყო. მთელ მრევლს გაუხარდა, როდესაც გერტრუდი ეკლესიაში შემოვიდა და დედასთან დაჯდა, ჰეკ მათსს კი, რომელსაც სხვისი ბედნიერება არასოდეს შურდა, სახე დაუნაღვლიანდა და დედა-შვილს ლამის ზურგი შეაქცია. მათ დანახვაზე მოეჩვენა, თითქოს გული მახვილით გაუპეს. „რა ბედნიერები არიან სტორმები,“ გაიფიქრა მან. „იმ დასაკარგავიდან ქალიშვილი დაუბრუნდათ, ჩემთან კი არავინ დაბრუნებულა.“

კაცი სხვებს აჰყვა და სიმღერა წამოიწყო. საშინელი ხმა ჰქონდა და სხვა დროს ეკლესიაში არასოდეს უმღერია, მაგრამ სევდას რომ არ დაერია ხელი, რაღაც უნდა ექნა.

დიდი ხანი არ გასულა და ბარბრუს შემოსასვლელიდან ნაბიჯების ხმა შემოესმა. ეს მსუბუქი და სწრაფი ნაბიჯები ინგმარისას არ ჰგავდა. ქალმა ვერ მოითმინა, თავი მოაბრუნა და შემოსასვლელში ახალგაზრდა კაცი დაინახა, რომელსაც ბაგეზე გერტრუდისნაირი მომხიბლავი ღიმილი დასთამაშებდა. იგი იქ შეჩერდა, სადაც ჰეკ მათსი იჯდა და მხარზე ხელი დაადო, რომ მის მერხზე დამჯდარიყო.

– ეს ჰეკ გაბრიელია. – უჩურჩულა ბარბრუს გვერდით მჯდომმა ქალმა. ბარბრუ ამას უკვე მიხვდა, რადგან თუმცა კი ბიჭი მაღალი და ლამაზი იყო, მამასავით კეთილი თვალები ჰქონდა.

პირველი, რაც გაბრიელმა ეკლესიის კარის გაღებისთანავე გაიგონა, ჰეკ მათსის გაბზარული და ჩახლეჩილი ხმა იყო. „რა დაემართა მამას, რატომ მღერის?“ გაიფიქრა მან. „როგორ გაჯავრდება პასტორი. ისე ყალბად მღერის, მელოდიას ხმას ვერავინ აყოლებს.“ გაბრიელს ცოტა აკლდა გაცინებას და ეკლესიაში შესვლა კინაღამ გადაიფიქრა. ყველამ თავი მოაბრუნა და თვალი გააყოლა შემოსულს, მამამისის გარდა, რომელიც კარისკენ ზურგშექცევით, უძრავად იჯდა და მღეროდა. მაშინაც კი, როცა გაბრიელმა ხელი შეახო, ჰეკ მათსი არ განძრეულა და ბიჭისთვის არც შეუხედავს. გაბრიელი მამის უკან, მერხზე ჩამოჯდა, ფსალმუნების ძველი წიგნი აიღო და ამღერდა. სუფთა, ძლიერი ხმა ჰქონდა და მრევლში საუკეთესო მომღერლად ითვლებოდა. მოხუცმა ჰეკ მათსმა კიდევ ერთი სტროფი წაიმღერა, თითქოს უცნობ ხმას ეჯიბრებაო, მერე კი გაბზარული ხმა სულ უფრო დასუსტდა და ბოლოს ჩაკვდა. საოცარი იყო, მაგრამ ჰეკ მათსი ფსალმუნის დამთავრებამდე არ განძრეულა და არც უკან მიუხედავს! „ეს გაბრიელია, აქ რომ ზის და მღერის.“ ფიქრობდა ის, თუმცა ისე ეშინოდა, არ შემცდარიყო, რომ თავის მობრუნებას ვერ ბედავდა. როგორც კი სიმღერა დამთავრდა, მოხუცი მეზობლისკენ გადაიხარა და ჰკითხა:

– ვინ მღეროდა?

– ეს ხომ გაბრიელი იყო. – უჩურჩულა მან.

მოხუცმა ახლაღა მოაბრუნა თავი და შვილს შეხედა. მის მზერაში იმხელა სევდა, სინაზე და შიშნარევი სიხარული ჩანდა, გაბრიელი ვერ მიხვდა, თავის დროზე როგორ გაუძლო გულმა, რომ მამისგან წასულიყო.

ინგმარი მეეტლესთან შეყოვნდა, ამიტომაც ის ყველაზე ბოლოს შევიდა ეკლესიაში. როდესაც კარი გააღო, ფსალმუნი უკვე დამთავრებულიყო და პასტორი საკურთხეველთან იდგა. ინგმარი, მრევლი რომ არ შეეწუხებინა, წინ აღარ წამოსულა და კართან გაჩერდა. მალე მისი მოსვლის შესახებ ყველამ გაიგო და ერთიმეორის მიყოლებით ტრიალდებოდნენ, რომ კაცისთვის შეეხედათ. ინგმარს ცალი თვალი დაეხუჭა, მეორეთი კი იმაზე უფრო მოურიდებლად ათვალიერებდა გარშემომყოფებს, ვიდრე მისიანებს სჩვეოდათ. „ბედნიერი ჩანს.“ გაიფიქრა ბარბრუმ. ქალმა მხოლოდ ერთხელ შეავლო თვალი ქმარს, ცრემლი ახრჩობდა, გული კი ისე გაშმაგებით უცემდა, ეგონა, ჩემ გარშემო ყველას ესმისო. „ნუთუ ამას ვნატრობდი? ნუთუ მეგონა, ეს გამახარებდა?!“ ფიქრობდა იგი, ენით აუწერელ მარტოობას გრძნობდა და ძალიან უბედური იყო.

წირვის დამთავრების შემდეგ ბარბრუმ შემოსასვლელის მხრიდან მძიმე, ფრთხილი ნაბიჯების ხმა გაიგონა. ეს ინგმარი გახლდათ, რომელიც უკეთესი ადგილის საპოვნელად წინ მოიწევდა. ბარბრუ გაფაციცებით აყურადებდა ნაბიჯებს. „ალბათ, ზევით მიდის, რომ გერტრუდის პირდაპირ დაჯდეს.“ თავში გაუელვა ქალს და ამ დროს გაიგონა, როგორ შეჩერდა ინგმარი მისი მერხის წინ. ბარბრუ ისევ მოტრიალდა. კაცი იმ მერხზე იჯდა, რომელიც მის პირდაპირ იდგა. „ჰო, სწორია, ეს ხომ ინგმარშონების ადგილია.“ გაიფიქრა მან, თუმცა მაინც გაუხარდა, რომ ინგმარმა ეს ადგილი აირჩია.

როდესაც ქადაგება დასრულდა და რამდენიმე კაცმა, რომელსაც ეჩქარებოდა, წასვლა დააპირა, ბარბრუც წამოდგა. თვალები დახრილი ჰქონდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ინგმარი უყურებდა. აზრად მოუვიდა, იქნებ ინგმარს ჰგონია, მისთვის თვალებში შეხედვის მრცხვენიაო და თავი ასწია. ინგმარს სრულიადაც არ ჰქონდა ისეთი გამომეტყველება, როგორსაც ქალი ელოდა. თანამგზავრების მსგავსად, მასაც ისეთი სიხარული ეწერა სახეზე, თითქოს თავს ძლივს იკავებდა, რომ არ გადაეხარხარა. ბარბრუმ სწრაფად ჩაუარა კაცს გვერდით და ეკლესიის ეზოში არც გაჩერებულა, პირდაპირ შინისკენ გაეშურა. ნუთუ ინგმარი მას და მის უბედურებას დასცინოდა? მართალია, ახლა ბედნიერი იყო და მაინც, ნუთუ არ შეეძლო გაეგო, ქალს როგორ უმძიმდა? ბარბრუ ჩქარა მიდიოდა, რომ შინ მალე დაბრუნებულიყო, თუმცა ინგმარის გამომეტყველება თავიდან ვერ ამოეგდო. სინამდვილეში, ის, რაც მან შენიშნა, დაცინვასაც არ ჰგავდა. ინგმარი ისე შესცქეროდა, როგორც მონადირე, რომელიც დიდხანს დასდევს მსხვერპლს და ბოლოს და ბოლოს მოიმწყვდევს. „სწორედ ასეთი სახე ჰქონდა მამას, როცა ორმოში ჩავარდნილ მელას უყურებდა და

იცოდა, რომ საბრალო ცხოველი იქიდან თავს ვეღარ დააღწევდა.“

შინისკენ მიმავალი ბარბრუ მალ-მალე იხედებოდა უკან.

– ეტყობა, გავგიჟდი, რაკი მგონია, რომ გამომეკიდება, – თქვა მან. – ის, ალბათ, გერტრუდს გაჰყვა სახლში.

ინგმარი ეკლესიიდან ფეხდაფეხ გამოჰყვა ბარბრუს და მართლაც განზრახული ჰქონდა, ქალს გზაში დასწეოდა, მაგრამ გარეთ გამოსვლისთანავე იმ თანასოფლელების ალყაში მოექცა, რომელთაც იერუსალიმში მყოფი ნათესავების ამბების გამოკითხვა სურდათ და მიხვდა, რომ უნდა დარჩენილიყო და ხალხს გამოლაპარაკებოდა. იქაურ ყოფაზე აქ ბევრი მითქმა-მოთქმა იყო, ბევრი კითხვა ჰქონდათ და ბევრი რამ აშფოთებდათ, ახლობლების წერილებს კი ბოლომდე არ ენდობოდნენ. ეს ხომ ასე ხდება – არც ერთ შინიდან წასულს არ ეხალისება თავის გასაჭირზე ლაპარაკი. ხოლო როდესაც ინგმარი, რომელიც კოლონიის წევრი არ იყო, იერუსალიმის ამბებს ყვებოდა, ყველას სჯეროდა, რომ ის სრულ სიმართლეს ამბობდა.

შუა ლაპარაკში რომ იყო, ინგმარმა მისკენ მომავალი სტორმი და დედილო სტინა შენიშნა და სახეზე წამოწითლდა. იცოდა, მშობლებს გერტრუდისთვის არასოდეს უსაყვედურიათ, იერუსალიმში რომ გაიქცა, თუმცა ინგმარის დანახვაც არ უნდოდათ და იმ დღის შემდეგ მისთვის ხმა არ გაუციათ. ახლა კი ორივენი მასთან მოვიდნენ და ხელი გაუწოდეს. ინგმარმა ჯერ დედილო სტინას ჩამოართვა ხელი, მერე კი – სტორმს. არც ერთ მათგანს სიტყვა არ დაუძრავს იმაზე, რაც წარსულში იყო. ამდენი ხალხის თანდასწრებით ანგარიშსწორებას მოერიდნენ.

– ჩემს ცოლს უნდა, გაიგოს, ჩვენთან ხომ არ წამოხვალ, რომ ცოტა წაიხემსო, – უთხრა სტორმმა.

– თუ დედილო სტინა უცხო კაცს ასე მოულოდნელად მიიღებს, რატომაც არ წამოვალ. – თქვა ინგმარმა. მასწავლებლის ოჯახთან შერიგება ისე გაუხარდა, ბარბრუ სულ გადაავიწყდა.

– უცხო კაცს ნამდვილად არ დავპატიჟებდი, მაგრამ შენ შინაური ხარ და მცირედისთვის არ დაგვძრახავ. – მიუგო დედილო სტინამ.

ასე, რომ ინგმარი მასწავლებლის ოჯახს ესტუმრა და, ცხადია, ამით ყველანი ძალიან გაახარა. ხალხი შეუჩერებლად მიდიოდა იქ ახალჩამოსულების მოსანახულებლად, ყველაფერს უამბობდნენ, რაც მომხდარიყო, ზოგჯერ კი, შუა მხიარულებაში, ცრემლებსაც აფრქვევდნენ და გარდაცვლილებს დასტიროდნენ. გერტრუდმა საჩქაროდ ამოალაგა შეფუთული საჩუქრები, სკოლის მაგიდებზე გაამწკრივა და ძვირფასი სახსოვარი ყველა იქ მყოფს ჩამოურიგა. ინგმარისთვის იოლი როდი იყო აქედან თავის დაღწევა, მით უმეტეს, რომ ეტყობოდა, სტორმი მისი იქ ყოფნით ისევე გახარებული იყო, როგორც გერტრუდის დაბრუნებით.

– ჯერ ხომ არ წახვალ? – ჰკითხა დედილო სტინამ, როგორც კი ინგმარი წამოდგა.

– ჩემიანებიც უნდა მოვინახულო.

– არა უშავს, შინ მისვლა არ დაგაგვიანდება.

სწორედ ამ დროს ინგმარს შემოუთვალეს, მამულში წადი, რადგან ღონიერი ინგმარი შეუძლოდ გახდა და სიკვდილის პირას არისო და ისიც გზას გაუდგა.

ინგმარის კარ-მიდამოსგან მოშორებით, გზის პირას პატარა, საცოდავი ქოხი იდგა. ინგმარი ჯერ კიდევ კარგა შორს იყო იქიდან, როდესაც გარეთ კაცი და ქალი გამოვიდა. კაცი ღატაკი და ჩამოძონძილი იყო და ინგმარს მოეჩვენა, რომ ქალმა რაღაც ჩაუდო ხელში, მერე კი სწრაფად დაეშვა ინგმარის მამულისაკენ მიმავალ გზაზე.

როდესაც ინგმარმა ქოხს ჩაუარა, კაცი ჯერ ისევ პარმაღზე იდგა. იგი მიტრიალდა და ვერცხლის მონეტები გადათვალა. ინგმარმა ახლაღა იცნო კაცი. ეს სტიგ ბორიესონი იყო. სტიგმა ინგმარი მხოლოდ მაშინ შენიშნა, როცა მან გვერდით ჩაუარა.

– დაიცადე, ინგმარი, მოიცა! – იყვირა მან და გზაზე სირბილით დაეშვა. – რასაც ბარბრუ გეტყვის, არ დაიჯერო, თავის თავს ატყუებს.

– ისედაც ვიცი, შენი თქმა არ მჭირდება. – მიუგდო პასუხად ინგმარმა ისე, რომ არც შეჩერებულა.

მალე ინგმარი იმ ქალს მიუახლოვდა, რომელიც სტიგ ბორიესონს დაშორდა. აშკარა იყო, ქალი ჩქარობდა და სწრაფად მიდიოდა. როდესაც ზურგს უკან ნაბიჯების ხმა გაიგონა, იფიქრა, სტიგი იქნებაო და ისე უთხრა, არც შემობრუნებულა:

– ის უნდა იკმარო, რაც მოგეცი, ახლა ფული აღარა მაქვს. სხვა დროს მეტს მოგცემ.

ინგმარმა არაფერი უპასუხა, მაგრამ ნაბიჯს აუჩქარა.

– ხვალ ისევ მოგიტან ფულს, ოღონდ ინგმარს არაფერი უთხრა. – განაგრძობდა ქალი. ამ დროს ინგმარიც დაეწია და მხარზე ხელი დაადო. მან მხარი გასწია და გაჯავრებული შემობრუნდა.

როცა ბარბრუმ დაინახა, რომ მის წინ კი სტიგი კი არა, ინგმარი იდგა, გაბრაზებამ მყისვე გადაუარა და სახე სიხარულით გაუნათდა, მაგრამ ქმარს იგივე გამომეტყველება შენიშნა, რომელიც დილით ჰქონდა. „ახლა ჩემი ხარ, ახლა ვეღარსად წამიხვალ.“ ამბობდა მისი მზერა.

„ნეტავ ასე რატომ მიყურებს?“ გაიფიქრა ქალმა და ინგმარს მოსცილდა. „გერტრუდი ხომ შინ დააბრუნა და ცოლად უნდა შეირთოს.“

ინგმარმა თავდაპირველად ღონიერი ინგმარი მოიკითხა.

– ეკლესიიდან რომ დავბრუნდი, ჩემთან მოვიდა და მითხრა, ღამით შევიტყვე, რომ დღეს უნდა მოვკვდეო. – თქვა ბარბრუმ.

– ავად ხომ არ არის? – იკითხა ინგმარმა.

– მთელი წელი რევმატიზმისგან იტანჯებოდა და სულ იმას ჩიოდა, რომ შენს დაბრუნებამდე სიკვდილი არ ეწერა. ასე თქვა, ამქვეყნიდან ვერ წავალ, ვიდრე ინგმარი იერუსალიმიდან არ დაბრუნდებაო.

– დღეს რა, უარესად არის?

– არა, ისევე გრძნობს თავს, როგორც სხვა დროს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მოკვდება და საძინებელში წევს. აიკვიატა, რომ ყველაფერი ისე უნდა მოხდეს, როგორც მამაშენის სიკვდილის დროს იყო. პასტორის და ექიმის მოყვანა გვიბრძანა, რადგან ისინი მამაშენთანაც მოიყვანეს. ის მდიდრული გობელენიც მოითხოვა, მამაშენს რომ გადააფარეს, თუმცა ის აქ აღარ არის, აუქციონზე გაიყიდა.

– ჰო, იმ აუქციონზე ბევრი რამ გაიყიდა. – დაეთანხმა ინგმარი.

– ერთ-ერთმა მოსამსახურემ მითხრა, რომ ეგ გობელენი სტიგ ბორიესონმა იყიდა, ჰოდა, ვიფიქრე, შევეცდები უკან დავიბრუნო, რომ ღონიერი ინგმარის სურვილი შევასრულო-მეთქი. ბედმა გამიღიმა და მისი გამოსყიდვა შევძელი. აი, აგერ მაქვს. – თქვა ქალმა და ინგმარს შეკრულა აჩვენა, რომელიც ხელში ეჭირა.

– მოხუცებს ყოველთვის კეთილად ექცეოდი. – უთხრა ინგმარმა. ახლა უკვე გვერდით მიჰყვებოდა ბარბრუს. ხმა უწყდებოდა, მძიმედ სუნთქავდა და ქალს თავში გაუელვა, წამითაც რომ გავჩერდე, ალბათ, გულში ჩამიკრავსო.

კაცს სწორედ ამის გაკეთება სურდა, მაგრამ ღონიერი ინგმარის ამბავი აბრკოლებდა. „ახლა ამაზე ფიქრის დრო არ არის,“ გაიფიქრა მან.

– ჩემთვის შინ დაბრუნება არ მოგილოცავს. – თქვა ინგმარმა.

– ჰო, – დაეთანხმა ბარბრუ და შეეცადა, ხმაზე არაფერი შეტყობოდა, – მაგრამ ხომ ხვდები, მიხარია, რომ ჩამოხვედი და გერტრუდიც შენთან ერთად არის.

– შენი დავალების შესრულება იოლი არ გამოდგა.

– ჰო, მჯერა, მაგრამ გერტრუდი გახარებული ჩანს, შინ რომ დაბრუნდა.

– მგონი, ის კმაყოფილია, ასე რომ მოხდა. – მიუგო ინგმარმა. სხვა აღარაფერი უთქვამს, გაიღიმა და ბარბრუს მიუახლოვდა. „ამით რისი თქმა უნდა? მისი არ მესმის.“ გაიფიქრა ქალმა და უეცრად ველური, შმაგი სიხარული დაეუფლა, სწორედ ისეთი, როგორიც სიზმარში – როცა ფერდობზე მარხილით ეშვებოდა, მის გარშემო კი გაზაფხულის ყვავილები იფურჩქნებოდა.

უცებ ბარბრუ მიხვდა, რატომ იქცეოდა ინგმარი ასე. ის, უბრალოდ, ისეთი ბედნიერი იყო, რომ ამას ვერ მალავდა. როდესაც ქალს უყურებდა, თავს ისულელებდა, რადგან ოდესღაც წარმოიდგინა, რომ ბარბრუ უყვარდა. ახლა კი გერტრუდს დაუბრუნდა, მას ეკუთვნოდა, ისევე, როგორც მაშინ, როცა ცოლი მოიყვანა.

ბარბრუმ ფიქრიანად გახედა გზას. „რა საშინელებაა, ჯერ სახლამდე ისე შორია. ნახევარ საათს ვერ მივალთ. მთელი ეს დრო იმ კაცის გვერდით უნდა ვიარო, რომელიც სხვა ქალზე ფიქრობს.“

მან სწრაფად გახედა ინგმარს. კაცმა მისი მზერა დაიჭირა, მყისვე თავი დაუქნია და ქალს საპასუხოდ იდუმალი მზერა შეაგება. „ალბათ, ჩემი მადლობელია, რომ გავეყარე,“ თავისთვის

გაიფიქრა ბარბრუმ, „მისი ბედნიერება ხომ ჩემი დამსახურებაა.“

– მინდოდა, მადლობა გადამეხადა იმისათვის, რომ იერუსალიმში გამაგზავნე. – თქვა ინგმარმა.

– ასეც ვფიქრობდი, რომ იქ ჩასვლით ბედნიერი იქნებოდი. – უპასუხა ბარბრუმ.

– ჰო, შესანიშნავი ადგილია.

– იმდენ ხანს არ ჩამოხვედი, მეგონა, სამუდამოდ იქ დარჩენას აპირებდი.

– ჰო, ოჰ, არა! არც მიფიქრია, თუმცა დაბრუნებამდე რაღაცები უნდა მესწავლა.

– ნეტავ მაინც რა უნდა გესწავლა? – ცნობისმოყვარეობის გამო კი არა, უფრო იმიტომ იკითხა ბარბრუმ, რომ გაიფიქრა, სჯობს, გზა საუბარში გავლიოთ, ვიდრე ჩუმად ვიყოთო.

– რა და, – დაიწყო ინგმარმა, – უცნაური ის იყო, რომ იქ იმ დიდების ნასახიც არ ჩანდა, რის შესახებაც ჩვენ წაგვიკითხავს. აღარც სამეფო ციხე-კოშკი იდგა სიონის მთაზე, აღარც ტაძარი – მორიაზე, მის ნაცვლად კერპთაყვანისმცემელთა სამლოცველო დამხვდა; მეფეები, მხედართმთავრები, მეომრები, მღვდლები და ტაძრის მსახურებიც სადღაც გამქრალან; არც უფლის კიდობანია ქერუბიმებით და სერაფიმებით. ვიცოდი, რომ ასეც უნდა ყოფილიყო, თუმცა მაინც გამიჩნდა კითხვა, რატომ უნდა განადგურებულიყო ეს და კიდევ სხვა მრავალი დიდებული ქმნილება. ვფიქრობდი, ეს ყველაფერი, რაც ხალხმა ამ მიწაზე შექმნა, დღესაც რომ ყოფილიყო, შარავანდედით მოსილი იქნებოდა, რადგან ყოველ ნაბიჯზე ენით აუწერელი დიდების ნაშთებს ხედავ. მერე კი აზრად მომივიდა, ყველაფერი ძველებურად რომ დარჩენილიყო, მაშინ ჩვენ იქ რაღა უნდა გვეკეთებინა-მეთქი. ადამიანის უდიდესი ბედნიერებაც ეგ არის, რომ აშენოს ის, რაც თავად სჭირდება და დაამტკიცოს, რისთვის არსებობს. წარსულის ნაშთებიც სწორედ ამიტომ ქრება. ვცდილობდი, გამეგო, რატომ ინება უფალმა სამეფოების დაცემა, ქალაქების დაქცევა და ადამიანთა ქმნილებების ქარის მიერ გატაცებული ფოთლებივით მიწის პირიდან აღგვა. ალბათ, იმიტომ, რომ ადამიანებს ყოველთვის ჰქონოდათ რაღაც შესაქმნელი და დასამტკიცებელი, თუ რა შეუძლიათ. უფალს არ სურს, ჩვენ მემკვიდრეობით მიღებულ მამულებსა და სახლებში ვიცხოვროთ, მას უნდა, რომ თავიდან შევქმნათ ის, რაც ჩვენი იქნება.

– მაშ, ეს არის ის, რაც ისწავლე? – ცოტა არ იყოს, გაოცებით იკითხა ბარბრუმ.

– არ ვიცი, სხვებს ეს ანუგეშებს თუ არა, – განაგრძო ინგმარმა, – მაგრამ იცი, რა ვიფიქრე? მე რომ ინგმარის კარ-მიდამო მემკვიდრეობით ისეთი მიმეღო, როგორიც ის მამაჩემის სიკვდილის დროს იყო და ამას მისი სახელიც დამატებოდა, ალბათ, ჩემთვის ცუდი იქნებოდა. არ ვიცი, რას ვიზამდი. შემეძლო, მთელი ცხოვრება ძილში გამეტარებინა. გულში რამდენჯერ არ დავმორჩილებივარ ბედს, მაგრამ ახლა ღმერთს მადლობას ვწირავ იმისათვის, რომ ჩემი ბედნიერება ნანგრევებად აქცია, რათა ყველაფერი ჩემი ხელით თავიდან შემეკოწიწებინა.

– ჰო, კარგია, თუკი ამას მოახერხებ. – დაეთანხმა ბარბრუ.

– სხვა რამეც ვისწავლე: შემწყნარებლობის გამოჩენა.

– მართლა?

– ვერაფრით ვეგუებოდი იმას, რომ მრევლის საუკეთესო ნაწილი იმ საშინელ ქვეყანაში უნდა გადასახლებულიყო, სადაც ტანჯვის გარდა არაფერი ელოდა.

– და ამის გარკვევაც შეძელი?

– არა, ბოლომდე ვერ გავარკვიე, თუმცა რაც ვნახე, ის იყო, რომ იქ რაღაც ხდებოდა. უფალმა მთელი მსოფლიოდან მოუწოდა ხალხს, იქ ჩასულიყვნენ. თითქოს ქალაქებსა თუ სოფლებში რაღაც საგუშაგოების მსგავსი შექმნა. ნეტავ იმ დღეს მოვესწრებოდე, როცა მისი მეორედ მოსვლის ჟამი დაჰკრავს, როდესაც უფლის ნებით ეს საგუშაგოები ფეხზე დადგებიან და მიძინებულ ქვეყანას გამოაფხიზლებენ.

ბარბრუმ ამოიოხრა. ინგმარი ფიქრებით სადღაც ძალიან შორს დაქროდა და ქალს იმაზე აღარაფერს ეკითხებოდა, რაც მას ეხებოდა.

– ნეტავ მეც თუ ასე მანუგეშებდა იქ გამგზავრება? – ჩაილაპარაკა მან.

– ალბათ, შენც რამეს ისწავლიდი.

– ეგ რომ ვიცოდე, ხვალვე წავიდოდი.

– მგონი, ურიგო არ იქნებოდა ყველა ჯურის ხალხის ნახვა, რომელიც იერუსალიმის ქუჩებში დადის.

ბარბრუმ იკითხა, მერედა, ეს რა სარგებლობას მომიტანდაო.

– რა ვიცი, იქ ყველა გვერდიგვერდ დააბიჯებს: არაბები და თურქები, ებრაელები და რუსები – ყველა ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანები – და მაინც იგივენი რჩებიან, როგორებიც იყვნენ.

– ვერ გავიგე, რას გულისხმობ.

– იმას, რომ იქ ვერასოდეს ნახავ კაცს, რომელიც როცა იძინებს, არაბია, გაღვიძებისას კი – ბერძენი.

– კი, მაგრამ...

– არა მგონია, აქაც რაიმე იცვლებოდეს. – თქვა ინგმარმა და ხმაში სინაზე გაერია, – ვარდი მეორე დღეს ნარშავად ვერ გადაიქცევა.

– ჰო, თუმცა ზოგი ვარდის ბუჩქი ისეთი შელახულია, ეკლების გარდა აღარაფერს ისხამს.

სწორედ მაშინ, როდესაც ბარბრუმ ეს სიტყვები თქვა, მამულსაც მიადგნენ და ინგმარმა ქალს ჭიშკარი გაუღო. წინკარი სახლის ორ ფრონტონს შუა იყო მოქცეული და აქ მათ ვერავინ დაინახავდა. ინგმარმა თავი ვეღარ შეიკავა, ბარბრუს ხელები მოხვია და გულში მაგრად ჩაიკრა.

– არა, მოიცა, ეს რას ნიშნავს?! – წამოიძახა ქალმა და შეეცადა, თავი გაეთავისუფლებინა.

– იმას, რომ... იმას, რომ გერტრუდს აღარ ვირთავ. არ ვუნდივარ, გაბრიელი უყვარს.

– არა, არა, ეს ტყუილია! – ბარბრუს ისევ დაუარა ბედნიერების ტალღამ, თუმცა, რა მძიმეც არ უნდა ყოფილიყო მისთვის, მაინც ცდილობდა თავის გათავისუფლებას, რადგან გრძნობდა, რომ უსამართლობა იქნებოდა, ინგმარისთვის მასთან ცხოვრების დაკავშირების უფლება მიეცა. – ჩვენს შორის ხომ ამაზე დიდი რამ დგას.

– ეგ სულაც არ მადარდებს! გგონია, რაღაც ბავშვური ზღაპრების გამო შენზე უარს ვიტყვი?!

ბარბრუს მკვდრის ფერი დაედო. მიხვდა, ერთადერთი გზა დარჩენოდა კაცის მოსაგერიებლად.

– განა არ იცი, რომ ვიდრე აქ არ იყავი, ბავშვი მეყოლა?

– ის არ მომხდარა, რაშიც ხალხი გინდა დაარწმუნო.

– მართლა? ასე გგონია?

– ასე იმიტომ მოიქეცი, რომ გინდოდა, მიმეტოვებინე, მაგრამ კარგად გიცნობ. ბავშვი ჩემი რომ არ ყოფილიყო, ახლა ზღვის ფსკერზე იქნებოდი.

– ცოტა დამაკლდა, რომ ეს ჩამედინა.

– თავს ნუ იტყუებ, ბარბრუ! – სთხოვა კაცმა და მღელვარებისგან ხმა აუკანკალდა. – ნუ ცრუობ!

– არ ვცრუობ! – მტკიცედ მიუგო ქალმა, ინგმარის ხელები მოიშორა, თუმცა აღარავინ იჭერდა, და შინ შევიდა.

ღონიერი ინგმარი საძინებელში საწოლზე იწვა. არაფერი სტკიოდა, მაგრამ გული სუსტად უცემდა და სუნთქვა სულ უფრო უჭირდა. „ნამდვილად დღეს მოვკვდები.“ ფიქრობდა იგი.

ვიდრე ოთახში მარტო იყო, მოხუცს გვერდით ვიოლინო ედო, სიმებს უღონოდ უსვამდა ხელს და სხვადასხვა მელოდია და სიმღერა ჩაესმოდა. ექიმის და პასტორის მოსვლისთანავე ვიოლინო განზე გადადო და მათ ის უცნაური ამბები მოუთხრო, რაც კი ცხოვრებაში გადახდენოდა. ძირითადად ეს ამბები დიდ ინგმარსა და ტყის ჯუჯებს ეხებოდა, რომლებიც მას დიდხანს კეთილად ექცეოდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჰელგუმმა მისი სახლის წინ ასკილის ბუჩქი მოჭრა, მისი ცხოვრება უკუღმა წავიდა. ჯუჯებმა მასზე ხელი აიღეს და მოხუცს ყველა სნეულებამ ერთად შეუტია.

– პასტორო, დამიჯერეთ, ძალიან გამიხარდა, როდესაც გუშინ ღამით დიდი ინგმარი გამომეცხადა და მითხრა, ჩემს სახლზე ზრუნვა აღარ მოგიწევს, დროა, დაისვენოო.

მოხუცი ძალზე მაღალფარდოვნად ლაპარაკობდა და ძნელი არ იყო იმის შემჩნევა, რომ დარწმუნებული იყო, მოკვდებოდა. პასტორმა ორიოდე სიტყვით გაამხნევა, არც ისე ცუდად გამოიყურებიო, მაგრამ ექიმმა, რომელმაც ავადმყოფი გასინჯა და მის გულს მოუსმინა, სერიოზულად თქვა:

– არა, ღონიერმა ინგმარმა იცის, რასაც ამბობს. ტყუილად როდი ელოდება სიკვდილს.

როდესაც ბარბრუ ოთახში შემოვიდა და სნეულს ის მდიდრული გობელენი გადააფარა, მოხუცი

ოდნავ გაფითრდა.

– ახლა უკვე შემიძლია მოვკვდე, – თქვა მან და ბარბრუს ხელზე მოეფერა. – მადლობას გიხდი ამისათვის და ყველაფრისათვის, მაპატიე, თუ ბოლო დროს მკაცრად გექცეოდი.

ბარბრუ აქვითინდა. იმდენი მწუხარება დაატყდა თავს, რომ ტირილი მისთვის შვება იყო. მოხუცი კიდევ ერთხელ მოეფერა ხელზე და მის ცრემლებზე გაეღიმა.

– ახლა ინგმარიც მალე მოვა. – თქვა მან.

– უკვე აქ არის, – უთხრა ბარბრუმ, – ჯერ მე შემოვედი, რომ თქვენთვის ეს მეთქვა.

ინგმარის ოთახში შემოსვლისთანავე მომაკვდავი გაჭირვებით წამოიწია და ხელი გაუწოდა.

– კეთილი იყოს შენი დაბრუნება. – თქვა მან.

ინგმარი უხასიათოდ იყო. დაღლილი და დადარდიანებული ჩანდა.

– არ მეგონა, თუ ჩემი შინ დაბრუნების დღეს სასიკვდილო სარეცელზე გნახავდი. – თქვა მან.

– ამისთვის ნუ გამკიცხავ. – ისე თქვა მომაკვდავმა, თითქოს თავს იმართლებსო, – განა არ გახსოვს? დიდი ინგმარი დამპირდა, როგორც კი დაბრუნდებოდი, თან წამიყვანდა.

ინგმარი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. მოხუცი ხელზე ეფერებოდა, თუმცა დიდხანს დუმდა. ყველა ხედავდა, რომ სიკვდილი უახლოვდებოდა. მოხუცმა ფერი დაკარგა, მისი სუნთქვა კი ხრიალს დაემსგავსა.

როგორც კი ბარბრუ ოთახიდან გავიდა, მოხუცი ინგმარის გამოკითხვას შეუდგა.

– სახლში ხომ დარჩები? – იკითხა მან და კაცს გამსჭვალავად შეხედა.

– ჰო, – მშვიდად მიუგო ინგმარმა და ხელზე მოეფერა, – საკმარისად ვიმოგზაურე.

– აქ თქვეს, რომ გერტრუდთან ერთად ჩამოხვედი.

– ჰო, ის შინ დაბრუნდა და ჰეკ მათსის ვაჟს, გაბრიელს, მიჰყვება ცოლად.

– ამით კმაყოფილი ხარ, ინგმარ?

– სავსებით კმაყოფილი ვარ. – მტკიცედ უპასუხა კაცმა.

მოხუცმა გამომცდელად შეხედა და თავი გადააქნია. ჩანდა, ბევრი რამ არ ესმოდა.

– თვალზე რა მოგივიდა? – იკითხა მან.

– თვალი იერუსალიმში დავკარგე. – მხნედ უპასუხა ინგმარმა.

– რაო, ნუთუ ამითაც კმაყოფილი ხარ?

– განა არ იცი? უფალი დიდი ბედნიერების სანაცვლოდ ჩვენგან საწინდარს ითხოვს.

– დიდი ბედნიერება უკვე გეწვია?

– ჰო, – მიუგო ინგმარმა, – ჩემი შეცდომა გამოვასწორე.

მომაკვდავი საწოლში აწრიალდა.

– რამე გტკივა? – ჰკითხა ინგმარმა.

– არა, რაღაც მაწუხებს.

– მითხარი, რა გაწუხებს.

– ხომ არ მატყუებ, ინგმარ, მშვიდად რომ განვისვენო? – ნაზად ჰკითხა მოხუცმა.

ინგმარი მოულოდნელმა შეკითხვამ დააბნია, აღელდა და უეცრად აქვითინდა.

– მითხარი, სიმართლე რა არის! – სთხოვა მომაკვდავმა.

ინგმარი მყისვე დამშვიდდა.

– აბა, როგორ არ ავტირდე, როცა შენნაირ მეგობარს ვკარგავ?

ამის შემდეგ მოხუცს მოუსვენრობა დაეტყო და შუბლზე ცივმა ოფლმა გამოჟონა.

– შენ ახლახან ჩამოხვედი, ინგმარ, – თქვა მან ბოლოს, – არ ვიცი, ყველაფერი შეგატყობინეს თუ არა, რაც მამულში მოხდა.

– ჰო, – უთხრა ინგმარმა, – ის, რაზეც ამბობ, იერუსალიმში გავიგე.

– შენს საკუთრებას უკეთ უნდა მოვფრთხილებოდი.

– რაღაც უნდა გითხრა, ღონიერო ინგმარ, ცდები, თუკი ბარბრუზე ცუდს ფიქრობ.

– ვცდები?

ჰო, – უფრო მტკიცე ხმით უპასუხა ინგმარმა. – შინ დავბრუნდი და ახლა პასუხს ყველაფერზე მე ვაგებ.

მოხუცმა შეკამათება დააპირა, მაგრამ ბარბრუმ, რომელიც სასტუმრო ოთახში იყო და სუფრას შლიდა, რომ სტუმრებს ყავით გამასპინძლებოდა, ნახევრად ღია კარიდან ყველაფერი გაიგონა. ქალი სწრაფად შებრუნდა პატარა ოთახში და ინგმართან მიიჭრა, რაღაცის თქმას დააპირა, თუმცა ბოლო წამს, როგორც ჩანს, გადაიფიქრა, სნეულის საწოლთან დაიხარა და ჰკითხა, თავს როგორ გრძნობო.

– ინგმართან საუბრის შემდეგ უკეთ ვარ. – განაცხადა მოხუცმა.

– ჰო, ლაპარაკი ეხერხება. – წყნარად თქვა ბარბრუმ და ფანჯარასთან ჩამოჯდა.

მალე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ღონიერი ინგმარი მალე მოკვდებოდა. იგი თვალებდახუჭული და გულხელდაკრეფილი იწვა. ყველანი დუმდნენ, რომ მომაკვდავი არ შეეწუხებინათ.

ღონიერი ინგმარი კი იმ დღეზე ფიქრობდა, როცა დიდი ინგმარი გარდაიცვალა. თვალწინ ის ოთახი ედგა, სადაც მასთან დასამშვიდობებლად შევიდა. ის ბავშვები გაახსენდა, რომლებიც სახლის პატრონმა გადაარჩინა და მისი სიკვდილის დროს მის საწოლთან ისხდნენ. ამ ფიქრებში თანდათან გონება დაებინდა.

– იცი რა, დიდო ინგმარ, შენ ჩემზე უკეთ ხედავ. – წაიჩურჩულა მან, რადგან ხვდებოდა, რომ მისი ბავშვობის მეგობარი ამ წუთას სადღაც მასთან ახლოს იყო, – პასტორი და ექიმი აგერ არიან, შენი გობელენიც ზედ მაფარია, ოღონდ იმ ბავშვს ვერ ვპოულობ, ჩემი საწოლის კიდეზე რომ ზის.

როგორც კი ეს სიტყვები თქვა, მყისვე ვიღაცის პასუხი გაიგონა.

– ამ მამულში ერთი ბავშვია, რომელსაც შეგიძლია სიკვდილის წინ კარგი სამსახური გაუწიო.

მოხუცს ამის გაგონებაზე თავისთვის გაეღიმა. ალბათ, მაშინვე მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა და სუსტი ხმით, თუმცა ისე მკაფიოდ, რომ ყველას ესმოდა, დაიჩივლა, პასტორს და ექიმს ამდენ ხანს მოუწიათ იმის ლოდინმა, როდის მოვკვდებიო.

– რახან პასტორი ჯერ კიდევ აქ არის, – თქვა მან, – უნდა მოვახსენო, რომ ამ სახლში მოუნათლავი ბავშვი ცხოვრობს და მინდა ვკითხო, ვიდრე აქ ზის, სიკეთეს ხომ არ გამოიჩენს და ხომ არ მონათლავს.

ოთახში ისედაც სიჩუმე იყო, ახლა კი სამარისებური დუმილი ჩამოწვა, მაგრამ ამ დროს პასტორმა ამოიღო ხმა:

– კარგად მოგიფიქრებია, ინგმარ. ეს დიდი ხნის წინ უნდა გვექნა.

თავზარდაცემული ბარბრუ ფეხზე წამოიჭრა.

– არა, არა, ახლა ამას ნუ ვიზამთ! – შესძახა მან, სულ იმაზე დარდობდა, რომ ბავშვის მონათვლისას მამამისის სახელის თქმა მოუწევდა, ამიტომაც აჭიანურებდა ნათლობას. ფიქრობდა, ინგმარს რომ ბოლომდე გავეყრები, მაშინ მოვნათლავო და ახლა შიშისაგან ლამის გონება დაეკარგა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, თუკი ინგმარი გერტრუდს ცოლად არ ირთავდა.

– ნება მომეცი, სიკვდილის წინ კეთილი საქმე გავაკეთო, ამ სიხარულს ნუ მომაკლებ, – სთხოვა მოხუცმა და იგივე სიტყვები გაიმეორა, რაც ახლახან ჩაესმა.

– არა, ეს არ მოხდება. – მოუჭრა ბარბრუმ.

ამ დროს საქმეში ექიმიც ჩაერია და მომაკვდავს მხარი დაუჭირა.

– დარწმუნებული ვარ, ღონიერ ინგმარს სუნთქვა ცოტა ხნით მაინც გაუიოლდება, თუ სხვა

რამეზე იფიქრებს და არა საკუთარ სიკვდილზე.

ბარბრუს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ხელ-ფეხი შეუკრესო. ამას ხომ ოთახში სთხოვდნენ, სადაც მომაკვდავის უკანასკნელი ამოსუნთქვის მოლოდინში იყვნენ. ქალმა სუსტი ხმით ამოთქვა:

– მგონი, ხვდებით, რომ ეს შეუძლებელია.

პასტორი ბარბრუს მიუახლოვდა და სერიოზულად უთხრა:

– შენც ხომ გესმის, ბარბრუ, რომ ბავშვი უნდა მოინათლოს.

– ჰო, მაგრამ დღეს ამის გაკეთება გაგვიჭირდება, – დაიჩურჩულა ქალმა, – ხვალ ბავშვთან ერთად ეკლესიაში მოვალ. რა დროს ნათლობაა, როცა ღონიერი ინგმარი კვდება.

– განა ვერ ხედავ, რომ ამით მომაკვდავს გაახარებ?

ინგმარს აქამდე ხმა არ ამოუღია და არც განძრეულა, თუმცა დამცირებული და დადარდიანებული ბარბრუს შეხედვამ ძალზე ააღელვა. „მისნაირი ამაყი ქალისთვის ეს საშინელებაა.“ გაიფიქრა მან. ვერ აიტანდა, რომ ადამიანისთვის, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდა და რომელსაც პატივს სცემდა, შეურაცხყოფა მიეყენებინათ.

– მოდი, ეგ ამბავი სხვა დროისთვის გადავდოთ. – უთხრა მან მოხუცს. – ბარბრუს ძალიან უჭირს.

– არ გაუჭირდებოდა, ბავშვის მოყვანა რომ უნდოდეს. – წამოიძახა პასტორმა.

– არა, არა, ეს შეუძლებელია. – თავისას არ იშლიდა ბარბრუ, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ნათლობა როგორმე გადაედო.

უეცრად მოხუცი ინგმარი საწოლში წამოჯდა და ხაზგასმით წარმოთქვა:

– ინგმარ, მთელი სიცოცხლე გულში ხინჯად დაგრჩება, თუკი ჩემს უკანასკნელ სურვილს არ შეასრულებ.

ინგმარი მყისვე წამოდგა, ბარბრუსთან მივიდა, მისკენ დაიხარა და უჩურჩულა:

– ბარბრუ, ხომ იცი, ნათლობისას გათხოვილებს ქმრის სახელის გარდა სხვა სახელის თქმა არ სჭირდებათ.

მერე კი ხმამაღლა განაცხადა, ახლა წავალ და ბავშვს მოვაყვანინებო და ბარბრუს შეხედა. ქალი მთელი სხეულით ცახცახებდა, თუმცა არაფერი უთქვამს. „ალბათ, ცოტაც და ჭკუაზე შეიშლება.“ გაიფიქრა ინგმარმა. ბარბრუ კი იმან ააღელვა, რომ კაცი ასეთი შეცვლილი იყო. ისეთი დაღლილი ჩანდა, თითქოს სიცოცხლე აღარ უნდაო. „სიკვდილის პირას მივიყვანე.“ გაიფიქრა მან.

ინგმარი გარეთ გავიდა და სახელდახელო სამზადისის თადარიგი დაიჭირა. პასტორის ჩანთიდან, რომელსაც მუდამ თან დაატარებდა, შესამოსელი და ბიბლია ამოიღეს, თასით წყალი შემოიტანეს, მერე კი მოხუცი ლისაც მოვიდა ბავშვთან ერთად.

პასტორი ადგა და ანაფორა ჩაიცვა.

– პირველ ყოვლისა, მინდა ვიცოდე, ბავშვს რას არქმევთ. – თქვა მან.

– ბარბრუ, შვილს სახელი შენ უნდა დაარქვა. – შესთავაზა ექიმმა. ყველამ ქალს შეხედა. მან ტუჩები რამენჯერმე შეარხია, თუმცა ხმა ვერ ამოიღო. მოლოდინი თითქოს უსასრულოდ გაგრძელდა.

ინგმარმა ამის დანახვაზე გაიფიქრა: „ახსოვს, ყველაფერი რომ რიგზე ყოფილიყო, მის შვილს რაც უნდა რქმეოდა, მაგრამ სირცხვილით ვერ ამბობს.“ კაცს ისე შეეცოდა ბარბრუ, რომ მისი მრისხანება სადღაც გაქრა და ადგილი დაუთმო უსაზღვრო სიყვარულს, რომელსაც ცოლის მიმართ გრძნობდა. „რა დაშავდება, მის შვილს ინგმარი რომ ერქვას?“ ფიქრობდა ის, „ამით რა დამაკლდება? მაინც ვეყრებით ერთმანეთს. ხალხს თუ როგორმე დავარწმუნებთ, რომ ბავშვი ჩემია, ბარბრუ სახელს და ღირსებას დაიბრუნებს.“

რაკი პირდაპირ თქმა არ უნდოდა, ინგმარმა სხვა გამოსავალს მიაგნო:

– ვინაიდან ნათლობა ღონიერმა ინგმარმა მოითხოვა, ვფიქრობ, ბიჭს თავისი სახელი უნდა დაარქვას.

კაცმა ამის თქმაზე ცოლს გადახედა, რათა დარწმუნებულიყო, მისი სიტყვების აზრი გაიგო თუ არა, მაგრამ როგორც კი ლაპარაკს მორჩა, ბარბრუ წამოდგა, ნელა გაიარა ოთახი, ვიდრე პასტორს არ

გაუსწორდა და მტკიცედ წარმოთქვა:

– ინგმარი ისე კეთილად მომექცა, მის დატანჯვას აღარ ვაპირებ. მინდა ვაღიარო, რომ ბავშვი მისია, მაგრამ ინგმარი არ უნდა ერქვას, რადგან ბრმა და ჭკუასუსტია.

ამის თქმაზე ქალმა იგრძნო, რა მწარე იყო, მის საიდუმლოს რომ ფარდა აეხადა. „ინგმარისთვის უკეთესია, ეს რომ იცოდეს. ეცოდინება, რომ მისთვის არ მიღალატია, მე კი თავს მოვიკლავ, რადგან აღარ მინდა მისი ცოლი ვიყო.“ გაიფიქრა მან, ცრემლი წასკდა და, როდესაც მიხვდა, თავს ვერ შევიკავებო, ოთახიდან გავარდა, რომ მომაკვდავი არ შეეწუხებინა. სასტუმრო ოთახში დიდ მაგიდაზე დაემხო და აქვითინდა.

ცოტა ხნის შემდეგ ბარბრუმ თავი ასწია და მიაყურადა, საძინებელში რა ხდებაო. იქ ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. მოხუცი ლისა საზაფხულო საძოვრის ამბებს ყვებოდა.

ქალმა ისევ იგრძნო გამჟღავნებული საიდუმლოს სიმწარე და ისევ ატირდა. ნეტავ რამ აიძულა, სიმართლე ეთქვა სწორედ მაშინ, როცა ინგმარმა ყველაფერი მის სასიკეთოდ მოაგვარა, ნუთუ არ შეეძლო, კიდევ ერთი-ორი კვირა ხმა არ ამოეღო, ვიდრე ერთმანეთს საბოლოოდ არ დაშორდებოდნენ? „ახლა კი თავი უნდა მოვიკლა,“ გაიფიქრა მან. „ეს ჩემი სიცოცხლის ბოლო წუთებია.“

მერე ისევ მიაყურადა. პასტორი ნათლობას ატარებდა. ისე გარკვევით ლაპარაკობდა, რომ ბარბრუს ყოველი სიტყვა ესმოდა. ბოლოს სახელის დარქმევის ჯერიც დადგა და პასტორმა ხმას აუწია. ბავშვს ინგმარი დაარქვეს.

ბარბრუ ამ სახელის გაგონებაზე უმწეობისაგან ისევ ატირდა.

მალე კარი გაიღო და ოთახიდან ინგმარი გამოვიდა. ქალი ქმართან მივიდა და თან შეეცადა, ცრემლი შეეკავებინა.

– ხომ გესმის, ჩვენს შორის ყველაფერი ისე უნდა მოხდეს, როგორც შენს გამგზავრებამდე გადავწყვიტეთ. – თქვა მან.

ინგმარმა თმაზე ნაზად გადაუსვა ხელი.

– არაფერს გაიძულებ. მას შემდეგ, რაც ახლახან გააკეთე, დავრწმუნდი, რომ საკუთარ სიცოცხლეზე მეტად გიყვარვარ.

ბარბრუმ მაგრად ჩაბღუჯა ქმრის ხელი.

– მპირდები, რომ ბავშვზე ზრუნვის უფლებას მომცემ?

– ჰო, – მიუგო ინგმარმა, – რასაც გინდა, იმას იზამ. მოხუცმა ლისამ გვიამბო, როგორ იბრძოდი შვილის გადასარჩენად. ვინ უნდა იყოს ისეთი უგულო, რომ ბავშვი წაგართვას.

ქალმა განცვიფრებით შეხედა ქმარს. ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რომ ყველაფერი, რაც აქამდე ტანჯავდა, ერთბაშად სადღაც გაქრა.

– მეგონა, სიმართლეს არასოდეს შეურიგდებოდი, – თქვა მან. – ვერ გეტყვი, რა მადლობელი ვარ შენი. მიხარია, რომ მეგობრებად ვშორდებით და, თუ ოდესმე ერთმანეთს შევხვდებით, მშვიდობიანად დავილაპარაკებთ.

ინგმარს სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

– არა მგონია, გაყრა ისევ მოგინდეს. – თქვა მან.

ბარბრუ ინგმარის ღიმილის დანახვაზე გაფაციცდა. ასეთი ინგმარი არასოდეს ენახა. სახე მთლად შეცვლილი ჰქონდა. უხეში ნაკვთები რაღაცას გაებრწყინებინა და ახლა მართლაც ლამაზი იყო.

– რა ხდება, ინგმარ? – ჰკითხა ქალმა. – რას აპირებ? გავიგონე, რომ ბიჭს ინგმარი დაარქვი. ამას რა აზრი ჰქონდა?

– ახლა რაღაც არაჩვეულებრივს მოისმენ, ბარბრუ. – თქვა ინგმარმა და ცოლის ხელები ხელებში მოიქცია. – როდესაც მოხუცმა ლისამ გვიამბო, როგორ ცხოვრობდით ტყეში, ექიმს ვთხოვე, ბავშვი გაესინჯა. ჰოდა, მან ბავშვს ვერანაირი ხინჯი ვერ უპოვა. ამბობს, რომ ბიჭუნა თავისი ასაკის პირობაზე მეტისმეტად პატარაა, მაგრამ სრულიად ჯანმრთელია და სხვა ბავშვებს არაფრით ჩამორჩება.

– მაშ, ექიმი არ ფიქრობს, რომ ბავშვი მახინჯი და უცნაურია? – ჰკითხა სუნთქვაშეკრულმა ბარბრუმ.

– ჩვენს გვარში ასეთი მშვენიერი ბავშვი არასოდეს მინახავს. – მიუგო ინგმარმა.

– არც ის ჰგონია, რომ ბრმაა?

– ექიმმა თქვა, რომ ამ შენი ახირების გამო სიკვდილამდე დაგცინებს. ამბობს, ხსნარს გამოგიგზავნით, რომ ბავშვს თვალები ამოუწმინდოთ და ერთ კვირაში ისეთივე თვალები ექნება, როგორიც სხვა ბავშვებსო.

ბარბრუ სწრაფად გაეშურა საძინებლისკენ. ინგმარმა თავისთან მიიხმო.

– ახლა ბავშვს ვერ გამოიყვან. ღონიერმა ინგმარმა გვთხოვა, საწოლში ჩამიწვინეთო. ახლა კი ამბობს, რომ მამაჩემს ჰგავს. ალბათ, სანამ არ მოკვდება, იქ დავტოვებთ.

– არა, ბავშვის წამოყვანას კი არ ვაპირებ, ექიმს თავად მინდა დაველაპარაკო.

როდესაც ბარბრუ უკან დაბრუნდა, ინგმარს გვერდით ჩაუარა და ფანჯარასთან შეჩერდა.

– ექიმს ვკითხე და ახლა ვიცი, რომ ეს სიმართლეა. ქალმა ხელები ცისკენ ისე აიშვირა, თითქოს ტყვეობიდან თავდახსნილმა ჩიტმა ფრთები გაშალაო. – შენ ხომ არ იცი, ინგმარ, რა უბედურება შეიძლებოდა დატრიალებულიყო. არავინ იცის.

– ბარბრუ, – მიმართა ინგმარმა, – ახლა მაინც ხომ შეიძლება ჩვენს მომავალზე დაგელაპარაკო?

ქალი არ უსმენდა. ხელები გულზე დაეკრიფა და ღმერთს მადლობას სწირავდა. დაბალი, მღელვარე ხმით ლაპარაკობდა, თუმცა ინგმარს ყველაფერი ესმოდა. მთელი მწუხარება, რასაც თავისი საბრალო შვილის გამო განიცდიდა, უფალს გაანდო და მადლობა გადაუხადა იმის გამო, რომ მისი ბიჭიც სხვა ბავშვებისნაირი იქნებოდა, რომ დედა შვილის თამაშის და სირბილის ყურებით დატკბებოდა, იმისათვის რომ სკოლაში წავიდოდა და კითხვას ისწავლიდა, ღონიერი ჭაბუკი დადგებოდა, ნაჯახის ქნევასაც შეძლებდა და მიწის მოხვნასაც, ცოლსაც შეირთავდა და მამაპაპისეულ მამულსაც გაუძღვებოდა.

უფალს მადლობა რომ შესწირა, ბარბრუ ინგმარს მიბრუნდა და სახეგაბრწყინებულმა უთხრა:

– ახლა მივხვდი, რატომ ამბობდა მამაჩემი, რომ ინგმარის ვაჟები მთელ დასახლებაში საუკეთესოები არიან.

– იმიტომ, რომ ღმერთი ჩვენ მიმართ უფრო მოწყალეა, ვიდრე სხვების მიმართ, – უპასუხა ინგმარმა, – ბარბრუ, იმის თქმა მინდოდა, რომ...

ქალმა შეაწყვეტინა.

– არა, იმიტომ, რომ თქვენ ბედს არ ურიგდებით და უფლის წყალობის მოლოდინში არ ხართ. რა ეშველებოდა ჩემს შვილს, შენ რომ მამამისი არ ყოფილიყავი?

– ისეთი არაფერი გამიკეთებია, როგორც შემეძლო, დავეხმარე. – მიუგო ინგმარმა.

– შენი წყალობით გათავისუფლდა წყევლისგან, – მხურვალედ თქვა ბარბრუმ, – ეს კი იმიტომ მოხდა, რომ იერუსალიმში მომლოცველად წახვედი. გასული ზამთარი სწორედ იმან გადამატანინა, რომ ზოგჯერ იმედი გამიჩნდებოდა ხოლმე, იერუსალიმში შენი გამგზავრების გამო უფალი მე და ჩემს შვილს წყალობით გადმოგვხედავს-მეთქი.

ინგმარმა თავი დახარა.

– მხოლოდ ის ვიცი, რომ მთელი ცხოვრება მხდალი ვიყავი, ბარბრუ. – უწინდელივით სევდიანად თქვა მან.

ისინი გვერდიგვერდ ისხდნენ კედელში ჩაშენებულ ძელსკამზე. ცოლმა ინგმართან ახლოს მიიწია, თუმცა კაცი ხელებჩამოშვებული იჯდა და სახე სულ უფრო უნაღვლიანდებოდა.

– ალბათ, ჩემზე გაჯავრებული ხარ, – უთხრა ბარბრუმ, – გახსენდება, რა გულცივად და სასტიკად მოგექეცი გზაზე, მაგრამ იცოდე, ასეთი საშინელი წუთები არასოდეს გამომივლია.

– არ შემიძლია ბედნიერი ვიყო, – თქვა ინგმარმა, – ჯერ კიდევ არ ვიცი, რას ვაპირებთ. იმდენ კარგ რამეს მეუბნები, იმაზე კი არაფერს მპასუხობ, გინდა თუ არა, ისევ ჩემი ცოლი იყო.

– ნუთუ შენთვის ეს არ მითქვამს? – გაიოცა ბარბრუმ და გაეღიმა. ამ დროს წამით ისევ ძველი შიში დაეუფლა და შეკრთა, მაგრამ ირგვლივ მიმოიხედა, თვალი შეავლო ძველ სასტუმრო ოთახს: გრძელ, დაბალ ფანჯრებს, კედელში ჩაშენებულ ძელსკამებს და კერიას, სადაც ცეცხლის პირას ამდენი თაობა მჯდარა და ამან სიმშვიდე მოჰგვარა. იგრძნო, რომ ეს სახლი დაიცავდა და

განსაცდელისგან დაიფარავდა.

– მხოლოდ შენს ჭერქვეშ და შენს სახლში მინდა ცხოვრება, სხვაგან არსად. – თქვა მან.

ცოტა ხნის შემდეგ პასტორმა საძინებლის კარი გამოაღო და ცოლ-ქმარს მოუხმო, ხოლო როდესაც მათ გვერდით ჩაუარეს, წარმოთქვა:

– ღონიერი ინგმარისთვის ცათა სასუფევლის კარი გაიხსნა.

[1] დალარნა – რეგიონი (ლენი) ცენტრალურ შვედეთში.

[2] ლილ – შვედ. პატარა, უმცროსი.

[3] შვედური მილი დაახლოებით 10 კილომეტრს უდრის.

[4] დალელვენი – მდინარე დალარნაში.

[5] ფილიპ მელანქტონი (1497-1560) – გერმანელი რეფორმატორი, მარტინ ლუთერის თანამებრძოლი.

[6] ლენსმანი – სახელმწიფო მოხელე, რომელიც საგადასახადო ინსპექტორის და პოლიციელის მოვალეობებს ითავსებდა.

[7] აქ: აკრი ანუ თუნნლანდ ფართობის ძველი შვედური ერთეულია და 4937 კვადრატულ მეტრს უდრის.

[8] აირა დევიდ სენკი (1840-1908), ამერიკელი საეკლესიო მომღერალი და კომპოზიტორი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც „მეთოდიზმის ტკბილი მგალობელი“.

[9] ჰირამ I – ბიბლიის თანახმად, ფინიკიური ქალაქის, ტიროსის, მეფე (980-947 წ.წ. ჩვ.წ.აღ.-მდე.).

[10] სოლომონი – ისრაელის გაერთიანებული სამეფოს ლეგენდარული მეფე (დაახლ. 970-931 წ.წ. ჩვ.წ.აღ.-მდე).

[11] იოანე, 19, 5.

[12] ეზეკია – იუდეველთა მეფე ძვ. წ. მე-8 საუკუნეში.

[13] მათე, 18,3.